

თეოდორ დრაიზერი

ჯენი გერჰარდტი

პირველი თავი

1880 წლის შემოდგომის ერთ დილას ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსის მთავარ სასტუმროს შუახნის დედაკაცი მიადგა; თან თვრამეტი წლის ქალიშვილი ახლდა. ქალი კლერკს შეეკითხა, საჩემო სამუშაო ხომ არაფერი გაქვთო. ამ ტანსრულ, მაგრამ არცთუ მკვრივი აღნაგობის დედაკაცს თავი სადად და მორიდებულად ეჭირა. ნათელი სახე ჰქონდა, ფართოთვალეზიანი. მშვიდად და მოთმინებით იმზირებოდა. დაკვირვებული კაცი ამ მზერაში მწუხარებასაც შენიშნავდა, იმასაც მიხვდებოდა, რატომ იყო ასე დამფრთხალი და დარცხვენილი დედის ზურგს ამოფარებული ქალიშვილი, მოჩვენებითი გულგრილობით განზე რომ იყურებოდა. გოგონას ბუნებაში კარგად შერწყმულიყო დედისგან დაყოლილი წარმოსახვის უნარი, სიფაქიზე, პოეტური გონება, მგრძნობიარობა, მამის სიდინჯე და თავშეკავება. დედა-შვილი აქ გაჭირვებას მოეყვანა. ამ ადამიანების სიღარიბე იმდენად აშკარა იყო, რომ თვით კლერკსაც კი თანაგრძნობა აღუძრა.

– მაინც რანაირ სამუშაოს ეძებთ?

– იქნებ, გასახეხი ან გასარეცხი გქონდეთ რამე, – მორცხვად უპასუხა ქალმა – იატაკის მორეცხვაც შემიძლია.

ქალიშვილი სირცხვილისაგან აიღეწა. მუშაობა კი არ ეზარებოდა, მაგრამ გამვლელ-გამომვლელის თვალს რა დაემალეებოდა, მათი სიღარიბე საქვეყნო გახდებოდა. ლამაზი ქალიშვილის წუხილმა კლერკს გული აუჩვილა: ეს გრძნობა ხომ მამაკაცებისათვის ჩვეულია. ქალიშვილის უმწეობისა და გულუბრყვილობის წყალობით ისედაც გამოუვალი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე ჩანდა.

– ერთ წუთს მომიცადეთ, – უთხრა კლერკმა და კანტორაში შესვლისთანავე უფროსი მოახლე გამოიძახა.

სასტუმროში სამუშაო მართლაც აღმოჩნდა. მთავარი კიბე და შესასვლელი დამლაგებლის წასვლის გამო დაუსუფთავებელი იყო.

– ეგ ქალიშვილი მაგისია? – იკითხა უფროსმა მოახლემ და დედა-შვილს შორიდან შეავლო თვალი.

_ მე მგონი, _ მიუგო კლერკმა.

_ რაკი ასეა, დღესვე შეუდგნენ საქმეს, ალბათ, ქალი-შვილიც მიეხმარება?

_ უფროს მოახლესთან მიდით და მოელაპარაკეთ, _ გულუბრყვილოდ უთხრა კლერკმა. _ აი, იმასთან, _ და ხელი ქალისკენ გაიშვირა. _ ის მოგირიგდებათ.

ასეთ დღეში ჩააგდო ხელობით მინამბერი უილიამ გერჰარდტი და მისი ოჯახის წევრები ერთმანეთზე გადაჯაჭვულმა ხანგრძლივმა უბედურებამ. დღევანდელი დღე ამ ვაების გვირგვინი იყო. უილიამმა სამუშაო დაკარგა _ ბედის ასეთი უკუღმართობა ხომ უცხო არ არის მშრომელი კაცისათვის. ოჯახის მამა ყოველი დღის გათენებას შიშით ელოდა _ აბა, რას მოუტანს ეს დღე ჩემს ოჯახს, ჩემს ექვს შვილსო. მათი ლუკმაპური მაცდურ ბედსა ჰქონდა მინდობილი. ავადმყოფობამ ოჯახის თავკაცი ლოგინად ჩააგდო. მისი უფროსი ვაჟი სებასტიანი, ანუ როგორც მეგობრებმა შეარქვეს, «ბასი», ვაგონშემკეთებელ სახელოსნოში შევიდა მუშაობდა, კვირაში ოთხ დოლარად. გოგონებში უფროსი _ ჯენევიევა უკვე თვრამეტი წლისა იყო, მაგრამ ვერც ერთი ხელობის ცოდნას ვერ დაიტრახებდა. მისი მომდევნო ჯორჯი _ თოთხმეტი წლისა გახლდათ, მართა _ თორმეტისა, უილიამი _ ათისა, ვერონიკა კი _ რვისა. ისინი ძალზე პატარები იყვნენ და აბა, რისი გაკეთება შეეძლოთ, პირიქით, საპატრონო და გამოსაზრდელები იყვნენ. ოჯახის ერთადერთი საკუთრება სახლი იყო და ისიც ექვსას დოლარად ჰქონდათ დაგირავებული. უილიამმა ვალი მაშინ აიღო, როდესაც ახალი სახლის შესაძენად დაგროვილი ფული გამოეღიათ და ისევ ძველის გაფართოება გადაწყვიტა. სამი ოთახი და აივანი მიაშენა, რათა ცოტა უფრო ხალვათად ეცხოვრათ. სახლს საგირაო ყავლი რამდენიმე წელიწადში უთავდებოდა, მაგრამ ისე უჭირდათ, რომ თავნისთვის გადადებული ფულის გარდა წლიური გადასახადის სარგებლის შესატანიც შემოეხარჯათ. უმწეო გერჰარდტი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, კარგად გრძნობდა თავის განწირულ მდგომარეობას. ჯერ არც ექიმის ფული ჰქონდა გადახდილი და არც საგირაოს სარგებელი. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ყასბისა და მეპურის ნისია. მართალია, ისინი გერჰარდტის უმწიკვლო პატიოსნებაში დარწმუნებულნი იყვნენ, მაგრამ რა ექნათ, როდემდის ეძლიათ ნისიად? სილატაკე უილიამს ტვინს უღრღნიდა, აწამებდა და თავისი სწეულება კიდევ უფრო ურთულდებოდა.

მისის გერჰარდტი სულით ძლიერი ქალი იყო. თუ მსურველს იმოვიდა, სხვების სარეცხის რეცხვასაც არ თაკილობდა. ერთთავად საქმეში იყო გართული: ბავშვებს ტანსაცმელს უკერავდა, უკემსავდა, სკოლაში გზავნიდა, სადილს აკეთებდა, ავადმყოფ ქმარს უვლიდა. გაწამებული ქალი ზოგჯერ ტიროდა კიდევ. ახალ-ახალ საბაყლოებს სახლიდან მოშორებით ეძებდა. პირველად ნაღდ ფულს გადაუხდიდა, მერე ნისიად იღებდა, ვიდრე ძველი მოვალეები ახალ მფარველებს არ გააფრთხილებდნენ. ყველაზე იაფი სიმიინდი იყო; მისის გერჰარდტი ზოგჯერ მთელ ქვავს მოხარშავდა და ეს ერთადერთი საქმელი ლამის კვირიდან კვირამდე ჰყოფნიდათ. სულ არარაობას სიმიინდის

ფაფაც კი ჯობდა, ხოლო თუ ცოტაოდენ რძესაც დაუმატებდნენ, ეს მთლად დიდებული იყო. შემწვარი კარტოფილი გერჰარდტების ოჯახში მდიდრულ საჭმელად ითვლებოდა, აბა ყავა ხომ იშვიათობა გახლდათ. სათლებითა და კალათებით მომარჯვებული ბავშვები რკინიგზის გზაჯვარედინებზე დაყრილ ქვანახშირს კრეფდნენ. შეშასაც ამგვარივე ხერხით აგროვებდნენ მახლობელი შეშის საწყობებიდან. ასეთი ტანჯვა-წვალებით გაჰქონდათ თავი დღიდან დღემდე, იმ იმედით, რომ მამა გამოჯანმრთელდებოდა და ისევ შუშის ქარხანაში დაბრუნდებოდა. მაგრამ ზამთარი ახლოვდებოდა და გერჰარდტები სასოწარკვეთილებას მიეცნენ.

– როგორმე უნდა დავაღწიო თავი ამ უბედურებას, – იტყოდა ხოლმე ჯიუტი გერმანელი, მაგრამ ავადმყოფის სუსტი ხმა სულაც ვერ გამოხატავდა მის სულიერ მდგომარეობას.

ყველა ამ უბედურებას პატარა ვერონიკას ავადმყოფობაც დაემატა. წითელა აღმოაჩნდა და რამდენიმე დღე ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. დედამ ყველაფერს თავი მიანება, შვილის ლოგინს არ შორდებოდა, მხურვალედ ლოცულობდა. ექიმ ელუონგერს ებრალებოდა გოგონა და ყოველდღე მოდიოდა, გულდასმით სინჯავდა. ლუთერანების პასტორი ვუნდტი, ეკლესიის სახელით დასამშვიდებლად ცხადდებოდა ხოლმე. მისის გერჰარდტს ეგონა, შვილს ვკარგავო, და გულდათუთქული, ძილდამფრთხალი საწოლი ოთახიდან ფეხს არ იცვლიდა. სამი დღის შემდეგ საფრთხემ განვლო, მაგრამ, შინ ნამცეცი პურიც აღარ ჰქონდათ. სებასტიანის ხელფასი წამლებს მოუხდა. მარტო ქვანახშირი იყო უფასო, თუმცა ბავშვები რამდენჯერმე გამოყარეს კიდევ რკინიგზიდან. მისის გერჰარდტმა გონებაში ყველა ადგილი მოსინჯა, სად შეიძლებოდა ეშოვა სამუშაო და ბოლოს სასტუმროს მიადგა, მაგრამ არავითარი იმედი არ ჰქონდა. და აი, რაღაც სასწაულის წყალობით ბედმა გაუღიმა.

– რამდენს ითხოვთ? – ჰკითხა სასტუმროს უფროსმა მსახურმა.

მისის გერჰარდტი ამ კითხვას არ მოელოდა, მაგრამ გაჭირვებამ სიმხნევე შემატა და არ დაიბნა.

– დღეში ერთი დოლარი ბევრი

იქნება? – არა, – მიუგო მსახურმა.

– კვირაში სამი დღის სამუშაო გექნებათ. ყოველდღე რომ ნაშუადღევს მოხვიდეთ, ყველაფერს მოასწრებთ.

– კეთილი, მადლობელი ვარ, – მიუგო ქალმა. – შეიძლება დღესვე დავიწყო?

– რა თქმა უნდა. წამოდით და გაჩვენებთ, სათლი და ჩვრები სად ინახება.

სასტუმრო, სადაც დედა-შვილი ასე მოულოდნელად აღმოჩნდა, იმ დროისათვის ქალაქის თვალსაჩინო ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა. შტატის დედაქალაქ კოლუმბუსში ორმოცდაათი ათასი კაცი ცხოვრობდა, ამას ზედ ემატებოდა უამრავი ჩამომსვლელი. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ სასტუმროების საქმეს ჯეროვანი ყურადღება სჭირდებოდა. ამ გარემოებას მარჯვედ იყენებდნენ აქაურები, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ქალაქის

მკვიდრნი. ხუთსართულიანი ვეებერთელა შენობა კოლუმბუსის მთავარ მოედანზე იდგა, სადაც შტატის საკანონმდებლო კრება და დიდი მაღაზიები იყო განლაგებული. სასტუმროს ვრცელი შესასვლელი სულ ახლახან მოაპირკეთეს. იატაკსა და თეთრი მარმარილოს კედლებს საგულდაგულოდ წმენდდნენ, ისე რომ, იქაურობას ლაპლაპი გაჰქონდა. მაღლა სართულზე კაკლის ხის მოაჯირებიანი კიბე ადიოდა. საფეხურებზე დაგებულ ფიანდაზს სპილენძის ჩხირები იმაგრებდა. შესასვლელის ერთ კუთხეში თვალსაჩინო ადგილზე ჟურნალ-გაზეთებისა და სიგარების სავაჭრო ჯიხური იდგა. კლერკის ოთახი და სასტუმროს ადმინისტრაციის სამყოფელი კი კიბის ქვეშ მოეთავსებინათ. ყველაფერი ძვირფასი ხით იყო მოპირკეთებული და გაზის ლამპიონებით დამშვენებული, რაც იმ დროს სიახლე გახლდათ. შესასვლელის ბოლოში სადალაქო გაემართათ. ღია კარს იქით სავარძლები და კრიალა საპარსი მოწყობილობა ჩანდა. სასტუმროს წინ ყოველთვის იდგა ორი-სამი ავტობუსი, მატარებლების მიმოსვლის განრიგის მიხედვით რომ მოძრაობდნენ.

ამ სასტუმროში შტატის გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი იდებდნენ ბინას. რამდენიმე გუბერნატორმა ეს სასტუმრო თავიანთ რეზიდენციადაც კი აირჩია. შეერთებული შტატების კონგრესის სენატორები, როდესაც საჭირო საქმეზე კოლუმბუსში ჩამოვიდოდნენ, მხოლოდ ამ სასტუმროს ლუქსში ბინავდებოდნენ. სასტუმროს პატრონი სენატორ ბრენდერს თავის მუდმივ ბინადრად თვლიდა. უკვე ასაკში შესულ ამ უცოლო მამაკაცს კოლუმბუსში სხვა ბინა არც ჰქონდა. სასტუმროს შედარებით ხშირი სტუმრები იყვნენ შტატის კონგრესისა და კრების წევრები, კულუარული პოლიტიკოსები, კომერსანტები, ვეჟილები – ერთი სიტყვით, ვილას არ შეხვდებოდით აქ. მთელი ეს ათასნაირი ჯურის ხალხი გაუთავებლად მიდი-მოდიოდა და სასტუმროსაც კალეიდოსკოპურად ჭრელი, მოუსვენარი, ფუსფუსა ცხოვრება ჰქონდა.

ბედმა დედა-შვილი მოულოდნელად შეაგდო ამ ბრწყინვალე სამყაროში და გვარიანდაც დააფრთხო. ნივთების ხელის შეხებასაც ვერ ბედავდნენ. წითელი ფიანდაზით მოფენილი ფართო შესასვლელი, მათ რომ უნდა დაეღაგებინათ, დიდებულ სასახლედ ეჩვენათ. თვალდახრილები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. როცა ამ მშვენიერი კიბისა და სპილენძის სამაგრების დაგვა-გაწმენდის დროც დადგა, მთელი თავიანთი სიმხნევის მოკრება დასჭირდათ. დედას გაუბედაობა უნდა დაემლია, ხოლო ქალიშვილს – სირცხვილი, ასე სახალხოდ, სხვების თვალწინ რომ უნდა ემუშავათ. სწორედ მათ ქვეშ იყო გაჭიმული ვეებერთელა შესასვლელი და ყველას, ვინც კი იქ ისვენებდა, თამბაქოს აბოლებდა თუ ისე გადი-გამოდიოდა, მათი დანახვა შეეძლო.

– რა ლამაზია აქაურობა, არა? – უჩურჩულა ჯენევიევამ დედას და საკუთარმა ხმამ შეაკრთო.

– ჰო, – ასევე ჩუმად გამოეპასუხა დედა, ჩაჩოქილი მოუხერხებლად რომ წურავდა ჩვარს.

_ ალბათ, რა ძვირი ეღირება აქ ცხოვრება?

_ ალბათ, _ მიუგო დედამ. _ აი, კიბეების გაწმენდა არ დაგავიწყდეს. ხედავ, დაგრჩენია.

შენიშვნით განაწყენებული ჯენი დაუზოგავად შეება საქმეს და თავაუღებლად და გულდასმით წმენდდა ყველაფერს.

ხუთ საათამდე ძალის დაუზოგავად იმუშავეს. გარეთ უკვე ბნელოდა, შემოსასვლელი კი ერთიანად ჩახჩახებდა. კიბის რეცხვა დაამთავრეს, რამდენიმე საფეხურიღა დარჩათ.

უეცრად გაიღო ის ფართო კარი, საიდანაც დროდადრო ცივი ნიავი შემოიჭრებოდა ხოლმე და გამოჩნდა მაღალი, სხვებისაგან სრულიად განსხვავებული შუახნის ჯენტლმენი. თავზე ცილინდრი ეხურა და სამხედრო ყაიდაზე შეკერილი ლაბადა ეცვა. მაშინვე მიხვდებოდით, რომ წარჩინებული პირი იყო. მკაცრნაკვთებიანი შავგვრემანი სახე ჰქონდა, თუმცა ნათელი და სასიამოვნო. მოელვარე თვალებზე ხშირი, შავი წამწამები დაჰფენოდა. კლერკის მაგიდასთან არ შეჩერებულა, ისე აიღო მისთვის უკვე გამზადებული გასაღები და კიბეს შეუყვა. ჩვარმომარჯვებულ, ხანში შესულ ქალს მორიდებით აუარა გვერდი, ისე კი არა, ხელითაც ანიშნა, თითქოს ეუბნებოდა, _ ჩემი გულისთვის ნუ შეწუხდებით, როგორმე გავივლიო.

უეცრად ქალიშვილი წელში გაიმართა და მამაკაცის პირისპირ აღმოჩნდა. უნდა გენახათ მისი შემფოთება, როცა მიხვდა, რომ კაცს გზაზე აღუდგა.

მამაკაცმა ალერსიანად გაუღიმა და თავი დაუკრა.

_ ნუ წუხხართ, არაფერია, _ უთხრა უცნობმა.

ჯენიმ პასუხად მხოლოდ გაუღიმა.

როდესაც რამდენიმე საფეხური აიარა, მამაკაცი უნებურად შემობრუნდა და ქალიშვილს თვალი შეავლო, დარწმუნდა, რომ არ მოსჩვენებია, ქალიშვილი ჭეშმარიტად დიდებული გარეგნობისა იყო. თვალში მოხვდა მაღალი, გადატკეცილი თეთრი შუბლი, შუაზე გაყოფილი, ნაწნავებად გადმოშვებული თმა, ცისფერი თვალები და სახის მშვენიერი ფერი; ეს ყოველივე ერთბაშად აღიქვა. მამაკაცმა ქალიშვილის ტუჩების მოყვანილობაც კი შენიშნა, თითქმის ბავშვური, მოგრძო პირისახე და მოხდენილი ტანი. გოგონა სინორჩის, სიჯანსაღისა და იმედის სრული განსახიერება იყო. ერთი სიტყვით, ყოველივე იმისა, რასაც აგრერიგად აფასებს შუახნის ადამიანი. მერე კვლავ ამაყად განაგრძო გზა, უკან აღარ მოუხედავს, მაგრამ თან გაიყოლა ქალიშვილის მშვენიერი სახე. ეს კაცი გახლდათ ფრიად პატივცემული სენატორი ჯორჯ სილვესტერ ბრენდერი.

_ ხომ ლამაზი მამაკაცი იყო, ახლა რომ ავიდა? _ ჰკითხა ჯენიმ დედას ცოტა ხნის შემდეგ.

_ ჰო, _ დაუდასტურა ქალმა.

_ ოქროს ბუნიკიანი ჯოხი ჰქონდა.

_ ნურავის შეაჩერდები, არ ვარგა, _ დაარიგა დედამ.

– აბა როდის შევაჩერდი, – გულუბრყვილოდ მიუგო ჯენიმ, – თვითონ დამიკრა თავი.

– მაგათი ყურება რა შენი საქმეა, იქნებ, არც სიამოვნებთ, – ისევ დასძინა ქალმა.

ჯენიმ მუშაობა განაგრძო, მაგრამ ამ საოცარი სამყაროს ბრწყინვალეობამ მაინც ჩაითრია მისი გონება. როგორ შეიძლებოდა არ მიექცია ყურადღება მხიარულებისათვის, რომელიც მის ყურთასმენას სწვდებოდა, ირგვლივ გამეფებული სიცილი და ლაპარაკი ერთიან, გაბმულ ბუბუნად მოედინებოდა. პირველი სართულის ერთ მხარეს სასადილო იყო მოთავსებული. ჭურჭლის ხმაურზე მიხვდებოდით, სუფრას სავახშმოდ რომ აწყობდნენ. მეორე მხარეს, სასტუმრო დარბაზში ვიღაც როიალს უკრავდა. ერთი სიტყვით, ყველაფერში იგრძნობოდა ვახშმის მოლოდინისათვის დამახასიათებელი ლაღი და მხიარული განწყობილება. ასეთი უცხო გარემო ღარიბ გოგონას უცოდველ გულს იმედით ავსებდა, სილატაკეს ვერ ჩაეხშო მისი გონების წარმოსახვის უნარი. გოგონა კვლავ მუყაითად წმენდდა და ხეხავდა, მაგრამ იყო წუთები, როცა ავიწყდებოდა მის გვერდით მომუშავე ქანცგამოცლილი დედა, რომლის კეთილ თვალებს ნაოჭები შემოჯარვოდა, ტუჩები კი უხმოდ იმეორებდნენ მის ყოველდღიურ საზრუნავს. ქალიშვილი ახლა იმაზედა ფიქრობდა, რა წარმტაცი იყო ირგვლივ ყველაფერი, გულით ეწადა ცოტაოდენი რამ მასაც რგებოდა წილად.

უფროს მსახურს დედა-შვილი ექვსის ნახევარზე გაახსენდა და, წასვლის დროაო, უთხრა. კიბის დაგვა-დაწმენდა უკვე დამთავრებული ჰქონდათ და შვებით ამოისუნთქეს. მერე ყველაფერი დააბინავეს და საჩქაროდ შინისაკენ გასწიეს. სამუშაოს შოვნით დედა ძალზე კმაყოფილი იყო.

გზად დიდსა და ლამაზ შენობებს ჩაუარეს. ჯენიმ კვლავ ის ბუნდოვანი მღელვარება იგრძნო, სასტუმროში ხილულმა უცნაურმა და ახალმა ამბებმა რომ აღუძრა.

– რა კარგია სიმდიდრე, არა, დედა?

– კარგია, – მიუგო ავადმყოფ ვერონიკაზე ფიქრში წასულმა ქალმა. – ნახე, რა დიდი სასადილო ოთახი იყო?

– ვნახე.

შინ მიმავალთ ახლა უკვე დაბალი, უშნო სახლების მწკრივებიდა ხვდებოდათ. ფეხქვეშ ნემომპალას შარიშური გაჰქონდა.

– ნეტავ მდიდრები ვიყოთ, – თითქმის თავისთვის ჩაიბუტბუტა ჯენიმ.

– აღარ ვიცი, რა ვიღონო, – ამოიოხრა დედამ. – შინ, ალბათ, პურის ნამცეციც აღარ არის.

– მოდი, ერთხელ კიდევ მივიდეთ მისტერ ბაუმენტან, – თანაგრძნობით უთხრა, დედის უიმედო ხმის გაგონებით შეწუხებულმა ჯენიმ.

– ვითომ კიდევ ირწმუნებს ჩვენსას?

– ასე ვუთხრათ, სამუშაო ვიშოვეთ-თქო. თუ გინდა, მე ვეტყვი. – კარგი, – დაეთანხმა დედა.

დედა-შვილი სახლიდან ორი კვარტალით დაშორებულ, სუსტად განათებულ საბაყლოში მორიდებით შევიდა. ის იყო, მისის გერჰარდტს უნდა დაეწყო, რომ ჯენიმ დაასწრო:

– თუ შეიძლება, პური და ცოტაოდენი შაშხი მოგვეცით. კიდეც ჩვენ «კოლუმბუს ჰაუზში» დავიწყეთ მუშაობა და ვალს შაბათისათვის აუცილებლად გადაგიხდით.

– მართალს მოგახსენებს, – დაემოწმა მისის გერჰარდტი. – ახლა უკვე ვმუშაობთ.

ბაუმენმა იგრძნო, სიმართლეს რომ ამბობდნენ. ვიდრე ოჯახს ეს უბედურება და ავადმყოფობა დაატყდებოდა თავს, სულ ბაუმენის მუშტრები იყვნენ.

– რამდენი ხანია მუშაობთ? – შეეკითხა

იგი. – დღეს პირველი დღეა.

– თქვენ ხომ მიცნობთ, მისის გერჰარდტი, – წარმოთქვა ბაუმენმა, – უარის თქმა სულაც არ მინდა. მჯერა, მისტერ გერჰარდტი სანდო კაცია, მაგრამ, რა ვქნა, მეც მიჭირს, ძალიან მძიმე დრო დაგვიდგა, მეც ოჯახი მაქვს.

– ვიცი, მესმის, – უმწეოდ დაუკრა კვერი ქალმა, ძველ შალში შრომისაგან გაუხეშებულ, დაწითლებულ ხელებს რომ მალავდა და ნერვულად ისრესდა. ხმაგაკმენდილი ჯენი დედას გვერდით ედგა.

– კარგი, – თქვა ბოლოს ბაუმენმა. – ამ ერთხელ კიდეც მოგცემთ ნისიად, შაბათს კი, რამდენსაც შეძლებთ, გადამიხადეთ.

მერე პური და შაშხი შეახვია, ჯენის გაუწოდა და დამცინავი ღიმილით უთხრა: – როცა ფული გაგიჩნდებათ, მაშინ, ალბათ, სხვისგან იყიდით?

– არა, რატომ, – შეეკამათა მისის გერჰარდტი, – თქვენც კარგად იცით, რომ ასე არ ვიზამთ. – მთელი დღის შრომით გაწამებულს დიდი ახსნა-განმარტების თავი აღარ ჰქონდა.

დედა-შვილმა კუთხეში ჩაუხვია და ბნელ ქუჩას დაადგნენ. გზაზე კოტეჯებს ჩაუარეს და მალე თავიანთ სახლს მიაღწიეს.

– ნეტავ, ბავშვებმა ქვანახშირი თუ მოიტანეს? – თქვა ილაჯგამოცლილმა დედამ, კარს რომ მიუახლოვდნენ.

– მაგაზე ნუ წუხხარ, – უთხრა ჯენიმ. – თუ იმათ არ მოუტანიათ, მე მოვიტან.

დედამ მისალმებაც ვერ მოასწრო, რომ ჯორჯმა მაშინვე სხაპასხუპით მიაყარა: – ვილაც კაცმა გამოგვრეკა, მაგრამ ცოტა ნახშირი მაინც მოვიტანე. ვაგონზე ავძვერი და გადმოვყარე.

ჯორჯის ნაამბობმა დედას ღიმილი მოჰგვარა, ჯენის კი ხმამაღლა გაეცინა. – ვერონიკა როგორ არის? – იკითხა დედამ.

– თითქოს ჩაეძინა, – უპასუხა მამამ. – ხუთ საათზე წამალიც მივეცი.

ღარიბული ვახშმის მომზადების შემდეგ დედა ავადმყოფ ბავშვთან მივიდა, ლოგინთან ჩამოუჯდა და ღამის გასათევად სიმხნევე მოიკრიბა.

ვახშამზე სებასტიანმა საქმიანი წინადადება წამოაყენა. მას ყველა დაეთანხმა, როგორც ცხოვრებისეულ საქმეებში საკმაოდ ჩახედულს. იგი ვაგონშემკეთებელ სახელოსნოში ქარგლად მუშაობდა, დიდი სწავლა-განათლება არ მიუღია, ლუთერანული დოგმების გარდა არა უსწავლია რა, სამაგიეროდ, ამერიკული ენერჯიტა და შრომისმოყვარეობით სავსე ახალგაზრდა იყო. მეტსახელი «ბასი» სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო და კიდევაც იფერებდა. მაღალი, ათლეტური აგებულებისა და, თავის წლებთან შედარებით, ღონიერი, ნამდვილი ქალაქელი დარდიმანდი გახლდათ. ცხოვრების თავისებური ფილოსოფია ჰქონდა გამომუშავებული: _ თუ რამის მიღწევა გსურს, დოკლაპიასავით პირი კი არ უნდა დაალო, ხელი უნდა გაანძრიო. ამისათვის საჭიროა დაუახლოვდე, ანდა სულაც ხალხს მოაჩვენო, რომ დაახლოებული ხარ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მათთან ურთიერთობა გაქვს.

აი, ამიტომ დახეტიალებდა ბასი «კოლუმბუს ჰაუზში». მისი აზრით, სწორედ ეს სასტუმრო იყო ცენტრი ძლიერთა ამა ქვეყნისათა. როცა ფული დააგროვა და ხეირიანი კოსტიუმი იყიდა, საღამოობით სასტუმროს კარს აღარ მოშორებია, ნაცნობ-მეგობრებთან იდგა და ქუსლების ბაკუნით იმ სიგარას აბოლებდა, წყვილი ხუთი ცენტი რომ ღირდა, თან თავისი გარეგნობით თავმოწონებული ქალიშვილებს აჩერდებოდა. მასთან ერთად ნახავდით ქალაქის იმ ფრანტებსა და უსაქმურებს, სასტუმროში პირის გასაპარსად, ან სულაც ჭიქა ვისკის გადასაკრავად რომ მოდიოდნენ. ბასს ეს ყველაფერი მოსწონდა და ცდილობდა, მათთვის მიეზამა. იქ ადამიანებს მხოლოდ ჩაცმით აფასებდნენ. თუ ვინმეს ლამაზად ეცვა, თითებზე ბეჭდები ჰქონდა ჩამოცმული და ძვირფასი ქინძისთავი ეკეთა _ ეპატიებოდა ყველაფერი _ ავიც და კარგიც. ბასიც მათ ყაიდაზე იქცეოდა, მათ ჰზამავდა. ამგვარად უგროვდებოდა ბასს უმიზნო და შარახვეტია ცხოვრების გამოცდილება.

_ არა სჯობია, სასტუმროს კლიენტებს სარეცხი გაურეცხო, ვიდრე კიბეები ხეხო? _ უთხრა ძმამ ჯენის, როცა იმდღევანდელი ამბავი გაიგო.

_ მერე, როგორ მოვახერხო? _ ჰკითხა

ჯენიმ. _ როგორ და კლერკთან მიდი.

ჯენის ძმის რჩევა ჰკუაში დაუჯდა.

_ მხოლოდ, იცოდე, სასტუმროსთან რომ დამინახო, არ გამომელაპარაკო, _ გააფრთხილა ძმამ, როცა მარტონი დარჩნენ. _ თავი ისე დაიჭირე, ვითომ არ მიცნობ.

_ რატომ? _ გულუბრყვილოდ ჰკითხა ჯენიმ.

_ კარგად მოგეხსენება, რატომაც, _ უპასუხა ბასმა და მერე მაინც აუხსნა: _ ყველას საცოდავი შესახედაობა გაქვთ და არ მინდა, ვინმემ გაიგოს, რომ ასეთი გაუბედურებული შინაურები მყავს. თუ შემხვდი, გვერდი ამიარე, გესმის?

_ გასაგებია, _ მორჩილად დაეთანხმა ჯენი.

თუმცა ბასი მხოლოდ ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ ჯენი ყველაფერს უჯერებდა.

მეორე დღეს, სასტუმროში რომ მიდიოდნენ, ჯენიმ ძმის ნათქვამი დედას გადასცა:

– ბასმა მითხრა, სასტუმროში ჩამოსულებს თეთრეული გაურეცხე, ეს აჯობებსო.

ქალს ძალიან მოეწონა ვაჟიშვილის აზრი, მთელი ღამე მტანჯველ ფიქრებში გაატარა, სად და როგორ ეშოვა ფული. კიბის წმენდა-ხეხვაში აღებული სამი დოლარი აბა რას ეყოფოდათ.

– კარგი აზრია, – მოუწონა დედამ, – უსათუოდ შევეკითხები კლერკს.

იმ დღეს გვიანობამდე იმუშავეს. საღამო ხანს უფროსმა მსახურმა დედა-შვილს სწორედ კლერკის მაგიდის წინ იატაკის მორეცხვა დაავალა. ასე მიეცათ საშუალება, კლერკთან დალაპარაკებისა. აშკარა იყო, ცხოვრებისაგან განაწამები ქალი და ლამაზი ქალიშვილი ძალიან ებრალებოდა. კლერკმა მოწყალე სახით მოისმინა მისის გერჰარდტის მოკრძალებული შეკითხვა, მთელი დღე ქალს ტვინს რომ უღრღნიდა.

– კლიენტებიდან ხომ არავინ გეგულებათ ისეთი, თეთრეული რომ გამარეცხვინოს? დიდად მადლობელი დაგრჩებოდით.

კლერკმა შეხედა ქალს და მის ტანჯულ სახეზე კვლავ მუდარა ამოიკითხა.

– ვნახოთ, – უპასუხა კლერკმა და ფიქრით სენატორ ბრენდერსა და გენერალ ჰოპკინსს გადასწვდა. ეს გულისხმიერი ადამიანები გაჭირვებული ქალის დახმარებაზე უარს არ იტყოდნენ.

– აბა, სენატორ ბრენდერს მიაკითხეთ, ოცდამეორე ნომერში. აი, ინებეთ, – და ქალაღზე ნომერი დაუწერა. – ადით და უთხარით, რომ მე გაგაგზავნეთ.

მისის გერჰარდტმა აკანკალებული ხელით გამოართვა ქალაღი. თვალეტი მადლიერებით ჰქონდა სავსე, სიტყვის თქმა კი ვერ მოახერხა, კრიჭა შეკვროდა.

– არაფერია, არაფერი, – უთხრა კლერკმა, როცა მისი მღელვარება შეამჩნია, – ახლავე ადით, ნამდვილად ვიცი, რომ თავის ოთახშია.

მისის გერჰარდტმა გაუბედავად დააკაკუნა ოცდაორი ნომრის კარზე. გატრუნული ჯენი გვერდით ედგა.

კარი მალე გაიღო და გაჩახჩახებული ოთახის ზღურბლზე სენატორი გამოჩნდა. მოხდენილ სმოკინგში გამოწყობილი ახლა უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ვიდრე პირველი შეხვედრისას.

– რითი შემძლია გემსახუროთ, ქალბატონო? – სენატორმა ქალები დანახვისთანავე იცნო.

დედა ძლიერ დაიბნა და პასუხი მაშინვე ვერ მოახერხა. –

გვინდოდა გაგვეგო, გასარეცხი ხომ არაფერი გაქვთ?

– გასარეცხი? – გაიმეორა სენატორმა საოცრად მჟღერი ხმით. – თეთრეული, არა? შემობრძანდით და ვნახავ.

მერე ზრდილობიანად გადგა განზე, წინ დედა-შვილი შეუშვა და კარი მიხურა.

– ახლავე ვნახავ, – იმეორებდა და კაკლის ხის დიდი კარადის უჯრებს ხან შესწევდა და ხან გამოსწევდა. ჯენი ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდა

იქაურობას. გოგონას ჯერ არ ენახა ამდენი სამშვენიისი, ამდენი ლამაზი ნივთი, რაც ამ ბუხარსა და ტუალეტის მაგიდაზე ეწყო. იატაკზე სქელი ფუმფულა ხალიჩა ევინა, აქა-იქ რამდენიმე ფიანდაზიც ეგო. ყველაფერს სიმდიდრის და ფუფუნების დალი აჩნდა.

– აი, სკამები, დაბრძანდით, – თავაზიანად მიმართა სენატორმა და თვითონ საკუჭნაოში გავიდა.

დამფრთხალი დედა-შვილი მეტისმეტი მოკრძალების ნიშნად კვლავ ფეხზე იდგა. ძებნას რომ მორჩა, სენატორმა თხოვნა გაუმეორა. შემკრთალი ქალები უხერხულად დასხდნენ.

– თქვენი ქალიშვილია? – შეეკითხა მისის გერჰარდტს და ჯენის გაუღიმა. – დიახ, სერ, – უპასუხა დედამ. – ჩემი უფროსი ქალიშვილია.

– ქმარი ცოცხალი გყავთ? რა გვარი ხართ? სად ცხოვრობთ?

მისის გერჰარდტი მოკრძალებით პასუხობდა.

– რამდენი შვილი გყავთ? – ისევ დაუსვა კითხვა სენატორმა.

– ექვსი, – მიუგო ქალმა.

– საკმაოდ დიდი ოჯახი გქონიათ, ქვეყნისა და ერის წინაშე ვალი მოგიხდიათ.

– დიახ, სერ, – უპასუხა მამაკაცის ლმობიერი და ფაქიზი ქცევით მოხიბლულმა ქალმა.

– მაშ ეს თქვენი უფროსი ქალიშვილია, არა?

– დიახ, სერ.

– თქვენი ქმარი რას აკეთებს?

– ხელობით მინამბერია. ამჟამად ავად არის.

ჯენი ცნობისმოყვარეობით უსმენდა და ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით გაკვირვებული იცქირებოდა. სენატორი ხედავდა ქალიშვილის გულდია, წრფელ გამოხედვას, მის მშვენიერ ღიმილს და თვალს ვედარ წყვეტდა.

– ავადმყოფობა ფრიად სამწუხარო ამბავია, – თანაგრძნობით წარმოთქვა სენატორმა. – აქ ცოტაოდენი თეთრეული დაგროვილა და წაიღეთ, იქითა კვირას, ალბათ, უფრო მეტი იქნება.

თეთრეული ლამაზად მოქარგულ ლურჯ ტომსიკაში ჩააწყო.

– როდის მოგიტანოთ? – ჰკითხა მისის გერჰარდტმა.

– როცა გენებოთ, – უპასუხა მან. – იქითა კვირას, ანდა, სულ ერთია, როცა გინდათ.

ქალმა მორიდებით გადაუხადა მადლობა და წასასვლელად მოემზადა.

– იცით, რას გეტყვით, – წარმოთქვა სენატორმა და კარის გასაღებად გაემართა – ორშაბათს მომიტანეთ.

– კეთილი, სერ, – უთხრა მისის გერჰარდტმა – გმადლობთ.

ქალები რომ წავიდნენ, სენატორმა კითხვა განაგრძო, მაგრამ რაღაც გამოუცნობ დაბნეულობას მოეცვა მისი გონება.

_ სამწუხაროა, _ ჩაილაპარაკა და წიგნი დახურა. _ რაღაც არის ძლიერ ამაღელვებელი ამ ადამიანებში.

ჯენის აღტაცებითა და განცვიფრებით აღსავსე სახება კვლავ მის ოთახში ტრიალებდა.

მისი გერჰარდტი და ჯენი ბნელ ქუჩებში მიაბიჯებდნენ, ამ მოულოდნელი წარმატებით ერთგვარ სიმხნევეს გრძნობდნენ.

_ რა მშვენიერი ოთახი აქვს, ხომ მართალია? _ წაიჩურჩულა ჯენიმ. _ ჰო, _ მიუგო დედამ. _ შესანიშნავი ადამიანია.

_ სენატორია, არა? _ ჰო.

_ ალბათ, რა სასიამოვნოა დიდკაცობა, _ კვლავ ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა გოგონამ.

მეორე თავი

რა შეიძლება ითქვას ჯენის სულიერ სამყაროზე? ეს ღარიბი გოგონა უსახსრობის გამო დედასთან ერთად კოლუმბუსის გამორჩეულ მოქალაქეს თეთრეულს რომ ურეცხავდა, არაჩვეულებრივად სათნო და თვინიერი ხასიათისა იყო. ძნელია ამ მშვენიერი არსების აღწერა, სიტყვებით გადმოცემა. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ თავისებური ადამიანები, რომელთაც არ იციან, ამქვეყნად რისთვის მოვიდნენ და ამ სამყაროსაც ასევე შეუცნობლად ტოვებენ. მათი აზრით, ცხოვრება უსაზღვრო სილამაზის ნამდვილ საოცრებას წარმოადგენს. რომ შეეძლოთ ქვეყნიერების შემოვლა, წუთისოფელს მხოლოდ სამოთხედ აღიქვამდნენ. ისინი მარტო სრულყოფილ ქვეყანას, მათთვის სასიამოვნო სამყაროს ხედავენ: ხეებს, ყვავილებს, ბგერათა და ფერთა უსასრულობას. ეს არის მათი უძვირფასესი მემკვიდრეობა, ყველაზე დიდი სიმდიდრე. და თუ მათ არავინ შეაჩერებს, არავინ ეტყვის «ეს ჩემიაო», ბედნიერებისაგან გაბრწყინებულნი დაუსრულებლად იხეტიალებენ ამ მიწაზე იმ სიმღერით, რომელსაც ოდესღაც მთელი კაცობრიობა გაიგონებს; ეს არის სათნოების, სიკეთის სიმღერა.

მაგრამ რეალურ სამყაროში მომწყვდეული ასეთი ადამიანები თითქმის ყოველთვის უცხონი რჩებიან. ვერ ეგუებიან ირგვლივ არსებულ ვითარებას. ამპარტავანი და ხარბი ქვეყანა აღმაცერად უყურებს იდეალისტ მეოცნებეს. ასეთ ადამიანს ცაში მოსრიალე ღრუბლების ცქერას სიზარმაცეში ჩამოართმევენ. თუ ყური მიუგდო ქარის ქროლას, რომელიც მის გულს ახარებს, დროს იხელთებენ და მისი ქონების დასაპატრონებლად დაფაცურდებიან. თუ ეგრეთ წოდებული უსულო სამყარო, მეოცნებეს რომ გონიერადაც მიაჩნია და გასულიერებულადაც, თავისი ნაზი და მომხიბვლელი ხმებით მოხიბლავს, მაშინ მეოცნებეს სტიქია იმსხვერპლებს. _ დიახ, რეალური სამყარო ყოველთვის ეპოტინება თავისი ხარბი თათებით ასეთ ადამიანებს, _

თავისკენ ითრევს და იმორჩილებს. ასეთი სულის გახლდათ თვითონ ჯენიც. მისი ყოველი ნაბიჯი ბავშვობიდანვე სიკეთითა და სინაზით იყო აღსავსე. როცა სებასტიანი წაიქცეოდა და რაიმეს დაიშავებდა, ჯენი მზად იყო როგორმე დაეძლია საკუთარი შეშფოთება და ძმას ადგომაში მოხმარებოდა. სებასტიანი რომ დაიწუწუნებდა, მშიაო, ჯენი თავის წილ პურს მისცემდა. ოცნებაში წასული საათობით უჯდა თავის და-ძმებს და სათუთად უძღეროდა ნანას. ფეხის ადგმისთანავე დედის მარჯვენა ხელი გახდა: რეცხავდა, ალაგებდა, საჭმელს აკეთებდა, მაღაზიებში გარბოდა და ბავშვებს უვლიდა. ჯერ არავის ახსოვს მისი ჩივილი და წუწუნი, თუმცა რამდენჯერ დაფიქრებულა თავის მწარე ხვედრზე, იცოდა, რომ მისი ტოლი გოგონები უფრო თავისუფლად და მხიარულად ცხოვრობდნენ, მაგრამ სულაც არ შურდა მათი ბედი. იდუმალად ნაღვლობდა, მაგრამ მაინც მღეროდა. კარგ ამინდში სამზარეულოს ფანჯრიდან მზირალს რამდენჯერ მონდომებია მინდორ-ველად განავარდება. ბუნების სიმშვენიერე, მისი ხატოვანება და შუქ-ჩრდილები ისე აღელვებდა, როგორც თვით სიმღერა. ხანდახან ბავშვებსაც გაატარებდა ხოლმე თხილნარში, ჩრდილიან მყუდრო ადგილებში, სადაც ანკარა წყარო მოჩუბჩუბებდა, ხოლო იქით ფართო ველები იყო გადაჭიმული: პოეტურად არ შეეძლო გამოეთქვა ის, რასაც გრძნობდა, მაგრამ მისი სული ცხოვლად ეხმაურებოდა მთელ ამ სილამაზეს. ახარებდა ყოველი ბგერის გაგონება, ქარის ქროლვა, ტკბებოდა, როცა შორიდან ესმოდა ტყის გვრიტების _ ზაფხულის ამ ნაზი სულების ხმადაბალი ღულუნი. ჯენი თავს გვერდზე გადახრიდა და ყურს უგდებდა ამ საამო ბგერებს, ვერცხლის წვეთებივით რომ ხვდებოდნენ მის გულს. ჯენი აღტაცებით მისჩერებოდა მცხუნვარე მზით გაჩახჩახებულ ადგილებს, ბალახებზე გაწოლილ ნაირნაირი ფორმის ჩრდილებს. შუქ-ჩრდილის თამაშით მოხიბლულს გული იქით მიუწევდა, სადაც მზის სხივები უფრო მეტად კაშკაშებდნენ და მოჯადოებული შედიოდნენ ტევრის შუაგულში.

ჯენი გრძნობდა ფერთა მთელ მშვენიერებას. მის გულს უზომო სიხარულით ავსებდა და ალაფროვანებდა დაისის სხივებით მოფენილი ზეცის უჩვეულო ელვარება.

_ საინტერესოა, რა შეგრძნება გექნება ადამიანს, იმ ღრუბლებთან ერთად რომ გაცურო? _ იკითხა ერთხელ ბავშვური გულუბრყვილობით.

ერთ დღეს თვით ბუნებისაგან დაწნულ უსურვაზის საქანელას წააწყდა და მართასა და ჯორჯთან ერთად ქანაობით გული იჯერა.

_ მართლა, რა კარგი იქნებოდა, ასეთი ნავი რომ მოგვცა, _ თქვა ჯორჯმა.

ჯენი თვალეზაპყრობილი შესცქეროდა შორს, ცაზე მოსრიალე ღრუბელს, ვერცხლის ზღვაში შეცურებულ წითლად აელვარებულ კუნძულს რომ ჰგავდა.

_ ოჰ, რა კარგი იქნებოდა ხალხიც რომ ამგვარ კუნძულზე ცხოვრობდეს, _ წარმოთქვა ჯენიმ.

გოგონა ოცნებით უკვე იქ იყო და მსუბუქად დანავარდობდა საჰაერო ბილიკებზე.

_ ხედავ, ფუტკარი დაფრინავს? _ უთხრა ჯორჯმა და მოზუზუნე მწერი დაანახვა.

_ ჰო, _ გამოეპასუხა ფიქრებში წასული ჯენი. _ შინ მიეჩქარება.

_ ყველას აქვს სახლი? _ იკითხა მართამ.

_ თითქმის ყველას, _ მიუგო ჯენიმ.

_ ფრინველებსაც? _ დაინტერესდა ჯორჯი.

_ მაშ, _ უპასუხა ჯენიმ და თან მთელი არსებით შეიგრძნო ამ აზრის პოეზია, _ ფრინველებსაც აქვთ თავიანთი სახლი.

_ ფუტკრებსაც? _ არ ეშვებოდა მართა.

_ რა თქმა უნდა, ფუტკრებსაც.

_ ძაღლებსაც? _ ჰკითხა ჯორჯმა, როცა გზაზე ძაღლს მოჰკრა თვალი.

_ ძაღლებსაც, აბა რა, _ მიუგო ჯენიმ. _ განა არ იცი, რომ ძაღლებსაც სახლი აქვთ?

_ კოლოებსაც? _ ჩააცივდა ბიჭი და თან კოლოების გუნდს გასცქეროდა, ბინდებულში რომ ირეოდნენ.

_ ჰო, _ მიუგო ჯენიმ, თუმცა თვითონაც მთლად დარწმუნებული არ იყო.

_ ბიჭოს, _ ურწმუნოდ წამოიძახა ჯორჯმა. _ ნეტავ მაჩვენა, რანაირი სახლი აქვთ?

_ უსმინეთ, _ წყნარად თქვა ჯენიმ და თითი ძაღლს ასწია. დგებოდა მშვიდი საათი, როდესაც მწუხრის ზარი ლოცვასავით გაისმის დაბინდებისას. მანძილით შესუსტებული ხმები მშვიდად ეფინებოდა საღამოს მყუდროებას. ბუნებაც მიყუჩდა, გეგონებოდათ, ჯენისთან ერთად ამ ხმებს ყურს უგდებდნენ.

იქვე, ახლოს, ბალახში გულწითელა მეჟოლია დახტოდა, ფუტკარი ბზუოდა, დროდადრო ზანზალაკი წკრიალებდა. ტოტების საეჭვო ლაწუნნი კაკლისკენ ძაღვით მიმავალი ციყვის არსებობას მიანიშნებდა. ჯენის ზეაწეული ხელის ჩამოშვება დაავიწყდა. უსმენდა, ვიდრე ზარის ხმა არ მიყუჩდა, ვიდრე გული სასიამოვნო გრძნობით არ აღევსო. იგი მხოლოდ მერე წამოდგა.

_ ოჰ! _ აღმოხდა პოეტური აღმაფრენით გათანგულ გოგონას და ხელები ერთმანეთს გადააჭდო. თვალეში უბიწოების ცრემლი ედგა. გრძნობების ამშლელი მისი თვალწარმტაცი ზღვა ნაპირს აწყდებოდა.

აი, როგორი სული ჰქონდა ჯენის.

მესამე თავი

სენატორი ჯორჯ სილვესტერ ბრენდერი თავისებური ყაიდის კაცი გახლდათ. პოლიტიკოსის მოქნილობასა და ხალხის ჭეშმარიტ გულშემატკივრობას ერთად დაედო ბინა მის სულში. სამხრეთ ოჰაიოს შტატში დაბადებულმა განათლებაც იქვე მიიღო, თუ არ ჩავთვლით იმ ორ წელიწადს, როცა იგი კოლუმბიის უნივერსიტეტში სამართლისმცოდნეობას სწავლობდა.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები თავისი შტატის მცხოვრებლებზე ნაკლებ როდი იცოდა, ისე რომ, გულმოდგინედ შესწავლაზე თავი არ აუტკივებია, დიდად არ უზრუნია, წარჩინებული იურისტი გამხდარიყო. ბრენდერი ფულს საკმაოდ შოულობდა, ბევრჯერ ჰქონია დიდძალი ფულის ალების მარჯვე შემთხვევა. რა თქმა უნდა, თუ სინდისს უღალატებდა, მაგრამ იგი ამ გზის წინააღმდეგი იყო, თუმცა, მიუხედავად მთელი თავისი პატიოსნებისა, ზოგჯერ ნაცნობ-მეგობრების თხოვნას გვერდს მაინც ვერ უვლიდა. სულ ახლახან, პრეზიდენტის არჩევნებზე მან ისეთ პიროვნებას დაუჭირა მხარი, რომელსაც მთავრობის მეთაურისათვის შესაფერი თვისებები არ გააჩნდა. დიახ, ეს კარგად იცოდა თვითონ ბრენდერმაც.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ სახელმწიფო თანამდებობები რამდენჯერმე საეჭვო პირებს უბოძა, ხოლო ორ-სამჯერ აშკარად უპატიოსნო ადამიანებს დაუჭირა მხარი. როცა სინდისს ქენჯნას გრძნობდა, თავს ამ გამოთქმით იმშვიდებდა: «ცხოვრებაში რაღა არ ხდება». ხშირად უსიამოვნო ფიქრებში წასული მარტოდმარტო კარგა ხანს იჯდა სავარძელში, ბოლოს დამნაშავის ღიმილით წამოდგებოდა და კვლავ იმ სიტყვებს იმეორებდა. სინდისი არ ცხრებოდა და ყველაფერს მგრძნობიარედ ეხმიანებოდა.

ეს ადამიანი, რომელიც ოლქიდან სამჯერ იყო კონგრესში არჩეული (ამ ოლქში კოლუმბუსიც შედიოდა), და ორჯერ შეერთებული შტატების სენატორის პოსტი ეჭირა, უცოლო გახლდათ. ყმაწვილკაცობაში ერთი ქალი უყვარდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს სიყვარული ქორწინებით ვერ დააგვირგვინა, თუმცა თვითონ ამ საქმეში უდანაშაულო იყო. მისი გულის ტრფიალს არ დაუცდია, ბრენდერს კი მაშინ ცოლისა და ოჯახის რჩენის საშუალება არა ჰქონია.

ამ მაღალი, ჩასხმული, ბეჭებგანიერი მამაკაცის დანახვაზე პატივისცემით განიშლქვალეზობოდი. ბრენდერმა ბევრ მარცხს გაუძლო, ბედის სიმუხთლეც იგემა. მისი ცოცხალი წარმოსახვის უნარი სიმპათიას იწვევდა ხალხში. ბრენდერის კოლეგები სენატში ამბობდნენ, დიდი გონების პატრონი არ არის, მაგრამ კაიკაცობის მაღლით სავსეაო.

ახლა იგი კოლუმბუსში თავისი შერყეული პოლიტიკური პრესტიჟის განსამტკიცებლად იყო ჩამოსული. კონგრესის ბოლო არჩევნებზე მის პარტიას ბედმა უმტყუნა. თვითონ ბრენდერს კარგადალი ხმა შეუგროვდა და, ადვილი შესაძლებელი იყო, ისევ აერჩიათ, მაგრამ უფრო მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური გამჭირახობა და მოქნილობა სჭირდებოდა. პატივმოყვარე ადამიანებზე მეტი რა იყო. ყოველი მათგანი სიამოვნებით მოეჭიდებოდა მის ადგილს. ბრენდერმა კარგად იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ისიც უწყოდა, მოწინააღმდეგეები ასე ადვილად რომ ვერ დაჯახნიდნენ. კიდევ რომ დაეძლიათ, პრეზიდენტი უთუოდ საზღვარგარეთ რაიმე დიპლომატიურ პოსტს შესთავაზებდა.

დიახ, მან წარმატებას მიაღწია, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა ცხოვრებაში. ორმოცდათორმეტი წლის მამაკაცს ბევრი რამ ისევ

მოუგვარებელი ჰქონდა. პატივსაცემი, გამოჩენილი პიროვნება გახლდათ, მაგრამ ეულად დარჩენილი. უნებურად გაუელვებდა ხოლმე აზრი, რომ ამქვეყნად არავინ იყო, ვისთვისაც იგი ძვირფასი იქნებოდა. ზოგჯერ საკუთარი ოთახი საოცრად ცარიელი ეჩვენებოდა და თავიც კი სძაგდა. ორმოცდაათი წლისა ვარ და ასე კენტად დარჩენილი, _ ფიქრობდა ხოლმე ხშირად.

იმ შაბათ საღამოს ოთახში მარტო იჯდა. კარზე კაკუნმა წამოაყენა. დაღონებული სწორედ იმაზე ფიქრობდა, რა ამოა წუთისოფელი, მისი მაცდუნებელი დიდება და რა ფუჟია ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობაო.

«როგორ ვჯახირობთ, ვწვალობთ იმისათვის, რომ ადამიანმა რაღაც მდგომარეობა მოიპოვოს, _ ფიქრობდა ბრენდერი. _ გავა რამდენიმე წელი და მთელი ჩემი ეს ჭაპანწყვეტით მონაგარი ჩალად ეღირება».

წამოდგა, კარი ფართოდ გააღო და იქვე მდგარი ჯენი დაინახა. გოგონას დედა დაეჯერებინა, სენატორს სარეცხს ორშაბათამდე მივუტან და მუშაობის სისწრაფით გავაკვირებო.

_ მობრძანდით! _ შეიპატიჟა სენატორმა და როგორც პირველი შეხვედრისას, ახლაც სტუმარს თავაზიანად დაუთმო გზა.

ჯენი ოთახში შევიდა და მუყაითი მუშაობის შექების მოლოდინში გაინახა, მაგრამ ეს მასპინძელს არც კი შეუმჩნევია.

_ აბა, ჩემო კარგო, _ მიმართა მან, როცა ჯენიმ ბოხჩა დადო, _ როგორ ბრძანდებით?

_ ძალიან კარგად, _ მიუგო ჯენიმ. _ მე და დედამ გადავწყვიტეთ, ორშაბათის ნაცვლად სარეცხი დღეს მოგვეტანა.

_ ამას არა აქვს მნიშვნელობა, ჩემთვის სულ ერთია. ეგ ბოხჩა სკამზე დადეთ.

ჯენი არც კი დაფიქრებულა, რომ შრომის საზღაური ჯერ არ მიეღო და მაშინვე დააპირა წასვლა, მაგრამ სენატორმა შეაჩერა.

_ როგორ არის დედათქვენი? _ ალერსიანად ჰკითხა მან. _ კარგად, _ უბრალოდ მიუგო ჯენიმ.

_ პატარა დაიკო როგორაა, ცოტა მოიკეთა?

_ ექიმმა თქვა, ახლა არა უშავსო, _ უპასუხა გოგონამ.

_ დაბრძანდით, _ მოხდენილი თავაზიანობით განაგრძო სენატორმა, _ ცოტა ვისაუბროთ. _ ქალიშვილი იქვე სკამზე ჩამოჯდა.

ბრენდერმა ოდნავ ჩაახველა და კვლავ ჰკითხა:

_ მაინც რა სჭირს, რა აწუხებს?

_ წითელა დაემართა, ერთხანს ისე მძიმედ იყო, გვეგონა ვეღარ მორჩებოდა.

ბრენდერი სახეში ჩააცქერდა ქალიშვილს, სახეში, რომელიც ფრიად მეტყველი ეჩვენა. ამ ღარიბულად ჩაცმულ გოგონას აღტაცებას ჰგვრიდა ბრენდერის ესოდენ მაღალი მდგომარეობა. ბრენდერს კი სირცხვილის გრძნობა აღუძრა საკუთარმა სიმდიდრემ და ფუფუნებამ. მართლაც რომ ცხოვრებამ საკმაოდ მაღლა აისროლა იგი.

_ მესიამოვნა, უკეთ რომ ყოფილა, _ მზრუნველი კილოთი უთხრა მან. _ მამათქვენი რა ხნისაა?

_ ორმოცდაჩვიდმეტისა.

_ მომჯობინდა?

_ დიახ, სერ, ხანდახან დგება, თუმცა გარეთ გასვლა ჯერ არ შეუძლია.

_ როგორც მახსოვს, დედათქვენმა თქვა, ხელობით მინამბერიანო.

_ დიახ, სერ.

ბრენდერმა კარგად იცოდა, რომ აქაური შუშის წარმოება კრიზისს განიცდიდა. ეს გახლდათ უკანასკნელი პოლიტიკური კომპანიის ერთ-ერთი შედეგი. გერჰარდტების ოჯახს, ალბათ, მართლა ძალიან უჭირს.

_ თქვენი და-ძმანი სკოლაში დადიან? _ დაინტერესდა ბრენდერი.

_ დ-დიახ, სერ, _ ენის ბორძიკით დაეთანხმა ჯენი. რცხვენოდა გამხელა, ფეხსაცმლის უქონლობის გამო ერთმა ძმამ სკოლა რომ მიატოვა. თანაც სინდისი ქენჯნიდა, ტყუილის თქმა რომ დასჭირდა.

ბრენდერი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე რაკი ქალიშვილის დაყოვნების სხვა მიზეზი არა ჰქონდა, ჯიბიდან რამდენიმე ბანკნოტი ამოიღო და ერთი ჯენის გაუწოდა.

_ აიღეთ და დედათქვენს გადაეცით, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს.

ჯენიმ ანგარიშმიუცემლად გამოართვა ფული, არც კი უფიქრია დაეხედა, რამდენი იყო, დიდკაცთან სიახლოვემ, ბრწყინვალედ მორთულმა ოთახმა გოგონას თავგზა აურია, აღარ იცოდა, რა ექნა.

_ გმადლობთ, _ ძლივს მოახერხა ჯენიმ. _ დაგვინიშნავთ დღეს, როდის მოვიდეთ თეთრეულის წასაღებად?

_ რა თქმა უნდა, ორშაბათობით მოდით ხოლმე. ორშაბათ საღამოს.

ჯენი გავიდა და ჩაფიქრებულმა ბრენდერმა კარი დაკეტა. ამ ადამიანების მიმართ რაღაც უცნაური ინტერესი აღეძრა. ეს იყო სილამაზისა და სილატაკის ისეთი საოცარი შეხამება, რომლის ხილვისას გულგრილი ვერ დარჩებოდი. ბრენდერი სავარძელში ჩაეშვა და ჯენის მისვლით ნასიამოვნებმა თავი ტკბილ ოცნებებს მისცა. ვითომდა რატომ არ უნდა დახმარებოდა ამ ოჯახს?

_ ერთი უნდა გავიგო, სად ცხოვრობენ, _ გადაწყვიტა მან.

ამის შემდეგ ჯენი გამუდმებით დადიოდა თეთრეულის წასაღებად და სენატორიც მისდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ჯენის მორცხვობა იმით დასძლია, რომ ქალიშვილს მესამე მისვლაზე სახელი დაუძახა და შემდეგ სულ ასე მიმართავდა. ვერ ვიტყვით, რომ ეს მამობრივი მზრუნველობით მოსდიოდა. ასეთი ურთიერთობა ნაკლებად აკავშირებდა ვინმესთან. ამ ქალიშვილთან საუბრისას ბრენდერი თავს საოცრად ახალგაზრდად გრძნობდა. ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, ნეტავ თუ დაინახავს და დააფასებს ჩემს ესოდენ ჭაბუკურ შემართებასო.

ჯენი, თავის მხრივ, უზომოდ მოიხიბლა ამ კაცის გარშემო არსებული სიმდიდრითა და ფუფუნებით, თვითონ ბრენდერთაც, თუმცა ამას თავად ვერ გრძნობდა. ასეთ მიმზიდველ ადამიანს სხვას არც იცნობდა. მის თვალში ყველაფერი, რაც ამ კაცს უკავშირდებოდა, მშვენიერი იყო, ხოლო ყოველი მისი კეთილშობილური მოქმედება _ ნამდვილად პატივისცემის ღირსი. არავინ

უწყის, საიდან, იქნებ, თავისი გერმანელი წინაპრებიდან დაჰყვა ჯენის ყოველივე ამის გაგებისა და შეფასების უნარი. სწორედ ასე უნდა იცხოვრო, როგორც ეს ადამიანი ცხოვრობსო. ქალიშვილს განსაკუთრებით მისი კეთილშობილება მოსწონდა.

ბრენდერისადმი ასეთი აღფრთოვანებული განწყობილება ნაწილობრივ დედის ბრალი იყო, რომლის გონიერებას ერთთავად სათუთი გრძნობები ჯაბნიდა ხოლმე. და აი, როცა ჯენიმ ათი დოლარი მიუტანა, დედა სიხარულით ცას ეწია.

– გარეთ რომ გამოვედი, ფულს მაშინ დავხედე, ასე დამაბარა, დედას გადაეციო.

მისის გერჰარდტმა ფული გამოართვა, მოწიწებით ხელისგულში მოიქცია და ნათლად წარმოიდგინა მაღალი ტანის სენატორი თავისი ზრდილობიანი ქცევით.

– რა იშვიათი კაცია, რა გულკეთილი, – ალაღად წარმოთქვა ქალმა.

იმ საღამოს თუ მეორე დღეს მისის გერჰარდტი სულ იმ ზღაპრულად მდიდარ კაცზე ლაპარაკობდა, რომელიც უქველად ძალიან კეთილშობილი უნდა ყოფილიყო. როცა ქალი მისი თეთრეულის რეცხვას შეუდგა, ისე გულდასმით სრესდა, კინალამ დახია და მაინც გული ეთანადრებოდა, იქნება კარგად არ არის გარეცხილიო. ქმარს არაფერი უნდა სცოდნოდა. წესრიგის გადაჭარბებით დამცველი ეს კაცი, მიუხედავად ესოდენ აუტანელი გაჭირვებისა, ფულის დაუმსახურებლად აღებაზე არ დათანხმდებოდა. აკი არც არაფერი უთქვამს. ქალი ფულს ნელ-ნელა ხარჯავდა ხორცსა და პურში, თან ისეთი თადარიგით, რომ ეს დიდი თანხა შეუნიშნავი დარჩენილიყო.

დედის ეს განწყობილება ჯენისაც გადაედო და მადლობით აღსავსე გოგონა სენატორს უფრო ძალდაუტანებლად ესაუბრებოდა. მათ შორის იმდენად კარგი ურთიერთობა დამყარდა, რომ ერთხელ, როცა ბრენდერმა შენიშნა, ჯენის ტუალეტის მაგიდაზე ფოტოსურათის ჩასადები ტყავის ჩარჩო მოეწონაო, მაშინვე აჩუქა. იგი რაღაც საბაბით გოგონას თავისთან ყოველთვის აყოვნებდა ხოლმე. ისიც მალე მიხვდა, რომ სათნო ქალიშვილს რცხვენოდა თავისი სიღარიბისა. გოგონა თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ბრენდერი კი გულწრფელად აღტაცებული იყო და როცა მის გახუნებულ კაბასა და გაცვეთილ ფეხსაცმელს უყურებდა, გუნებაში მხოლოდ იმას ფიქრობდა, ისე როგორ დახმარებოდა, რომ გოგონას თავი დამცირებულად არ ეგრძნო.

ხშირად ისიც უფიქრია, ჩუმად ასდევნებოდა, გაეგო მისამართი და საკუთარი თვალთ ენახა, როგორ პირობებში ცხოვრობდა მისი ოჯახი. რაც უნდა იყოს, შეერთებული შტატების სენატორია და ამ ქალაქის მცხოვრების ასეთი დუხჭირი ყოფით დაინტერესება მისთვის უხერხული არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ მერე ეს აზრი უკუაგდო; კეთილგონიერებამ თავისი გაიტანა და განზრახული სხვა დროისათვის გადადო.

დეკემბრის დამდეგს სენატორი ბრენდერი სამი კვირით ვაშინგტონში დაბრუნდა. რარიგ შემფოთდნენ მისის გერჰარდტი და ჯენი, როდესაც ეს

ამბავი შეიტყვეს. სარეცხის ყოველი მიტანისას ორ დოლარზე ნაკლებს არასოდეს აძლევდა, ზოგჯერ ხუთი დოლარიც კი მიუცია. სენატორს ფიქრადაც არ მოსვლია, რა ზარალს მიაყენებდა მისი წასვლა გერჰარდტების ისედაც უმნიშვნელო შემოსავალს. რა ექნათ საწყლებს, სხვა გზა არ ჰქონდათ, როგორმე უნდა გაეტანათ თავი. თვითონ გერჰარდტი ახლა უკეთ იყო და მთელი ქარხნები მოიარა სამუშაოს ძებნაში, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იძულებული გახდა ხერხი აეღო და ეზო-ეზო სიარული დაიწყო. ძალ-ღონეს არ ზოგავდა, მაგრამ სამუშაო ცოტა იყო და კვირაში ორი-სამი დოლარის მეტს ვერ უყრიდა თავს. ამ ფულს ცოლის ნამუშევარი ემატებოდა, ცოტაოდენს სებასტიანიც აძლევდათ და პურის ფულად ჰყოფნიდათ.

დადგა მხიარული შობა. გერჰარდტები სილატაკეს ახლა მწარედ განიცდიდნენ, გერმანელები შობის დღესასწაულს განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღნიშნავენ. ამ დღეებში მშობლები განსაკუთრებული მზრუნველობით ექცევიან შვილებს. შობის წინა დღეებში დიდ სადარდებელში იყო გერჰარდტი. როგორ უნდოდა ამდენი ხნის ავადმყოფობის შემდეგ რითიმე გაეხარებინა პატარა ვერონიკა! როგორ ნატრობდა, ყველასათვის თითო წყვილი გამძლე ფეხსაცმელი ეყიდა; ბიჭებისათვის თბილი ქუდები, გოგონებისათვის ლამაზი თავშლები. წინა წლებში ბავშვები დაჩვეული იყვნენ სათამაშოებითა და ტკბილეულით დასაჩუქრებას. მამას გულს უღრღნიდა ის აზრი, რომ შობის თოვლიანი დილა გათენდებოდა და მათი ღარიბული სუფრა ბავშვებს მოლოდინს გაუცრუებდა.

აბა, მისის გერჰარდტის განცდების გადმოცემა ხომ ნამდვილად შეუძლებელი იყო. საცოდავი ქალი თავის კანში იწვოდა და ილაჯგაწყვეტილს იმის თავიც კი არა ჰქონდა, რომ ამ საბედისწერო დღეზე ქმართან ჩამოეგდო ლაპარაკი. რის ვაი-ვაგლახით მოახერხა სამი დოლარის გადანახვა, – ეგებ, ნახევარი ტონა ქვანახშირი ვიყიდო და ჯორჯის ჭიჭყინს გადავრჩეო. მაგრამ ახლა ამ ფულით სადღესასწაულო საჩუქრების ყიდვა გადაწყვიტა. მამასაც ამ დღისთვის ორი დოლარი გადაენარჩუნებინა. იქნებ, ცოტათი მაინც დავა-შომშინო ცოლი და იოტისოდენა შვება მივცეო.

როცა შობის წინა დღე დადგა, მათი დანაზოგი მეტად უმნიშვნელო გამოდგა, ქალაქში სადღესასწაულო ფუსფუსი იყო. საბაყლოები დეკას ყვავილებით მოერთოთ. სათამაშოების მაღაზიები და საშაქარლამოები გამვლელს თვალს ჭრიდა თავისი ბრწყინვალეობით: რა გინდა, სულო და გულო, იქ რომ არ იყო! ყველაფერი უხვად ეწყო, თვით ნებიერ სანტა კლაუსსაც რომ დააკმაყოფილებდა. მშობლებიცა და შვილებიც ვიტრინებს გულდაწყვეტილები ათვალიერებდნენ: უფროსები ფულის უქონლობის გამო, უმცროსები კი თავშეუკავებელი აღტაცებით და ამ საგანძურის დაუფლების დაუოკებელი სურვილით.

გერჰარდტი ბავშვების თანდასწრებით მალიმალ ამბობდა:

– წლეულს სანტა კლაუსი ძალზე ღარიბია. ბევრი საჩუქრის მოტანა არ შეუძლია.

მაგრამ ყველაზე ლატაკ ბავშვებსაც კი ვერ დაარწმუნებ ამ სიტყვების სიმართლეში. მიუხედავად მამის ასეთი გაფრთხილებისა, ბავშვების მოლიმარი თვალები მაინც მხიარულ მოლოდინს გამოხატავდნენ.

შობა სამშაბათს უწევდა. წინა დღით, ორშაბათს, სკოლებში სწავლა შეწყდა. სასტუმროში სამუშაოდ წასვლის წინ დედამ ჯორჯს დაუბარა, _ ქვანახშირი მეტი მოიტანე, შობა დღეს მაინც გვეყოსო. ჯორჯი მაშინვე წავიდა, თან ორი უმცროსი და გაიყოლა. მაგრამ რაკი ქვანახშირი ცოტა იყო, კალათების ავსება უგვიანდებოდათ და საღამოს ძლიერ მცირე ნადავლით დაბრუნდნენ.

_ ქვანახშირის მოსატანად იყავი? _ სასტუმროდან მოსვლისთანავე იკითხა დედამ.

_ ვიყავი, _ მიუგო ჯორჯმა.

_ ხვალისთვის გვეყოფა?

_ მგონი გვეყოფა.

_ აბა, წავალ და ვნახავ, _ თქვა ქალმა. მერე ლამპა აიღო და შეშის ფარდულში შევიდა, სადაც ქვანახშირი ეყარა.

_ უი, ღმერთო კი მომკალი! _ შეიცხადა დედამ. _ ეს ერთი ბეწო რას გვეყოფა! გასწი ახლავე და კიდევ მოიტანე!

_ ოოჰ, _ ტუჩი აპრუწა ჯორჯმა. _ მე ხომ ვიყავი, ახლა ბასი წავიდეს.

ბასი სამუშაოდან შვიდის თხუთმეტ წუთზე დაბრუნდა და ქალაქში წასასვლელად იკაზმებოდა.

_ არა, _ უთხრა დედამ. _ ბასი მთელი დღე მუშაობდა და სწორედ შენ უნდა წახვიდე.

_ მე ველარ წავალ, _ ჩაიბუზღუნა ჯორჯმა.

_ კეთილი და პატიოსანი. როცა ხვალ სიცივით გაითოშები, დავინახავ, რასაც იზამ.

მერე შინ შევიდნენ. მაგრამ ამით როდი დამთავრდა საქმე. ჯორჯი ფრიად შეურაცხყოფილი იყო.

_ ბას, შენც წამოდი, _ კარის ზღურბლიდანვე დაუძახა ჯორჯმა უფრო ძმას.

_ სად მეპატიჟები?

_ ქვანახშირის მოსატანად.

_ კიდევ რა გნებავს? _ გაიბღინდა ბასი. _ ვითომ რათაო? _

არადა, არც მე წავალ, _ ჯიუტად გაიქნია თავი ჯორჯმა.

_ დღეს რას მიკეთებდი? _ მკვახედ მიახალა ძმამ. _ მთელი დღე შენ ხელთ არ იყო?

_ დიახ, მთელი დღე ვაგროვე, მაგრამ ქვანახშირი იქაც ცოტაა, აბა მე საიდან გამეჩინა, თუკი არ იყო.

უფრო მეტი მონდომებით უნდა გეგროვებინა.

_ რა მოხდა? _ იკითხა ჯენიმ, შინ შემოსვლისთანავე ჯორჯის გაჯავრებული სახე რომ შენიშნა.

_ ბასი არ მომყვება ქვანახშირის მოსატანად. _

დღეს არაფერი მოგიგროვებიათ?

– როგორ არა, მაგრამ დედამ თქვა, არ გვეყოფაო.
– მე წამოგყვები, – დაამშვიდა ჯენიმ. – ბას, შენც წამოხვალ?
– არ წამოვალ, – მიუგო გაღიზიანებულმა ბასმა და ყელსახვევის გაკვანძვა განაგრძო.

– იქ ქვანახშირი აღარ არის, – თქვა ჯორჯმა, – თუ ვაგონიდან ჩამოგყრით, არ ვიცი. წელან არც ქვანახშირიანი ვაგონები იდგა.

– არ შეიძლება არ იყოს, – ჯიუტად წამოიძახა ბასმა. – არ იყო-მეთქი! – გაჯავრდა ჯორჯი.

– გეყოფათ, ნუ დაობთ, – უთხრა ჯენიმ. – მიდი, კალათები გამოიტანე და წავიდეთ, თორემ დაგვალამდება.

უმცროსებს ძალზე უყვარდათ ჯენი და უმაღლე დაფაცურდნენ. ვერონიკამ კალათა აიღო, მართამ და უილიამმა – ვედროები, ჯორჯმა თეთრეულის დიდ კალათას წამოავლო ხელი, რომელიც მას და ჯენის ერთად უნდა წამოეღოთ. ბასმა დის ასეთ თავგამოდებას რომ შეხედა, ცოტა არ იყოს, მოტყდა, დაძმურმა სიყვარულმა თავისი გაიტანა და ჯენის უთხრა:

– იცი, რა, ჯენი, შენ ამ პატარებთან ერთად მერვე ქუჩისაკენ წადი და ბაქანთან დამიცადე, მეც მალე მოვალ, მაგრამ არც ერთმა არ შეიმჩნიოთ, რომ მიცნობთ, როცა დამინახავთ, ისე, სხვათა შორის, მთხოვეთ, «მისტერ, თუ შეიძლება, ცოტაოდენი ნახშირი გადმოყარეთ», მე ვაგონზე ავძვრები და, რამდენსაც მოვახერხებ, გადმოვყრი, გასაგებია?

– კი, – უთხრა კმაყოფილმა ჯენიმ.

თოვლიანი ღამე იყო. ჯენი თავისი ამალით რკინიგზისაკენ გაემართა. სატვირთო სადგურზე ახლახან მიღებული ქვანახშირით დატვირთული ვაგონები რკინიგზის კვანძთან იდგნენ. ძმის მოლოდინში ბავშვები ერთ-ერთ ვაგონს ამოეფარნენ. უცბად ვაშინგტონის ჩქარი და გრძელი მატარებელი მოგრიალდა. ახალი ტიპის საწოლი ვაგონების ფართო მინები სულ ერთიანად ბრწყინავდა, შიგ რბილ, მოხერხებულ სავარძლებში მსხდომი მგზავრები ჩანდნენ... როცა მატარებელმა ხმაურით ჩაიარა, ბავშვებმა უნებურად უკან დაიხიეს.

– რამსიგრძეა! – აღმოხდა ჯორჯს.

– ნეტავ ამნაირ მატარებელში კონდუქტორად მამუშავა! – ინატრა უილიამმა.

ჯენის ხმა არ ამოუღია. გოგონა გაიტაცა შორეულ მოგზაურობაზე, ფუფუნებაზე ფიქრმა. ალბათ, რა წარმტაცია მდიდრების ცხოვრება!

მერე შორს სებასტიანიც გამოჩნდა, – ენერგიული, მამაკაცური მიხრამოხრითა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით მომავალი. იგი ჯიუტი ყმაწვილი იყო და ბავშვებს მისი ბრძანებისათვის რომ გადაეხვიათ, ცივად ჩაუვლიდა, აინუნშიაც არ ჩააგდებდა მათ დახმარებას.

მაგრამ მართა მიხვდა საქმის მნიშვნელობას და, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ისე მოიქცა. თავისი ბავშვური, უღონო ხმით შესთხოვა ძმას: «მისტერ, თუ შეიძლება, ცოტაოდენი ქვანახშირი გადმოგვიყარეთ».

ამ სიტყვებზე სებასტიანი უეცრად შეჩერდა, ბავშვებს უცხოსავით გადახედა და მაშინვე მიუგო: «რატომაც არა, შეიძლება». იგი ვაგონზე აძვრა და არაჩვეულებრივი სისწრაფით იმდენი ქვანახშირი გადმოყარა, რომ ბავშვებმა კალათები მაშინვე პირამდე აავსეს. მერე სებასტიანმა ამ უღირს საზოგადოებასთან შეჩერება აღარ იკადრა და ასევე უეცრად გაეცალა, სასწრაფოდ ლიანდაგი გადაჭრა და გაუჩინარდა.

ბავშვებს შინ დაბრუნებისას გზაზე კიდევ ერთი ჯენტლმენი შემოხვდათ, ამჯერად ნამდვილი ჯენტლმენი – მაღალი ქუდითა და მშვენიერი ლაზადით. ჯენიმ მაშინვე იცნო, დიახ, იგი პატივცემული სენატორი გახლდათ. ვაშინგტონიდან დაბრუნებული ბრენდერი შობის დღესასწაულიდან დიდად სახარბილოს არაფერს მოელოდა. სწორედ იმ ჩქარი მატარებლით ჩამოსულიყო, ბავშვების ასეთი აღტაცება რომ გამოიწვია. ხელში მსუბუქი ჩემოდანი ეჭირა. სასტუმროსაკენ სუფთა ჰაერზე ფეხით გასეირნება გადაეწყვიტა. და აი უცებ, მოეჩვენა, თითქოს ჯენის მოჰკრა თვალი.

– ჯენი, თქვენა ხართ? – დაუმახა და ნაბიჯი შეანელა, რომ უკეთ დაენახა.

ჯენიმ უფრო ადრე შენიშნა, ვიდრე სენატორმა და წამოიყვირა: «ვანი, მისტერ ბრენდერი!» მაშინვე კალათას ხელი უშვა და ბავშვებს მიაძახა, – ნახშირი შინ წაიღეთო, – თვითონ კი მეორე მხარეს გაიქცა.

სენატორი ფეხდაფეხ მიჰყვა და სამჯერ თუ ოთხჯერ დაუმახა კიდევ: «ჯენი! ჯენი!» მაგრამ ამაოდ. ჯენის დაწვევის იმედი რომ გადაუწყდა, შეჩერდა. იგრძნო, შემკრთალი გოგონა სირცხვილმა რომ გააქცია. გადაწყვიტა, აღარ შეეცბუნებინა, სწრაფად გამობრუნდა და ბავშვებს გაჰყვა. როგორც ყოველთვის, ჯენისთან შეხვედრისას ახლაც იგრძნო, რა დიდი კედელი იყო აღმართული მათ შორის. თვითონ სენატორია, ეს უბედურები კი რკინიგზის ლიანდაგზე ქვანახშირს აგროვებენ. აბა, რა სიხარულს მოუტანს ხვალინდელი დღესასწაული? – თანაგრძნობით გამსჭვალული სენატორი ბავშვებს აედევნა და მალე დაინახა, როგორ შევიდნენ ერთ ქოხის მსგავს სახლის ჭიშკარში. სენატორმა ქუჩა გადაჭრა და თოვლით დაბარდნილი ხის ქვეშ დადგა. ფანჯრებიდან ეზოში მკრთალი, ყვითელი შუქი გამოდიოდა. ირგვლივ თოვლი იდო. შეშის ფარდულიდან ბავშვების ხმა ისმოდა. წამით მისის გერჰარდტსაც მოჰკრა თვალი. ცოტა ხნის შემდეგ ჭიშკარში ვიღაცის ჩრდილმა გაიელვა. სენატორმა ჯენი იცნო. გული ლამის ბუდიდან ამოუვარდა და მღელვარების დასაფარავად ტუჩი მოიკვნითა. მერე უცებ შეტრიალდა და წავიდა.

ქალაქში ერთ-ერთი მსხვილი საბაყლოს მფლობელი გახლდათ ვინმე მენინგი, სენატორ ბრენდერის მხურვალე მომხრე. ვაჭარი დიდად ამაყობდა ამ ნაცნობობით. სწორედ მასთან მივიდა ბრენდერი. ვაჭარი თავის საქმეებში იყო ჩაფლული.

– მენინგ, შეგიძლიათ ამ საღამოსვე ერთი დავალება შემისრულოთ? – მისვლისთანავე ჰკითხა სენატორმა.

– რა თქმა უნდა, ბატონო! – შესძახა გახარებულმა ვაჭარმა. – როდის ჩამობრძანდით? თქვენი ჭირიმე, მიბრძანეთ, რა გნებავთ, მიმსახურეთ, ბატონო!

– შეარჩიეთ საშობაო დღესასწაულისათვის ყველაფერი. ოჯახში დედა, მამა და ექვსი ბავშვია. ერთი სიტყვით, ლამაზი საჩუქრები რომ იყოს: ნაძვის ხე, სურსათი, ტკბილეული, სათამაშოები, მოკლედ, თვითონ იცით, რაც საჭიროა.

– სიამოვნებით, სიამოვნებით, ბატონო.

– ნავაჭრის ფასს მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი უხვად იყოს. მისამართს მოგცემთ, – ბრენდერმა უბის წიგნაკი ამოიღო.

– კეთილი, ჩემო ბატონო, დიდი სიამოვნებით, – განაგრძობდა სენატორის ყურადღებით აღტაცებული მენინგი. – თქვენ ყოველთვის დიდსულოვანი იყავით.

– აი, მენინგ, – თქვა და ვაჭარს დაწერილი მისამართი გაუწოდა. სახე თითქოს მოღუშულიც ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ თავისი სენატორული ღირსების შესანარჩუნებლად. – ახლავე შეუდექით საქმეს, ოღონდ ანგარიში მე გამომიგზავნეთ.

– კეთილი, ჩემო ბატონო, დიდი სიამოვნებით, – იმეორებდა გახარებული ვაჭარი.

სენატორი გამოვიდა მაღაზიიდან, მაგრამ თვალწინ კვლავ მოხუცი ცოლქმარი გერჰარდტები ედგა და ახლა ფეხსაცმლისა და მზა ტანსაცმლის მაღაზიებშიც შევიდა. რაკი მათი ზომები არ იცოდა, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი გამოცვლის უფლებით იყიდა. ყოველივეს რომ მორჩა, მხოლოდ შემდეგ გასწია სასტუმროსაკენ.

«ქვანახშირს აგროვებენ, – გონებაში ისევ და ისევ ეს ფიქრი უტრიალებდა. – რა უყურადღებოდ მოვიქეცი. არა, არ მეკადრება ამ ადამიანების ასე უყურადღებოდ მიტოვება».

მეოთხე თავი

ჯენი, რა თქმა უნდა, სენატორის დანახვამ გააქცია, შერცხვა თავისი დამამცირებელი საქმიანობისა. ბრენდერი მასზე კარგი წარმოდგენისა იყო და არ უნდოდა ასეთ ყოფაში ენახა. ჯენის გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ამ მამაკაცს რაღაც სხვა აინტერესებდა და არა თვითონ ის.

შინ ჯენიზე ადრე დაბრუნებულ ბავშვებს დედისათვის ყველაფერი

ეამბათ. – რა მოგივიდა, რა იყო? – შემოსვლისთანავე მიაგება დას ჯორჯმა.

– ოჰ, არაფერი, – მიუგო გოგონამ, მერე დედას მიუბრუნდა და ჩურჩულით უთხრა. – მისტერ ბრენდერმა გაიარა და დაგვინახა.

– მართლა?! – წამოიძახა მისის გერჰარდტმა. – მამ, ჩამოსულა! მერე, შე სულელო, რაღას გარბოდი?

– არ მინდოდა დავენახე.

– იქნებ, ვერც კი გიცნო, – თანაგრძნობით უთხრა დედამ.

– როგორ არა, მიცნო და სამჯერ თუ ოთხჯერ დამიძახა კიდეც. მისის გერჰარდტმა თავი გააქნია.

– რა მოხდა? – იკითხა მეორე ოთახიდან გამოსულმა მამამ, როცა ქალების საუბარს მოჰკრა ყური.

– არაფერი, – უპასუხა ცოლმა. ქალს ერიდებოდა რამე ეთქვა იმ მამაკაცზე, ვინც ასეთ დიდ როლს ასრულებდა მათ ცხოვრებაში. – ქვანახშირის წამოღებისას გზაში ვიღაცას დაუფრთხია ესენი.

გვიან საღამოს კი საჩუქრების მიღებამ მთელი ოჯახი ააფორიაქა. როცა საბაყლო მაღაზიის ფორანი მათი სახლის წინ გაჩერდა და ჯანმაგარმა მუშამ საჩუქრების გადმოლაგება დაიწყო, გერჰარდტი და მისი ცოლი თვალებს არ უჯერებდნენ. რამდენი არ არწმუნეს მუშა, ნამდვილად მისამართი შეგეშალაო. ბოლოს, როცა ვერაფერს გახდნენ, ისლა დარჩენოდათ, სიხარულით დაეთვალეირებინათ ზეციდან მოვლენილი მადლი.

– ნეტავ რას წუხხართ, – ეუბნებოდა თავდაჯერებული მუშა, – მე ვიცი ჩემი საქმისა. თქვენ გერჰარდტები არა ხართ? ჰოდა, რა გინდათ, ეს საჩუქრებიც სწორედ თქვენია.

მისის გერჰარდტი მღელვარებისაგან ადგილს ვერ პოულობდა და ხელების ფშვინებით ამბობდა:

– თქვენი ჭირიმე, ეს რა სასწაულია!

გრძნობამორეული გერჰარდტი უცნობი ქველმოქმედის სიუხვეს ერთ იქაურ მდიდარ მეფაბრიკეს აწერდა, რომელთანაც წინათ მუშაობდა და კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. მისის გერჰარდტი ეჭვით გრძნობდა, ვინ მოჰგვარა ეს მოულოდნელი სიხარული და მადლიერების ცრემლებს ვერ იოკებდა, მაგრამ კრინტს არ ძრავდა, რაც შეეხება ჯენის, ის მაშინვე მიხვდა, ვინც იყო მათი მფარველი.

შობის მეორე დღეს ბრენდერი სასტუმროში შეხვდა მისის გერჰარდტს, ჯენი ამ დროს შინ დიასახლისობდა.

– გამარჯობათ, მისის გერჰარდტ, – ალერსიანად მიესალმა ბრენდერი და ხელი გაუწოდა. – როგორ გაატარეთ შობა?

საწყალმა ქალმა გაუბედავად ჩამოართვა ხელი და მღელვარებისაგან თვალები ცრემლით აევსო.

– ნუ, გეთაყვა, ნუ ტირით, – უთხრა მან და მხარზე ხელი მოუთათუნა. – დღეს თეთრეულის წაღება არ დაგავიწყდეთ.

– არ დამავიწყდება, სერ, – მიუგო ქალმა და უნდოდა კიდეც რაღაც ეთქვა, მაგრამ ბრენდერი უკვე გაშორდა.

ამ დღიდან დაწყებული მამა გერჰარდტს ყოველდღე ესმოდა სასტუმროში მცხოვრები საოცარი სენატორის თავაზიანობის ამბავი. გაიგო ისიც, რომ დედაშვილს თეთრეულის რეცხვისათვის უხვ გასამრჯელოს უხდიდა. გულმართალმა გერმანელმა მშრომელმა ადვილად დაიჯერა ბრენდერის დიდბუნებოვნება, მისი სიქველე და საოცრად კეთილი ადამიანობა.

ამასვე ფიქრობდა ჯენიც და, რაც დრო გადიოდა, სენატორით გამოწვეული აღტაცება უძლიერდებოდა.

ჯენი თანდათან ქალობაში შედიოდა, სულ უფრო მშვენდებოდა. ასე რომ, ვერც ერთი მამაკაცი გულგრილად ვერ ჩაუვლიდა. ის იყო ტანადი, უნაკლო აღნაგობის ქალიშვილი. მაღალი წრის მანდილოსნის მდიდრულ, გრძელ კაბაში ჯენი მართლაც შესაფერი წყვილი იქნებოდა ისეთი დიდი პიროვნებისთვის, როგორც სენატორი გახლდათ. ჯენის ჰქონდა საოცრად ნათელი და ცოცხალი თვალები, იშვიათი ფერის სახის კანი, თეთრი და სწორი კბილები. თანაც ჭკვიანი, მგრძნობიარე და დაკვირვებული იყო. აკლდა მხოლოდ აღზრდა-განათლება და ის რწმენა, რომელიც ყოველთვის აკლია სხვაზე დამოკიდებულ ადამიანს. სარეცხის რეცხვა, თეთრეულის აქეთ-იქით ტარება და წყალობის მსგავსი, მცირე გასამრჯელოს მიღება თრგუნავდა ქალიშვილის სულის თავისუფლებას.

ჯენი ახლა სასტუმროში კვირაში ორჯერ დადიოდა. სენატორს მასთან გულლიად და ხალისიანად ეჭირა თავი. ჯენიც ასევე პასუხობდა. ბრენდერი ხშირად ასაჩუქრებდა ჯენის, მის და-ძმებს და ისე უბრალოდ და გულწრფელად ელაპარაკებოდა, რომ მალე მათ შორის უფსკრული გაქრა. ჯენი მასში დიდსულოვან მეგობარს უფრო ხედავდა, ვიდრე პატივსაცემ სენატორს. ერთხელ ბრენდერმა ჰკითხა ჯენის, სწავლა თუ გინდაო, გუნებაში კი იმას ფიქრობდა, კარგი სკოლა ამ უბრალო გოგონას უსათუოდ დახვეწდა, უფრო მიმზიდველს გახდიდაო.

– ჯენი, მოდით ჩემთან ცოტა ახლოს, – უთხრა ერთ საღამოს ბრენდერმა.

ჯენი მივიდა და უცებ შეკრთა, როცა სენატორმა ხელი მოჰკიდა.

– ჯენი, – მიმართა მან და მხიარული, გამომცდელი მზერა მიაპყრო, – ერთი ეს მითხარით, რას ფიქრობთ ჩემზე?

– არ ვიცი, – გაუბედავად მიუგო გოგონამ და განზე გაიხედა. – რატომ მეკითხებით?

– არა, იცით, – მტკიცედ უთხრა მან. – რაღაც აზრი ხომ უნდა გქონდეთ, არა? ჰოდა, აი, მითხარით, მაინც რას ფიქრობთ?

– არაფერს, – გულუბრყვილოდ მიუგო გოგონამ. –

არა, უთუოდ ფიქრობთ, – გაუმეორა მან.

ჯენის აშკარა სურვილი, როგორმე პასუხი თავიდან აეცილებინა, მამაკაცს ართობდა და ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა.

– არ შეიძლება, რაიმე აზრი არ გაგაჩნდეთ, ჰოდა, მაინტერესებს რა აზრისა ხართ ჩემზე?

– თქვენ გასურთ იცოდეთ, მომწონხართ თუ არა? – გულუბრყვილოდ ჰკითხა ჯენიმ და მის ჭადარაშერეულ, ლომის ფაფარივით თმას ზემოდან დახედა, ისედაც ლამაზ სახეს რაღაცნაირ სიდიადეს რომ მატებდა.

– დიახ, – უპასუხა ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულმა სენატორმა. ჯენიმ კეკლუცობა არ იცოდა.

– რა თქმა უნდა, მომწონხართ, – სათნო ღიმილით მიუგო გოგონამ.

_ სხვა არაფერი გიფიქრიათ ჩემზე?

_ მე თქვენ ძალზე კეთილი მგონიხართ, _ უთხრა ჯენიმ და კიდევ უფრო დაიმორცხვა. მან მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მისი ხელი კვლავ ბრენდერს ეჭირა.

_ სულ ეს არის? _ ჰკითხა მან.

_ განა ეს ცოტაა? _ მიაშიტად თქვა ჯენიმ და წამწამები აახამხამა.

სენატორი მთელი გრძნობით შეჰყურებდა. გოგონას ხალისიანი, მეგობრული და პირდაპირი გამოხედვა გულში სწვდებოდა და აღელვებდა. უსიტყვოდ სწავლობდა მისი სახის თითოეულ ნაკვთს. ჯენი შებრუნდა და მოიბუზა. როგორღაც ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იგრძნო, რას ნიშნავდა სენატორის დაჟინებული მზერა.

_ ჩემი აზრით, ჭეშმარიტად წარმტაცი ქალიშვილი ხართ. მაგრამ თქვენ რას იტყვით, არა ვარ სასიამოვნო მამაკაცი?

_ დიახ, როგორ არა, _ ნაჩქარევად აღმოხდა გოგონას.

სენატორი სკამის ზურგზე გადაწვა. ჯენის სიტყვებზე გაეცინა, გოგონამ რომ ასე სასაცილოდ წარმოთქვა. ჯენიმ ცნობისმოყვარედ გადახედა და თვითონაც გაეღიმა.

_ რა გაცინებთ? _ დაინტერესდა ჯენი.

_ თქვენს პასუხზე გამეცინა, თუმცა არ უნდა გამცინებოდა. ვფიქრობ, არ მაფასებთ, ალბათ, არ მოგწონვართ.

_ არაფერიც, მომწონხართ, _ სერიოზულად მიუგო ჯენიმ. _ თქვენ ისეთი კარგი ხართ!

ჯენის თვალეზში ეტყობოდა, რომ ალაღად და მიაშიტად ამბობდა ამას.

_ მჯერა, _ კვერი დაუკრა ბრენდერმა. მერე ნაზად მიიკრა მკერდზე და ლოყაზე აკოცა.

_ ოჰ, _ შიშითა და გაოცებით აღმოხდა ჯენის.

ეს მათ ურთიერთობაში რაღაც ახალი და უჩვეულო იყო. უცებ გაქრა დიდ სახელმწიფო მოხელესა და უბრალო გოგონას შორის არსებული მანძილი. ჯენიმ სენატორში დაინახა ის, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა, ბრენდერი მის თვალეზში გაახალგაზრდავდა კიდევ. სენატორისთვის კი ჯენი იყო ქალი, რომელიც ნამდვილად უყვარდა. ქალიშვილმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, თავი როგორ დაეჭირა.

_ შეგაშინეთ? _ ჰკითხა მან.

ჯენიმ შეხედა მამაკაცს, რომელსაც ასეთი კრძალვითა და მორიდებით ექცეოდა, მაგრამ ღიმილით მაინც დასძინა: _ დიახ, შემაშინეთ.

_ ეს იმიტომ მოხდა, რომ ძალიან მომწონხართ.

ჯენი წამით ჩაფიქრდა და უთხრა:

_ ახლა უნდა წავიდე.

_ გამირბიხართ? _ ნაღვლიანად ჰკითხა მან.

_ არა, _ მიუგო ჯენიმ. უმადურობა არ დამწამოსო, გაიფიქრა და დაუმატა: _ უკვე გვიანაა, ჩვენებს შეეშინდებათ.

– ხომ არ მიჯავრდებით?

– არა, – მისთვის უჩვეულო სიკეკლუციტ მიუგო გოგონამ.

ჯენიმ იგრძნო თავისი ზემოქმედების ძალა და ეს ისეთი ახალი და საკვირველი რამ იყო, რომ უნებურად ორივე შეცბა.

– რაც უნდა მოხდეს, ახლა ჩემი ხართ, – უთხრა სენატორმა და წამოდგა. – ამის შემდეგ მე ვიზრუნებ თქვენზე.

ჯენი გაახარა ამ სიტყვების გაგონებამ, მისი აზრით, ბრენდერს სასწაულების მოხდენა შეეძლო, იგი ნამდვილ ჯადოქრად ეჩვენებოდა. ირგვლივ მიმოიხედა და იმის გაფიქრებამ, რომ ახალი და საოცარი ცხოვრების გზა ეხსნებოდა, თავბრუ დაახვია, თუმცა იმის თქმა არ შეიძლებოდა, რომ ჯენი მთლად ჩასწვდა ბრენდერის სიტყვების აზრს. ალბათ, ამის შემდეგ ლამაზ ნივთებს მაჩუქებს და უსაზღვროდ კეთილი იქნებაო, – ფიქრობდა გუნებაში. ბუნებრივია, უმწეო გოგონა ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. მერე, მივიდა და თეთრეული შეახვია წასაღებად. ჯენის სულაც არ უგრძობია თავის ამ საქმიანობასა და ახალ მდგომარეობას შორის გაჩენილი შეუსაბამობა. სამაგიეროდ, ბრენდერს მოჰგვარა მწარე შეგრძნება. «არა, სარეცხი აღარ უნდა ატაროს, არა», – გაიფიქრა მან. ნაზმა გრძნობამ ბრენდერს ტალღასავით დაუარა და გოგონას ორივე ხელი შემოხვია: ამჯერად ჭეშმარიტად მფარველის წრფელი გრძნობა ამოძრავებდა.

– არა უშავს, ჩემო გოგონა, – უთხრა ნაზად. – ამიერიდან სარეცხის ტარება აღარ მოგიხდებათ. რაიმეს ვიღონებ.

ამ საუბრის შემდეგ მათი ურთიერთობა უფრო უშუალო და მეგობრული გახდა. როცა სენატორს ჯენი მეორედ ეწვია, მასპინძელმა თავისი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდომა შესთავაზა და ოჯახის წევრებზე გაუბა საუბარი – როგორ ცხოვრობდნენ, რას საქმიანობდნენ და რაზე ოცნებობდა თვითონ. ბრენდერმა შეამჩნია, რომ ზოგიერთ შეკითხვას გოგონა თავს არიდებდა, პირდაპირ პასუხს გაურბოდა. განსაკუთრებით, როცა შეკითხვა მამამისის სამუშაოს შეეხებოდა. ჯენის უმძიმდა ეთქვა, მამაჩემი ეზო-ეზო დადის და შემას ხერხავსო. ბრენდერმა იფიქრა, ამ მიკიბულ-მოკიბულობის მიღმა ვაითუ უფრო მნიშვნელოვანი რამ იმალებაო, და გადაწყვიტა, უახლოეს დღეებში თვითონ მისულიყო მათთან და ყველაფერი გაერკვია.

ასეც მოიქცა. ეს იყო სამი დღით ადრე, ვიდრე კონგრესში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდებოდა, რაიც მერე მისი დამარცხებით დამთავრდა. სულ ერთია, ამ დარჩენილ დღეებში ვერაფერს გახდებოდა. და აი, ბრენდერმა აიღო თავისი ჯოხი და გერჰარდტების სახლისაკენ გაემართა. ნახევარი საათის შემდეგ კართან იდგა და აკაკუნებდა.

კარი მისის გერჰარდტმა გაუღო.

– დილა მშვიდობისა! – მხიარულად მიესალმა და მასპინძელს შეცბუნება რომ შეამჩნია, ჰკითხა: – შეიძლება?

ასეთი მოულოდნელი ვიზიტით გაოგნებული კეთილი დედაკაცი სულ დაიბნა. ხელები გახუნებულ წინსაფარზე შეიწმინდა და, როგორც იქნა, მოახერხა:

– რა თქმა უნდა, მობრძანდით, მობრძანდით!

დაბნეულ ქალს ამ ფაცაფუცში მეორე ოთახის კარის გამოხურვა დაავიწყდა და ოთახში პირდაპირ შეუძღვა. სკამი დაუდგა და, დაბრძანდითო, უთხრა.

ბრენდერმა მასპინძლის ასეთი შემფოთება რომ დაინახა, ცოტა არ იყოს, ინანა, რად მოვედიო.

– ნუ შეწუხდებით, მისის გერჰარდტ. აქეთ ვიყავი და თქვენთან ერთი წუთით შემოვიარე. როგორ არის თქვენი ქმარი?

– გმადლობთ, კარგად, – მიუგო მან. – უკვე სამუშაოზე წავიდა.

– აჰა, სამუშაო იშოვა?

– დიახ, სერ, – გაუბედავად მიუგო ქალმა, ჯენის მსგავსად მანაც დაფარა, რა სამუშაო იყო.

– ბავშვები ხომ ყველანი კარგად არიან? სკოლაში

დადიან? – დიახ, – დაუდასტურა დიასახლისმა.

მისის გერჰარდტმა წინსაფარი მოიხსნა და ხელში უხერხულად ჭმუჭნიდა. – ეს ყველაფერი კარგი... ჯენი სადღაა?

ჯენი ამ დროს თეთრეულს აუთოებდა. სტუმრის ხმა რომ გაიგონა, უთო დააგდო და საწოლ ოთახში შევარდა, თავის მოსაწესრიგებლად, თუ ვინცობაა, დედა ვერ მოახერხებდა იმის თქმას, ჯენი შინ არ არისო; არადა, დამალვის საშუალებაც არა ჰქონდა.

– ჯენი შინ გახლავთ, – უთხრა მისის გერჰარდტმა, – ახლავე დავუძახებ.

– რად უთხარი, შინ არისო? – ჩურჩულით უსაყვედურა დედას.

დედა-შვილს გამოსვლა ეძნელებოდა, ფეხები უკან რჩებოდათ, ამასობაში სენატორმა ოთახი დაათვალიერა. გული ეტკინა, ეს წესიერი, რიგიანი ხალხი ასეთ სილატაკეში რომ ცხოვრობდა. იქნებ, როგორმე მივეშველოო, – ფიქრობდა.

– დილა მშვიდობისა, – მიესალმა ჯენის, როცა, როგორც იქნა, გოგონამ მორცხვობა დასძლია და ოთახში შემოვიდა. – როგორ გიკითხოთ?

აწითლებულმა ჯენიმ ხელი ჩამოართვა. სენატორის მოსვლამ ჯენი ისე ააფორიაქა, რომ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა.

– გადავწყვიტე, თქვენთან შემომევილო, მენახა როგორ ცხოვრობთ, – უთხრა სტუმარმა. – სახლს არა უშავს, რამდენი ოთახი გაქვთ?

– ხუთი, – უპასუხა ჯენიმ. – ბოდიშს ვიხდი ასეთი არეულობისათვის. აქ ისეთი უწესრიგობაა. დღეს დილიდან ვაუთოებდით და სახლი დაულაგებელი დაგვრჩა.

– მესმის, გასაგებია, – ალერსიანად უთხრა ბრენდერმა. – ჯენი, რატომ გგონიათ, რომ ასეთ უბრალო ამბავს ვერ გავიგებ. ჩემი ნუ მოგერიდებათ.

ბრენდერი, როგორც ყოველთვის, ახლაც მშვიდად და მეგობრულად ლაპარაკობდა და ჯენიმაც შვება იგრძნო.

– თქვენ ნუ შეშფოთდებით, თუ კიდევ მოგინახულებთ. მამათქვენის ნახვა მინდოდა.

– მამა შინ არ არის, – უთხრა გოგონამ.

სწორედ ამ დროს გერჰარდტი თავისი ხერხით ჭიმკარში შემოვიდა. ბრენდერმა მაშინვე იცნო იგი, ქალიშვილი რაღაცით მამას მიაგავდა...

– აი, თუ არ ვცდები, მამათქვენიც მოვიდა, – თქვა მან.

– მართლა?! – წამოიძახა ჯენიმ და ფანჯარაში გაიხედა.

მძიმე ფიქრებში ჩაფლულმა გერჰარდტმა თავდახრილმა ჩაუარა ფანჯარას. მერე ხერხი ჩამოკიდა და შინ შევიდა.

– დედი! – დაიძახა გერმანულად და ცოლი რომ ვერ დაინახა, სასტუმრო ოთახის კარიდან შიგ შეიხედა.

ბრენდერი წამოდგა და ხელი გაუწოდა. ბეჭებში მოხრილი, დაძარღვული გერმანელი სტუმარს მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და თან გაკვირვებით შეხედა.

– მისტერ ბრენდერ, ეს მამაჩემია, – თქვა ჯენიმ. სენატორის თავმდაბლობამ იხსნა ჯენი და მორცხვობა დასძლია. – მამა, ეს მისტერ ბრენდერია, სწორედ ის, სასტუმროში რომ ცხოვრობს.

– ვინა? – გაოცებით იკითხა გერჰარდტმა და ხან ერთს გადახედავდა და ხან მეორეს.

– ბრენდერი, – უპასუხა სენატორმა.

– ჰო, – გერჰარდტი შესამჩნევი გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა. – ავადმყოფობის შემდეგ ცულად მესმის. ჩემი ცოლი ხშირად გახსენებთ.

– გადავწყვიტე თქვენთან მოვსულიყავი და გამეცანით, – უბრალოდ თქვა სენატორმა, – როგორც ვხედავ, დიდი ოჯახი გქონიათ.

– დიახ, – მიუგო გერჰარდტმა. მერე უცებ გაახსენდა, გაცვეთილი სამუშაო ტანსაცმელი რომ ეცვა და ოთახიდან გასვლა მოინდომა. – ექვსი შვილი მყავს, ჯერ პატარები არიან. აი, ყველაზე უფროსი ქალიშვილი.

ოთახში მისის გერჰარდტი შემოვიდა, ქმარმა ისარგებლა ცოლის შემოსვლით და სტუმარს მიმართა:

– ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, ხერხი გამიტყდა და სამუშაოს თავი მივანებე.

– კეთილი, ბატონო, – თავაზიანად უთხრა ბრენდერმა და მცირე მიხვდა, რატომ დუმდა მამის საქმიანობის გამო ჯენი. თუმცა, ერჩია, ჯენის მისთვის არაფერი დაემალა.

– იცით, რა, მისის გერჰარდტ, – მიმართა იქვე სკამზე უხერხულად ჩამომჯდარ დიასახლისს. – მინდა, უცხოსავით არ მიყურებდეთ, ჰოდა, გთხოვთ, ყველაფერი დაწვრილებით მიაშობთ თქვენს ოჯახზე. ჯენი ყველაფერს როდი მეუბნება.

ჯენიმ უმწეოდ გაიღიმა. მისის გერჰარდტი ნერვულად იფშვნიტდა ხელეებს. –

კეთილი, – გაუბედავად და მადლიერების გრძნობით უპასუხა მან.

მცირე საუბრის შემდეგ ბრენდერი წამოდგა.

– გადაეცით თქვენს მეუღლეს, ორშაბათს სასტუმროში მოვიდეს. ვეცდები დავეხმარო.

– მადლობელი ვარ, – დარცხვენით ჩაილაპარაკა ქალმა.

– ახლა კი წავედი, – დაუმატა ბრენდერმა. – მაშ, არ დაგავიწყდეთ, თქვენს მეუღლეს გადაეცით, აუცილებლად მნახოს.

– უეჭველად მოვა.

ბრენდერმა მარცხენა ხელზე თათმანი ჩაიცვა, მარჯვენა ჯენის გაუწოდა.

– აი, თქვენი დიდი საუნჯე, მისის გერჰარდტ, – უთხრა მან. – მე განვიზრახე მისი წართმევა.

– არ ვიცი, უმაგისოდ რა გამამძლებინებს, – უპასუხა დედამ.

– აბა, კარგად იყავით, – გამოემშვიდობა მისის გერჰარდტს სენატორი და კარისაკენ გაემართა.

იქ მყოფთ თავი დაუკრა და გარეთ გავიდა: დარაბებსა და ფარდებს ამოფარებული ცნობისმოყვარე მეზობლები ქურდულად იყურებოდნენ, უკვირდათ, ნეტავ ვინ უნდა იყოსო.

– ჯენი, ნახე, რა მომცა, – უთხრა შვილს გულლია დედამ, როცა სტუმარი გააცილეს.

– ეს იყო ქალაღდის ათდოლარიანი, ბრენდერმა გამომშვიდობებისას შეუმჩნევლად რომ ჩაუდო მისის გერჰარდტს.

მეხუთე თავი

დროთა განმავლობაში საქმე ისე წარიმართა, რომ ჯენი სენატორისგან დავალებული აღმოჩნდა. ეს ადამიანი დიდ ყურადღებას იჩენდა გერჰარდტების ოჯახისადმი და, ბუნებრივია, ჯენიც ღირსეულად აფასებდა. სენატორმა მამამისის ხელით აქაურ მეფაბრიკეს წერილი გაუგზავნა, რის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ მიიღეს სამუშაოზე. მართალია, ღამის დარაჯის ადგილი დიდი არაფერი იყო, მაგრამ უმუშევარი კაცისათვის მაინც ცხოვრების მუდმივ სახსარს წარმოადგენდა. ეჰ, ახლა სადღა არიან ასეთი კეთილშობილი და გულმოწყალე ადამიანები!

სენატორი არც მისის გერჰარდტს ივიწყებდა: ერთხელ საჩუქრად კაბა გამოუგზავნა, მეორედ – შალი. მთელ ამ სიკეთეს ბრენდერი ნაწილობრივ გულწრფელი დახმარების მიზნით აკეთებდა, ნაწილობრივ კი სიამოვნებისათვის. მაგრამ მისის გერჰარდტი ამაში მხოლოდ სენატორის გულმოწყალებას ხედავდა.

აბა, ჯენის გულის მოსაგებად ხომ არაფერს ზოგავდა. ბოლოს მათი ურთიერთდამოკიდებულება ისე გართულდა, რომ მასში გარკვევა ადვილი აღარ იყო. ეს უცოდველი, ნორჩი არსება თავისი გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის წყალობით წინ ვერ იყურებოდა, იმასაც ვერ უფიქრდებოდა, რა თვალთ შებედავდა ამ ამბავს ხალხი.

იმ ნეტარი და სამახსოვრო დღის შემდეგ, როცა ბრენდერმა დასძლია გოგონას თანდაყოლილი სიმორცხვე და ლოყაზე აკოცა, მათთვის სრულიად ახალი ხანა დადგა. ჯენი ბრენდერს უკვე მეგობრად თვლიდა და მისი თავისუფალი და ბუნებრივი საქციელი ეხმარებოდა ადვილად დაეძლია გაუბედაობა. დიახ, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჯენის ახლა უკეთ ესმოდა მისი. ორივენი გულიანად იცინოდნენ, გულიანად საუბრობდნენ. ბრენდერი ტკბებოდა, საოცრად სიამოვნებდა ახალგაზრდობისა და ბედნიერების ნათელ სამყაროს რომ დაუბრუნდა. მაგრამ დროდადრო უსიამოვნო ფიქრი აეკვიატებოდა და ვეღარ იშორებდა: იქნებ, სწორად არ ვიქცევით. დღეს თუ არა, ხვალ ხალხი შეამჩნევდა, რომ მრეცხავ ქალიშვილთან მისი ურთიერთობა ნორმების ზღვარს შორდებოდა. მართლაც, უფროს მოახლეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ სარეცხის წასაღებად მისული ჯენი ბრენდერთან ნომერში ხშირად თხუთმეტ წუთს, ზოგჯერ ნახევარ საათსაც კი რჩებოდა. ბრენდერი ხვდებოდა, რომ ამას სასტუმროს თანამშრომლები ყურადღებას მიაქცევდნენ, მერე ქალაქშიც ხმა გავრცელდებოდა, რაც კარგს არაფერს მოუტანდა. მიუხედავად ასეთი წინდახედულებისა, სხვაგვარად მოქცევა მას უკვე აღარ შეეძლო. თავს მხოლოდ იმით იმშვიდებდა, ამით ჯენის არაფერს ვუშავებო. თანაც ძალა არ შესწევდა თავის ცხოვრებაში ამ ერთადერთ სათუთ დამოკიდებულებაზე ხელი აეღო. სიმართლე რომ თქვას კაცმა, განა ჯენისათვის სიკეთე არ სურდა?

ბრენდერს ხშირად აეშლებოდა ხოლმე ეს მტანჯველი ფიქრები, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ჯენის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლო. მარტოდენ ზნეობრივი კმაყოფილება, მეტად მცირე საზღაური იქნებოდა იმ დიდი მსხვერპლისათვის, რაც მას უნდა გაეღო და რაც ასეთ დიდ ტკივილს მიაყენებდა. ამ წუთისოფელში დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა და წადილის შეუსრულებლად წასვლა არ უნდოდა.

ერთ საღამოს ბრენდერმა ჯენის მკლავები მოხვია და გულზე ძალუმად მიიკრა. მეორედ მუხლებზე დაისვა და ისე მოუთხრო ვაშინგტონში თავისი ცხოვრების ამბები. ამის შემდეგ უკვე აღარ უშვებდა კოცნის გარეშე, მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა მეტად სათუთად და მოკრძალებით. არ სურდა გოგონას შემფოთება.

ჯენის სულიერ უბრალოებას სიამოვნებას ჰგვრიდა ბრენდერის ასეთი საქციელი. მის ცხოვრებაში ბევრი რამ გაჩნდა ახალი და უჩვეულო, იგი გულუბრყვილო, გამოუცდელი ქალიშვილი იყო, მაგრამ ამავე დროს ძალიან ემოციური, სიყვარულისა ჯერ არაფერი გაეგებოდა, თუმცა უკვე იმ ასაკში იყო, სიამოვნება ეგრძნო ასეთი გამოჩენილი პიროვნების ყურადღებითა და მეგობრობით.

ერთ საღამოს ბრენდერის სავარძელთან მდგარმა ქალიშვილმა სენატორს შუბლზე გადმოყრილი თმა გადაუწია და ხელი გადაუსვა, მერე ჯიბიდან საათიც ამოუღო. მისმა ასეთმა თბილმა მოპყრობამ ბრენდერი აღაფრთოვანა.

– გინდათ, საათი გქონდეთ? – ჰკითხა მან.

_ უპ, ძალიან, _ ამოიოხრა გოგონამ.

მეორე დღეს სენატორმა ოქროულობის მაღაზიაში შეიარა და ლამაზი, ისრებმოჩუქურთმებული ოქროს საათი იყიდა.

_ ჯენი, რაღაც უნდა გაჩვენოთ, _ უთხრა გოგონას შემდეგ მოსვლაზე. _ ახა ამოიღეთ ჩემი საათი და მითხარით, რა დროა?

ჯენიმ ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო და გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა.

_ ეს თქვენი საათი არ არის! _ წამოიძახა გაკვირვებულმა ჯენიმ.

_ მართალია, ჩემი არ არის, _ მიუგო ქალის დაბნეულობით ნასიამოვნებმა მამაკაცმა. _ ეს თქვენი საათია.

_ ჩემია?! _ წამოიძახა ჯენიმ. _ ვაი, რა

კარგია! _ მოგწონთ? _ ჰკითხა ბრენდერმა.

ჯენის გულწრფელმა აღტაცებამ ბრენდერს გული აუჩვილა. სახელაწილ ჯენის თვალები უბრწყინავდა.

_ დიახ, თქვენი საათია, ატარეთ და ნუ დაკარგავთ. _

ოჰ, რა კეთილი ხართ! _ წამოიძახა ჯენიმ.

_ არა, _ უთხრა სენატორმა და წელზე მოხვია ხელი. არ იცოდა რა საჩუქარს მიიღებდა სამაგიეროდ. მამაკაცმა ნელ-ნელა მიიზიდა გოგონა თავისკენ. მადლობისა და თანაგრძნობის ნიშნად, ჯენიმაც შემოხვია მკლავები. ბრენდერისათვის ეს უმაღლესი ბედნიერება იყო. წლების განმავლობაში სწორედ ამგვარ ნეტარებაზე ოცნებობდა.

ეს იდილია დროებით შეწყვიტა კონგრესში ადგილებისათვის გაცხარებულმა შეხლა-შემოხლამ. მოწინააღმდეგის შეტევამ ბრენდერი აიძულა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა. საშინელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, როდესაც გაიგო, რომ მისდამი ადრე ყოველთვის კეთილგანწყობილი გიგანტური სარკინიგზო კორპორაცია ახლა საიდუმლოდ უჭერდა მხარს ბრენდერის ისედაც ძლიერ მეტოქეს. ღალატით თავზარდაცემულ სენატორს ხან სრული უიმედობა ეუფლებოდა, ხანაც გააფთრებულ იერიშზე გადადიოდა. ბრენდერი არ იმჩნევდა ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალს, მაგრამ სინამდვილეში საკმაო ტკივილი იწვნია. დიდი, ძალიან დიდი ხანია, დამარცხების სიმწარე აღარ უგემია. ამ დღეებში თვით ჯენიმაც გააცნობიერა რას ნიშნავს მამაკაცის ხასიათის მერყეობა. ბრენდერს ჯენი ორი კვირის უნახავი ჰყავდა, როცა ერთ საღამოს თავისი პარტიის ადგილობრივ ლიდერთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ საკმაოდ ცივად შეხვდა მას. გოგონამ კარზე დაუკაკუნა, სენატორმა კარი ოდნავ გამოაღო და თითქმის უხეშად მიახალა:

_ დღეს სარეცხისათვის არა მცალია, ხვალ მოდით!

ასეთი მიღებით გაკვირვებული და გულნატკენი ჯენი გამობრუნდა. აღარ იცოდა, რა ეფიქრა. წამით კვლავ მიულწეველი, უცხო და შორეული გახდა მისთვის ბრენდერი. გადაწყვიტა აღარ შეეწუხებინა. ალბათ, მასთან მეგობრულ ურთიერთობასაც გაწყვეტს, რაკი ასეა, მაგრამ რატომ...

ერთი-ორი დღის შემდეგ ბრენდერმა ინანა თავისი საქციელი, მაგრამ საქმის გამოსასწორებლად არ ეცალა. სარეცხი წაიღეს და დაუბრუნეს სრულიად ოფიციალურად. ბრენდერი ისე იყო თავის საქმეებში ჩაფლული, აღარაფერი აგონდებოდა, ვიდრე საბოლოოდ და მწარედ არ დამარცხდა. მისმა მოწინააღმდეგეებმა ორი ხმით მეტი მიიღეს. ახლა რაღა დარჩენოდა?

ამ გამოუვალ მდგომარეობაში იყო სენატორი, როდესაც მასთან, ჩვეულებისამებრ, იმედით სავსე და ხალისიანი ჯენი მივიდა. მჭმუნვარე ფიქრებში ჩაფლული, სასოწარკვეთილებამდე მისული ბრენდერი ჯენის მხოლოდ გულის გადასაყოლებლად გამოელაპარაკა, მაგრამ თანდათან ნაღველი გადაეყარა, ის კი არა, გაიღიმა კიდევ.

– ეჰ, ჯენი, ჯენი, – მიმართა გოგონას, თითქოს ბავშვიაო. – რა ბედნიერებაა, ახალგაზრდა რომ ხარო. ეს ისეთი ძვირფასი განძია ამქვეყნად.

– მართლა?

– დიახ, მაგრამ თქვენ ეს ჯერ კიდევ არ გესმით, ამას ყოველთვის გვიან იგებს ადამიანი.

«მიყვარს ეს გოგონა», – ფიქრობდა იმ ღამით ბრენდერი. «როგორ მინდა სულ ჩემთან იყოს».

მაგრამ ბედი კიდევ ერთ დარტყმას უმზადებდა. სასტუმროში ავი ენები ალაპარაკდნენ, ჯენი, ცოტა არ იყოს, შეუფერებლად იქცევას. სარეცხის მრეცხავ გოგონას გაუკიცხავს. აბა ვინ დატოვებდა, როცა თავისი მდგომარეობისათვის შეუსაბამო ნივთის მფლობელობას შეამჩნევდნენ. ჯენის ოქროს საათი დაუნახეს. უფროსმა მოახლემ ეს ამბავი მყისვე აცნობა დედამისს.

– უნდა მოგელაპარაკოთ, – უთხრა მან ჯენის დედას, – სარეცხის წასაღებად ქალიშვილი აღარ გამოგზავნოთ, თორემ აქ ჭორაობა დაიწყებს.

მისის გერჰარდტი ისე გააოცა და შეაშფოთა ნათქვამმა, რომ ენა ჩაუვარდა. ჯენის რომ არაფერი უთქვამს ამაზე? მაგრამ დედას არა სჯეროდა, რომ მხოლოდ ეს საჩუქარი შეიძლებოდა გამხდარიყო მითქმა-მოთქმის საბაზი. სენატორის ნაჩუქარმა ოქროს საათმა დედა ძალიან გაახარა, მაგრამ სულაც არ უფიქრია, რომ შეიძლებოდა ამ ამბავს მისი ქალიშვილის სახელი შეელახა.

შინ დაბრუნებულმა დანაღვლიანებულმა დედამ ქალიშვილს ყოველივე უამბო. თუმცა ჯენი თავის საქციელში ცუდს ვერას ხედავდა. ეს კი იყო, დედისათვის ყველა წვრილმანი როდი გაუმხელია.

– ეს რა უბედურებაა, რატომ აჭორავდა ხალხი? – ვიშვიშებდა ქალი. – გამაგებინე, მართლა დიდხანს რჩებოდი ოთახში?

– რა ვიცი, – ენის ბორძიკით მიუგო ჯენიმ, სინდისმა ნება არ მისცა სავსებით უარყო სიმართლე. – იქნებ, მიგვიანდებოდა კიდევ.

– მერე, უკადრისს ხომ არას გეუბნებოდა?

– არა, – მიუგო ჯენიმ. იგი ბრენდერთან ურთიერთობაში საეჭვოს ვერაფერს ხედავდა.

დედა რომ უფრო ბეჯითად ჩაჰკითხებოდა, ბევრ საგულისხმოს გაიგებდა, მაგრამ გულის დასამშვიდებლად საუბრის შეწყვეტა არჩია. კარგ ადამიანს

ბევრი მტერი ჰყავსო, ამბობდა თავისთვის. ჯენიც, ალბათ, ცოტა არ იყოს, წინდაუხედავად იქცეოდა. ხალხს ოღონდ სალაპარაკო მიეცეს და მეტი რა უნდა. ისედაც მძიმე ცხოვრება ჰქონდა საწყალ ჯენის და სხვანაირად აბა როგორ მოქცეულიყო? ამის გაფიქრებაზე დედას გული აუჩუყდა და ცრემლიც წასკდა.

ბოლოს გადაწყვიტა სენატორთან თვითონ ევლო. მომდევნო ორშაბათს მისის გერჰარდტი ბრენდერის კარს მიადგა. როცა მასპინძელმა ჯენის მაგივრად დედამისი დაინახა, სახეზე აშკარა უკმაყოფილება დაეტყო.

– რა დაემართა ჯენის? – იკითხა მან.

ქალს ეგონა, ჯენის არყოფნას ვერც კი შეამჩნევსო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თავს შეიკავებს და მიზეზს არ მკითხავსო. ახლა ამ კითხვამ უცებ დააბნია და აღარ იცოდა, რა ეპასუხა. მერე გულუბრყვილო გამომეტყველებით ახედა სენატორს და ესლა უთხრა:

– ჯენი დღეს ვერ მოვა.

– ავად ხომ არ არის? – დაინტერესდა

მამაკაცი. – არა.

– ძალიან სასიამოვნოა, – თქვა მან თავმდაბლად. – თვითონ როგორ ბრძანდებით?

მისის გერჰარდტმა სენატორის თავაზიან კითხვებს უპასუხა და დაემშვიდობა. ქალის წასვლისთანავე ბრენდერს უსიამო ფიქრები აეშალა: რა მოხდა, რატომ არ მოვიდა ჯენი? მერე თვითონვე გაუკვირდა, ასეთ რამეზე რომ წუხდა.

იმ შაბათ დღეს კი, როცა ჯენის მაგივრად ისევ დედამ მოიტანა სარეცხი, ბრენდერმა იგრძნო, რომ აქ კარგი ამბავი არ იყო.

– რა მოხდა, მისის გერჰარდტ? – მოუთმენლად იკითხა სენატორმა. – რა მოუვიდა თქვენს ქალიშვილს?

– არაფერი, სერ, – მიუგო აფორიაქებულმა დედამ, რომელსაც მოტყუების თავიც არა ჰქონდა.

– რატომ თვითონ აღარ მოდის სარეცხის წასალებად?

– მე... მე... – წაილულლულა ენის ბორძიკით საწყალმა ქალმა. – ის... რაღაც მითქმა-მოთქმა დაუწყიათ ჯენიზე, – ძლივს ამოთქვა ქალმა ბოლოს.

– ვის დაუწყია მითქმა-მოთქმა? – მკაცრად ჰკითხა მან.

– სასტუმროს თანამშრომლებს.

– რომელ თანამშრომლებს? – სენატორის ხმას მღელვარება

შეეპარა. – უფროს მოახლეს.

– მოახლეს?! – წამოიყვირა მან. – მაინც რაო, რა უთქვამს?

დედამ ყოველივე უამბო, რაც უფროსმა მოახლემ უთხრა.

– აი თურმე როგორ ყოფილა საქმე? – განრისხებით წამოიყვირა მან. – როგორ ბედავს ჩემს საქმეებში ცხვირის ჩაყოფას? საოცარია პირდაპირ, ეს ხალხი რატომ თავის თავს არ მიხედავს, რა ესაქმებათ სხვასთან? მისის გერჰარდტ, ჩემთან ურთიერთობა ცუდს არაფერს უქადის თქვენს ქალიშვილს.

ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრა! – დაუმატა მან აღშფოთებით. – ნუთუ ქალიშვილის ჩემთან მოსვლამ, სიბინძურეში უნდა გახვიოს იგი. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ!

– მე არაფერ შუაში ვარ, – მოუბოდიშა შემკრთალმა ქალმა, – ვიცი, ჯენი გიყვართ და ბოროტებას გულში არ გაივლებთ. რამდენი სიკეთე გაუკეთეთ ჯენის და საერთოდ ჩვენს ოჯახს, მისტერ ბრენდერ. მართალი გითხრათ, მრცხვენია კიდეც, შვილს რომ თქვენთან ვეღარ ვუშვებ.

– არაფერია, მისის გერჰარდტ, – მშვიდად უთხრა ბრენდერმა. – თქვენ სავსებით სწორად მოიქეციით და არც გამტყუნებთ. მე ის მაშფოთებს, სასტუმროში რომ ჭორაობა დაუწყიათ. ყველაფერს გავარკვევ.

მღელვარებისაგან გაფითრებული მისის გერჰარდტი შეშინებული იდგა, ვაითუ, ჩვენი ოჯახის ასეთი მოამაგე კაცი შეურაცხვეყავიო. მას მხოლოდ იმის ახსნა სურდა, რომ თვითონ უცოდველი იყო, რომ ხმებს სხვები ავრცელებდნენ. ქალს ძალიან ეშინოდა უსიამოვნებისა.

– ვიფიქრე, იქნებ, ასე აჯობოს-მეთქი, – როგორც იქნა, გაბედა ბოლოს.

– სწორადაც მოიქეციით, – მიუგო მან. – ჯენი ძალიან მიყვარს, მისი მოსვლა ყოველთვის მსიამოვნებს. მისთვის სიკეთე მინდა, მაგრამ, იქნებ, ჯობდეს, ერთხანს არ მოვიდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში.

იმ საღამოს სავარძელში მჯდარი სენატორი კვლავ ამ ამბავზე ფიქრობდა. აშკარად გრძნობდა, რომ ჯენი გაცილებით ძვირფასი იყო მისთვის, ვიდრე ეგონა. ახლა, როცა ჯენის ნახვა აღარ შეეძლო, იგრძნო, რა ფასი ჰქონდა მისთვის ქალიშვილის იმ ხანმოკლე ვიზიტებს. როცა ყოველივე გულდასმით განსაჯა, დარწმუნდა, რომ სასტუმროს ჭორებს ვერ ასცდებოდა. მიხვდა, გოგონა, მართლაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩააყენა.

«უმჯობესია ამ ამბავს ბოლო მოვუღო», – გაიფიქრა ბოლოს და დაასკვნა: «მართლაც, მეტად წინდაუხედავად ვიქცეოდი».

ამ გადაწყვეტილებით გაემგზავრა ბრენდერი ვაშინგტონში და იქამდე დაჰყო, ვიდრე მისი სენატორობის უფლებამოსილება არ დამთავრდა. მერე ისევ კოლუმბუსში დაბრუნდა. ელოდებოდა მისდამი მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი პრეზიდენტი როდის შესთავაზებდა ახალ, საპასუხისმგებლო თანამდებობას. დრო და საქმეები შეიცვალა, მაგრამ ჯენი მაინც ვერ დაივიწყა. რაც უფრო შორს იყო მისგან, მით უფრო უძლიერდებოდა გოგონას ნახვის სურვილი. ბრენდერი ისევ იმ სასტუმროში დაბინავდა. ერთ მშვენიერ დილას აიღო თავისი ჯოხი და ჯენის სახლისაკენ მიმავალ გზას გაუყვა. სახლთან რომ მივიდა, შიგ შესვლა გადაწყვიტა და კარზე დააკაკუნა. მისის გერჰარდტი და მისი ქალიშვილი გაოცებული და თან მოკრძალებული ღიმილით შეხვდნენ. ბრენდერმა, არცთუ მაინცდამაინც გარკვეულად აუხსნა, რომ საქმეების გამო ქალაქიდან იყო წასული და ახლა სარეცხის საქმის მოსაგვარებლად მოვედიო, თითქოს მიზეზი მართლა ეს ყოფილიყო. მერე, რაკი ჯენისთან რამდენიმე წუთით მარტო დარჩენის საშუალება მიეცა, სიმხნევე მოიკრიბა და უთხრა:

– გინდათ, ხვალ საღამოს ერთად გავისეირნოთ?

– მინდა, – მიუგო ჯენიმ, რომლისთვისაც ეს კვლავ ახალი მაცდუნებელი რამ იყო.

სენატორმა გოგონას ალერსით მოუთათუნა ხელი. ყმაწვილივით უხაროდა, ჯენის რომ ისევ ხედავდა. გოგონა კი დღითიდღე მშვენდებოდა.. თოვლივით თეთრი წინსაფრითა და თავზე რკალად შემოვლებული ნაწნავით ისეთი სასიამოვნო შესახედავი იყო, თვალს ვერ მოწყვეტდით.

ბრენდერი მისის გერჰარდტის დაბრუნებას დაელოდა და ქალის შემოსვლისთანავე წამოდგა. მეტი დარჩენა უხერხული იყო.

– ხვალ საღამოს მე და თქვენი ქალიშვილი ერთად გასეირნებას ვაპირებთ, მინდა მის მომავალზე ველაპარაკო, – წარმოთქვა ბრენდერმა.

– როგორც გენებოთ, – მიუგო დედამ.

დედას არც ეს სურვილი მოჩვენებია ურიგოდ. ერთმანეთს ღიმილითა და მრავლისმეტყველი ხელის ჩამორთმევით დაშორდნენ.

– ასეთი სათნო გულის ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. – შენიშნა მისის გერჰარდტმა. – შენზე ყოველთვის დიდი სიამოვნებით ლაპარაკობს. იქნებ, განათლების მიღებაშიც კი დაგეხმაროს, რა ვიცი. ჯენი, ნამდვილად საამაყოა ასეთი ყურადღება.

– ვამაყობ კიდევ, – ალაღად მიუგო გოგონამ.

– თან საგონებელში ვარ ჩავარდნილი. აღარ ვიცი, მამაშენს ვუთხრა, თუ არა, მოგეხსენება, როგორ ეჯავრება საღამოობით შენი გარეთ გასვლა.

ბოლოს, მაინც დუმილი ამჯობინა, ვინ იცის, იქნებ სხვანაირად გაიგოსო.

მეორე დღეს, მართლაც გამოუარა ბრენდერმა, ჯენი მზად დახვდა. ლამპის მკრთალ შუქზე შეამჩნია, როგორ საგანგებოდ გამოწყობილიყო. გახამებული, კარგად გაუთოებული, მაღალსაყელოიანი, სამაჯურებზე მაქმანშემოვლებული ღია ლილისფერი ჩითის კაბა მშვენიერს აჩენდა მის ისედაც უნაკლო ტანს. არც ხელთათმანები ეცვა, არც რაიმე სამკაული ეკეთა. ჟაკეტი რა არის, ისიც კი არა ჰქონდა, მაგრამ გემოვნებით დავარცხნილი თმა მოდურ შლაპაზე უფრო უხდებოდა, დაუდევრად ჩამოვარდნილი რამდენიმე კულულის საყვარლად ერხეოდა შუბლზე. ბრენდერმა გოგონას ჟაკეტის წამოღება ურჩია, ჯენი წამით შეყოყმანდა, მერე შევიდა და დედას უბრალო ნაცრისფერი შალი გამოართვა. კაცს გული ეტკინა. მიხვდა, ჯენის თბილი არაფერი ებადა და ასე შილიფად აპირებდა გასვლას «საღამოა და გაიყინება, – გაუელვა თავში, – და რა თქმა უნდა, არც კი დაიჩვილებს». მერე ჯენის შეხედა და ფიქრებში წასულმა თავი გვერდზე გადააქნია. ისინი გზას გაუდგნენ და ბრენდერსაც ჯენის მეტი აღარაფერი ახსოვდა. ქალიშვილს თავისუფლად ეჭირა თავი და ბავშვური გატაცებით ათას რამეს უყვებოდა, რაც ბრენდერს გამოუთქმელ ნეტარებას ჰგვრიდა.

– მომისმინეთ, ჯენი, – უთხრა ბრენდერმა, როცა გოგონა ამომავალი მთვარის მოყვითალო შუქით განათებული ხეების სიმშვენიერემ გაიტაცა, –

თქვენ საოცარი ქმნილება ხართ. ასე მგონია, ცოტა მაინც რომ გესწავლათ, მშვენიერ ლექსებს დაწერდით.

– თქვენ გგონიათ, შევძლებდი? – გულწრფელად შეეკითხა ჯენი.

– მგონია, გოგონა? – კითხვა შეუბრუნა მან და ხელი მოჰკიდა. – გგონიაო? ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. თქვენ ამქვეყნად ყველაზე მომხიბვლელი მეოცნებე ხართ, მჯერა, რომ თქვენგან პოეტი დადგება. თქვენ პოეზიით სუნთქავთ, უფრო მეტიც, თვითონა ხართ პოეზია. ლექსებს წერთ თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა.

დედამიწის ზურგზე არაფერს შეეძლო გოგონას ასე აღელვება, როგორც ამ შექებას. ბრენდერი ყოველთვის რაღაც სასიამოვნოს ეუბნებოდა ხოლმე. ალბათ, ჯერ არავის ჰყვარებია, არ დაუფასებია ჯენი ისე, როგორც ამ კაცს. რა უზომოდ კეთილია! ყველა ამას ამბობს, თვით მამაც კი!

საუბარში გართულნი საკმაოდ შორს წავიდნენ. მერე, ბრენდერს თითქოს რაღაც გაახსენდაო, მოულოდნელად მიუბრუნდა.

– ნეტავ, რა დროა? იქნებ, უკვე დაბრუნება ჯობდეს? საათი თანა გაქვთ, ჯენი?

გოგონა უცებ შედრკა. ბრენდერის დაბრუნების შემდეგ სულ იმის შიშში იყო, რა მეშველება, საათი რომ მოიკითხოსო.

სენატორის აქ არყოფნაში ოჯახს ძალზე გაუჭირდა და ჯენი იძულებული გახდა საათი დაეგირავებინა. მართას ტანსაცმელი ისე შემოაცვდა, სკოლაში სიარული აღარ შეიძლებოდა. ითათბირეს, იმსჯელეს, და ბოლოს საათის დაგირავება გადაწყვიტეს.

ბასმა საათი იქვე, მახლობლად მევახშეს მიუტანა და კარგა ხნის დავის შემდეგ ათ დოლარად დააგირავა. მისის გერჰარდტმა ფული ბავშვებს მოახმარა და, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. მართა შეიმოსა და საწყალ ჯენისაც მეტი რა უნდოდა.

მაგრამ ახლა რა ექნა, როცა სენატორმა საათი ახსენა! ხაფანგში გაება. ჯენი მთელი ტანით ცახცახებდა. სენატორმა, რა თქმა უნდა, შეამჩნია.

– რა მოგივიდათ, ჯენი? – ალერსით უთხრა მან. – რამ შეგაკრთოთ

ასე? – ისე, არაფერი.

– საათი აღარა გაქვთ?

ჯენიმ პასუხი დააყოვნა. ტყუილის თქმაც ერიდებოდა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ გასაგონი ხმით უპასუხა:

– აღარა მაქვს, სერ.

გოგონას ცრემლები ახრჩობდა. ბრენდერმა დაწვრილებით გამოჰკითხა და ჯენიც გამოტყდა, ყოველივე უამბო.

– ნუ იდარდებთ, შემოგევლეთ, – ნაზად მიუალერსა მამაკაცმა. – თქვენსავით კარგი ქალიშვილი სხვა არსად მეგულება. რა ვუყოთ მერე, საათს გამოვისყიდი. ამის შემდეგ გახსოვდეთ: როგორც კი რაიმე გაგიჭირდებათ, მე მომავითხავთ! აქ თუ არ ვიქნები, მომწერეთ. აღარასოდეს დაგტოვებთ

უყურადღებოდ. ჩემი მისამართიც ყოველთვის გეცოდინებათ. უსათუოდ მაცნობეთ და ყოველთვის დაგეხმარებით. გასაგებია?

– დიახ, _ მიუგო ჯენიმ.

– მპირდებით, ხომ?

– დიახ.

წუთით ორივენი დადუმდნენ.

ბრენდერი გოგონას მიუბრუნდა და გაზაფხულივით მშვენიერი საღამოს სილამაზით დამტკბარმა გული გადაუშალა.

– ჯენი, დავრწმუნდი, რომ უთქვენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. თანახმა ხართ, რომ ერთმანეთს აღარასოდეს დავშორდეთ?

ჯენი განზე იყურებოდა და ხეირიანად ვერც კი მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას.

– არ ვიცი, _ უპასუხა დაბნეულმა გოგონამ.

– აბა, იფიქრეთ ამაზე, _ ალერსით უთხრა ბრენდერმა. _ მე ამას წრფელი გულით გეუბნებით. არ გინდათ ჩემი ცოლი გახდეთ და მერე სასწავლებლად სადმე სხვაგან წაგიყვანოთ?

– სასწავლებლად?

– დიახ, ქორწინების შემდეგ. _

რა თქმა უნდა, თანახმა ვარ...

ფიქრებით დედას გადასწვდა, იქნებ, მერე ჩემიანებსაც დავეხმაროთ. ბრენდერი შემობრუნდა და ჯენის დააკვირდა, სახის გამომეტყველების ამოკითხვა სურდა. პასუხი საკმაოდ ნათელი იყო. აღმოსავლეთით ხეთა კენწეროების გადაღმა ამომავალი ბადრი მთვარე ვარსკვლავებს ბრწყინვალეობას უკარგავდა.

– ნუთუ, სრულიად გულგრილი ხართ, ჯენი? _ ჰკითხა

მამაკაცმა. _ არა!

– აბა სარეცხის წასაღებად ჩემთან რომ აღარ დადიხართ, _ ნაღვლიანად შესჩივლა ბრენდერმა. ამ სიტყვებმა ჯენის გული აუჩვილა.

– ჩემი ბრალი არ არის, _ მიუგო ჯენიმ. _ მე რა უნდა მექნა. დედამ მითხრა, აღარ წახვიდეო.

– დედა მართალია, _ კვერი დაუკრა ბრენდერმა. _ არ შეწუხდეთ, ეს ისე ვთქვი, გეხუმრეთ, მაგრამ რომ შეგეძლოთ... ხომ სიამოვნებით მოხვიდოდით ჩემთან?

– დიახ, _ უნებურად აღმოხდა ჯენის.

მამაკაცმა ჯენის ხელს ალერსიანად მოუჭირა ხელი.

ამ მოფერებამ, ამ ალერსიანმა სიტყვებმა გოგონას გული სითბოთი აუვსო და უეცრად ბრენდერს კისერზე მკლავები შემოხვია.

– თქვენ უზომოდ კეთილი ხართ!

– ჯენი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო გოგონა, თქვენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

მეექვსე თავი

ამ ბედუკუდმართი ოჯახის მამას, უილიამ გერჰარდტს, ცხოვრებაზე საკმაოდ თავისებური შეხედულებები ჰქონდა. წარმოშობით საქსონიელი გახლდათ. ჯერ კიდევ თვრამეტი წლის ყმაწვილი აღაშფოთა საყოველთაო სამხედრო ვალდებულებების კანონმა და პარიზში გაიქცა, პარიზიდან – ამერიკაში და ამ აღთქმულ მიწაზე დასახლდა. აქ რომ ჩამოვიდა, ჯერ ნიუ-იორკისკენ აიღო გეზი, მერე დასავლეთის მხარეს გაუყვა. ერთხანს პენსილვანიის შუმის ქარხნებში იმუშავა. ახალი ქვეყნის ერთ მშვენიერ სოფელში თავისი გულისსწორი იპოვა. სწორედ ისეთი, ბევრჯერ რომ უოცნებია. ეს იყო გერმანული წარმოშობის ერთი სადა, ამერიკელი გოგონა, რომელიც მასთან ერთად იაგსტაუნში გადაბარგდა. ბოლოს კოლუმბუსში დაიდეს ბინა. მთელი ამ ხნის მანძილზე თან ახლდა შუმის მეფაბრიკეს, გვარად ჰემონდს, რომლის საქმეები ხან აღმა ადიოდა, ძლიერდებოდა, ხანაც დაღმა ეშვებოდა.

გერჰარდტი პატიოსანი კაცი იყო და ეამაყებოდა კიდევ მის სისპეტაკეს რომ ხედავდნენ.

– უილიამ, – ეტყოდა ხოლმე უფროსი – ჩემთან იმუშავე, სანდო კაცი ხარ!

ეს შექება მისთვის ოქრო-ვერცხლზე ძვირფასი იყო. პატიოსნება და რელიგიური რწმენა ბავშვობიდანვე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. მამა-პაპა კეთილსინდისიერი გერმანელი ხელოსნები იყვნენ. მათ თავის დღეში სხვისი ერთი გროშიც არ მიუთვისებიათ. სწორედ ეს უდრეკი პატიოსნება გადაეცა მემკვიდრეობით.

გერჰარდტი ჭკმდარიტი ლუთერანი იყო. ეკლესიაში გამუდმებულმა სიარულმა და შინ გამეფებულმა წეს-ჩვეულების დაცვამ ეს რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცა. მღვდლის სიტყვა კანონი იყო მამის სახლში. უილიამის აზრით, ლუთერანული ეკლესია ყოვლისშემძლე გახლდათ, ხოლო მისი ქადაგება იმქვეყნიურ ცხოვრებაზე შეუმცდარი და უდავო. რაც შეეხება ცოლს, იგი ფორმალურად აღიარებდა მენონიტების მოძღვრებას და ამიტომაც იოლად მიიღო ქმრის სარწმუნოება. ასე გახდა მთელი ოჯახი ღვთისმომშიში, სადაც უნდა გადაბარგებულიყვნენ საცხოვრებლად, პირველ რიგში ლუთერანულ ეკლესიას მიაკითხავდნენ. ასე რომ, მღვდელი მათ სახლში ყველაზე სასურველი სტუმარი იყო.

კოლუმბუსის ლუთერანული ეკლესიის პასტორი ვუნდტი გულწრფელი და თავგამოდებული ქრისტიანი გახლდათ. ვინც მისი სამწყსოდან ბანქოს ითამაშებდა, იცეკვებდა ან თეატრში ივლიდა, პასტორის აზრით, საიქიოს წაწყმედა ელოდა, ვინც მის ქადაგებას არ დაემორჩილებოდა, ჯოჯობეთში მოხვდებოდა. ზომიერ სმასაც კი ცოდვად თვლიდა, თამბაქოს მოწევასაც, თუმცა თვითონ ეწეოდა. უმანკოების დაცვა ქორწინებამდე, ხოლო შემდეგ პატიოსნება ცოლ-ქმრული ურთიერთობის დროს ქრისტიანის წმინდა ვალი

იყო. ვერაფერი იხსნის ქალიშვილს, რომელსაც არ ძალუძს თავისი უბიწოების შენარჩუნება და მასთან ერთად მის მშობლებს, საკუთარ ქალიშვილს რომ ვერ მოუარეს. ყველას ჯოჯოხეთი ელის. აირჩიეთ სწორი და ჭეშმარიტი გზა, თუ გინდათ, რომ საუკუნო სასჯელს გვერდი აუაროთ, იცოდეთ, ცოდვილს უფალი ღმერთის რისხვა არ ასცდება.

გერჰარდტი, მისი ცოლი და ჯენი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ეკლესიის მოძღვრებას. თუმცა ჯენის ეს მორჩილება მხოლოდ გარეგნული იყო. ეკლესიას ჯერ მასზე გადამწყვეტი გავლენა ვერ მოეხდინა. სიამოვნებდა იმის ცოდნა, რომ არსებობს სამოთხე, მაგრამ ჯოჯოხეთი შიშის ზარს ჰგვრიდა. ჯენიმ იცოდა, რომ ქალიშვილები და ყმაწვილები წესიერად უნდა მოქცეულიყვნენ და მშობლებისათვის დაეჯერებინათ. რაც შეეხება რელიგიის დანარჩენ საკითხებს, ჯენის სრულიად არაფერი გაეგებოდა.

მამა გერჰარდტს ღრმად სწამდა, რომ ეკლესიის კათედრიდან წარმოთქმული სიტყვები მხოლოდ ჭეშმარიტება იყო. საიქიო ცხოვრებაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

გადიოდა წლები, ამგვარად გაზრდილი კაცისათვის ცხოვრება თანდათან გაუგებარი და აუხსნელი რჩებოდა და გერჰარდტიც რელიგიის დოგმებს ებლაუჭებოდა, ყველა კითხვას რომ პასუხობდა... ოჰ, ნეტავი ისეთი უმწიკვლო და მტკიცე კაცი გამოდგეს, რომ უფალმა ღმერთმა ხელი არ აიღოს და შეიწყნაროს იგი. მამა მარტო თავის თავზე როდი ფიქრობდა, ცოლსა და შვილებზეც ზრუნავდა. ეშინოდა იმ დღის დადგომისა, როცა მათ საქციელზედაც უნდა ეგო პასუხი. იქნებ, მისმა სისუსტემ და მარადიული კანონების ჩანერგვის უხეირო ქადაგებამ სულაც დაღუპვის კარამდე მიიყვანოს მისიანები. ასე ფიქრობდა მამა გერჰარდტი და თვალწინ ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამება ედგა, თან საკუთარ თავს ეკითხებოდა: რა მოელოდა სიცოცხლის ბოლო საათს თვითონ მას ანდა მისიანებს?

ბუნებრივია, რელიგიის ასეთმა ღრმა რწმენამ მკაცრი და პირქუში გახადა შვილებთან დამოკიდებულებაში. გერჰარდტი ამრეზით უყურებდა ახალგაზრდობის გართობასა და სიამოვნებას. მისი ნება რომ ყოფილიყო, ჯენის სიყვარულისათვის არ მოაცლიდა. ქალაქში სადმე ვაჟი რომ გაეცნო, სულ ერთია, შინ არ შეაშვებინებდა. გერჰარდტს დავიწყებოდა, რომ ერთ დროს ისიც ახალგაზრდა იყო. ახლა მარტო ქალიშვილის სულის გადარჩენაზე ზრუნავდა. ასე რომ, სენატორი სრულიად ახალი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში. როცა ბრენდერი პირველად ჩაერია მათი ოჯახის საქმეებში, გერჰარდტი დაიბნა, მისი წარმოდგენა ცხოვრების ავ-კარგზე შეუსაბამო აღმოჩნდა, ვერ განსაზღვრა, რა საზომით მიდგომოდა ასეთ პიროვნებას. ბრენდერი ხომ ჩვეულებრივი თაყვანისმცემელი არ იყო, მის მშვენიერ ასულს რომ გაარშიყებოდა. სენატორის ჩარევა ამ ოჯახის შინაურ საქმეებში, რაღაც ისეთი თავისებური, ისეთი სათუთი რამ იყო, ამ კაცმა უმაღლესად დაიკავა მათ ცხოვრებაში საპატიო ადგილი. ეს ისე უცებ მოხდა, რომ შექმნილ ვითარებაში მაშინვე ვერ გაერკვა. გერჰარდტიც კი შეცდა... ასეთი პიროვნებისაგან პატივისა

და სარგებლობის გარდა, ცუდს არაფერს მოელოდა, ამიტომაც მიიღო მისი მზრუნველობა და სამსახური სრული სიმშვიდით. ეს იყო, რომ ცოლი ყველაფერს არ უმხელდა. ქალმა დაუმალა ის აუარება საჩუქარი, რაც ბრენდერმა შობამდე თუ შობის შემდეგ გამოუგზავნა.

ერთ მშვენიერ დილას, როდესაც გერჰარდტი ღამის სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა, მეზობელმა, ოტო უივერმა შეაჩერა.

– გერჰარდტ, შენთან ცოტაოდენი საქმე მაქვს, როგორც მეგობარს, ორიოდ სიტყვა მინდა გითხრა. მეზობლები იმ კაცზე ჭორობენ, აი, შენს ქალიშვილთან რომ დადის, – უთხრა მეზობელმა და დადუმდა.

– ჩემს ქალიშვილთან? – გაიმეორა ამ უეცარი თავდასხმით უზომოდ გაოგნებულმა გერჰარდტმა. – ვისზე ამბობ? მე არავინ ვიცი... ვინ დადის ჩემს ქალიშვილთან?

– არ იცი? – ჰკითხა მოსაუბრეზე არანაკლებ გაოცებულმა უივერმა. – აი, იმ ჭადარა, შუახნის კაცზე გეუბნები, ზოგჯერ ჯოხითაც რომ დადის, როგორ, მართლა არ იცნობ?

საგონებელში ჩავარდნილი გერჰარდტი ცდილობდა გაეხსენებინა, ვის გულისხმობდა მეზობელი.

– როგორც ამბობენ, უწინ სენატორის პოსტი ეჭირა, – ყოყმანით განაგრძო, – თუმცა ნამდვილად კი არ ვიცი.

– ჰოო, – ერთგვარი შვებით წარმოთქვა გერჰარდტმა. – ჰო, ხანდახან შემოივლის ხოლმე. მართალია. მერე, რაო, რა მოხდა?

– არა, არაფერი, – მიუგო მეზობელმა. – ხალხი ჭორობს. ხნიერი კაცია და... ზოგჯერ ის და შენი ქალიშვილი სასეირნოდაც დადიან ხოლმე. მეზობლებს დაუნახავთ და, ხომ იცი, გააქვთ და გამოაქვთ. ჰოდა, ვიფიქრე, მოდი, მეგობარია, მეზობელია, ვეტყვი, ასე აჯობებს-მეთქი.

გერჰარდტი სულით ხორცამდე შეძრა ამ საშინელმა სიტყვებმა. ხალხი ტყუილუბრალოდ არაფერს იტყვის: ნამდვილად ჯენი და დედამისი ანკესზე წამოეგნენ, მაგრამ მამამ მაინც უყოყმანოდ დაიცვა შვილი.

– ის ჩვენი ოჯახის მეგობარია, – თქვა შემკრთალმა გერჰარდტმა. – მეზობლები ტყუილად გარჯილან და ენა დაუგრძელებიათ. რაც არ იციან, იმაზე რატომ ყბედობენ. ჩემს შვილს ცუდი არაფერი ჩაუდენია.

– რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია, – უთხრა უივერმა. – მეზობლები რაზე აღარ ყბედობენ. მაგრამ ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ, ამიტომ ვიფიქრე, გავაფრთხილებ-მეთქი.

პირდაღებული გერჰარდტი ერთ წამს გაუნძრევლად იდგა, საოცარ უძლურებას შეეპყრო. მეტი უბედურება რა გინდა, როცა ხალხი მტრად გადაგეკიდება. მერედა როგორი მნიშვნელობა აქვს მათ მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას. როგორ ცდილობდა, ისე ეცხოვრა, წესისთვის არ გადაეხვია. ნეტავ, ყველამ თავი დაანებოს, რა ყბა დაადგეს?

– მადლობელი ვარ, რომ მითხარი, – ჩაიდუდუნა და სახლისკენ გაუყვა. – კარგად იყავი.

შინ მისულმა, როგორც კი დრო იხელთა, ცოლს მაშინვე გამოჰკითხა:

– ეს სენატორი ბრენდერი რაღას დადის და ჯენიც რას ატორღიალება? –
ჰკითხა ცოლს გერმანულად. – მეზობლებს უკვე ჭორაობა გაუმართავთ.

– რას უნდა დადიოდეს? – უპასუხა ამ კითხვით ცოტა არ იყოს
დამფრთხალმა ცოლმა გერმანულადვე. – რაღაც ორჯერ თუ სამჯერ წაიყვანა
და ეგ იყო და ეგ.

– მერე, რატომ არ მითხარი? – შეეპასუხა აშკარად აღშფოთებული ქმარი.
გაჯავრდა, დატუქსვის მაგიერ მეუღლე შვილს ხელს რომ აფარებდა.

– რა ვიცი, – უპასუხა თავგზააზნეულმა ცოლმა. – ორ-სამჯერ იყო, მეტჯერ
არა.

– ვითომ მეტჯერ არა? – თანდათან აუწია ხმას გერჰარდტმა. – მთელი
მეზობლები ამაზე ლაპარაკობენ! რა არის ეს, რას ჰგავს?

– რა ვიცი, მეტჯერ არ ყოფილა და, – ჩუმი ხმით იმეორებდა ქალი.

– შინ რომ მოვდიოდი, გზაზე უივერმა გამაჩერა და მითხრა, – განაგრძო
გერჰარდტმა. – მთელი ჩვენი მეზობლები შენი ქალიშვილისა და იმ კაცის
ერთად სეირნობაზე ჭორაობენო. მე კი არა ვიცოდი რა და ვირივით ვიდექი, ენა
ვერ მოვაბრუნე, რა მეტქვა? აბა, მითხარი, როგორი მოსასმენია? არა, რას
იფიქრებდა ჩემზე?

– ამით არაფერი დაშავებულა, – მოიშველია გერმანული ეფექტური
გამოთქმა ქალმა. – ჯენი ერთი-ორჯერ გაჰყვა სასეირნოდ. ის კაცი შინ მოვიდა
და წაიყვანა. რა არის აქ სალაპარაკო! ვითომ არ შეიძლება, ქალიშვილი ცოტათი
რომ გაერთოს? – შეება მისის გერჰარდტი.

– ის კაცი ხომ ხანში შესულია, – გაიმეორა უივერის სიტყვები გერჰარდტმა.
– გამოჩენილი პიროვნებაა, თანაც სულ სხვა წრიდან და ჯენისნაირ გოგოსთან
რა ესაქმება?

– არ ვიცი, – მიუგო ცოლმა. – ჩვენთან თვითონ მოდის. კარგის მეტი მასზე
არაფერი გამიგია და, აბა რა გითხრა? ხომ ვერ ვეტყვი, ნუ მოდიხარ-მეთქი?

გერჰარდტი გაჩუმდა. სენატორს თვითონაც ისე იცნობდა, როგორც რიგიან-
პირიან კაცს. მართლაცდა ისეთი რა მოხდა?

– მეზობლებმა ოღონდ გული იჯერონ ლაყბობით და მეტი აბა რა უნდათ.
საქმე შემოლევიათ და ახლა ჯენი ამოუღიათ მიზანში. შენ თვითონაც ხომ
კარგად იცი, რომ ჩვენი ჯენი კარგი გოგოა. რა აქვს გასაკილი? – თქვა დედამ და
თვალები ცრემლით აევსო.

– ეგ მართალია, – ჩაიბუზღუნა გერჰარდტმა. – მაგრამ მაგ ხნის კაცი მაინც
არ უნდა მოდიოდეს, აბა, რატომ უნდა მიჰყავდეს ასე ახალგაზრდა გოგო
სასეირნოდ, თუნდაც მხოლოდ კეთილი ზრახვებით.

სწორედ ამ დროს ჯენი თავის ერთ-ერთ დასთან ერთად იმ ოთახიდან
გამოვიდა, საწოლ ოთახად რომ იყენებდა. მშობლების საუბარს მოჰკრა ყური,
მაგრამ ეჭვადაც არ უფიქრია, თუ ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს ყველაფერი.
ჯენის შემოსვლისთანავე დედა ზურგით შებრუნდა და იმ მაგიდისკენ

გადაიხარა, ზედ რომ ნამცხვარს აგუნდავებდა. ცდილობდა, დაწითლებული თვალები ქალიშვილისთვის არ დაენახებინა.

– რა მოხდა? _ იკითხა დამაბული სიჩუმით შემკრთალმა ჯენიმ. _ არაფერი, –მტკიცედ მიუგო მამამ.

დედა არ შემობრუნებულა, მაგრამ სწორედ ეს უძრაობა იყო მრავლისმეტყველი. ჯენი დედას მიუახლოვდა და მაშინვე მიხვდა, რომ ტიროდა.

– რა მოხდა? _ გაოცებით გაიმეორა ჯენიმ და მამას შეხედა.

გერჰარდტს ხმა არ ამოუღია, მისმა უმანკო გამოხედვამ მამას შიში გაუქრო.

– რა და მეზობლები, _ ამოიოხრა დედამ, _ ოღონდ ილაპარაკონ და მაგათთვის სულ ერთია, იციან რამე თუ არა.

– კიდევ ჩემზე ლაპარაკობენ? _ იკითხა ჯენიმ და ლოყები შეუფაკლდა.

– ხედავთ, _ შენიშნა მამამ და სივრცეს გახედა, _ მშვენივრად იცის ყველაფერი. რატომ არ მეუბნებოდით, ის კაცი თუ აქ დადიოდა? მთელი მეზობლები ამაზე ჭორაობენ და მე აგერ, დღეს გავიგე. როგორ მოგწონს?

– ოჰ, ნეტავ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! _ წამოიძახა დედის სიბრალულით ანთებულმა ჯენიმ.

– რა მნიშვნელობა აქვს! _ გერმანულად გაიმეორა გაცეცხლებულმა მამამ, თუმცა ჯენი ინგლისურად პასუხობდა. _ ხალხი ქუჩაში მაჩერებს და ჩემი ოჯახის ამბებს მიყვება, ეს კი მეუბნება, არაფერიაო. გრცხვენოდეს მაინც. ბრენდერი ყოველთვის კარგი კაცი მეგონა, მაგრამ ახლა რა ვიფიქრო, როცა მე ყველაფერს მიმალავდით, მეზობლები კი აჭორავეთ. საკუთარ ამბავს სხვები უნდა მაგებინებდნენ?

დედა-შვილს ენა ჩაუვარდა. ჯენი დაეჭვდა, ალბათ, რაღაც შეცდომა მომივიდაო.

– მე დასამალი არაფერი ჩამიდენია, _ თქვა გოგონამ, _ ერთხელ წამიყვანა სასეირნოდ და ეგ იყო.

– მერე, რატომ არ მითხარი? _ შეეპასუხა მამა.

– ხომ ვიცი, სალამოს ჩემი გარეთ გასვლა რომ არ გიყვარს. ჰოდა ამიტომაც აღარაფერი გითხარი. სხვა რა მაქვს დასამალი?

– სწორედაც სალამოს არსად არ უნდა წაეყვანე, _ განაგრძობდა მეზობლების ლაპარაკით დაშინებული მამა. _ რა უნდა? რას დადის? ამ ხანდაზმულ მამაკაცს რა საერთო აქვს შენთან, არ ვიცი?

– არაფერიც არ უნდა, მხოლოდ ჩემი დახმარება სურს, _ ჩაიბურტყუნა გოგონამ. _ ჩემი ცოლად შერთვა.

– ცოლად შერთვა! აი მესმის! მერე რატომ მე არაფერს მეუბნება? _ დაიყვირა გერჰარდტმა. _ ეს მე მკითხოს, ეგ ჩემი საქმეა! მე ნებას არ მივცემ, აქ ჩემს ქალიშვილს ეკურკუროს და მეზობლები აჭორაოს! ასაკს სადღა წაუვა? ამას პირშიც ვეტყვი. რა უფლება აქვს აბუჩად აიგდოს ჩემი ქალიშვილის კარგი სახელი. ის ურჩევნია, აქ აღარ მოადგას ფეხი!

გერჰარდტის მუქარამ დედა-შვილს თავზარი დასცა. ნუთუ მართლა ეტყვის ბრენდერს, აღარ მოხვიდეთ. მერე, რა სიკეთეს მოიტანს ეს ამბავი? რა მდგომარეობაში ჩაცვივდებიან ისინი?

გავიდა დრო და ბრენდერი, რასაკვირველია, ისევ მოვიდა, როცა გერჰარდტი სამუშაოდ იყო. დედა-შვილი შიშისაგან კანკალებდა, მამამ არ გაიგოსო. რამდენიმე დღის შემდეგ ბრენდერმა კვლავ წაიყვანა ჯენი სასეირნოდ. ჯენიმ და დედამისმა ეს ამბავი მამას დაუმალეს, მაგრამ გაუგებარი მაინც არ დარჩა.

– ჯენიმ ისევ ისეირნა იმ კაცთან? – ჰკითხა გერჰარდტმა ცოლს მეორე დღეს. – ჰო, გუშინ მოვიდა, – მიუგო დაბნეულმა მისის გერჰარდტმა.

– მერე, ჯენიმ არ უთხრა, არ მოხვიდეთ?

– არ ვიცი, არა მგონია.

– კარგი, მაშინ მე თვითონ მოვუღებ ბოლოს ამ ამბავს, – მკვახედ მოუჭრა ქმარმა. – მე მოველაპარაკები. აბა, ერთი კიდევ მოდგას ფეხი.

სალამოს გერჰარდტი სამჯერ დაეთხოვა უფროსს სამუშაოდან და გულმოდგინედ ჩაუსაფრდა სახლის მახლობლად, ამოწმებდა, მოვიდოდა თუ არა ის კაცი. მეოთხე სალამოს ბრენდერი მოვიდა და უჩვეულოდ აღელვებული ჯენი სასეირნოდ წაიყვანა. ჯენის ეშინოდა, ვაითუ მამამ რაიმე შეუფერებელი საქციელი ჩაიდინოსო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

სწორედ ამ დროს გერჰარდტი სახლს უახლოვდებოდა და გარეთ გამოსულ ჯენის მოჰკრა თვალი. მისთვის ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. შინ აუჩქარებელი ნაბიჯით შევიდა და ცოლს ჰკითხა:

– სად არის ჯენი?

– სადღაც გავიდა, – მიუგო ცოლმა.

– მე კარგად ვიცი, სადაც არის – თავად დავინახე. – დაიცა ჯერ დაბრუნდნენ, იმ კაცს მე მოვუვლი.

მერე მშვიდად დაჯდა და გერმანული გაზეთის კითხვა დაიწყო. ეს იყო, რომ ცოლს შუბლს ქვემოდან მალიმალ გახედავდა ხოლმე. აი, როგორც იქნა ჭიშკარი გაჯახუნდა და წინკარი გაიღო. გერჰარდტი წამოდგა.

– სად იყავი? – გერმანულად დაუყვირა ჯენის.

ბრენდერი ასეთ შეხვედრას ნამდვილად არ მოელოდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. სასოწარკვეთილი ჯენი მოიბუზა, დედა სამზარეულოში შიშისაგან კანკალებდა.

– სასეირნოდ ვიყავი, – უთხრა დამფრთხალმა ჯენიმ.

– ხომ გითხარი, სალამოს გარეთ ფეხი არ გაადგა-მეთქი? – ისე შეუტია მამამ შვილს, რომ ბრენდერისათვის იოტისოდენა ყურადღება არ მიუქცევია.

ყაყაჩოსავით ალექილმა ჯენიმ კრინტი ვეღარ დაძრა.

– რა მოხდა? – შთამაგონებლად წარმოთქვა ბრენდერმა. – ასე რატომ უჯავრდებით ჯენის?

– სალამოს შინიდან არ უნდა გადიოდეს, – უხეშად გამოეპასუხა გერჰარდტი – რამდენჯერ ვუთხარი და არ გაიგონა. არც თქვენ არაფერი გესაქმებათ აქ.

– რატომ? – ჰკითხა სენატორმა ცოტაოდენი შეყოვნების შემდეგ. ცდილობდა სათქმელი საგულდაგულოდ შეერჩია. – არაფერი მესმის, რა ჩაიდინა თქვენმა ქალიშვილმა ასეთი?

– რა ჩაიდინა?! – დაიყვირა გერჰარდტმა. დიდი მღელვარებისაგან ინგლისურ სიტყვებს სულ უფრო გაუგებრად წარმოთქვამდა. – იმის მაგივრად, რომ სალამოს შინ იჯდეს, ეს ქუჩაში დახეტიალებს. აბა რა საჭიროა, მამისტოლა კაცთან სეირნობა, რა უნდა ჩემს შვილს თქვენთან, რა ესაქმება? რა გინდათ მისგან? ის ხომ მთლად ბავშვია.

– რა მინდა? – ბრენდერი მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლას ცდილობდა. – მასთან საუბარი მსურს. ჯენი უკვე მოწიფული ქალიშვილია და მასთან ყოფნა საინტერესოა. დიახ, ჯენის ცოლად შერთვა მინდა, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ თანახმა იქნება.

– მე კი მინდა, რომ აქედან დაიკარგოთ და ფეხი აღარ მოადგათ, – მიუგო მამობრივი ეგოიზმით შეპყრობილმა გერჰარდტმა. აღშფოთებულ მამას ლოგიკური აზროვნების თავიც აღარ ჰქონდა. – ჩემს სახლში აღარ გნახოთ მოსული. მე ჩემი უბედურებაც მეყოფა, რომ ახლა ქალიშვილის წართმევა და სახელის შერცხვენა არ დაემატოს.

– გამაგებინეთ, ამით რისი თქმა გსურთ, – თქვა სენატორმა და წელში გასწორდა. – მე სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია. ჩემგან თქვენს ქალიშვილს ჩირქი არ მოსცხებია. მინდა გავიგო, რაში მადანაშაულებთ?

– მე გეუბნებით, – იძახდა განრისხებული გერჰარდტი და ერთსა და იმავე სიტყვებს ხმამაღლა იმეორებდა, – მე გეუბნებით... მთელი მეზობლები ლაპარაკობენ, რომ ჩვენთან მოდიხართ, როცა მე შინ არა ვარ და ჯენი სასეირნოდ მიგყავთ. თქვენ რომ კეთილი განზრახვა გქონდეთ, შვილის ტოლა გოგონასთან არ ივლიდით. თქვენზე ხალხმა ამიხილა თვალები, მომცილდით თავიდან და ჩემს ქალიშვილს აღარ გაეკაროთ!

– ხალხი! – თქვა სენატორმა. – რა მესაქმება ხალხთან. მე თქვენი ქალიშვილი მიყვარს, აქაც იმიტომ დავდივარ, რომ ცოლად მინდა შევიერთო. მეზობლებმა, რაც უნდათ, ისა თქვან. თქვენ კი არავითარი მიზეზი არა გაქვთ ჩემი ასეთი შეურაცხყოფისა, მით უფრო, რომ ჩემი განზრახვა თქვენთვის უცნობია.

ამ მოულოდნელი შეტაკებით დამფრთხალი ჯენი კართან მოიბუზა. დედამისი მეორე ოთახიდან გამოვიდა და ქალიშვილს აეკრა.

– როგორც კი წახვედი, მამაშენიც მოვიდა, – უთხრა ჯენის მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა დედამ. – ახლა რა ვქნათ?

ქალებმა ერთმანეთს ხელი მოხვიეს და ჩუმად ატირდნენ.

– თურმე ნუ იტყვი, ცოლად შერთვა ნდომებია! – წამოიძახა გერჰარდტმა.

– დიახ, – მიუგო სენატორმა. – სწორედ ცოლად შერთვა მინდა. თქვენი ქალიშვილი თვრამეტი წლისაა და თავისი საქმე თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს. თქვენ შეურაცხყოფა მომაყენეთ, ქალიშვილის გრძნობები კი შებილწეთ. იცოდეთ, ამით საქმე არ დამთავრდება. თუ თქვენ სხვა რამეშიაგ ბრალს მდებთ, მაშინ ნულარ აყოვნებთ, მითხარით.

გერჰარდტის წინ მდგარი სენატორი სიმართლისა და პატიოსნების დიდებულ განსახიერებად აღმართულიყო, ხმა არ აუწევია, არც ხელები უქნევია, ხოლო მოკუმული ტუჩების გამომეტყველება მის მტკიცე გადაწყვეტილებასა და შეუდრეკელ ნებისყოფას გამოხატავდა.

– თქვენთან ლაპარაკი დავამთავრე, – შეესიტყვა ბოლოს ოდნავ შემკრთალი, მაგრამ არცთუ შეშინებული გერჰარდტი. – ჩემი ნებაა, ჩემი ქალიშვილი სადამოობით ისეირნებს თუ გათხოვდება. კარგად გიცნობთ პოლიტიკოსებს. პირველად წესიერ ადამიანად მეჩვენეთ. მაგრამ ახლა ვხედავ, ჩემს ქალიშვილთან რა დამოკიდებულება გაკავშირებდათ და თქვენი ხსენებაც აღარ მინდა. წადით აქედან, მორჩა და გათავდა. ეს არის და ეს.

– ძალიან ვწუხვარ, მისის გერჰარდტ, რომ თქვენს სახლში მომიხდა ასეთი შეხმა. – თქვა ბრენდერმა და გაგულისებულ მამას ზურგი შეაქცია, – არ ვიცოდი, თუ თქვენი ქმარი ჩემი სტუმრობის წინააღმდეგი იყო, ყოველ შემთხვევაში, ეს არაფერს ცვლის. ნუ შეშფოთდებით, არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც თქვენ გგონიათ.

გერჰარდტი გააოცა მისმა აუღელვებლობამ.

– მივიღივარ, – განაგრძო ბრენდერმა და გერჰარდტს მიუბრუნდა, – მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ საქმეს ასე დავტოვებ. დღეს თქვენ დიდი შეცდომა მოგივიდათ, მაგრამ იმედი მაქვს, შეიგნებთ. ღამე მშვიდობისა.

გერჰარდტმა ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

– იმედია, თავიდან მოვიშორეთ, – თქვა მამამ და ჯენის მიუბრუნდა: – მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ღამდამობით ქუჩაში ყალი და ხალხის ალაპარაკება.

მერე კარგა ხანს ხმა აღარავის ამოუღია, გულის გამგმირავი სიჩუმე მეფობდა. გუნება-განწყობილებასა და გამომეტყველებაზე ადვილად შეამჩნევდით, რა განცდებშიც იყვნენ. დანაღვლიანებულმა გერჰარდტმა გადაწყვიტა უარი ეთქვა სამუშაოზე, რადგან იგი სენატორმა უშოვა, სენატორისთვის სარეცხის გარეცხვაც აკრძალა. გერჰარდტი დარწმუნებული იყო, რომ მისმა ცოლმა თვითონ იშოვა ადგილი სასტუმროში, თორემ იმაზეც ხელს ააღებინებდა. თუმცა სასტუმროში მუშაობა რომ არა, ეს ჭორებიც არ იქნებოდა.

სენატორს ამ უსიამოვნო ამბავმა ძალიან გაუფუჭა გუნება. გონებაშეზღუდულ ადამიანთა ჭორაობა ყოველთვის უსიამოვნო გრძნობას იწვევს, მაგრამ მის მდგომარეობაში მყოფ კაცს მითქმა-მოთქმის გმირად გახდომა სრულიად არ შეეფერებოდა. ბრენდერმა აღარ იცოდა, რა მოემოქმედა. ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რამდენიმე დღე გავიდა. მერე ვაშინგტონში გამოიძახეს, ასე რომ, დედაქალაქში ჯენის უნახავად წავიდა.

გერჰარდტების ოჯახი გაჭირვებით ირჩენდა თავს. უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდნენ, მაგრამ გერჰარდტი მზად იყო ვაჟკაცურად აეტანა გაჭირვება, ოღონდ პატიოსნება შეენარჩუნებინა. მედუქნის გადასახადი ისევ გადაუხდელი იყო. ბავშვებს ფეხსაცმელი შემოაცვდათ. იძულებული გახდნენ მკაცრ მომჭირნეობაზე გადასულიყვნენ და ძველი ვალი გადაეხადათ, რომლის

თავიდან მოშორება ასე ძალიან უნდოდა გერჰარდტს. და აი, დადგა დღე, როცა აუცილებელი გახდა სახლის წლიური გადასახადის პროცენტების შეტანა. გერჰარდტს ქუჩაში ორი ძველი მევალე შემოხვდა და ფულის დაბრუნება მოსთხოვეს. სხვა გზა არ დარჩენოდა, სიმართლე უთხრა, თავისი გასაჭირი აღარ დაუმალავს: ღონეს არ დავიშურებ, შევეცდები, სესხი დაგიბრუნოთო. მაგრამ მწარე ხვედრით შეწუხებული კაცი სულით ეცემოდა. ღმერთს შესთხოვდა, შემეწიეო. დღისით, როცა ღამენათევს უნდა გამოემინა და დაესვენა, ქალაქის ქუჩებში სამუშაოს საძებნელად დადიოდა, არავითარ სამუშაოს აღარ თაკილობდა. ხშირად გაზონებსაც კი თიბავდა.

მისი გერჰარდტი ეხვეწებოდა, ამდენი შრომით თავს ნუ მოიკლავო, მაგრამ ქმარი მაინც თავისას გაიძახოდა: აბა სხვა რა გამოსავალი მაქვს. რა დროს დასვენებაა, მევალებების გადამკიდეს ქუჩაში ვეღარ გამივლიაო.

ოჯახი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. რასაც სებასტიანის დაჭერაც დაემატა. ქვანახშირის ქურდობაზე წაასწრეს. ერთ საღამოს მანქანაზე აძვრა, რომ ჯენისა და ბავშვებისათვის ქვანახშირი გადმოეყარა, მაგრამ საუბედუროდ, რკინიგზის პოლიციის აგენტი წაადგა თავს და დაიჭირა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქვანახშირის ქურდობამ თანდათან იმატა. როცა ცოტას იპარავდნენ, ადმინისტრაცია ამაზე თვალს ხუჭავდა. ხოლო როცა ტვირთის გამგზავნა კლიენტებმა იჩივლეს, პენსილვანიიდან კლივლენდში, ცინცინატიში, ჩიკაგოსა და სხვა ქალაქებში ქვანახშირის ვაგონებიდან გზაში ათასობით გირვანქა ქვანახშირი იკარგებოდა, მაშინ კი დატრიალდნენ და საქმე სამძებრო პოლიციას გადასცეს. რა თქმა უნდა, მარტო გერჰარდტის შვილები როდი იპარავდნენ რკინიგზაზე ქვანახშირს. კოლუმბუსის ღარიბობაც ასევე სისტემატურად იპარავდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სებასტიანი ჩავარდა და მთელი ქალაქის მაგივრად მას უნდა ეგო პასუხი.

– ახლავე ძირს ჩამოდი, – უთხრა მოულოდნელად თავს წამომდგარმა პოლიციელმა.

დაფეთებულმა ჯენიმ და ბავშვებმა იქვე დაყარეს კალათები თუ სათლები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სახლისკენ მოკურცხლეს. სებასტიანმაც სცადა გადმოხტომა და გაქცევა, მაგრამ მამებარმა პოლიციელმა პალტოს კალთაში ჩაავლო ხელი.

– შეჩერდი! სწორედ შენ მჭირდები! – დაუყვირა პოლიციელმა.

– გამიშვი! – დაიღრიალა გაცოფებულმა სებასტიანმა, რომელიც მშინარა სულაც არ იყო, მაგრამ კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობის მთელი საშიშროება.

– გეუბნები, ხელი გამიშვი-მეთქი, – გაუმეორა და პოლიციელს ისე დაეტაკა, კინაღამ გადააყირავა.

– აბა, მარდად ჩადი, – მტკიცედ უთხრა პოლიციელმა და მაგრად მოქაჩა, რათა თავისი ძალა ეჩვენებინა.

სებასტიანი ჩამოხტა, მაგრამ პოლიციელს ისეთი მაგარი მუშტი უთავაზა, რომ ეს უკანასკნელი დაბარბაცდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, უეცრად

იქვე, გზად მიმავალი მუშა გამოჩნდა და პოლიციელს მიეშველა. ორივენი ბასს შეებნენ, სადგურში წაათრიეს და რკინიგზის პოლიციას გადასცეს. პალტოშემოფხრეწილი, ხელებ და სახედაკაწრული, თვალჩალურჯებული ბასი დილამდე დააკავეს.

ბავშვებმა შინ მიირბინეს, მაგრამ გარკვევით ვერაფერი თქვეს. არ იცოდნენ, სებასტიანს რა უქნეს. საათმა ცხრა ჩამოჰკრა, მერე ათი, თერთმეტი...

სებასტიანი არ ჩანდა. მისის გერჰარდტი შიშისაგან კინალამ გაგიჟდა. ყმაწვილი თორმეტ საათზეც ბევრჯერ მოსულა, პირველზეც; მაგრამ დედის გული გრძნობდა, რომ ამ ღამეს მის შვილს კარგი არა სჭირდა რა. როცა ორის ნახევარი გახდა და სებასტიანი მაინც არ გამოჩნდა, დედა მწარედ ატირდა.

– მამას უნდა შევატყობინოთ, – უთხრა ქალმა ბავშვებს. – ბასი ნამდვილად დაიჭირეს.

გადაწყვიტეს, ჯენი წასულიყო, და ჯორჯი გაჰყოლოდა, რომელსაც ახლა მკვდარივით ეძინა.

– რა მოხდა? – დაიძახა შეძრწუნებულმა გერჰარდტმა ბავშვების დანახვაზე.

– ბასი შინ არ დაბრუნებულა, – აუხსნა ჯენიმ და უამბო, რაც თავს გადახდათ.

გერჰარდტმა მაშინვე მიანება თავი სამუშაოს და ბავშვებიანად ციხისკენ გაუყვა... მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გული ეკუმშებოდა.

– ესლა მაკლდა! – ნერვულად იმეორებდა თავისთვის და ოფლიან შუბლს ხელისგულით მალიმალ იწმენდდა.

უბნის მორიგემ მოკლედ მოახსენა, ბასი დაპატიმრებულიაო.

– სებასტიან გერჰარდტი? – იკითხა მორიგემ და პატიმართა სიას გადაავლო თვალი. – ჰო, აქ არის. ქვანახშირს იპარავდა, თან პოლიციელს გაუწია წინააღმდეგობა, თქვენი ვაჟია?

– Ach Gott! – წამოიძახა გერჰარდტმა. – ღმერთო ჩემო! – კვლავ აღმოხდა უბედურ მამას და ხელები მოიფშვნიტა.

– გინდათ ნახოთ? – ჰკითხა

სერჟანტმა. – ჰო. ჰო, – უპასუხა მამამ.

– ფრედ, წაიყვანე, – მიმართა მან ბებერ დარაჯს, – ნახოს ბიჭი.

როცა გერჰარდტმა უკანა ოთახში შემოსულ ტანსაცმელშემოხეულ და ნაცემ შვილს მოჰკრა თვალი, ძალამ უმტყუნა და მწარედ ატირდა, ხმა ვედარ ამოიღო.

– ნუ ტირი, მამა. – მხნედ უთხრა სებასტიანმა, – რა ვქნა, ვერ გავექეცი. ეგ არაფერია, დილას გამიშვებენ.

მწუხარებისაგან გულდამძიმებული გერჰარდტი აცახცახდა.

– ნუ ტირი, – ისევ დაამშვიდა სებასტიანმა, თუმცა თვითონ ძლივს იკავებდა ცრემლებს. – მე არაფერი მიჭირს, ტირილით საქმეს რას უშველი.

– ვიცი, ვიცი, – თქვა გულდათუთქულმა მოხუცმა, – მაგრამ თავს ვერ ვიკავებ. სულ ჩემი ბრალია, განა თვითონ არ გგზავნიდი იმ ქვანახშირის მოსატანად?

– არა, არა, – შეეპასუხა სებასტიანი. – შენ რა შუაში ხარ? დედამ იცის?

– ჰო, იცის. ჯენი და ჯორჯი გამოგზავნა. ახლახან იყვნენ ბავშვები ჩემთან და ეს ამბავი მითხრეს... – თქვა და ხელმეორედ ატირდა.

– ნურც ასე შეშფოთდები – თქვა სებასტიანმა და ყმაწვილის სულში გაიღვიძა ყველა იმ სათუთმა გრძნობამ, რაც კი საერთოდ გააჩნდა. – ყველაფერი მოგვარდება. სამუშაოზე დაბრუნდი და ნურაფერს იჯავრებ.

– თვალი რამ დაგიშავა? – ჰკითხა ტირილისაგან თვალეზღვრულმა მამამ.

– ჩემს დამჭერებთან მომივიდა ცოტაოდენი შეტაკება. ვიფიქრე, დავუძვრები-მეთქი, – თქვა მხნედ და გაღიმებას შეეცადა.

– ეგ კი არ მოგსვლია კარგად, სებასტიან, – უთხრა გერჰარდტმა, – ამას შეიძლება კუდი გამოაბან. მაინც როდის გაარჩევენ შენს საქმეს?

– ასე მითხრეს, დილის ცხრა საათზეო.

მამა-შვილმა ერთხანს კიდევ ილაპარაკა თავდებით გამოშვებაზე, ჯარიმასა თუ მოსალოდნელ სასტიკ სასჯელზე, მაგრამ ერთ გარკვეულ გზას მაინც ვერ დაადგინენ. მერე ბასმა მამას წასვლა ურჩია. შვილთან გამოთხოვებამ ხელახლა ააფორიაქა მოხუცი და გულდამწვარი ოთახიდან გამოიყვანეს.

– საქმე ცუდადაა, – ფიქრობდა ბასი და თან მამის სიბრაღულით გული ეკუმშებოდა. მერე ისევ საკანში გაიყვანეს. «დედას რა ეშველება»...

დედაზე ფიქრმა კიდევ უფრო ძლიერ ააღელვა.

– ეჰ, რა ლაყე გამოვდექი, ერთი მოქნევით იქვე უნდა დამეგდო. მაინც როგორ ვერ გავექეცი.

მეშვიდე თავი

სასოწარკვეთილმა გერჰარდტმა აღარ იცოდა, ვისთვის მიემართა დახმარებისათვის. უკვე ღამის ორი საათი იყო, საქმე დილის ცხრა საათამდე უნდა მოეგვარებინა. რა გზას დასდგომოდა? ჯერ შინ შეიარა, ცოლს შვილის ამბავი მიუტანა. ერთხანს ითათბირეს. მერე ისევ სამუშაოდ წავიდა. რა ექნა, რა გამოსავალი მოეძებნა? ბოლოს ერთი ნაცნობი გაიხსენა. იქნებ მიშველოს, მხარში ამომიდგესო. ეს კაცი შუმის წარმოების ფაბრიკანტი ჰემონდი გახლდათ, მაგრამ გერჰარდტმა არ იცოდა, რომ ახლა იგი ქალაქში არ იყო.

ცხრა საათზე მარტო წავიდა სასამართლოში. ოჯახის სხვა წევრების დასწრება საჭიროდ არ ჩათვალა. სასამართლოდან მაშინვე დაბრუნდებოდა და ცოლს ყოველივეს აცნობებდა.

სასამართლოში სებასტიანს კარგა ხანს მოუხდა ლოდინი. ჯერ სხვა პატიმრების საქმეები იყო გასარჩევი. ბოლოს, როგორც იქნა, ისიც გამოიძახეს და ბარიერამდე ხელის კვრით მიაგდეს.

– ქვანახშირი მოიპარა, თქვენო კეთილშობილებავ და დაპატიმრების დროს გამიძალიანდა, – განმარტა პოლიციელმა.

მოსამართლემ სებასტიანი ყურადღებით შეათვალიერა. პატიმრის ნაცემმა და დაკაწრულმა სახემ უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მასზე.

– აბა, ყმაწვილო, რას გვეტყვი. რით შეგიძლიათ თავი იმართლოთ? თვალი რამ დაგილურჯათ?

სებასტიანმა მოსამართლეს შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

– მე დავიჭირე, – განაცხადა მამებარმა. – სწორედ ჩვენი კომპანიის ვაგონიდან ქვანახშირს ყრიდა. გაქცევა მოინდომა. მერე, როცა ხელი ჩავავლე, მეძგერა. აი, ეს კაცია მოწმე, – დაუმატა მან და ხელი იმ მუშისაკენ გაიშვირა, სებასტიანის დაჭერაში რომ მიეშველა.

– ეს მან დაგარტყათ? – ჰკითხა მოსამართლემ, როცა მამებრის გასიებული ნიკაპი შეამჩნია.

– დიახ, სერ. – მიუგო შურისძიების ჟამის მოახლოებით კმაყოფილმა პოლიციელმა.

– თქვენი ნებართვით მოგახსენებთ, – ჩაურთო გერჰარდტმა და წინ წაიწია.

– ეს ჩემი ვაჟი გახლავთ, ქვანახშირის მოსატანად გაგზავნეს. ეგ...

– გზაზე გადმოყრილი ქვანახშირი ვისაც რამდენი უნდა, აკრიფოს, – შეაწყვეტინა მამებარმა. – ამ ვაჭბატონს ექვსი თავისიანი მოეყვანა, ვაგონზე ასულიყო და იქიდან უყრიდა ქვანახშირს.

– ვითომ ოჯახს ისე ვერ არჩენთ, ქვანახშირი ვაგონებიდან რომ არ გაიტაცოთ? – ჰკითხა მოსამართლემ. მაგრამ ვიდრე მამა-შვილი პასუხს გასცემდა, თვითონ დაუმატა:

– რა საქმიანობას ეწევი?

– ვაგონის შემკეთებლად ვმუშაობ, – მიუგო სებასტიანმა.

– თქვენ რაღას აკეთებთ? – ახლა გერჰარდტს მიუბრუნდა მოსამართლე.

– მილერის ავეჯის ფაბრიკის ღამის დარაჯი ვარ.

– ჰმ, – წარმოთქვა მოსამართლემ. სებასტიანის პირქუში, გამომწვევი მზერა რომ შენიშნა. – ასე და ამრიგად, ამ ყმაწვილს ქურდობის ბრალდება შეიძლება მოუხსნას კაცმა. ისე კი, ეტყობა, მუშტის ტრიალს არ ერიდება და კარგადაც არის გაწაფული. კოლუმბუსს აყალმაყალი არ აკლდა. ათი დოლარით დაჯარიმდება.

– თქვენი ჭირიმი, – დაიწყო გერჰარდტმა, მაგრამ ამ დროს სასამართლო მოხელემ გასასვლელისაკენ ჰკრა ხელი.

– საქმე დამთავრებულია, მეტი არაფრის მოსმენა მსურს. ეს რა ჯიუტი ვინმე ყოფილა! – თქვა მოსამართლემ. – აბა, ვინ არის შემდეგი?

შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი მამა შვილთან მივიდა. ის უარესს მოელოდა. ფულს როგორმე ვიშოვიო, ფიქრობდა მოხუცი. სებასტიანმა მოახლოებულ მამას თანაგრძნობით შეხედა.

– რაც არის, არის, – შეეცადა ბასი მამის დამშვიდებას. – ხომ დაინახე, მოსამართლემ კრინტი არ დამამძვრევინა.

– მაღლობა ღმერთს, მეტი არ მოგისაჯა – ნაღვლიანად მიუგო მამამ. – ახლა დავტრიალდები, ეგებ, სადმე ვიშოვო ფული.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

შინ დაბრუნებულმა გერჰარდტმა ყველაფერი უამბო აფორიაქებულ ცოლ-შვილს. საწყალი ქალი ჯერ გაფითრდა, მერე, როცა გონს მოეგო, ცოტაოდენი შვება იგრძნო: ათ დოლარს სადმე როგორ ვერ ვიშოვითო. თვალეზღა-ფართოებული ჯენი მამას მისჩერებოდა, ეს უსიამოვნო ამბავი ლახვარივით ესობოდა გულზე: საწყალი ბასი! რა მხიარული და კეთილია _ ცოდო არ არის, ციხეში იჯდეს?!

გერჰარდტი ჰემონდის მშვენიერი სახლისაკენ გაემშურა, მაგრამ ფაბრიკანტი ქალაქში არ აღმოჩნდა. ახლა ვექილ ჯერკინსთან წავიდა, ამ კაცს შორიახლოს იცნობდა. არც ის დაუხვდა დაწესებულებაში. მართალია, კიდევ ეგულებოდა რამდენიმე ნაცნობი ბაყალი და ქვანახშირის ვაჭარი, მაგრამ მათგან ფული უკვე ჰქონდა ნასესხები. პასტორი ვუნდტი ფულზე უარს არ ეტყოდა _ ეს იყო, რომ მომხდარი ამბის გამო ეთაკილებოდა. ბოლოს ერთი-ორი ნაცნობიც მოინახულა, მაგრამ თხოვნით გაკვირვებულებმა თავაზიანი უარით გამოისტუმრეს. დაღლილი და განაწამები გერჰარდტი ოთხ საათზე შინ ხელმოცარული დაბრუნდა.

_ აღარ ვიცი, რა ვიღონო, ვერაფერი მომისაზრებია, _ იმედაკარგული ხმით წარმოთქვა მამამ.

ჯენის ფიქრი ბრენდერს გადასწვდა. ოჯახი მართლა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ როგორ გაბედავდა მასთან მისვლას და დახმარების თხოვნას. ძალიან კარგად ახსოვდა მამის მკაცრი მუქარა და ის საშინელი შეურაცხყოფა. ჯენის ოქროს საათი მეორედ იყო დაგირავებული. ფულის შოვნის სხვა გზას გოგონა ვერ ხედავდა.

ოჯახური თათბირი თერთმეტის ნახევრამდე გაგრძელდა. ვერაფერი იღონეს, ვერაფერი მოისაზრეს. მისის გერჰარდტი დაჟინებით ჩაჰყურებდა იატაკს და ხელებს წამდაუწუმ ისრესდა. დაბნეული მამა კი ჭადარანარევ ჟღალ თმაზე ხელს მალიმალ ისვამდა.

_ ვერაფერი მომიფიქრებია, რა წყალში ჩავვარდე, რა ვქნა!

_ ჯენი, წადი, დაიძინე, _ უთხრა დედამ მზრუნველობით _ დანარჩენებიც დააწვინე. აქ რას უზიხართ. იქნებ, მე თვითონ მოვისაზრო რამე. ყველანი წადით.

ჯენი თავის ოთახში გავიდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. გაახსენდა: სწორედ მამისა და სენატორის შელაპარაკების შემდეგ წაიკითხა გაზეთში, სენატორი ვაშინგტონში გაემგზავრაო. დაბრუნებაზე კი იქ არაფერს წერდნენ. ვინ იცის, იქნებ, ჩამოვიდა კიდევ? აწრიალებული გოგონა ძველ მაგიდაზე დადგმულ პატარა ვიწრო სარკის წინ შედგა. ვერონიკას უკვე ჩასძინებოდა. და აი, ჯენის ფიქრი უკვე გადაწყვეტილებად იქცა: ბრენდერთან წავა, თუ ქალაქშია, ბასს უთუოდ გამოიხსნის. მას უყვარს ჯენი, აკი დაჟინებით სთხოვდა, ცოლად გამომყევით. რატომ არ უნდა მივიდეს და დახმარება სთხოვოს?

გოგონა ოდნავ შეყოყმანდა. მერე ვერონიკას მშვიდი სუნთქვა გაიგონა და კვლავ დაუბრუნდა წონასწორობა. დამშვიდდა, ჟაკეტი ჩაიცვა, ქუდი დაიხურა

და კარი უხმაუროდ გამოაღო, გაიხედ-გამოიხედა, _ სასადილო ოთახში ხომ არავინ არისო.

სახლში სიჩუმეს დაესადგურებინა. მხოლოდ იქ, სამზარეულოს სარწეველა სავარძელში ნერვულად ქანაობდა გერჰარდტი. მარტო ჯენის ოთახში ბჟუტავდა ღამის ლიფლიფა და სამზარეულოს კარს ქვეშ გაწოლილიყო სინათლის ყვითელი ზოლი. ჯენი შებრუნდა, ლამპას სული შეუბერა და სინათლე ჩააქრო. მერე წინკარში ფრთხილად გაცურდა და სიბნელებში გაუჩინარდა.

მცხრალი მთვარე ანათებდა, ჰაერი განახლებული სიცოცხლის დაუდევარი სუნთქვით გაჟღენთილიყო. გაზაფხული ახლოვდებოდა... ჯენი აჩქარებით გაუყვა წყვდიადით მოცულ ქუჩებს. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი რკალნათურები. ბნელოდა, გოგონას შიშით გული უფანცქალებდა. ეს რა გაბედა?! რას იფიქრებს სენატორი, როგორ მიიღებს? ეჭვებით აფორიაქებული ერთ ადგილზე გაქვავდა, მაგრამ უცებ ციხეში ჩამწყვდეული ბასი გაახსენდა და კვლავ ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

სასტუმრო «კოლუმბუს-ჰაუზის» შენობა ისე იყო აგებული, რომ ქალი საგანგებოდ განკუთვნილი შესასვლელით რა დროსაც და რომელ სართულზეც უნდოდა იქ მოხვდებოდა. რასაკვირველია, ამ სასტუმროშიც არსებობდა შინაგანაწესი, მაგრამ, სხვა სასტუმროების მსგავსად, ზედამხედველი არც აქ იჩენდა დიდ სიმკაცრეს. ვისაც უნდოდა, უკანა შესასვლელიდან ვესტიბიულში მოხვდებოდა. ცხადია, მოსულს კლერკიც შენიშნავდა, მაგრამ ასეთი სტუმრობის ასაკრძალად თავს არავინ იწუხებდა.

ჯენი სიბნელით მოცულ სასტუმროს მიუახლოვდა, სუსტი შუქი მხოლოდ სადარბაზოში ბჟუტავდა. მეორე სართულზე სენატორის ოთახამდე პატარა მანძილი იყო. მღელვარებისაგან მთლად გაფითრებულმა ჯენიმ მეორე სართულზე აირბინა. ნაცნობ კარს რომ მიუახლოვდა, შედგა, შიშობდა, ვაითუ არ დამხვდესო. თან ისიც აკრთობდა, იქ რომ აღმოჩნდეს მაშინ რაღა ვქნაო. კარს ზემოთა სარკმლიდან სუსტი შუქი გამოკრთოდა. გოგონამ სიმხნევე მოიკრიბა და დააკაკუნა. კარს უკან ჩახველებისა და წამოდგომის ხმა გაისმა.

ბრენდერის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა როცა ჯენი დაინახა.

_ ჯენი, ეს თქვენა ხართ? _ შესძახა გაოცებულმა სენატორმა. _ რა სასწაულია?! ახლა სწორედ თქვენზე ვფიქრობდი. შემოდით... შემოდით... _ ბრენდერმა გულში მხურვალედ ჩაიკრა შემცბარი ქალიშვილი.

_ თქვენთან მოსვლას ვაპირებდი, მაგრამ როგორ მომეხერხებინა, არ ვიცოდი. და აი, თვითონ მოხვედით. ხომ არაფერი მომხდარა?

სენატორმა უკან დაიხია და ჯენის დამფრთხალ სახეში ჩახედა. გოგონას სილამაზე ახლახან მოწყვეტილ, ცვარნაპკურებ შროშანას აგონებდა.

ბრენდერის გულს უსაზღვრო სინაზე დაეუფლა.

_ ერთი სათხოვარი მაქვს, _ როგორც იქნა, ამოთქვა გოგონამ. _ ჩემი ძმა დააპატიმრეს და მის გამოსახსნელად ათი დოლარი გვჭირდება. თქვენ გარდა სხვა გზა ვერ ვიპოვე.

– ჩემო საბრალო გოგონა, – უთხრა ბრენდერმა და გაყინული ხელები დაუსრისა. – აბა, ვისთან უნდა მისულიყავით, თუ არა ჩემთან?! მე ხომ გითხარით, როცა დაგჭირდეთ, ყოველთვის მომაკითხეთ-მეთქი. ჯენი, იცოდეთ, თქვენი გულისთვის ქვეყანას შევძრავ!

– დიახ, – ძლივს ამოილულლულა ქალიშვილმა.

– ახლა ნურაფერზე იდარდებთ. როდემდე უნდა იტრიალოს ბედუკუდმართმა ჩარხმა თქვენს თავზე, ჩემო საბრალო? ძმა როგორ მოხვდა ციხეში?

– ვაგონიდან ქვანახშირს ყრიდა და მაშინ დაიჭირეს. –

ოჰ, თანაგრძნობით აღმოხდა ბრენდერს.

ყმაწვილი კაცი დაიჭირეს და დააპატიმრეს იმის გამო, რაც თვითონ ცხოვრებამ ჩაადენინა, გოგონა კი ღამით მარტო მის ოთახში იმ ათი დოლარის სათხოვნელად მოვიდა, რაც მისთვის ახლა ესოდენ საჭიროა, ბრენდერისათვის კი არაფერს ნიშნავს, – გაიფიქრა გუნებაში და ხმამაღლა დაუმატა:

– ძმაზე ნულარ იწუხებთ, ყველაფერს მოვაგვარებ, ნახევარ საათში გავანთავისუფლებინებ. ჩემს დაბრუნებამდე აქ იჯექით და დაისვენეთ. მერე დიდი ლამპის გვერდით მდგარ სავარძელზე მიანიშნა და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

ბრენდერი კარგად ცნობდა იქაურ შერიფს – საოლქო ციხის მეურვეს, – იცნობდა მოსამართლესაც, ვინაც ბასს ჯარიმის გადახდა მიუსაჯა. სულ რაღაც ხუთი წუთი მოანდომა მოსამართლისათვის გასაგზავნი წერილის დაწერას. სთხოვდა, ამა და ამ ყმაწვილს სასჯელი მოუხსენით, ცოდოა, მომავალი გაუფუჭდებაო. ბარათი შიკრიკის ხელით მოსამართლეს შინ გაუგზავნა. ციხეში კი საკუთარი ფეხით მივიდა და მეგობარ შერიფს პატიმრის გათავისუფლება სთხოვა.

– აი, ფული, – უთხრა ბრენდერმა, – თუ ჯარიმა გაუქმდება, ფული დამიბრუნეთ. ახლა კი გაათავისუფლეთ.

შერიფი სიამოვნებით დათანხმდა. მაშინვე ქვემოთ ჩავიდა, რომ შეემოწმებინა როგორ შეასრულებდნენ მის ბრძანებას. ბასი ისე გამოუშვეს, რომ გათავისუფლების მიზეზის ახსნით თავი არავის შეუწუხებია.

– თავისუფალი ხარ, – უთხრა შერიფმა, – ახლა შინისკენ მოუსვი და ისე მოიქეცი, მეტი აქ აღარ მოხვდე.

გაოგნებული ბასი შინ გაქანდა. ფიქრებში გართული ყოფილი სენატორი კი სასტუმროში დაბრუნდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, რთული და მაცდუნებელი მდგომარეობა შეიქმნა. უეჭველია, გოგონა მასთან მამის ნებართვის გარეშე იყო მისული. ბრენდერი ჯენის უკანასკნელი იმედი იყო. იგი ახლა სასტუმროს ოთახში იჯდა და მოუთმენლად ელოდებოდა მის დაბრუნებას.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი გადამწყვეტი წუთები, როცა არჩევანს აკეთებ მოვალეობას, სამართლიანობის დაცვასა და მაცდუნებელ საწაღელს შორის, რომლის მიღწევა მხოლოდ არასწორი გზით შეიძლება.

ზოგჯერ სწორსა და მრუდე გზას შორის ზღვარი გაურკვეველია, ბუნდოვანია... ბრენდერი გრძნობდა, რომ ჯენიზე დაქორწინებას მამის უაზრო სიჯიუტე გადაეღობებოდა. მეორე წინააღმდეგობა საზოგადოებრივი აზრი გახლდათ. ვთქვათ ჯენი ცოლად შეირთო, რას იტყოდა ხალხი? ამ ერთობ ნიჭიერსა და მგრძნობიარე გოგონას ფაქიზი სული ჰქონდა, მასში იყო რაღაც პოეტური, ბრბოსათვის გაუგებარი სიფაქიზე. მთლად კარგად თვითონაც ვერ ჩასწვდომოდა, ვერ გარკვეულიყო გოგონას მდიდარ სულიერ სამყაროში. ამ სამყაროს კი შეეძლო ყველა მოეხიბლა, თუმცა ჯენის გონებას ჯერ განვითარებაც აკლდა და არც ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა. «არაჩვეულებრივი გოგონაა», ფიქრობდა ბრენდერი თავისთვის და თვალწინ ქალიშვილის სახე ედგა. მომავალზე ფიქრებით დამძიმებული ბრენდერი სასტუმროში შევიდა. შესვლისთანავე კვლავ დაატყვევა ქალიშვილის მშვენიერებამ და მისმა უსაზღვრო მიმზიდველობამ. შუქფარით დაბინდული ლამპის შუქზე ქალიშვილი რაღაც სასწაულებრივ არსებას ჰგავდა.

– ასე და ამრიგად, თქვენი ძმის საქმე მოვაგვარე, უკვე გამოვაშვებინე. – თქვა ბრენდერმა და მღელვარების დაფარვას შეეცადა.

ჯენი წამოხტა.

– ოჰ! – სიხარულით წამოიძახა, თითები ერთმანეთს გადააჭდო და მადლობის გამომხატველი ცრემლიანი თვალებით ბრენდერს დაუდგა წინ.

ბრენდერმა ცრემლები შენიშნა და ჯენის მიუახლოვდა.

– ღვთის გულისათვის, ნუ ტირით, ჯენი, თქვენ ნამდვილი ანგელოზი ხართ. თვითონ ხართ სიკეთის განსახიერება. აბა, განსაჯეთ, რამდენი მსხვერპლი გაიღეთ და ახლა ტირით კიდევ.

ბრენდერმა ჯენი თავისკენ მიიზიდა. მამაკაცს ადრინდელმა თავშეკავებამ უღალატა. მისი გონება მხოლოდ ერთ აზრს შეეპყრო. ხორცს ისხამდა დიდი ხნის ნატვრა. როგორც იქნა, ამდენი მარცხის შემდეგ, ბედმა სიყვარული მოუვლინა, სწორედ ის, რაც ასე სწყუროდა – სიყვარული, საყვარელი ქალიშვილი. ბრენდერმა ჯენი მკლავებში მოიქცია და დაუსრულებლად კოცნიდა.

ინგლისელმა მწერალმა ჯეფრისმა თქვა, სრულყოფილი ქალიშვილი ას ორმოცდაათ წელიწადში ერთი იხადებაო. «ამ მშვენებას ქმნის მზისა და ჰაერის ყოველნაირი თილისმა. სამხრეთის ქარი ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ჯეჯილებს რომ არხევს, მაღალი ბალახის სურნელება, სამყაროსა და მცინარ ვერონიკას ყვავილების თავზე რომ ბიბინებს, ფარავს მთიულას და გზას უღობავს ფუტკარს; ვარდის ბუჩქების ცოცხალი ღობე, ნორჩი ჩიტავაშლა, ლაჟვარდოვანი ღიღილო ოქროსფერ ყანაში და მწვანე ნაძვების ჩრდილი, სიკეკლუცე გიჟმაჟი ნაკადულებისა, რომლის ნაპირებზე ამოზრდილი ზამბახები მზისკენ იწევიან, დაბურდულ ტყეთა მთელი მბრძანებლური სილამაზე, შორეული ბორცვები, საიდანაც მოჰქრის ზირას სუნთქვა და თავისუფლება, – ყოველივე ეს დაუსრულებლად მეორდება ასწლობით.

ფურისულები, მაჩიტელები, იები; მწვანე ფერის გაზაფხული და ოქროს შემოდგომა; მზის შუქის ელვარება, შხაპუნა წვიმები და ცვრიანი დილები; უკვდავი ღამეები, განუწყვეტლად მიმდინარე დროის მთელი წრე კვლავ და კვლავ მეორდებიან საუკუნეების განმავლობაში. ეს დაუწერელი მატიანა, რომლის აღწერა არც ერთ სულიერს არ ძალუძს; ვის შეუძლია გვიამბოს რაიმე ასი წლის წინ დაცვენილი ვარდის ფურცლებზე? ასჯერ უბრუნდებიან მერცხლები სახურავქვეშ გაკეთებულ ბუდეებს. აბა, იფიქრეთ! მაგრამ აი, ქვეყანას ასული მოევლინა – მთელ ქვეყნიერებას სწყურია მისი სილამაზე, თითქოს ყვაილი იყოს. მისი ჩვიდმეტი წლის ასაკში მთელი საუკუნეების თილისმაა ჩაქსოვილი. აი, ამიტომაც, მის მიერ აღძრული ვნება ნადველშეფარული.

თუ თქვენ გაიგეთ და შეიგრძენით ტყის მაჩიტელას სიმშვენიერე ასი წლის მანძილზე რომ მეორდება, თუ ვარდებს, მუსიკას, ვარდისფერ განთიადს ან თუნდაც დაისს ოდესმე თქვენთვის გული აუფორიაქებია, როცა იცით, რომ მთელი ეს სილამაზე წარმავალია და ახლა იგი თქვენ ხელთა გაქვთ, განა უარს იტყვით მის დასაკუთრებაზე?»

მერვე თავი

ჩვენში მომხდარ სულიერ თუ ფიზიკურ ცვლილებათა მნიშვნელობას ზოგჯერ თავიდანვე ვერ განვსაზღვრავთ ხოლმე, თავზარდაცემულნი თითქოს ძველებურ ცხოვრებას ვუბრუნდებით, მაგრამ ცვლილება უკვე მომხდარია და თავისი გააქვს. აღარასოდეს ვიქნებით ისეთნი, როგორც ვიყავით. მმის გამოხსნის სურვილით სენატორთან ღამით მისული ჯენი თავის გრძნობებში ვეღარ გარკვეულიყო. ვერ მიმხვდარიყო, რა ფიზიოლოგიური ცვლილებები, თუ საზოგადოებრივი შედეგები მოჰყვებოდა ბრენდერთან ამ ახალ ურთიერთობას. ჯერ ვერ შეეცნო, რა შეშფოთებას იწვევს ქალში დედობა თვით ყველაზე ნორმალურ პირობებშიც კი. მთელი მისი არსება რაღაც გაოცებას, ცნობისმოყვარეობასა და შეუცნობლობას მოეცვა, თუმცა, ამავე დროს, გულწრფელად ბედნიერიც იყო და მშვიდად გრძნობდა თავს. ბრენდერი კარგი ადამიანი იყო და ახლა კიდევ უფრო ახლობელი გახდა მისთვის, ვიდრე ოდესმე. მას უყვარდა ჯენი. მათი ახალი ურთიერთობა უეჭველად შეცვლის ჯენის მდგომარეობას საზოგადოებაში. ახლა სულ სხვაგვარად დატრიალდება მისი ბედის ჩარხი. ბრენდერი კვლავ და კვლავ საუკუნო სიყვარულს ეფიცებოდა.

– დამიჯერე, ჯენი, – ისევ გაუმეორა, როცა ჯენიმ წასვლა დააპირა, – ვნებამ დამძალა, მაგრამ, იცოდე, ცოლად შეგიერთავ. ახლა წადი და არავისთან არაფერი წამოგცდეს. რაც მოხდა, ყოველივე საიდუმლოდ შეინახე. ცოლად შეგიერთავ და აქედან წაგიყვან. ამას ახლა ვერ მოვახერხებ. ვაშინგტონში მივდივარ და იქიდან გამოგიძახებ – ბრენდერმა საფულე ამოიღო და გაუწოდა

ასი დოლარი, მთელი ფული, რაც კი თან ჰქონდა. – აიღე და ხვალ კიდევ გამოგიგზავნი. გახსოვდეს, შენ ახლა ჩემი საცოლუე ხარ. შენ ჩემი ხარ, – ბრენდერმა ნაზად მოხვია ქალს ხელები.

ჯენი შინისაკენ მიმავალ ჩაბნელებულ გზას დაადგა. ეჭვი არ არის, სიტყვას არ გატეხს, – ფიქრობდა გოგონა და ოცნებაში უკვე საოცარი მომავლით ცხოვრობდა. ბრენდერი, რა თქმა უნდა, ცოლად შეირთავს. ჯერ ვაშინგტონში, იმ შორეულ და საოცნებო მხარეში წავა. დედას და მამას აღარ დაადგებათ ამდენი ჯაფა. ბასი და მართა... – ჯენის სიხარულისაგან სახე გაბრწყინებოდა. რამდენი რამ შეიძლებოდა მათთვის გაეკეთებინა.

ერთი კვარტალიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ნაბიჯი შეანელა. ბრენდერი დაეწია, ჯენი ალაცაფის ჭიშკრამდე მიაცილა და შედგა. ჯენიმ ფრთხილად მიმოიხედა, იქაურობა დაზვერა, მერე მსუბუქად აირბინა პარმალზე და კარი გამოაღო. კარი კვლავ ღია დახვდა. ჯენი წუთით შედგა, რომ მეგობრისათვის ენიშნებინა, გადავრჩიო, და შინ შევიდა. სახლში სიჩუმე გამეფებულიყო. ფეხაკრეფით მიაშურა თავის ოთახს. მხოლოდ ვერონიკას ფშვინვა ისმოდა, ჩუმად გაიარა ის ოთახიც, სადაც ბასსა და ჯორჯს ეძინათ. ბასი საწოლზე გადაშხლართულიყო, გეგონებოდათ, სძინავსო, მაგრამ ჯენის შესვლისთანავე წამოჯდა და ჰკითხა:

– ჯენი ხარ?

– ჰო.

– სად იყავი?

– ყური მიგდე, – ჩურჩულით უთხრა გოგონამ. – დედა და მამა ნახე?

– ვნახე.

– იციან, სახლიდან რომ წავედი?

– დედამ იცის, გამაფრთხილა, ნურაფერს მკითხავო, მაინც სად წახვედი?

– სენატორ ბრენდერთან ვიყავი შენს საქმეზე.

– აი თურმე რატომ გამომიშვეს, ისე კი არაფერი უთქვამთ.

– ენას კბილი დააჭირე, – დაარიგა დამ. – არავინ გაიგოს. ხომ იცი, მამა რა თვალით უყურებს ამ კაცს.

– ჰო... კარგი, – მიუგო ძმამ. მაგრამ ბასს აინტერესებდა, ყოფილი სენატორი რა აზრის იყო მასზე. თუ იცოდა, რისთვის ჩასვეს, ან ჯენიმ როგორ აუხსნა მდგომარეობა. დამ მოკლედ უამბო საქმის ვითარება. ამ დროს კარს უკან დედის ნაბიჯებიც გაისმა.

– ჯენი! – ხმადაბლა დაუძახა

დედამ. ჯენი გავიდა.

– ოჰ, შენ რა გითხრა, რატომ წახვედი?!

– აბა რა მექნა, დედა? როგორმე ხომ უნდა მივშველებოდი ბასს?

– ამდენ ხანს რაღად დაგაგვიანდა?

– ბრენდერს ჩემთან დალაპარაკება უნდოდა, – პირდაპირ პასუხს მოერიდა ჯენი. აღელვებულ დედას შიში ჩაბუდებოდა თვალებში.

– რომ იცოდე, რა შიში ვქამე. მამაშენს შენთან შემოსვლა უნდოდა, მაგრამ ვუთხარი, სძინავს-მეთქი. მერე ადგა და წინკარი გადარაზა. ცოტა ხნის მერე ავდექი და ისევ გავადე. ბასი რომ დაბრუნდა, იმანაც მოინდომა შენი ნახვა. დავუშალე, დილაამდე დაიცადე-მეთქი.

დედამ შვილს კვლავ ნაღვლიანი მზერა შეავლო.

– მე არაფერი მიჭირს, ყველაფერი კარგად იქნება, – უთხრა ჯენიმ. – ხვალ დილას ყველაფერს მოგიყვები. ახლა დაიძინე. მამამ რა იფიქრა, ბასი რატომ გამოუშვესო?

– ვერ მიხვდა. ასე ჰგონია, ალბათ შეატყვეს, ჯარიმის გადამხდელი რომ არ არის და გამოუშვესო.

ჯენიმ დედას ალერსიანად მოხვია მხრებზე

ხელები. – წადი და დაიძინე.

ჯენი ახლა ისეთნაირად აზროვნებდა და იქცეოდა, თითქოს რამდენიმე წელი მოემატაო. გრძნობდა, ამიერიდან დედაზეც ისევე უნდა ეზრუნა, როგორც საკუთარ თავზე.

მომდევნო დღეები ჯენიმ ოცნებებში გაატარა. კვლავ და კვლავ იხსენებდა იმ ღამით მომხდარ არაჩვეულებრივ შემთხვევას. განა არ შეეძლო დედისათვის ეამბა, რომ სენატორმა კიდევ ჩამოუგდო სიტყვა ქორწინებაზე, რომ მიზნად ჰქონდა ვაშინგტონიდან ჩამოსვლის შემდეგ მისი ცოლად შერთვა, იმასაც ეტყოდა, რომ ასი დოლარი მისცა და რომ კვლავ ფულის გამოგზავნას დაჰპირდა. მაგრამ არ შეეძლო ეთქვა ის სხვა, ის უმთავრესი, რაც მისთვის ღვთაებრივი საიდუმლოება იყო.

ბრენდერმა დაპირებული ფული ოთხასი დოლარი მეორე დღესვე შიკრიკის ხელით გამოუგზავნა და თან ურჩევდა: ბანკში მიმდინარე ანგარიშზე შეიტანეო. ყოფილი სენატორი გოგონას იმასაც უთვლიდა: უკვე ვაშინგტონის გზას ვადგავარ, ან აქ ჩამოგიყვან ან თვითონ ჩამოვალ, ყოჩაღად იყავი ბედნიერი დღეების მოლოდინშიო.

ბრენდერი გაემგზავრა და ჯენის ბედიც ბეწვზე დაეკიდა. კვლავინდებურად მიამიტი და გულწრფელი იყო. გარეგნულად თითქმის უწინდებურად გამოიყურებოდა, ეს იყო, რომ ცოტაოდენი ჩაფიქრება დასჩემდა. არა, უსათუოდ გამოიძახებს – თავს არწმუნებდა ჯენი და თვალწინ შორეული მხარე, საოცარი, მომხიბვლელი ცხოვრება ეხატებოდა. ახლა მას ხომ ბანკში ცოტაოდენი ფულიც აქვს? ასეთ სიმდიდრეზე უწინ ვერც იოცნებებდა. შეუძლია დედას დაეხმაროს, როგორც ქალიშვილებს სჩვევიათ, ჯენიც ახლა ცხოვრებისაგან მხოლოდ კარგს ელოდა. ეგრე რომ არ ყოფილიყო, შიშის ზარი აიტანდა. მთელი მისი არსება, ცხოვრება, მომავალი, ბედისწერის სასწორზე იდო. ხომ შეიძლებოდა ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო? მაგრამ ჯენისთანა გამოუცდელი არსებისათვის ცუდი ამბავი მხოლოდ მაშინ ხდება აშკარა, როცა იგი უკვე მოხდება.

როგორ შეიძლება ასეთ გაურკვევლობაში შეინარჩუნო სულიერი სიმბნევე. ეს ერთი იმ საოცრებათაგანია, რომელიც მხოლოდ ბუნებით მიმნდობი

ახალგაზრდის თანდაყოლილი თვისებაა. იშვიათად ინარჩუნებს მოწიფული ადამიანი თავის ახალგაზრდულ სულს. სასწაული ის კი არ არის, რომ ვიღაცამ იგი შეინარჩუნა, არამედ სწორედ ის, რომ მას ყველა კარგავს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების უდაბნოს ოაზისში რამდენჯერმე განავარდება, ხილვა მცხუნვარე ზაფხულისა, რომელიც ჩვენს ილაჯგაწყვეტილი შრომისაგან გაყინულ სულს გაათბობს, ერთი-ორჯერ შვევით ამოსუნთქვა, – აი, ყოველივე ეს ამქვეყნის მგზავრს შეახედებს ხოლმე იმ სამყაროში, რომელიც ახალგაზრდისთვის ნიადაგ ხილულია! შიში და სიხარბე მისთვის უცხოა. თვალუწვდენელი მინდვრები და მზის სხივებით აციაგებული მთის კალთები, დილა, შუადღე და ღამე, ვარსკვლავები, ფრინველთა ჟრიაში, ანკარა წყლის რაკრაკი – აი, ეს ყოველივე არის ყმაწვილის სულის ბუნებრივი მემკვიდრეობა. ზოგი მას პოეზიას უწოდებს, ზოგს კი, უხეში სულის ადამიანებს, ახირებულ ფანტაზიად მიაჩნიათ. ახალგაზრდობაში ეს მათთვისაც გასაგები იყო, მაგრამ როცა სიყმაწვილის სიფაქიზე დადნა, გახევებულ სულს აღარ ძალუძს ამის დანახვა.

ჯენის ახალი სულიერი განცდები მის ნაღვლიან მდუმარებაში ვლინდებოდა, ყველაფერში თრგუნავდა, რა საქმეც უნდა ეკეთებინა. დროდადრო უკვირდა, ბრენდერი რატომ არაფერს იწერებო, მაგრამ უმალ გაახსენდებოდა, რომ ვადად რამდენიმე კვირა დაუთქვა, ექვსი კვირა არცთუ დიდი ხანი იყო.

მხიარულ გუნებაზე მყოფმა პატივცემულმა ექსენატორმა ჯერ პრეზიდენტი ინახულა, შემდეგ კი ერთიანად ჩაეფლო მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში. ის იყო, მერელენდში მეგობრების მოსანახულებლად ემზადებოდა, რომ თავი უქეიფოდ იგრძნო. ცოტა გაცივდა და იძულებული გახდა რამდენიმე დღე შინ გამოკეტილიყო. განაწყენდა, ავად რაღა ახლა გავხდით, ეჭვადაც არ უფიქრია რაიმე სახიფათო თუ სჭირდა. მოგვიანებით ექიმმა მუცლის ტიფის რთული ფორმის დიაგნოზი დაუსვა. ერთხანს უგონოდ იყო და ძლიერაც დასუსტდა. მერე თითქოს მოიკეთა კიდეც, მაგრამ ჯენისთან განშორების ზუსტად თვე-ნახევრის შემდეგ მოულოდნელად გულის დამბლა დაეცა... და მისი სიცოცხლეც შეწყდა.

ბედნიერ ოცნებებში ჩაფლულმა ჯენიმ არაფერი იცოდა, თვით ავადმყოფობაზე კი ეჭვადაც არა გაუგია რა: თვალის არ მოუკრავს გაზეთში დაბეჭდილი ბრენდერის სიკვდილის მაუწყებელი, მსხვილი ასოებით დაბეჭდილი განცხადებისთვის, ვიდრე საღამოს ბასი შინ არ მოვიდა და გაზეთი არ მიაჩეჩა.

– ჯენი, ნახე! – ხმამალა უთხრა დას. – ბრენდერი მომკვდარა! «ყოფილი სენატორის ბრენდერის გარდაცვალება»

«ოჰაიოს შტატის სახელოვანი შვილი უეცრად გარდაიცვალა ვაშინგტონის სასტუმრო «არლინგტონში» გულის დამბლით.

სულ ახლახან მოიხადა მუცლის ტიფი და, მკურნალთა აზრით, გამოჯანმრთელების გზაზე იდგა, მაგრამ ავადმყოფობა საბედისწერო გამოდგა. მისი ბრწყინვალე კარიერის უმნიშვნელოვანესი ეტაპი...»

უზომოდ თავზარდაცემული ჯენი უაზროდ დაჰყურებდა ამ სტრიქონებს.

– მოკვდა?! – წამოიძახა გაოგნებულმა.

– მოკვდა მაშ, ხომ ხედავ... იუწყებიან, – უთხრა ბასმა, უზომოდ საინტერესო ამბის მომტანი კაცის კილოთი. – დღეს დილის ათ საათზე მომკვდარა.

მეცხრე თავი

ჯენიმ თავს ძალა დაატანა, გაზეთი აიღო და ათრთოლებული მეორე ოთახში გავიდა. ფანჯარასთან მივიდა და ენით გამოუთქმელი მწუხარებისაგან გაოგნებულმა ერთხელ კიდევ დახედა იმ სტრიქონებს.

«მოკვდა», მხოლოდ ამას მისწვდა მისი გონება და მეტი ვერაფერი შეიცნო. გვერდითა ოთახიდან ბასის ხმა მოესმა, მამას ახალ ამბავს რომ ამცნობდა. «ჰო, მოკვდა», ჯენი ხელახლა შეეცადა წარმოედგინა, რას ნიშნავდა ეს ამბავი მისთვის, მაგრამ გონება არ ემორჩილებოდა.

ერთი წუთიც და ქალიშვილთან დედა შევიდა. ქალს ბასის სიტყვებიც გაეგონა და ისიც დაენახა, როგორ გავიდა ჯენი მეორე ოთახში, მაგრამ კარგად ახსოვდა სენატორის გამო ქმართან შეჯახების ამბავი და თანაგრძნობის აშკარად გამოხატვა ვერ გახედა. დედამ, რა თქმა უნდა, ეჭვადაც არ იცოდა ქალიშვილსა და სენატორს შორის მომხდარი ამბავი. უბრალოდ, ჯენის მომავლის, მისი ოცნებების დამსხვრევის ჟამს უნდოდა თანაგრძნობა გაეწია.

– ეს რა უბედურება მოხდა! – თქვა გულწრფელად დამწუხრებულმა ქალმა. – აბა უყურე, რა დროს ეს იყო, რამდენი რამის გაკეთება სურდა შენთვის, ჩვენი ოჯახისათვის.

ქალი გაჩუმდა, პასუხს ელოდა, მაგრამ ჯენი გაქვავებული იდგა.

– ნუღარ იდარდებ, შვილო, – უთხრა დედამ გულწრფელი თანაგრძნობით, – ამ საქმეს ახლა აღარაფერი ეშველება. რამდენი რამის გაკეთება სურდა, მაგრამ რას იზამ, ამაზე აღარ იფიქრო. ყველაფერი გათავდა და ვერაფერს შეცვლი, შენ ხომ თვითონ ხვდები...

დედა ისევ გაჩუმდა. დამუნჯებული ჯენი კვლავ გაუნძრევლად იდგა. მისის გერჰარდტმა იგრძნო, ამაოდ ირჯებოდა, იფიქრა, ეგებ მარტო დარჩენა ურჩევნიაო და ოთახიდან გავიდა.

ჯენი ისევ ფანჯარასთან იდგა. ახლა, როცა თანდათან შეიგნო მთელი თავისი უბედურების მნიშვნელობა, მიხვდა, რა გამოუსწორებელ, რა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მერე საწოლ ოთახში შევიდა, ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა და პირდაპირ კედელზე დაკიდებულ პატარა სარკეში გაფითრებულ, მწუხარებისაგან შემლილ საკუთარ სახეს მოჰკრა თვალი. თავს არ უჯერებდა.

«ნუთუ ეს მე ვარ? რა წყალში ჩავვარდე, რა ვიღონო? სადმე უნდა გავიქცე», გაიფიქრა მან, მერე სასოწარკვეთილმა მხნეობა მოიკრიბა და გონებაში თავშესაფრის ძებნა დაიწყო.

ამასობაში ვახშმობის დროც დადგა, წესი აღარ დაარღვია და სხვებთან ერთად სუფრას თვითონაც მიუჯდა. ძალიან უჭირდა თავის დაჭერა. გერჰარდტს არ გამოჰპარვია ჯენის უგუნებობა, მაგრამ ქალიშვილის ასეთი ღრმა მწუხარება მისთვის სრულიად უცნობი იყო. საკუთარი საქმეებით გართულ ბასს ხომ არავისთვის ეცალა.

დღე დღეს მისდევდა. ჯენი ათასნაირად წონიდა თავის რთულ მდგომარეობას, მაგრამ გამოსავალს ვერა და ვერ პოულობდა. ფული კი ჰქონდა, მაგრამ არც მეგობრები ჰყავდა, არც თავშესაფარი და არც გამოცდილება. დღემდე დედ-მამის კალთას იყო მიკრული. ზოგჯერ განსაკუთრებით ეძალებოდა სევდა, სულიერად ეცემოდა, რაღაც გაურკვეველი შიში აეკვიატებოდა. ერთ დილას ტირილის დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო და თავი ვეღარ შეიკავა. მერე და მერე ასეთი სურვილი სულ უფრო ხშირად ეუფლებოდა. მისის გერჰარდტი რამდენჯერმე წაესწრო შვილის ტირილს და დაჟინებით ჩაეკითხა:

– მითხარი, შვილო, რა ამბავია შენს თავს? – წყნარად წამოიწყო ქალმა, – განა დედას უნდა დაუძალო რამე?

ჯენის სიმართლის თქმას სიკვდილი ერჩივნა, მაგრამ ახლა დედის თანაგრძნობით ნათქვამმა სიტყვებმა თავისი გაიტანეს და მანაც აღიარა საბედისწერო შეცდომა.

მისის გერჰარდტი გააოგნა ნათქვამმა და კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოიღო.

– ვაიმე... ეს სულ ჩემი ბრალია! – სინანულით წარმოთქვა თავზარდაცემულმა ქალმა. – მაშინვე უნდა მივმხდარიყავი, მე სასიკვდილე. ახლა რა წყალში ჩავვარდე, რა ვქნა... მაგრამ არა, რაც შემეძლება, ყველაფერს ვიღონებ.

მერე თავი ვეღარ შეიკავა და მწარედ ატირდა.

ცოტა ხნის შემდეგ მისის გერჰარდტი ისევ სარეცხს მიუბრუნდა, თუმცა ტაშტზე წახრილს ისევ ტირილი წასკდა. ლოყებზე ღვარად ჩამოდენილ ცრემლებს საპნის ქაფში გაუდიოდა ღაპაღუპი. ხანდახან წინსაფრით იმშრალეებდა, მაგრამ თვალები ისევ და ისევ ცრემლებით ევსებოდა.

უეცარმა ელდამ რომ გაიარა, ქალის გონებას მთელი ძალით მისწვდა გარდუვალი უბედურების სიმწარე. რა დღეს დააწევს კაცი, ეს რომ გაიგოს?! რამდენჯერ უთქვამს, ჩემი რომელიმე ქალიშვილი ზოგიერთებივით რომ მოიქცეს, პანდურის კვრით ქუჩაში ვისვრი, სახლში ფეხს არ დავადგმევინებო.

– რაღა ვქნა, ძალიან მეშინია მამაშენის, ხშირად შესჩივლებდა ხოლმე დედა ქალიშვილს. – რომ გაიგოს, ვინ იცის, რას იზამს...

– იქნებ, ჩემი შინიდან წასვლა ჯობდეს, – ეუბნებოდა პასუხად ჯენი.

– არა, ჯერ არაფრის თქმა არ არის საჭირო. ცოტა კიდევ დაიცადე.

თუმცა, გულის სიღრმეში ქალი კარგად გრძნობდა, რომ საბედისწერო დღე ახლოვდებოდა.

ერთხელ, როცა მშფოთვარე გაურკვეველობა დედისთვის უკვე აუტანელი შეიქნა, ჯენი და ბავშვები სხვაგან გაისტუმრა იმ იმედით, რომ შვილების დაბრუნებამდე ქმარს ყველაფერში გამოუტყდებოდა.

დილიდანვე წრიალებდა. შიშის კანკალით ელოდა შესაფერის დროს. ნასადილევს ქმარს ძილი აცალა ისე, რომ კრინტი არ დაუძრავს. ნაშუადღევს მისის გერჰარდტი სამუშაოდ არ წავიდა. აღარ შეიძლებოდა ამ სატანჯველის გვერდის ავლა. ოთხ საათზე გერჰარდტს გაეღვიძა, ქალი ყოყმანობდა: ეთქვა თუ არა. საცაა ჯენიც დაბრუნდებოდა და გულდაგულ შერჩეული შესაძლებლობა ხელიდან გაეშვებოდა; ალბათ, ვერასოდეს მოიკრებდა სიმხნევს სიმართლე გაემხილა, რომ თვითონ ქმარს არ წამოეწყო:

– ეგ გოგო რაღაც ცუდად გამოიყურება. მაგის თავს რაღაცაა...

– ეჰ, – ამოიოხრა მისის გერჰარდტმა, ცდილობდა, შიში დაეძლია და საქმე ბოლომდე მიეყვანა. – ჯენის უბედურება დაატყდა თავს. აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე...

გერჰარდტი კარის მოშლილ საკეტს აკეთებდა. კაცმა თავი ასწია, ცოლს დაეჭვებით შეხედა და ჰკითხა:

– რას ამბობ?

მისის გერჰარდტმა ნერვიულობისაგან წინსაფარს დაუწყო გრეხა. სცადა, მხნეობა მოეკრიბა და ყოველივე აეხსნა, მაგრამ ძალა აღარ ეყო და აქვითინდა.

გერჰარდტმა ცოლს შეხედა და ფეხზე წამოდგა. ახლა იგი თითქოს კალვინს ჩამოჰგავდა – გამხდარი, ავადმყოფური ყვითელი პირისახე ჩაფერვლოდა, ასაკსა თუ ღია ცის ქვეშ, ქარსა და წვიმაში მუშაობას გაეხუნებინა. როცა რაიმეს გაიოცებდა, ანდა განრისხდებოდა, თვალეები აენთებოდა, შუბლზე გადმოყრილ თმას მალიმალ უკან იწევდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა. ახლა კი საბედისწერო ამბის მოლოდინში დამფრთხალი ჩანდა.

– რაო, რას ლაპარაკობ? – უხეშად იკითხა გერმანულად. – უბედურება...

ნუთუ ვინმემ... – სათქმელი ვეღარ დაამთავრა და ხელი მუქართ მალლა აღმართა, – რას გაჩუმებულხარ?

– რას ვიფიქრებდი მე უბედური, რომ ჩემს ჯენის ამნაირი ხიფათი შეემთხვეოდა, – ესლა მოახერხა შეშინებულმა მისის გერჰარდტმა, თუმცა სათქმელი მერე მაინც დააბოლოვა – ყოველთვის რიგიანად იქცეოდა. კარგი გოგო იყო. ეჰ, ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ ეს დალუპავდა ჯენის...

– დალახვროს ეშმაკმა! – მრისხანედ დაიყვირა გერჰარდტმა, – ასეც ვიცოდი! ბრენდერი! ჰა, ეგეც თქვენი კეთილშობილი ჯენტლმენი! ხედავ, სადამდე მიიყვანა შენმა მფარველობამ, დამე ხეტიალის და ქუჩა-ქუჩა თრევის უფლებამ. დიახ, ასეც ვიცოდი, ღმერთო, შენ მიშველე! – ტრაგიკული მონოლოგით წარმოთქმული ეს სიტყვები რომ დაასრულა, გალიაში გამომწყვდეული ნადირის მსგავსად კუთხიდან კუთხეში აწყდებოდა.

– დალუპა განა! – დაიღრიალა მამამ, – დალუპა, ჰა?! მაშ, იმან დალუპა, არაა?!

გერჰარდტი თოკს გამობმულ მარიონეტულ ტიკინასავით უცხად შედგა. იდგა გაშეშებული ცოლის წინ. შიშისაგან გაფითრებული ქალი კედელს აჰკვროდა.

– იგი ხომ მოკვდა! – დაიღრიალა უეცრად, თითქოს ეს აზრი თავში ახლა მოუვიდაო, – მოკვდა!!!

ხელისგულები საფეთქლებზე მიედო, გეგონებოდათ, თავის გახეთქვისა ეშინიაო, და ცოლს მიშტერებოდა. მომხდარი უბედურების ბოროტი ირონია შანთივით წვადა და დაგავდა.

– მოკვდა! – გაიმეორა ისევ გერჰარდტმა. ქალს კი ქმრის გაგიჟებისა შეეშინდა და კუთხეში მიიკუნჭა. ახლა ქმრის შეშლილი სახე უფრო აღონებდა, ვიდრე ამ შეშლის მიზეზი.

– ჯენის შერთვას აპირებდა, – საცოდავად წამოილაპარაკა მისის გერჰარდტმა. – რომ არ მომკვდარიყო, ცოლად ითხოვდა.

– ითხოვდა?! – უცებ დაიქუხა გერჰარდტმა, ცოლის ხმის გაგონებამ რომ მოიყვანა გონს. – ითხოვდა განა? დიდი ნუგეშია ახლა! არამზადა! ძაღლისშვილი! მისი სული ააძაღლოს ღმერთმა და ჯოჯოხეთში სამუდამო ცეცხლის ალზე იხრუკოს, ოჰ, ერთი... ერთი... ქრისტიანი არ ვიყო და მე ვიცი...

– და მთელი ტანით აცახცახებულმა მრისხანებით დამუშტა ხელები.

მისის გერჰარდტი აქვითინდა. ქმარი შემოტრიალდა, მაგრამ ისე იყო შეძრწუნებული, რომ ცოლის ნუგეშისათვის არა სცხელოდა, ისევ ბოლთის ცემა დაიწყო. მძიმე ნაბიჯებით იატაკის ფიცრებს აჭრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ გერჰარდტი ცოლს მიუახლოვდა და შედგა. საშინელმა სინამდვილემ ახლებურად გაუელვა გონებაში.

– როდის მოხდა?! – იკითხა მან.

– არ ვიცი, – მიუგო შიშისაგან მილეულმა ცოლმა. სიმართლის სათქმელად ძალა აღარ ეყო, – მე გვიან გავიგე.

– სტყუი! – დაიღრიალა კაცმა, – შენ აფარებდი ხელს. სულ შენი ოინებია, აქამდე რომ მივიდა საქმე. შენ რომ ხელი არ შეგეშალა და ჩემებურად მემოქმედა, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით. აბა, უყურე, სადამდე შევტოპეთ, – განაგრძობდა თავისთვის. – ბიჭი ციხეში მოხვდა, გოგო ქუჩა-ქუჩა თრევისაგან ხალხის ყბადასაღები გახდა. ახლა ამ არამზადამ ხომ სულ მოულო ბოლო მაგ გომბიოს. ღმერთო დიდებულო! რა მოსდით ჩემს შვილებს. რად დავისაჯე, რა შეგცოდე ასეთი? – ბუტბუტებდა და თან საკუთარი თავიც ებრალებოდა. – არ ვცდილობდი განა, რომ კეთილი ქრისტიანი ვყოფილიყავი. ყოველ საღამოს არ ვლოცულობ და არ ვევედრები უხენაესს, ჭეშმარიტ გზაზე დამაყენე-მეთქი... – მაგრამ არაფერი გამოვიდა. რაც შემძლია ვმუშაობ. მეტი რაღა ვქნა! აბა, დახედეთ ჩემს ხელებს, შრომისაგან სულ დაკოჟრილი მაქვს. მთელი ჩემი სიცოცხლე იმის ცდაში ვარ, პატიოსანი ვიყო. აი, ახლა...

კაცს ხმა ჩაუწყდა. თითქოს სადაცაა ატირდებო. მაგრამ არა, მრისხანების წუთებში მთელი ჯავრი ცოლზე იყარა.

– ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე! – დაიღრიალა მან. – შენ! მარტო შენა ხარ დამნაშავე! შენ რომ ისე მოქცეულიყავი, როგორც მე გეუბნებოდი, არაფერი მოხდებოდა. მაგრამ ვერა გაგაგებინე რა. ჰოდა ახლა მომწყდეს თავიდან! თვალთ აღარ დამენახოს ეგ ქუჩის ქალი, ეგა! მაგისი ადგილი მხოლოდ ჯოჯოხეთშია და გზაც იქით ჰქონია. მე ხელი დამიბანია, კმარა ჩემგან!

მერე თავის პაწაწინა საწოლი ოთახისაკენ წავიდა, მაგრამ კართან მისული ისევ შემობრუნდა.

– აქედან წაეთრიოს! – დაიღრიალა ისევ გააფთრებით. – ჩემ ჭერქვეშ მაგისი ადგილი აღარ არის! ამაღამვე! ახლავე! მეტი აღარ შემოდგას ფეხი ჩემს სახლში. მე მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა ჩემი შერცხვენა.

– ამაღამ ნურსად გააგდებ, – შეევედრა დედა. – აბა ახლა სად უნდა წავიდეს? – სწორედ ამაღამვე, – მტკიცედ თქვა გერჰარდტმა, – ამ წუთშივე წავიდეს და სხვაგან მოძებნოს საცხოვრებელი. აქაურობა რომ ნდომებოდა, ასე არ მოიქცეოდა, ახლა მიბრძანდეს, სადაც უნდა. ვნახოთ, უკეთეს ადგილს სად მოძებნის.

თქვა და ოთახიდან გავიდა.

ექვსის ნახევარზე, როცა თვალცრემლიანი მისის გერჰარდტი უკვე ვახშმის სამზადისში იყო, ჯენი დაბრუნდა. კარზე კაკუნის ხმა რომ მოესმა, დედა შეკრთა: იცოდა, რა ქარიშხალიც ამოვარდებოდა. მამა ზედ აივანზე შეეფეთა ჯენის.

– არ გნახოს ჩემმა თვალეზმა! – დაიქუხა მამამ. – აქედან გამეცალე! შენი ფეხი აღარ იყოს ამ სახლში! გაეთრიე აქედან!

აკანკალებული, გაფითრებული ჯენი მდუმარედ იდგა. ჯენისთან ერთად დაბრუნებული გაოგნებული და დამფრთხალი ბავშვები დას მიეკრნენ. ვერონიკამ და მართამ, რომელთაც მთელი გულით უყვარდათ თავიანთი ჯენი, ღრიალი მორთეს.

– რა მოხდა? – წამოიძახა გაოგნებულმა ჯორჯმა.

– მოსცილდეს აქაურობას, – გაიმეორა გერჰარდტმა. – ჩემს სახლში მაგას ადგილი აღარა აქვს. როსკიპობა თუ უნდა, იყოს, არავინ უშლის, მაგრამ აქედან კი მომწყდეს. აბა, შეკარი შენი ბარგი-ბარხანა და აქედან მიბრძანდი! – მიუბრუნდა მამა ჯენის.

ჯენის ხმა არ ამოუღია, მაგრამ ბავშვებმა უმატეს ღრიალს.

– ხმა ჩაიწყვიტეთ! – დაიყვირა გერჰარდტმა. – შედით სამზარეულოში!

ბავშვები ოთახიდან გარეკა და თვითონაც უკან მოუხედავად გავიდა.

ხმაჩაკმენდილი ჯენი ოთახში შევიდა. თვალცრემლიანმა დაიწყო თავისი ღარიბული ნივთების თავმოყრა და დედის შემოტანილ კალათაში ჩალაგება. ბავშვობის დროინდელ სათამაშოებს ხელი არ ახლო, – უმცროსებს გამოადგებათო – იფიქრა. მართას და ვერონიკას უნდოდათ დას მიხმარებოდნენ, მაგრამ მამამ არ დაანება.

ბასი ექვს საათზე დაბრუნდა. მთელი ოჯახი შემფოთებული რომ დაინახა, იკითხა, რა მოხდაო.

მდუმარე გერჰარდტმა პირქუშად შეხედა.

– მაინც რა ამბავია? – არ მოეშვა ბასი დედას. – აქ რას აკეთებთ ყველა?

– მამამ ჯენი გააგდო სახლიდან, – შესტირა დედამ.

– რისთვის? – იკითხა გოცებულმა ბასმა.

– მე გეტყვი რადაც, – გერმანულად გამოეპასუხა გერჰარდტი. შარახვეტიაა და იმიტომ. იქამდე მივიდა, რომ ოცდაათი წლით უფროსმა მამაკაცმა, მამად რომ ერგებოდა, დალუპა. ჰოდა, ახლა კეთილი ინებოს და თავი დაიძვრინოს ამ საქმიდან. ამ წუთშივე დატოვოს აქაურობა!

ბასმა თვალი მოავლო, ბავშვები დაფეთებული იყურებოდნენ, დიდიან-პატარიანად გრძნობდნენ, რომ რაღაც დიდი უბედურება დაატყდათ თავს. სინამდვილეს მხოლოდ ბასი ხვდებოდა.

– ამ ღამით რომ არ გააგდო, ვითომ დილამდე მოცდა არ შეიძლება? – შეეპასუხა მამას ბასი. – ახლა ქალიშვილის ქუჩაში ხეტიალის დრო არ არის.

– არა, წავიდეს!

– აბა, ეგ როგორ შეიძლება, – ჩაურთო დედამ.

– ახლავე წაეთრიოს აქედან, – ჯიუტად გაიმეორა გერჰარდტმა, – ამაზე კრინტი აღარავინ დაძრას.

– სად უნდა წავიდეს მერე? – არ ეშვებოდა ბასი.

– რა ვიცი, – უღონოდ ჩაილაპარაკა დედამ.

ბასმა მდუმარედ მოავლო თვალი ყველას. დედამ დრო იგულა, როცა ქმარმა იქით გაიხედა და ბასს წინკარზე მიუთითა, ხელით ანიშნა, ოთახში შედიო.

ბასი გავიდა, თან დედაც მიჰყვა. სახლის საქმე მიატოვა და შვილს გაედევნა. ერთხანს ბავშვები მდუმარედ ისხდნენ, მერე სათითაოდ ისინიც გაილაღნენ, მამა მიატოვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გერჰარდტმაც იფიქრა, ახლა ჩემი წასვლის დროც არისო, და წამოდგა.

დედა ქალიშვილს საჩქაროდ აძლევდა საჭირო დარიგებებს.

ჯენის უბრალო ავეჯით გაწყობილი ბინა უნდა დაექირავებინა და დედისათვის მისამართი ეცნობებინა. ბასი ჯერ ვერ გაჰყვებოდა დას. მაგრამ ჯენი ცოტას რომ გაივლიდა, ქუჩაში უნდა დალოდებოდა და ის გააცილებდა. მამა რომ სამუშაოზე წავიდოდა, დედა მიაკითხავდა, ანდა ჯენი თვითონ მოვიდოდა. სხვა ამბებზე შემდეგ შეხვედრაზე მოილაპარაკებდნენ.

დედა-შვილი შუა ლაპარაკში რომ იყო, უცბად ოთახში გერჰარდტი შემოვიდა.

– მიდის თუ არა? – მკვახედ იკითხა მან.

– ახლავე, – გამოეხმაურა მისის გერჰარდტი და მის ხმაში პირველად და უკანასკნელად გაისმა გამომწვევი ტონი.

– რა საჭიროა ასეთი სულმოუთქმელობა? – თქვა ბასმა.

მაგრამ მამა ისე მოიქუფრა, რომ ბიჭმა შეპასუხება ვეღარ გაბედა.

სწორედ ამ დროს თავის ერთადერთ საგარეო კაბაში გამოწყობილი ჯენი შემოვიდა. კალათა ეჭირა, დამფრთხალი თვალებით იყურებოდა. იცოდა თავისი ხვედრი, რა მწარე განსაცდელიც მოელოდა, მაგრამ ახლა იგი უკვე

ქალი იყო. სიყვარულმა ძალა მოჰგვარა, მოთმინებაში საყრდენი იპოვა და შეიცნო მსხვერპლის გაღების დიადი სიტკბოება. ჯენის ლოყებზე ღვარად სდიოდა ცრემლი, უხმოდ აკოცა დედას. მერე გამობრუნდა და გარეთ გავიდა, რათა ახალ ცხოვრებას შეჰყროდა... მის უკან დედ-მამის სახლის კარი მიიხურა.

მეათე თავი

იმ სამყაროში, რომელშიაც ჯენი თავისი გაჭირვების ჟამს ჩავარდა, სათნოება დასაბამიდანვე იბრძოდა თავისი არსებობის უფლებებისათვის. სათნოება ეს არის უნარი, ადამიანებს უსურვოს და მოუტანოს სიკეთე. სათნოება დიდსულოვნებაა. იგი მზადაა, სიამოვნებით ემსახუროს ყველას და ყოველთვის, მაგრამ საზოგადოება როდი აფასებს მის ამ თვისებას. თუ საკუთარ თავზე დაბალი წარმოდგენისა იქნებით, მაშინვე აბუჩად აგიგდებენ. ფეხით გაგთელავენ. ხოლო თუ თავს დაიფასებთ, თუნდაც ამის ღირსი არ იყოთ, მაშინვე პატივს მოგაგებენ. საერთოდ, საზოგადოება საკმაოდ უხეიროდ აფასებს ადამიანს. მისი შეფასების ერთადერთი კრიტერიუმია – «რას იტყვის სხვა»! ერთადერთი საზომი კი – თვითგადარჩენა. შეინარჩუნა მავანმა და მავანმა თავისი მდგომარეობა? შეინარჩუნა კია ქალიშვილმა თავისი უმანკოება? როგორც ჩანს, მხოლოდ იშვიათ ადამიანებს შესწევთ უნარი საკუთარი შეხედულების გამოთქმისა.

ჯენის არც უცდია საკუთარი თავის განდიდება. მისი თანდაყოლილი თვისება თავგანწირვა გახლდათ. არც ისე ადვილად შეეძლო ცხოვრების ეგოიზმის შეთვისება, ადამიანს რომ ბოროტებისაგან დაცვაში ეხმარება.

საერთოდ, ადამიანი უდიდესი დამაბულობის დროს ყველაზე სწრაფად იზრდება. მაშინ შეიგრძნობს ძალთა ძლიერ მოზღვავებას და უდიდეს უნარს. შესაძლოა, გვეშინოდეს მცდარი ნაბიჯის გადადგმისა, მაგრამ უდავოდ ვიზრდებით. შთაგონებათა აღზევებას ადევნებული ბუნება ხელს არავის კრავს. როცა გარემო ან საზოგადოება ზურგს გვაქცევს, მარტონი მაინც არ ვრჩებით. ჩვენთან არის ირგვლივ არსებული ქვეყნიერება. ბუნება დიდსულოვანია. ქარი და ვარსკვლავები მეგობრებად ამოგიდგებიან, საკმარისია, მხოლოდ კეთილი და მგრძობიარე სული და შენ ამ დიდ ჭეშმარიტებას შეიცნობ. შესაძლოა, ეს ყოველივე შენამდე ჩამოყალიბებულ ფორმულებად არ მოვიდეს, მაგრამ სიმშვიდესა და სიხარულს უთუოდ შეიგრძნობთ და ეს ხომ ბოლოს და ბოლოს შემეცნების მთავარ არსს წარმოადგენს. სიმშვიდეში ჰპოვებ სიბრძნეს.

ის იყო, ჯენი კარს გასცილდა, რომ ბასი დაეწია.

– მომე ეგ კალათა, – უთხრა ბასმა დას, მაგრამ როცა დაინახა, მღელვარებისაგან კრიჭა შეკვროდა, თვითონვე დაუმატა: – ნუ გეშინია, შენთვის ერთი ოთახი მეგულეა.

ბასმა ჯენი სამხრეთისაკენ წაიყვანა: იქ მათ არავინ იცნობდა, მივიდნენ ერთ დედაბერთან, რომელმაც ახლახან იმ მაღაზიაში, სადაც ბასი მუშაობდა, ნისიად კედლის საათი იყიდა. ბასმა იცოდა, რომ ქალი ხელმოკლედ ცხოვრობდა და ოთახის გაქირავება უნდოდა.

– ოთახი ისევ თავისუფალია? – იკითხა ბასმა.

– დიახ, – მიუგო დედაბერმა და ჯენი შეათვალიერა.

– იქნებ, ჩემს დას მიაქირაოთ? ჩვენი ოჯახი სხვა ქალაქში გადადის საცხოვრებლად, ამას კი ჯერჯერობით აქედან გამგზავრება არ შეუძლია.

დედაბერი დათანხმდა და ჯენიმაც დროებითი თავშესაფარი იშოვა.

– ნურაფერს იდარდებ, – დაარიგა გულწრფელად შეწუხებულმა ბასმა. – ყველაფერი გაივლის. დედამაც ასე თქვა, ნურაფერზე იდარდებსო. ხვალ დილას მოდი, როცა მამა სამუშაოზე წავა.

ჯენი დაჰპირდა, მოვალე. ბასმა კიდევ უთხრა რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვა. მერე დედაბერს მოელაპარაკა ჯენის ჭამა-სმის თაობაზე და დაემშვიდობა.

– აბა, შენ იცი, რა ყოჩაღად იქნები, – უთხრა ძმამ გარეთ გასვლისას. – ყველაფერი მოგვარდება, კარგად იქნება, გულს ნუ გაიტეხ. ახლა წასვლის დროა, დილით ისევ შემოგიბრებენ.

ბასი მიდიოდა და თავში ათასნაირი უსიამოვნო ფიქრი უტრიალებდა. ბასის აზრით, ჯენი დამნაშავე იყო. მისი ეს განწყობილება აშკარად ჩანდა იმ შეკითხვებიდან, ჯენის რომ აძლევდა გზადაგზა, თუმცა იმასაც კარგად ხედავდა, რაოდენ გულდათუთქული და დაბნეული იყო.

– მერე, რატომ ჩაიდინე? არ ფიქრობდი, რას აკეთებდი? – დაჟინებით ეკითხებოდა ბასი.

– თუ გიყვარდე, ახლა ნურაფერს მკითხავ, – უთხრა ჯენიმ და ძმის დაჟინებულ კითხვებს ბოლო მოუღო.

«ჯენი თავს ვერაფრით გაიმართლებს და არც დაჩივლების უფლება აქვს. დანაშაულზე თუ მიდგა საქმე, დამნაშავე მხოლოდ თვითონ არის», ფიქრობდა ბასი. ის გასაჭირი კი, რომელშიც ბასი ჩავარდა და ოჯახიც ჩაითრია, დავიწყებას მიეცა. დავიწყებული იყო ჯენის ერთგულება და თავგანწირვაც.

ახალ, უცხო ადგილას გადაბარებულ ჯენის თავშეკავებამ უღალატა. თავს დატეხილი ვარამი, მშობლიური სახლიდან გაგდების სირცხვილი ძალზე ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. თავს ველარ მოერია და მწარედ აქვითინდა. მართალია, ბუნებით მომთმენი იყო და წუწუნი არა სჩვეოდა, მაგრამ ყოველგვარი იმედის უეცარმა გაცრუებამ გატეხა. რა ძალა არის ასეთი, მოულოდნელად, ქარიშხალივით რომ დაატყდება თავს ადამიანს და ერთიანად ანადგურებს? რატომ იჭრება სიკვდილი ასე უეცრივ და სპობს ყველაფერს, რაც ცხოვრებაში ნათლად და სასიხარულოდ გვეჩვენება?

წარსულზე ფიქრებში ჩაძირულმა ჯენიმ ბრენდერთან ხანგრძლივი ნაცნობობის ყველა წვრილმანი გაიხსენა. მისი ასეთი განუზომელი მწუხარების მიუხედავად, ბრენდერის მიმართ მხოლოდ სიყვარულსა და სინაზეს

გრძნობდა. მას ხომ შეგნებით არ მიუყენებია ასეთი ვნება? ის ჭეშმარიტად კეთილი და დიდსულოვანი კაცი იყო, ნამდვილად კარგი ადამიანი. ჰოდა, ჯენიც საკუთარ თავზე მეტად, სრულიად გულწრფელად, სწორედ მისი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლას დასტიროდა.

ასეთ უნუგეშო ფიქრებში გავიდა ღამე. დილით სამუშაოსკენ მიმავალმა ბასმა შეირბინა და უთხრა, ამ საღამოს დედა გელოდება, მამა შინ არ იქნება და ყველაფერზე მოვილაპარაკოთო. საოცრად გაგრძელდა მძიმე, მტანჯველი დღე, მაგრამ საღამო ხანს ოდნავ მოგუნებდა და რვის თხუთმეტ წუთზე თავისიანებთან წავიდა.

შინ კვლავ არასასიამოვნო ამბები დახვდა. მამა თურმე ისევ ბოხოქრობდა, თანაც გადაწყვიტა, მომავალ შაბათს სამუშაოსთვის თავი დაენებებინა და იანგსტაუნში გადასულიყო. ახლა გერჰარდტს ყველა ქალაქი ერჩივნა კოლუმბუსს; სირცხვილნაჭამს აქ თავი აღარ გამოეყოფებოდა, მეზობლებისთვის ვერ შეეხედა. აქაურობას ყველაზე მძიმე მოგონებები უკავშირდებოდა. ჰოდა, გადაწყვიტა წასულიყო, თუ რაიმე კარგ სამუშაოს იშოვიდა, ოჯახს შემოუთვლიდა და წაიყვანდა, – რაც იმას ნიშნავდა, რომ თავის სახლს სამუდამოდ გამოთხოვებოდა. თუმცა სულ ერთია, გირაოს მაინც ვერ გადაიხდიდა, ამის იმედი აღარ იყო.

ერთი კვირის შემდეგ გერჰარდტი გაემგზავრა. ჯენი შინ დაბრუნდა და მათი ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, თუმცა დროებით, რა თქმა უნდა. ბასი ყველაფერს გრძნობდა. ჯენის თავს დატეხილი უბედურება და მოსალოდნელი შედეგი მასაც უკარგავდა მოსვენებას. კოლუმბუსში დარჩენა უაზრობა იყო, მაგრამ არც იანგსტაუნში გადასვლა ღირდა. თუ სადმე წასვლას დააპირებდნენ, ისევ რომელიმე დიდი ქალაქი ჯობდა.

შექმნილი ვითარებით შეშფოთებული ბასი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბედის ცდა ისევ კლივლენდში აჯობებდა, ამ ქალაქში მრეწველობა ახლა დიდი აღმავლობის გზაზე იდგა. ბედი თუ გაუმართლებს, მაშინ მთელ ოჯახსაც გადაიყვანს, ხოლო თუ მამა ისევ იანგსტაუნში იმუშავებს და ოჯახი კლივლენდში იცხოვრებს, მაშინ, აღარც ჯენი აღმოჩნდება ქუჩაში.

ბასმა ყველაფერი აწონ-დაწონა და თავისი აზრი ოჯახს გაუზიარა.

– კლივლენდში მინდა წასვლა, – უთხრა ერთ საღამოს ვახშმის სამზადისში გართულ დედას.

– რატომ? – შეეკითხა მისის გერჰარდტი და შვილს დაბნეული მიაჩერდა, შეშინდა, არ მიგვატოვოსო.

– იქნებ, რიგიანი სამუშაო ვიშოვო, ნეტავ რა დაგრჩენიათ ამ ოხერ, დაწყველილ ქალაქში.

– ნუ ილანძღები, –უსაყვედურა დედამ.

– ჰო, კარგი, – ხელი ჩაიქნია ბასმა. ლანძღვის ხასიათზე დადგები, მაშ რა იქნება. ბედი აქ არ გვწყალობს. წავალ, მივიხედ-მოვიხედავ, თუ იმედი გამიმართლდა, შეგატყობინებთ და ჩემთან გადმობარგდებით, უცხო ადგილას გვირჩევენია, სადაც არავინ გვიცნობს. აქ ჩვენი გახარება არ იქნება.

მისის გერჰარდტს გულში უკეთესი ცხოვრების იმედის ნაპერწკალი ჩაესახა. იქნებ, მართლაც მოეღოს ბოლო ამ გაჭირვებას. ნეტავ მართლა წავიდოდეს, სამუშაოს იშოვიდეს და დედას და ოჯახს დაეხმარებოდეს, როგორც ეს ჭკვიანსა და ჯანმანარ ვაჟიშვილს შეეფერება. ეჰ, რა კარგი იქნებოდა, იქნებ გადაურჩნენ იმ ნიაღვარს, უფსკრულისაკენ რომ მიაქანებს... _ როგორ ფიქრობ, სამუშაოს იშოვი? _ გამოცოცხლდა დედა.

_ უნდა ვიშოვო, _ მიუგო ბასმა. _ ჯერ არ ყოფილა, მეძებნა და ვერ მეშოვა. ჩემი ნაცნობი ბიჭებიც წავიდნენ კლივლენდში და მშვენივრად მოეწყვნენ, აი, თუნდაც მილერები.

მერე ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ფანჯარაში გაიხედა. _ _

ვითომ ვერ გაიტანთ თავს ჩემს სამუშაოზე მოწყობამდე?

_ როგორმე გავიტანთ, _ უთხრა დედამ. _ ახლა მამამენი მუშაობს, ცოტაოდენი ფული ჩვენც გვაქვს, ხომ იცი, აი, აი... _ ქალს ენა დაება, სირცხვილით ველარ ახსენა იმ ფულის გაჩენის წყარო, რამაც ასეთ დღეში ჩააგდო.

_ ჰო, გასაგებია, _ ნაღვლიანად უპასუხა ბასმა.

_ შემოდგომამდე არაფერია გადასახდელი, მერე კი მაინც ყველაფერს უნდა გამოვეთხოვოთ, _ დაუმატა დედამ. ქალი სახლის გირაოს გულისხმობდა. მომავალი გადასახადის დრო სექტემბერი იყო და, რა თქმა უნდა, ვერაფერსაც ვერ გადაიხდიდნენ. _ თუ მანამდე გადავსახლდებით სხვა ქალაქში, ვფიქრობ, როგორმე თავს გავიტანთ.

_ ჰოდა, ასეც მოვიქცევი, _ მტკიცედ თქვა ბასმა. _ უსათუოდ წავალ.

თვის ბოლოს ბასმა უარი თქვა თავის სამუშაოზე და მეორე დღესვე კლივლენდს გაემგზავრა.

მეთერთმეტე თავი

ჯენის ცხოვრების შემდეგი ამბები ისეთ მოვლენებს ეხება, რასაც ჩვენი დღევანდელი მორალი უმკაცრესად კრძალავს. დიდი და ბრძენი დედაბუნების მიერ მღუმარებასა და წყვდიადში ნამოქმედარი, ისევ ბუნებისაგან შექმნილ პატარა სულის ადამიანებს ფრიად უღირსად ეჩვენებათ. ჩვენ ზიზღით ვიბრუნებთ პირს ყოველივე იმისგან, რაც სიცოცხლის ჩასახვასთან არის დაკავშირებული, თითქოს ამით აშკარა დაინტერესება უკადრისი საქციელი იყოს. საოცარია, რომ ასეთი შეხედულება ჩამოყალიბდა იმ სამყაროში, რომლის არსებობის უცვლელ მიზანს კვლავ და კვლავ ახალი სიცოცხლის წარმოშობა შეადგენს. სამყაროში, სადაც ყველაფერი _ წყალი, ჰაერი, ქარი, მიწა და მზის სინათლე სხეულის ჩასახვას, ადამიანის დაბადებას ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ არა მარტო ჩვენ, ადამიანებს, არამედ მთელს დედამიწას ამომრავებს გამრავლების ინსტინქტი და საერთოდ ყველაფერი ერთადერთი გზით ჩნდება, მაინც არის ამაზე თვალის დახუჭვისა და ზურგის შექცევის

შეუსაბამო ტენდენცია: თითქოს ამ «უპატუონობის» თავი და თავი თვით ბუნებაში იყოს. «ბიწიერებით ჩასახული და ცოდვით დაბადებული» – აი, ბუნების საწინააღმდეგო გამოთქმა, ეს არის ბუნების კანონების საპირისპირო აზრი, საზოგადოება კი დუმილით ეთანხმება ამ მართლაცდა, საოცარ შეუსაბამო აზრს.

ექვი არ არის, რომ ასეთი თვალსაზრისი საფუძველშივე მცდარია. ადამიანის ყოველდღიურობაში მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ის, რასაც გვაწვდის ფილოსოფია და რა დასკვნამდეც მიდის ბიოლოგია: ბუნებაში არც უხამსი პროცესები არსებობს და არც ბუნების საწინააღმდეგო მოვლენები. საზოგადოების ამა თუ იმ ჩვეულებიდან და მის მიერ შემოღებული კანონებიდან გადახვევა სულაც არ ნიშნავს ცოდვის ჩადენას. ადამიანთა მიერ დადგენილი კანონების შემთხვევით დამრღვევი, უბედური არსება არ უნდა დავადანაშაულოთ უზომო სიმდაბლეში, რასაც მას საზოგადოებრივი აზრი მიაწერს ხოლმე.

ჯენი ახლა ამკარად დარწმუნდა, თუ რა უკუღმართად აღიქვს ის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც ბრენდერის სიკვდილი რომ არა, უწმინდეს და სიცოცხლის ერთ-ერთ უმაღლეს გამოვლენად ჩაითვლებოდა. თუმცა თვითონ ვერ მიმხვდარიყო, რითი განსხვავდებოდა ესოდენ ბუნებრივი სასიცოცხლო მოვლენა სხვა დანარჩენებისაგან. მაგრამ ირგვლივ მყოფთ აიძულებს ეფიქრა, რომ მისი ხვედრი – დაცემა იყო, რომ იგი ცოდვილი გახლდათ. ყველაფერმა ამან კინალამ ჩაკლა ის სიყვარული, ყურადღება და მზრუნველობა, რასაც შემდეგ ადამიანები შვილთან ურთიერთობისას მოითხოვდნენ. ეს აუცილებელი და ბუნებრივი სიყვარულის მომწიფება ლამის ბოროტებად მოეჩვენა. მართალია, ჯენი სახრჩობელაზე არ აუყვანიათ, ციხეში არ ჩაუგდიათ, როგორც მის მდგომარეობაში მყოფთ სჯიდნენ ამ რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ უმეცრება და სიბნელე ხელს უშლიდა ადამიანებს ჯენის დღეში ჩავარდნილ არსებაში საზოგადოების კანონების ბოროტად დამრღვევის გარდა სხვა რამ ადამიანური დაენახათ. ხოლო კანონის ამგვარი დარღვევა ისჯებოდა საყოველთაო ზიზღის გამოხატვით. გოგონას ისღა დარჩენოდა, მორიდებოდა ხალხის აღმაცერ მზერას და ჩუმად გადაეტანა მასში მომხდარი დიდი ცვლილება. უცნაურია, მაგრამ ჯენი არ განიცდიდა სინდისის დაუოკებელ ქენჯნას და უაზრო მწუხარებას. გული სუფთა ჰქონდა, ხოლო სული მშვიდი და უშფოთველი. არა, მწუხარება სულაც არ დავიწყებია, მაგრამ თავდაპირველი სიმძაფრე აღარ ჰქონდა. ახლა გაურკვეველი გაუბედაობა და გოცებალა შემორჩა, რის გამოც ზოგჯერ თვალები ცრემლით ევსებოდა.

გსმენიათ ოდესმე ზაფხულის დღის სიმყუდროვეში გუგულის ძახილი? წაწყდომიხართ სადმე მივარდნილ ადგილას ჩუხჩუხით გამომდინარე, მორაკრაკე ნაკადულს? შეგინიშნავთ შარშანდელ გამხმარ ფოთლებქვეშ, თოვლის საფარველის სიღრმიდან მორცხვი ენძელას ამოსვლა, გაზაფხულის ცის სილურჯეს რომ ეხმიანება? აი, ასე ისახება ახალი სიცოცხლეც.

ჯენი მარტო დარჩა, მაგრამ ტყის გუგულივით თვითონაც იქცა ზაფხულის ალერსიან სიმღერად. დიასახლისობდა და მშვიდად, უსაყვედუროდ ელოდა იმის დასრულებას, რაც მის ორგანიზმში ხდებოდა და რისთვისაც იყო მოწოდებული. როცა მოცლილი იყო, ფიქრებში იძირებოდა, იტყოდით, ცხოვრების სასწაულს მოუჟადოებიაო. ხოლო როცა დედას ეხმარებოდა საქმის კეთებაში, თავისთვის ღიღინებდა კიდევ, მუშაობაში დარდს ადვილად იქარვებდა. მომავალს მშვიდად და ვაჟკაცური სიმხნევით შეჰყურებდა. ასეთი სიმხნევის გამოჩენა ბევრ ქალს როდი შეუძლია. სამწუხაროა, რომ ბუნება უღირსებსაც არგუნებს ხოლმე შვილს. სიმწიფეში შესულ დედობის ღირს ქალებს უხარიათ დედობა და ამყად და კმაყოფილებით ასრულებენ დიად მოვალეობას კაცობრიობის წინაშე.

ასაკით თითქმის ბავშვი სულიერად და ფიზიკურად უკვე მომწიფებულ ქალად იქცა, მაგრამ ცხოვრებაზე ნათელი წარმოდგენა მაინც არა ჰქონდა და არც თავისი ადგილი იცოდა. ის უჩვეულო შემთხვევა, რამაც იგი ამ არანორმალურ მდგომარეობამდე მიიყვანა, ერთი მხრივ, მისი ღირსებებით იყო გამოწვეული. ამით დადასტურდა ჯენის სიმტკიცე და თავგანწირვა ყოველივე იმისადმი, რაც მას თავის მოვალეობად მიაჩნდა. თუ ყოველივე ამან ქალი ასეთ მოულოდნელ შედეგამდე მიიყვანა და ახალი, მძიმე და რთული პასუხისმგებლობა დააკისრა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა გრძნობებთან შედარებით თავდაცვის ინსტინქტი ნაკლებად ჰქონდა განვითარებული. ბავშვის დაბადების მოლოდინში მყოფ ჯენის ზოგჯერ შიში შეიპყრობდა, ვაითუ ოდესმე შვილმა საყვედური მითხრასო, მაგრამ ყოფიერების სამართლიანობის შეგნება საბოლოოდ სულით დაცემის საშუალებას არ აძლევდა. მისი აზრით, ადამიანებს არ შეეძლოთ განზრახ გულქვაობა. მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ღვთაებრივ სიკეთესა და სამართლიანობაზე. ცხოვრება ყოველთვის მშვენიერია, ჭირია თუ ლხინი, ყოველთვის მშვენიერი.

მოლოდინის, რამდენიმე თვის განუწყვეტელი ფიქრის შედეგად მივიდა ჯენი იმ დასკვნამდე, რომ დიდებული რამ იყო დედობა, თუნდაც ასეთ პირობებში. გრძნობდა, რომ ბავშვი უსათუოდ ეყვარებოდა და სამაგალითოდ დედაც იქნებოდა, თუკი ცხოვრება ამის ნებას მისცემდა. თუმცა საქმეც ეს იყო, მისცემდა კი ცხოვრება ამის უფლებას? დრო გადიოდა. ბავშვისათვის რაღაცების შეკერვა იყო საჭირო, საკუთარ ჯანმრთელობასა და კვებაზეც უნდა ეზრუნა. თან დღენიადაგ იმას შიშობდა, მამა არ დაბრუნდესო. მაგრამ გერჰარდტი არ ჩანდა. რჩევისათვის ოჯახის ძველ ექიმს ელუონგერს მიმართეს. ეს ექიმი მკურნალობდა ამ ოჯახის წევრებს, რა ავადმყოფობაც უნდა ჰქონოდათ. ექიმმა რამდენიმე საქმიანი და გონივრული რჩევა მისცა. ლუთერანული ეკლესიის ამ ღვიძლი შვილისათვის რელიგიურ დოგმებს ხელი არ შეუშლია, რომ კეთილშობილი ექიმი ყოფილიყო. თავისი ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეობის შედეგად ექიმმა დაასკვნა, რომ ბევრი რამ იყო ამქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსებსაც ვერ აეხსნათ.

– გასაგებია, – უთხრა ექიმმა მისის გერჰარდტს, როდესაც ქალმა თავისი გასაჭირი გაუზიარა. – ნუ იდარდებთ. ასეთი შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე თქვენ გგონიათ. ცხოვრებას რომ ჩემსავით იცნობდეთ და თქვენი მეზობლების ამბებშიც ერკვეოდეთ, მაშინ აღარ იტირებდით. თქვენი გოგონა ჩინებული ჯანმრთელობის პატრონია და ყველაფერს კარგად გადაიტანს. მერე შეუძლია სადმე გაემგზავროს და ვერავინ ვერაფერს გაიგებს. განა ღირს იმაზე წუხილი, რას იტყვიან მეზობლები? ასეთი ამბავი იშვიათობა არ გეგონოთ.

მისის გერჰარდტმა შვებით ამოისუნთქა. მაინც რა ჭკვიანი კაცია ეს ექიმი, მისმა სიტყვებმა გაამხნევა ქალი. ჯენი კი ყურადღებით, უშიშრად ისმენდა ექიმის დარიგებებს, საკუთარ თავზე მეტად ბავშვზე ფიქრობდა, მისი ჯავრი ჰქონდა, სურდა ყველაფერი წესის მიხედვით შეესრულებინა... ექიმს ცნობისმოყვარეობამ სძლია და ჰკითხა, ბავშვის მამა ვინ არისო. როცა პასუხი მოისმინა, თვალები ზეცისკენ ალაპყრო და თქვა:

– ოი, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ბავშვი იქნება.

აი, დადგა ჩვილის გაჩენის დროც. მშობიარობას ექიმი ელუონგერი ესწრებოდა. ექიმს მისის გერჰარდტი ეხმარებოდა. ექვსი შვილის დედამ მშვენივრად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჯენის მთელი არსება ახალშობილის ტირილმა შეიპყრო. თავისი შვილი! ამ ერთი ბეწო სუსტსა და უძლურ გოგონას დედის მზრუნველობა სჭირდებოდა. როცა ბავშვი გაბანეს და გამოკრეს, ჯენიმ თრთოლვითა და უსაზღვრო სიყვარულით მიიკრა გულზე. თავისი შვილი, თავისი გოგონა! ჯენის სწორედ მისთვის სწყუროდა სიცოცხლე და შრომა. და აი, მშობიარობით ქანცმილულს უხაროდა, რომ საერთოდ ჯანმრთელი იყო. ექიმი ელუონგერი იმედოვნებდა, ჯენი მალე მოლონიერდებაო. მისი ვარაუდით ორ კვირაზე მეტი ლოჯინში წოლა არ დასჭირდებოდა. მართლაც, ათი დღის მერე ჯენი ფეხზე წამოდგა, ძველებურად მხნედ გრძნობდა თავს. ბუნებით ჯენი ჯანმრთელი და ღონიერი გოგონა იყო და იდეალური დედისათვის საჭირო ყველა თვისება გააჩნდა.

გადამწყვეტმა საათმა განვლო და ცხოვრება კვლავინდებურ კალაპოტში ჩადგა. ბასის გარდა, ჯენის და-ძმანი საკმაოდ პატარები იყვნენ, სინამდვილეს ვერ ჩასწვდნენ. ნათქვამი დაიჯერეს, ჯენი სენატორ ბრენდერს გაჰყვა ცოლად, მაგრამ იგი უეცრად გარდაიცვალაო. ბავშვზე არაფერი იცოდნენ, ვიდრე არ დაიბადა. მისის გერჰარდტს მეზობლების ეკრძალებოდა, ცნობისმოყვარე ქალები თვალს ადევნებდნენ, ყველაფერი იცოდნენ. ჯენი, ალბათ, ვერც გაძლებდა ასეთ ვითარებაში, მაგრამ სწორედ ამ დროს ბასი კლივლენდში მოეწყო, და მოიწერა: როგორც კი ჯენი გამოჯანმრთელდება, მთელი ოჯახი აქ გადმოდით და ახალი ცხოვრება დავიწყოთ, კლივლენდში საქმეები კარგად მიდისო. კოლუმბუსიდან წამოსულები აქაურ მეზობლებს ვედარ შეხვდებოდნენ. ჯენი ჯერჯერობით შინ იქნებოდა, მერე კი სამუშაოდ სადმე მოეწყობოდა.

მეთორმეტე თავი

იმ დროისათვის, როცა ბასი კლივლენდში ჩავიდა, ქალაქი, შეიძლება ითქვას, დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა. ამის მხილველმა ახალგაზრდამ სწრაფად აღიდგინა სულიერი წონასწორობა. იმედი გაუჩნდა, რომ საკუთარსა და თავისი ოჯახის საქმეებს გამოაკეთებდა. «ერთი ისინი ჩამომაცვანინა და სამუშაოზე მომაწყობინა, მეტი არა მინდა რა, მერე ყველაფერი რიგზე იქნება», – ფიქრობდა ბასი. ამ ქალაქში არაფერი ახსენებდა ახლახან თავს დამტყდარ უბედურებას. არც ნაცნობები იყვნენ, თავიანთი არსებობით წარსულის მწარე დღეებს რომ განუახლებდნენ. აქ ყველაფერში საქმიანობა და ენერჯია იგრძნობოდა. თითქოს საკმარისი იყო იქვე, კუთხეში ჩაგეხვიათ, რომ წარსული დღეები და შეცოდებანი სადღაც გამქრალიყო. ყოველ ახალ კვარტალში ახალი სამყარო იშლებოდა.

ბასმა უცბად იმოვა ადგილი თამბაქოს მაღაზიაში და თვე-ნახევრის შემდეგ იმედით სავსე წერილებს უგზავნიდა თავისიანებს. ჯერ ჯენი უნდა ჩამოსულიყო და სამუშაოს შოვნისთანავე დანარჩენებიც ჩამოჰყოლოდნენ. მისი ასაკის გოგონებისათვის აქ ათასნაირი სამუშაო იყო. ჯენი დროებით მასთან იცხოვრებდა. თუმცა შეეძლო სადმე პატარა სახლიც ექირავა თვეში თხუთმეტ დოლარად. აქ იყო ავეჯის დიდი მაღაზიები, სადაც ხელსაყრელ პირობებში განვადებით ყოველგვარი ავეჯის შეძენა შეიძლებოდა. დედა იდიასახლისებდა. ისინი სრულიად ახალ გარემოში იცხოვრებდნენ. მათ შესახებ არაფერი ეცოდინებოდათ და ვერც იჭორავებდნენ. წესიერი და პატივსაცემი ადამიანების სახელით ახალ ცხოვრებას დაიწყებდნენ.

იმედებითა და ოცნებებით ავსილმა ბასმა, როგორც სჩვევიათ ახალ ადგილზე მოწყობილ, გამოუცდელ ახალგაზრდებს, ჯენის მისწერა, დაუყოვნებლივ ჩამოდო. ჯენის ბავშვს მაშინ ექვსი თვე უსრულდებოდა. აქ თეატრებია, ლამაზი ქუჩები, – წერდა ბასი, – ტბებიდან გემები შუაგულ ქალაქში შემოდინან. კლივლენდი საოცარი ქალაქია და სწრაფადაც იზრდება! ამ ახალ ვითარებაში ბასს ყველაზე ძალიან სწორედ ეს მოსწონდა.

ბასის მოწერილმა ამბავმა მისის გერჰარდტი, ჯენი და ოჯახის დანარჩენი წევრებიც დიდად გაახარა. მისის გერჰარდტი მწარედ განიცდიდა ჯენის საქციელის შედეგს და თვითონაც იმ აზრისა იყო, რომ ბასის რჩევა მიეღო და ამ ქალაქიდან გადაბარგებულიყვნენ. ბუნებით ხალისიან ქალს, სასოწარკვეთა არა სჩვეოდა და ახლა ისე გაიტაცა კლივლენდში ცხოვრების ნათელმა მომავალმა, რომ ლამის თვალნათლივ ხედავდა თავისი დიდი ხნის სანუკვარი ოცნების ახდენას – მყუდრო სახლს და შვილების ბრწყინვალე წარმატებას. «რა თქმა უნდა, სამუშაოს იმოვიან», – მალიმალ იმეორებდა ქალი. ბასი მართალია, მისის გერჰარდტს ყოველთვის უნდოდა, სადმე დიდ ქალაქში გადასულიყო საცხოვრებლად, მაგრამ ქმარი იყო წინააღმდეგი. ახლა ეს ამბავი გარდუვალია. ჰოდა, წავლენ კიდევ და უკეთესადაც იცხოვრებენ, ვიდრე ოდესმე. ცოლის გადაწყვეტილებას გერჰარდტიც დაეთანხმა. პასუხად მოიწერა, რომ ადგილის მიტოვება, მისი მხრივ სისულელე იყო, მაგრამ თუ ბასის აზრით კლივლენდში

მართლა მოეწყობოდნენ, მაშინ საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. ამ გეგმას უფრო იმიტომ დათანხმდა, რომ მოსვენებას უკარგავდა მთელი ოჯახის რჩენისა და გასასტუმრებელი ვალების გახსენება. ყოველ კვირას ხელფასიდან ხუთ დოლარს ცოლს უგზავნიდა. სამ დოლარს თვითონ ხარჯავდა სასმელ-საჭმელში. ორმოცდაათი ცენტი წვრილი ხარჯებისათვის ჰქონდა განკუთვნილი: საეკლესიო შესაწირისთვის, ცოტაოდენი თამბაქოსა და ზოგჯერ ერთი ჭიქა ლუდისათვის. გარდა ამისა, ყოველ კვირას დოლარ-ნახევარს ყულაბაში აგდებდა, შავი დღისთვის აგროვებდა. ცხოვრობდა ფაბრიკის ფარღალალა სხვენზე. საღამოს ცხრა საათამდე გერჰარდტი ფაბრიკის პარმალზე მარტოდმარტო იჯდა და უკაცრიელ ქუჩებს გაჰყურებდა, მერე თავის სხვენში ადიოდა. ქვემო სართულიდან ამოსულ სამანქანო ზეთის სუნით გაჟღენთილ, დახუთულ სხვენში, ქონის სანთლის ციმციმში მთავრდებოდა მარტოდმყოფი მოხუცის სამუშაო დღე. კითხულობდა გერმანულ გაზეთს, გულზე ხელებგადაჯვარედინებული ფიქრებში იძირებოდა, მერე სიბნელეში მუხლებზე ეცემოდა და ღია ფანჯარასთან ლოცულობდა. მხოლოდ შემდეგ მიეგდებოდა თავის ქვასავით მაგარ საწოლზე. დღეები უსასრულოდ გრძელი იყო, მომავალი – უსიხარულო და ნაღვლიანი. უსაზღვრო რწმენით აღვსილი, ზეცისკენ ხელაპყრობილი მაინც იმას შესთხოვდა უფალს, რომ ყველა ცოდვა შეენდო და რამდენიმე წელი მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება ეჩუქებინა ცოლ-შვილში.

როგორც იქნა, გადაწყდა ოჯახის უმთავრესი საკითხი. გამგზავრების სურვილით შეპყრობილი ბავშვები ვეღარ ითმენდნენ. გუნებაში მისის გერჰარდტიც თანაუგრძნობდა. პირველად ჯენი უნდა წასულიყო, როგორც ამას ბასი მოითხოვდა. მერე მთელი ოჯახი მიჰყვებოდა. მაგრამ როცა ჯენის გამგზავრების საათი დადგა, ყველა უსაზღვროდ აღელდა.

– ჩვენც ხომ მალე წავგიყვან? – მერამდენედ ეკითხებოდა

მართა. – ბასს გადაეცი, დააჩქაროს, – ითხოვდა ჯორჯი.

– კლივლენდში მინდა, კლივლენდში მინდა! – მღეროდა ვერონიკა, როცა ეგონა, არავინ მისმენსო.

– ამას დამიხედეთ, რა მონდომებია! – დაცინვით შეუძახა ჯორჯმა, სიმღერას რომ მოჰკრა ყური.

– მერე, შენ რა გინდა! – ეწყინა გოგონას.

როცა გამოთხოვების წუთი დადგა, ჯენის მთელი სიმხნევის მოკრება დასჭირდა. მართალია, ეს ყოველივე იმისთვის კეთდებოდა, რომ მალე ყველა ერთად შეკრებილიყო და უკეთესად ეცხოვრათ, მაგრამ მოულოდნელად სიმხნევამ უღალატა, ჯენი ხომ თავის ექვსი თვის გოგონას შორდებოდა, წინ კი ვეებერთელა, უცნობი სამყარო აღმართულიყო და შიში ბოჭავდა.

– ნუ გეშინია, დედიკო, – გამამხნევებლად ეუბნებოდა ჯენი, თუმცა თვითონ თავს ძლივს იკავებდა. – ყველაფერი რიგზე იქნება. როგორც კი ჩავალ, მაშინვე მოგწერ.

როცა ჯენი ბავშვის საკოცნელად უკანასკნელად დაიხარა, მხნეობა ისე გაუქრა, როგორც ასანთი ქრება ქარის შემოქროლვაზე. საწოლზე დახრილი, გრძნობამორეული მისჩერებოდა საყვარელ სახეს.

_ ხომ კარგი გოგონა იქნები? _ ჩურჩულებდა თავისთვის.

მერე დაავლო ბავშვს ხელი და გულში მაგრად ჩაიკრა. მისის გერჰარდტმა შენიშნა, მთელი სხეულით როგორ ცახცახებდა ჯენი.

_ აბა, ასე რატომ ღელავ? _ ახლა დედამ დაუწყო დამშვიდება. _ პაწია ჩემთან კარგად იქნება. მზრუნველობას არ მოვაკლებ. თუ ასე იღელვებ, სჯობს არ წახვიდე.

ჯენიმ თავი ასწია და გოგონა დედას მიაწოდა. ცისფერი თვალები სავსე ჰქონდა ცრემლებით.

_ თავს ვეღარ ვიკავებ, _ გაიღიმა თვალცრემლიანმა. მერე დედასა და დამას სასწრაფოდ გამოემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

ქუჩაში ჯორჯის გვერდით მიმავალი ჯენი მოტრიალდა და თავისიანებს მხიარულად დაუქნია ხელი. მისის გერჰარდტმაც ხელის დაქნევით უპასუხა, და გაიფიქრა, ჯენი უკვე მოწიფულ ქალსა ჰგავსო. ჯენი სულ მთლად ჩაუცმელი იყო და გამგზავრების წინ ცოტა ფული დახარჯა, ახალი კაბა იყიდა. ჰოდა, ახლა მოხდენილი ყავისფერი კოსტიუმი და თეთრი კოფთა ეცვა, ძალიან უხდებოდა. თავზე პირბადიანი ჩალის შლაპა ეხურა. მისის გერჰარდტი თვალებში ჩამდგარი უსაზღვრო სიყვარულით მიაცილებდა გზაზე მდგარ შვილებს.

_ ყოველ შემთხვევაში, ძალიან მიხარია, რომ ჯენი ასე კარგად გამოიყურება, _ ალერსიანი ხმით წარმოთქვა თვალცრემლიანმა დედამ.

მეცამეტე თავი

ბასი კლივლენდის სადგურზე დახვდა ჯენის და მაშინვე იმედის მომცემი ლაპარაკი გაუბა.

_ პირველ ყოვლისა, სამუშაო უნდა გამოვნახოთ, _ დაიწყო ბასმა, ჯენი კი სამრეწველო ქალაქის გამაყრუებელმა ხმაურმა და ზრიალმა, მკვეთრი სუნით გაჟღენთილმა ჰაერმა გააბრუა და დააბნია. _ უსათუოდ რამე უნდა გამოვძებნოთ, _ განაგრძობდა ძმა, სულ ერთია, როგორიც იქნება, ოღონდ რამე სამუშაო იყოს. კვირაში სამი-ოთხი დოლარიც რომ იშოვო, ისიც კარგია, ბინის ქირას მაინც გადაიხდი. მერე ჯორჯიც ჩამოვა და იმუშავებს, მამაც ხომ ცოტას აგზავნის, ასე რომ, თავს მშვენივრად გავიტანთ, გაცილებით უკეთესად, ვიდრე იმ მიყრუებულ კოლუმბუსში.

_ ჰო, _ გაურკვეველად პასუხობდა ჯენი. ქალი ისე შეეპყრო ახალი ქალაქის ხილვას, რომ თავი ვერ აიძულა, გულდასმით მოესმინა ძმისთვის. _ ჰო, გავიგე, რამეს გამოვძებნი.

ჯენი ახლა გაცილებით მეტი ხნის ჩანდა, წლებით თუ არა, გონებით მაინც. ყველაფერმა, რაც მან ასე მოკლე ხანში განიცადა, აგრძნობინა ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ცხოვრება აკისრებდა. გამუდმებით ფიქრობდა დედასა და ბავშვებზე. განსაკუთრებით მართასა და ვერონიკაზე. უნდა ეცადოს, ეგებ, უკეთესად მოაწყოს მათი ცხოვრება. უკეთესი ჩაცმა სჭირდებათ, სკოლაშიც უნდა იარონ. დაე, მათ უფრო მეტი მეგობარი ჰყავდეთ, ჰქონდეთ გონების გახსნის მეტი საშუალება.

კლივლენდი, როგორც ყველა ახალი მზარდი ქალაქი, სავსე იყო სამუშაოს მაძიებლებით. მართალია, ახალი წარმოებები იხსნებოდა, მაგრამ სამუშაოს მთხოვნელნი ჭარბობდნენ. ქალაქში ჩამოსული მუშახელი ზოგჯერ იმ დღესვე შოულობდა სასურველ სამუშაოს, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ კვირების და ზოგჯერ თვეების განმავლობაშიც ვერაფერს აღმოაჩენდა. ბასმა ურჩია, სადმე სავაჭრო დუქნებს ან უნივერსალურ მაღაზიებს მიაკითხეო. თუ იქ არაფერი გამოვიდოდა, მაშინ ფაბრიკაში ანდა კიდევ სხვაგან ეცადა ბედი.

– მაგრამ, გახსოვდეს, თუ რამ ადგილი გამოძებნო, შემთხვევა არ გაუშვა, – გააფრთხილა ძმამ. – მაშინვე ჩასჭიდე ხელი, რაც იყოს.

– მაინც, როგორ უნდა ვიკითხო? – მიუბრუნდა აღელვებული ჯენი. – უთხარი, რომ სამუშაოს ეძებ, რომ შენთვის სულ ერთია, რაც იქნება.

ჯენი ძმის მოთხოვნას დაჰყვა და პირველსავე დღეს სცადა ბედი. სადაც არ მიაკითხა, ცივი უარი სტკიცეს, არსად ესაჭიროებოდათ ახალი თანამშრომელი. მივიდა მაღაზიებში, ფაბრიკებში, ქალაქის გარეუბნებში მოძრავლებულ წვრილ სახელოსნოებში, მაგრამ ყველგან უარით გაისტუმრეს, ბოლოს შინამოსამსახურის ადგილის ძებნა დაიწყო, თუმცა არ ეგონა, მოახლეობა თუ მოუწევდა. გაზეთებში განცხადებები ყურადღებით წაიკითხა, თავისთვის შესაფერი ოთხი მისამართი ამოიწერა და გზას გაუდგა. ერთგან ადგილი უკვე დაკავებული დახვდა, მაგრამ ჯენის სახემ იმ ქალზე, ვინც კარი გაუღო, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, შინაც კი შეიპატოჟა.

– სამწუხაროა, რომ ცოტა ადრე არ მოხვედით, თქვენ უფრო მომწონხართ, ვიდრე ის გოგონა, რომელიც ავიყვანე. ყოველ შემთხვევაში, მისამართი დამიტოვეთ, – ტკბილად უთხრა ქალმა.

გულთბილი მიღებით გამხნეებული ჯენი ღიმილით გამოვიდა. ახლა უკვე ისეთი ნორჩი აღარ ჩანდა, როგორც იმ განსაცდელამდე. სახე ოდნავ გაუხუნდა, თვალებიც თითქოს ჩაუცვივდა, მაგრამ ეს ყველაფერი მთელ იერსახეს მეტ სინაზესა და მგრძნობიარობას მატებდა. ჯენი სისუფთავის განსახიერება იყო. ახლად გარეცხილსა და გაუთოებულ სუფთა კაბაში საოცრად ქორფა და მიმზიდველი ჩანდა. მართალია, ჯერ კიდევ იზრდებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, ბავშვი აღარ იყო: იგი უკვე ოცი წლის ქალი გახლდათ. რაც მთავარია, კარგი ხასიათი ჰქონდა. მძიმე სამუშაოსა და გაჭირვების მიუხედავად ყოველთვის მხნედ იყო.

ვისაც მართლა სჭირდებოდა მოახლე, ჯენი ნამდვილი შენამენი იქნებოდა.

ჯენი ახლა ევკლიდეს ავენიუზე განცალკევებით მდგარი დიდი სახლისაკენ გაემართა. საეჭვო იყო, ასეთ მდიდრულ სახლში იგი დასჭირვებოდათ, მაგრამ, რაკი მოვიდა, ბედი მაინც სცადა. კარი მსახურმა გაუღო და უთხრა, ცოტა ხანს მოიცადეო. მერე დაბრუნდა და ჯენი მეორე სართულზე ბუდუარში დიასახლისს, მისის ბრეისბრიჯს წარუდგინა. დიასახლისი სასიამოვნო, შავგვრემანი ქალი აღმოჩნდა, ისეთი, ხშირად რომ გვხვდება ხოლმე მაღალ საზოგადოებაში. იგი კარგად ერკვეოდა ქალის გარეგნობაში და ჯენის სილამაზეც უმაღლეს შეაფასა. ცოტაოდენი გამოსაუბრების შემდეგ გადაწყვიტა, საცდელი ვადით ჯენი მოახლედ აეყვანა.

– კვირაში ოთხ დოლარს გადაგიხდით და თუ თქვენი სურვილიც იქნება, შეგიძლიათ აქვე იცხოვროთ, – უთხრა მისის ბრეისბრიჯმა.

ჯენიმ აუხსნა, რომ ძმასთან ცხოვრობდა და მალე მთელი ოჯახიც აქეთ გადმოვიდოდა.

– კეთილი, – შენიშნა დიასახლისმა. – როგორც მოგიხერხდეთ, ისე გადაწყვიტეთ, მხოლოდ დილით დროზე უნდა გამოცხადდეთ.

მისის ბრეისბრიჯმა ახალი მოახლე შინ აღარ გაუშვა და ჯენიც იმ დღესვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. დიასახლისის განკარგულებით, ჯენის ლამაზი თავსაკრავი და წინსაფარი მისცეს და მოკლედ გააცნეს თავისი მოვალეობანი. მოახლემ პირველ რიგში დიასახლისს უნდა მიხედოს: დაეხმაროს ჩაცმაში, თმის ვარცხნილობის მოწესრიგებაში. როცა ზარს დარეკავენ, კარი უნდა გაუღოს. თუ საჭიროება მოითხოვს, მაგიდას მოემსახუროს და, საერთოდ, გააკეთოს ყველაფერი, რაზეც დიასახლისი მიუთითებს. მომავალი დიასახლისი ჯენის, ცოტა არ იყოს, მკაცრი და მშრალი მოეჩვენა, თუმცა მისი ენერგიითა და ამაყი ქცევით მაინც მოხიბლული დარჩა.

საღამოს რვა საათზე გამოუცხადეს, სამუშაო დღე დამთავრდა, თავისუფალი ხართო. ჯენის არა სჯეროდა, რომ ამ უზარმაზარსა და მდიდრულ სახლში მსახურად აიყვანეს. გახარებული იყო, რა კარგად მოვეწყვეო. დიასახლისმა პირველ საქმედ ბუდუარის ძვირფასეულობისა და სამშვენისების დასუფთავება დაავალა. მუყაითი და გულმოდგინე მუშაობის მიუხედავად, რვა საათამდე მაინც ვერ მოასწრო, თან შინ წასვლა ეჩქარებოდა, ძმისთვის ეხარებინა, ადგილი ვიშოვეო. ახლა დედაც შეძლებდა კლივლენდში ჩამოსვლას. შვილსაც ჩამოუყვანდა, ყველანი ერთად იქნებოდნენ და ცხოვრებასაც ახლებურად ააწყობდნენ. ეს ახალი ცხოვრება კი ძველზე უკეთესი, შედარებით იოლი და უფრო ხალისიანი იქნებოდა.

ბასის რჩევით, ჯენიმ დედას წერილი მისწერა, მალე ჩამოდიო. დაახლოებით ერთი კვირის ძებნის შემდეგ შესაფერი ბინაც იქირავეს. მისის გერჰარდტმა, ბავშვების დახმარებით, ჩაალაგა რაც რამ გააჩნდათ, მათ შორის ავეჯიც. ყველაფერი ერთ ფურგონში მოათავსა. ორი კვირის შემდეგ მთელი ოჯახი უკვე ახალ სახლში დაბინავდა.

მთელი ცხოვრება მისის გერჰარდტი კარგ მყუდრო ბინაზე ოცნებობდა. ნატრობდა ლამაზ რბილ ავეჯს, ფაფუკ, ნაზფერებიან ხალიჩებს, სკამებს,

სავარძლებს, სურათებს, პიანინოს, მაგრამ საშუალება არ ჰქონდა, ოცნება სინამდვილედ ექცია. თუმცა იმედს მაინც არ ჰკარგავდა. ვინ იცის, იქნებ, ეღირსოს, კიდევ მოესწროს ამდაგვარი ნივთებით დატკობას. შესაძლოა, ბედმა უკვე გაუღიმა კიდევ.

კლივლენდში ჩამოსულმა დედამ ჯენის მხიარული სახე რომ დაინახა, იმედი გაუცხოველდა. ბასმა დაარწმუნა, მთელი ოჯახი აქ უკეთ იცხოვრებთო. ჩამოსულები სახლში წაიყვანა, მერე ჯორჯს სადგურში გაბრუნება და ბარგის წამოღება დაავალა. ბრენდერის დანატოვარი ფულიდან მისის გერჰარდტს კიდევ ჰქონდა დარჩენილი ორმოცდაათი დოლარი. ამ ფულით შეიძლებოდა ნისიად ზოგიერთი აუცილებელი ავეჯის ყიდვა. ბასს უკვე წინასწარ გადაეხადა ერთი თვის ბინის ქირა. აბა, ჯენიმ ხომ ეს ბოლო საღამოები იატაკებისა და ფანჯრების რეცხვას მოანდომა. წვრიალი გაუდიოდა იქაურობას. პირველ ღამეს მათ ორი ახალი ლეიბი და ბამბის საბნები გაკრიალებულ იატაკზე დააგეს. ახალი ლამპაც იქვე მაღაზიაში იყიდეს. ჯენის საბაყლო დუქნიდან ერთი ყუთი მოეტანა და სადიასახლისო საჭიროებისათვის ხმარობდა, მაგრამ იმ საღამოს, მისის გერჰარდტმა ვარცლად გამოიყენა. ვახშმად და დილის საუზმედ პური და ცოტაოდენი მეხვი ჰქონდათ. საღამოს ცხრა საათამდე ისხდნენ, ისაუბრეს, დააწყვეს მომავლის გეგმები. მერე კი, ჯენისა და მისის გერჰარდტის გარდა, ყველა დაწვა. მხოლოდ დედა-შვილი საუბრობდა. დედამ იგრძნო, რომ ერთგვარად შვილზე იყო დამოკიდებული, რომ გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნოდა.

ერთ კვირაში ყველაფერი მოაგვარეს: იყიდეს აუცილებელი ავეჯი, საჭირო სამზარეულოს ჭურჭელი. განსაკუთრებით ღუმელის შეძენა გაუჭირდათ. ეს იყო ყველაზე დიდი ხარჯი. უმცროსები სკოლაში მიაბარეს, მაგრამ აი, ჯორჯს კი უნდა ემუშავა, სხვა გზა არ იყო. ჯენი და დედა მტკივნეულად განიცდიდნენ ამ გადაწყვეტილების უკუღმართობას, მაგრამ ვერც მისი თავიდან აცილება შეძლეს.

– ვეცადოთ, გაისად მაინც ისწავლოს, – თქვა ჯენიმ.

თითქოს კარგად, კეთილად აეწყო ახალი ცხოვრება, მაგრამ ოჯახის შემოსავალ-გასავალი დაახლოებით ერთნაირი იყო, ხშირად მათი გაწონასწორება ბეწვზე ეკიდა. ბასმა, რომელიც თავიდან სულგრძელად მოეკიდა საერთო საქმეს, განაცხადა, ბინის ქირისა და საჭმლისათვის ოთხ დოლარზე მეტს ვეღარ დავდებო. ჯენი მთელ თავის შემოსავალს დედას აბარებდა, თან ირწმუნებოდა, არაფერი მინდა, ოღონდ ბავშვს ნორმალური კვება და მოვლა ჰქონდესო. ჯორჯი მაღაზიაში ხელზე მოსამსახურედ დადგა. ორ-ნახევარი დოლარი მოჰქონდა კვირაში და პირველ ხანებში ხალისით აძლევდა დედას. მერე გადაწყვიტეს, წვრილმან სახარჯოდ ბავშვისათვის ორმოცდაათი ცენტი მაინც დაეტოვებინათ.

ოჯახს მოშორებული გერჰარდტი ისევ ძველებურად, მუყაითად შრომობდა და ფოსტით თითქმის ხუთ დოლარს აგზავნიდა. თან ყოველ გამოგზავნაზე იმას იწერებოდა, კოლუმბუსში ძველი ვალის გასასტუმრებლად ცოტაოდენი

ფული გადაინახეთო. ეს ვალი მძიმე ტვირთად აწვა მის სინდისს. ამრიგად, საერთო შემოსავალი კვირაში თხუთმეტი დოლარი იყო. ამ ფულით უნდა ჩაეცვათ, თავი გამოეკვება მთელ ოჯახს, გადაეხადათ ბინის ქირა, ყვიდათ ქვანახშირი, შეეტანათ ნისიად გამოტანილი ორმოცდაათ დოლარიანი ავეჯის ფული.

როგორ მოქცეულიყვნენ? აი, უზრუნველყოფილმა ადამიანებმა, ისე მსჯელობა რომ უყვართ, სიღარიბის სოციალური არსის ახსნაზე, გვიპასუხონ, შეიწუხონ თავი და დაინტერესდნენ ამ საკითხის ამოხსნით. მარტო ბინის ქირის, ქვანახშირისა და განათების ხარჯები შეადგენდა მრგვალ თანხას – თვეში ოც დოლარს. კვება – სამწუხაროდ ეს კიდევ ერთი აუცილებელი გასავალი – ოცდახუთი დოლარი ჯდებოდა, ავეჯის შესატანი ქირა, ყოველგვარი აუცილებელი ხარჯი – წამალი და მისთანანი, ალბათ, დარჩენილ თხუთმეტ დოლარს შეიწირავდა. ჰოდა, იქნებ, უზრუნველყოფილი მკითხველის მახვილი გონების წარმოსახვამ გვიკარნახოს, როგორ უნდა გადაეხადათ ეს ყველაფერი. ასე იყო თუ ისე, გერჰარდტების ოჯახს ძალღუმადურად გაჰქონდა თავი და იმედით აღსავსეთ ისიც კი ეგონათ, კარგად ვცხოვრობთო.

მათი ოჯახი ღირსეული მაგალითი იყო კეთილსინდისიერი და პატიოსანი გარჯისა. მისის გერჰარდტი მონასავით შრომობდა, საზღაურად კი არაფერს ითხოვდა. არც ჩასაცმელს, არც გართობას, არც სხვა რაიმე სურვილის დაკმაყოფილებას. ბავშვების გამოღვიძებამდე ყოველ დილა უთენია დგებოდა, ცეცხლს ანთებდა და საუზმეს ამზადებდა. სიფრიფანა, გაცვეთილ ფლოსტებში გაზეთის ქაღალდს აფენდა, ფეხიდან რომ არ გასძრობოდა, და ისე უხმაუროდ დადიოდა. უსაზღვრო სინაზითა და სიყვარულით გადახედავდა ხოლმე ღრმა ძილში წასულ ჯენის, ბასსა და ჯორჯს. საბრალოს მთელი გულით სურდა მის შვილებს ასე ადრე ადგომა და ასეთი თავწახრილი შრომა არ დასჭირვებოდათ. ვიდრე უსაყვარლეს ჯენის გააღვიძებდა, მზრუნველად დახედავდა ქალიშვილის დაღლილ, ფერწასულ, მაგრამ მშვიდ სახეს. გული უკვდებოდა, ბედმა რომ ასეთი მწარე განსაცდელი არგუნა. მერე ნაზად დაადებდა ხელს მძინარეს მხარზე და დაუძახებდა.

ბავშვებს ადგომისთანავე საუზმე მზად ხვდებოდათ. საღამოს შინ დაბრუნებულებს ვახშამი ელოდათ. თავის მზრუნველობასა და ყურადღებას მისის გერჰარდტი არავის აკლებდა. პატარა შვილიშვილს თვალს არ აცილებდა. მე არაფერი მინდა – არც კაბა, არც ფეხსაცმელიო, – გულ-მხურვალედ ირწმუნებოდა, თუ რამ მოსატანი იქნება, ბავშვები გამეგზავნებიან და იმათ მოვატანინებო.

შვილებიდან მხოლოდ ჯენი ხვდებოდა დედის გასაჭირს. სათნო და მოსიყვარულე შვილი ყოველნაირად ცდილობდა დედას დახმარებოდა.

- დედიკო, მომეცი, ამას მე გავაკეთებ.
- დედი, თავი დაანებე, ამას მე თვითონ მოვუვლი.
- დაჯექი და დაისვენე.

ამ უბრალო სიტყვებში გამოსჭვიოდა ის უსაზღვრო სიყვარული, ჯენის დედასთან რომ აკავშირებდა. ისინი ყოველთვის უგებდნენ ერთმანეთს. ჯენის ტანჯავდა დედის გამომწვევდელი ყოფა, გარეთ ფეხის გადგმა რომ არ შეეძლო. ჯენი მუშაობისას სულ იმ პატარა სახლზე ფიქრობდა, სადაც ასე წვალობდა, შრომობდა მისი საყვარელი დედა. გულით ეწადა დედისთვის მყუდრო ბინა და დასვენების საშუალება მიეცა, აეხდინა მისი განუხორციელებელი ოცნება.

მეთოთხმეტე თავი

ბრეისბრიჯებთან მოახლედ ყოფნის დროს ჯენის გონებრივი ჰორიზონტი საკმაოდ გაფართოვდა. ეს ბრწყინვალე სახლი მისთვის ერთგვარი სკოლა იყო, სადაც მარტო ჩაცმასა და თავის დაჭერას კი არ სწავლობდა, ცხოვრების სიბრძნესაც იძენდა. მისის ბრეისბრიჯი და მისი მეუღლე ფრიად თანამედროვე, თავის თავში დარწმუნებული ადამიანები იყვნენ. ჰქონდათ გემოვნებით მოწყობილი საუცხოო ბინა, ეცვათ უკანასკნელ მოდაზე. აბა, სტუმრების მიღება და საზოგადოებაში თავის დაჭერა ხომ საუკეთესო ტონის ყოველგვარი წესების დაცვით იცოდნენ. მისის ბრეისბრიჯი თავის ფილოსოფიას ხშირად მოკლე აფორიზმებით გამოხატავდა.

– ჩემო კარგო, ცხოვრება ბრძოლაა. თუ რამის მიღება გასურს, კიდევაც უნდა იბრძოლო.

– ჩემი აზრით, დიდი სისულელე იქნება, უარი თქვა რომელიმე ხერხის გამოყენებაზე, თუ სწორედ ამ ხერხის საშუალებით შეგიძლია შენი საწადელის ასრულება.

– დაბადებით ყველა ადამიანი სულელია. მერე კი ყველა ისე ცხოვრობს, რასაც იმსახურებს. მეჯავრება უგემოვნო ადამიანი, ეს ყველაზე დიდი დანაშაულია.

ამ ბრძნულ რჩევა-დარიგებათა უმრავლესობა ჯენისკენ არ იყო მიმართული, მაგრამ ქალი ნათქვამს მაინც უფიქრდებოდა, ნოყიერ ნიადაგში მოხვედრილი თესლივით ღვივდებოდა. ერთგვარი წარმოდგენა შეექმნა საზოგადოების ფენებზე, ძალაუფლებაზე. იქნებ, მაღალი მდგომარეობისთვის მართლაც არ არის გაჩენილი, მაგრამ ის ხომ ცხადია, რომ არსებობს. და თუ ადამიანს ბედი გაუღიმებს, შესაძლოა, ერთი საფეხურით მაღლა მაინც ავიდეს. ჯენი შრომობდა და თან გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, როგორ მიეღწია უკეთესი ხვედრისათვის. ვინც ჯენის წარსული იცის, ვინ მოინდომებს მის ცოლად შერთვას? ანდა როგორ ახსნას ბავშვის არსებობა?

ბავშვი, მისი ბავშვი – ყველაზე მთავარი, ყველაზე მიმზიდველი, შიშისა და სიხარულის მუდმივი საგანი. შეძლებს კი ოდესმე შვილის გაბედნიერება ს?

პირველმა ზამთარმა შეუფერხებლად ჩაიარა. უმკაცრესი ეკონომიის წყალობით ბავშვებს ეცვათ კიდევ და სკოლაშიც დადიოდნენ, ბინისა და

ავეჯის ვალსაც დროზე იხდიდნენ. ამ ხნის მანძილზე მათი სიმყუდროვე მხოლოდ ერთხელ დაირღვა, როდესაც მამამ მოიწერა, აღდგომას შინ მოვდივარო. რამდენიმე ხნით ფაბრიკას ხურავდნენ, თან ისიც იყო, გერჰარდტს გული აღარ უთმენდა, აინტერესებდა, როგორ მოეწყო მისი ოჯახი კლივლენდში.

მისის გერჰარდტს მთელი გულით გაახარებდა ქმრის ჩამოსვლა, მაგრამ ეშინოდა, ჩხუბს ატეხსო. ჯენიმაც იგივე უთხრა დედას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ბასს მოელაპარაკა, რა ვქნათო. ბასმა დედა დაამშვიდა:

– მაგაზე ნუ ინაღვლებ, – უთხრა ვაჟმა დედას. – მამა არაფერს არ იტყვის. კიდევაც რომ თქვას, ნუ გეშინია, მე გავცემ პასუხს.

მართალია, უსიამოვნება მოხდა, მაგრამ არც ისეთი საშინელი, როგორც მისის გერჰარდტი მოელოდა. ქმარი დღისით ჩამოვიდა, როცა ბასი, ჯენი და ჯორჯი სამუშაოზე იყვნენ წასული. მამას სადგურზე ორი უმცროსი შვილი დახვდა. შინ შემოსულ ქმარს მისის გერჰარდტი ნაზად მოეხვია, თან კანკალებდა, საცაა ყველაფერი გამოაშკარავდებაო. დიდხანს ლოდინი აღარ დასჭირვებია. რამდენიმე წუთის მერე გერჰარდტმა საწოლ ოთახში შეიხედა. თეთრ საბანგადაფარებულ საწოლზე მშვენიერ გოგონას ეძინა. მამამ მაშინვე იაზრა, ვინც იყო მძინარე პატარა, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, ვითომ ვერ მიხვდა.

– ეს ბავშვი ვისია?

– ჯენის გოგონაა, – მიუგო დამფრთხალმა მისის გერჰარდტმა.

– დიდი ხანია აქ არის?

– არც ისე, – უპასუხა აღელვებულმა ქალმა.

– ალბათ, ისიც აქ არის, არა? – ჯენის სახელის წარმოუთქმელად იკითხა მამამ.

– ჰო, მოახლედ მუშაობს, ახლა ისე წესიერად იქცევა, სხვაგან აბა სად წავიდეს. ნურაფერს ეტყვი, – შეევედრა დედა.

ოჯახს მომორებული გერჰარდტი ცოტა მომბალიყო. ყოველთვის, როცა რელიგიურ ამბებს ჩაუფიქრდებოდა, რაღაც გაურკვეველი, უცნაური აზრი და გრძნობა ეუფლებოდა. თავის ლოცვებში ზენაარს გამოუტყდა, ქალიშვილს მკაცრად მოვექეციო. მაგრამ ახლა როგორ ემოქმედა, აღარ იცოდა. რა თქმა უნდა, ცხადი იყო, რომ ქალიშვილმა საშინელი ცოდვა ჩაიდინა, ამას ვერსად წაუვიდოდა.

ჯენი საღამოს დაბრუნდა. მამასთან შეხვედრა გარდუვალი აღმოჩნდა. გერჰარდტმა ფანჯრიდან დაინახა შვილი და ისეთი სახე მიიღო, თითქოს გაზეთის კითხვაში იყო ჩაფლული. ცოლი ეხვეწებოდა, ერთხელ მაინც შეხედეო ჯენის, თან შიშისაგან კანკალებდა, რაიმე შეურაცხყოფა არ მიაყენოსო.

– აი, ჯენი მოდის, – უთხრა სასადილო ოთახში მჯდარ ქმარს, მაგრამ ბერიკაცს თავიც არ აუწევია. – ერთი სიტყვა მაინც უთხარი, – ისევ შეევედრა ქალი, ვიდრე კარს გააღებდა.

– მამა სასადილოშია, – უჩურჩულა დედამ შემოსვლისთანავე. ჯენი გაფითრდა, თითი ტუჩებთან მიიძო და გაჩერდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. – ნახა?.. – თქვა და გაჩუმდა, დედის სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ ბავშვის არსებობა მამამ უკვე იცოდა.

– შედი, ნუ გეშინია, – უთხრა დედამ, – არაფერს გეტყვის.

როგორც იქნა, ჯენი მივიდა კართან, დაინახა მამის დანაოჭებული შუბლი, რაც ღრმა ფიქრის ნიშანი იყო და არა განრისხებისა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ქალი ოთახში შევიდა.

– მამა, – ერთი კი ამოთქვა და დადუმდა, მეტი ვეღარაფერი შეძლო.

გერჰარდტმა თავი ასწია, გამომცდელად იყურებოდა ნაცრისფერი თვალებით. ქალიშვილის დანახვაზე სულის სიღრმეში რაღაც შეუტოკდა, მაგრამ მოუდრეკელობა ფარივით მოიმარჯვა, არ უჩვენა, რომ შვილის დანახვა გაეხარდა. ამ კაცში ორი გრძნობა იბრძოდა, პირობითად არსებული საზოგადოებრივი მორალი და მამის ბუნებრივი გრძნობა. მაგრამ როგორც გონებაშეზღუდულ ადამიანებში ხშირად ხდება ხოლმე, პირობითობის ძალამ თავისი გაიტანა.

– რა გინდა? – თქვა მან.

– მამა, არ მაპატიებ?

– მიპატიებია, – წარმოთქვა შუბლშეკრულმა მამამ.

ჯენი წამით გაშეშდა, მერე კი ბიჯი მამისაკენ წარდგა. მამა მიხვდა, რაც უნდოდა შვილს.

– კარგი, – უთხრა მამამ და ხელის ოდნავი აქნევით მოიცილა, როცა ქალიშვილი მამის გაუპარსავ ლოყებს ტუჩებით შეეხო.

ცივი იყო მათი შეხვედრა.

ამ მწარე გამოცდის შემდეგ სამზარეულოში გამოსულ ქალიშვილს დედამ კითხვის გამომხატველი თვალები მიაპყრო. ჯენი შეეცადა აეხსნა, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარაო, მაგრამ თავისი გრძნობები ვეღარ დამალა.

უნდოდა ეკითხა, თუ შერიგდითო, მაგრამ ვერც კი მოასწრო სიტყვის თქმა, რომ ჯენი სამზარეულოს მაგიდასთან მდგარ სკამზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო და უხმოდ აქვითინდა.

– გაჩუმდი, გაჩუმდი, – ამშვიდებდა დედა. – ნუ ტირი. მაინც რა გითხრა?

ჯენის არც გაჩუმება შეეძლო და არც პასუხის გაცემა. დედა კი კვლავ ამხნევებდა:

– ნუ გეწყინება, შვილო, ხომ იცი მამაშენის ხასიათი. ასე იცის. მერე ყველაფერი მოგვარდება.

მეთხოუმეტე თავი

გერჰარდტის ჩამოსვლის შემდეგ ბავშვთან დაკავშირებულმა ამბებმა მთელი სერიოზულობით იჩინა თავი. ასე იყო თუ ისე, მანაც გამოავლინა

პაპისტვის ჩვეული მზრუნველობა. თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავ თუ მონათლესო. მერე იკითხა კიდევ.

– ჯერ არა, – მიუგო ცოლმა. ეს სავალდებულო საქმე არც მას ჰქონდა დავიწყებული, მაგრამ შიშობდა, ვაითუ ეკლესიამ თავის კალთებქვემ ჩემი შვილიშვილი არ შეიფაროსო.

– ჰო, რა თქმა უნდა, ჯერ არა! – ჩაიფრუტუნა გერჰარდტმა. იგი ცოლის მორწმუნეობაზე დიდი წარმოდგენისა არ იყო. – ეს რა დაუდევრობაა, რა ურწმუნოებაა, შესანიშნავია მე და ჩემმა ღმერთმა.

გერჰარდტი ჩაფიქრდა და უმაღვე გადაწყვიტა, რომ ეს დანაშაული სასწრაფოდ გამოესწორებინა.

– ბავშვი უნდა მონათლოს, მაინც რატომ არ მონათლეთ?

– ჰო, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა იყოს ნათლია, თანაც ბავშვის მონათვლისას უნდა გამოვტყდეთ, რომ კანონიერი მამა არა ჰყავს, – მიუგო მისის გერჰარდტმა.

გერჰარდტი ცოტა ხნით გაჩუმდა, მაგრამ მის მტკიცე რწმენას ამდაგვარი დაბრკოლებები ვერ არყევდნენ, მოვალეობას არ ავიწყებდნენ. მერედა როგორ შეხედავს ღმერთი ამნაირ ხრიკს? ეს ქრისტიანულ სარწმუნოებას არ შეეფერება. გერჰარდტი ვალდებულია საქმე გამოასწოროს. ჯენიმ აუცილებლად უნდა წაიყვანოს ბავშვი ეკლესიაში და მონათლოს, პაპა და დიდედა ნათლიები იქნებიან. ანდა, იქნებ, არც ღირდეს შვილის ასეთი შეწყნარება. უბრალოდ, ბავშვის მონათვლაზე იზრუნებს და ამას უიმისოდაც მოაგვარებენ. გერჰარდტმა გუნებაში აწონ-დაწონა მთელი ეს რთული მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნათლობა რომელიმე სამუშაო დღეს უნდა ყოფილიყო ახალ წელსა და შობას შორის, როცა ჯენი შინ არ იქნებოდა. ეს აზრი ცოლსაც გაუზიარა და როცა თანხმობა მიიღო, ერთი სხვა მოსაზრებაც დაუმატა, გულში ხინჯად რომ ჰქონდა.

– ბავშვს სახელი არა აქვს, – თქვა მან.

ეს ამბავი ჯენისაც აწუხებდა და დედას უთხრა, სახელი ვესტა მომწონსო. მისის გერჰარდტმა სიმხნევე მოიკრიბა და ახლა თავის მხრივ შესთავაზა ქმარს ეს სახელი.

– ვესტა რომ დავარქვათ?

გერჰარდტმა გულგრილად მოისმინა მეუღლის სიტყვები, გუნებაში თავისი არჩევანი ჰქონდა. ახალგაზრდობიდანვე მოსწონდა ერთი სახელი, თუმცა რატომღაც თავის არც ერთ გოგონას არ დაარქვა. ეს სახელი ვილჰელმინა გახლდათ. რასაკვირველია, გერჰარდტი შვილიშვილის მიმართ სინაზის გამოჩენას სულაც არ აპირებდა. უბრალოდ, ეს სახელი მოსწონდა და გოგონა მისი მადლობელიც უნდა დარჩენილიყო. დაბნეულმა და უკმაყოფილო გერჰარდტმა მშობლიური სიყვარულის საკურთხეველს პირველი საჩუქარი მიუძღვნა, რადგან ასე თუ ისე, ეს მაინც საჩუქარი იყო.

– ურიგო არ იქნება, – თქვა მრისხანებაგანელებულმა გერჰარდტმა. – იქნებ, ვილჰელმინა დაგვერქმია?

რაკი ქმარი, ცოტა არ იყოს მომბალი ნახა მისის გერჰარდტმა, უარის თქმა ვერ გაბედა, ქალურმა ტაქტმა იხსნა იგი.

– შეგვიძლია ორივე სახელი დავარქვათ.

– ჩემთვის სულ ერთია, – თქვა გერჰარდტმა და ისევ თავის ნიჟარაში შეძვრა, წედან რომ უნებურად გამოძვრა. მთავარია, ბავშვი მოინათლოს.

ჯენიმ სიხარულით მოისმინა მშობლების გადაწყვეტილება. მასაც ძალიან უნდოდა არაფერი დაეკლო თავისი გოგონასათვის, რელიგია იქნებოდა, თუ სხვა რამ. ნათლობის დღისათვის განკუთვნილი ბავშვის ტანსაცმელი საგანგებოდ გაახამა და დაუუთოვა...

გერჰარდტმა უახლოესი მრევლის ლუთერანი მღვდელი მოძებნა. ეს დიდთავა და ჯმუხი ეკლესიის მსახური ერთი პედანტი და ფორმალისტი კაცი იყო.

– თქვენი შვილიშვილია? – ჰკითხა მღვდელმა.

– დიახ, – მიუგო გერჰარდტმა. – მამა აქ არა ჰყავს.

– კეთილი, – წარმოთქვა მღვდელმა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა მოსაუბრე, მაგრამ გერჰარდტი ადვილად როდი იბნეოდა და მღვდელს ისიც უთხრა, ბავშვს მე და ჩემი ცოლი მოვიყვანთო. მღვდელი მიხვდა მდგომარეობის სირთულეს და მეტი შეკითხვა აღარ მიუცია.

– ეკლესია უარს არ იტყვის მონათვლაზე, რადგან თქვენ, როგორც ბავშვის პაპა, სურვილს აცხადებთ მის ნათლობაზე, – უპასუხა მღვდელმა.

გერჰარდტი დაბრუნდა, თუმცა მტკივნეულად განიცდიდა იმ სირცხვილს, რომლის ჩრდილი მასაც დაეცა. ამავე დროს ბერიკაცს სიამოვნებდა იმის შეგრძნება, მოვალეობა პირნათლად შევასრულეო, მერე ბავშვს ეკლესიაში წაიყვანს და მონათლავს. ჰოდა, მოეხსნება კიდევ ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

მაგრამ, როცა მონათვლის საათი დადგა, გერჰარდტი მიხვდა, რაღაც სხვა ძალა უღვიძებდა ბავშვისადმი ინტერესს და პასუხისმგებლობას. მან კვლავ ისმინა მკაცრი რელიგიის მცნებანი, უმაღლესი კანონის დასტური. მცნებანი, რომელმაც ოდესღაც განამტკიცა კავშირი თვითონ მასა და ღვიძლ შვილებს შორის.

– აპირებთ თუ არა ბავშვის აღზრდას საღმრთო რჯულის სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით? – იკითხა შავსამოსელიანმა მღვდელმა. პატარა, წყნარ ეკლესიაში მღვდლის წინ იდგნენ გერჰარდტი და მისი ცოლი ბავშვით ხელში. მღვდელიც ამ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებულ შეკითხვებს იძლეოდა. გერჰარდტი უდასტურებდა: «დიახ», მისის გერჰარდტმა ასევე დადებითი პასუხი გასცა.

– იღებთ თუ არა ვალდებულებას, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებისა და ერთგულების გამოჩენით ბავშვს დააყენებთ ჭეშმარიტების გზაზე, დაიცავთ მას ყოველგვარი ბოროტებისაგან და ასწავლით ღვთის ნების მორჩილებას, როგორც ამას გვიქადაგებს საღმრთო წერილი.

გერჰარდტი გულდასმით ისმენდა და უცებ ტვინში ელვასავით გაუელვა აზრმა, რომ ოდესღაც შვილებსაც ასე ნათლავდა, მათაც ასევე ესმოდათ ეს საზეიმო დაპირება, რომ საჭირო იყო მათ სულიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა. გერჰარდტი დუმდა.

– დიახ, ვიღებთ ვალდებულებას, – უკარნახა მღვდელმა.

– დიახ, ვიღებთ ვალდებულებას, – მორჩილად გაიმეორა ცოლ-ქმარმა.

– ნათლობის შემწეობით გადასცემთ თუ არა ამ ჩვილის ბედს ღმერთს, რომელმაც ის გააჩინა.

– დიახ.

– და, ბოლოს, მზად ხართ თუ არა, სინდისიერად განაცხადოთ ღვთის წინაშე, რომ თქვენი რწმენა მტკიცეა, თქვენი აღთქმა დაურღვეველი და მონათვლა გულით გწადიათ. მაშინ დამიდასტურეთ ღვთის წინაშე თანხმობით: «დიახ».

– დიახ, – გაიმეორეს მათ.

– მონათლება ჩვილი ვილჰელმინა-ვესტა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, – დაამთავრა მღვდელმა და ხელი ბავშვისაკენ გაიშვირა, – ვილოცოთ.

გერჰარდტმა ჭაღარა თავი დახარა და გუნებაში ლოცვებს იმეორებდა.

ამ საზეიმო სიტყვების მოსმენისას, გერჰარდტმა უდიდესი პასუხისმგებლობა იგრძნო ამ პაწაწინა ხელნაკრავი არსებისადმი, ცოლს რომ მკლავზე ეწვინა. აშკარად იგრძნო შვილიშვილზე ზრუნვის აუცილებლობა, ის ხომ ღმერთის წინაშე პასუხს აგებდა და მოწიწებით დახარა თავი. როცა ნათლობა დამთავრდა და ეკლესიიდან გამოვიდნენ, სიტყვები ვერ მოეძებნა გრძნობის გამოსახატავად. როგორც ღრმა და შეურყეველ მორწმუნეს, ღვთაება ცოცხალ არსებად მიაჩნდა, უმაღლეს რეალობად. რელიგია მარტო კვირა დღეს მოსასმენი საინტერესო აზრები და სიტყვები როდია, იგი ძლიერი ღვთაების ნების, სურვილის გამოხატულებაა, მემკვიდრეობად მიღებული იმ დროიდან, როდესაც ადამიანი უშუალოდ იყო გამჩენთან დაკავშირებული. რელიგიურ აღთქმათა შესრულებაში გერჰარდტი ხედავდა ქვეყნიერებაზე სახეტიალოდ მოვლენილი ადამიანის შვებასა და ხსნას, რომლის არსიც ზეცაში აიხსნება. გერჰარდტი ნელა მიაბიჯებდა ქუჩაში და ეკლესიაში წარმოთქმულ წმინდა სიტყვებსა და იმ მოვალეობაზე ფიქრობდა, ახლა მის მხრებს რომ დააწვა. ზიზღის იმ უკანასკნელმა ჩრდილმა, რომელიც ბავშვისადმი ჰქონდა, გზა დაუთმო სრულიად ბუნებრივსა და ნაზ გრძნობას. როგორი ცოდვილიც უნდა ყოფილიყო მისი შვილი, ბავშვი უდანაშაულო იყო, ეს უძლური, სუსტი, მტირალა არსება მისგან მზრუნველობასა და სიყვარულს მოითხოვდა. გერჰარდტი გრძნობდა, რომ მთელი გულით ჩვილისაკენ მიილტვოდა, მაგრამ ასე მალე ყველა პოზიციის დათმობა არ შეეძლო.

– მშვენიერი ადამიანია, – თქვა მღვდელზე, თავისი ახალი მოვალეობების ზეგავლენით გულგამლღვალმა გერჰარდტმა.

– ნამდვილად, – მორჩილად გამოეპასუხა ცოლი.

– ეკლესიაც კარგია, – განაგრძობდა ქმარი.

– ჰო.

გერჰარდტმა თვალი მოავლო სახლებს, ზამთრის მზიანი დღით გაცოცხლებულ ქუჩას, მერე ბავშვსაც დახედა და ცოლს გერმანულად უთხრა:

– ალბათ, მძიმეა, მომეცი, ახლა მე დავიჭერ.

დადლილი მისის გერჰარდტი დაეთანხმა.

– ესეც ასე! – თქვა მან და ბავშვს შეხედა. მერე თავით მხარზე მიიყრდნო, რომ პატარა უფრო მოხერხებულად ყოფილიყო. – იმედი ვიქონიოთ, რომ გოგონა იმის ღირსი იქნება, რაც მისთვის დღეს გავაკეთეთ.

მისის გერჰარდტი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ქმრის სიტყვები, სახლში ამ ბავშვის არსებობამ შეიძლება კიდევ ბევრჯერ გამოიწვიოს უკმაყოფილება და მკვახე სიტყვები, მაგრამ სხვა, უფრო ძლიერი ძალა გერჰარდტს უსათუოდ შეაკავებს. მას ყოველთვის ემახსოვრება ბავშვის სულზე ზრუნვა. არა, აღარასოდეს იტყვის უარს ბავშვის მზრუნველობაზე.

მეთექვსმეტე თავი

კლივლენდში ყოფნის დროს გერჰარდტს ჯენისთან თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევსო, გეგონებოდათ, ერიდებო. არც წასვლისას გამომშვიდობებია! ცოლს დაუბარა, მოიკითხე ჩემს მაგივრადო. მერე გზაში ინანა, «უნდა გამოვმშვიდობებოდი», – ფიქრობდა მატარებლის ბორბლების ხმაურით გაბრუებული გერჰარდტი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ოჯახი ძველებურად ცხოვრობდა. ჯენი ისევე ბრეისბრიჯებთან მუშაობდა. ჯორჯს ჯერ სამ დოლარამდე გაუდიდეს ხელფასი, მერე სამნახევარიც გაუხადეს, ჰქონდათ მძიმე, მოსაწყენი და ერთფეროვანი ცხოვრება. ქვანახშირი, საჭმელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, აი, ძირითადი თემა მათი საუბრისა. ყველანი ქანცის გაწყვეტამდე შრომობდნენ, რომ როგორმე თავი გაეტანათ.

მგრძნობიარე ჯენის ილაჯს აცლიდა ათასგვარი საზრუნავი. ყველაზე მეტად მომავალი აშინებდა. საკუთარ თავზე მეტად შვილისა და თავისიანების დარდი აწუხებდა. არ იცოდა, რა ელოდა. «ვის ვჭირდები?» გამუდმებით ეკითხებოდა თავის თავს. რა ვუყო ბავშვს, ვინმემ რომ შემიყვაროს? ეს კი სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო. ახალგაზრდა და ლამაზ ჯენის სიამოვნებით ეარშიყებოდნენ, უფრო სწორად, გაარშიყებას ცდილობდნენ, ბრეისბრიჯებს ხშირი სტუმრიანობა ჰქონდათ და ზოგმა დაადგა კიდევ თვალი ლამაზ მოახლეს.

– ჩემო გოგონა, მართლაც რა მშვენიერი ხარ, – უთხრა ერთხელ სამოც წელს მიღწეულმა მოხუცმა, როცა დიასახლისის დავალებით დილით მასთან ჯენი მივიდა.

– ბოდიში, – უთხრა შემკრთალმა და ალექილმა ჯენიმ.

– ჭეშმარიტად მშვენიერი რამა ხართ. რად მებოდიშებით, როცა თავად მინდა თქვენთან საუბარი.

მერე ლოყაზე ხელის მოსმაც დაუპირა, მაგრამ ჯენი სწრაფად გაეცალა, უნდოდა თავისი დიასახლისისთვის ყველაფერი ეთქვა, მაგრამ შერცხვა. «რატომ მექცევით მამაკაცები ასე?» ფიქრობდა იგი. «იქნებ რაღაც თანდაყოლილი ბიწიერება მაქვს. გარყვნილი მამაკაცებისთვის მიმზიდველი, შინაგანი სიბილწე?»

ეს ხომ უმწეო ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი: ისინი, ბუზებდახვეული თაფლიანი ქოთნებით არიან. მათ არასოდეს არაფერს აძლევენ, მათგან კი ბევრი მიაქვთ. რბილი ხასიათის, დამყოლი და უანგარო ადამიანები ბრბოს მსხვერპლნი ხდებიან. ისინი შორიდანვე ცნობენ კეთილსა და უმწეო ადამიანებს, ჩვეულებრივი მამაკაცისთვის ჯენის მსგავსი ქალიშვილი ნამდვილი ცეცხლია, სითბოს მომნიჭებელი: მათკენ მიიწევენ, აღწევენ კეთილგანწყობილებას, ცდილობენ დაუფლებას, აი რატომ ჰგვრიდა ჯენის გულისტკივილს მათი უხამსი ალერსი.

ერთხელ ცინცინატიდან ბრეისბრიჯებთან ჩამოვიდა ეტლების დიდი მეფაბრიკის ვაჟიშვილი, ვინმე ლესტერ კეინი. კეინები ცნობილი იყვნენ არა მარტო ცინცინატში, არამედ მთელ ამერიკაში, ლესტერ კეინი ხშირად ჩამოდიოდა ბრეისბრიჯებთან. განსაკუთრებით მისის ბრეისბრიჯთან მეგობრობდა. ბრეისბრიჯი ცინცინატში გაიზარდა და პატარაობისას კეინების სტუმარი იყო. იგი ლესტერის დედას, ძმას და დებსაც კარგად იცნობდა. ასე რომ, კეინების სახლში შინაურად ითვლებოდა.

– ჰენრი, იგი, ხვალ ლესტერი ჩამოდის, – უთხრა მისის ბრეისბრიჯმა ქმარს ჯენის თანდასწრებით. – დღეს მივიღე დეპეშა. აი, ნალდი უსაქმური! ზემო სართულზე უნდა მოვათავსოთ, აღმოსავლეთის მხარეს დიდ ოთახში. გთხოვ, ყურადღებას ნუ მოაკლებ. არ დაგავიწყდეს, რა კეთილად მექცეოდა მამამისი.

– ვიცი, მშვიდად მიუგო ქმარმა. – ლესტერი მეც ძალიან მომწონს. კეინების ოჯახში ყველაზე ჭკვიანი და საინტერესო პიროვნება ეგ არის. მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: ყველაფრის მიმართ გულგრილია, არაფერი იტაცებს.

– ჰო, მაგრამ ძალიან საყვარელი ადამიანია. ჩემს ნაცნობებში ყველაზე სასიამოვნო პიროვნებაა.

– ვეცდები, კარგად მოვექცე. ვფიქრობ, შენი მეგობრებისთვის არასოდეს დამიკლია ყურადღება და მზრუნველობა!

– ჰო, ნამდვილად.

– ჰოდა, მეტი აზა რა ვქნა.

ჯენი არაჩვეულებრივი ადამიანის მოლოდინში იყო და არც შემცდარა. სასტუმრო ოთახში შემოვიდა და დიასახლისს მიესალმა ათლექტური აღნაგობის, საშუალოზე მაღალი, ნათელთვალება და ჯიუტი ნების გამომხატველი ნიკაპის მქონე ოცდათექვსმეტი წლის მამაკაცი. საოცრად ძლიერი და მყდერი ხმა ჰქონდა. მისი ლაპარაკი ყველას ყურადღებას

იპყრობდა, ყველა მისკენ იყურებოდა, თუმცა ძალიან სადად და სხარტად ლაპარაკობდა.

– გამარჯობათ, – მიესალმა იგი დიასახლისს... – მიხარია, რომ ისევ გხედავთ. როგორ არის მისტერ ბრეისბრიჯი? რას შვრება ფენი?

ამ ცოცხლად და სიყვარულით დასმულ კითხვებს მისის ბრეისბრიჯიც ალერსიანად პასუხობდა.

– ძალიან გამახარა თქვენმა ჩამოსვლამ, ლესტერ, – თქვა ქალმა. – ბარგს ჯორჯი მაღლა აიტანს. წავიდეთ ჩემს ოთახში, იქ სიმყუდროვეა. პაპა რასა იქმს? ლუიზა როგორღაა?

სტუმარი დიასახლისს მაღლა აჰყვა. ჯენი იქვე იდგა, ყოველივეს ისმენდა და მაშინვე იგრძნო ახალმოსულის მომხიბვლელობა. ჯენის მოეჩვენა, თუმცა თვითონაც არ იცოდა რად, რომ ჩამოვიდა ნამდვილად დიდი ადამიანი, იშვიათი პიროვნება. თითქოს მთელი სახლი გამოცოცხლდა. დიასახლისი მეტად ალერსიანი და გულღია გახდა. ყველა ცდილობდა სტუმრის სიამოვნებას.

ჯენი თავის საქმიანობას განაგრძობდა, თუმცა სტუმრის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებისაგან თავი ვერ დაეღწია. გუნებაში მალიძალ მის სახელსა და გვარს იმეორებდა: ცინცინატი, ლესტერ კეინი. ხანდახან ქურდულად გახედავდა კიდეც, პირველი შემთხვევა იყო, უცნობმა მამაკაცმა რომ დააინტერესა. სტუმარი, მართლაც, ძლიერი, ლამაზი, ტანადი მამაკაცი იყო. აინტერესებდა, რა საქმიანობას მისდევდა. ჯენის თითქოს შიშა ჰგვრიდა მოსული. ერთხელ თვალის შეასწრო, დაჟინებით და გამჭოლად რომ უმზერდა. რაღაც შინაგანი კრთომა იგრძნო და, როგორც კი შემთხვევა მიეცა, მაშინვე გავიდა ოთახიდან. მერე სტუმარმა გამოლაპარაკებაც მოინდომა, მაგრამ ჯენიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალიან მოუცლელი იყო და სწრაფად გაეცალა. ჯენი უკვე იქით აღარ იყურებოდა, მაგრამ გრძნობდა მის მზერას და აუხსნელი შიში ეუფლებოდა. გაქცევა უნდოდა, თუმცა ამის აშკარა მიზეზი არ ჰქონდა.

საქმე ის იყო, რომ სიმდიდრით, აღზრდით და საზოგადოებაში მოპოვებული მდგომარეობით ჯენიზე მაღლა მდგომი მამაკაცი დაინტერესდა ამ არაჩვეულებრივი ქალიშვილით. სხვების მსგავსად, ისიც ჯენის საოცარმა ქალურობამ და სათნოებამ მოხიბლა. მასში იგრძნობოდა რაღაც ისეთი, რაც დიდი და მომაჯადოებელი სიყვარულის იმედს იძლეოდა. ლესტერი იმედოვნებდა, ქალიშვილს ადვილად დავიმორჩილებო, თუმცა მიზეზს ვერ გეტყობათ. ჯენის გარეგნულად ისეთი არაფერი ეტყობოდა. მის ქცევას იოტისოდენა კეკლუცობაც არ ემჩნეოდა, კეინი მაინც გრძნობდა, გამარჯვება მე დამრჩებაო. მაგრამ საქმე ისე შეტრიალდა, რომ ოთხი დღის შემდეგ კლივლენდიდან გამგზავრება დასჭირდა. გავიდა სამი კვირა, ჯენის ეგონა, აღარ დაბრუნდებაო და, თავისდა გასაოცრად, შვებაც იგრძნო და ნაღველიც. მაგრამ სრულიად მოულოდნელად კეინი ისევ დაბრუნდა. როგორც ჩანდა, აქაური მასპინძლები არ ელოდნენ. მან მისის ბრეისბრიჯს აუხსნა კიდეც, კლივლენდში საქმეები დამრჩა მოსაგვარებელი და იმიტომ ჩამოვედიო. ამ

სიტყვების წარმოთქმისთანავე ჯენის შეავლო თვალი, ჯენიმაც გაიფიქრა, იქნებ, ნაწილობრივ ჩემი გულისთვისაც დაბრუნდაო.

ამ ჩამოსვლაზე ჯენი ხშირად ხედავდა სტუმარს, ხან საუზმის დროს, როცა სუფრას ემსახურებოდა, ხანაც სადილად. შეეძლო სტუმრისთვის თვალი ედევნებინა სასტუმრო ოთახიდან. ზოგჯერ ბუდუარშიც ნახულობდა მისის ბრეისბრიჯთან სამუსაიფოდ შესულს. ისინი დიდი მეგობრები იყვნენ. კეინის ჩამოსვლის მეორე დღეს ჯენიმ თვითონ გაიგონა, მისის ბრეისბრიჯი რომ ეუბნებოდა:

– რატომ ცოლს არ ირთავთ, ლესტერ? უკვე დროა.

– ჰო, მაგრამ რატომღაც სამაგისო განწყობილება არა მაქვს. ვერ ველევი თავისუფლებას.

– ვიცი ეგ თქვენი თავისუფლება. გრცხვენოდეთ, მამის გულისტკენას მაინც მოერიდეთ.

ლესტერს გაეცინა.

– მამაჩემს დიდად არ აწუხებს ჩემი ბედი. თავით ფეხებამდე საქმეებშია ჩაფლული.

ჯენიმ ცნობისმოყვარეობით შეხედა სტუმარს. ქალი კარგად ვერ ერკვეოდა საკუთარ აზრებში, თუმცა ამ მამაკაცისკენ ნამდვილად ილტვოდა. რომ მიმხვდარიყო, რატომაც, ალბათ უკანმოუხედავად გაიქცეოდა.

ლესტერის ყურადღება გაძლიერდა. ჯენის ხშირად მიმართავდა რაღაც შემთხვევითი შეკითხვებით და ცდილობდა საუბარში გამოეწვია. ჯენის არ შეეძლო პასუხის გაუცემლობა, სტუმარი ხომ ასე თავაზიანი და გულდია იყო. ერთ დილას ლესტერი მეორე სართულის დერეფანში შეხვდა ჯენის კარადიდან თეთრეულის გამოღების დროს. ისინი მარტონი აღმოჩნდნენ. მისის ბრეისბრიჯი საყიდლებზე იყო გასული და მსახურებიც ქვემო სართულზე იყვნენ. კეინმა დრო იხელთა. გაბედული, შეურყეველი სახით მივიდა ქალთან და უთხრა:

– თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს. მითხარით, სად ცხოვრობთ? _

მე... მე... ლორი-სტრიტზე, _ წაილულლულა ფერმიხდილმა ჯენიმ.

– რომელ ნომერში? _ ისეთნაირად ჰკითხა, თითქოს ქალი ვალდებული იყო ეპასუხა.

– ცამეტ ნომერში, _ მექანიკურად მიუგო მან.

კეინის მუქი თაფლისფერი, რწმენით სავსე თვალები ჯენის დიდრონ, ცისფერ თვალებს მისჩერებოდა. თითქოს ერთმანეთს ნაპერწკლები შეაყარესო.

– თქვენ ჩემი ხართ, _ უთხრა ვაჟმა. _ დიდი ხანია დაგემებთ, როდის შევხვდეთ?

– ასე ნუ მეუბნებით, _ ძლივს ამოთქვა ჯენიმ და მღელვარებისაგან თითები ტუჩებზე მიიღო. _ მე არ შემიძლია თქვენთან შეხვედრა. მე...

– აჰ, ნუ გეუბნებით? აბა შემომხედეთ, ახლავე მოვილაპარაკოთ, _ მერე ხელი მოჰკიდა და თავისკენ მიიზიდა. _ მოვილაპარაკოთ, ახლავე. მე მომწონხართ. თქვენ? მითხარით!

ჯენი შიშითა და შეძრწუნებული თვალებით მისჩერებოდა.

_ არ ვიცი, _ აღმოხდა ბოლოს გამშრალი ბაგეებიდან.

_ მოგწონვართ? _ კეინი კვლავ ჩააციებით

მისჩერებოდა. _ არ ვიცი.

_ აბა შემომხედეთ.

_ დიახ... _ თქვა ჯენიმ.

კეინმა ქალი მაგრად ჩაიკრა გულში.

_ მერე მოვილაპარაკოთ, _ თქვა და ჯენის ტუჩებს დაეკონა.

ჯენი კატის ბრჭყალებში მოხვედრილი ფრინველივით დაფრთხა და გაოგნდა. მაგრამ შინაგანად მაინც გამოეხმაურა ამ საშიშ, საბედისწერო და უკანდაუხვეველ გამოწვევას. ლესტერს გაეცინა და ჯენი გაანთავისუფლა.

_ ეს აქ მეტი აღარ განმეორდება, მაგრამ გახსოვდეთ: თქვენ ჩემი ხართ, _ უთხრა მან და მსუბუქი, უდარდელი ნაბიჯებით განშორდა. დამფრთხალი ჯენი დიასახლისის ოთახში შევარდა და ჩაიკეტა.

მეჩვიდმეტე თავი

ამ მოულოდნელი საუბრით ჯენი ისე იყო შეშფოთებული, რომ დიდხანს გონს ვერ მოეგო. პირველად ვერც გაერკვა, რა მოხდა. ყველაფერი მოწმენდილ ცაზე მოულოდნელ ქუხილს ჰგავდა. იგი კვლავ დანებდა მამაკაცს. რატომ? რისთვის? უკვე მერამდენედ ეკითხებოდა თავის თავს. სულის სიღრმეში პასუხი მზად ჰქონდა, მაგრამ ვერ აგიხსნიდათ, რას განიცდიდა. გრძნობდა _ ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი.

სიყვარულში, როგორც ბრძოლის ველზე, ყველას თავისი ბედი აქვს. საკმაოდ ჭკვიანი, ძლიერი ნების, ენერგიული და შეუდრეკელი კაცი, მდიდარი მეფაბრიკის ვაჟი ჯენისთან შედარებით გაცილებით მაღლა იდგა. სწორედ ამ მამაკაცმა დაუოკებელი ლტოლვა იგრძნო საწყალი მოახლისადმი. შინაგანად ჯენი ახლოს იდგა მასთან, თუმცა ლესტერი ამას გონებით ვერ სწვდებოდა. ის ერთადერთი ქალი იყო, რომელთანაც შეეძლო ეპოვა სწორედ ის მთავარი, რაიც ასე აკლდა. ლესტერ კეინი ნაირნაირ, ათასგვარ ქალს იცნობდა: მდიდრებს, ღარიბებს, თავისი კლასის წარმომადგენლებს, პროლეტარების ქალიშვილებსაც, მაგრამ თავის იდეალს _ ისეთ ქალს, რომელიც განასახიერებდა გულისხმიერებას, სიკეთეს, სილამაზესა და ახალგაზრდობას, მთელი სიცოცხლე ეძებდა, ოცნებობდა და ახლა, როცა მიაგნო, ასე ადვილად ვეღარ შეელოდა. კარგად იცოდა, რომ საცოლე თავის წრეში უნდა მოექცნა. მაგრამ ხანმოკლე ბედნიერების ძებნა ყველგან შეიძლებოდა, მაშინ ქორწინებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ როდისმე მოახლეს თავს გაუტოლებდა და წინადადებას მისცემდა, მაგრამ ჯენი სულ სხვა იყო. ასეთი მოახლე არასოდეს ენახა. ქალიშვილს კეთილშობილი გარეგნობა ჰქონდა. საოცრად მომხიბვლელი იყო. როგორც

ჩანდა, თვითონ ვერ გრძნობდა თავის მშვენიერებას. დიახ, ეს იშვიათი ქალიშვილი გახლდათ. მაინც რატომ არ უნდა ეცადა, რომ დაუფლებოდა? ვიყოთ სამართლიანი ლესტერ კეინის მიმართ, ვეცადოთ, მასაც გავუგოთ. განა გონება ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით იზომება? ყველას კი ვერ განსჯი ერთი რომელიმე გატაცებით. ჩვენს საუკუნეში მატერიალური ძალის ზემოქმედება თითქმის დაუძლეველია, – იგი მძიმე ტვირთად აწვება და ხუთავს სულს. არნახული ტემპით ვითარდება და რთულდება ჩვენი ცივილიზაცია, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალგვარი და ცვალებადი ფორმები ჩვენს არცთუ მდგრად, გაფაქიზებულ და გაუკუღმართებულ წარმოსახვაზე სხვადასხვაგვარად და მოულოდნელად ზემოქმედებს. მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორცაა, რკინიგზები, ჩქარი მატარებლები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, გაზეთები – ერთი სიტყვით, ჩვენს საზოგადოებაში არსებული ურთიერთობისა და კავშირის ყოველგვარი საშუალება. ეს ყველაფერი ქმნის დამაბრმავებელ კალიდოსკოპურ სიჭრელეს, უწესრიგო ცხოვრების ფანტასმაგორიას, ხოლო ეს კი თავის მხრივ ქანცავს, აჩლუნგებს ტვინს და გულს. აქედან მოდის თავისებური გონებრივი გადაღლა. ყოველდღე მატულობს მსხვერპლიც, – უმილობით, შავი მელანქოლიით ან სულაც სულიერი შეშლილობით ტანჯული ადამიანები. როგორც ჩანს, თანამედროვე ადამიანის ტვინს ძალუმს შეიწოვოს, დაახარისხოს და შეინახოს ყოველდღიურად თავს დატეხილი ფაქტებისა და შთაბეჭდილებების უზარმაზარი მასა. ასე სააშკარაოზე გამოსულთ, თავი ვერსად შეგვიფარებია შინაგანი სამყაროს ზემოქმედებისაგან. ძალიან ბევრი რამის შეთვისება გვიხდება. თითქოს უსასრულობის სიბრძნე ცდილობს გზა გაიკვლიოს ადამიანების ვიწრო თავის ქალებში და იქ შემოსაზღვრულ გონებაში მოთავსდეს.

ლესტერ კეინი ამ არანორმალური პირობების ბუნებრივი პროდუქტი გახლდათ. მას ისეთი ძალისა და წყობის გამჭრიახი და დაკვირვებული გონება ჰქონდა, როგორც რაბლეს გმირებს ახასიათებთ, მაგრამ გარემოს მრავალსახეობა, ცხოვრებისეული პანორამის უსაზღვრო სიფართოვე, მისი ცალკეული ნაწილების ელვარება, მისი ფორმების მოუხელთებლობა, ბუნდოვანება და გაუმართლებლობა, გზიდან აცდენდა. იგი კათოლიკურ ოჯახში აღიზარდა, მაგრამ ახლა მასაც აღარ სჯეროდა კათოლიკობის ღვთაებრიობისა. საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელ ლესტერს უკვე აღარ სწამდა, რომ ადამიანს თავისი შთამომავლობითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით შეუძლია დაეუფლოს ხელშეუვალ უპირატესობას. ყველაფერი ეს მისთვის ნამდვილ უაზრობად იქცა. როგორც მდიდარი ოჯახის მემკვიდრეს შეეფერებოდა, მოსალოდნელი იყო, საცოლვე თავის წრეში მოეძებნა, თუმცა თვითონ დარწმუნებული სულაც არ იყო, რომ ოდესმე ცოლის თხოვას გადაწყვეტდა. რა თქმა უნდა, ქორწინება საზოგადოებრივი ინსტიტუტია. ასეა დაკანონებული, ურყევად და უდავოდ. მერედა აქედან რა? ადამიანი დროზე უნდა დაქორწინდეს – ეს საქვეყნო

კანონად იქცა. ჰო, რასაკვირველია. მაგრამ ხომ არის ისეთი ქვეყნები, სადაც კანონით მრავალცოლიანობა არის დაწესებული. ლესტერს სხვა აინტერესებდა, მაგალითად: სამყაროს მართლა ერთი ღვთაება მართავდა თუ არა, ანდა სახელმწიფოს მართვის რომელი ფორმა იყო უკეთესი – რესპუბლიკა, მონარქია, თუ არისტოკრატის მმართველობა? მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველგვარი მატერიალური, სოციალური თუ ზნეობრივი საკითხები შეიჭრა მის ტვინში, მაგრამ ასევე, მხოლოდ ნახევრად ამოხსნილი დარჩა. მისთვის ცხოვრებაში ყველაფერი საკამათო იყო. არაფერი ჩაუთვლია დამკვიდრებულად და ხელშეუხებლად, გარდა იმ რწმენისა, რომ ადამიანი პატიოსანი უნდა იყოს. სხვა ყველაფერი ექვედებოდა, იძიებდა, ირკვევდა, ზოგჯერ გვერდზედაც გადადებდა ხოლმე, სამყაროს მამოძრავებელ დროსა და საიდუმლო ძალებს უტოვებდა მისთვის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტას. დიახ, ლესტერ კვინი რელიგიური და საზოგადოებრივი პირობების ბუნებრივი პროდუქტი გახლდათ. მიუხედავად ამისა, იგი გაქვინთილი იყო თავისუფლებისკენ სწრაფვით, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ხალხისათვის, იმ სულით, აზრებისა და ქცევის უსაზღვრო თავისუფლებას რომ შობს. გარეგნობით მშვენიერი, ენერგიული და ჭკვიანი ეს ოცდათექვსმეტი წლის მამაკაცი სინამდვილეში ველური გახლდათ, რომელსაც აღზრდამ და გარემომ მხოლოდ გარეგნული პეწი მისცა. მისი წინა თაობის ასეულ ათასობით ირლანდიელის მსგავსად, იმათ მსგავსად, ვინც ამერიკაში გაიყვანა რკინიგზები, იმუშავა მადაროებში, გაჭრა თხრილები, ზიდა აგური, ზილა კირი, ახალგაზრდა ქვეყნის მრავალრიცხოვან მშენებლობებზე. თვითონ ლესტერიც ძლიერი, რწმენით სავსე და ენამახვილი კაცი იყო.

– გნებავთ, გაისად ისევ დავბრუნდე? – ჰკითხა ლესტერმა ამბროსის, როდესაც ამ წმინდა მამამ ჩვიდმეტი წლის ლესტერს სასწავლებელში რაღაც დანაშაულისათვის დასჯა დაუპირა. მან გაკვირვებით შეხედა ყმაწვილს.

– ეს მამათქვენზე იქნება დამოკიდებული, – მიუგო მან.

– არა, ეს მამაჩემზე არ იქნება დამოკიდებული, – შეაწყვეტინა ლესტერმა. – აბა ერთი გადამიჭირეთ ეს მათრახი და მერე მე თვითონ მოვუვლი ჩემს საქმეს. სასჯელი არ დამიმსახურებია და არც ცემის ნებას მოგცემთ.

საუბედუროდ, ამ სიტყვებმა წმინდა მამა ვერ დაარწმუნეს ლესტერის უცოდველობაში. მაშინ ლესტერს მაგარმა მუშტებმა უშველეს: ხანმოკლე შეტაკებისას ლესტერმა წმინდა მამას მათრახი გადაუმტვრია. მოწაფის ეს საქციელი დისციპლინის ისეთი უხეში დარღვევა იყო, რომ ლესტერს სასწავლებლიდან აბარგება მოუხდა. ამის შემდეგ მამას გადაჭრით განუცხადა, სწავლის გაგრძელებას აღარ ვაპირებო.

– საქმეს უნდა მოვკიდო ხელი, კლასიკური განათლება ჩემი საქმე არ არის. წამიყვანე შენთან კანტორაში, მერწმუნე, საქმის გაკეთებას შევძლებ.

წესიერი, პატიოსანი კაცის სახელის მქონე, თავის საქმეებში ჩაფლული, ჭკვიანი მოხუცი არჩიბალდ კვინი მეტად კმაყოფილი დარჩა თავისი ვაჟის გადაწყვეტილებით და წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

– კეთილი, ასე იყოს. კანტორაში წადი, – უთხრა მამამ. – საშენო საქმეც გამოიძებნება.

თავისი კარიერა ლესტერმა თვრამეტი წლის ასაკში დაიწყო და საოცარი მუყაითობა და გულმოდგინება გამოიჩინა. შვილზე დიდი წარმოდგენის მქონე მამამ თავის პირად წარმომადგენლადაც კი გაიხადა.

ხელშეკრულების დადებისას, ან როცა რაიმე მნიშვნელოვანი საქმის გასარიგებლად ფირმის წარმომადგენლის გაგზავნა იყო საჭირო, არჩევანი ყოველთვის ლესტერზე ჩერდებოდა. მამა ბრმად ენდობოდა, რადგან ლესტერი ისე გონივრულად, მოხერხებულად, ნამდვილი გატაცებით ასრულებდა თავის მოვალეობას, რომ ეს რწმენა მამას არასოდეს შერყევია. «საქმე საქმეა», – ეს იყო მისი საყვარელი გამოთქმა და მარტო იმის მოსმენა, თუ როგორ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, მიგახვედრებდათ, როგორ ადამიანთან გქონდათ საქმე.

მასში დულდა დაუცხრომელი ძალები, რომელთა ალიც ზოგჯერ გარეთაც გამოვარდებოდა ხოლმე, თუმცა ლესტერს სწამდა, რომ ამ ძალების შეკავება შეეძლო. იგი ღვინის ტრფიალი გახლდათ, მაგრამ აქაც ღრმად სჯეროდა, რომ ზომა იცოდა. სვამდა ცოტას, მისი აზრით, მხოლოდ საზოგადოებაში, მეგობრებთან და არასოდეს გადააჭარბებდა. მეორე სისუსტე ლესტერის მგრძნობიარე ბუნებით აიხსნებოდა, მაგრამ აქაც შეურყევლად თავდაჯერებული იყო: ქალებთან ადვილად აბამდა შემთხვევით კავშირს. თუმცა საშიშროების შეგრძნების უტყუარი ალლო ჰქონდა. ადამიანებს რომ ესმოდეთ, თავისი ბუნებით რა ხანმოკლეა ასეთი ურთიერთობანი, ამდენი უსიამოვნო გართულებები აღარ იქნებოდა. და, ბოლოს, ლესტერ კეინი თავს იმით ინუგეშებდა, რომ ნამდვილი ცხოვრების საიდუმლოს მიაგნო: საქმე ის არის, საზოგადოებრივი მოთხოვნები ისე მიიღო, როგორც არის, ან ოდნავი გადახვევით და მერე ისე მოიქცე, როგორც შენთვისაა მოსახერხებელი. მოთმინებიდან არ უნდა გამოხვიდე, უმნიშვნელო წვრილმანზე აურზაური არ უნდა ატეხო, არ უნდა გამოამჟღავნო ზედმეტი მგრძნობიარობა, ძლიერი უნდა იყო და საკუთარ თავს არ უღალატო. ასეთი იყო მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია.

ჯენით დაინტერესება პირველად წმინდა ეგოისტური გახლდათ, შემდეგ, როცა თავისი მამაკაცური უფლებები განაცხადა და ქალიც ნაწილობრივ დაემორჩილა, მიხვდა, რომ ჯენი უჩვეულო ქალიშვილი იყო და არა წუთიერი სათამაშო.

ზოგიერთი მამაკაცის ცხოვრებაში დგება ისეთი ხანა, როცა შეუგნებლად აფასებენ ქალურ სინორჩესა და სილამაზეს, იმიტომ კი არა, რომ იდეალურ ბედნიერებაზე ოცნებობენ, არამედ მათ გარშემო არსებულ პირობებს უწევენ ანგარიშს.

«ნუთუ საყოველთაოდ მიღებულ მორალს უნდა დავემორჩილო, დავიცვა საზოგადოების კანონები, ჩემივე ნებით გავხდე თავშეკავებული და მოკრძალებული? – ეკითხებიან ხოლმე საკუთარ თავს, როცა ცოლის შერთვას გადაწყვეტენ. სხვას მივცე ჩემს საქმეებში ხელის ფათურის უფლება? და

ყველაფერი იმიტომ, რომ გულში ვიხუტებ არსებას – ჩემსავით ცვალებადი ბუნების ქალს, რომლის სურვილები და ჟინიანობა, მისი სილამაზისა და მომხიბვლელობის თანდათან გაქრობასთან ერთად, უფრო მოძალბებული და დამღლეული იქნება. ასეთი მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ შედარებით ნაკლებად რთულ, დროებით ურთიერთობებს, ცდილობენ, ისე დაეუფლონ ცხოვრების სიკეთეებს, სამაგიერო არ გაიღონ. იმედოვნებენ, რომ მერე დაამყარებენ უფრო მტკიცე და მართებულ კავშირს! თავიდან აიცილებენ ადრეულ საყვედურებს, ანდა ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლის აუცილებლობას.

ლესტერ კეინისათვის ყმაწვილური გატაცების წლები უკვე გასული იყო, ეს თვითონაც კარგად იცოდა. გამოუცდელი ყმაწვილის მიამიტური ოცნებები და იდეალები უკვალოდ გამქრალიყვნენ. ქალთან სიახლოვე, მართალია, უნდოდა, მაგრამ ამის გამო თავისუფლების დათმობას სულაც არ აპირებდა. რა საჭიროა ხუნდების დადება, როცა სურვილისამებრ ყველაფერს შეისრულებ და თან თავისუფალი იქნები. რასაკვირველია, შესაფერი ქალი უნდა მოეძებნა. ჰოდა, მისი აზრით, სწორედ ასეთი ქალი ჯენი იყო. ჯენი აკმაყოფილებდა ყველა მის სურვილსა და გემოვნებას, ჯენის მსგავს ქალს აქამდე, მართლაც, არ შეხვედრია. მისი ცოლად შერთვა შეუძლებელი იყო და არც სავალდებულოდ მიაჩნდა. საკმარისი გახლდათ მხოლოდ ეთქვა, «წამოდიო», და ჯენიც მაშინვე უნდა დათანხმებოდა. ასეთი იყო ჯენის ბედი.

ლესტერმა ყოველივე გულგრილად და მშვიდად აწონ-დაწონა. ამ ფიქრებში ჩაფლულმა გაიარა ის უზადრუკი ქუჩა, სადაც ჯენი ცხოვრობდა. შეხედა ჯენის თავშესაფარ ღარიბულ ქოხს, გული აუჩვილა ქალიშვილის ასეთმა სიღარიბემ და მისმა პატიოსანმა მძიმე შრომამ. იქნებ, სამართლიანად უნდა მოექცეს, დიდსულოვნად და კეთილსინდისიერად? მაგრამ როცა წარმოიდგინა ქალის საოცარი სილამაზე, გრძნობა მოუზღვავდა და თავისი განზრახვა შეცვალა. არა, როგორმე უნდა სცადოს, დაეუფლოს დღესვე, ახლავე, დაუყოვნებლივ. აი ასეთი განწყობით მობრუნდა ლესტერი ბრეისბრიჯების სახლში ლორი სტრიტზე სეირნობის შემდეგ.

მეთვრამეტე თავი

ჯენი უზომოდ დამფრთხალი იყო, სრულიად მოულოდნელად მეტად რთული და ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. ფიქრობდა საკუთარ ბავშვზე, მამაზე, და-ძმაზე. ამას რას აკეთებს? ნუთუ კიდევ ჩაიდენს შეცდომას და ლესტერთან უკანონო კავშირს გააბამს? რა უთხრას შინაურებს, ეს მამაკაცი ვინ არისო? რა თქმა უნდა, ლესტერი მის წარსულს რომ გაიგებს, ცოლად არ შეირთავს, თუმცა უამისოდაც არ შეირთავდა. სად ის, თავისი მაღალი მდგომარეობით და სად თვითონ? ჰოდა, რატომ უსმენს ლესტერს; რა ქნას, როგორ მოიქცეს? საღამომდე სულ ეს კითხვები უტრიალებდა. ჯერ

გაქცევა დააპირა, მერე უცბად გაახსენდა, რომ კეინს თავისი მისამართი მისცა. ბოლოს გადაწყვიტა, მხნეობა მოეკრიბა და უარი ეთქვა შეხვედრაზე. დაუფარავად გაეცხადებინა თავისი გულისნადები, რომ მასთან ურთიერთობა არ შეეძლო და არც სურვილი ჰქონდა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ადვილი ჩანდა, ვიდრე კეინი გვერდით არ ედგა. ჯენი სხვა სამუშაოზე მოეწყობოდა, სადაც კეინი ვერ მიაგნებდა. დიახ, ჯენის ყველაფერი მარტივად ეჩვენებოდა, უკვე იცვამდა კიდეც და შინ წასასვლელად ემზადებოდა.

ენერგიით სავსე მის თაყვანისმცემელს კი, ამასთან დაკავშირებით, სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა. მან ყველაფერი მოიფიქრა და დაალოცა. გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ემოქმედა. შესაძლოა, ჯენიმ თავისიანებს ან მისის ბრეისბრიჯს ყველაფერი უამბო, იქნებ, ქალაქსაც გაეცალა. არა, დაწვრილებით უნდა შეიტყოს, რა პირობებში ცხოვრობს ჯენი, თვითონ მას ჰკითხავს. უნდა პირისპირ შეხვდეს და მოელაპარაკოს. ჯენი უნდა დაარწმუნოს, რომ ლესტერს წაჰყვეს და ერთად იცხოვრონ. ალბათ, დათანხმდება. აკი გამოუტყდა კიდეც, მომწონხარო. მისი ლმობიერი და დამყოლი ბუნება, რაც ასე თვალში ეცა ლესტერს და რამაც ესოდენ მოხიბლა, ადვილი გამარჯვების იმედს აძლევდა. მთავარია, მან გამოთქვას სურვილი, თორემ აბა ჯენი რა წინააღმდეგობას გაუწევს. ჰოდა, გადაწყვიტა ეცადა ბედი, ლესტერი ჭემმარიტად მოხიბლული იყო.

ექვსის ნახევარზე ბრეისბრიჯებთან დაბრუნდა, აინტერესებდა, ჯენი ხომ არ წავიდაო. მერე სხვათა შეუმჩნევლად მოახერხა ეთქვა:

– შინ მე გაგაცილებთ, უახლოეს კუთხესთან დამიცადეთ, თანახმა ხართ?

– დიახ, – მიუგო ჯენიმ და იგრძნო, რომ სხვაგვარად არ შეეძლო. თუმცა გუნებაში გადაწყვიტა, ახლავე მოლაპარაკებოდა და მტკიცედ განეცხადებინა თავისი აზრი, არასოდეს შეგხვდებითო. ჰოდა, აბა რატომ არ უნდა ესარგებლა ამ შემთხვევით.

შვიდის ნახევარზე ლესტერმა მოიმიზეზა – ახლა გამახსენდა, ცოტაოდენი საქმე მაქვსო, და სახლიდან გავიდა. რვა საათი რომ დაიწყო, დახურულ ეტლში მჯდარი დათქმულ ადგილას ჯენის ელოდა. გამარჯვებაში დარწმუნებული მშვიდად იყო, მაგრამ ამ გარეგნულ სიმტკიცესა და სიდინჯეში უსაზღვრო აღფრთოვანება იმალებოდა, თითქოს უჩვეულოდ ნაზ, ტკბილსა და მომაჯადოებელ სურნელს ყნოსავდა.

უკვე ცხრა საათი იყო დაწყებული, როდესაც ჯენი დაინახა. გაზის ლამპის ბუნდოვანი შუქიც კი საკმარისი აღმოჩნდა ჯენის შესაცნობად. სასიამო ტალღამ დაუარა სხეულში, განუზომელი იყო ამ ქალიშვილის მიმზიდველობა. ჯენი რომ მოუახლოვდა, ლესტერი ეტლიდან გადმოვიდა და წინ დაუდგა.

– ეტლში ჩაჯექით და შინ მიგიყვანთ.

– არა, არ შემიძლია, – იუარა ჯენიმ.

– წავიდეთ, წაგიყვანთ, ასე უფრო მოხერხებულად ვილაპარაკებთ.

და აი, ჯენიმ კვლავ იგრძნო მისი ზემოქმედების ძალა, რომელსაც წინ ვერ აღუდგებოდა. ქალი გატყდა, დაემორჩილა, თუმცა გრძნობდა, ასე არ უნდა მოქცეულიყო.

– ჯერჯერობით საითაც გინდათ, იქით წაგვიყვანეთ, – გასძახა ლესტერმა მეეტლეს. ჯენი მის გვერდით დაჯდა. კეინი მაშინვე ქალს მიუბრუნდა:

– იცით რა, ჯენი, თქვენ ჩემთვის აუცილებელი ხართ. მიაშვით რამე საკუთარ თავზე.

– არა, მე უნდა მოგელაპარაკოთ, – წამოიწყო მან, თან ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, როგორც განზრახული ჰქონდა.

– სახელდობრ? – დაინტერესდა ლესტერი და შეეცადა საღამოს ბინდში კარგად დაენახა ქალიშვილის გამომეტყველება.

– ასე აღარ შეიძლება, – აღელვებით ჩაილაპარაკა ჯენიმ, – არ შემიძლია. თქვენ არაფერი იცით. ჩემი დილანდელი საქციელი სწორი არ იყო. მეტი აღარ უნდა შეგხვდეთ, ნამდვილად აღარ შეგხვდებით.

– თქვენი დილანდელი საქციელი, – გამოაჯავრა ლესტერმა ჯენის, – მე ჩავიძინე, ეს ჩემი საქციელია და არა თქვენი. ხოლო თქვენს უარს უპირისპირდება ჩემი სურვილი – მე ძალიან მინდა თქვენი ნახვა. – მერე ჯენის ხელი აიღო. – თქვენ ჯერ კიდევ არ მიცნობთ, მე ძალიან მიყვარხართ, თქვენი სიყვარულით გონი მეკარგება. ჩემთვის ხართ გაჩენილი. ახლა ყური მიგდეთ. იცოდეთ, უთუოდ ჩემი უნდა გახდეთ. წამოხვალთ ჩემთან?

– არა, არა, არა! – ამოიკვნესა ქალიშვილმა. – არ შემიძლია, მისტერ კეინ! ღვთის გულისათვის, გამიგონეთ, არ შეიძლება, თქვენ არ იცით, ოოჰ, არ იცით. მე თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებ. არც მინდა. მაგრამ კიდევ რომ მსურდეს, მაინც ვერ შევძლებდი. თქვენ არ იცით საქმის ვითარება. ცუდ ნაბიჯს ვერ გადავდგამ. ასე ვერ მოვიქცევი, გესმით, არა, არა, არა! შინ გამიშვით!

ლესტერმა ქალის ასეთი სასოწარკვეთილი თხოვნა რომ მოისმინა, ცოტა არ იყოს, შეებრალა.

– რატომ არ შეგიძლიათ, რა არის ასეთი, რას ნიშნავს ეს? – მაშინვე იკითხა კეინმა.

– ვერ გეტყვით, – მიუგო ქალმა. – გთხოვთ, ნურც მკითხავთ. ეს თქვენ არ უნდა იცოდეთ, მაგრამ მე აღარასოდეს შეგხვდებით! ეს კარგს არაფერს მოიტანს.

– კეთილი, მაგრამ თქვენც ხომ მოგწონვართ?

– დიახ. მაგრამ, ჩვენ მაინც უნდა დავშორდეთ. გთხოვთ!

ლესტერმა მოსამართლის მედიდურობით გონებაში ერთხელ კიდევ აწონდა დაწონა თავისი წინადადება. იცოდა, რომ ქალიშვილი გულგრილი არ იყო მის მიმართ. მიუხედავად მათი ხანმოკლე ნაცნობობისა, ალბათ, უყვარდა კიდევ, ლესტერიც მისკენ ისწრაფვის. იქნებ, ეს ძალა გადაულახავი არც იყოს, მაგრამ ძალიან ძლიერი კია. უცნაურია, რატომ არ თანხმდება ქალიშვილი, რა უშლის ხელს, თუკი თვითონაც ამის მოსურნეა?

– იცით, რას გეტყვით, ჯენი, აი, მოგისმინეთ და მაინც ვერ მივხვდი, რაღად მეწინააღმდეგებით, რად მეუბნებით, «არ შემიძლიაო», როცა თვითონ გასურთ ჩემთან წამოსვლა. აკი მითხარით, მომწონხარო? რად ჯიუტობთ? მე მხოლოდ თქვენ მინდიხართ და არა სხვა ვინმე. მშვენივრად შევეწყობით ერთმანეთს. ნამდვილად ჩემთვის შესაფერისი ხასიათი გაქვთ. მინდა ჩემთან მყავდეთ. რაღად მეურჩებით?

– არ შემიძლია, – კვლავ გაიმეორა ქალიშვილმა. – არ შემიძლია. არ მინდა. არ არის საჭირო. ოჰ, გთხოვთ, ნუღარაფერს მკითხავთ. თქვენ არ იცით. ახსნა კი არ შემიძლია.

ჯენი იმ წუთში ბავშვზე ფიქრობდა.

ლესტერ კეინი მეტად სამართლიანი კაცი იყო და ყველაფერს სინდისიერად წარმართავდა. უპირველეს ყოვლისა, სურდა ადამიანებთან ურთიერთობაში ყოფილიყო წესიერი. ახლაც ცდილობდა თავაზიანად, ყურადღებიანად მოქცეულიყო. მაგრამ ამჟამად მთავარი ქალი გულის დაუფლება იყო! ამიტომაც ასე გულდაგულ წონიდა ამ ამბის ავსა და კარგს!

– მომისმინეთ, ჯენი, – უთხრა ბოლოს ისე, რომ ქალიშვილისათვის ხელი არ გაუშვია. – გადაჭრილ პასუხს ახლავე როდი გთხოვთ. ჩემი სურვილია ყველაფერი დამშვიდებით მოისაზროთ. მაგრამ იცოდეთ, თქვენ ჩემთვის ხართ გაჩენილი. ისიც ვიცი, რომ არც თქვენა ხართ გულგრილი ჩემ მიმართ. განა თვითონ არ მითხარით ამ დილით? დარწმუნებული ვარ, მართალი თქვით. დიახ, ასეა. მაშ, რაღად ჯიუტობთ? ძალიან მომწონხართ და ბევრის გაკეთებაც შემიძლია თქვენთვის. მაშ, ვიმეგობროთ, შემდგომ ამბებს მომავალი გაარკვევს.

ჯენი კი მაინც თავისას გაიძახოდა.

– არა, უწესო საქციელს ვერ ჩავიდენ, არ მინდა, გთხოვთ დამანებოთ თავი. ვერა, თქვენს სურვილს ვერ ვუთანაგრძნობ.

– იცით, რა გითხრათ, ჯენი, თქვენ ერთს ამბობთ და სულ სხვას ფიქრობთ. მაშ, რად მეუბნებოდით მომწონხარო. ვითომ მოასწარით აზრის შეცვლა? აბა, შემომხედეთ. – ჯენიმ თვალეხი დახარა. – შემომხედეთ! განა გადაიფიქრეთ?

– ოჰ, არა, არა! – თითქმის ტირილით წარმოთქვა ქალიშვილმა, რაღაც უფრო ძლიერი გრძნობით დათრგუნვილმა.

– მაშ, რაღად ჯიუტობთ? მიყვარხართ, გესმით, თქვენი სიყვარული გონებას მიკარგავს. ახლაც მხოლოდ თქვენი გულისთვის ჩამოვედი, მხოლოდ თქვენს სანახავად.

– მართლა? – გაკვირვებით წამოიძახა ჯენიმ.

– რა თქმა უნდა. თუ საჭირო იქნება, ათასჯერაც ჩამოვალ. გამიგონეთ, ჯენი, თქვენმა სიყვარულმა ხელად მაქცია. ჩემი უნდა გახდეთ. პირობა მომეცით, რომ წამომყვებით!

– არა, არა, არა! – მტკიცედ იმეორებდა ქალიშვილი. – არ შემიძლია. უნდა ვიმუშაო. მუშაობა მწადია. საძრახ საქციელს ვერ ჩავიდენ. გეხვეწებით, აღარ მთხოვოთ, არ არის საჭირო. თავი უნდა დამანებოთ. ვერა, თქვენი სურვილის მიხედვით ვერ მოვიქცევი.

_ მითხარით, ჯენი, რა ხელობის კაცია მამათქვენი? _ უეცრად ჰკითხა ლესტერმა.

_ მინამბერია.

_ აჰ, კლივლენდში?

_ არა, იანგსტაუნში.

_ დედა გყავთ?

_ დიახ, სერ.

_ დედასთან

ცხოვრობთ? _ დიახ, სერ.

ლესტერს გაეღიმა.

_ ნურც «სერს» მეძახით და ნურც «მისტერ კეინს». მე თქვენთვის მისტერი აღარა ვარ. ჩემი ხართ, გესმით, ბავშვო?

ლესტერმა ქალიშვილი თავისკენ მიიზიდა.

_ გთხოვთ, არ არის საჭირო, მისტერ კეინ, _ იხვეწებოდა შეშფოთებული ჯენი, _ ოჰ, გემუდარებით, არ გინდათ, არ შემიძლია, არ შემიძლია! დამანებეთ თავი! _ მაგრამ ლესტერმა ვნებით აკოცა ტუჩებში.

_ მომისმინეთ, _ იმეორებდა ლესტერი თავის საყვარელ გამოთქმას, _ გეუბნებით, ჩემი ხართ-მეთქი. მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც გიცნობთ, მაგრამ ვერ შეგეღვევით, ბოლოს მაინც ჩემი იქნებით, ჩემთან გადმოხვალთ, ცოტაც და მოახლედ აღარ გამუშავებთ, თქვენი მოახლეობა არ შეიძლება. სადმე სხვაგან წაგიყვანთ. ფულს მოგცემთ, გესმით? ფულს მოგცემთ და უნდა გამომართვათ.

ფულის გაგონებაზე ჯენი შეკრთა და ხელი

გამოსტაცა. _ არა, არა, ვერ ავიღებ.

_ აიღებთ. დედას მიეცით. თქვენს მოსყიდვას კი არ ვცდილობ. ვხვდები, რაც გაიფიქრეთ, მაგრამ ცდებით. დახმარება მინდა, მეტი არაფერი. ვიცი, სადაც ცხოვრობთ. დღეს ვიყავი. რამდენი და-მმანი ხართ?

_ ექვსი, _ ოდნავ გასაგონი ხმით თქვა ქალიშვილმა.

«ოჰ, ეს ღარიბთა ოჯახები», _ გაიფიქრა ლესტერმა.

_ ჰოდა, აიღეთ, _ თქვა ლესტერმა და ჯიბიდან საფულე ამოიღო. _ სულ მოკლე ხანში ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ხელიდან ვერ დამისხლტებით, ბავშვო.

_ არა, არა, _ იუარა ჯენიმ. _ არ მინდა, არ არის საჭირო. არ დამაძალოთ.

ლესტერი თავისას უმტკიცებდა, მაგრამ ჯენის უარი შეურყეველი აღმოჩნდა და ლესტერიც იძულებული გახდა ფული შეენახა.

_ ჯენი, იცოდეთ, ვერ გამექცევით, _ მშვიდად განუცხადა ლესტერმა. _ ადრე თუ გვიან, მაინც ჩემი იქნებით. თვითონაც ხომ ხვდებით, რომ ასე იქნება, ეს ყველაფრიდან ჩანს. ვერა, ვერ დაგკარგავთ, ვერ შეგეღვევით.

_ ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მაწვალებთ.

_ ნუთუ მართლა გაწვალებთ? _ ჰკითხა ლესტერმა.

_ დიახ, მაწვალებთ. თქვენი სურვილის მიხედვით ვერ მოვიქცევი.

– მოიქცევით, მოიქცევით! – აღზნებულად წამოიყვira ლესტერმა. თან იმის შიშით, ნადავლი ხელიდან მისხლტებაო, ახალი ძალით იფეთქა, – დიახ, ჩემი იქნებით!

ჯენის გულმოდგინე წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალიშვილი მკლავებში მოიქცია.

– აი, ასე, – თქვა ლესტერმა, როცა ხანმოკლე გაბრძოლების შემდეგ ჯენის კვლავ ის იდუმალი გრძნობა დაეუფლა, რამაც ეს ორი ადამიანი შეაერთა. ჯენიმ წინააღმდეგობა შეწყვიტა. თვალები ცრემლებით ავსებოდა, მაგრამ ლესტერი ვერაფერს ამჩნევდა. – განა თვითონ ვერ ხვდებით, რომ მოგწონვართ?

– არ შემიძლია, – წამოიძახა ჯენიმ.

მისმა აშკარა შემფოთებამ ლესტერ კეინს გული

მოუღებო. – რა გატირებთ, ბავშვო?

ჯენიმ არაფერი უპასუხა.

– მაპატიეთ, – უთხრა ლესტერმა. – დღეს მეტს აღარაფერს გეტყვით. აი, თქვენს სახლსაც მოვალწიეთ. ხვალ მივემგზავრები, მაგრამ მალე შევხვდებით ერთმანეთს. ჰო, ბავშვო, იცოდეთ, აღარ ძალმიძს თქვენი დათმობა. ყველაფერს გავაკეთებ თქვენი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ დათმობით კი ვერ დაგთმობთ, გესმით?

ჯენიმ თავი გააქნია.

– აი, აქ უნდა ჩახვიდეთ, – უთხრა ლესტერმა, როცა ეტლი კუთხეს მიუახლოვდა. გერჰარდტების ფარდებჩამოფარებული ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა.

– ნახვამდის, – დაადევნა ლესტერმა, როცა ჯენი ეტლიდან გადმოვიდა. – ნახვამდის, – ჩაიჩურჩულა ჯენიმ.

– გახსოვდეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია.

– ოჰ, არა, არა – ვედრებით გამოეპასუხა ჯენი.

– რა მშვენიერია! – წამოიძახა აღტაცებულმა ლესტერმა და მიმავალ ქალიშვილს თვალი გააყოლა.

დარცხვენილი, დაბნეული, დაღლილი ჯენი შინ შევიდა. ეს რა ქნა? უდავოდ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიძინა. ლესტერი ისევ ჩამოვა. თანაც ფული შესთავაზა. სწორედ ეს იყო ყველაზე უარესი.

მეცხრამეტე თავი

ამ მღელვარე ამბის შემდეგ ორივეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უთქმელი დარჩათ, მაგრამ ლესტერ კეინიც და ჯენიც დარწმუნებულნი იყვნენ, საქმე ამით არ დასრულდებოდა. კეინი გრძნობდა, რომ ქალიშვილმა მოაჯადოვა. ჯენი ნამდვილად წარმტაცი იყო. ლესტერსაც არ ეგონა, თუ ჯენი მართლა ასე მომხიბვლელი იქნებოდა. მისი ყოყმანი, მუდარა, მისი

მოკრძალებული «არა, არა!» ისე აღელვებდა, როგორც მუსიკა. უდავოა, ეს მშვენიერება მხოლოდ მისთვის იყო გაჩენილი და კიდევაც დაეუფლებოდა. უზომოდ მომაჯადოებელი ქალიშვილის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა, ვერ შეელოდა. სულ არ აინტერესებდა, რას იტყოდნენ მისი ახლობლები, ხალხი, საზოგადოება, რა ესაქმებოდა მათთან?

საოცარია, მაგრამ კეინს მტკიცედ სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჯენის ფიზიკურად დაეუფლებოდა, რადგან სულიერად დაუფლებულად თვლიდა; თუმცა იმას ვერ აგიხსნიდათ, ასეთი რწმენა საიდან ჰქონდა. ჯენის არაჩვეულებრივი ქალურობა, პირდაპირი, უემშაკო გამოხედვა გაფიქრებინებდათ, რომ მისი ვნება არ შეიძლება ყოფილიყო უხეში და ამორალური. იგი ერთი მამაკაცისთვის გაჩენილ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, სიყვარული მორჩილებისა და სინაზის გარეშე ვერ წარმოედგინა. საკმარისი იყო ერთი ვინმეს გამოჩენა, რომ ქალი შეიყვარებდა და გაჰყვებოდა კიდევ. ასე ფიქრობდა ლესტერი, უკეთუ გრძნობდა, რომ ჯენი უნდა დამორჩილებოდა მას, ვინაიდან ის ერთადერთი მამაკაცი სწორედ ლესტერი იყო.

ჯენიმ, თავის მხრივ, მოსალოდნელი გართულებანი წარმოიდგინა; ვინ იცის, იქნებ, ყოველივე ამას უბედურებაც კი მოჰყვეს. ლესტერი თუ მოიწადინებს, ყველაფერს გაიგებს. ჯენის ბრენდერზე არაფერი უთქვამს; კიდევ იმედოვნებდა, იქნებ, რამენაირად ხელიდან დავუსხლტეო. დამშვიდობებისთანავე იგრძნო, რომ ლესტერი ისევ დაბრუნდებოდა; თუმცა უნებურად თავს გამოუტყდა, უნდოდა კიდევ მისი დაბრუნება. თან იმ რწმენით იყო, რომ არაფრით არ უნდა დაეთმო, წინანდებურად პატიოსნად ეშრომა და ერთფეროვნად ეცხოვრა, როგორც სასჯელი მისი წარსული ცხოვრებისა: რაც დათესა, უნდა მოემკო.

კეინების ვეებერთელა სახლი ცინცინატიში, სადაც ლესტერი ჯენისთან განშორების შემდეგ გაემგზავრა, სრულიად არ ჰგავდა გერჰარდტების სახლს. ამ უზარმაზარ ორსართულიან შენობას რაიმე გარკვეული სტილი არ ჰქონდა, უფრო ფრანგულ ციხე-სიმაგრეს მოგაგონებდათ, წითელი აგურითა და სილაქვით ნაგები სახლი ყვავილებსა და ხეებში იყო ჩაფლული. იქაურობა ნამდვილ პარკს ჰგავდა. თითქოს ქვებიც კი სიმდიდრესა და ღირსებაზე ღალატდებდნენ. ოჯახის მამამ, არჩიბალდ კეინმა, აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა, მაგრამ ამისთვის არც მარცვის გზა გამოუყენებია, არც კადნიერი და ურცხვი რამ ჩაუდენია. სიმდიდრის მოპოვება იმ დროისათვის ყველაზე საჭირო და სარფიანი საქმის წყალობით შეძლო. ჯერ კიდევ ჭაბუკობაში მიხვდა, რომ ამერიკას, ამ ახალგაზრდა, გაფურჩქნის გზაზე მდგარ ქვეყანას დიდი ტრანსპორტი დასჭირდებოდა, საჭირო იქნებოდა ეკიპაჟები, ეტლები, საზიდრები, ოთხთვალები და ვიღაცას უნდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა. თავდაპირველად ერთი უმნიშვნელო სახელოსნო გახსნა, რომელიც თანდა-თანობით სოლიდურ დაწესებულებად გადააქცია. ლამაზ ეტლებსა და საზიდრებს ამზადებდა და მერე დიდი მოგებით ყიდდა. არჩიბალდის აზრით, ადამიანთა უმრავლესობა პატიოსანი იყო და დარწმუნებით ამბობდა, თუ

მუშტარს პატიოსნად და სინდისიერად გაკეთებულ ნივთს შესთავაზებ, იგი სიამოვნებით მხოლოდ შენგან იყიდის და შემდეგშიც კვლავ და კვლავ მოგაკითხავს, ვიდრე მდიდარი და ცნობილი პიროვნება არ გახდებო. მისი ღრმა რწმენით, ვაჭრობის დროს სიძუნწე არ გამოდგებოდა, ვაჭრობისას ყოველთვის ზომა-წონაში «ამეტებდა», მთელ სიცოცხლეში სიბერემდე პატივისცემით იხსენიებდნენ, «არჩიბალდ კეინი? – ამბობდნენ მისი კონკურენტები, – ო, შესანიშნავი ადამიანია, მოხერხებულია, მაგრამ პატიოსანი, ის ნამდვილად დიდი პიროვნებაა».

არჩიბალდ კეინს ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა – ყველა ჯანმრთელი, ლამაზი და გონიერი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ისე ჭკვიანი და ენერგიული, როგორც მათი პატივცემული პატრიარქი. კეინის უფროსი ვაჟი, ორმოცი წლის რობერტი, ფინანსურ საქმეში მამის მარჯვენა ხელი გახლდათ. შორსმჭვრეტელი და ხელმოჭერილი. ეს თვისებები საქმოსნისათვის მეტად საჭიროა, ვინაიდან ზოგჯერ საქმე ითხოვს გაქნილობას. რობერტი საშუალო ტანის გამელოტებული, გამხდარი, მაღალშუბლიანი მამაკაცი იყო. ღია ცისფერი ცოცხალი თვალები, არწივისებური ცხვირი და თხელი, მტკიცედ მოკუმული ტუჩები ჰქონდა, სიტყვამუნწი და ბუნებით მშვიდი, თითოეულ ნაბიჯს დინჯად ზომავდა. ქალაქის გარეუბანში ორ კვარტალზე გაჭიმული დიდი დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტს ისეთივე თანამდებობა ეკავა, როგორც მამამისს. რობერტ კეინი მტკიცე ნებისყოფის ადამიანი იყო, დიდი მომავლის საქმოსანი, – ეს კარგად იცოდა მამამისმა.

მეორე ვაჟი ლესტერი, მამის გამორჩეულად საყვარელი შვილი, თუმცა ძმასავით ბრწყინვალე ფინანსისტობას ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ამ ქვეყნის მამოძრავებელი ფარული ძალების უკეთ შეცნობის უნარი ჰქონდა. იგი შედარებით რბილი, ადამიანური ბუნების იყო და კეთილშობილურად ექცეოდა ყველას. იქნებ, ცოტა ურწმუნოც, მაგრამ მოხუც მამას მისი უფრო სჯეროდა, ხიბლავდა მისი ჭკუა და კეთილშობილება. მართალია, როცა რაიმე ფინანსური დაბრკოლება წამოიჭრებოდა, მოხუცი რობერტს მიმართავდა, მაგრამ ლესტერი, როგორც შვილი, უფრო უყვარდა.

ქალიშვილებიდან უფროსს, ოცდათორმეტი წლის ლამაზ ემის, ვაჟიშვილი უკვე წამოზრდოდა. ოცდარვა წლის იმოჯინიც გათხოვილი იყო, მაგრამ შვილები არა ჰყავდა, ყველაზე უმცროსი, ოცდახუთი წლის ლუიზა ჯერ გაუთხოვარი გახლდათ. დებს შორის იგი ყველაზე ლამაზი იყო, სამაგიეროდ, ყველაზე ცივი და სულსწრაფი; დანარჩენებზე ხარბად ის ეტანებოდა ბრწყინვალეობასა და სახელის მოხვეჭას. ოცნებობდა, რომ კეინებს ირგვლივ ყველა დაეჩრდილათ, მეტისმეტად ამაყოფიდა საზოგადოებაში თავისი ოჯახის მაღალი მდგომარეობით და თავი ქედმაღლურად, მედიდურად ეჭირა. ლესტერს ხანდახან ართობდა კიდევ ასეთი ქცევა, მაგრამ ზოგჯერ აღიზიანებდა. თუმცა დებს შორის ყველაზე მეტად ის უყვარდა, მაგრამ თავის მოწონება უფრო ზომიერად შეიძლებოდა, ისე რომ, ოჯახის ღირსება არ შელახულიყო.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

მათი დედა, სამოცი წლის მისის კეინი, სადა და ღირსეული ქალი იყო. ქორწინების პირველი წლები შედარებით სიღარიბეში გაატარა, თუმცა ახლაც ნაკლებად ეტანებოდა მაღალი საზოგადოების ცხოვრებას. შვილებისა და ქმრის მოყვარული გულით ხარობდა მათი წარმატებითა და საზოგადოებაში მოპოვებული ადგილით. მისთვის მათი დიდების ანარეკლიც კმაროდა. ეს კეთილი ქალი, სათნო ცოლი და კარგი დედა იყო.

ლესტერი სადამო ხანს ჩავიდა ცინცინატიში და მაშინვე შინისაკენ გაეშურა. კარი გაუღო ხანში შესულმა ირლანდიელმა მსახურმა.

– ოჰ, მისტერ ლესტერ! – სიხარულით მიეგება მსახური მოსულს, – რა კარგია, რომ დაბრუნდით. ნება მომეცით, პალტო გაგხადოთ. დიახ, დიახ, აქ მშვენიერი დარი იდგა. დიახ, შინ ყველანი ჯანმრთელად არიან. თქვენი დაიკო, მისის ემი იყო ვაჟიშვილით. სულ ახლახან წავიდნენ, მაშ! დედათქვენი მაღლა სართულზეა, თავის ოთახში, მაშ, მაშ!

ლესტერმა მხიარულად გაუღიმა და დედასთან ავიდა. ოქროთი მოვარაყებული, თეთრკედლებიანი ოთახის ფანჯრები ბაღში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს გადიოდა. კეთილშობილი, სათნო, ოდნავ დაღლილი სახის ჭადარათმიანი დედა წიგნს კითხულობდა. კარის გაღებაზე თავი ასწია, წიგნი გვერდზე გადადო და შვილს მიესალმა.

– გამარჯობა, დედა, – მიესალმა ლესტერი დედას, მოეხვია და გადაკოცნა. – როგორა ხარ?

– ძველებურად, როგორც ვიყავი, შენ როგორ იმგზავრე?

– მშვენივრად. რამდენიმე დღე, კვლავინდებურად, ბრეისბრიჯებთან გავატარე. მერე კლივლენდში გავემგზავრე და პარსონებთან შევჩერდი. სულ შენს ხსენებაში იყვნენ.

– მინი როგორ არის?

– ისევ ისე, არ შეცვლილა, როგორც ყოველთვის, დიდი გატაცებით მასპინძლობს სტუმრებს.

– ძალიან ჭკვიანი ქალიშვილია, – შენიშნა დედამ და ცინცინატიში გატარებული მისი ბავშვობა გაიხსენა, – ყოველთვის მომწონდა, აზრიანი ლაპარაკი იცოდა.

– აზრიანი ახლაც არის, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ლესტერმა.

მისის კეინს გაეღიმა და შინაური წვრილმანი ამბები მოუყვა; იმოჯინის ქმარი რაღაც საქმეზე სენტ-ლუისში წასულა. რობერტის ცოლი გაციებულა, ავად გამხდარა. ფაბრიკის დარაჯი, მოხუცი ცვინგელი მომკვდარა. მისტერ კეინი ესწრებოდა დასაფლავებას. ამ კაცმა ორმოცი წელი იმუშავა მამამისთან. ლესტერი მოწიწებით უსმენდა, მაგრამ ცოტა დაბნეული იყო.

დაბლა რომ ჩავიდა, ლუიზა შეხვდა. «მორთულობა შეუდარებელია», – გაიფიქრა ლესტერმა. მძივებით ამოქარგული შავი აბრეშუმის კაბა ტანზე შემოსალტვოდა. ლალის ქინძისთავიც ძლიერ უხდებოდა მის შავგვრემან სახესა და შავ თმას. შავი თვალებით კი გამჭოლად იმზირებოდა.

– ოჰ, ლესტერ, შენა ხარ! – წამოიძახა ძმის დანახვისთანავე, – როდის დაბრუნდი? აბა, ცოტა ფრთხილად მაკოცე. სტუმრად მივდივარ და პუდრი არ მომაშორო. ოჰ, შე დათვო!

ლესტერმა მჭიდროდ მოხვია ხელები და მაგრად აკოცა. ლუიზამ ძლივს მოიცილა.

– არა უშავს, ცოტა პუდრი ჩამოგაცილე, მაგრამ შენც წადი და ისევ წაისვი! – ლესტერი თავის ოთახში გავიდა სადილისათვის ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

სადილისათვის ტანსაცმლის გამოცვლა კეინების ოჯახში ბოლო წლებში ჩვეულებად იქცა. ისე ხშირი სტუმრიანობა ჰქონდათ, მორთულობის შეცვლა, ასე თუ ისე, აუცილებელი შეიქნა. ამ წესს განსაკუთრებით ლუიზა იცავდა. იმ სადამოს რობერტსა და დედ-მამის ძველ მეგობრებს ცოლ-ქმარ ბარნეტებს ელოდნენ. ასე რომ, სადილი, რა თქმა უნდა, საზეიმო უნდა ყოფილიყო. ლესტერმა იცოდა, მამა შინ რომ იყო, მაგრამ მის ნახვას არ ჩქარობდა. მისი ფიქრი კლივლენდში გატარებულ ბოლო ორ დღეს უტრიალებდა და იმას ვარაუდობდა, ისევ როდის ნახავდა ჯენის.

მეოცე თავი

ლესტერმა ტანსაცმელი გამოიცვალა და დაბლა ჩავიდა. მამა ბიბლიოთეკაში გაზეთს კითხულობდა.

– გამარჯობა, ლესტერ, – მიეგება მამა, სათვალის ზემოდან ახედა და ხელი გაუწოდა. – საიდან მოდიხარ?

– კლივლენდიდან, – ღიმილით მიუგო ლესტერმა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

– რობერტმა მითხრა, – ნიუ-იორკში იყო.

– ჰო, ვიყავი.

– ჩემი ძველი მეგობარი არნოლდი როგორ არის?

– ძველებურად, – მიუგო ლესტერმა. – სიბერე ახლოს არ ეკარება.

– მე მგონი, – მხიარულად მიუგო არჩიზალდ კეინმა, თითქოს საკუთარ ჯანმრთელობაზე მიეღოს ქათინაური, – იგი ყოველთვის თავშეკავებული კაცი იყო, ნამდვილი ჯენტლმენი.

ვაჟიშვილთან ერთად სასტუმრო ოთახი გაიარა. საუბრობდნენ თავიანთი საქმისა და ოჯახური ამბების სიახლეებზე, ვიდრე საათმა არ დარეკა და შეკრებილთ არ აუწყა, მალლა სუფრა უკვე გაშლილიაო.

ლესტერი მშვენივრად გრძნობდა თავს ლუი XV სტილით გაწყობილ მდიდრულ სასადილოში. მას უყვარდა თავისი სახლი და შინაურები – დედა, მამა, დები, ოჯახის მეგობრები – ამიტომაც იღიმებოდა და ილხენდა.

– სამშაბათს ლივერინგები მეჯლისს აწყობენ, – განაცხადა ლუიზამ და ლესტერს ჰკითხა, არ წამოხვალა?

– ხომ იცი, რომ არ ვცეკვავ, – მიუგო ლესტერმა მშრალად, – აბა, იქ რა უნდა გავაკეთო?

– არ ცეკვავ? შენ ის თქვი, რომ ცეკვა არ გინდა. მოკლედ, ძალიან გაზარმაცდი. რობერტი თუ ცეკვავს, შენ რაღა მოგივიდა, შენ უფრო კარგად არ ცეკვავ?

– რობერტს მე სად შევედრები, ის ისეთი მოქნილია, – უდარდელად შეესიტყვა ლესტერი.

– არც იმასავით თავაზიანი ხარ, – უჩხვლიტა

ლუიზამ. – შეიძლება, – მიუგო ლესტერმა.

– ნეტავ რას დაობ, ლუიზა, – კეთილგონივრულად ჩაურთო რობერტმა.

ნასადილევს ბიბლიოთეკაში გადაინაცვლეს და ძმებმა საქმიანი საუბარი გააბეს, ზოგი ხელშეკრულების გადათვალიერება იყო საჭირო. რობერტს ლესტერის აზრი აინტერესებდა: ლუიზა სტუმრად აპირებდა წასვლას და კარეტა მოართვეს.

– მაშ არ წამოხვალ? – ნაწყენი კილოთი ჰკითხა ძმას.

– არა, ძალიან დავიღალე, – დაუდევრად მიუგო ლესტერმა, – ჩემ მაგივრად ბოდიში მოიხადე მისის ნოუელზთან.

– ამას წინათ ლეტი პეისმა გიკითხა, – წამოიძახა ლუიზამ გარეთ გასვლისას.

– დიდად სასიამოვნოა, ძალიან დავალებული ვარ, – უპასუხა ლესტერმა.

– ლეტი მშვენიერი გოგონაა, ლესტერ, – ჩაურთო იქვე, ბუხართან მდგარმა ძმამ. – ცოლად შეირთე და დაოჯახდი. კარგი ცოლი იქნება.

– ეს რა, შეთქმულებას მიწყობთ? – გაიხუმრა ლესტერმა. – იცით, რა გითხრათ, მე არ გამოვდგები ოჯახური ცხოვრებისათვის.

– ეს მე ძალიან კარგად ვიცი და ფრიად სამწუხარო ამბავია, – ხუმრობანარევი სიმართლით წარმოთქვა მისის კეინმა.

ლესტერმა საუბრის თემა შეცვალა, ამნაირ შენიშვნებს ვეღარ იტანდა, საოცრად ღიზიანდებოდა. მერე ისევ ჯენი გაახსენდა, მისი მუდარით სავსე «ოჰ, არა, არა!» აი, ვინ მოსწონდა. ასეთი ქალი მართლაც რომ ყურადღების ღირსი იყო. ყოველგვარ ანგარიშიანობას მოკლებული, უანგარო. მამაკაცის მისატყუებლად, ხაფანგში გასაბმელად დაგებული კი არა, ჭეშმარიტად მშვენიერი ქალიშვილი, ყვავილივით მშვენიერი, მფარველის ხელს მოკლებული, ბუნებრივი ყვავილი. იმავე საღამოს, როცა თავის ოთახში შევიდა, წერილი დაწერა და ერთი კვირით გვიანი თარიღი დაუსვა. არ უნდოდა ჯენის მეტისმეტი მოუთმენლობა შეემჩნია. მით უფრო, რომ ცინცინატში ორი კვირით დარჩენას ვარაუდობდა.

«ჩემო საყვარელო ჯენი!

თუმცა ჩემი წამოსვლიდან ერთი კვირა გავიდა და მე ჯერ არაფერი მომიწერია, მაგრამ დამიჯერეთ, არ დამვიწყებია. ძალიან ცუდი აზრისა ხართ ჩემზე? ვეცდები, აზრი შეგიცვალოთ, უკეთესი შეხედულება შეგიქმნათ, რადგან მიყვარხართ, ჩემო გოგონა, ნამდვილად მიყვარხართ, აი, მაგიდაზე

ყვავილი მიდგას და იგი თქვენს თავს მაგონებს _ თეთრი, ნაზი და მშვენიერია. თქვენც ასეთივე ხართ, _ თქვენი სახე სულ თან მდევს. ჩემთვის მხოლოდ მშვენიერების განსახიერება ხართ, თქვენს ხელთ არის, თქვენ ძალგიდით ჩემი გზის ყვავილებით მოფენა. ოღონდ კი მოინდომოთ.

იცოდეთ, 18-ში კლივლენდში ვიქნები და ვიმედოვნებ, გიხილავთ. ხუთშაბათს, სასტუმრო «დორნტონის» ქალთა სალონში შემხვდით შუადღისას, კარგი? იქ ერთად ვისაუზმოთ.

ამიკრძალებ თქვენს სახლში მოსვლა, როგორც ხედავთ, ვასრულებ თქვენს თხოვნას. მომავალშიც შევასრულებ, მხოლოდ ერთი პირობით, კეთილი მეგობრები არ უნდა დამორდნენ ერთმანეთს, ეს საშიშია. მომწერეთ, რომ დამელოდებით, თქვენი სულგრძელობის იმედი მაქვს. მე ვერ მივიღებ თქვენს «არას» როგორც საბოლოო გადაწყვეტილებას.

თქვენი ერთგული ლესტერ კეინი».

«ჭეშმარიტად მშვენიერი გოგონაა, მართლაც განსაცვიფრებელი», _ გაიფიქრა ლესტერმა, წერილი დალუქა და მისამართი დააწერა.

ოცდამეერთე თავი

ჯენის ერთი კვირის დუმილის შემდეგ მოუვიდა წერილი. იმ დროისათვის ქალს ზოგი რამ უკვე მოფიქრებული ჰქონდა და წერილმა ძალიან ააღელვა. რა ქნას? რა იღონოს? მაინც როგორი აზრის არის ამ კაცზე? ვითომ სურდა კი პასუხის გაცემა? თუ პასუხს გასცემს, რა უთხრას? ამ დრომდე მისი საქციელი, თვით კოლუმბუსში ბასის გულისათვის გაღებული მსხვერპლიც კი, თითქოს მის გარდა არავის ეხებოდა. ახლა სხვებზე უნდა ეფიქრა, შინაურებზე და, უპირველეს ყოვლისა, ბავშვზე. პატარა ვესტა უკვე წლინახევრისა გახდა. ამ მშვენიერ გოგონას, ღია ქერა თმა და დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, ეტყობოდა, მომავალში დედას დაემსგავსებოდა. თან მკვირცხლი და საზრიანი იყო. მისის გერჰარდტს გაგიჟებით უყვარდა შვილიშვილი. თვითონ გერჰარდტსაც ნელ-ნელა უბრუნდებოდა გული. შვილიშვილისადმი აშკარა ინტერესს არ იჩენდა, მაგრამ კეთილად ეპყრობოდა. ჯენი მამის ამ გარდატეხას ამჩნევდა და მთელი გულით ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, აღარასოდეს ეწყენინებინა. თუ რაიმე დაუფიქრებელ ნაბიჯს გადადგამდა, ეს უკვე არა მარტო მამის უპატივცემულობა იქნებოდა, არამედ გოგონასაც მომავალს გაუფუჭებდა. ჩემი პირადი ცხოვრება ვერ აეწყო, მაგრამ ვესტას ცხოვრების გაფუჭების უფლება არა მაქვსო, _ ფიქრობდა ჯენი. ისეთი არაფერი უნდა ჩაედინა, რომ შვილის მომავალი დაენგრია. იქნებ, ჯობდა, ლესტერისათვის მიეწერა და ყველაფერი აეხსნა. აკი უთხრა, ურიგოდ მოქცევა არ მინდაო. ვთქვათ გამოუტყდა, ბავშვი მყავსო და სთხოვა, თავი დამანებეო, მერე

დაემორჩილება? საეჭვოა. ან თვითონ მას კი უნდა, რომ ლესტერმა სიტყვაზე დაიჭიროს?

ამ აზრის გამხელის აუცილებლობა ჯენისათვის სატანჯველი გახდა. აი, რატომ ყოყმანობდა. წერილის წერაც დაიწყო, სურდა აეხსნა, მაგრამ უმაღვე დახია. მალე თვით ბედისწერა ჩაერია: მოულოდნელად მამამისი იანგსტაუნიდან დაბრუნდა, სადაც ფაბრიკაში უბედური შემთხვევის წყალობით სერიოზულად დაშავებულიყო.

გერჰარდტის წერილი ოთხშაბათს, აგვისტოს დასაწყისში მოვიდა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი, გერმანულ ენაზე დაწერილი წერილი როდი იყო, სადაც მამობრივი მზრუნველობით გამთბარი დარიგებები ეწერა და ყოველკვირეული ხუთდოლარიანი იდო. უცნობის ხელით დაწერილი რამდენიმე სტრიქონი იტყობინებოდა, რომ წინა დღეს მოხდა უბედურება, გამდნარი შუშით სავსე ქვაბი გადმოყირავებულიყო და გერჰარდტს ხელები დასწვოდა. წერილის ბოლოში ისიც ეწერა, ხვალ უსათუოდ ჩამოვაო.

– აბა უყურე ერთი! – აღმოხდა შეძრწუნებულ უილიამს.

– საცოდავი მამაჩემი! – წამოიძახა თვალცრემლიანმა ვერონიკამ.

მისის გერჰარდტი იქვე ჩაიკეცა სკამზე, ხელები კალთაზე უღონოდ ჩამოუცვივდა და თვალები იატაკს მიაშტერა. «ნეტავ რა წყალში ჩავვარდე!» იმეორებდა სასოწარკვეთილი ქალი. იმის გაფიქრებაც კი შიშს ჰგვრიდა, რა დაემართებოდათ, გერჰარდტი რომ სამუდამოდ ინვალიდი დარჩენილიყო.

ბასი სამუშაოდან შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდა, ჯენი – რვაზე.

– ესლა გვაკლდა! – წამოიძახა ბასმა და თვალები დააჭყიტა. – წერილში არ წერია, ძალიან აქვს დამწვარი თუ არა?

– არ წერია, – მიუგო დედამ.

– ჩემი აზრით, ასე დასალონებელი არაფერი გვჭირს, – განაცხადა ბასმა. – წუხილი აბა რას გვარგებს, რაღაცას ვუშველით, როგორმე გამოვძვრებით, შენ ადგილას ეგრე არ ვიწუხებდი.

თვითონ მართლა არ წუხდა მაინცდამაინც – ასეთი ბუნება ჰქონდა. ცხოვრებას იოლად უყურებდა. არც მდგომარეობაში ღრმად ჩაწვდომა და მისი შედეგების გათვალისწინება შეეძლო.

– ვიცი, – უღონოდ თქვა დედამ და თავის შეკავება სცადა. – მაგრამ რომ არ შემძლია. აბა, იფიქრე, ეს-ეს არის ცხოვრება რაღაცნაირად ავაწყვეთ, და აი, კვლავ ახალი უბედურება მოგვადგა კარს. დაწყევლილები ვართ, თუ რა ამბავია. ბედი არ გვწყალობს და ეგ არის.

ჯენის დაბრუნებისთანავე დედის გულმა იგრძნო, რომ ის იყო მისი ერთადერთი ნუგეში.

– რა მოხდა, დედიკო? – ჯერ კიდევ კართან იკითხა ახალმოსულმა, როცა დედას სახეზე შეხედა – რატომ ხარ ნამტირალევი?

დედამ შვილს შეხედა და შეტრიალდა.

– მამას ხელები დასწვია, – დინჯად წარმოთქვა ბასმა, – ხვალ

ჩამოდის. ჯენი შებრუნდა და სასოწარკვეთილი სახით ძმას შეხედა.

– ხელები დაიწვა?!

– ჰო, – მიუგო ბასმა.

– მაინც, როგორ მომხდარა?

– გამდნარი შუშით სავსე ციციხევი გადაბრუნებულა.

ჯენიმ მაშინვე დედას შეხედა და თვალები ცრემლებით ავესო. მერე მივარდა და ჩაეხვია.

– დედიკო, ნუ ტირი, – ამშვიდებდა დედას, თუმცა თვითონ ტირილს ძლივს იკავებდა, – ნუ იწუხებ, ვიცი, შენთვის რა მძიმეა, მაგრამ დამშვიდდი, ყველაფერს ეშველება. ნუ ტირი!

ჯენის ტუჩები აუცახცახდა და კარგა ხანს ვერ შეძლო ახალი უბედურებისათვის თვალის გასწორება. და აი, თავისდა უნებურად, გულში ქურდულად აკვიტებული აზრი შეეპარა. ლესტერი! მან ხომ თვითონ შესთავაზა დახმარება. სიყვარულშიც გამოუტყდა. რატომღაც ამ წუთში ისე ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ მისი ყურადღება, დასახმარებლად მზადყოფნა და თანაგრძნობა. ასევე იქცეოდა ბრენდერიც, როცა ბასი ციხეში ჩავარდა. იქნებ, ასე უწერია, ერთხელ კიდევ გაიღოს მსხვერპლი? სულ ერთი არ არის? მისი ცხოვრება მაინც ვერ აეწყო. ამ ფიქრებში გართული ჯენი დედას მისჩერებოდა, უბედურებისაგან სასოწარკვეთილი, გაოგნებული ჩუმად რომ იჯდა. «რა საშინელებაა, მაინც რამდენი მწუხარების გადატანა უხდება. ნუთუ არასოდეს არ უნდა გაიხაროს ამ საცოდავმა?» – ფიქრობდა ჯენი.

– ეგრე ნუ დარდობ, დედიკო, – ცოტა ხნის მერე მიუბრუნდა ჯენი დედას. – იქნებ, არც ისე ძალიან აქვს დამწვარი. წერილში წერია, ხვალ ჩამოვაო?

– ჰო, – კვერი დაუკრა ოდნავ მოსულიერებულმა დედამ.

ახლა ცოტა დამშვიდებით ალაპარაკდნენ და როცა მათთვის ცნობილი ყველა წვრილმანი გაიხსენეს, თითქოს ტკივილიც მიყუჩდა და მოლოდინში გაირინდნენ.

– დილას ერთ-ერთი ჩვენგანი სადგურში უნდა წავიდეს და მამას დახვდეს, – უთხრა ჯენიმ ბასს. – მე წავალ, იქნებ, მისის ბრეისბრიჯმა არაფერი მითხრას.

– არა, – ნაღვლიანად შეესიტყვა ბასი. – შენ არა, მე დავხვდები.

ბასი გააცოფა ბედის ამ ახალმა დარტყმამ და ვერც მალავდა. შუბლშეჭმუხნილი შევიდა თავის ოთახში და ჩაიკეტა. ჯენიმ და დედამისმა ბავშვები დასაძინებლად გაგზავნეს და თვითონ სამზარეულოში შევიდნენ.

– აღარ ვიცი, ახლა რა გვეშველება, – თქვა მისის გერჰარდტმა იმ მოსალოდნელი ხელმოკლეობით შეშინებულმა, რაც ახალ უბედურებას მოჰყვებოდა. ქალი სრულიად უსასოო და ისე მოტეხილი ჩანდა, ჯენის გული დაეწვა.

– ნუ დარდობ, დედიკო, – ნაზად უთხრა დედას, თან იმასაც გრძნობდა, როგორ მწიფდებოდა და მტკიცდებოდა საკუთარი გადაწყვეტილება.

ეს ქვეყანა დიდია. განა არ არიან ადამიანები, სხვებსაც რომ უხვი ხელებით ბარაქიანად ასაჩუქრებენ ყოველგვარი სიკეთით. ყოველთვის კი არ იცხოვრებენ ასე გაჭირვებით, ასე ტანჯვით.

დედის გვერდით მჯდარ ჯენის თითქოს ესმოდა კიდევ მოსალოდნელი უბედურების სასტიკი ნაბიჯების ხმა.

– შენ რას ფიქრობ, რა გველის? – მალიმალ უნუგემოდ იმეორებდა დედა, რადგან ხედავდა, რომ კლივლენდში კეთილ ცხოვრებაზე ოცნება ხელიდან ეცლებოდა.

– არაფერია, – უთხრა ჯენიმ, თითქოს უფრო ნათლად იგრძნო, როგორ უნდა მოქცეულიყო, – ყველაფერს მოეველება, გულს ნუ გაიტეხ. ყველაფერი მოგვარდება, როგორმე მოვეწყობით.

ახლა იცოდა, რომ ბედმა მთელი პასუხისმგებლობა მას დააკისრა. თავი სამსხვერპლოზე უნდა დაედო – სხვა გამოსავალი არ იყო.

დილით ბასი მამას დახვდა სადგურზე. გერჰარდტი ძალიან უფერული და განაწამები ჩანდა. ლოყები ჩაცვივნოდა, სახე ჩამოგრძელებოდა. ხელებშეხვეულს ისეთი საცოდავი შესახედაობა ჰქონდა, ქუჩაში ხალხი მისკენ ტრიალდებოდა.

– დასწყევლოს ეშმაკმა! რა უღვთოდ დავიწვი! – ეუბნებოდა ვაჟიშვილს. – ისე გავმწარდი, მეგონა, ვეღარ გადავრჩებოდი, რა საშინელი ტანჯვა იყო! ო, როგორ მტკიოდა, დასწყევლოს ეშმაკმა! ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება!

მერე დაწვრილებით მოუთხრო, როგორ შეემთხვა ეს უბედურება. თან ისიც დასძინა, აღარ ვიცი, ძველებურად შევძლებ თუ არა ხელების ამუშავებასო. მარჯვენა ხელის ცერი და მარცხენას ორი თითი ძვლამდე ჰქონდა დამწვარი. მარცხენა ხელის თითებს ზემო სახსრები წაჰკვეთეს, ცერი კი გადარჩა, მაგრამ თითები, შესაძლოა, მოკრუნჩხული დარჩენოდა.

– მერე, რა დროს, როცა ყველაზე მეტად მჭირდება ფული. აი, უბედურებაც ამას ჰქვია! – სინანულით გაიძახოდა შეწუხებული გერჰარდტი.

სახლს რომ მიადგნენ და მისის გერჰარდტმა კარი გაუღო, ბერიკაცმა იგრძნო ცოლის გამოუთქმელი მწუხარება, თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა. მისის გერჰარდტიც ასლუკუნდა. წუთით ბასსაც კი უღალატა თავშეკავებამ, მაგრამ სწრაფად მოიკრიბა მხნეობა და აბლავლებულ პატარებს დაუტატანა, გაჩერდითო. მერე მამას მიუბრუნდა და გამამხნეებლად უთხრა:

– ტირილს მოეშვი! ცრემლებით საქმეს არაფერი ეშველება. არც ისეთი საშინელი ამბავია. არა უშავს, გამოჯანმრთელდები, ნუ გეშინია, თავსაც გავიტანთ.

ბასის სიტყვებმა დროებით, მაგრამ მაინც ყველა დაამშვიდა. ახლა, როცა დაბრუნებული ქმარი დაინახა, მისის გერჰარდტმაც აღიდგინა სულიერი წონასწორობა. მართალია, ხელები შეხვეული ჰქონდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, კაცი ფეხზე იდგა. არც დაჭრილი იყო და ხელების გარდა არაფერი სტკიოდა. იქნებ, გამოკეთდეს და რამე მსუბუქი სამუშაოს შესრულება შეძლოს. იმედი მაინც არ უნდა დაკარგოს კაცმა.

საღამოს შინ დაბრუნებულ ჯენის უნდოდა მამას მივარდნოდა, ეგრძნობინებინა მთელი თავისი ერთგულება და სიყვარული, მაგრამ დაფრთხა, ვაითუ წინანდებურად ისევ ცივად შემხვდესო.

გერჰარდტიც ღელავდა. ჯერაც ვერ მოენელებინა ის სირცხვილი, ქალიშვილმა რომ თავს დაატეხა.

თვითონაც უნდოდა შეეწყალებინა შვილი, მაგრამ ვერა და ვერ გაერკვა თავისი გრძნობების ქსელში, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ანდა რა ეთქვა.

– მამა, – ძლივს ამოიღულულა ჯენიმ და მოკრძალებით მიუახლოვდა.

შეძრწუნებული გერჰარდტი შეეცადა რაღაც ეთქვა, ისე, უბრალოდ ორიოდე სიტყვა, მაგრამ ვერ შეძლო. ათასგვარი გრძნობა აღედრა, ერთად შემოენტო საკუთარი უძღურების შეგრძნება, ის აზრი, რომ ქალიშვილს უყვარს და ებრალება, თან თვითონ მასაც არ შეიძლება არ უყვარდეს. დიახ, ყოველივე ეს მის ძალას აღემატებოდა, ვედარ გაუძლო მოწოლილ გრძნობებს და ატირდა.

– მაპატიე, მამა, – ევედრებოდა ჯენი, – გეხვეწები, მაპატიე, – ამ შეხვედრით დაბნეულმა გერჰარდტმა იგრძნო, რომ პატიება უკვე შეეძლო, თუმცა ქალიშვილისათვის სახეში არ შეუხედავს.

– მე ვლოცულობდი, – თქვა მამამ გაბზარული ხმით. – კარგი, რაც იყო, იყო, დავივიწყოთ.

მერე როცა მხნეობა მოიკრიბა, თავისი მღელვარებისა შერცხვა, მაგრამ სიახლოვე და ურთიერთგაგება უკვე არსებობდა. მათ ურთიერთობაში ერთგვარი თავშეკავება კიდევ იგრძნობოდა, მაგრამ ამ დღიდან მოყოლებული, გერჰარდტი აღარ ცდილობდა ჯენის უგულველყოფას. თავის მხრივ, ჯენიც წინანდებურად ბუნებრივად და ქალიშვილური სითბოთი ექცეოდა.

ამრიგად, ოჯახში კვლავინდებური სიმშვიდე ჩამოვარდა, ოღონდ ახლა თავი იჩინა სხვაგვარმა შიშმა და საზრუნავმა. როგორ გაეტანათ თავი, როდესაც კვირაში ხუთი დოლარი შემოსავალი მოაკლდათ, ხოლო გერჰარდტის აქ ყოფნით ხარჯები გაიზარდა. ბასს შეეძლო ყოველკვირეული შემოსავლიდან ცოტა მეტი დაედო, მაგრამ თავს მოვალედ არ თვლიდა. ასე რომ, კვირაში ათი დოლარი უნდა ყოფნოდა ბინის ქირას, სურსათ-სანოვანებს, ქვანახშირს. ამას ემატებოდა შემთხვევითი ხარჯები, რაც ასე ამძიმებდა მათ ცხოვრებას. გერჰარდტს ყოველდღე უნდა ევლო ექიმთან. ჯორჯის ფეხსაცმელს პირი დაედო, ან ფული უნდა ეშოვათ, ანდა ოჯახი ისევ ვალში ჩაფლულიყო. კვლავ ეწვიათ სიდუხჭირით გამოწვეული ტანჯვა. ამ დამაბულმა ვითარებამ ჯენის გადაწყვეტილება საბოლოოდ მოამწიფა.

ლესტერის წერილი პასუხგაუცემელი იყო. დათქმული დღე ახლოვდებოდა, ვითომ მისწეროს? იგი ნამდვილად დაეხმარება, აკი კიდევ აპირებდა ფულის მიცემას. ჯენიმ გადაწყვიტა უარი არ ეთქვა შემოთავაზებულ დახმარებაზე და ლესტერს პატარა ბარათი გაუგზავნა. კეთილი, შეგხვდებითო, მისწერა, მხოლოდ შინ ნუ მომაკითხავთო. წერილი გაუგზავნა და შიშნარევი გრძნობით და სიხარულის იმედით დაუწყო ლოდინი იმ გადამწყვეტ დღეს.

დადგა საბედისწერო პარასკევი და ჯენი სერიოზულ დაბრკოლებათა წინაშე აღმოჩნდა, გართულდა მისი მოკრძალებული არსებობა. არჩევანის უფლებაც არ ჰქონდა. ცხოვრება ვერ ააწყო, რა აზრი აქვს წინააღმდეგობას? ნეტავ შეეძლოს თავისიანების გაბედნიერება, ვესტასთვის განათლების მიცემა, წარსულისა და ვესტას არსებობის დამალვა, იქნებ... იქნებ... ხომ ხდება, რომ მდიდრები ღარიბ ქალიშვილებს ირთავენ ცოლად? ლესტერიც როგორი კეთილია, ისიც მართალია, რომ ჯენი მოსწონს. დილის შვიდ საათზე მისის ბრეისბრიჯთან წავიდა, შუადღისას შინ წასვლის ნება სთხოვა. უთხრა, დედას უნდა მივხმარო და სასტუმროს გზას კი გაუყვა.

ლესტერი ცინცინატიდან რამდენიმე დღით ადრე წამოვიდა, ვიდრე თვითონ ვარაუდობდა და ამიტომ ჯენის წერილი ვერ მიიღო. კლივლენდში მოღუშული და მთელ ქვეყნიერებაზე გამწყრალი ჩამოვიდა, თუმცა იმედის ნაპერწკალი კიდევ ჰქონდა. იქნებ, ჯენის პასუხი სასტუმროში დამხვდესო, მაგრამ ერთი სტრიქონი რაა, ისიც არ აღმოჩნდა. ლესტერი ადვილად ხელჩაქნეულ ადამიანებს როდი ჰგავდა, მაგრამ იმ დღეს მასაც გაუფუჭდა გუნება, მაშინვე თავის ოთახში ავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელად, ვახშმის შემდეგ ბილიარდით გართობა სცადა. მეგობრებს მხოლოდ მას შემდეგ დაშორდა, როცა ზომიანე მეტი დალია. მეორე დღით თითქოს იმ გადაწყვეტილებით ადგა, რომ ამ საქმეზე ხელი ჩაეყნია, მაგრამ დრო გადიოდა, დათქმული საათი ახლოვდებოდა და მანაც გადაწყვიტა დაეცადა. ვინ იცის, ეგებ, ჯენი კიდევ მოვიდესო. დანიშნულ დროზე თხუთმეტი წუთით ადრე დაბლა ჩავიდა. რა უზომო სიხარული იგრძნო, როცა ჯენი დაინახა – ქალიშვილი იჯდა და ელოდებოდა – ეს ხომ მორჩილების ნიშანი იყო. კმაყოფილი, მხიარული და მოღიმარი ლესტერი სწრაფად მივიდა ჯენისთან.

– ასე რომ, მაინც მოხვედით. – წარმოთქვა ლესტერმა და ისეთი სახით დაუწყო ყურება, თითქოს დაკარგული განძი ეპოვოს, – რატომ არ მომწერეთ პასუხი? თქვენ ისე ჯიუტად დუმდით, გადავწყვიტე, ალბათ, აღარ მოვა-მეთქი.

– მე მოგწერეთ, – უპასუხა

ჯენიმ. – სად?

– იმ მისამართზე, რომელიც თქვენ მომეცით, დაახლოებით სამი დღის წინ.

– აჰა, გასაგებია. მაშასადამე, ვეღარ მომისწრო. ადრე უნდა მოგეწერათ.

როგორა ხართ?

– კარგად.

– რაღაც არ გეტყობათ, დაღლილი სახე გაქვთ. რა გაწუხებთ, ჯენი? თქვენები როგორ არიან?

ლესტერმა ეს კითხვა შემთხვევით დაუსვა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, სამაგიეროდ, ჯენის გაეხსნა ხელ-ფეხი. იმაზე ალაპარაკდა, რაც ყველაზე ძალიან ადელვებდა.

– მამაა ავად.

– რა მოუვიდა?

– ფაბრიკაში ხელები დაეწვა. ძალიან შეგვეშინდა. ალბათ, ველარასოდეს იხმარს ხელებს თავისუფლად.

ჯენი გაჩუმდა, მისი ნაღვლიანი სახე უდიდეს სასოწარკვეთას გამოხატავდა. ლესტერი მიხვდა ჯენის გამოუვალ მდგომარეობას.

– ძალიან სამწუხაროა, ნამდვილად ძალიან სამწუხარო. როდის მოხდა ეს ამბავი?

– დაახლოებით სამი კვირის წინ.

– მართლაც ვერ არის კარგი ამბავი. მოდი, წავისაუზმოთ. მინდა მოგელაპარაკოთ. რაც აქედან წავედი, სულ იმაზე ვფიქრობ – ნეტავ როგორ ცხოვრობს ჯენის ოჯახი-მეთქი.

ჯენი რესტორანში შეიყვანა და განმარტოებულად მდგარი მაგიდა ამოირჩია. გამხნეების მიზნით ლესტერმა საუზმის შეკვეთა ჯენის დაავალა, მაგრამ ჯენი ისე იყო აფორიაქებული და დამორცხვებული, რომ მერე ლესტერმა თვითონ იკისრა მენიუს შერჩევა. საჭმელი რომ შეუკვეთა, მხიარულად შემობრუნდა და ჯენის მიმართა:

– აბა, ჯენი, ახლა თქვენი ოჯახის შესახებ მიაძებთ. ცოტა რამ უკვე ვიცი, მაგრამ უფრო დაწვრილებით მომიყევით. თუ მამა მინამბერია, ახლა, რასაკვირველია, მაგ პროფესიას უნდა გამოეთხოვოს.

– დიახ, – კვერი დაუკრა ჯენიმ.

– რამდენი ბავშვია ოჯახში?

– ექვსი.

– თქვენ უფროსი ხართ?

– არა, უფროსი სებასტიანია, ოცდაორი

წლისაა. – რას აკეთებს?

– თამბაქოს მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს.

– ხომ არ იცით, რამდენი აქვს ჯამაგირი?

– მგონი, ოცი დოლარი, – უპასუხა ჯენიმ ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ.

– დანარჩენი ბავშვები?

– მართა და ვერონიკა არ მუშაობენ, ისინი ძალზე პატარები არიან. ჯორჯი უილსონის მაღაზიაში ხელზე მოსამსახურედ მუშაობს, სამნახევარ დოლარს იღებს.

– თქვენ რამდენ იღებთ?

– ოთხ დოლარს.

ლესტერი გაჩუმდა, გონებაში გადაიანგარიშა, რა შემოსავალი ჰქონდა ოჯახს.

– ბინის ქირას რამდენს

იხდით? – თორმეტ დოლარს.

– დედა, ალბათ, ახალგაზრდა აღარ

იქნება? – მალე ორმოცდაათის გახდება.

ლესტერი ჩანგალს უხმოდ ატრიალებდა.

– მართალი გითხრათ, დაახლოებით მეც ასე წარმომედგინა თქვენი ოჯახის მდგომარეობა და ბევრსაც ვფიქრობდი თქვენზე. ახლა ყველაფერი გასაგებია. მხოლოდ ერთი გამოსავალია და არც ისე ცუდი, თუ, რა თქმა უნდა, მენდობით.

შეკითხვის მომლოდინე ლესტერი დადუმდა, მაგრამ ჯენის არაფერი უკითხავს. იგი თავისი საზრუნავით იყო გართული.

– არ გინდათ გაიგოთ, რა გამოსავალია? – შეეკითხა ლესტერი. – მინდა, – მექანიკურად მიუგო ჯენიმ.

– ეს მე ვარ, – უთხრა ლესტერმა. – ნება უნდა მომცეთ, დაგეხმაროთ. წინა შეხვედრაზე ვაპირებდი ამის გაკეთებას, ახლა კი ნამდვილად უნდა მიიღოთ ჩემი დახმარება, გესმით?

– მეგონა, საქმე აქამდე არ მივიდოდა, – უბრალოდ მიუგო ჯენიმ.

– ვიცი, რასაც ფიქრობთ, მაგრამ უნდა დაივიწყოთ. მე ვიზრუნებ თქვენს ოჯახზე, თანაც ახლავე, დაუყოვნებლივ.

უცებ ჯიბიდან საფულე ამოიღო, რამდენიმე ცალი ათი და ოცდოლარიანი ამოაძრო – სულ ორასორმოცდაათი დოლარი.

– გთხოვთ, აიღოთ, ამჯერად ეს იყოს, მერე სხვა იქნება. ამის შემდეგ ყოველთვის ვიზრუნებ თქვენი ოჯახის უზრუნველსაყოფად. მომეცით ხელი!

– არა, არა! – წამოიძახა ჯენიმ. ამდენი არ არის საჭირო. ამდენს ნუ მომცემთ.

– ნუ მედავებით, – უთხრა ლესტერმა. – მომეცით ხელი.

ლესტერის ნებას დამორჩილებულმა ჯენიმ ხელი გაუწოდა. ლესტერმა ჩაუღო ფული და ოდნავ მოუჭირა ხელი თითებზე.

– გამომართვით, ჩემო გოგონა, ჩემო მშვენიერო. მიყვარხართ, არ მინდა, რომ თქვენ და თქვენიანებს გიჭირ-დეთ.

ჯენიმ ტუჩი მოიკვნიტა და მადლობით აღსავსე თვალებით შეხედა.

– არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

– არც არის საჭირო, – უპასუხა ლესტერმა. – თუ დამიჯერებთ, მე უნდა გითხრათ მადლობა.

ლესტერი გაჩუმდა და ჯენის მშვენიერებით მოხიბლული თვალმოუშორებლად მიაშტერდა. ჯენიმ თვალები დახარა. ელოდა, მერე რა მოხდებოდა.

– ხომ არ აჯობებდა, სამუშაოსთვის თავი დაგენებებინათ? – ჰკითხა ლესტერმა. – მთელი დღე თავისუფალი იქნებოდით.

– არა, არ შემიძლია, – უპასუხა ჯენიმ. – მამა ნებას არ მომცემს, უნდა ვიმუშაო, ოჯახში ფული შევიტანო.

– ჰო, ეგ სწორია, – უთხრა ლესტერმა, – მაგრამ რა აზრი აქვს თქვენს მუშაობას? ღმერთო ჩემო, კვირაში ოთხი დოლარი, სიამოვნებით მოგცემდით ორმოცდაათჯერ მეტს, დარწმუნებული რომ ვიყო, ამ ფულის მოხმარებას შეძლებდით.

ლესტერი დაბნეულად ათამაშებდა მაგიდაზე თითებს.

_ არ შემძლია, _ უთხრა ჯენიმ. _ ამ ფულსაც არ ვიცი, რა ვუყო. ჩემიანები მიხვდებიან. დედას უნდა გავუმხილო.

ჯენის სიტყვებმა ლესტერი მიახვედრა, რომ დედა-შვილი ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რაკი იმას უმხელდა. ლესტერი უგულო კაცი არ იყო და ჯენის პასუხმა გული აუჩუყა, მაგრამ თავის განზრახვაზე ხელის აღებას სულაც არ აპირებდა.

_ ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს, _ აღერსიანი ხმით შეეპასუხა ლესტერი, _ მოახლედ არ უნდა იმუშაოთ, მე ამის წინააღმდეგი ვარ. ყველაფერს თავი მიაწვდით და ნიუ-იორკში წამომყევით. ყველაფერზე ვიზრუნებ. მიყვარხართ და მინდა ჩემი გახდეთ. თქვენიანების დარდმა აღარ შეგაწუხოთ. ერთი კარგი სახლი იყიდეთ და თქვენი გემოვნებით მოაწყვეთ. გინდათ ასე გავაკეთოთ?

ლესტერი გაჩუმდა. ჯენის ფიქრი დედას გადასწვდა, თავის საყვარელ დედას, მთელი სიცოცხლე რომ ლამაზ სახლს ნატრობდა. რა ბედნიერი იქნებოდა დედა ლამაზი ავეჯით გაწყობილი, ბაღში ჩადგმული დიდი სახლი რომ ჰქონოდა. მერედა როგორ შვებას მოჰგვრიდა ასეთი სახლი. აღარც ბინის ქირის გადახდაზე იზრუნებდა, არც მოუხერხებელი ავეჯი შეაწუხებდა, თავიდან აიცილებდა სამარცხვინო სილატაკეს. რა ბედნიერი იქნებოდა!

ფიქრებში გართულ ჯენის ლესტერი დაკვირვებით მისჩერებოდა. მიხვდა, რომ ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეეხო. კარგი სახლის ყიდვის იდეა თავისიანებისათვის სწორედ ზედგამოჭრილი იყო. ლესტერმა ცოტა შეიცადა და კვლავ ჰკითხა.

_ ნებას მაძლევთ ასე გავაკეთო?

_ ძალიან კარგი იქნებოდა, _ უთხრა ჯენიმ, _ მაგრამ ახლა არ შეიძლება, შინიდან წასვლა არ შემძლია. მამაჩემი დაწვრილებით გამომკითხავს, სად და რატომ მივდივარ. ჰოდა, აბა რა ვუპასუხო?

_ შეგიძლიათ უთხრათ, რომ ნიუ-იორკში მისის ბრეისბრიჯთან ერთად მიდიხართ, _ მიაწოდა აზრი ლესტერმა. _ ამის წინააღმდეგი აბა ვინ იქნება, ხომ ასეა?

_ დიახ, თუ შინ სინამდვილე არ გაიგეს, _ უთხრა გაოცებულმა ჯენიმ. _ რომ გაიგონ?

_ ვერ გაიგებენ, _ მშვიდად მიუგო ლესტერმა. _ იმათ რა იციან მისის ბრეისბრიჯის ასავალ-დასავალი, განა ცოტა დიასახლისს წაუყვანია თან თავისი მოახლე, როცა სადმე დიდი ხნით გამგზავრებულა. უბრალოდ უთხარით, რომ წასვლა შემოგთავაზეს და უნდა წახვიდეთ, _ ჰოდა, ჩვენ წავალთ.

_ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია? _ წამოიძახა გაოცებულმა ქალმა. _ რა თქმა უნდა, _ გაამხნევა ლესტერმა. _ აქ რა არის ისეთი?

ჯენი შეფიქრიანდა, მაგრამ ბოლოს მაინც ირწმუნა, ალბათ, მოხერხდებაო. მერე უცხად თავში სხვა აზრი დაუტრიალდა. ხომ შეიძლება ამ მამაკაცთან სიახლოვემ ისევ დედობა არგუნოს. ეს რა ტრაგედიაა _ ბავშვს სიცოცხლე მისცე

და მერე... არა, ასეთ რამეს მეორედ ვეღარ ჩაიდენს. ყოველ შემთხვევაში, ისე წინდაუხედავად არ მოიქცევა, როგორც მაშინ. იმის გამბედაობა კი არ ეყო, ვესტაზე ეთქვა რაიმე. მაგრამ ამ გადაულახავ წინააღმდეგობაზე რაღაც მაინც უნდა თქვას.

– მე... – დაიწყო ჯენიმ და შეჩერდა, ძალა არ ეყო სიტყვის გასაგრძელებლად. – თქვენ? – გაიმეორა ლესტერმა. – რა თქვენ?

– მე... – და ჯენი ხელახლა დადუმდა.

ლესტერი აღტაცებული იყო მისი მოკრძალებით, დამორცხვებული ტუჩებით, საჭირო სიტყვები რომ ვერ წარმოეთქვა.

– მაინც რა? – გასამხნეველად ჰკითხა მან. – თქვენ ნამდვილი მშვენიერება ხართ. ჩემთან გამხელა გერიდებათ?

ჯენის ხელი მაგიდაზე ედო. ლესტერი გადაიხარა და ქალის ხელს თავისი მავგვრემანი, ძლიერი ხელი დაადო.

– ჩემთვის ბავშვის გაჩენა არ შეიძლება, – წარმოთქვა როგორც იქნა და თვალები დახარა.

ლესტერმა ცხადად იგრძნო ქალის გულწრფელობა, ღირსება, რომელიც ასე ძნელ და რთულ პირობებში შეენარჩუნებინა, მისი უნარი, ესოდენ უბრალოდ და უშუალოდ შეეცნო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. აკი უზომოდ ამაღლდა კიდევ ლესტერის თვალში.

– ჯენი, თქვენ რაღაც სხვანაირი, არაჩვეულებრივი გოგონა ხართ, ნამდვილი სასწაული, მაგრამ ნუ წუხხართ, ამას მოევლება. თუ თქვენი სურვილი არ არის, ბავშვს ნუ იყოლიებთ, არც მე მიწნდა.

ჯენის გაკვირვებულ, სირცხვილისაგან ალეწილ სახეზე გაოცება გამოეხატა.

– დიახ, დიახ, – უთხრა ლესტერმა, – ჩემი ხომ გჯერათ? მე ვიცი, რასაც ვამბობ. თქვენ როგორ გგონიათ?

– დიახ, – ენის ბორძიკით ამოთქვა ჯენიმ.

– ჰოდა, ასე. ყოველ შემთხვევაში, მე არ დავუშვებ, რომ ცუდი რამ შეგემთხვათ. აქედან წაგიყვანთ. რომ იცოდეთ, არავითარი ბავშვი მე არ მსურს. ახლა ისინი ვერავითარ სიამოვნებას ვერ მომანიჭებენ. დავიცდი, იმათაც მოვესწრები. არც არაფერი იქნება ისეთი, ამან არ შეგაშინოთ.

– კეთილი, – ოდნავ გასაგონი ხმით თქვა თავჩალუნულმა ჯენიმ. დამორცხვებული ჯენი არაფრის გულისთვის არ დაგთანხმდებოდათ, ახლა თავი აეწია და ლესტერისათვის შეეხედა.

– მომისმინეთ, ჯენი, ხომ გიყვარვართ? – უთხრა მან ცოტა ხნის მერე, – მე რომ არ მიყვარდეთ, ასე შეგვედრებოდით, როგორ გგონიათ? სრულ სიმართლეს გეუბნებით, უბრალოდ მთვრალი ვარ, თითქოს ღვინო დამელიოს. უნდა წამომყვეთ და რაც შეიძლება მალე. მართალია, ამას მშობლების დასტური სჭირდება, მაგრამ მაგასაც მოვაგვარებ. ნიუ-იორკში წავიდეთ, მერე სხვა რამ მოვიფიქროთ. თქვენთანებს გავეცნობი, რასაც ისურვებთ, იმას გავაკეთებ, ოღონდ მალე წავიდეთ, ნუ გადავდებთ.

– ჰო, მაგრამ ამ წუთში ხომ არა? – თითქმის შიშით იკითხა ჯენიმ.

– თუ მოხერხდება ხვალ, თუ არადა ორშაბათს მაინც. ამას თვითონ მოაწყობთ. რა გაწუხებთ! მისის ბრეისბრიჯს რომ შემოეთავაზებინა წამომყევით, ხომ მაშინვე შეუდგებოდით სამზადისს და სიტყვასაც ვერავინ გეტყვოდათ, ასე არ არის განა?

– დიახ, _ ჩაიბუტბუტა ჯენიმ.

– მაშ რა გაბრკოლებთ?

– ძნელია ტყუილის თქმა, _ თქვა ჯენიმ.

– ვიცი, მაგრამ წამოსვლა მაინც შეგიძლიათ, ხომ მართალია?

– იქნებ, ცოტა დაგეცადათ? _ სთხოვა ჯენიმ. _ ეს ყველაფერი ისე მოულოდნელია, მეშინია.

– ერთ დღესაც ვერ მოვიცდი, ჩემო გოგონა. ვერ მატყობთ, მეტის მოცდა აღარ შემიძლია? ახა, თვალებში შემომხედეთ. წავიდეთ?

– კეთილი, _ მიუგო ქალმა ნაღვლიანად და ამ მამაკაცისადმი რაღაც უცნაური, ნაზი გრძნობა აღეძრა. _ წავიდეთ.

ოცდამესამე თავი

გამგზავრებასთან დაკავშირებული ამბები გაცილებით იოლად მოგვარდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ჯენიმ გადაწყვიტა დედისთვის სიმართლე ეთქვა, ხოლო მამას მარტო იმას ეტყოდა, მისის ბრეისბრიჯი მიემგზავრება და ჩემი წაყვანა უნდაო. მამა, რასაკვირველია, დაწვრილებით გამოჰკითხავს ყველაფერს, მაგრამ არა მგონია, დაეჭვდეს. იმ დღეს შინისკენ მიმავალი, ლესტერთან ერთად შევიდა უნივერსალურ მაღაზიაში. ლესტერმა უყიდა სკივრი, ჩემოდანი, საგზაო კოსტიუმი, ქუდი. ლესტერი გამარჯვებით ამაყობდა.

– ნიუ-იორკში რომ ჩავალთ, უკეთეს ნივთებს გიყიდით, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით საკუთარი თავის ფასი, ნახავთ, ყველა დაგიწყებთ ყურებას.

ლესტერმა გამყიდველს ნავაჭრი სკივრში ჩაალაგებინა და იმ სასტუმროში გაგზავნა სთხოვა, სადაც ახლა ცხოვრობდა. მერე ჯენის შეუთანხმდა, ორშაბათს, გამგზავრების წინ, სასტუმროში მისულიყო და ტანისამოსი გამოეცვალა.

შინ დაბრუნებულ ჯენის დედა სამზარეულოში დახვდა. დედას, როგორც ყოველთვის, გაეხარდა ქალიშვილის შინ მოსვლა.

– მძიმე დღე გქონდა? _ ალერსით ჰკითხა მისის გერჰარდტმა. _ რაღაც დაღლილი გამოიყურები.

– არა, დაღლილი არა ვარ, უბრალოდ, გუნება მაქვს დამძიმებული. _ ხომ არაფერი მოხდა?

– ოჰ, დედიკო, ერთი რამ უნდა გითხრა, მაგრამ გამხელა მიჭირს... _ ჯენი გაჩუმდა, დედას მზერა მოაცილა.

– რა იყო? – შიშით შეეკითხა დედა. მრავალ ვაება გამოვლილი, საწყალი ქალი სულ ახალი უბედურების მოლოდინში იყო, – ადგილი ხომ არ დაკარგე?

– არა, მაგრამ წასვლას ვაპირებ, – მიუგო ჯენიმ, თვითონაც რომ ასე ცდილობდა საკუთარი მღელვარების დაფარვას.

– რას ამბობ! – წამოიძახა დედამ. –

სად? – ნიუ-იორკში მივემგზავრები.

დედამ შეშფოთებისაგან თვალები დააჭყიტა.

– რატომ! როდის გადაწყვიტე?

– დღეს.

– ნამდვილი ამბავია?

– ჰო, დედიკო, მომისმინე. რაღაც უნდა გითხრა. ხომ ხედავ, როგორ გვიჭირს. სულ ერთია, ჩვენს საქმეებს ვერაფრით გამოვასწორებთ. ახლა ისეთი კაცი გამოჩნდა, რომელიც დაგვეხმარება, მეუბნება, მიყვარხარო, ორშაბათს ნიუ-იორკში წაყოლას მთხოვს. მეც გადავწყვიტე წასვლა.

– არა, ჯენი, არაფრის გულისთვის! – წამოიძახა დედამ, – როგორ შეიძლება ყოველივე იმის შემდეგ, იგივე ნაბიჯი გადადგა. რატომ გავიწყდება მამაშენი.

– განა არ ვიფიქრე, ყველაფერი გავითვალისწინე, – მტკიცედ უთხრა ჯენიმ. – მაგრამ ასე აჯობებს. კარგი კაცია, ვიცი, ბევრი ფული აქვს. გულით მთხოვს წაყოლას და წავყვები კიდეც. როცა დავბრუნდებით, ახალ სახლს გვიყიდის და, საერთოდ, დაგვეხმარება. შენც იცი, მე არავინ მითხოვს, დაე, ასე იყოს. ვუყვარვარ, მეც მიყვარს. რატომ არ უნდა წავიდე?

– ვესტას არსებობა იცის? – ფრთხილად ჰკითხა დედამ.

– არა, – დამნაშავის ხმით მიუგო ჯენიმ. – სჯობს არაფერი ვუთხრა. ვეცდები, ამ ამბავში ბავშვი არ გავრიო.

– მეშინია, ახალ ხიფათს არ გადაეყარო, ჯენი. ნუთუ ფიქრობ, რომ ეს ამბავი გაუგებარი დარჩება?

– მე მგონი, უკეთესი იქნება სკოლაში წასვლამდე ბავშვი თქვენთან იყოს, – უთხრა ჯენიმ. – მერე, იქნებ შევძლო და სასწავლებლად სადმე გავაგზავნო.

– კარგი, – დაეთანხმა დედა, – მაგრამ, ჩემი აზრით, ჯობია თავიდანვე უთხრა სიმართლე. უკეთესი წარმოდგენა ექნება შენზე, თუ სიმართლეს ეტყვი.

– მთავარი ეს კი არ არის, საქმე ვესტაა, ამ საქმეში ვესტას ჩარევა არ მინდა.

დედამ თავი გაიქნია და ჰკითხა:

– სად გაიცანი?

– მისის ბრეისბრიჯთან.

– დიდი ხანია?

– თითქმის ორი თვეა.

– რა ვიცი, ერთი სიტყვაც არ წამოგცდენია, – უსაყვედურა დედამ.

– არ ვიცოდი ასეთი თვალით თუ მიყურებდა, – დამნაშავის სახით უთხრა ჯენიმ.

– იქნებ, დაგეცადა? ჯერ ჩვენთან მოგეყვანა, – უთხრა დედამ. – მაშინ უფრო ადვილად მოგვარდებოდა ყველაფერი. სულ ერთია, თუ წახვალ, მამა მაინც გაიგებს სიმართლეს.

– ვეტყვი, მისის ბრეისბრიჯს მივყვები-მეთქი. ამას კი ვერ დამიშლის. – ჰო, ეგრე შეიძლება, – თქვა ფიქრებში წასულმა დედამ.

დედა-შვილი უსიტყვოდ მისჩერებოდა ერთმანეთს. მისის გერჰარდტი ცდილობდა გონებაში წარმოედგინა ჯენის ცხოვრებაში შემოჭრილი ეს ახალი, საკვირველი კაცი, მდიდარიყო, ჯენის ნიუ-იორკში წაყვანას უპირებსო, მერე მათთვის კარგი სახლის ყიდვაც უნდაო. რაღაც ზღაპარს ჰგავდა!

– ნახე, რა მომცა, – დაუმატა ჯენიმ, რაღაც ალღოთი დედის ფიქრები რომ ამოიცნო.

ჯენიმ უბეში შენახული ორას ორმოცდათი დოლარი ამოიღო და დედას ხელში ჩაუდო.

ქალი გაცემით დააშტერდა ფულს. მწვანე და ყვითელი ფულის დასტა ყველა საზრუნავს მოაშორებდა, აღარ შეაწუხებდა საჭმლის, ტანსაცმლის, ქვანახშირის, ბინის ქირის გადახდის შემალონებელი დარდი. ბევრი ფული თუ ექნებოდა, აღარც გერჰარდტი იჯავრებდა ხელების დაწვას, ჯორჯს, მართასა და ვერონიკას რიგიანად ჩააცმევდნენ, გაახარებდნენ, ჯენი გამოეწყობა, ვესტა განათლებას მიიღებს.

– შენი აზრით, ოდესმე ცოლად შეგიერთავს? – ჰკითხა ბოლოს დედამ.

– არ ვიცი, – მიუგო ჯენიმ, – იქნებ, შემირთოს კიდევაც. ჯერ მარტო ეს ვიცი, რომ ვუყვარვარ.

– აბა, რა გითხრა, – წარმოთქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მისის გერჰარდტმა, – თუ მამაშენს წასვლის ამბავს ეუბნები, ნულარ გადადებ, ისედაც უცნაურად მოეჩვენება.

ჯენი მიხვდა რომ გაიმარჯვა. დედა მხოლოდ მდგომარეობამ აიძულა ამ ახალ ამბავს შერიგებოდა. მართალია, აფორიაქდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, იქნებ, ასე აჯობოსო.

– მე დაგეხმარები, – უთხრა დედამ და ამოიოხრა.

მისის გერჰარდტისათვის იოლი როდი იყო ტყუილის თქმა, მაგრამ ისე ძალდაუტანებლად იცრუა, რომ ქმარს ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა. ახალი ამბავი ბავშვებსაც უთხრეს. ყველანი ჯენის გამგზავრებაზე ალაპარაკდნენ. ხოლო როცა ჯენიმ ეს გამოგონილი ამბავი მამას უამბო, გერჰარდტს საეჭვოდ არაფერი მოსჩვენებია.

– დიდი ხნით მიდიხარ? – დაინტერესდა

მამა. – ორი-სამი კვირით, – მიუგო ჯენიმ.

– სასიამოვნო მოგზაურობაა, – თქვა გერჰარდტმა. – ნიუ-იორკში ათას რვაას ორმოცდაოთხ წელს ვიყავი, მაშინ ქალაქი სულ პატარა იყო, ახლა კი სულ სხვაა.

სულის სიღრმეში მამას ძალიან უხაროდა, რომ ჯენის ასე გაუღიმა ბედმა. როგორც ჩანდა, დიასახლისი მისი შვილის კმაყოფილი იყო.

დადგა ორშაბათი. დილით ადრე ჯენი თავისიანებს გამოეთხოვა და სასტუმრო «დორნტონისაკენ» გაემართა, სადაც ლესტერი ელოდებოდა.

– მოხვედით? – მხიარულად შეეგება სასტუმროში მომლოდინე ლესტერი.

– დიახ, – უბრალოდ მიუგო ქალმა.

– ვითომ თქვენ ჩემი დისშვილი ხართ. – განაგრძო ლესტერმა – ჩემი ოთახი თქვენ გვერდით არის. ახლა გასაღებს მოვატანინებ და ტანსაცმელი გამოიცვალეთ. როცა მზად იქნებით, თქვენს სკივრს სადგურში გავგზავნი. მატარებელი პირველ საათზე გადის.

ჯენი ტანსაცმლის გამოსაცვლელად წავიდა. ლესტერმა აღარ იცოდა, დრო როგორ მოეკლა. ხან იკითხა, ხან სიგარეტი გააბოლა, ბოლოს, ვეღარ მოითმინა და კარზე მიუკაკუნა. ჯენის მოესწრო გამოცვლა და კარი გაუღო.

– რა მშვენიერი ხართ, – მიაგება პირმცინარე ლესტერმა.

ჯენიმ თვალები დახარა. სული დამძიმებული და აფორიაქებული ჰქონდა. რამდენი სიცრუე, ეშმაკობა და მღელვარება დასჭირდა თავისი როლის შესასრულებლად, დაღლილი და განაწამები სახე ჰქონდა.

– ნუთუ მართლა შემფოთებული ხართ? – ჰკითხა ლესტერმა და დაკვირვებით ჩახედა თვალებში.

– არა, არა, – უპასუხა ჯენიმ.

– აბა, ჩემო გოგონა, ასე არ ივარგებს, ნუ იწუხებთ, ყველაფერი კარგად იქნება.

ლესტერი მოეხვია და აკოცა, მერე დაბლა ჩავიდნენ. ლესტერი გააოცა ამ სადა, სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი მომაჯადოებელი ქალის ხილვამ, თუმცა ჯენისათვის ეს მორთულობა ყველაზე საუკეთესო იყო, რაც ოდესმე სცმია.

სადგურში სწრაფად მივიდნენ. კეინმა ადგილები ადრევე შეუკვეთა, რომ ზუსტად მატარებლის გასვლისთვის მისულიყვნენ. როგორც კი ვაგონის კუპეში ჩასხდნენ, ლესტერს უდიდესი კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა, ყველაფერი საამურად ეჩვენებოდა. ჯენი გვერდით ჰყავდა. საოცნებო საწადელს მიაღწია. ნეტავ ყოველთვის ასე გაუმართლდეს.

მატარებელი დაიძრა, ფიქრებში წასული ჯენი ფანჯარას მიაჩერდა. წინ ცივი, სუსხიანი წვიმით დასველებული, ჩამუქებული მინდვრები და შემოდგომის გამარცვული ტყეები გაიჭიმა. ვაკე ადგილებში ფერმები ჩანდა, დაბალჭერიანი სახლები თითქოს ცდილობდნენ უფრო მეტად მიკვროდნენ მიწას. მატარებელი მიქროდა, ერთმანეთს ცვლიდა პატარ-პატარა სოფლები ანუ სოფლად წოდებული თეთრი, ყვითელი, მუქი ქოხმახების გროვა. ხშირი წვიმებისა და უამინდობისაგან სახლების სახურავები ერთიანად ჩამავებულიყო. ერთმა სახლმა ჯენის კოლუმბუსის ძველი სახლი გაახსენა, ცხვირსახოცი თვალებზე აიფარა და ატირდა.

– ტირით, ჯენი? – ჰკითხა უცებ ლესტერმა და თავი დაანება წერილის კითხვას, – კარგით, გაჩუმდით, – ტკბილად დაუყვავა, როცა დაინახა, ქალიშვილი ერთიანად კანკალებდა. – ასე არ ივარგებს. ცრემლებს და ტირილს

რა აზრი აქვს, ან რა შეუძლია? _ ნუ ტირით, აკი გითხარით, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ნურაფერს იჯავრებთ.

ჯენი არ გამოპასუხებია და ლესტერმა უნებურად უთანაგრძნო ქალის ძლიერსა და უტყვ ნაღველს.

ჯენიმ თავს ძალა დაატანა და ცრემლები მოიწმინდა.

_ არ ვარგა ასეთი აღელვება, _ განაგრძო ლესტერმა. _ გასაგებია, გეძნელებათ სახლიდან წასვლა, მაგრამ ტირილით აბა რას უშველით. განა სამუდამოდ მიდიხართ, მალე დაბრუნდებით. მითხარით, ხომ გიყვარვართ?

_ დიახ, _ მიუგო ჯენიმ და გაღიმება სცადა.

ლესტერმა წერილების კითხვა განაგრძო, ჯენის ფიქრები კი ვესტას გადასწვდა. ღელავდა, რომ გაუმხელელი საიდუმლო ჰქონდა ამ მამაკაცთან, რომელიც ასე ახლობელი გახდა მისთვის. განა არ იცოდა, ლესტერისათვის უნდა ეთქვა, ბავშვი რომ ჰყავდა, მაგრამ ამის გაფიქრებაც კი შიშს ჰგვრიდა. შესაძლოა, ოდესმე ძალ-ღონე მოეკრიბა და გამოტყდომოდა. არა, უსათუოდ უნდა ვუთხრა, _ ფიქრობდა აფორიაქებული ჯენი, თან ერთბაშად იგრძნო ამ სათქმელის მთელი სიმძიმე. ახლავე თუ არ გამოვუტყდე, მერე ერთად ცხოვრებისას გაიგებს და არც არასოდეს მაპატიებს. შეიძლება, გამაგდოს კიდევ. მერე სად წავიდე? ახლა სახლიც აღარა მაქვს. მაშინ რაღა ვუყო ვესტას?

საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილი ჯენი შემოტრიალდა და ლესტერს შეხედა. წინ ეჯდა დარბაისელი, წერილების კითხვაში გართული, ნებიერი მამაკაცი. არც მის ახლად გაპარსულ ვარდისფერ სახეს, არც კმაყოფილებით სავსე მთელ სხეულს საბრძოლო განწყობის არავითარი ნიშანი არ აჩნდა, შურისძიებით სავსე ნემეზიდა რომ მოჰგონებოდა. ის იყო, ჯენიმ მზერა მოაცილა, რომ ლესტერმაც შეხედა.

_ ჰო, რას მეტყვით, გამოიტირეთ ცოდვები? ჯენის გაეღიმა. გახუმრება მიზანს მოხვდა. _ მგონი, _ მიუგო ქალმა.

ლესტერმა საუბრის თემა შეცვალა, ჯენი ფანჯარაში იყურებოდა, თან იმაზე ფიქრობდა, ნეტავ სიმართლე მათქმევინაო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. «დიდი ხნით გადადებაც არ შეიძლება», _ დაასკვნა ბოლოს და თავი იმით ინუგეშა, რომ მალე მხნეობას მოიკრებდა და ლესტერს ყველაფერს გაუმჟღავნებდა.

მეორე დღეს ნიუ-იორკში ჩავიდნენ და ლესტერის წინაშე არცთუ ადვილად გადასაწყვეტი საკითხი წამოიჭრა: სად დაბინავებულიყვნენ? ნიუ-იორკი დიდი ქალაქია, ნაკლებ სარწმუნო იყო, ნაცნობს გადაჰყროდა, მაგრამ რისკის გაწევა მაინც არ ღირდა. ამიტომ ლესტერმა მეეტლეს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო სასტუმროში წაყვანა უბრძანა. დაიქირავა რამდენიმე ოთახიანი ნომერი, სადაც ორ-სამ კვირას დარჩებოდნენ.

ის გარემო, რომელშიც ჯენი მოხვდა, იმდენად უჩვეულო და ისე თვალისმომჭრელი იყო, ეგონა, სადღაც სხვა სამყაროში გადავსახლდიო. კვინი მყვირალა სიმდიდრით როდი იხიბლებოდა, ყოველთვის ლამაზ, მაგრამ სადა ნივთებს ირჩევდა. მაშინვე მიხვდა, რა სჭირდებოდა ჯენის და ყველაფერს

დიდი მზრუნველობითა და გემოვნებით ურჩევდა. ჯენი ნამდვილი ქალი იყო და მთელი გულით ხარობდა მოხდენილი ტანსაცმლითა და ლამაზი სამკაულებით, რითაც ასე უხვად ასაჩუქრებდა ლესტერი. ნუთუ ეს ჯენი გერ-ჰარდტია, მრეცხავის ქალიშვილი, ჰკითხა თავის თავს, როცა სარკეში თვალი შეავლო საყელოსა და სახელოებზე ოქროსფერ ფრანგულ მაქმანშემოვლებულ ლურჯი ხავერდის კაბაში გამოწყობილ საკუთარ თავს. ნუთუ ეს მას აცვია ათ დოლარად ღირებული, მსუბუქი და ლამაზი ფეხსაცმელი, ნუთუ მის თითებს ამშვენებს ეს ძვირფასი, ელვარე თვლები? არა, ნამდვილად სასწაულია, უეცრად ასეთი სიმდიდრის მოპოვება. ლესტერი დაჰპირდა, დედაშენსაც ხელს წავაშველებო. ამის გამგონე ჯენის სიხარულის ცრემლები სცვიოდა, საყვარელი ჩემი დედა!

ლესტერს უდიდეს კმაყოფილებას ჰგვრიდა ჯენის მორთვა-მოკაზმვა, გულით სურდა ჯენი მისი საკადრისი ყოფილიყო. გამოიყენა მთელი თავისი შესაძლებლობა და შედეგმა მის ყველაზე თამამ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. დერეფნებში, რესტორნებსა და ქუჩებში ხალხი ბრუნდებოდა და ლესტერის თანამგზავრს აღტაცებულ მზერას აყოლებდა.

– რა საოცრად კარგი ქალია! – ისმოდა ყოველი მხრიდან.

თუმცა ჯენის მდგომარეობა ასე მკვეთრად შეიცვალა, ქალს თავბრუ არ დახვევია და საღი აზროვნების უნარი არ დაუკარგავს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცხოვრებამ მხოლოდ დროებით გაიმეტა მისთვის ეს საჩუქრები და მერე ისევ წაართმევდა. ქალისთვის უცხო იყო გულწამცეცობა, პატივმოყვარეობა. ლესტერის დაკვირვებული თვალი კარგად ამჩნევდა ჯენის ამ ღირსებას.

– საუცხოო ქალი ხარ, – ეუბნებოდა მოჯადოებული ლესტერი, – მერე უფრო მეტად გაბრწყინდები, აქამდე ბედი არ გწყალობდა.

ლესტერი წუხდა, როგორ აეხსნა თავისიანებისთვის ეს კავშირი, თუ ვინცილობაა რაიმეს ყურს მოჰკრავდნენ... ვთქვათ, ჩიკაგოში ან სენტ-ლუისში დაიქირაოს სახლი, ვითომ შეინახება საიდუმლო? ან სურს კი საიდუმლოდ რომ დარჩეს? ლესტერი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ჯენი ნამდვილად, გულწრფელად უყვარდა.

როცა უკან დაბრუნების დრო მოახლოვდა, ლესტერმა ჯენის მომავლის გეგმებზე ჩამოუგდო საუბარი.

– ეცადე, მამაშენთან წარმადგინო – როგორც ნაცნობი, ეს უფრო ბუნებრივი იქნება. მე მოვალ თქვენთან. მერე, როცა ეტყვი, ცოლად უნდა გავყვეო, აღარ გაიკვირვებს.

ჯენის ფიქრი ვესტას გადასწვდა და გუნება აემღვრა. თუმცა ვინ იცის, იქნებ, მოახერხოს, მამა დაიყოლიოს, რომ არაფერი წამოსცდეს.

ლესტერი წინდახედულად მოიქცა, ჯენის კლივლენდის ძველი კაბა შეანახვინა, რათა შინ ამ კაბით დაბრუნებულიყო.

– დანარჩენ ნივთებზე ნუ ინაღვლებ, – ყველაფერს შევინახავ, ვიდრე ახლებურად არ მოვეწყობით, – დააიმედა ლესტერმა.

ყველაფერი ძალიან ადვილად და უბრალოდ მოგვარდა: ლესტერი შესანიშნავი სტრატეგი გამოდგა.

სანამ ნიუ-იორკში იყვნენ, ჯენი თითქმის ყოველდღე გზავნიდა შინ წერილებს, თან მხოლოდ დედისთვის განკუთვნილ, პატარა მინაწერებს ურთავდა. ერთხელ აცნობა, ლესტერს თქვენთან მოსვლა სურსო და დედას სთხოვდა, მამა მოამზადე, უთხარი, ჯენი შეხვდა მამაკაცს, რომელმაც იგი შეიყვარა-თქო. ვესტასთან დაკავშირებულ მღელვარებასაც ატყობინებდა. დედამ სწრაფად დააწყო გეგმები, როგორ დაარიგებდა გერჰარდტს, სიტყვა არ დაეძრა. ამჯერად ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო. ჯენისთვის უნდა მიეცათ საშუალება თავისი ცხოვრების აწყობისა. და აი, ჯენიც ჩამოვიდა. ყველას გაეხარდა მისი დანახვა. რა თქმა უნდა, ჯენის აღარ შეეძლო ძველ ადგილას დაბრუნება. მისის გერჰარდტმა ქმარს აუხსნა, რომ მისის ბრეისბრიჯმა ორი კვირის ფული წინასწარ მისცა, რათა ჯენის უკეთესი და უფრო მაღალხელფასიანი ადგილი მოეძებნა.

ოცდამეოთხე თავი

რაკი გერჰარდტების საქმე და მათთან დამოკიდებულება დროებით მოაგვარა, ლესტერი ცინცინატიში დაბრუნდა თავისი საქმეების მისახედად. გულწრფელად აინტერესებდა ვეებერთელა ფაბრიკის ცხოვრება, რომელსაც ქალაქგარეთ მთელი ორი კვარტალი ეკავა. ფირმის წარმატება მისთვის ისეთივე ღვიძლი საქმე იყო, როგორც მამისა და ძმისთვის. სიამოვნებდა, ასეთი უზარმაზარი და მზარდი საწარმოს განუყოფელ ნაწილს რომ წარმოადგენდა. როდესაც სადგურში წარწერიან სატვირთო ვაგონებს «კეინის კომპანია, ცინცინატი», დაინახავდა, ანდა როცა სხვა ქალაქის მაღაზიების ვიტრინებიდან თვალს მოჰკრავდა მათი ფირმის ნაირნაირ ეტლებს, მხურვალე, სიხარულით აღსავსე კმაყოფილებას განიცდიდა. ხუმრობა ხომ არ არის, იყო ასეთი ღირსეული, საიმედო, კეთილსინდისიერი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ყველაფერი ეს მართლაც სიამოვნებდა, მაგრამ ლესტერის პირად ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო, გამოჩნდა ჯენი. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული ლესტერი გრძნობდა, რომ ამ კავშირს ბევრი უსიამოვნება მოჰყვებოდა. ეშინოდა, რა თვალთ შეხედავდა ამ ამბავს მამა, მაგრამ მთავარი მაინც ძმა იყო.

რობერტი ცივი და პედანტი კაცი გახლდათ. საქმოსნის სანიმუშო განსახიერება, უმწიკვლო პიროვნება როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში. არასოდეს გადაულახავს წესიერების მკაცრად დადგენილი ზღვარი. იგი არც გულისხმიერებით გამოირჩეოდა და არც დიდსულოვნებით. მზად იყო ჩაედინა ყოველგვარი გაიძვერობა, რომელსაც საკუთარი თავის წინაშე რითიმე გაამართლებდა ან აუცილებლობის საპატიო მიზეზით ახსნიდა. ამას რა ფანდებით ახერხებდა, ლესტერმა არ იცოდა, თვალს ვერ

ადევნებდა ძმის ლოგიკის მთელ ემმაკობას, როგორ უთავსებდა საქმოსნის უხეშ მეთოდებს მორალის უმკაცრეს წესებს. ასე იყო, თუ ისე, იგი ამ შეთანხმების ოსტატი გახლდათ. «რობერტი შოტლანდიელი-პრესვიტერიანელივით ქადაგებს, სარფიანობის შეგრძნება და ალლო კი აზიელისა აქვს», – თქვა ლესტერმა ერთხელ საუბრისას და ეს მართლაც, მეტად ზუსტი დახასიათება იყო. ლესტერს არ შეეძლო ძმის პოზიციების შერყევა, მასთან დავა, უმრავლესობის აზრი რობერტის მხარეზე იყო. რობერტი აღიარებული წესების მიხედვით იქცეოდა და მსჯელობდა.

გარეგნულად ძმებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, სულიერად კი სრულიად უცხონი იყვნენ. საერთოდ რობერტი ძმას ცუდად არ ექცეოდა, მაგრამ ფინანსურ საქმეებში მის შესაძლებლობას არ ენდობოდა. გარდა ამისა, ძმები სრულიად განსხვავებული ბუნების ადამიანები იყვნენ და ცხოვრებასაც სხვადასხვაგვარი თვალთ უყურებდნენ. ლესტერს ფარულად სძაგდა კიდევ და მხოლოდ იმის გამო, რომ რობერტმა მთელი თავისი არსება ყოვლისშემძლე დოლარის მოსაპოვებლად გაჩაღებულ შეუპოვარ ბრძოლას შესწირა. თავის მხრივ, რობერტი დარწმუნებული იყო, რომ ლესტერის გასაკვიცი ქარაფშუტობა ადრე თუ გვიან, უბედურებამდე მიიყვანდა. საქმეებში შეხლა-შემოხლა არ უხდებოდათ, რადგან აქამდე ყოველივეს მამა განაგებდა. მაგრამ წვრილმანი უთანხმოება კი ხშირად ჰქონიათ. არც იმის გაგება იყო ძნელი, ეს ქარი საიდან ქროდა. ლესტერის აზრით, ვაჭრობა უნდა წარმართულიყო მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე, პირად ნაცნობობაზე, დახმარებასა და დათმობაზე. რობერტი სხვაგვარად ფიქრობდა: საჭირო იყო მკაცრი ხაზის გატარება, წარმოების ხარჯის შემცირება, საქონლის ისე იაფად გაყიდვა, რომ ყოველგვარი კონკურენცია მოესპოთ.

მოხუცი ფაბრიკანტი ერთთავად მშვიდობისა და მყუდროების ჩამოგდებას ცდილობდა, თუმცა მომავალში დიდ უსიამოვნებას ვარაუდობდა. და აი მაშინ, რომელიმე ვაჭიშვილს, იქნებ, ორივესაც, საქმიდან გასვლა ელოდა. «ერთ-მანეთთან უფრო შეთანხმებულად უნდა იყოთ» – ხშირად არიგებდა შვილებს მამა.

ლესტერს ერთი სხვა საწუხარიც ჰქონდა, – ეს იყო მამის შეხედულება ქორწინებაზე. არჩიბალდ კეინი სულ იმას უჩიჩინებდა, ცოლის თხოვას რატომ აგვიანებ, ამ საქმის გვერდზე გადადებით დიდ შეცდომას სჩადიხარო. ლუიზას გარდა, ყველა კარგად დაოჯახდა. რატომ მის საყვარელ ვაჭიშვილს არ უნდა მიებაძა მათთვის? მოხუცის აზრით, უცოლობა ყოველნაირად ვნებდა ლესტერს.

– შენი მდგომარეობის მამაკაცი დაქორწინებული უნდა იყოს, – მერამდენედ უმტკიცებდა შვილს. – ხალხის თვალში სიდარბაისლე შეგემატება. მოძებნე შენი შესაფერი ქალი და ოჯახს მოეკიდე. რა უნდა ქნა, ჩემი ხნისა რომ გახდები, უოჯახოდ, უშვილძიროდ?

– თუ შესაფერ ქალიშვილს შევხვდი, რა თქმა უნდა, შევირთავ, – პასუხობდა ლესტერი. – მაგრამ ჯერჯერობით საჩემო არავინ შემხვედრია და რა ვქნა? ისე განუკითხავად ვითხოვო?

– არა, მაგას არ ვამბობ. განა ცოტაა კარგი ქალიშვილი? მშვენივრად შეგიძლია შესაფერი საცოლეს გამონახვა, მაგრამ არ გინდა. ვთქვათ, თუნდაც პეისი. რითია ცუდი? ავი მოგწონდა კიდევ? ასე არ ვარგა, იცოდე, ეს კარგს არაფერს მოგიტანს.

ვაჟიშვილი მხოლოდ იღიმებოდა.

– კარგი, მამა, მოვრჩეთ საყვედურებს. ოდესმე, ალბათ, მეც დავჰკვიანდები. წყალი რომ დალიო, უნდა გწყუროდეს.

მოხუცი დროებით უთმობდა შვილს, მაგრამ ეს ამბავი გაუნელებელ ტკივილს ჰგვრიდა. ძალიან უნდოდა, დაოჯახებულ, ნამდვილ საქმის კაცად ეხილა.

ლესტერს კარგად ესმოდა, რომ სწორედ ასეთი ვითარების გამო, ჯენისთან ურთიერთობას მყარ საფუძველზე ვერ ააგებდა. ფრთხილად, საზრიანად აწყობდა მოქმედების გეგმას. რა თქმა უნდა, რაც უნდა მომხდარიყო, ჯენის არ დათმობდა. მაგრამ სიფხიზლე უნდა გამოეჩინა; ტყუილუბრალოდ რისკის გაწევა სისულელე იყო. ცინცინატში ჩაიყვანოს? რა აურზაური ატყდება, ეს რომ გაიგონ! სადმე ქალაქგარეთ მყუდრო სახლში მოაწყოს? რასაკვირველია, შინაურები ადრე თუ გვიან, ეჭვს აიღებენ. იქნებ, მხოლოდ საქმიანი მოგზაურობის დროს გაიყოლიოს თან? მართალია, ნიუ-იორკში პირველმა მოგზაურობამ კეთილად ჩაიარა, მაგრამ ყოველთვის ასე მშვიდობიანად გადარჩება? დაუსრულებლად ეკითხებოდა საკუთარ თავს. სიძნელები მხოლოდ ჟინს უძლიერებდა. იქნებ, ყველაზე შესაფერი ადგილი სხვა ქალაქი იყოს, მაგალითად, სენტ-ლუისი, ჩიკაგო ანდა პიტსბურგი. ამ ქალაქებში ხომ ხშირად ჩადიოდა, განსაკუთრებით ჩიკაგოში. ბოლოს გადაწყვიტა, ჯენი ჩიკაგოში მოეწყო. ყოველთვის შეეძლო რაიმე საბაბით იქ ჩასვლა, თანაც ერთი ღამის გზა იყო მხოლოდ. ჰო, ჩიკაგო ყველაზე შესაფერი ადგილია. ასეთ დიდ, სიცოცხლით სავსე ქალაქში ძნელი არ არის დამალვა. ცინცინატში ორი კვირის ყოფნის შემდეგ ლესტერმა ჯენის წერილი მისწერა, მალე ჩამოვალ კლივლენდშიო. ჯენიმაც უპასუხა, შეგიძლია ჩვენთან მოსვლაო. მამაჩემს ყველაფერი ვუამბე, შინ უსაქმოდ დარჩენა უაზრობად მეჩვენა და მაღაზიაში დავიწყეო მუშაობა, კვირაში ოთხ დოლარად. ლესტერს გაეღიმა ამის წაკითხვაზე, მაგრამ ქალის ენერგია და პატიოსნება მოეწონა. «ყოჩაღ, – თავისთვის ამბობდა ლესტერი, – ჯერ არსად შევხვედრივარ ასეთ ქალიშვილს».

შემდეგ შაბათს იგი კლივლენდში ჩავიდა, მოძებნა მაღაზია, სადაც ჯენი მუშაობდა და საღამოს შეხვედრაზე შეითანხმა. დაე, ჯენიმ თაყვანისმცემლადაც წარმადგინოს, ოღონდ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ეს ყველაფერი. გერჰარდტების უბადრუკმა სახლმა და თვალში საცემმა სიღატაკემ ლესტერს ღამის ზიზღი აღუძრა, თუმცა თვითონ ჯენი კვლავ ისეთივე მშვენიერი ეჩვენა, როგორც ყოველთვის. სასტუმრო ოთახში

რამდენიმე წუთის ლოდინის შემდეგ ჯენის დედ-მამა გამოვიდა, მაგრამ მათთვის ლესტერს თითქოს ყურადღება არ მიუქცევია. მოხუცი გერმანელი ყოვლად საშუალო პიროვნებად მოეჩვენა, ასეთებს ასობით ქირობდნენ მამამისის ფაბრიკაში უბრალო მუშებად. ხან რაზე ისაუბრეს, ხან რაზე. მერე ლესტერმა ჯენის სთხოვა, სასეირნოდ წამომყევით. ჯენიმ ქუდი დაიხურა და სახლიდან გავიდნენ. სინამდვილეში, ისინი ლესტერის მიერ წინასწარ დაქირავებულ ბინაში წავიდნენ, სადაც ჯენისთვის ნაყიდი ახალი ტანსაცმელი იყო შენახული. ჯენი შინ საღამოს რვა საათზე დაბრუნდა. შინაურებს ამაში ცუდი არაფერი დაუნახავთ.

ოცდამეხუთე თავი

ერთი თვის შემდეგ ჯენიმ განაცხადა, ლესტერი ცოლად მირთავსო. რასაკვირველია, ლესტერის ვიზიტებმა ნიადაგი მოამზადა, აკი ამიტომაც ყველას ბუნებრივად ეჩვენა. მხოლოდ გერჰარდტი ეჭვობდა რაღაცას. ვერ გაერკვია, რას უქადდა მომავალი. იქნებ, ყველაფერი კარგად აწყობილიყო, ლესტერი მართლაც კარგი ადამიანი ჩანდა. ვითომ რატომ არ შეიძლებოდა ჯენი შეყვარებოდა? უფრო ადრე ხომ ბრენდერი მოიხიბლა. თუკი ამერიკის შეერთებული შტატების სენატორს შეუყვარდა ჯენი, ვითომ ფაბრიკანტის შვილის სიყვარული რაღა გასაკვირი იყო? მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა არსებობდა – ეს იყო ბავშვი.

– შვილი რომ ჰყავს ის თუ უთხრა? – ჰკითხა გერჰარდტმა ცოლს.

– ჯერ არა, – უპასუხა მისის გერჰარდტმა.

– ჯერ არა, ჯერ არა, სულ რაღაც არის დაფარულ-დამალული. როგორ გგონია, შეირთავს, სიმართლე რომ გაიგოს? აი, რა მოსდევს ქალიშვილის დაუკვირვებელ საქციელს. ახლა ქურდივით უნდა გამოძვრეს. ბავშვს გვარიც არა აქვს.

გერჰარდტი გაზეთის კითხვას მიუბრუნდა, მაგრამ უსიამოვნო ფიქრებმა თავისი გაიტანა. გერჰარდტის აზრით, ცხოვრებამ არ გაუმართლა. ახლა მხოლოდ იმასლა იმედოვნებდა, ისე გამოჯანსაღებულიყო, რომ სადმე დარაჯის ადგილი ეშოვა, გასცლოდა ამდენ ეშმაკობასა და ტყუილს.

ორი კვირის შემდეგ ჯენი დედას გამოუტყდა, ლესტერის წერილი მივიღე, ჩიკაგოში მიხმობს, თვითონ შეუძლოდ ყოფილა და კლივლენდში ჩამოსვლა არ შეუძლიაო. დედა-შვილმა გერჰარდტს უთხრა, ჯენი ჯვარის დასაწერად ჩიკაგოში მიემგზავრებაო, გერჰარდტმა იფეთქა, ყველა ეჭვი გაუახლდა. მაგრამ ბუზდუნის მეტი აბა რა შეეძლო. არა, ეს ამბავი კეთილად არ დამთავრდება, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარო, – მალიმალ იმეორებდა განრისხებული მამა.

დადგა გამგზავრების დღე. ჯენის მამასთან გამოუმშვიდობებლად მოუწია გამგზავრება. გერჰარდტი მთელ დღეს დახეტილებდა ქალაქში, სამუშაოს ეძებდა. ჯენის სადგურზე მიეჩქარებოდა და ვეღარ დაელოდა.

– იქიდან მოვწერ, – თქვა მან.

ჯენი დაუსრულებლად კოცნიდა თავის გოგონას.

– მალე ლესტერი ამაზე უკეთეს სახლს დაგვიჩირავებს, – მხიარულად განაცხადა ქალმა.

და აი, ღამის მატარებელმა ჯენი ჩიკაგოსაკენ გააქანა, დამთავრდა ძველი, იწყებოდა სრულიად ახალი ცხოვრება.

ლესტერის წყალობით ოჯახს ფული ისე აღარ უჭირდა, საკვირველი იყო, რომ ბავშვები და გერჰარდტი მაინც ვერაფერს ამჩნევდნენ. მისის გერჰარდტი ადვილად ატყუებდა ქმარს და პირველი მოხმარების საგნებს ყიდულობდა. თუმცა შეეძლოთ, ცოტა უფრო ხელგამლილადაც ეცხოვრათ, შიშით თავს იკავებდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯენიმ ჩიკაგოდან მოიწერა, ლესტერი დაჟინებით მოითხოვს, თქვენები სხვა სახლში გადავიდნენო. წერილი გერჰარდტს უჩვენეს. განრისხებული მამა კი ქალიშვილის დაბრუნების მოლოდინში იყო, რათა ერთი აყალ-მაყალი აეტეხა. ბერიკაცი ჯერ მოიღუშა, მაგრამ შემდეგ წინადადება სწორედ იმის საწინდრად ეჩვენა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. კეინს ჯენი ცოლად რომ არ შეერთო, მის ოჯახს რაღად დაეხმარებოდა? როგორც ჩანს, ისინი ნამდვილი ცოლ-ქმარი არიან. გამოდის, რომ ჯენიმ მართლაც მიაღწია მაღალ მდგომარეობას და ახლა თავისიანებს დაეხმარება. გერჰარდტიც მზად იყო ყოველივე სამუდამოდ ეპატიებინა ქალიშვილისათვის.

ამრიგად, ახალი სახლის საკითხი გადაწყვეტილი იყო. ჯენი დაბრუნდა კლივლენდში, რათა დედას გადასვლასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარებაში მიშველებოდა. ერთად დადიოდნენ ქალაქში და წყნარ, სასიამოვნო კვარტალს ეძებდნენ. ჰოდა აი, თვეში ოცდაათ დოლარად დაიქირავეს კიდევ ცხრაოთახიანი სახლი თავისი ეზოთი. შესაფერისადაც მოაწყვეს: იყიდეს მოხერხებული ავეჯი სასადილოსთვის, სასტუმროსთვის, ღამაზი სკამები, სავარძლები, საწოლები, ერთი სიტყვით, ყოველი ოთახისთვის შესაფერისი ავეჯი. სამზარეულოს მარჯვედ მოსახმარი სათავსოები ჰქონდა, ის კი არა, იყო სააბაზანო ოთახიც, რაც გერჰარდტებს ძალზე დიდ ფუფუნებად ეჩვენებოდათ. სახლი თუმცა სადა იყო, მაგრამ ძალიან სასიამოვნო და მოხერხებული. ჯენი ხარობდა, რომ თავისიანები ახლა მყუდროდ და კარგად იცხოვრებდნენ.

გადასვლის დრო რომ დადგა, მისის გერჰარდტი სიხარულით აღარ იყო: მისი ოცნებები ახდა! წლების მანძილზე, მთელი თავისი ცხოვრება ელოდა ამ წუთს და აი, ისიც დადგა. ახალი სახლი, ახალი ავეჯი, საკმაო სივრცე, მშვენიერი ნივთები, ასეთი რამ სიზმარშიაც არ მოლანდებია. აბა წარმოიდგინეთ! თვალები უბრწყინავდა ახალი საწოლების, მაგიდების, კარადებისა თუ სხვა ნივთების დანახვაზე.

– ღმერთო, რა მშვენიერია! – გოცებით იძახდა აღფრთოვანებული ქალი, – რა ლამაზია!

აღტაცებული ჯენი იღიმებოდა, თავის შეკავებას ცდილობდა, მაგრამ უნებურად თვალები ცრემლით ენამებოდა. დედის ასეთი გახარება სიამოვნებდა. მზად იყო ფეხები დაეკოცნა ლესტერისათვის, თავისიანების მიმართ ასეთი ყურადღების გამო.

მისის გერჰარდტი, მართა და ვერონიკა ავეჯის მოტანის დღესვე შეუდგნენ დალაგებასა და მოწესრიგებას. ეზო, ზამთრის კვალობაზე, ახლა შიშველი იყო, მაგრამ გაზაფხულზე რა საყვარლად იქნებოდა ამწვანებული. თან ამ ახალმა, მშვენიერმა ავეჯმა ყველა ძალიან გაახარა, რა ლამაზია, რა სივრცეა! ჯორჯი ახალ ნოხზე დაბაკუნობდა, ბასი ავეჯს უკირკიტებდა.

– დიდებულია, – განაცხადა მან ბოლოს.

მისის გერჰარდტი მთვარეულივით დადიოდა ოთახებში, არ სჯეროდა, რომ ამ შესანიშნავი საწოლი ოთახების, ლამაზი სასტუმროს და სასადილოს დიასახლისი ნამდვილად თვითონ იყო.

ყველაზე გვიან გერჰარდტი მოვიდა. ძალიან ეცადა, მაგრამ მაინც ვერ დაფარა თავისი აღტაცება. სასტუმრო ოთახში მაგიდის ზემოთ დაკიდული მკრთალი ფერის, მრგვალი აბაჟურის დანახვაზე თავი ვეღარ შეიკავა.

– ხედავ შენ, გაზი! – აღმოხდა გერჰარდტს, მოლუმული რომ იმზირებოდა და ისე ათვალეირებდა ყველაფერს. აკვირდებოდა იატაკზე დაგებულ ფარდაგებს, თეთრ სუფრაგადაფარებულ, გასაშლელ მუხის მაგიდას, რომელზედაც ახალი თეფშები ელაგა, კედლებზე დაკიდებულ სურათებს, შეათვალეირა ქათქათა სამზარეულოც და თავი გააქნია.

– ოჰ, ღმერთო! აი, ეს მესმის! ძალიან კარგია; ნამდვილად დიდებული. ახლა ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ, ავეჯი ოდნავადაც რომ გაიფხაჭნოს, მერე გათავდა.

ოცდამეექვსე თავი

საჭიროდ არ ვთვლი აღვწერო ყველა ის ამბავი, რაც ამ სამი წლის მანძილზე მოხდა. როგორ თანდათან დადგა ფეხზე უკიდურეს სილატაკემდე მისული ოჯახი ჯენის კეთილდღეობისა და მისი შორეული მეუღლის დიდსულოვნების წყალობით. დროდადრო თვითონ ლესტერიც გამოჩნდებოდა, როცა ეს წარჩინებული საქმოსანი გავლით კლივლენდში იმყოფებოდა. ხანდახან გერჰარდტებთანაც ჩერდებოდა, მაშინ ჯენისა და მისი ქმრის განკარგულებაში იყო მეორე სართული. ლესტერი ზოგჯერ დეპეშით გამოიძახებდა ჯენის და ისიც სასწრაფოდ მიემგზავრებოდა ჩიკაგოში, სენტ-ლუისში ან სულაც ნიუ-იორკში. ყველაზე მეტად ლესტერს მოდაში შემოსულ კურორტებზე ჰოტ-სპრინგში, მაუნტ-კლემენსსა თუ სარატოგში ბინის დაქირავება და ჯენისთან ფუფუნებასა და ნებივრობაში დროსტარება

მოსწონდა. ასე, ორი-სამი კვირა იყვნენ ხოლმე, როგორც ნამდვილი ცოლ-ქმარი. ზოგჯერ კლივლენდში მხოლოდ ერთი დღით ჩამოდიოდა ჯენის სანახავად. ლესტერმა კარგად იცოდა, რომ ამ რთული მდგომარეობის მთელი სიმძიმე ჯენის აწვა მხრებზე, მაგრამ გამოსავალსაც ვერ ხედავდა. თუმცა, იყო კი საჭირო ამ გამოსავლის ძებნა? _ ასეც კარგად გრძნობდნენ თავს.

გერჰარდტების ოჯახში მომხდარ ცვლილებასთან დაკავშირებით ფრიად თავისებური დამოკიდებულება შეიქმნა. მიუხედავად ყველაფრისა, პირველ ხანებში მდგომარეობა სრულიად ბუნებრივი გეგონებოდათ. ჯენიმ თქვა, გათხოვდიო. მისი ქორწინების მოწმობა თვალთ არავის ენახა, მაგრამ ასე თქვა და თავიც ისე ეჭირა, როგორც გათხოვილ ქალს შეეფერებოდა. თუმცა ცინცინატიში მცხოვრები ქმრის ოჯახში არასოდეს ჩასულა, არც კეინები ჩამოსულან მათთან. თვითონ ლესტერიც უცნაურად იქცეოდა. პირველ ხანებში თავისი ხელგაშლილობით გერჰარდტებს თვალეები აუხვია. კაცმა რომ თქვას, ცოლიან კაცს არ ჰგავდა. ისე დაუდევრად იქცეოდა, კვირა გავიდოდა და ჯენი მხოლოდ მოკლე ბარათს თუ მიიღებდა ლესტერისაგან. ზოგჯერ რამდენიმე დღით ჯენი ჩადიოდა მასთან, ბოლოს ისეც ხდებოდა, რომ ჯენი საკმაოდ დიდი ხნით მიემგზავრებოდა, _ ეს იყო ერთადერთი საფუძვლიანი საბუთი მათი ცოლქმრული ურთიერთობისა და ისიც საკმაოდ უცნაური.

ბასი უკვე ოცდახუთი წლის ვაჟკაცი იყო. მან საკმაო საქმოსნური ალლო გამოიჩინა და დიდი სურვილიც ჰქონდა წინ წასულიყო. ბასს ეჭვები აღედრა. იგი კარგად ერკვეოდა ცხოვრებაში და გრძნობდა, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ცხრამეტი წლის ჯორჯმაც ქალაქის ფაბრიკაში პატარა წარმატებას მიაღწია და ამ დარგში კარიერის შექმნაზე ოცნებობდა. ისიც რაღაცას გრძნობდა და ჯენის მდგომარეობა აფიქრებდა. ხვდებოდა, რომ დას საქმეები მთლად მოგვარებული ვერა ჰქონდა. მართა, უილიამი და ვერონიკა ჯერ ისევე სკოლაში სწავლობდნენ. ახლა საშუალება ჰქონდათ, ესწავლათ, რამდენ ხანსაც კი ისურვებდნენ. რაღაც ბუნდოვან წუხილს ისინიც გრძნობდნენ, მათ იცოდნენ ჯენის ბავშვის გაჩენის ამბავი. ეტყობოდათ, მეზობლებიც გაერკვნენ ვითარებაში. გერჰარდტებთან თითქმის არავინ დადიოდა. თვითონ მამა გერჰარდტიც მიხვდა ბოლოს და ბოლოს, რომ საქმე ვერ იყო მთლად კარგად, მაგრამ ამისი ნება თვითონ მისცა და ახლა წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა, ზოგჯერ უნდოდა ჯენის გამოლაპარაკებოდა, გამოეკითხა ყოველივე და თუ შესაძლებელი იქნებოდა, საქმე გამოესწორებინა, მაგრამ ყველაზე მძიმე ამბავი უკვე მომხდარი იყო. ახლა ყველაფერს ლესტერი წყვეტდა. ეს გერჰარდტმაც კარგად იცოდა.

მოსალოდნელი გარდატეხა მწიფდებოდა, მაგრამ უეცრად ამაში თვითონ ცხოვრება ჩაერია. მისის გერჰარდტს ჯანმრთელობა შეერყა. ამ მსუქანმა, სულ ახლახან მოძრავმა და სიცოცხლით სავსე ქალმა ბოლო ხანებში უცებ ძალ-ღონის გამოლევა და მოდუნება იგრძნო. ბუნებით არცთუ უმფოთველი გონება გადაექანცა უამრავი უბედურებისა და მძიმე საშიშროების მოლოდინისაგან. და, აი, ყოველივე ამის წყალობით ქალი ნელ-ნელა დნებოდა და აშკარად

ხელიდან ეცლებოდათ. დუნედ მოძრაობდა და მალე იღლებოდა იმ უმნიშვნელო საქმითაც კი, რასაც ახლა აკეთებდა. ბოლოს ჯენის შესჩივლა: კიბეზე ასვლა მიჭირს, თავს რაღაც უფუნებოდ ვგრძნობ, ნეტავ ავად არ გავხდებოდეთ.

ჯენი შეშინდა და დედას იქვე, მახლობელ კურორტზე წაყვანა შესთავაზა, მაგრამ მისის გერჰარდტმა უარი უთხრა.

– არა მგონია, მიშველოს, – ნაღვლიანად წარმოთქვა ქალმა.

ხან ბაღში ჯდებოდა, ხან ქალიშვილთან ერთად ეტლით სეირნობდა, მაგრამ შემოდგომის ნაღვლიანი სურათები სულს კიდევ უფრო უმძიმებდნენ.

– შემოდგომაზე ავად გახდომა მაშინებს. ფოთლების ცვენას რომ ვუყურებ, ასე მგონია, ვეღარ გამოვკეთდები-მეთქი.

– აბა, რას ამბობ, დედიკო! – წამოიძახა შემფოთებულმა ჯენიმ, თან რომ მიშის დაფარვას ცდილობდა.

ყოველი ოჯახის კეთილდღეობის საფუძველს დედა წარმოადგენს, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როდესაც დედის დღეები დათვლილია. ბასი ცოლის შერთვას და შინიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ დროებით გადადო. თავზარდაცემული და უზომოდ დაბეჩავებული გერჰარდტი გარდაუვალი უბედურების მოლოდინში უაზროდ დაბორიალებდა. ასეთ ამბებში გამოუცდელი ჯენი ვერ ხვდებოდა, რომ დედას კარგავდა. ეგონა, გადავარჩენო. ცდილობდა, აშკარა უბედურებას წინ აღდგომოდა, დედის საწოლთან სიმხნევეს იკრებდა მოთმინებად, ზრუნვად და ყურადღებად ქცეული ქალიშვილი.

მთელი თვის ავადმყოფობის შემდეგ დედა დილით აღესრულა. რამდენიმე დღე მისის გერჰარდტი უგონოდ იყო. სახლში მძიმე სიჩუმე სუფევდა, ყველა თითის წვერებზე დადიოდა, ბოლო წუთებში გონება დაუბრუნდა და ჯენიზე თვალეზმით მტკრებულმა დალია სული. გამოუთქმელად მწუხარე და სასოწარკვეთილი ჯენი თვალს არ აშორებდა დედას.

– დედიკო! დედა! – დაიღრიალა მან. – არა! არა!

ეზოდან გერჰარდტი შემოვარდა და საწოლთან მუხლებზე დაეცა. გაოგნებული გამხდარ ხელებს იმტვრევდა.

– რატომ მე არ მოვკვდი შენზე ადრე! რატომ მე არ მოვკვდი! – იმეორებდა უბედური.

დედის სიკვდილმა დააჩქარა ოჯახის დაშლა. ბასს დიდი ხანია ქალაქში საცოლე ჰყავდა და ცოლის შერთვას ეშურებოდა. შინიდან გასავარდნად მზად იყო მართაც – ეს ყოვლად ფხიზელი და პრაქტიკული გოგონა. მისი აზრით, მათ სახლში უბედურება ბუდობდა და იქ დარჩენით არც მას დაადგებოდა კარგი დღე. გოგონა მასწავლებლობისათვის ემზადებოდა. იმედოვნებდა, სკოლაში იმუშავებდა და თავს ამით ირჩენდა. მხოლოდ მოხუცმა გერჰარდტმა არ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო. იგი კვლავ ღამის დარაჯად მუშაობდა. ერთხელ ჯენიმ სამხარეულოში მტირალ მამას შეუსწრო, ნახა, რა მდულარე ცრემლებს აფრქვევდა და თვითონაც ატირდა.

_ ნუ ტირი, მამა, _ ამშვიდებდა ჯენი, _ არც აგრე ცუდადაა საქმე. ხომ იცი, სანამ რაიმე მაბადია, არაფერს გაგიჭირვებ. ჩემთან წაგიყვან.

_ არა, არა, _ შეაწყვეტინა მოხუცმა, მას მართლაც არ უნდოდა ჯენისთან გადასვლა. _ საქმე ის არის, რომ ჩემმა მთელმა ცხოვრებამ სულ ფუჭად ჩაიარა.

ბასი, ჯორჯი და მართა ერთხანს კიდევ იყვნენ შინ. მერე კი ერთიმეორის მიყოლებით გაიკრიფნენ. დარჩნენ ჯენი, მამა, ვერონიკა, უილიამი და პატარა ვესტა _ ჯენის გოგონა. ლესტერმა, რასაკვირველია, ვესტას არსებობა არც იცოდა და, რაც ძალიან საოცარია, ერთხელაც არ მოუკრავს თვალი მისთვის. მაშინ, როცა იგი ორი-სამი დღით აბედნიერებდა გერჰარდტების ოჯახს, მისის გერჰარდტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ბავშვი დაემალა. საბავშვო ოთახი სულ მაღლა, ზედ სახურავთან იყო მოთავსებული და მისი დამალვა ძნელი არ იყო. ლესტერი ოთახიდან არ გამოდიოდა და არც ოჯახის სხვა წევრებთან შეხვედრას ცდილობდა. სადილიც კი იქ მიჰქონდათ, იმ ოთახში, სასტუმროს მოვალეობას რომ ასრულებდა. ლესტერი ყველას თავაზიანად ესალმებოდა და რამდენიმე შემთხვევით ფრაზას მიუგდებდა ხოლმე, ეს იყო და ეს. ყველას კარგად ესმოდა, რომ ბავშვის გამოჩენა არ შეიძლებოდა და ისინიც საგულდაგულოდ მალავდნენ.

მოხუცებსა და ბავშვებს რაღაც აუხსნელი მეგობრობა, მშვენიერი და სათუთი შინაგანი სიახლოვე აკავშირებთ. ლორი-სტრიტზე გადასვლის პირველ წელს გერჰარდტი ვესტას ფუნჩულა ვარდისფერ ლოყებს ფარული ალერსით ჩქმეტდა, ხოლო თუ შინ არავინ იყო, მხრებზეც ისვამდა და ოთახებში დაასეირნებდა. როცა ბავშვი მოიზარდა, სიარულს იწყებდა, გერჰარდტი იღლიებში პირსახოცამოკრულს მოთმინებით ატარებდა, ვიდრე ბავშვმა დამოუკიდებლად რამდენიმე ნაბიჯი არ გადადგა. მერე, რომ მოიზარდა და გამართული სიარული შეძლო, პაპა თითქოს ტუქსავდა, მაგრამ მაინც ალერსიანად აქეზებდა: აბა, პატარა, შენ თვითონ გაიარე, შენ სცადე...

საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით, გოგონა მისი ოჯახის სამარცხვინო ლაქა იყო, მაგრამ სწორედ ამ გოგონამ თავის უძლურ, ბავშვურ თითებში თავი მოუყარა პაპის სულის ყველაზე მგრძნობიარე სიმებს. ამ პატარა განკიცხულს აძლევდა მთელი თავისი გულის სითბოსა და იმედებს _ ეს გოგონა იყო მისი ჩაკეტილი, უსიხარულო ცხოვრების ერთადერთი სხივი და ადრევე იგრძნო მისი რელიგიური აღზრდის მთელი პასუხისმგებლობა, განა მან არ დაიჟინა ბავშვის მონათვლა?

_ თქვი «მამაო ჩვენო», _ მიეძალეობდა ხოლმე ბავშვს, როცა მარტონი რჩებოდნენ.

_ მამაო ცვენო, _ ჩლიფინით იმეორებდა გოგონა.

- «რომელი ხარ ცათა შინა».

_ ხალ ცათა... _ გაიძახოდა პატარა.

_ ასე ადრე რად ასწავლი? _ გამოესარჩლებოდა ხოლმე მისის გერჰარდტი, როცა ბავშვის ტიტინს, მის წვალეებით წარმოთქმულ სიტყვებს მოჰკრავდა ყურს.

– იმიტომ, რომ ქრისტიანი გაიზარდოს, – მტკიცედ მიუგებდა გერჰარდტი, – ლოცვები უნდა იცოდეს. ახლავე თუ არ ისწავლა, მერე გვიან იქნება.

მისის გერჰარდტი პასუხად იღიმებოდა. ქმრის რელიგიური ახირებანი ზოგჯერ სასაცილოდ მიაჩნდა, მაგრამ ამავე დროს მოსწონდა, რომ ქმარს ასე ახლოს მიჰქონდა გულთან შვილიშვილის აღზრდა. «ეჰ, რა კარგი კაცი იქნებოდა, ზოგჯერ ასე მკაცრი და პირქუმი რომ არ იყოს. არც თავისთავს დატანჯავდა და არც სხვებს».

აი, კვლავ დადგა გაზაფხული და დილდილაობით, მზის პირველი სხივების ამოსვლისთანავე გერჰარდტმა დაიწყო ვესტასთან ერთად სეირნობა.

– აბა, ცოტა გავისეირნოთ, – ეტყოდა გოგონას

პაპა. – ვისეირნოთ, – აჭიკჭიკდებოდა ვესტა.

– ჰო, გავისეირნოთ, – გაიმეორებდა გერჰარდტი.

მისის გერჰარდტი გამოაწყობდა, დაახურავდა ხოლმე ლამაზ ქუდს (ჯენი ზრუნავდა თავისი გოგონას მორთვა-მოკაზმვაზე), მერე პაპა და შვილიშვილი გაუდგებოდნენ გზას. რადგან ბავშვი ჯერ კიდევ ტორტმანებდა, კმაყოფილი გერჰარდტი ხელს ჩაჰკიდებდა და ნელ ნაბიჯს აუწყობდა.

მაისის ერთ მშვენიერ დილას, როცა ვესტა ოთხი წლისა იყო, პაპა-შვილიშვილი გზას გაუდგნენ, ბუნება ხარობდა გაზაფხულის დადგომას, კვირტები სკდებოდა, ჟღერტულეებდნენ ჩიტები, სამხრეთიდან დაბრუნებას ზეიმობდნენ, ყოველი სახის მწერი ჩქარობდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლით ტკობას, ბელურები ჟივჯივებდნენ გზაზე. ბალახში დახტოდნენ მეჟოლიები, მერცხლები ბუდეს იკეთებდნენ სახურავების ქვეშ, გერჰარდტს უზომოდ სიამოვნებდა, რომ ვესტას ბუნების ამ საოცრებებს აჩვენებდა, ბავშვიც ცოცხლად ეხმაურებოდა ყოველივეს. ყველაფერი ართობდა, რასაც კი ხედავდა.

გოგონამ ხელი ასწია, თვალები სულ მთლად დაუმრგვალდა.

– ოოჰ! – უეცრად წამოიყვირა, როცა წითელი ლაქის მსგავსი მეჟოლია ტოტიდან გადმოფრინდა.

– ჰო, – უთხრა საოცრად გახარებულმა გერჰარდტმა, თითქოს პირველად დაენახოს ეს მშვენიერი ფრინველი, – ეს მეჟოლია ჩიტია. მეჟოლია, აბა თქვი, მე-ჟო-ლია.

– მე-ზო-ლია, – ექოსავით გაისმა ბავშვის ხმა.

– ჰო, მეჟოლია, – უთხრა გერჰარდტმა. – მატლის მოსამენად გაფრინდა. აბა, ვცადოთ და მისი ბუდეც მოვძებნოთ. მგონი, აქ სადღაც მოვკარი თვალი.

მოხუცი დინჯი ნაბიჯებით დადიოდა, ათვალიერებდა ხის ტოტებს, სადაც სულ ახლახან ცარიელი ბუდე დაინახა.

– აი, სად ყოფილა! – თქვა ბოლოს და ჯერ კიდევ შეუფოთლავ ხესთან მივიდა, რომლის ტოტებს შორის ზამთრის უამინდობისაგან დანგრეული ჩიტის ბუდე ჩანდა, – აი, მოდი, ნახე! – პაპამ ბავშვი ხელში აიყვანა, მალლა ასწია და ხმელი ბალახის გუნდა აჩვენა, – ნახე, ეს ბუდეა, ჩიტის ბუდე, შეხე!

– უი! – გაიკვირვა ვესტამ და თითი გაიშვირა, – აი, ბუდე!

– მაშ! – დაუმოწმა პაპამ და ნელა დაუშვა ბავშვი დაბლა, – ეს არის ჩიტის ბუდე, ამ ჩიტს ნიბლია ჰქვია. ყველანი გაფრენილან და აღარ დაბრუნდებიან.

მერე ისევ განაგრძეს გზა, პაპა ახალ საოცრებებს უჩვენებდა და ვესტასაც ბავშვურად უკვირდა ყოველივე. კიდევ ორი კვარტალი რომ გაიარეს, თითქოს ქვეყნის კიდეს მიადგნენო, უკან გამობრუნდნენ.

– ახლა შინ უნდა დავბრუნდეთ, – წარმოთქვა პაპამ.

ასე იზრდებოდა ვესტა ხუთ წლამდე, თანდათან ემატებოდა გონება და აზრი, იყო მეტად ცოცხალი და საყვარელი ბავშვი. გერჰარდტს აღტაცებას ჰკვრიდა მისი შეკითხვები, ასე უხვად რომ აყრიდა ხოლმე.

– რა ბავშვია! – ეუბნებოდა ცოლს, – ყველაფერი უნდა გაიგოს, რა შეკითხვებს არ მაძლევს: ღმერთი სად ცხოვრობსო? რას აკეთებსო? ფეხების დასადგმელი პატარა სკამი თუ აქვსო? რა სასაცილო ვინმეა.

დილით შვილიშვილს პაპა აცმევდა, სადამოს კი ლოცვანის წარმოთქმის შემდეგ, ისევ პაპა ხდიდა ტანსაცმელს, პაპა აძინებდა. მთელ დღეებს ბავშვთან ატარებდა, ის იყო მისი ყველაზე დიდი სიხარული და ნუგეში. ვესტა რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება მისთვის გაცილებით მძიმე აღმოჩნდებოდა.

ოცდამეშვიდე თავი

მთელი ამ წლების მანძილზე ლესტერი ჯენისთან ბედნიერად გრძნობდა თავს. მართალია, საზოგადოებისა და ეკლესიის თვალში მათი კავშირი უკანონო იყო, მაგრამ ჯენიმ სიმშვიდე და მყუდროება შეუქმნა და ლესტერიც კმაყოფილი ჩანდა. ცინცინატის მაღალი საზოგადოების ცხოვრებისადმი ინტერესი გაუქრა და ცოლის შერთვის დამალები ყოველგვარ ცდას შემტევი უარით პასუხობდა. მამის ფირმა დიდებული სარბიელი იყო მის დასაწინაურებლად, მართვა რომ შესძლებოდა, მაგრამ გრძნობდა, ეს არ მოხდებოდა, რობერტის ინტერესები ყოველთვის გზას უღობავდა. მათ შეხედულებებსა და მიზნებს საერთო აღარაფერი ჰქონდათ და ძმები ახლა უფრო დაშორდნენ ერთმანეთს, ვიდრე ოდესმე. ლესტერმა ერთი-ორჯერ ისიც გაიფიქრა, სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი, ანდა ეკიპაჟების მწარმოებელ სხვა ფირმაში გადასულიყო თანამონაწილედ, მაგრამ ამ საქმეს თავი ვერ მოაბა. ლესტერი, როგორც მამის ფირმის მდივანი და ხაზინადარი (ძმა ვიცე-პრეზიდენტი იყო), ყოველწლიურად თხუთმეტი ათას დოლარს იღებდა, გარდა ამისა, სხვადასხვა ფასიან ქალაქებში დაბანდებული კაპიტალი ხუთი ათასს მოგებას აძლევდა. იგი რობერტისთანა მოხერხებული და მარჯვე საქმოსანი ვერ იყო. ამ ხუთი ათასი დოლარის გარდა სხვა შემოსავალი არ ჰქონდა. მაშინ, როდესაც რობერტს სამასი თუ ოთხასი ათასი დოლარი შემოსდიოდა მამის ფირმიდან. ძმების აზრით, მამის მემკვიდრეობა მათთვის უპირატესობის მინიჭებით განაწილდებოდა: ისინი მეოთხედს მიიღებდნენ, ხოლო დები მეექვსედს. ვარაუდობდნენ, რომ უფროსი კეინი სწორედ ასე

განსჯიდა, ვინაიდან, ფაქტიურად ძმები მართავდნენ საქმეს. თუმცა მთლად დარწმუნებულნი არ იყვნენ. შეიძლება მოხუცს სხვაგვარად მოპრიანებოდა, ისე კი მოსალოდნელი იყო, რომ უკიდურესად სამართლიანი და მეტად კეთილი იქნებოდა. რაც შეეხება რობერტს, იგი ცხოვრებას აშკარად მეტს გლეჯდა. მაინც რა უნდა ექნა ლესტერს?

ყოველი მოაზროვნე ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც წარსულს შეფასების თვალთ გადახედავს და თავის თავს ჰკითხავს: რას წარმოვადგენ, რა ვარ გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური თუ მატერიალური თვალსაზრისით? ეს კითხვა მაშინ იბადება, როდესაც ყმაწვილკაცობის უგუნური საქციელი უკვე წარსულს ბარდება, როდესაც პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგმულია, ძალ-ღონით სავსე ყველაზე ენერგიული შეტევა განხორციელებულია და ყოველივე, საითკენაც მიისწრაფვი და რასაც მიაღწიე, საკუთარ თვალში ნაკლებად მყარი, ნაკლებად მართებული გეჩვენება. უმრავლესობის გონებას _ ყოფიერების ამაოების დამლული ფიქრი და აზრი შეიპყრობს, რაც ყველაზე უკეთ ეკლესიასტემ გამოთქვა.

ლესტერმაც სცადა ფილოსოფიურად განესაჯა თავისი საქციელი... «განა სულ ერთი არ არის, _ ხშირად ეუბნებოდა იგი თავის თავს, _ თეთრ სახლში ვიცხოვრებ, აქ საკუთარ სახლში თუ «გრენდ-პასიფიკში»? მაგრამ საკითხის ასე დასმა იმას მოასწავებდა, რომ ცხოვრებაში ყველაფრის მიღწევა როდი მოახერხა. თეთრი სახლი გახლდათ სიმბოლო ფართო საზოგადო მოღვაწის ბრწყინვალე კარიერისა. სახლი და «გრენდ-პასიფიკი» ლესტერმა ხელის გაუნძრევლად მიიღო.

ეს დაახლოებით ის დრო იყო, როდესაც ჯენის დედა გარდაეცვალა. ლესტერმა გადაწყვიტა თავისი მდგომარეობა განემტკიცებინა, ზღვარი დაედო ამდენი უსაქმურობისათვის. ჯენისთან ერთად ეს გაუთავებელი მოგზაურობა უზომოდ დიდ დროს ართმევდა. განა ლესტერი ვერ გამოძებნიდა ფულის დასაბანდებელ წამოწყებას? თუკი ძმას შეეძლო დამატებითი სახსრების გაჩენა, თვითონ რა, ნაკლები იყო? უნდა განამტკიცოს თავისი უფლებები, მამის ფირმაში მოიხვეჭოს ავტორიტეტი და წინ აღუდგეს რობერტის სურვილს _ ყველაფრის ხელში ჩაგდებას რომ ლამობს. იქნებ, ჯენის გაწირვა, მისი შელევაც დასჭირდეს? ხანდახან ასეთი აზრებიც მოსდიოდა. ჯენი ყოვლად უუფლებოა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, მაგრამ რატომღაც ვერ წარმოედგინა, ეს როგორ უნდა ჩაედინა: უაზრობასთან ერთად სისატიკეც იყო. რაც მთავარია, თავის თავს არ უტყდებოდა, რომ ამით დიდი სიამოვნება მოაკლდებოდა. ლესტერს ჯენი მოსწონდა, შეიძლება, თავისებურად, ეგოისტურად უყვარდა კიდევ. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მიეტოვებინა.

სწორედ ამ დროს თავი იჩინა ძმასთან სერიოზულმა უთანხმოებამ. რობერტს უნდოდა ურთიერთობის გაწყვეტა ნიუ-იორკის ძველ, ფრიად საპატიო ფაბრიკასთან, რომელიც კეინების ფირმას საღებავებს უმზადებდა და საგანგებოდ ემსახურებოდა. სანაცვლოდ ჩიკაგოს კონცერნთან, დიდი

მომავლის მქონე მზარდ წარმოებასთან აპირებდა დაკავშირებას. ლესტერი კარგად იცნობდა ნიუ-იორკის კომპანიის წარმომადგენლებს. მათ მეტად სანდო ადამიანებად თვლიდა და ძველი, მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა. ამიტომ ეწინააღმდეგებოდა რობერტს. მამა პირველად თითქოს ლესტერს ემხრობოდა, მაგრამ რობერტი, მისთვის დამახასიათებელი ცივი ლოგიკით, საწინააღმდეგო აზრებს ასაბუთებდა და ძმას მკაცრი ცისფერი თვალებით დაჟინებით მისჩერებოდა.

– რა საჭიროა მუდამ ამ ძველ მეგობრებთან ვიყოთ გადაბმული მხოლოდ იმიტომ, რომ მამას ჰქონდა მათთან საქმე და თვითონ შენც კეთილად ხარ განწყობილი. ცვლილებების გატარებაა საჭირო. საქმე განმტკიცებას ითხოვს. ჩვენ ძლიერი კონკურენციის დაძლევა მოგვიხდება.

– მამამ გადაწყვიტოს, – უთხრა ბოლოს ლესტერმა, – შენ ამბობ, რომ საბოლოოდ ფირმა მოიგებსო, მე კი საწინააღმდეგოს გიმტკიცებ.

– ვფიქრობ, რობერტი მართალია, – მშვიდად განაცხადა არჩიხალდ კეინმა. – რაც დღემდე უვარაუდია, რაც შემოუთავაზებია, ყველაფერი გამართლებულა. ლესტერს სისხლმა აასხა.

– მაშინ ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, – თქვა ლესტერმა და მყისვე კანტორიდან გავიდა.

ეს მარცხი სწორედ მაშინ იგემა, როდესაც საქმეზე გულის დადებას აპირებდა. ლესტერისთვის ეს დიდი დარტყმა გახლდათ. მართალია, თვითონ შემთხვევა უმნიშვნელო იყო, მაგრამ იგი ფიალის უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. უფრო საწყენი ის იყო, რომ მამა რობერტის გამჭირახობასა და საქმეში წინდახედულებას აქებდა. ლესტერი საკუთარ თავს იმასაც ეკითხებოდა, ხომ არ მისცემსო მამა რობერტს რაიმე უპირატესობას ქონების განაწილების დროს? იქნებ, ჯენისთან ურთიერთობას მოჰკრა ყური? ან იქნებ, იმაზეა გაბრაზებული, ასე ხანგრძლივად რომ ტოვებს აქაურობას და ამას საქმის ღალატად მიიჩნევს? ლესტერს უმართებულოდ მიაჩნდა მისთვის ესაყვედურათ ფირმის მიმართ უუნარობა ან მისი ინტერესებისადმი უყურადღებობა. რობერტი თავს კარგად ართმევდა საქმეს. იგი ახლაც დიდი გულმოდგინებით იხილავს ყველანაირ წინადადებას, რომელსაც კი ფირმა იღებს, სიფრთხილით ეცნობა კონტრაქტებს, დედასა და მამას ერთგულ მრჩევლობას უწევს, მას კი უტევენ. რით დამთავრდება ყოველივე ეს? ლესტერი ბევრს ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი გაერკვია.

იმავე წელს რობერტმა შეიმუშავა მთელი წარმოების მმართველობის რეორგანიზაციის გეგმა. წინადადება წამოაყენა, რათა ჩიკაგოში, მიჩიგან-ავენიუზე აემენებინათ ვებერთელა საგამოფენო დარბაზი და საწყობი, სადაც მზა პროდუქციის ნაწილს გადაიტანდნენ, ვინაიდან ჩიკაგო უფრო მსხვილი ცენტრი იყო, ვიდრე ცინცინატი. დასავლეთის მყიდველებისა და პროვინციელი ვაჭრებისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება იქ ჩასვლა და კეინებთან საქმის დაჭერა. ეს იქნებოდა ფირმის სიმტკიცისა და აყვავების შესანიშნავი რეკლამა. კეინმა-მამამ და ლესტერმა მაშინვე მოიწონეს პროექტი,

ორივემ მყისვე შეაფასა მისი ღირსება. რობერტმა ლესტერს ახალი შენობის აშენება შესთავაზა. ურიგო არ იქნებოდა, თუ ლესტერი დროის მეტ ნაწილს ჩიკაგოში გაატარებდა.

ლესტერს ძმის იდეა ჭკუაში დაუჯდა, თუმცა მიხვდა, რომ ამით ცინცინატს შორდებოდა. მაგრამ ეს საპატიო თანამდებობა იყო და ფირმის პრესტიჟიც მაღლა იწევდა. მას შეეძლო ჩიკაგოში დასახლება და ჯენის თან წაყვანა. ახლა ძნელი არ იყო მისი ადრინდელი განზრახვის სისრულეში მოყვანა – ჯენისთვის ცალკე ბინის დაქირავება. ლესტერმა მხარი დაუჭირა რობერტის წინადადებას. რობერტი ილიმებოდა.

– დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი ფირმის საქმეებს წინ წასწევს, – დასძინა რობერტმა.

რადგან საადამიანებლო საქმიანობა მალე უნდა დაწყებულიყო, ლესტერმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ გადასულიყო ჩიკაგოში. მან გამოიძახა ჯენი და ჩრდილოეთის მხარეს მშენიერი ბინა შეარჩიეს. სახლი ტბასთან ახლოს, მყუდრო ქუჩაზე იდგა. ეს ფრიად მოხერხებული სახლი ლესტერმა თავისი გემოვნებით მორთო, იცოდა, ჩიკაგოში უცოლო კაცის ყაიდაზე იცხოვრებდა. მეგობრებს არ მოიწვევდა. მათთან შეხვედრა კანტორაშიც შეეძლო, კლუბში ან სასტუმროში. მისი აზრით, ყველაფერი მშენიერად ეწყობოდა.

რა თქმა უნდა, ჯენის კლივლენდიდან წასვლის შემდეგ გერჰარდტების ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. როგორც ჩანდა, ოჯახი საბოლოოდ იშლებოდა, მაგრამ გერჰარდტი ამ ამბავს ფილოსოფიურად უყურებდა. იგი უკვე მოხუცია, ჰოდა, რაღა მნიშვნელობა აქვს, სად იცხოვრებს. ბასი, მართა და ჯორჯი უკვე ფეხზე იდგნენ, ვერონიკა და უილიამი სწავლობდნენ, მაგრამ შეიძლებოდა მათი მეზობლებთან მოწყობა: იქ ეჭამათ და ესვათ. გერჰარდტს და ჯენის ყველაზე მეტად ვესტას მოვლა-პატრონობა აწუხებდათ. ბუნებრივია, გერჰარდტს ეგონა, ჯენი ბავშვს თან წაიყვანსო. აბა, დედა სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო?

– ვესტაზე არაფერი გითქვამს? – ჰკითხა მამამ, როცა ჯენის გამგზავრების დღე გადაწყდა.

– არა, მაგრამ მალე ვეტყვი, – დაამშვიდა ქალმა.

– სულ ეს «მალე» მესმის, – გაბრაზებით ჩაიბურტყუნა და თავი გააქნია. მოხუცს ცრემლები ახრჩობდა.

– ცუდი საქმეა, – ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო მან. – ეს დიდი ცოდვაა. ასე მგონია, ღმერთი გსჯის-მეთქი. ბავშვს მოვლა უნდა. მოხუცი რომ არ ვიყო, მე დავიტოვებდი და მოვუვლიდი. ახლა ამ ბავშვის წესიერად მომვლელი და მიმხედავი აღარავინ არის, – თქვა და თავი გააქნია.

– ვიცი, – უთხრა ჯენიმ. – ყველაფერს მოვაგვარებ, მალე წავიყვან ჩემთან. ხომ იცი, რომ ბავშვს უპატრონოდ არ დავტოვებ.

– მერე გვარი? – ჰკითხა გერჰარდტმა. – ბავშვს გვარი სჭირდება. გაისად სკოლაში წავა. ხალხი იკითხავს, – ვინ არისო, მუდამ ასე ხომ არ გაგრძელდება.

ჯენის ეს თვითონაც კარგად ესმოდა. უსაზღვროდ უყვარდა თავისი პატარა გოგონა. განშორება და მისი არსებობის დამალვის აუცილებლობა მძიმე ტვირთად აწვა მის სულს. დიახ, ბავშვის მიმართ ეს უსამართლობა იყო, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავდა. ბავშვს კარგად აცმევდა, ყველაფერი ბევრი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, გოგონას არაფერი აკლდა. ჯენი იმედოვნებდა, რომ შვილს კარგ ალზრდას მისცემდა. ოჰ, ნეტავ თავიდანვე სიმართლე ეთქვა ლესტერისათვის! ახლა სინანული ძალიან გვიან იყო, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ მაშინ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ჩიკაგოში მოეძებნა კარგი ქალი ან ოჯახი, სადაც ვესტას მოუვლიდნენ, რასაკვირველია, გარკვეული საფასურის გადახდით. მართლაც, ლასალ-სტრიტის დასავლეთით, შვედების კვარტალში გამოძებნა ხანში შესული ქალი, რომელიც ყოველგვარი სიკეთის განსახიერებად მოეჩვენა – სუფთა, სადა და პატიოსანი. ქალი ქვრივი იყო, სიამოვნებით დათანხმდა სამუშაოს მიტოვებაზე (იგი დღიურად მუშაობდა) და ვესტას მოვლა იკისრა. ჯენიმ გადაწყვიტა, როგორც კი შესაფერ საბავშვო ბაღს მონახავდა, გოგონას მაშინვე მიაბარებდა. ბევრ სათამაშოს მიუტანდა, კარგი მოვლა ექნებოდა. მისის ოლსენი დაუყოვნებლივ შეატყობინებდა, თუკი ოდნავ შეუძლოდ იქნებოდა ბავშვი. ჯენის გადაწყვეტილი ჰქონდა ყოველდღე ენახა ვესტა, ხოლო როცა ლესტერი ჩიკაგოდან სადმე გაემგზავრებოდა, მაშინვე თავისთან მოიყვანდა. ხომ ცხოვრობდა ვესტა კლივლენდში მათთან და ლესტერს ეჭვიც არ აუღია.

მისის ოლსენთან მოლაპარაკების შემდეგ პირველივე შესაძლებლობა გამოიყენა და ჯენი კლივლენდში გაემგზავრა ვესტას ჩამოსაყვანად. ბავშვთან განშორების მომლოდინე გერჰარდტი მწარედ განიცდიდა შვილიშვილის ბედს.

– ბრწყინვალე ქალიშვილი უნდა დადგეს, – უთხრა მან ჯენის, – საოცრად აზრიანი ბავშვია და კარგი განათლებაც უნდა მისცე.

ისიც უთხრა, შვილი ლუთერანების საეკლესიო სკოლაში მიაბარეო, მაგრამ ჯენი მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ ასე მოიქცეოდა. დრომ და ლესტერთან ურთიერთობამ აზრი შეუცვალა. მისი ფიქრით, დაწყებითი სკოლა ყოველგვარ კერძო სასწავლებელს სჯობდა. იმიტომ კი არა, რომ ჯენი ეკლესიის წინააღმდეგი იყო, არა, საერთოდ აღარ სჯეროდა, რომ ცხოვრებისეულ საქმეებში საეკლესიო ცოდნით გავიდოდა ფონს.

ჯენი ჩიკაგოში მეორე დღესვე უნდა დაბრუნებულიყო, მოუთმენელი ვესტა უკვე მზად იყო გასამგზავრებლად. როცა ჯენი ბავშვს აცმევდა, გერჰარდტი ოთახებში მთვარეულივით დაბორიალებდა. წასვლის საათი რომ დადგა, თავს შემოუძახა, გული გაიმაგრა. მიხვდა, რომ ხუთი წლის ბავშვი სულაც ვერ გრძნობდა პაპის გასაჭირს. ბავშვი დაუფიქრებლად ტიტინებდა, სიხარულისაგან ფეხზე ვერ იდგა, რომ ჯერ ცხენით იმგზავრებდა, მერე კი მატარებლით.

– აბა, ჭკვიანად იყავი, – გერჰარდტმა ბავშვი ხელში აიყვანა და აკოცა, – კატეხიზმო და ლოცვები არ დაგავიწყდეს, ჩემო კარგო, ხომ გემახსოვრება შენი პაპა, ჰა?

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმამ უღალატა.

მამის შემყურე ჯენის გული გახეთქვაზე ჰქონდა, მაგრამ თავს იკავებდა.

– რომ მცოდნოდა, ასე გაგიჭირდებოდა ამის გადატანა... – ქალმა სათქმელი აღარ დაამთავრა.

– წადით, – ვაჟკაცურად წარმოთქვა გერჰარდტმა, – წადით, გაემგზავრეთ, ასე აჯობებს.

მდუმარედ მდგარმა მიმავალთ მხოლოდ მზერა გააყოლა. მერე სამზარეულოში შევიდა, თავის საყვარელ კუთხესთან დადგა და ერთ ადგილზე გაქვავებული იატაკს უაზროდ დაამტერდა. ერთიმეორის მიყოლებით მიატოვეს, – მიატოვა ცოლმა, ბასმა, მართამ, ჯენიმ, ვესტამ. კარგა ხანს იდგა ასე, ძველი ჩვეულებისამებრ ხელებდამუშტული.

– ხედავ, რა მოხდა, აბა უყურე, რა მოხდა? – იმეორებდა მოხუცი. – ყველამ მიმატოვა რა ფუჭად ჩაიარა მთელმა ჩემმა ცხოვრებამ.

ოცდამეცხე თავი

ჯენისა და ლესტერის სამი წლის ერთად ცხოვრებამ განამტკიცა მათი ურთიერთობა, გაიზარდა და განმტკიცდა ურთიერთგაგება. ლესტერს თავისებურად, ნამდვილად უყვარდა ჯენი. ეს ძლიერი, დაჯერებული, ეჭვსა და ყოყმანს უჩვევი გრძნობა, ბუნებრივ და გადაულახავ ლტოლვაზე იყო დაფუძნებული და ჭეშმარიტ სულიერ ნათესაობას უახლოვდებოდა. ჯენის ნაზი მორჩილება ლესტერს იზიდავდა და აკავებდა. ჯენი ხომ გაუგონრად ერთგული, კეთილი და უსაზღვროდ ქალური არსება იყო. ლესტერს სწამდა მისი, ენდობოდა და ეს გრძნობა წლიდან წლამდე სულ უფრო ღრმავდებოდა.

ჯენიმ ძლიერად, მთელი თავდადებით, გულწრფელად შეიყვარა ეს მამაკაცი, რომელიც გრიგალივით შეიჭრა მის ცხოვრებაში, სული აუფორიაქა, ისარგებლა მისი მწარე გაჭირვებით და თითქოს ჯაჭვით მიიკრა. ჯენი ყოყმანობდა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ ლესტერის, თუმცა ყოველთვის მოსწონდა. მაგრამ მის გვერდით გატარებულმა წლებმა უფრო ახლოს გააცნო იგი და გრძნობაც თანდათან განუმტკიცდა. ლესტერი ძლიერი, ლამაზი, მშვენიერი ხმის მქონე მამაკაცი იყო. მისი შეხედულებები, მისი აზრები ყოველთვის ისე დამაჯერებლად და სარწმუნოდ ჟღერდა. ლესტერის საყვარელი დევიზი გახლდათ: «შეუპოვრად, უკანმოუხედავად იარე წინ». ჯენის ანცვიფრებდა ლესტერის ასეთი მრწამსი. როგორც ჩანს, მას არც ხალხი აშინებდა, არც ღმერთი და არც ეშმაკი. ხშირად ჯენის ნიკაპზე ხელს მოჰკიდებდა, თვალებში ჩახედავდა და ისე ეტყოდა:

– ნამდვილად მშვენიერი ხარ! ცოტა გამბედაობა და სითამამე რომ გქონდეს... ეს აშკარად არ გყოფნის.

ჯენი უსიტყვო, მაგრამ სინაზით სავსე მზერას შეავლებდა.

– მაგრამ ეგ არაფერი, სამაგიეროდ, სხვა ღირსებები გაქვს. – დაუყვავებდა ხოლმე ლესტერი და მხურვალე კოცნით აჯილდოებდა.

ლესტერს გულს უჩუყებდა ის ამბავი, რომ ჯენი გულუბრყვილოდ ცდილობდა თავისი აღზრდისა და განათლების ნაკლოვანებათა დაფარვას. იგი გაუმართავად წერდა. ერთხელ ლესტერმა ქალაქის ფურცელიც კი იპოვა – ფურცელზე ის რთული სიტყვები ამოეწერა, რომელსაც ლესტერი ხშირად ხმარობდა საუბარში და გვერდზე მათი მნიშვნელობები მიეწერა. ლესტერს გაეღიმა, ესიამოვნა. ერთხელაც სენტ-ლუისის «სამხრეთის სასტუმროში» ყოფნისას თავი ისე დაიჭირა, თითქოს ჭამა არ უნდოდა. და ეს მხოლოდ შიშით, რომ შესაძლოა, შესაფერად ვერ მოქცეულიყო და მეზობელ მაგიდებთან მსხდომთ შეენიშნათ. დარწმუნებული არ იყო, სწორედ იმ საჭმლისათვის საჭირო ჩანგალს და დანას რომ აიღებდა. ჯენის უცხო საჭმელების ხილვაც აფრთხობდა – არ იცოდა, როგორ ეჭამა, ვთქვათ, სატაცური ან არტიშოკი.

– რატომ არაფერს ჭამ? – მხიარულად შეეკითხა ლესტერი, – შენ ხომ მშვიდი ხარ?

– არც ისე.

– მე კი მგონია, რომ გშია. გამიგონე, ჯენი, ვიცი, რაც გაწუხებს, მაგრამ სულ ტყუილად შიშობ. მშვენიერი ქცევა გაქვს და თავიც კარგად გიჭირავს, თორემ აქ არ მოგიყვანდი. თანაც უტყუარი ალღო გაქვს. ნუ გეუხერხულება, თუ ისე არ მოიქცევი, როგორც საჭიროა, მაშინვე განიშნებ.

ლესტერის თაფლისფერი თვალები მხიარულად და ალერსიანად ციმციმებდნენ.

ჯენიმ მადლობის გამომხატველი ღიმილით უპასუხა.

– ხანდახან, მართლაც შევკრთები ხოლმე, – გამოტყდა ქალი.

– მერედა რატომ, როცა ყველაფერი რიგზეა. ნუ გეშინია, მე ყველაფერში გაგარკვევ.

ასეც მოხდა.

ჯენი თანდათან გაერკვა მაღალი საზოგადოების წესებსა და ჩვეულებებში. გერჰარდტებს აუცილებლად საჭირო ნივთების გარდა არასდროს არაფერი გააჩნდათ. ახლა ჯენის ყველაფერი ჰქონდა, რასაც მოისურვებდა: ნაირნაირი ტანსაცმელი, ტუალეტის ათასგვარი წვრილმანი, ყველაფერი, რაც ნამდვილ კომფორტს ქმნის. ჯენის, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოსწონდა, მაგრამ მისთვის ჩვეული ზომიერება და საღი მსჯელობა უცვლელად შეინარჩუნა, პატივმოყვარეობის ნატამალიც არ გააჩნდა, მას მხოლოდ ის უხაროდა, რომ ბედმა ასე გაუღიმა. მადლობელი იყო ლესტერის, რომელმაც ამდენი რამ გაუკეთა და ახლაც თავს ევლებოდა. მთავარი ახლა მისი სამუდამოდ შენარჩუნება იყო. ჯენიმ ვესტა მისის ოლსენტან მოაწყო, თავად კი საოჯახო საქმეებში ჩაეფლო. უამრავი საქმით დატვირთული ლესტერი ხან სად

მიემგზავრებოდა, ხან სად. იქირავა ნომერი ჩიკაგოს ყველაზე საუკეთესო სასტუმრო «გრენდ-პასიფიკში». იგულისხმებოდა, რომ იგი იქ ცხოვრობდა. «იუნონ კლუბში» საუზმობდა და საღამოობით საქმოსნებსაც იქ ხვდებოდა. ბინაში ერთ-ერთმა პირველმა მან დაიდგა ტელეფონის აპარატი და ჯენის როცა უნდოდა, ელაპარაკებოდა. კვირაში ორ-სამ ღამეს შინ ათევდა, ზოგჯერ უფრო ხშირადაც. ლესტერმა ჯენის მუდმივი მოახლის აყვანა შესთავაზა, მაგრამ ჯენიმ დიასახლისობა არ დათმო. გადაწყვიტეს მოეძებნათ მომსვლელი მოახლე, რომელიც მხოლოდ შავ სამუშაოს გააკეთებდა. ჯენის დიასახლისობა მოსწონდა, ტყუილად კი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული გამრჯეობითა და წესიერებით.

ლესტერი ყოველთვის დილის რვა საათზე საუზმობდა, სადილს კი ზუსტად შვიდზე მიირთმევდა. ლესტერი ვერცხლის, ბროლის, ჩინური ფაიფურის, საერთოდ, ფუფუნების საგნების ტრფიალი გახლდათ. მისი ტანსაცმელი და ჩემოდნები ჯენისთან ინახებოდა ბინაში.

პირველ თვეებში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ზოგჯერ ჯენი თეატრშიც დაჰყავდა და თუ ვინმე ნაცნობი შეხვდებოდა, მის გერჰარდტად აცნობდა, ხოლო როცა სასტუმროში შეჩერდებოდნენ და ნომერს ცოლ-ქმრის სახელით დაიქირავებდა, მაშინ ლესტერი გამოგონილ გვარს ასახელებდა. თუ გამომჟღავნების საშიშროება არ არსებობდა, ჩამოსულთა წიგნში თავის გვარსაც კი აწერდა. ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე მიდიოდა.

ჯენი ერთთავად იმას დარდობდა, ვესტაზე არაფერი გაიგოსო. თან მამისა და თავისიანების ჯავრიც აწუხებდა. ვერონიკას წერილებით იცოდა, რომ ისინი მართასთან გადასვლას აპირებდნენ, რომელიც ახლა იქვე, კლივლენდში ავეჯით გაწყობილ სახლში ცხოვრობდა. ჯენის აწუხებდა მამის ბედი – იგი მარტო რჩებოდა. გული ეთუთქებოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ დაინვალიდებული მოხუცი მხოლოდ დარაჯად თუ გამოდგებოდა და სულ მარტო უნდა ეცხოვრა. იმასაც ფიქრობდა, ჩემთან ხომ არ გადმოვიყვანო? მაგრამ იცოდა, რომ მამა ახლა გადმოსვლაზე არ დათანხმდებოდა, ან თვითონ ლესტერი კი მოინდომებდა, რომ გერჰარდტს მათთან ეცხოვრა? ამაში არ იყო დარწმუნებული, თან მამა თუ მათთან გადმოვიდოდა, მაშინ აუცილებელი გახდებოდა ვესტას საიდუმლო გაემხილა. ყოველივე ეს ძლიერ ტანჯავდა ჯენის.

დიახ, ვესტას ამბავი არც ისე იოლი რამ იყო. თავს დამნაშავედ გრძნობდა და ყველაფერს, რაც შვილს შეეხებოდა, მწარედ განიცდიდა, ცდილობდა, გამოესყიდა ბავშვთან დაკავშირებული ის დიდი უსამართლობა, რომელშიც თვითონ იყო დამნაშავე და რის გამოც ქალის ყველაზე დიდ მოვალეობას ვერ ასრულებდა. მისის ოლსენთან ყოველდღე დადიოდა და მიჰქონდა ათასნაირი ტკბილეული, სათამაშოები, ყველაფერი, რაც გაახარებდა და გაართობდა ბავშვს. უყვარდა შვილთან დიდხანს ჯდომა, უამბობდა გოლიათისა და ფერიის ზღაპრებს, გოგონაც ხარბად უსმენდა. ერთხელ დიდი გამბედაობა გამოიჩინა, როცა ლესტერი ცინცინატში მშობლების სანახავად გაემგზავრა და

ბავშვი თავისთან მოიყვანა. ამის შემდეგ, როგორც კი ლესტერი ქალაქიდან გაემგზავრებოდა, მაშინვე შინ მოჰყავდა გოგონა. დრო გადიოდა, ჯენიმ ლესტერის ხასიათი შეისწავლა და უფრო გაბედული გახდა, თუმცა, სიტყვა გაბედული, იქნებ, არც შეეფერებოდეს ჯენის ბუნებას. იგი თითქოს გამამაცდა, დაახლოებით თავუნას სიმამაცით. ის კი არა, მაშინაც კი ბედავდა ბავშვის მოყვანას, როცა ლესტერი სულ ორი-სამი დღით გადიოდა ქალაქიდან, ზოგიერთ სათამაშოსაც კი იტოვებდა ბავშვის გასართობად.

იმ მოკლე ხანში, რაც შვილის თავისთან მოყვანა დაიწყო, განსაკუთრებული ძალით იგრძნო, რა ბედნიერი ქალი იქნებოდა, კანონიერი ცოლი და დედა რომ ყოფილიყო. ვესტა მეტად დაკვირვებული ბავშვი გამოდგა. თავისი უმანკო ბავშვური კითხვებით დარდს უარესად უძლიერებდა.

– სულ შენთან რომ ვიცხოვრო, არ შეიძლება?

– ჯერჯერობით არ შეიძლება, – პასუხობდა ჯენი. – სულ მალე სამუდამოდ წაგიყვან.

– როდის? – ეკითხებოდა ვესტა.

– ზუსტად არ ვიცი, ჩემო პატარა, ცოტაც მოითმინე და მალე გადმოგიყვან, მისის ოლსენტან არ მოგწონს?

– მომწონს, – პასუხობდა ვესტა, – მაგრამ კარგი არაფერი აქვს, იქ ყველაფერი ძველია.

ჯენის გული ეკუმშებოდა, მერე ბავშვი მაღაზიებში მიჰყავდა და ათასგვარ სათამაშოს ყიდულობდა.

რა თქმა უნდა, ლესტერი არც დაეჭვებულა, შინაც ისეთი არაფერი შეუმჩნევია. საქმეებში ჩაფლული ლესტერი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ჯენი სრულიად გულახდილი და ერთგული არსება იყო და მისგან დამალული არაფერი ჰქონდა.

ერთხელ ლესტერმა თავი შეუძლოდ იგრძნო და შუადღისას შინ მობრუნდა. ჯენი რომ არ დახვდა, ცოტა არ იყოს, გუნება ეცვალა, აზუზღუნდა კიდეც, მაგრამ ლესტერის უკმაყოფილება რა მოსატანია ჯენის გაოცებასა და შიშთან შედარებით, როდესაც შინ მობრუნებული ლესტერი დაინახა. სულ გაფითრდა, ვაითუ რამე იაზროსო, შეეცადა რაღაც დამაჯერებელი მიზეზი ეთქვა: ჯერ მრეცხავთან ვიყავი, მერე მაღაზიებში გავიარე და ამიტომ შემავიანდაო. აბა, რა ვიცოდი, შინ თუ იყავი და თანაც შეუძლოდო. ჯენი მიხვდა, როგორი საშიშროების წინ იდგა.

გავიდა სამი კვირა, ლესტერი კვლავ გაემგზავრა ცინცინატში. ჯენიმ მაშინვე მოიყვანა ბავშვი თავისთან და ოთხი დღე დედა-შვილი უზომოდ ბედნიერი იყო.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, ჯენის ერთი შეცდომა რომ არ მოსვლოდა, რასაც შემდეგ მწარე სინანული მოჰყვა. სასტუმრო ოთახში ტყავის ფართო დივანზე პირში სიგარაგარჭობილი ლესტერი ისვენებდა. სწორედ იქ ვესტას სათამაშო ბატკანი დარჩენილიყო, ბატკანს ყელზე პატარა ეფენიანი ცისფერი ბაბთა ჰქონდა შებმული და ყოველ განძრევაზე წვრიალეებდა. ვესტას რატომღაც

სათამაშო დივნის უკან გადაეგდო: ჯენის არ შეუნიშნავს. ვესტა რომ გააცილა, მის ნივთებს თავი მოუყარა, სათამაშო ბატკანი კი ისევ იქ ეგდო და თავისი უმანკო, წერტილებივით თვალებით მზის სხივებით განათებული სათამაშოების სამყაროს მინდვრებისაკენ იყურებოდა.

დივანზე წამოწოლილი ლესტერი გაზეთს კითხულობდა და თან სიგარას აბოლებდა. უეცრად, ანთებული სიგარა დივნის უკან გადაუვარდა. შეშინდა, არაფერს მოეკიდოსო, დაიხარა და დივნის ქვეშ შეიხედა, მაგრამ სიგარა ვერ დაინახა. მერე წამოდგა და დივანი გამოსწია. ვესტას გადაგდებული ბატკანიც სწორედ იქ დაინახა. ლესტერმა აიღო სათამაშო და ხელში შეატრიალა, ვერ მიხვდა, აქ საიდან უნდა გაჩენილიყო.

«ეს სათამაშო საიდან? ალბათ, რომელიმე მეზობლის ბავშვმა შემოიტანა», – გაიფიქრა ლესტერმა.

გახუმრების წადილით ლესტერმა ბატკანი აიღო, სასადილო ოთახში შევიდა და ბუფეტთან მოფუსფუსე ჯენის საზეიმო ხმით ჰკითხა:

– ეს საიდან მოხვდა აქ?

ვესტას სათამაშოს დანახვაზე ჯენის თავზარი დაეცა, იფიქრა, ალბათ, ლესტერმა ყველაფერი იცის, სადაცაა თავს მრისხანება დამატყდებო. ჯერ აიღეწა, მერე მკვდარივით გაფითრდა.

– ეს... მე ვიციდე... სათამაშოა, – ენის ბორძიკით ამოთქვა ქალმა.

– ვიცი, რომ სათამაშოა, – მხიარულად უთხრა ლესტერმა, როცა ჯენის უცნაური დაბნევა შენიშნა, მაგრამ ამისთვის მნიშვნელობა არ მიუცია და მხიარულად დასძინა: – საწყალ ბატკანს მარტო ყოფნა მოსწყენია.

ლესტერმა ბატკნის ყელზე შებმულ ეჭვანს ხელი შეახო. ეჭვანმა დაიწკრიალა. ლესტერმა ისევ შეხედა ჯენის, მის წინ სასომიხდილი, დადუმებული რომ იდგა. ლესტერის კეთილი გამომეტყველება იმას მოასწავებდა, რომ მან არაფერი იცოდა, მაგრამ ჯენი გონს მაინც ვერ მოეგო.

– რა მოგივიდა? – ჰკითხა ლესტერმა.

– არაფერი.

– ისეთი სახე გაქვს, თითქოს ამ ბატკანმა ძალიან შეგაშინა.

– უბრალოდ, აღება დამავიწყდა, – უნებურად აღმოხდა ქალს.

– ეს სათამაშო გვარიანად ნახმარია, – არცთუ ხუმრობით დაუმატა ლესტერმა. მერე, რაკი ნახა, ჯენის ეს საუბარი არ სიამოვნებდა, უმაღვე შეწყვიტა. ბატკნით დიდი ვერაფერი ოხუნჯობა გამოუვიდა.

ლესტერი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, დივანზე მიწვა და ფიქრს მისცა თავი. მაინც რამ ააღელვა ჯენი? სათამაშოს დანახვაზე რატომ გაფითრდა ასე? ვთქვათ, შინ მარტო დარჩენილს, გასართობად მეზობლის ბავშვი შემოჰყავს, აქ რა არის ცუდი? რა არის ასე ასაფორიაქებელი? ხან რა იფიქრა, ხან რა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

ბატკანი მეტი აღარ უხსენებიათ. ეს ამბავი თანდათან ლესტერს კიდევაც დაავიწყდებოდა, სხვა რამეს რომ არ აღემრა ეჭვი. ასეა, უბედურება ალბათ, კენტად არ დადის.

ერთ საღამოს ლესტერი ჯენისთან ჩვეულებრივზე მეტად შეყოვნდა. ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ კარზე დარეკეს. ჯენი სამზარეულოში იყო და ლესტერი წავიდა კარის გასაღებად. კართან ხანში შესული ქალი იდგა. აფორიაქებულმა, შემკრთალმა ქალმა დამტვრეული ინგლისურით იკითხა, დიასახლისის ნახვა თუ შეიძლება.

– მოითმინეთ, – უთხრა ლესტერმა, დერეფანში გამობრუნდა და ჯენის დაუძახა.

ჯენიმ კართან მისვლამდე იცნო მოსული. სასწრაფოდ გამოვიდა შემოსასვლელში და კარი მოხურა. ჯენის მოქმედება ლესტერს საეჭვოდ ეჩვენა და საქმის გარკვევა გადაწყვიტა. წუთიც და ოთახში მთლად გაფითრებული ჯენი შემობრუნდა. აკანკალებული ხელებს აცეცებდა, აღარ იცოდა, რას ჩასჭიდებოდა.

– რა მოხდა? – მკაცრი ხმით ჰკითხა ლესტერმა.

ჯენიმ ერთბაშად ვერ მოისაზრა, რა ეპასუხა.

– ცოტა ხნით უნდა წავიდე.

– მერედა წადი, – უხალისოდ დაეთანხმა ლესტერი, – მაგრამ რა მოგივიდა, არ უნდა მითხრა? სად მიდიხარ?

– მე... მე... – ენის ბორძიკით დაიწყო ჯენიმ. – მე მაქვს...

– ჰო, მერე? – ჩაეკითხა შუბლშეკრული ლესტერი.

– საქმე მაქვს, ახლავე უნდა წავიდე. როცა დავბრუნდები, ყველაფერს გაიმბობ, ლესტერ. მხოლოდ გეხვეწები, ახლა ნურაფერს მკითხავ.

ქალმა თვალი შეავლო ლესტერს. სასოწარკვეთილება, შეშფოთება, წასვლის მოუთმენლობა, აი რა ეხატა ჯენის სახეზე. ასეთი მტკიცე და ურყევი ლესტერს ქალი არასოდეს ენახა. თან შეეცოდა, თან გაუნაწყენდა.

– კეთილი, მაგრამ რა საიდუმლოა ასეთი, არ ვიცი. რატომ პირდაპირ არ მეტყვი, რა მოგივიდა? კართან ჩურჩული რა საჭიროა, ან სად მიდიხარ?

ლესტერს თავად გაუკვირდა თავისი უხეშობა და დადუმდა. ჯენი მოთმინებიდან გამოიყვანა ახლახან მოტანილმა ცნობამ და ამ მოულოდნელმა საყვედურმა. უეცრად არაჩვეულებრივი სიმტკიცისა და ძალის მოზღვავება იგრძნო.

– ყველაფერს გეტყვი, ლესტერ, ყველაფერს! მხოლოდ ახლა არა. წუთითაც ვერ დავიცდი, როცა დავბრუნდები, ყველაფერს გეტყვი. გეხვეწები, ნუ დამაყოვნებ.

თქვა ჯენიმ და მეორე ოთახში გავარდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. დაბნეული, გაოცებული ლესტერი უკან მიჰყვა.

– მომისმინე, ჯენი, ეს რა სულელური საქციელია! რა მოხდა? ყველაფერი უნდა გამაგებინო!

ჯენის წინ იდგა საომრად შემართული, მტკიცე ნებისყოფის, სხვათა დამორჩილებას ჩვეული კაცი. უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჯენი გატყდა.

– ჩემი შვილი, ჩემი გოგონა კვდება, ლესტერ! – ათრთოლებული ხმით წამოიყვირა ქალმა. – ახლა ლაპარაკი არ შემიძლია, გთხოვ, ნუღარ გამაჩერებ. მერე ყოველივეს აგიხსნი.

– შენი შვილი?! – გაიმეორა გაოგნებულმა ლესტერმა. – რას ამბობ?

– მე არა ვარ დამნაშავე, მხოლოდ შიშმა... ადრევე უნდა მეთქვა. მინდოდა კიდეც, მაგრამ... მაგრამ... ოჰ, გამიშვი ჩქარა! როცა დავბრუნდები, ყველაფერს გეტყვი!

გაოცებულმა ლესტერმა ჯენის შეხედა და განზე გადგა, გზა დაუთმო. ახლა აღარც უნდოდა სხვა რამ ეკითხა.

– კარგი, წადი. – ხმას დაუწია ლესტერმა. – ხომ არ გაგაცილო?

– არა, – უპასუხა ჯენიმ. – მელოდებიან. მარტო არა ვარ.

ჯენი ოთახიდან გავარდა. ფიქრებში ჩაფლული ლესტერი ადგილზევე გაშეშდა. ნუთუ ეს ის ქალია, რომელსაც თითქოს ასე კარგად იცნობდა. გამოდის, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ატყუებდა? მერე, ვინ, ჯენი! გულწრფელობის განსახიერება!

– დასწყევლოს ეშმაკმა ჩემი თავი და ტანი! – თითქოს ყელში წაუჭირესო, სიმწრით ჩაიბურტყუნა ლესტერმა.

ოცდამეცხრე თავი

მთელი ამ დავიდარაბის მიზეზი ბავშვთა ერთი ჩვეულებრივი დაავადება აღმოჩნდა, რომლის დასაწყისსა და შედეგს, ორი საათით ადრეც ვერავინ განსაზღვრავს. ავადმყოფობა ძლიერი ანგინით დაეწყო და ბავშვის მდგომარეობა ისე სწრაფად გაუარესდა, რომ მოხუცი შვედი ქალი დაფრთხა. მერე მეზობელს სთხოვა, მისის კეინთან გამეგზავნეო. ჯენისთან მოსულმა მეზობელმა აქაოდა მალე წამომყვებაო, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განუცხადა – ვესტა ავად არის და იჩქარეო. თავზარდაცემულმა ჯენიმ იფიქრა, ბავშვი კვდებაო, და, როგორც დავინახეთ, აღგზნებულმა და სასოწარკვეთილმა, ლესტერს სიმართლე განუცხადა. ათასგვარი ფიქრებით აფორიაქებული ქალი თითქმის მირბოდა ქუჩაში. ჩქარობდა, ცოცხალს მივუსწროო. ვაითუ უკვე გვიანაა? ვაითუ ვესტა აღარა ჰყავს ცოცხალი? ქუჩის ფარნების შუქი ხან ინთებოდა და ხან ინთქმებოდა სიბნელეში. ლესტერის მკვახე სიტყვები უკვე აღარ ახსოვდა, არც იმის ეშინოდა, რომ გარეთ გააგდებდა და ამხელა ქალაქში ბავშვით მარტო დარჩებოდა. ყველაფერი დაავიწყდა, გარდა ერთისა: მისი ვესტა მძიმედაა ავად, იქნებ, კვდება კიდეც და ამაში თვითონაა დამნაშავე. იქნებ, მას რომ მიეხედა, ბავშვი ახლა კარგად ყოფილიყო.

«ნეტავ მივუსწრებდე!» – ეუბნებოდა თავის თავს და როგორც მწუხარებით შელონებული ყველა დედა, განსჯის უნარს კარგავდა. თავის თავს

საყვედურობდა: «უნდა მცოდნოდა, რომ ღმერთი ცოდვას არ მაპატიებდა, უნდა მცოდნოდა... უნდა მცოდნოდა...»

ნაცნობი ჭიშკარი სწრაფად გააღო, სახლისკენ მიმავალი გზა სირბილით გაიარა და იმ ოთახში შევარდა, სადაც ვესტა იწვა. ბავშვი მართლაც ფერმკრთალი და მისუსტებული ჩანდა, თუმცა ახლა უფრო უკეთ იყო. აქვე იყვნენ მეზობლები, ვიღაც ხანში შესული ექიმიც მოეყვანათ. ყველამ ცნობისმოყვარეობით შეხედა ჯენის, ბავშვის სასთუმალთან რომ ჩაიჩოქა და გოგონას ლაპარაკი დაუწყო.

ჯენიმ საბოლოოდ გადაწყვიტა: ჰო, იგი დამნაშავეა შვილის წინაშე, დიდად დამნაშავე, მაგრამ ახლა შეეცდება დანაშაულის გამოსყიდვას. მართალია, ლესტერი მისთვის ძვირფასია, მაგრამ ახლა აღარ მოატყუებს. კიდევ რომ მიატოვოს (ამის გაფიქრებაზე ჯენის გული მოეწურა), მაინც ისე მოიქცევა, როგორც საჭიროა, ვესტას აღარ უნდა დაშორდეს. მისი ადგილი დედასთანაა. ჯენის სახლი ვესტას სახლიც უნდა იყოს.

მოხუცი შვედი ქალის უბრალო, ძველ სახლში შვილის საწოლთან მჯდარი ჯენი მიხვდა, რა უაზრო იყო მისი ტყუილი. რამდენი ტანჯვა-წამება გამოიარა მშობლების სახლში, როგორ განიცდის და როგორ შიშშია ლესტერის ხელშიც, რა ჯოჯოხეთი გამოიარა თუნდაც ამ საღამოს და ყველაფერი რისთვის? სულ ერთია, სიმართლე მაინც არ დაიძალა. იდგა ჯენი ამ უსიამოვნო ფიქრებში ჩაფლული და მკითხაობდა, რა ელოდა წინ. ამასობაში ვესტა მიჩუმდა და ჩაიძინა ჯანსაღი, ღრმა ძილით.

როდესაც ლესტერი ამ თავზარდამცემი აღმოჩენის შემდეგ ცოტა გონს მოვიდა, სავსებით ბუნებრივი კითხვა დაებადა: რამდენი წლისაა ბავშვი? ვინ არის ბავშვის მამა? როგორ გაჩნდა ბავშვი ჩიკაგოში და ვინ უვლიდა, ვისთან იზრდებოდა? მაგრამ ლესტერს მარტო კითხვების დასმა შეეძლო, პასუხების გაცემა კი არა. მან ხომ არაფერი იცოდა.

ყველა ამ ფიქრმა ლესტერს უცებ ბრეისბრიჯების სახლში ჯენისთან პირველი შეხვედრა გაახსენა. რატომ მიილტვოდა მაშინ ასე ჯენისკენ? ასე სწრაფად, პირველსავე შეხედვაზე, რა ძალამ უკარნახა, რომ ამ გოგონას დამორჩილებას შეძლებდა? რა იგრძნო მასში – ზნეობრივი დაცემა, მერყეობა, უძლურება? მთელი ეს ნაღვლიანი ისტორია ვერ ასცდა ეშმაკობას, ოსტატურ თავის მოკატუნებას, მერედა როგორ ენდობოდა. თანაც ჯენი არა მარტო ატყუებდა, იგი საოცრად უმადური ქალიც აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ ლესტერს, სწორედ უმადურობა ეზიზღებოდა. ადამიანის ყველაზე ბილწ და საზიზღარ თვისებად თვლიდა, და საშინლად გაოცდა, როცა ეს თვისება ჯენის აღმოაჩნდა. მართალია, უწინ არასდროს შეუნიშნავს, მაგრამ ახლა ამკარად დარწმუნდა მის უმადურობაში და ძლიერ შეძრწუნდა. როგორ გაბედა მისი ასე შეურაცხყოფა, კაცისა, ვინც, შეიძლება ითქვას, ადამიანად აქცია და გაითანასწორა?

ლესტერი წამოდგა, სავარძელი იქით გასწია და ბოლთის ცემას მოჰყვა. მოხდა მეტად მნიშვნელოვანი რამ და საჭირო იყო მტკიცე და სწორი

გადაწყვეტილების მიღება. ჯენი დამნაშავეა და მას უფლება აქვს მისი განსჯისა. დამნაშავეა, რომ ეს ტყუილი დღემდე არ გაუმხილა. ბოლოს იმაშიც დაადანაშაულა, ჩემს სიყვარულს, ალბათ შვილს უნაწილებდაო. მის მდგომარეობაში მყოფი ვერც ერთი მამაკაცი ვერ შეურიგდებოდა ამ ამბავს. ლესტერს გუნება აემღვრა და ჯიბეებში ხელებჩაყოფილმა ოთახში ბოლთის ცემა განაგრძო.

ლესტერის ხასიათის მქონე მამაკაცისთვის დიდი შეურაცხყოფა იყო თუნდაც ის, რომ ჯენი მალავდა ბავშვის არსებობას, რომელიც, ალბათ, ასეთივე ნაბიჯის შედეგად გაუჩნდა. ეს არის იმ აუხსნელ შეცდომათა და გზის აბნევის მაგალითი, რასაც, როგორც ჩანს, ვერსად გაექცევა ადამიანის გონება – მკაცრი დარაჯი და მსაჯული, როდესაც საქმე ეხება სხვათა პატიოსნებას. ლესტერის რწმენით, თავის ერთადერთ საყვარელ მამაკაცს ქალმა მთელი გული უნდა გადაუშალოს. ვერ მოენელებინა, რომ ჯენი ასე არ მოიქცა. ერთხელ ლესტერი შეეცადა ჯენის წარსულის დაწვრილებით გამოკითხვას, მაგრამ ქალი შეევედრა, ნუ მკითხავო. აი, როდის უნდა გაემხილა ჯენის ბავშვის არსებობა. ახლა კი... ლესტერმა თავი სინანულით გადააქნია.

როდესაც ყველაფერი აწონ-დაწონა, მისი პირველი გადაწყვეტილება აქედან წასვლა და ჯენისთან კავშირის გაწყვეტა იყო, თუმცა ისიც აინტერესებდა, როგორ დაბოლოვდა საქმე. ლესტერმა ქუდი დაიხურა, ჩაიცვა პალტო და სახლიდან გამოვიდა. ცოტას გადავკრავო, იფიქრა და პირველივე ბარში შევიდა. მერე ეტლში ჩაჯდა და კლუბისკენ გაემართა. ოთახიდან ოთახში დაბორიანებდა, ვიღაც ნაცნობს შეხვდა, ესაუბრა კიდეც, მაგრამ მღელვარება და ჯავრი არ ასვენებდა. სამი საათის ყოყმანის შემდეგ კები დაიქირავა და კვლავ შინისაკენ გამოსწია.

თავზარდაცემული ჯენი დიდხანს იჯდა მძინარე ბავშვის საწოლთან, როცა მიხვდა, საშიშროებამ გაიარაო, მისი ფიქრები კვლავ მიტოვებულ სახლს დაუბრუნდა. იგრძნო, ლესტერისთვის მიცემული პირობა უნდა შეესრულებინა და დიასახლისობაც ბოლომდე გაეწია. იქნებ, ლესტერი ელო-დებოდა. საბოლოოდ დაცილებამდე, ალბათ, უნდა ჩემი წარსულის სიმართლის გაგება. რა თქმა უნდა, ლესტერი მიმატოვებს, – გულისტკივილითა და შიშით ფიქრობდა ქალი, თუმცა მისი აზრით, ეს სამართლიანი სასჯელიც იყო. დიახ, მან ეს ნამდვილად დაიმსახურა!

ჯენი შინ თერთმეტ საათზე დაბრუნდა. კიბეზე შუქი აღარ ენთო. კარის სახელური დასწია და თავისი გასაღებით გააღო. ცოტა შეიცადა, მიაყურადა, მაგრამ ვერა გაიგონა რა. ოთახში იმ აზრით შევიდა, რომ იქ განრისხებული ლესტერი დახვდებოდა, მაგრამ არავინ იყო. უბრალოდ, დავიწყებოდა სინათლის ჩაქრობა. ჯენიმ სწრაფად მოავლო თვალი ცარიელ ოთახს, გადაწყვიტა, ალბათ, სამუდამოდ წავიდაო, და დაბნეულ-გაოგნებული ადგილზევე გაშეშდა.

«წავიდა».

სწორედ ამ დროს კიბეზე მისი ფეხის ხმა გაისმა. ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, პალტოს ყველა ღილი შეეკრა. ჯენისკენ არც გამოუხედავს, პალტო ისე გაიხადა და ჩამოკიდა. ქუდიც აუჩქარებლად მოიხადა და ისიც ჩამოკიდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოტრიალდა ჯენისკენ. ჯენი კი ფართოდ გაღებულ თვალებით მისჩერებოდა.

– მინდა ყველაფერი ვიცოდე, თავიდან ბოლომდე, – ვისია ეს ბავშვი?

ჯენი ჯერ შეეყოყმანდა, თითქოს ბნელ უფსკრულში ჩასახტომად ემზადებო, მაგრამ მაინც ამოთქვა:

– სენატორ ბრენდერის.

– სენატორ ბრენდერის! – გაიმეორა გაოგნებულმა ლესტერმა. დიახ, იგი არ ელოდა ასეთი სახელგანთქმული სენატორის გვარის გაგონებას. – მაინც სად გაიცანი?

– მე და დედა სარეცხს ვურეცხავდით, – უბრალოდ მიუგო ჯენიმ.

ლესტერი გაჩუმდა. მისი პასუხის პირდაპირობამ გამოაფხიზლა და მრისხანება დაუცხრო. «სენატორ ბრენდერის შვილი», – გაუელვა თავში. ხედავთ, უბრალო ადამიანების ინტერესების ცნობილ დამცველს მრეცხავის ქალიშვილი შეუცდენია. ეს არის ღარიბთა ოჯახებისათვის დამახასიათებელი ტიპური ტრაგედია.

– როდის მოხდა ეს ამბავი? – პირქუშად იკითხა

ლესტერმა. – თითქმის ექვსი წელია, – მიუგო ჯენიმ.

ლესტერმა გონებაში გამოიანგარიშა, რამდენი ხნის ნაცნობები იყვნენ ის და ჯენი და მერე ჰკითხა:

– რამდენი წლისაა ბავშვი?

– მეექვსე წელშია.

ლესტერმა თავი ჩაქინდრა. ცდილობდა აზრი მოეკრიბა. ახლა უფრო მბრძანებლური კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ ნაკლებად გაღიზიანებული.

– ამ ხნის მანძილზე სად იყო ბავშვი?

– შარშანდელ გაზაფხულამდე ჩვენებთან ცხოვრობდა. მერე, როცა შენ ცინცინატში სიარული დაიწყე, აქ ჩამოვიყვანე.

– მე რომ კლივლენდში ჩამოვდიოდი, თქვენთან ცხოვრობდა?

– ჰო, – მიუგო ჯენიმ, – მაგრამ ისე ვახერხებდი, შენ არ დაგენახა.

– მე მეგონა, შენიანებმა იცოდნენ, რომ ჩვენ ცოლ-ქმარი ვიყავით, – წამოიყვირა ლესტერმა, რომელსაც ვერ გაეგო, როგორ ურიგდებოდნენ ჯენის მშობლები ბავშვის არსებობას.

– მე ასეც ვუთხარი, – უთხრა ჯენიმ. – მაგრამ შენთვის არ მინდოდა შვილზე რამე გამემხილა. ჩემები კი ელოდნენ, რომ უსათუოდ გიამბობდი ყველაფერს.

– რატომ არ მითხარი?

– მეშინოდა.

– რისი?

_ მე ხომ არ ვიცოდი, რა ბედი მელოდა, ამას რომ მოგიყვებოდი, მერწმუნე, ეს მხოლოდ ჩემი გოგონას მფარველობით მომივიდა. თანაც მრცხვენოდა, ხოლო მერე რომ მითხარი, ბავშვები არ მიყვარსო, შემეშინდა.

_ შეგეშინდა, რომ არ მიმეტოვებინე? _ ჰო.

ლესტერი გაჩუმდა. ჯენი ისე დაუფარავად და მარტივად პასუხობდა, რომ პირველი ეჭვი, ჯენი შეგნებულად თვალთმაქცობდა და მატყუებდაო, ნაწილობრივ გაეფანტა. მთელი ამ უსიამოვნების სათავე ჯენის სულმოკლეობა და მისი ოჯახის უზნეობაა. რა ოჯახი ყოფილა! მხოლოდ ბრმა და უზნეო ადამიანებს შეუძლიათ ასეთი რამ მოითმინონ.

_ ნუთუ არ გესმოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი გამომჟღავნდებოდა? _ ჰკითხა მან ბოლოს. _ ვითომ, მართლა ფიქრობდი, რომ მალულად გაზრდიდი ბავშვს? რატომ მაშინვე არ მითხარი? მაშინ უთუოდ მშვიდად მივიღებდი ამ ამბავს.

_ ვიცი, თქვა ჯენიმ. _ მაგრამ მე ბავშვისთვის ვცდილობდი.

_ ახლა სად არის?

ჯენიმ აუხსნა.

ლესტერის კითხვები არ შეეფერებოდა მისი სახის გამომეტყველებასა და ლაპარაკის კილოს. ჯენი სულ დაიბნა, კვლავ შეეცადა ყველაფრის ახსნას. ლესტერი ერთ რამეს მიხვდა: ჯენიმ სისულელე ჩაიდინა, მაგრამ არასდროს უემშაკია, _ ეს ისე აშკარა იყო, რომ სხვა მდგომარეობაში, ალბათ, თვითონ ლესტერი შეიცოდებდა. ახლა ბრენდერზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და კვლავ იმას დაუბრუნდა.

_ როგორ თქვი, დედაჩემი ურეცხავდაო, შენ როგორღა შეხვდი?

აქამდე ჯენი მოთმინებით იტანდა მტანჯველ დაკითხვას, მაგრამ ახლა, თითქოს დაარტყესო, ისე შედრკა. ლესტერი ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობას შეეხო, მისი ცხოვრების ყველაზე მწარე დროს. ეს ბოლო კითხვა, როგორც ჩანს, სრულ გულახდილობას მოითხოვდა.

_ მე ხომ ჯერ ბავშვი ვიყავი, ლესტერ, _ ნაღვლიანად თქვა ქალმა. _ მხოლოდ თვრამეტი წლისა. არაფერი მესმოდა, არაფერი ვიცოდი. მე მასთან სასტუმროში მივდიოდი, მიმქონდა გარეცხილი თეთრეული და უკან გასარეცხი მომქონდა.

ჯენი გაჩუმდა, მაგრამ როცა დაინახა, ლესტერმა სკამი მისწია და მთელი თავგადასავლის მოსასმენად მოემზადა, ისევ განაგრძო:

_ მაშინ ჩვენ ისე გვიჭირდა. ხშირად მამლევდა დედაჩემისათვის გადასაცემ ფულს. მე არ ვიცოდი...

ჯენი გაჩუმდა. ლესტერმა იგრძნო, რომ ჯენის აღარ შეეძლო თხრობის გაგრძელება და ისევ თვითონ დაუწყო გამოკითხვა. ასე თანდათან, მთელი ეს უსიამოვნო ისტორია მისთვის ნათელი შეიქნა. ბრენდერს მისი ცოლად შერთვა უნდოდა. იგი წერილებს წერდა ჯენის, თავისთან გამოძახებასაც აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. უეცარმა სიკვდილმა ხელი შეუშალა.

აღსარება დასრულებული იყო. მთელი ხუთი წუთი კრინტი არავის დაუძრავს. ბუხარს დაყრდნობილი ლესტერი ერთ წერტილს მიშტერებოდა. ჯენი კი ელოდა, _ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. არცა ცდილობდა, თუნდაც ერთი სიტყვით მაინც დაეცვა თავი. მხოლოდ საათის წიკწიკი ისმოდა. ლესტერის გაყინულ სახეზე ვერც გრძნობას ამოკითხავდით და ვერც რაიმე აზრს. ახლა სრულიად დამშვიდებული და დამცხრალი იყო, ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო შემდეგ. ჯენი იდგა მის წინ _ როგორც დამნაშავე სასამართლოში, ლესტერს კი, როგორც სიმართლის, ზნეობრივი სიწმინდის, გულისხმიერების განსახიერებას, მოსამართლის ადგილი უნდა დაეჭირა. საჭირო იყო სასჯელის გამოტანა _ ქალის შემდგომი ბედის გადაწყვეტა.

რა თქმა უნდა, ცუდი, ბინძური ისტორიაა, რაშიც ლესტერის მდგომარეობისა და სიმდიდრის პატრონი კაცი არ უნდა გაერიოს. ბავშვის არსებობა ჯენისთან ურთიერთობას შეუძლებელს ხდიდა... და მაინც ლესტერს ჯერ არაფრის თქმა არ შეეძლო. ბუხარზე შემოდგმულმა საათმა სამი დარეკა, ლესტერი შემოტრიალდა _ ფერმკრთალი და დაზნეული ჯენი ისევ უძრავად იდგა მის წინ.

_ წადი, დაწევი, _ უთხრა ბოლოს და ისევ თავის მძიმე ფიქრებში ჩაიძირა...

მაგრამ ჯენი ადგილიდან არ იძროდა. იდგა და ფართოდ გახელილი, გამტერებული თვალებით ლესტერს შეჰყურებდა. ქალი მზად იყო განაჩენის მოსასმენად. მაგრამ ამაოდ. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ლესტერი წამოდგა და საკიდისაკენ გაემართა.

_ წადი, დაწევი _ გაიმეორა ცივად. _ მე მივდივარ.

ჯენიმ უნებური ნაბიჯი გადადგა, _ თავის ამ საშინლად მძიმე წუთებშიც უნდოდა, ლესტერს რაიმეში გამოსდგომოდა, მაგრამ მამაკაცს მისი მოძრაობა არც შეუნიშნავს. ისე გავიდა, ერთი სიტყვაც არ აღირსა.

ჯენი კიბეზე მიმავალ ლესტერს გაჰყურებდა, ესმოდა მისი ნაბიჯების ხმა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანესო. ეს რა ჩაიდინა? რას იზამს ახლა ლესტერი? გამოუთქმელი მწუხარება დაეუფლა, ხოლო როცა ლესტერმა დაბლა კარი გაიჯახუნა, სასოწარკვეთილმა და მწუხარე ჯენიმ თითები გადაიმტვრია.

«წავიდა! წავიდა!» ფანჯრებში განთიადმა შემოიხედა. მწარე ფიქრებში ჩაფლული ჯენი კი

კვლავ გაუნძრევლად იჯდა.

მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ გზა ცრემლებსაც კი ჩაეკეტა.

ოცდამეათე თავი

ყოველთვის ლოგიკურად მოაზროვნე ლესტერმა ახლა ნამდვილად აღარ იცოდა, რა ელონა. საოცრად გაუფუჭდა გუნება, ზუსტად ვერ მიეგნო, რა აღიზიანებდა, რა აწუხებდა ასე მწარედ. რა თქმა უნდა, ბავშვის არსებობა

საქმეს ართულებდა. რა საჭირო იყო ჯენის წარსული ცოდვების ცოცხალი მოწმე. ლესტერი გამოტყდა, ნამდვილად რომ მოეწადინებინა, ჯენის ადრე გამოტეხდა, ათქმევინებდა წარსულის ამბებს. რასაკვირველია, ჯენი არ იცრუებდა. დასაწყისშივე შეეძლო გამოეკითხა. თავის დროზე ასე არ მოიქცა და ახლა გვიან იყო. მხოლოდ ერთი რამ გახდა ნათელი – ჯენის შერთვაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. საზოგადოებაში მისი მდგომარეობის კაცისთვის ეს ამბავი გამორიცხული იყო. ყველაზე კარგ გამოსავლად ჯენის მატერიალურად უზრუნველყოფას და მერე დაშორებას თვლიდა. როცა სასტუმროში მიდიოდა, ეს საკითხი გადაწყვეტილად ეჩვენებოდა, თუმცა, არცთუ მალე და ადვილად შესასრულებლად.

ასეთ შემთხვევებში მსჯელობა უფრო ადვილია, ვიდრე მისი განხორციელება; დრო ამკვიდრებს ჩვევებს, სურვილებს, გრძნობებს, თუმცა ჯენი ლესტერისთვის მარტო ჩვევა როდი იყო. ამ ოთხი წლის მანძილზე განუყრელმა კავშირმა ისე კარგად გააცნო ჯენი და საკუთარი თავიც, რომ ასე სწრაფად და ადვილად განშორების შესაძლებლობას ვერ ხედავდა. ასეთი რამ ძლიერ მტკივნეული იქნებოდა. ამ აზრს თავის კანტორაში ფუსფუსის დროს როგორმე კიდევ ურიგდებოდა, მაგრამ სადამოობით, როცა მარტო რჩებოდა, მაშინ რა მოგახსენოთ! გული დარდით ჰქონდა სავსე.

აწუხებდა ჯენის ნათქვამი, ვესტასთვის საზიანო იქნებოდა ერთად ცხოვრება. ეს როგორ იფიქრა? მას ხომ უფრო მაღალი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, ვიდრე ჯენის. მაგრამ მერე ნაწილობრივ მიხვდა ჯენის მოსაზრების მნიშვნელობას. მაშინ ჯენიმ ხომ არ იცოდა, ვინ იყო ლესტერი და რა მოელოდა მასთან. ლესტერს შეეძლო მალე მიეტოვებინა. სწორედ ეს მოსალოდნელი ამბავი განჭვრიტა ჯენიმ და ბავშვი მოარიდა. ახლა ლესტერს ისიც აინტერესებდა, როგორი ბავშვი ჰყავდა ჯენის. სენატორ ბრენდერის ქალიშვილი, – ნამდვილად საინტერესო იყო მისი ნახვა. სენატორი ბრწყინვალე კაცი იყო, აბა ჯენი ხომ მშვენიერი ქალია. ეს აზრი ლესტერს კიდევ აღიზიანებდა და ცნობისმოყვარეობასაც უღვიძებდა. ხანდახან საჭიროდ მიაჩნდა ჯენისთან დაბრუნება და ბავშვის ნახვა. – ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მისი უფლება იყო! ყოყმანობდა, ახსენდებოდა, როგორ მიიღო ბავშვის არსებობის ცნობა. მერე კვლავ არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ ამ ურთიერთობისათვის წერტილი უნდა დაესვა. ასე უსასრულოდ გრძელდებოდა ეს შინაგანი ბრძოლა.

სინამდვილეში, ჯენის რომ განშორებოდა, ძალა არ ჰყოფნიდა. ამ წლებმა ჯენი მისთვის აუცილებელი გახადა. ჰყავდა კი ოდესმე ასეთი ახლობელი ადამიანი? დედას უყვარდა იგი, მაგრამ ამ სიყვარულში პატივმოყვარეობა ჭარბობდა. მამა – იგი ხომ მამაკაცი იყო და რა მოეთხოვებოდა, დებს მისთვის არ ეცალათ, ყველას თავისი ცხოვრება ჰქონდა. რობერტი ყოველთვის უცხო იყო მისთვის. ჯენისთან სიახლოვემ პირველად აგრძნობინა, რა იყო ნამდვილი ბედნიერება, ნამდვილი მეგობრობა. ჯენი სჭირდებოდა ყოველ საათს, მისგან მოშორებით უფრო მწვავედ გრძნობდა მასთან ყოფნის აუცილებლობას.

ბოლოს გადაწყვიტა, გულახდილად მოლაპარაკებოდა და რამეზე შეთანხმებულიყვნენ. მოიყვანოს შვილი სახლში და თვითონ გაზარდოს. ჯენიმ უნდა შეიგნოს, რომ ადრე თუ გვიან იგი წავა. საჭიროა გაიგოს, რომ მათ ურთიერთობაში, მართალია, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ასე უეცარ დაშორებას მაინც არ ნიშნავდა. იმავე საღამოს დაბრუნდა შინ. ჯენიმ გაიგონა, როგორ გააღო ლესტერმა კარი და გული აუფანცქალდა, მაგრამ სიმხნევე მოიკრიბა და შესახვედრად გავიდა.

– ჩემი აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ, – დაიწყო ლესტერმა მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, – მოიყვანე ბავშვი აქ და იცხოვროს შენთან. აზრი არა აქვს სხვებთან დატოვებას.

– კეთილი, ლესტერ, – მორჩილად მიუგო ჯენიმ, – ყოველთვის ამას ვნატრობდი.

– რაკი ასეა, მაშინ გადადება აღარ ღირს, – ლესტერმა ჯიბიდან საღამოს გაზეთი ამოიღო და ფანჯრისკენ წავიდა, მაგრამ უმაღვე შემობრუნდა და განაგრძო: – უნდა მოვილაპარაკოთ, ჯენი. მე მესმის, როგორ მოხდა ეს ამბავი. პირადად მე, დიდი შეცდომა დავუშვი, თავის დროზე რომ არ გამოგვითხე ყველაფერი, არ დაგაძალე. შენც ტყუილად იყავი გაჩუმებული, თუნდაც იმიტომ, რომ არ გინდოდა შენი ბავშვის ცხოვრებას დაგკავშირებოდი. უნდა გცოდნოდა, რომ ასეთი ამბები არ იმალება, როცა იქნებოდა, თავს წამოყოფდა. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მე სხვა რამ მინდა გვითხი: ასეთი ურთიერთობის დროს, როგორც ჩვენა გვაქვს, არ შეიძლება რაიმე დამალული იყოს. მეგონა, ერთმანეთს ყველაფერში ვენდობოდით, ახლა კი აღარ ვიცი, შევძლებ თუ არა ოდესმე ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებას. ძალიან აიწეწ-დაიწეწა მდგომარეობა. საკმაოდ ბევრი მიზეზი გაჩნდა საჭორაოდ და სალაპარაკოდ.

– ვიცი, – უთხრა ჯენიმ.

– გთხოვ, გამიგო, მე აჩქარებას არ ვაპირებ ჩემი მხრივ, ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად ყველაფერი ძველებურად დარჩება, მაგრამ მინდა, მდგომარეობას საღად შეხედო.

ჯენიმ ამოიოხრა.

– ვიცი, ლესტერ, ვიცი.

ფანჯრისკენ მიბრუნებულმა ლესტერმა ეზოს და საღამოს ბინდში გახვეულ ხეებს გახედა: მომავალზე ფიქრები აშინებდა, მას უყვარდა ოჯახური მყუდროება. ვითომ გამოეთხოვოს და კლუბში წავიდეს?

– მოდი, ვისადილოთ, – ცივად თქვა ბოლოს და ფანჯარას მოშორდა. გულში ჯენიზე აღარ ბრაზობდა. თვითონ ცხოვრება კი მართლაც სამარცხვინოდ იყო მოწყობილი. ლესტერი სასტუმრო ოთახში გავიდა, ჯენის სამზარეულოში ჰქონდა საქმე. ქალი ფიქრობდა ვესტაზე, თავის უმადურობაზე ლესტერის მიმართ, ლესტერის საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რომ ცოლად აღარ შეირთავდა, თავისი უგუნური საქციელით დაიმსხვრია საოცნებო მომავალი.

სუფრა გადააფარა, ლამაზ ვერცხლის შანდლებში სანთლები აანთო, ლესტერის საყვარელი ნამცხვარი გამოაცხო, ცხვრის ხორცი შედგა შესაწვავად და სალათა გარეცხა. ამ ბოლო ხანს ჯენი გულდასმით სწავლობდა სამზარეულო წიგნს, ხოლო ადრე დედისგანაც ბევრი რამ ისწავლა. საქმეში გართული მაინც იმაზე ფიქრობდა, როგორ შებრუნდებოდა მისი ცხოვრება. ადრე თუ გვიან, ლესტერი მიატოვებდა, ეს აშკარა იყო. მისგან წავიდოდა და სხვას შეირთავდა ცოლად.

«რა ვქნა, _ ფიქრობდა დასევდიანებული ქალი, _ კიდევ კარგი, ჯერ მაინც არ მტოვებს, ვესტაც ჩემთან იქნება», _ გულმოკლულმა ამოიოხრა და სასტუმრო ოთახში სადილი შემოიტანა. ეჰ, ლესტერი და ვესტა რომ შეენარჩუნებინა, მაგრამ ამ ოცნებას სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა.

ოცდამეთერთმეტე თავი

ქარიშხალი ჩადგა, სახლში სიმშვიდემ და სიწყნარემ დაისადგურა. ჯენიმ მეორე დღესვე მოიყვანა შინ ვესტა. შვილთან ერთად ყოფნის სიხარულმა ჯენის ყველა დარდი და საზრუნავი დაავიწყა. «ახლა კი ნამდვილ დედობას გავუწევ», ფიქრობდა და სამჯერ თუ ოთხჯერ წაღიღინებაშიც კი გამოიჭირა საკუთარი თავი.

პირველ ხანებში ლესტერი იშვიათად მოდიოდა ჯენისთან, ცდილობდა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ საჭირო იყო ნიადაგის თანდათანობით მომზადება ჯენის მისატოვებლად ჩაფიქრებული გეგმის განსახორციელებლად. ლესტერს არ სიამოვნებდა ბავშვის იქ ყოფნა. ერთხანს ცდილობდა ქალაქის ჩრდილოეთის მხარეს არ მოხვედრილიყო, მაგრამ მერე მაინც მოუხშირა სიარულს. მიუხედავად ყველაფრისა, მხოლოდ აქ პოულობდა სიმშვიდესა და სიწყნარეს, მხოლოდ აქ გრძნობდა თავს კარგად.

ლესტერის დაბრუნების პირველ დღეებში ჯენის უძნელდებოდა მოძრავი, ცელქი გოგონას დაწყნარება, ცდილობდა, ხელი არ შეეშალა მშვიდი, თავის საქმეებით გართული ლესტერისათვის. როდესაც ლესტერმა დარეკა, მოვდივარო, ჯენიმ მკაცრად გააფრთხილა ბავშვი: «იცოდე, ერთი ბრაზიანი ძია მოვა, რომელსაც ბავშვები არ უყვარს და არ დაელაპარაკო, არც არაფერი შეეკითხო. მე მითხარი, თუ რაიმე გინდა და მე მოგცემ. არც არაფერს მოჰკიდო ხელი».

ვესტა საზეიმოდ დაჰპირდა, დაგიჯერებო, მაგრამ მის ბავშვურ გონებას აბა სად შეეძლო ამ შთაგონების მთელი მნიშვნელობის შეცნობა.

ლესტერი შვიდ საათზე მოვიდა. ჯენი შეეცადა, რაც შეიძლება ლამაზად მოეკაზმა ვესტა. ჯენი საწოლ ოთახში შევიდა საღამოსთვის ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ვესტას სამზარეულოში ყოფნა ჰქონდა ნაბრძანები, მაგრამ ჩუმად გაძვრა, დედას გაედევნა კუდში და სასტუმროს კართან შედგა. ლესტერმა თვალი მოჰკრა ბავშვს, როდესაც დერეფანში პალტოსა და ქუდს

ჰკიდებდა. გოგონა ნამდვილად მომხიბვლელი იყო, რაც ლესტერმა მაშინვე აღიარა. ბავშვს ეცვა ცისფერკოპლებიანი თეთრი კაბა გადმოწეული საყელოთი და მანქეტებით, თეთრი წინდები და ყელიანი ფეხსაცმელი. ჩამოშლილი ქერა კულულები, ცისფერი თვალები, სისხლივით წითელი ტუჩები, ვარდისფერი ლოყები, – აი როგორი იყო პატარა ვესტა. განცვიფრებულ ლესტერს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, ვესტა მორცხვად გაიძურწა.

– ძალიან სასიამოვნო ბავშვია, – თქვა ლესტერმა, როცა ჯენი გამოვიდა. – გიჭირს მოვლა?

– არც ისე, – მიუგო ჯენიმ.

ჯენი სასტუმრო ოთახში შევიდა და ლესტერმა ასეთ საუბარს მოჰკრა ყური: – ეგ ვინ არის? – შეეკითხა ვესტა.

– ეგ შენი ბიძია ლესტერია. ხომ გითხარი, ტიტინი არ დაიწყო-მეთქი.

– შენი ბიძიაც არის?

– არა, შვილო, ნუ ყბედობ. გაიქეცი სამზარეულოში.

– მარტო ჩემი ბიძიაა?

– ჰო. წადი, გაიქეცი?

– კარგი.

ლესტერს უნებურად გაეცინა.

ძნელი სათქმელია, როგორ შეტრიალდებოდა საქმე, ვესტა რომ მახინჯი, მტირალა, მოსაწყენი ბავშვი ყოფილიყო ანდა ჯენის არ გამოეჩინა ასეთი ტაქტი. მაგრამ გოგონას მიმზიდველობა და დედის მონდომება, ლესტერი ბავშვით არ შეეწუხებინა, ქმნიდა სიწმინდისა და სინორჩის შთაბეჭდილებას, რომელიც ასე სასიამოვნო გრძნობას იწვევს ყოველთვის. ლესტერი ხშირად ფიქრობდა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე თურმე ჯენი დედა იყო. ქალი თვეობით ვერ ხედავდა ბავშვს, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ უხსენებია იგი. თუმცა ბავშვისადმი სიყვარულში ეჭვის შეტანაც არ შეიძლებოდა. «საოცარია პირდაპირ, – თავისთვის იტყოდა ხოლმე ლესტერი, – ჯენი არაჩვეულებრივი ქალია!»

ერთ დილას, როდესაც ლესტერი სასტუმრო ოთახში გაზეთს კითხულობდა, რაღაც ხმაური მოესმა. მოტრიალდა და რა დაინახა, მოუკეტავი კარის ჭრილიდან დიდი ცისფერი თვალი უმზერდა. მოსალოდნელი იყო, მიმტერებული თვალი მაშინვე მოსცილებოდა იქაურობას, მაგრამ არა, თვალი მაინც ჯიუტად განაგრძობდა ჭვრეტას. ლესტერმა გაზეთის გვერდი გადაფურცლა და კარისკენ გაიხედა, თვალი კვლავ უყურებდა. ლესტერმა ფეხი ფეხზე გადაიდო და ისევ გაიხედა, თვალი უკვე გამქრალიყო.

ამ უმნიშვნელო ეპიზოდში იყო რაღაც კომიკური, რამაც ლესტერის გულში გამოხმაურება ჰპოვა. ლესტერი სულაც არ ფიქრობდა თავისი მიუვალი სიმაღლიდან დაშვებას, მაგრამ იგრძნო, რომ იდუმალმა თვალმა როგორღაც გაამხიარულა. ტუჩები შეუტოკდა, კინაღამ გაეღიმა. მართალია, ამ ახალ გარემოებას არ დაემორჩილა და გაზეთის კითხვა განაგრძო, მაგრამ ეს

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

შემთხვევა მაგრად ჩაებეჭა მეხსიერებაში. ეს პირველად მიიპყრო კუდრაჭა გოგონამ მისი ყურადღება.

ერთხელაც ლესტერი საუზმობდა, მშვიდად შეეცეოდა კატლეტს და გაზეთის სათაურებს ათვალიერებდა, რომ მისი მყუდროება კვლავ დაირღვა. ჯენიმ უკვე დაანაყრა ვესტა, ლესტერის წასვლამდე სათამაშოებით უნდა გართულიყო, თვითონ ყავას ასხამდა. უცბად გაიღო კარი და სასტუმრო ოთახიდან საქმიანი სახით ვესტა შემოვიდა. ლესტერმა თავი ასწია, ჯენი გაწითლდა და წამოდგა.

– ვესტა, აქ რა გინდა?

ვესტამ სასტუმრო ოთახი გაიარა, სამზარეულოში შევიდა, იქ პატარა ცოცხი აიღო და უკან გამობრუნდა, თან სახეზე ღიმილისმომგვრელი გადაწყვეტილება აღბეჭდოდა.

– მე ჩემი ცოცხი მინდოდა, – წვრილა ხმით წარმოთქვა გოგონამ და მშვიდად განაგრძო გზა. ლესტერმა იგრძნო, რომ გოგონას გამბედაობამ ერთიანად შეძრა და ღიმილი ვერ შეიკავა.

ასე ნელ-ნელა ლღვებოდა ლესტერის უსიამოვნო გრძნობა ბავშვის მიმართ, მის ადგილს შემწყნარებლობა და აღიარება იკავებდა, ამ პატარა ადამიანის არსებობის ყველა უფლების ცნობით. ექვსი თვეც და ლესტერის უკმაყოფილება თითქმის გაქრა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი შეურიგდა ამ, ასე ვთქვათ, არანორმალურ ვითარებას, არამედ იმიტომ, რომ აქ იყო ისეთი სიმყუდროვე და სიმშვიდე, რასაც ლესტერი ვერ თმობდა. ძალიან ტკბილად ცხოვრობდნენ ის და ჯენი. ჯენი აღმერთებდა მას, თან თავისუფლად ინარჩუნებდა ძველებურ ურთიერთობას ძველ ნაცნობებთან. აკი ამიტომაც აყოვნებდა წასვლას, ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, იქნებ, არც არის საჭირო რაიმეს შეცვლაო.

გადიოდა ხანი, შეუმჩნევლად განმტკიცდა მისი მეგობრობა ვესტასთან. ლესტერმა ბავშვის ხალასი იუმორი აღმოაჩინა და ცნობისმოყვარედ ელოდებოდა ახალ-ახალ გამოვლინებებს. ვესტა ერთთავად თავისი ამბებით იყო გართული. თუმცა ჯენი საკმაოდ მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რაც ლესტერისათვის თითქმის აღმოჩენა გახლდათ, ვესტა მაინც ახერხებდა სიტყვის თავისებურად შეტრიალებას და რაღაც ეშმაკურს იტყოდა. ერთხელ ლესტერმა შეამჩნია, როგორი გულმოდგინებით ჭრიდა გოგონა დიდი დანით ხორცის ნაჭერს და ჯენის უთხრა, ვესტას საბავშვო ჯამ-ჭურჭელი უნდა ვუყიდოო.

– ამ დანების ხმარება გაუჭირდება.

– კარგი იქნება, – მყისვე დაეთანხმა ვესტა. – მე პატარა დანა მინდა. შემომხედეთ, რა პატარა ხელი მაქვს. – თქვა და პატარა თითები გაპარჭყა. ჯენის შეეშინდა, კიდევ რაიმე ისეთი არ წამოისროლოსო და ხელები დააშვებინა. ლესტერმა ძლივს შეიკავა სიცილი.

ერთხელაც, ვესტამ დაინახა, ჯენი ლესტერს ფინჯანში შაქარს უყრიდა და თვითონაც მოითხოვა:

– დედა, მეც მინდა ორი ნატეხი.
– არა, გენაცვალე, – უთხრა ჯენიმ. – შენ შაქარი არ გინდა. შენ რძეს სვამ. – აბა, ბიძია ლესტერს რომ ორი ნატეხი ჩაუგდე?
– ჰო, – თქვა ჯენიმ, – მაგრამ პატარა ხარ და ნუ ლაპარაკობ მაგიდასთან.
– ბიძია ლესტერი ძალიან ბევრ შაქარს ჭამს, – არ დააყოვნა პასუხი ვესტამ.
ტკბილის მოყვარულ ლესტერს გულიანად გაეცინა.
– არ ვიცი, – პირველად გამოელაპარაკა ლესტერი ბავშვს. – შენ იმ მელას ხომ არ ჰგავხარ, ყურძენი მკვახეაო, რომ ამბობდა?
ვესტას გაეღიმა და ახლა, როცა ყინული გალღვა, აღარ დაიმორცხვა, ლესტერს საუბარი გაუბა. ასე შეეთვისნენ ერთმანეთს. ბოლოს ლესტერი გოგონას როგორც საკუთარ შვილს, ისე ეპყრობოდა. ლესტერი მზად იყო, მისთვის ყველაფერი მიეცა, რა გზასაც მისი სიმდიდრე გაუხსნიდა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ იგი ჯენისთან იქნებოდა, თავის წრესთან კავშირის გაუწყვეტლად, რომლის დავიწყება წუთითაც არ შეიძლებოდა.

ოცდამეთორმეტე თავი

გაზაფხულზე საგამოფენო დარბაზებისა და საწყობის მშენებლობა დამთავრდა. ლესტერმა თავისი სამუშაო კანტორა ახალ შენობაში გადაიტანა. ამ დრომდე მისი საქმიანი ცხოვრება სასტუმრო «გრენდ-პასიფიკსა» და კლუბში მიმდინარეობდა. გრძნობდა, რომ მტკიცედ დამკვიდრდა ჩიკაგოში და ამიერიდან მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქ იქნებოდა. სერიოზული მოვალეობანიც დაეკისრა – კანტორის მრავალრიცხოვანი შტატის ხელმძღვანელობა და მნიშვნელოვანი გარიგებების წარმოება. სამაგიეროდ, მგზავრობისაგან განთავისუფლდა, ეს საქმე ემის ქმარს დაავალეს, რომელიც რობერტის მითითებით მოქმედებდა. ეს უკანასკნელი მთელი მონდომებით მიიკვლევდა გზას, დების თავის მხარეზე გადმობირებას ცდილობდა. ფაბრიკის რეორგანიზაციასაც აპირებდა. ზოგიერთ მოხელეს, რომლებიც ლესტერის სიმპათიით სარგებლობდნენ, დათ ხოვნა ემუქრებოდა. ლესტერმა ეს არ იცოდა. მოხუცი კეინი რობერტს სრულ თავისუფლებას აძლევდა, როგორც სურდა, ისე შეეძლო ემოქმედა. წლებს თავისი მიჰქონდა. მოხუცი კმაყოფილი გახლდათ, რომ საქმე მტკიცე და საიმედო პიროვნების ხელში იყო. ლესტერიც არ ამჟღავნებდა უკმაყოფილებას. ალბათ, რობერტთან ურთიერთობა გამოკეთდებაო, ფიქრობდა მამა.

შესაძლებელია, ყველაფერი შემდეგშიც კარგად წარმართულიყო, რომ ლესტერის პირადი ცხოვრება საიდუმლოდ დარჩენილიყო. ქუჩაში ღია ეტლით ჯენისთან ერთად მგზავრობისას არაერთხელ შეხვედრიათ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები თუ საქმოსნები. მაგრამ ეს არ აშინებდა ლესტერს, ის უცოლო კაცი იყო და, მამასადამე, თავისუფალიც, ამიტომ ვისთანაც უნდოდა, იმასთან გაატარებდა დროს. ხომ შეიძლებოდა ეფიქრათ,

რომ ჯენი, ეს ახალგაზრდა ქალი, კარგი ოჯახიშვილი იყო და ლესტერიც ეტრფოდა. ლესტერს არ უნდოდა ჯენი ვინმესთვის გაეცნო და მეეტლეს ნაბრძანები ჰქონდა, შეძლებისდაგვარად ეტლი გაექროლებინა, რომ არავის დაენახა და გამოლაპარაკებოდა. თუ თეატრში ვინმეს შეხვდებოდა, მათთვის ჯენი «მის გერჰარდტი» იყო.

ლესტერის საუბედუროდ, ბევრმა მისმა ნაცნობმა მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა. თითქოს არ ცდილობდნენ ლესტერის საქციელის გაკიცხვას, უბრალოდ ახსოვდათ, რომ წინა წლებშიც და სხვა ქალაქებშიც ამავე ქალთან ხედავდნენ. დაასკვნეს კიდეც, ეტყობა, უკანონოდ ცხოვრობსო მასთან. მერე რა მოხდა? სიმდიდრე და ახალგაზრდობა ბევრი რამის უფლებას იძლევა. ზოგიერთი რამ რობერტის ყურამდეც მივიდა, მაგრამ ამის თაობაზე თავისი აზრი არავისთან გაუმხელია. ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვეოდა.

ეს მოხდა ჩრდილოეთის მხარეს მათი დასახლებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ. შემოდგომაზე ცუდი ამინდები დაიჭირა და ლესტერი გრიპით გახდა ავად. პირველ დღეს შეუძლოდ ყოფნა არაფრად ჩააგდო, იფიქრა, ცხელი აბაზანა და ქინაქინის მოზრდილი დოზა ფეხზე სწრაფად დამაყენებსო, მაგრამ ავადმყოფობა სერიოზული გამოდგა, დილით ლოგინიდან ვერ წამოდგა, მაღალი სიცხე ჰქონდა და თავი საშინლად სტკიოდა.

ბოლო დროს ჯენისთან უკვე მუდმივად ცხოვრობდა, ცოტა არ იყოს, გაუფრთხილებლად იქცეოდა. ლესტერი სასტუმროში უნდა წასულიყო და ავადმყოფობა მარტოს გადაეტანა, მაგრამ ჯენისთან ყოფნა ერჩია. ლესტერმა კანტორაში დარეკა და აცნობა, ავად ვარ და რამდენიმე დღეს ვერ მოვალო. მერე კი მოსავლელად და მოსარჩენად თავი მზრუნველ არსებას მიანდო.

ჯენის, რა თქმა უნდა, სიამოვნებას ჰგვრიდა ლესტერის მასთან ყოფნა, სულ ერთია, ჯანმრთელი იყო იგი თუ ავადმყოფი. ჯენიმ ექიმის გამოძახებაზე დაიყოლია და წამლებსაც აძლევდა. ასმევდა ლიმონათიან ცხელ ჩაის, დღედაღამ ცივი წყლით უფრილებდა სახეს და ხელებს. როცა გამოჯანმრთელება დაიწყო, გემრიელ ბულიონსა და ფაფას უკეთებდა.

სწორედ ამ ავადმყოფობის დროს მოხდა პირველი სერიოზული უსიამოვნება. ლესტერის და ლუიზა სენტ-პოლში იყო სტუმრად და ძმა გააფრთხილა, უკან დაბრუნებისას გინახულებო. მაგრამ ლუიზა უფრო ადრე დაბრუნდა, ვიდრე ფიქრობდა და ჩიკაგოში სწორედ ლესტერის ავადმყოფობის დროს მოხვდა. კანტორაში რომ უთხრეს, რამდენიმე დღე არ იქნებო, ქალმა ისიც იკითხა, შინ როგორ დაკავშირებოდა.

– მგონი, «გრენდ-პასიფიკში» ცხოვრობს, – უპასუხა ერთმა გაუფრთხილებელმა თანამშრომელმა, – ახლა ავად არის.

ლუიზა შემფოთდა და მაშინვე დარეკა «გრენდ-პასიფიკში», იქ კი ასეთი რამ უთხრეს: მისტერ კეინი რამდენიმე დღეა არ გამოჩენილა და, საერთოდ, კვირაში ერთი-ორჯერ თუ შემოივლისო. ამ ცნობით დაინტერესებულმა დამ ახლა კლუბში დარეკა.

ტელეფონთან, თითქოს განგებო, დამტარებელი ბიჭი მივიდა, რომელიც ლესტერის დავალებით რამდენჯერმე ყოფილა მასთან სახლში. ბიჭმა არ იცოდა, თუ ლესტერის მისამართი საიდუმლო იყო, აქამდე არავის უკითხავს. ლუიზამ უთხრა, ღვიძლი და ვარ და უსათუოდ უნდა ვნახო, ბიჭმაც მაშინვე მოახსენა:

– შილერის მოედანი, ნომერი 19.

– ვის მისამართს აძლევ? – ჰკითხა ტელეფონთან შემთხვევით მისულმა კლერკმა.

– მისტერ კეინის.

– შენ რა, არ იცი, მისამართის მიცემა რომ არ შეიძლება?

ბიჭი შეძრწუნდა და პატიება ითხოვა, მაგრამ ლუიზას უკვე ჩამოეკიდა ყურმილი.

ძმის მესამე მისამართის აღმოჩენით გაცეცხული ლუიზა ერთი საათის შემდეგ შილერის მოედანზე გაჩნდა. ორბინიან სახლთან შეჩერდა, კარზე კეინის გვარი ეწერა. ლუიზა მეორე სართულზე ავიდა და დარეკა. ზარის ხმაზე ჯენი გამოვიდა და ძლიერ გაცდა, როცა მდიდრულად გამოწყობილი ქალი დაინახა.

– მისტერ კეინი აქ ცხოვრობს? – მედიდურად იკითხა ლუიზამ და ბინაში შეიხედა. ქალის გამოჩენამ გააკვირვა ლუიზა, მაგრამ მისი დაეჭვება ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო.

– დიახ, – მიუგო ჯენიმ.

– მგონი, ავადაა, არა? მე მისი და ვარ. შეიძლება?

ჯენის რომ მოფიქრების დრო ჰქონოდა, საპასუხოდ რაღაცას მოისაზრებდა, მაგრამ მდგომარეობით განებივრებული და თავნება ლუიზა სწრაფად შეიჭრა ბინაში. სასტუმრო ოთახში შესულმა მიმოიხედა. იქვე კუთხეში მოთამაშე ვესტა წამოდგა და ცნობისმოყვარედ დააცქერდა სტუმარს. გაღებული კარიდან ლუიზამ საწოლ ოთახში დაინახა ლესტერი, რომელიც ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივებით გაჩახჩახებულ ოთახში თვალმოხუჭული იწვა.

– აი სად ყოფილხარ! – წამოიძახა ლუიზამ და სწრაფად შესრიალდა საწოლ ოთახში. – რა მოგივიდა?

ლუიზას ხმის გაგონებაზე ლესტერმა თვალები გაახილა და მაშინვე მიხვდა ყველაფერს. წამოიწია, იდაყვებს დაეყრდნო, მაგრამ სიტყვის წარმოთქმა გაუჭირდა. მერე ძლივს ამოღერდა:

– გამარჯობა, ლუიზა, საიდან გაჩნდი?

– სენტ-პოლიდან, დროზე ადრე წამოვედი, – სწრაფად და გაღიზიანებით დაიწყო ქალმა, რადგან მაშინვე იაზრა, აქ რაღაც ამბავიაო. – შენ ძლივს მოგძებნე. ეს რა... – უნდოდა ეთქვა «კარგი მსახური აგიყვანიაო», მაგრამ რომ მიიხედა, ჯენი დაინახა. იგი ნაღვლიანი სახით სასტუმრო ოთახში რაღაცას ალაგებდა.

ლესტერმა პასუხის ნაცვლად ჩაახველა.

ლუიზამ დაკვირვებით მოავლო თვალი ოთახს. იგრძნო უსიამოვნო აზრების აღმძვრელი, თავისთავად კი საამური და მყუდრო ოჯახური ატმოსფერო. სკამზე იდო ჯენის კაბა, რომლის დანახვაზე ლუიზამ ზიზღით აიწია ქვედატანი, მერე ძმას შეხედა, გაუკვირდა, რომ ძმის თვალებს ცოტა შეშფოთებული, მაგრამ ამავე დროს მშვიდი და საომრად მომზადებული გამომეტყველება ჰქონდა.

– ტყუილად მოხვედი აქ, – უთხრა ლესტერმა, რითაც დას ენაზე მომდგარი კითხვის დასმის საშუალება მოუსპო.

– რატომ ტყუილად? – წამოიყვინა ლესტერის მკვახე გულახდილობით შეშფოთებულმა ლუიზამ, – შენ თუ ჩემი ძმა ხარ, მაშინ მე ყველგან მოსვლის უფლება მაქვს. როგორ მოგწონს? ასეთი რამ როგორ მითხარი?

– მომისმინე, ლუიზა, – განაგრძო ლესტერმა და იდაყვებზე წამოიწია. – შენ პატარა არა ხარ. ჩვენს ჩხუბს აზრი არა აქვს. არ ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდი, თორემ საჭირო ზომებს მივიღებდი.

– საჭირო ზომებს! – გამოაჯავრა გაგულისებულმა ლუიზამ. – რა თქმა უნდა! აბა, როგორ!

ლუიზა მიხვდა, რომ ხაფანგში გაება და ამან უფრო გააბრაზა.

ლესტერი სიბრაზისგან გაწითლდა.

– ტყუილუბრალოდ იწევ ცხვირს, – მტკიცე, გაბედული ხმით წარმოთქვა ლესტერმა. – შენ წინაშე თავის მართლებას არ ვაპირებ: მე ვთქვი, რომ საჭირო ზომებს მივიღებდი-მეთქი, მაგრამ ეს ბოდიშის მოხდას სულაც არ ნიშნავს და თუ ზრდილობიანად ლაპარაკი არ გსურს, შენი ნებაა.

– იცი, რა, ლესტერ კეინ! – აპილილდა ქალი, – ამას შენგან არ მოველოდი, მეგონა, შეგრცხვებოდა, ასე აშკარად ცხოვრება ამ... – მაგრამ ენა დაება, ველარ გაბედა იმ საშინელი სიტყვის წარმოთქმა, – როცა ჩიკაგოში ამდენი ნაცნობი გყავს. ეს საშინელებაა! მეგონა, წესიერებისა და თავაზიანობის რაღაც გრძნობა გაგაჩნდა...

– ჯანდაბას წესიერება! – დაიქუხა ლესტერმა. – გაიგე, რომ ბოდიშს არ გიხდი და თუ აქაურობა არ მოგწონს, კარგად იცი, რაც უნდა გააკეთო.

– ოი, ღმერთო! – წამოიძახა განრისხებულმა ქალმა. – ამას მეუბნები შენ, ჩემი ღვიძლი ძმა! მერედა სულ ამ მაიმუნის გულისთვის. ვისია ეს ბავშვი? – ჰკითხა უცბად საშინელი გააფთრებით და თან ერთგვარი ცნობისმოყვარეობით.

– შეგიძლია დამშვიდდე, ჩემი არ არის, ჩემიც რომ იყოს, რა შენი საქმეა. გთხოვ, ჩემს ცხოვრებაში ცხვირს ნუ ყოფ.

ჯენის ყველაფერი ესმოდა. გაიგონა მისი მისამართით ნათქვამი სიტყვები და ტკივილისგან გული შეეკუმშა.

– დაწყნარდი, მეტს აღარ ჩავერევი შენს ცხოვრებაში, – ბობოქრობდა ლუიზა, – მაგრამ შენგან ამას არ მოველოდი, რომ შენზე ასე დაბლა მდგომ ქალთან... ჯერ მეგონა, რომ ეგ... – უნდოდა ეთქვა «მოსამსახურე», მაგრამ განრისხებისგან თავდაკარგულმა ლესტერმა უხეშად შეაწყვეტინა.

– ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა აზრისა ხარ მასზე. ეგ ქალი გაცილებით მაღლა დგას იმათზე, ვისაც თავი უმაღლეს არსებად მოაქვს, მე ვიცი, რასაც ფიქრობ. ეგ ყველაფერი სისულელეა. მე ისე ვიქცევი, როგორც მსურს, შენი კრიტიკა სულ არ მაღელვებს. ჩემი თავის პასუხისმგებელი თვითონა ვარ და ძალიან გთხოვ, ჩემზე ზრუნვით თავს ნუ შეიწუხებ.

– არც შეგაწუხებ, დარწმუნებული ბრძანდებოდე, – არ დაუთმო გაკაპასებულმა ქალმა. – იმას კი, რომ შენთვის ოჯახს არავითარი ფასი არა აქვს, ძალიან კარგად ვხედავ. იოტისოდენა სინდისი რომ გქონდეს, შენი და ასეთ ვითარებაში არ უნდა მოხვედრილიყო. მე ეს ამბავი ზიზღსა მგერის და ამასვე გატყვის ყველა, ვინც ამას გაიგებს, მორჩა და გათავდა.

ქალი ქუსლებზე შემოტრიალდა და გასვლისას გამანადგურებელი მზერა სტყორცნა ჯენის, რაღაც ეშმაკად, იქვე სასტუმრო ოთახის კართან რომ აღმოჩნდა. ვესტა ოთახში არ იყო. ცოტა ხნის შემდეგ ჯენი ლესტერთან შევიდა და კარი მიიხურა. ლესტერს სათქმელი არაფერი ჰქონდა. ხშირი შავი თმა შუბლიდან გადაიწია, დაღლილი და დაბღვერილი ჩანდა. «რაღა ახლა ჩამოვიდა», – ფიქრობდა გუნებაში ლესტერი. ჩავა შინ ლუიზა და ყველას მოუყვება, გაიგებს მამა, დედა, რობერტი, იმოჯინი, ემი – ყველას უამბობს. უარის თქმა შეუძლებელია – ლუიზამ ყველაფერი ნახა, ფიქრებით დამძიმებულმა ლესტერმა თვალები კედელს მიაპყრო.

ოჯახურ საქმეებში გართული ჯენიც ჩაფიქრებულიყო. აი, თურმე რა აზრისა ყოფილა მასზე სხვა ქალი. ახლა გასაგებია, რას ფიქრობს საზოგადოება... ლესტერის ოჯახი ისე შორს არის მისგან, როგორც სხვა პლანეტა. მისი მშობლებისა თუ და-ძმებისთვის იგი მხოლოდ ცუდი ყოფაქცევის ქალია, გაცილებით მათზე დაბლა მდგომი თავისი მორალითა და გონებით. იგი ქუჩის ქალია. თვითონ კი როგორ იმედოვნებდა თავისი შელახული სახელის აღდგენას. ეს ხომ მისთვის ყველაზე მტკივნეული იყო. ლუიზას თვალში იგი, ალბათ, მართლა ცუდი ყოფაქცევის ქალია, ასევე – ხალხის თვალშიც და, რაც მთავარია, – ლესტერის თვალში. ჯენი ჩუმად იყო, არა დაუჩივლია რა, მაგრამ დამცირებისა და სირცხვილის ტკივილი არ უნელდებოდა. ოჰ, როგორმე ხალხის წინაშე თავის გამართლება რომ შეეძლოს, პატიოსნად იცხოვროს, გახდეს წესიერი ქალი. მაგრამ როგორ მოახერხოს ეს? ამის მიღწევა აუცილებელია, მაგრამ როგორ?

ოცდამეცამეტე თავი

ღრმად შეურაცხყოფილი ლუიზა დაბრუნდა ცინცინატიში და დაწვრილებით უამბო შინაურებს თავისი აღმოჩენის ამბავი. როგორც თვითონ ყვებოდა, «კარი გაუღო სრულიად უბრალო გარეგნობის, მოსულელო ქალმა. რომ გაიგო ლესტერის და ვიყავი, შინ არც კი შემიპატიჟა და სახეზე დამნაშავეის იერით ერთ ადგილზე გაშეშდა. ლესტერს უსინდისოდ ეჭირა თავი. არც კი

მოერიდა, ისე მომახალა სიმართლე. როცა ვკითხე, ეს ბავშვი ვისია-მეთქი, პასუხი არ გამცა. მხოლოდ ეს მითხრა, _ ჩემი არ არისო».

_ ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! _ ოხრავდა მისის კეინი, მან პირველმა გაიგო ეს ახალი ამბავი. _ ჩემი ბიჭი, ჩემი ლესტერი! ეს როგორ ჩაიდინა?

_ მერე, ქალს მაინც ჰგავდეს? _ მოუღლეღად ერთსა და იმავეს იმეორებდა, თითქოს ამ გარემოებით მეტ დამაჯერებლობას ანიჭებდა თავის სიტყვებს. _ მე იქ მხოლოდ დასახმარებლად მივედი, _ განაგრძობდა ლუიზა. _ მითხრეს, ავად არისო. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ, სერიოზულად გახდა ავად-მეთქი. განა ამას მოვიფიქრებდი?

_ საცოდავი ლესტერი! _ წამოიძახა დედამ. _ აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ასე დაეცემოდა!

მისის კეინი შეეცადა ამ რთულ ვითარებაში გარკვეულიყო, მაგრამ ვერ მოისაზრა, რა საზომით მიდგომოდა და ქმარს დაურეკა. მისტერ კეინი ფაბრიკიდან მოვიდა, ჩუმად, გაშეშებული სახით მოისმინა მთელი ეს ამბავი. მაშ ლესტერი ასე აშკარად ცხოვრობს ვიღაც ქალთან, რომლის არსებობა აქამდე არც კი იცოდნენ! რა იღონონ? მშობლების ავტორიტეტი, ალბათ, ვერ უშველიდა. ლესტერი ისეთი ძლიერი პიროვნებაა, საყვედურებს გულგრილად მოისმენს, იქნებ, აქეთაც შემოუტოს. მასზე ზემოქმედების მოსახდენად მხოლოდ დიპლომატია იქნებოდა საჭირო.

არჩიხალდ კეინი ფაბრიკაში გუნებაწამხდარი და ნაღვლიანი დაბრუნდა. თუმცა მტკიცედ გადაწყვიტა, რაიმე ეღონა. საღამოს რობერტს მოეთათბირა. რობერტი გამოტყდა, რა ხანია ჩემამდე მოაღწია ამ ხმებმა, მაგრამ გაჩუმება ვარჩიეო. მისის კეინმა აზრი წამოაყენა, იქნებ, რობერტი წასულიყო ჩიკაგოში და ლესტერს მოლაპარაკებოდაო.

_ უნდა შეიგნოს, რომ ასეთი საქციელი გამოუსწორებელ დაღს დაამჩნევს მის ცხოვრებას, _ თქვა არჩიხალდ კეინმა. _ ასეთი რამ დაუსჯელი არ დარჩება, ან უნდა დაქორწინდეს ამ ქალზე, ან ჩამოშორდეს, ასე გადაეცი ჩემგან.

_ ეს ყველაფერი კარგი, _ თქვა რობერტმა, _ მაგრამ ვის შეუძლია მისი დარწმუნება? მართალი გითხრათ, მე არა მაქვს სურვილი ამ საქმეში ჩარევისა.

_ აბა, მე იმედს არა ვკარგავ, _ თქვა მოხუცმა, _ შენ წადი და სცადე. ყოველ შემთხვევაში, ეს ზიანს არ მოიტანს, იქნებ, გაჭრას.

_ არა მგონია, _ შეაწყვეტინა რობერტმა. _ ძალიან ჯიუტია. ასეთი საუბრებისა მე არაფერი მწამს, მაგრამ რაკი მთხოვთ, რასაკვირველია, წავალ. თან დედასაც ასე უნდა.

_ ჰო, ჰო, _ დაეთანხმა დანაღვლიანებული მოხუცი, _ შენ მაინც წადი.

რობერტი ჩიკაგოში გაემგზავრა. წარმატების დიდი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ იმის გაფიქრება, რომ ზნეობრივი სისპეტაკე და სიმართლე მის მხარეს იყო, ერთგვარ კმაყოფილებას ანიჭებდა.

ლესტერთან ლუიზას ყოფნის მესამე დღეს რობერტი ჩიკაგოში ჩავიდა. ჯერ საწყობში დარეკა, მაგრამ ლესტერი იქ არ აღმოჩნდა. მერე შინ დაურეკა და მორიდებულად შესთავაზა, სადმე სხვაგან შევხვდეთო. ლესტერი მთლად

განკურნებული არ იყო, მაგრამ კანტორაში მისვლა არჩია. ჩვეულებისამებრ, რობერტს მხნედ მიესალმა. ერთხანს საქმეზე ილაპარაკეს. მერე კი დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

რობერტმა შორიდან დაიწყო.

– შენ, ალბათ, ხვდები, აქ რისთვის ჩამოვედი?

– ვხვდები, – მიუგო ლესტერმა.

– შინ ყველა შეაშფოთა შენმა ავადმყოფობამ. განსაკუთრებით დედა. საშიში ხომ არაფერია?

– არა მგონია.

– ლუიზამ გვიამბო, რომ შენ, ასე ვთქვათ, შინაურ, ოჯახურ ატმოსფეროში განახა; რასაკვირველია, ცოლიანი არა ხარ?

– არა.

– ის ქალი, ლუიზამ რომ ნახა, ისე... – რობერტმა ხელი ჰაერში შეათამაშა.

ლესტერმა თავი დაუქნია.

– დაკითხვას როდი გიწყო. ამისთვის კი არ ჩამოვსულვარ. ჩვენებმა მთხოვეს მენახე. დედა ისე აფორიაქდა, თუნდაც მისი გულისთვის ვიყავი ვალდებული, აქ ჩამოვსულიყავი...

რობერტი გაჩუმდა, ასეთი მოკრძალებული და სამართლიანი შენიშვნის მოსმენამ ლესტერი მოალბო და გადაწყვიტა ახსნა-განმარტება მიეცა.

– სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი, – აუჩქარებლად დაიწყო ლესტერმა, – სათქმელი, კაცმა რომ თქვას, არც არაფერია. ეს ქალი არსებობს, მე მასთან ვცხოვრობ, ჩვენებს კი ეს ამბავი არ მოსწონთ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ბრმა შემთხვევის წყალობით ეს საიდუმლო გამოაშკარავდა.

ლესტერი გაჩუმდა და რობერტს მოფიქრების საშუალება მისცა, ეტყობოდა, ლესტერი თავის მდგომარეობას მშვიდად უყურებდა. მისი სიტყვები, როგორც ყოველთვის, გონივრულად და დამაჯერებლად ჟღერდა.

– ცოლად შერთვას არ აპირებ? – გაუბედავად ჰკითხა რობერტმა.

– ჯერ არა, – გულგრილად მიუგო ლესტერმა.

წუთით ძმებმა ერთმანეთს მდუმარე მზერა შეავლეს, მერე რობერტმა ფანჯრიდან ქალაქს გახედა.

– ალბათ, აზრი არა აქვს გკითხო, გიყვარს თუ არა, – როგორც იქნა, გაბედა რობერტმა.

– მართალი გითხრა, არ ვიცი, როგორ უნდა ვილაპარაკო ამ ღვთიურ გრძნობაზე, – ნაღვლიანი ირონიით შენიშნა ლესტერმა – ეს არ გამომიცდია, მარტო ის ვიცი, რომ ეს ქალი დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

რობერტი კვლავ გაჩუმდა.

– აბა, რა გითხრა, – მაინც თქვა ბოლოს. – საქმე ეხება შენს კეთილდღეობასა და ოჯახის სიმშვიდეს. ჩავთვალთ, რომ ზნეობრივი მხარე ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, მოგეხსენებათ, ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ ამაზე, ეს გრძნობა მარტო შენ ერთს გეხება. მაგრამ შენი მომავლის საკითხი, ჩემი აზრით, საკმაოდ

მნიშვნელოვანია და ამიტომ მამა სხვებზე მეტად უფრო თხილდება ოჯახის სახელს. ეს შენთვისაც არანაკლებ ცნობილია.

– ვიცი, მამა რა თვალთაც უყურებს ყველაფერ ამას, – მიუგო ლესტერმა, – ჩემთვის ეს ისევე ნათელია და გასაგები, როგორც თითოეული თქვენგანისთვის, მაგრამ ამჟამად არაფრის გაკეთება არ შემძლია. ასეთი ურთიერთობა ერთბაშად არ მყარდება და არც ერთი ხელის მოსმით ისპობა. ეს ქალი არსებობს. ნაწილობრივ, ჩემი დანაშაულიც არის. დაწვრილებით მოყოლას არ ვაპირებ. ასეთ საქმეში ბევრი რამ გარეშე თვალისთვის შეუცნობელია.

– რა სათქმელია, მე წარმოდგენაც არა მაქვს თქვენს ურთიერთდამოკიდებულებაზე, – უთხრა რობერტმა, – და არც დაკითხვას ვაპირებ. მაგრამ, შენი აზრით, ვითომ პატიოსნად იქცევი... თუ ცოლად შერთვას არ ფიქრობ? – ნიადაგის მოსასინჯად დაუმატა მან.

ძმის სიტყვებმა დააფიქრა ლესტერი.

– შესაძლოა, ეს ნაბიჯიც გადამედგა, ამაში რომ რაიმე გამოსავალს ვხედავდე. მთავარი ისაა, ქალი მყავს და ეს მთელმა ოჯახმა იცის. და თუ რაიმე ნაბიჯის გადადგმა არის საჭირო, ეს ისევე ჩემი საქმეა. ჩემ მაგივრად ვერავინ იმოქმედებს.

ლესტერი გაჩუმდა. რობერტი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. მერე ისევ ძმას მიუახლოვდა და უთხრა:

– შენი სიტყვებიდან ჩანს, რომ ცოლად შერთვას არ აპირებ, ან უფრო სწორად, ჯერ საქმე აქამდე არ მისულა. არ გირჩევ, ლესტერ: მე მგონი, ეს საბედისწერო შეცდომა იქნება. ჭკუის სწავლებად არ მიიღო, მაგრამ, აბა იფიქრე, რას უქადის ეს ამბავი შენი მდგომარეობის მამაკაცს? ასეთი რისკის გაწევის უფლება არა გაქვს. ოჯახის შეხედულებებს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ თავს იღუპავ...

რობერტი დადუმდა, მერე ხელი წინ გაიშვირა – ეს იყო მისი ჩვეული ჟესტი, როდესაც რაიმე გულთან ახლოს მიჰქონდა. ლესტერმა იგრძნო მისი სიტყვების გულწრფელობა, რობერტი მოსამართლის როლში აღარ გამოდიოდა. იგი ლესტერს გონიერებისკენ მოუხმობდა, რაც საქმეს სხვაგვარად ატრიალებდა.

მაგრამ ამ მოწოდებას ლესტერი მაინც არ გამოეხმაურა. რობერტმა ახლა სხვა სიმის შეხება სცადა. ძმას მოაგონა, როგორ უყვარდა იგი მამას, როგორი იმედი ჰქონდა, რომ ლესტერი ცინცინატში მდიდარ ქალიშვილს შეირთავდა, ქალი თუნდაც კათოლიკე ყოფილიყო, თუკი ასე მოისურვებდა, მაგრამ უსათუოდ მისი წრის. მისის კეინის სურვილიც ეს იყო, ან რა სალაპარაკოა, განა ლესტერმა ყოველივე მშვენივრად არ იცოდა?

– ჰო, ვიცი, რა თვალთაც უყურებენ, – შეაწყვეტინა ლესტერმა, – მაგრამ, მართალი გითხრა, არ ვიცი, ახლა რისი შეცვლა შეიძლება.

– მაშასადამე, ჯერჯერობით არ მიგაჩნია მიზანშეწონილად მასთან განშორება?

_ მე იმის თქმა მინდა, რომ მისი მხრივ არაჩვეულებრივად თბილსა და სასიამოვნო დამოკიდებულებას ვგრძნობ და მე _ წესიერი ადამიანი, მოვალე ვარ, ყველაფერი კარგი გავუკეთო, კერძოდ რა, ჯერ თავადაც არ ვიცი.

_ შენ მიგაჩნია, რომ აუცილებელია მასთან ცხოვრება? _ ცივად ჰკითხა რობერტმა.

_ ასეა თუ ისე, ხელს ვერა ვკრავ, ქუჩაში ვერ გავაგდებ. როცა ასე შემეთვისა და ჩემთან ყოფნას არის მიჩვეული, _ მიუგო ლესტერმა.

რობერტი ისევ ჩაეშვა სავარძელში, თითქოს შეურიგდა იმ აზრს, რომ მისი მოწოდება უპასუხოდ დარჩა.

_ განა ოჯახში ურთიერთობის გართულება საკმაო მიზეზი არ არის, რომ მეგობრულად მოელაპარაკო და გაშორდე?

_ არა, ჯერ არა, ვიდრე კარგად არ მოვიფიქრებ, რა უნდა მოვიმოქმედო.

_ იმასაც არ მპირდები, რომ უმოკლეს ხანში გაწყვეტ კავშირს, რომ შინ ჩასვლისას შინაურები ცოტათი მაინც დავამშვიდო?

_ სიამოვნებით შევამსუბუქებდი იმათ შეშფოთებას, მაგრამ სიმართლე სიმართლედ რჩება. შენთან ორაზროვან ლაპარაკს ხომ არ დავიწყებ. როგორც გითხარი, ასეთი ამბები არ შეიძლება მსჯელობის საგნად იქცეს, ეს ჩემსა და ჯენის შორისაც არ ხერხდება. ასეთ დროს თვითონ დაინტერესებულმა მხარეებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ, აბა გარეშე პირებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უსინდისო უნდა ვიყო, ახლა რომ რამე გადაწყვეტილების მიღებას დაგპირდე.

რობერტი კვლავ ბოლთას სცემდა.

_ მაშ, შენი აზრით, ახლა არაფრის გაკეთება

შეიძლება? _ ჯერჯერობით არაფრის.

_ აბა, მე წავალ. მეტი რაღა ვილაპარაკოთ.

_ ერთად ვისაუზმოთ, ახლა თავისუფალი ვარ, ჩემთან წავიდეთ სასტუმროში.

_ არა, გმადლობთ, _ უთხრა რობერტმა. _ მე მგონი, მივუსწრებ პირველ საათზე ცინცინატისკენ მიმავალ მატარებელს. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები.

ძმები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ლესტერი _ გაფითრებული და ოდნავ მოშვებული, რობერტი _ შავგვრემანი, გამოწკეპილი, თავის თავის კაცი. ორივეს დამჩნეოდა წლების კვალი. რობერტი მთელი თავისი სიცოცხლე ძალდაუტანებლად და მტკიცედ მოქმედებდა. ლესტერს ერთთავად ეჭვები ერეოდა. რობერტი ენერგიული და უნარიანი საქმოსნის განსახიერება იყო, ხოლო ლესტერი წარმატებაში თვითდაჯერებული, ცოტა სკეპტიკური აზრების მქონე, მდიდარი კაცი გახლდათ. ახლა კი, ორივე ერთად, მშვენიერ სურათს ქმნიდა, მიუხედავად იმისა, თუ რა აზრები უტრიალებდა თითოეულ მათგანს.

_ მეტი რა ვქნა, _ თქვა უფროსმა ძმამ ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, _ სხვას ველარაფერს გეტყვი. მეგონა, შევძლებდი ჩვენი მოსაზრების შთაგონებას,

შენ კი შენსაზე დგახარ. თუ თვითონ არ გესმის, რას სჩადიხარ, მე რა შემიძლია. ერთს კი გეტყვი, ვფიქრობ, უჭკუოდ იქცევი.

ლესტერი მდუმარედ ისმენდა – მისი სახე ურყევ გადაწყვეტილებას გამოხატავდა.

რობერტმა ქუდი აიღო და ორივენი კარისკენ გაემართნენ.

– შევეცდები, ეს საქმე შინაურებს უკეთესი მხრით წარვუდგინო, – თქვა რობერტმა და ოთახიდან გავიდა.

ოცდამეთოთხმეტე თავი

ჩვენთვის ნაცნობ სამყაროში ყველა ცხოველს ცხოვრება უხდება გარკვეულ სფეროსა თუ წრეში, ურომლისოდაც თითქოს ვერ იცხოვრებდნენ იმ პლანეტაზე, ბუნების გარდაუვალი კანონის ძალით მზის გარშემო რომ ბრუნავს. დიახ, წყლის სტიქიას მოშორებული თევზი იღუპება, ფრინველებსაც ძვირად უჯდებათ თევზების სამფლობელოში შეჭრა. მთელი ეს ცოცხალი სამყარო – ყვავილის ფოთლის პარაზიტებიდან, ტროპიკული ტყეებისა და ზღვების სიღრმეში მცხოვრებ გიგანტებამდე იმაზე მეტყველებს, რომ ბუნებამ მათი ყოფა გარკვეული წესით შემოსაზღვრა. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რა საბედისწერო შედეგებამდე მიდის ყოველი არსება, როცა ამ წრიდან გამოსვლას გაბედავს.

განსაზღვრული წრის არსებობის თეორია ადამიანებში ასე აშკარად არ დასტურდება. საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი კანონები ბოლომდე შეცნობილი არ არის და განზოგადოების საფუძველს იძლევა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების შეხედულებანი, მოთხოვნები თუ მსჯელობანი ერთგვარ მიჯნებს მაინც ქმნიან, თუმცა ხელშეუხებელ, მაგრამ ფრიად რეალურ საზღვრებს. როდესაც მამაკაცი და ქალი ცოდვას ჩაიდენენ, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი წრის საზღვარს გადასცდებიან, მათთვის გამზადებული შურისძიება არა ჰგავს იმას, რაც თავს ატყდება წყალში ცხოვრების მოსურნე ფრინველს, ანდა ადამიანის საცხოვრებელ ადგილას მოხვედრილ ნადირს, მათ მაშინვე სიკვდილი როდი ელოდებათ. ადამიანები მხოლოდ გაოცებით ასწევენ წარბებს, გესლიანად ჩაიქირქილებენ ან კიდევ აღშფოთებით გაშლიან ხელებს, მაგრამ მაინც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო ყოველი ადამიანისათვის ისე ზუსტად არის გამოკვეთილი, რომ თითოეული მათგანი, რომელიც კი ამ საზღვარს გადასცდება, განწირულია. ამა თუ იმ წრეში დაბადებული და აღზრდილი ადამიანი უვარგისი ხდება მის ფარგლებს გარეთ. იგი მოგვაგონებს ფრინველს, რომელიც მიჩვეულია გარკვეული სიხშირის ჰაერში ფრენას და უფრო სქელსა და უფრო თხელ ატმოსფეროს ვერ ეგუება.

ლესტერმა ძმა რომ გაისტუმრა, ფანჯარასთან სავარძელში ჩაჯდა და ახალგაზრდა, მზარდი ქალაქის ხედს გახედა. ფანჯრის მიღმა ცხოვრება

დულდა მთელი თავისი იმედებით, სიმდიდრითა და სიამოვნებით. ლესტერი კი, თითქოს უეცრად ამოვარდნილ, გაავებულ ქარს გვერდზე გაერიყა და ყველა მისი ფიქრი და გეგმა აებურდა. ვითომ, შეუძლია ძველებურად, უზრუნველი გზით სიარული? განა ჯენისთან ურთიერთობა არ იმოქმედებს ოჯახის წევრებთან დამოკიდებულებაზე? ნუთუ წარსულს ჩაბარდა მშობლიური სახლი, სადაც წინათ ასე მსუბუქად და თავისუფლად გრძნობდა თავს? დიახ, შინაურებთან წინანდებურ სადა და მეგობრულ ურთიერთობას უნდა გამოეთხოვოს. ვითომ შეძლებს კი, მამის თვალებში ძველებური თანაგრძნობისა და სიამაყის ამოკითხვას? ურთიერთობას რობერტთან, მამამისის ფაბრიკის თანამშრომლებთან? ყველაფერი, რაც მის ცხოვრებას შეადგენდა, ერთბაშად შეარყია ლუიზას ავბედითმა შემოჭრამ.

«არ გამიმართლდა», – დაასკვნა გუნებაში და უსიამოვნო ფიქრები უკუაგდო, ახლა იმასლა ფიქრობდა, რა პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა.

შინ მობრუნებულმა ჯენის უთხრა:

– ხვალ ან ზეგ ცოტა ხნით მაუტ-კლემენსში ვაპირებ წასვლას, რაღაც თავს ვერ ვგრძნობ კარგად, იქ დავისვენებ და მოვკეთდები.

ლესტერს საკუთარ აზრებთან მარტო დარჩენა უნდოდა. დანიშნული დროისთვის ჯენიმ ჩემოდანი გაუმზადა. ნაღვლიანი ფიქრებით დამძიმებული ლესტერი გაემგზავრა.

მთელი მეორე კვირა ამ საკითხის გარკვევას უტრიალა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა, რომ ჯერჯერობით საბოლოო ნაბიჯის გადადგმა საჭირო არ იყო. რამდენიმე თვე მდგომარეობას არ ცვლიდა. ნაკლებ სარწმუნო გახლდათ ის ამბავიც, რომ რობერტი ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრი ისევ მოინახულებდა. საქმიან ნაცნობობას ძველებურად შეინარჩუნებს, რადგან ეს ფირმის აყვავებასთან არის დაკავშირებული. ოჯახთან უიმედო უთანხმოება კი ძალიან აწუხებდა. «ცუდადაა საქმე, ცუდად», – ძალიან იმეორებდა გუნებაში, მაგრამ თავის ცხოვრებას მაინც არ ცვლიდა.

ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა მთელ წელიწადს გაგრძელდა. ლამის ექვსი თვე ლესტერი ცინცინატში არ ჩასულა. მერე ერთი აუცილებელი საქმის გამო ცინცინატში კრებას დაესწრო, თუმცა შინ ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. დედამ ნაღვლიანად, მაგრამ მაინც ნაზად აკოცა, მამამ ძველებურად მაგრად ჩამოართვა ხელი. რობერტი, ლუიზა, ემი და იმოჯინი შეთქმულებივით ერთი სიტყვითაც არ შეხებიან მათთვის საინტერესო საკითხს. მაგრამ ერთგვარი უცხოობის გრძნობა კი შეიმჩნეოდა. დიახ, ლესტერი ყოველნაირად გაურბოდა თავის მშობლიურ ქალაქში გამგზავრებას.

ოცდამეთხუთმეტე თავი

ჯენისაც, თავის მხრივ, მეტად რთული, სულიერი ტანჯვა დაუფლებოდა. თავის საკუთარ ოჯახთან განხეთქილებას თუ არ ჩავთვლით, რასაც მაშინ

ასეთი ძლიერი გულისტკივილი მოჰყვა, იგი ახლა პირველად შეეჩხა საზოგადოების აზრს. ჯენისთვის უკვე ნათელია – მათთვის იგი ცუდი ყოფაქცევის ქალია. ეჰ, ცოტა მეტი გაბედულება რომ ჰქონდეს! ეს მუდმივი შიში რომ არ სდევდეს თან! ისე მოიქცეს, როგორც გონება კარნახობს! ლესტერი არასოდეს შეირთავს. ეს ამბავი მას არ სჭირდება. ჯენის ლესტერი ძალიან უყვარს, მაგრამ წასვლას მაინც შეძლებს, რადგან ლესტერისთვის ასე ჯობია, კლივლენდში რომ დაბრუნდეს, იქნებ, მამამ კიდევაც მოინდომოს მასთან ცხოვრება. ამ სწორი, თუმცა დაგვიანებული საქციელით მამის პატივისცემას დაიმსახურებს. მაგრამ ჯენი ლესტერის მიტოვების გაფიქრებამაც კი შეაკრთო, – რამდენი რამ გააკეთა ლესტერმა მისი გულისთვის. მამა... მამამ, შეიძლება, არც კი მიიღოს.

ლუიზას ავბედითი ვიზიტის შემდეგ ჯენიმ გადაწყვიტა მომჭირნეობის ხარჯზე ცოტაოდენი ფული გადაენახა, ცოტაცოტაობით დაეგროვებინა ლესტერის მიცემული ფულიდან. ლესტერი ფულს არ იშურებდა. ჯენი თხუთმეტ დოლარს თავისიანებს უგზავნიდა ყოველ კვირას. ოდესღაც ამ ფულით მთელი ოჯახი ირჩენდა თავს, სხვების დაუხმარებლად. ოც დოლარს საჭმელში ხარჯავდა – ლესტერი მოითხოვდა, რომ მაგიდაზე ყველაფერი საუკეთესო ყოფილიყო – ხილი, ტკბილეული, ხორცი, ღვინო. ბინის ქირას თვეში ორმოცდახუთ დოლარს იხდიდნენ, ტანსაცმელსა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებზე განსაზღვრული თანხა არ ჰქონიათ. ლესტერი ყოველ კვირა ორმოცდაათ დოლარს აძლევდა ჯენის, რასაც მთლიანად ხარჯავდა. სულ მალე ჯენიმ მომჭირნეობის იდეა უარყო. თუ წასვლაა, ხელცარიელი წავალ, სხვაგვარად უხერხული იქნებაო.

ლუიზას გამოჩენის შემდეგ სულ ამაზე ფიქრობდა. კვირა კვირას მისდევდა, ცდილობდა, აზრი მოეკრიბა, რაიმე გადაწყვეტილი ეთქვა ან მოემოქმედა. ლესტერი უწინდებურად სულგრძელად და ალერსიანად ექცეოდა, მაგრამ დროდადრო გრძნობდა, თითქოს ჯენისაგან რაღაცას ელოდებოდა, ზოგჯერ დაბნეულიც ჩანდა. ჯენის აზრით, ლუიზასთან ლაპარაკის შემდეგ იგი ცოტა შეცვლილი იყო. რა კარგი იქნებოდა ლესტერისთვის ეთქვა, ჩემი ცხოვრებით უკმაყოფილო ვარო და წასულიყო. როდესაც ვესტას არსებობა შეიტყო ლესტერმა, ჯენის აშკარად აგრძნობინა, რომ მის აზრს ახლა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, რაკი ფიქრობდა, რომ ბავშვი მათ ქორწინებას ელოდებოდა. ლესტერს ჯენი სჭირდება, მაგრამ მეუღლეობას არასოდეს შესთავაზებს. მასთან შეკამათებასაც ვერ ახერხებს, იმდენად ძლიერი მამაკაცია. ბოლოს გადაწყვიტა, წერილი დაეწერა და იქ აეხსნა წასვლის მიზეზი. იქნებ, ამ გზით აპატიოს და დაივიწყოს კიდევ.

გერჰარდტის ოჯახის საქმეები წინანდებურად ცუდად მიდიოდა. მართა გათხოვდა. რამდენიმე წელს კლივლენდის სკოლაში მასწავლებლად მუშაობისას ერთი ახალგაზრდა არქიტექტორი გაიცნო და მალეც დაინიშნა. მართას თავისი ოჯახისა, ცოტა არ იყოს, ყოველთვის ერცხვინებოდა და ახლა, როცა ახალი ცხოვრების მოლოდინი ჰქონდა, ცდილობდა შინაურებისაგან

შორს ყოფილიყო. ქორწინების ამბავი ცალკეად შეატყობინა თავისიანებს. ჯენი კი სულ არაფრად ჩააგდო. ქორწილზე მხოლოდ ბასი და ჯორჯი დაპატიჟა. გერჰარდტი, ვერონიკა და უილიამი განაწყენდნენ. გერჰარდტმა წყენა უსიტყვოდ გადაიტანა, მაგრამ ვერონიკა გაცეცხლდა, შემთხვევას ეძებდა, დისთვის სამაგიერო გადაეხადა. ერთხანს უილიამიც იბუსხებოდა, მაგრამ იგი თავისი გეგმებით იყო გატაცებული, ელექტროტექნიკის შესწავლას ეწაფებოდა. სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა ურჩია, ძალზე საინტერესო და სარფიანი ხელობა არისო.

ჯენიმ მართას გათხოვება მოგვიანებით ვერონიკას წერილით გაიგო. გულწრფელად გაეხარდა მართას ბედნიერება, მაგრამ ნალველიც მოერია, დამანი თანდათან მშორდებიანო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვერონიკა და უილიამი ჯორჯთან გადასახლდნენ, მაგრამ ამის მიზეზი გერჰარდტი გახლდათ. ცოლის გარდაცვალებისა და უფროსი შვილების ოჯახიდან წასვლის შემდეგ გერჰარდტი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და მთელი საათობით ხმამაღლა იჯდა. გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება დამთავრდა, თუმცა ჯერ მხოლოდ სამოცდახუთი წლის კაცი იყო. საამურ ცხოვრებაზე ოცნება კვამლივით გაიფანტა. სებასტიანი, მართა, ჯორჯი დამოუკიდებელ ადამიანებად იქცნენ. მათთვის მამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და შინაც არაფერი მოჰქონდათ. მხოლოდ ჯენი ეხმარებოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სწორედ მისგან ერთი დოლარიც არ უნდა მიეღო. ვერონიკა და უილიამი ბობოქრობდნენ. ბავშვებს სკოლიდან გამოსვლა და მუშაობის დაწყება არ უნდოდათ. როგორც გერჰარდტი ამბობდა, ჯენის არაწესიერი გზით მოპოვებული ფულით ცხოვრება ერჩივნათ. მამისათვის ჯენისა და ლესტერის ურთიერთობა თანდათან ნათელი გახდა. მართალია, პირველ ხანებში ირწმუნა მათი ცოლქმრობის ამბავი, მაგრამ როცა დაინახა, ლესტერი თვეობით არ აკითხავდა ჯენის, როგორ მორჩილად გარბოდა იგი პირველსავე გამომახებაზე, რა შიშითა და კანკალით ფარავდა ვესტას არსებობას, სრულიად საწინააღმდეგო აზრი შეექმნა. მამა არ დასწრებია ქალიშვილის ქორწილს, არც ქორწინების მოწმობა უნახავს. რა თქმა უნდა, ჯენის შეემლო კლივლენდიდან წასვლის შემდეგ დაქორწინებულიყო, მაგრამ გერჰარდტს ეს ამბავი ნაკლებად სჯეროდა.

მოხუცი უკიდურესად პირქუში და ჭირვეული გახდა, ბავშვებს თანდათან გაუძნელდათ მასთან ცხოვრება, განსაკუთრებით განაწყენდნენ ვერონიკა და უილიამი. მათ არ მოსწონდათ, რომ მართას გათხოვებისა და შინიდან წასვლის შემდეგ ფულის ხარჯვის მთელი პასუხისმგებლობა მამამ აიღო. გერჰარდტი გაუთავებლად ბუზღუნებდა, ბავშვები ბევრს ხარჯავენ ჩაცმასა და გართობაზეო, თან ჯიუტად ამტკიცებდა, აჯობებს, უფრო პატარა სახლში გადავიდეთო. ჯენის გამოგზავნილი ფულიდან რაღაც ნაწილს ყოველთვის ინახავდა ბავშვებისთვის გაუგებარი მიზნით. გერჰარდტი მართლაც ზოგავდა ცოტაოდენ ფულს. გადაწყვიტა, ნელ-ნელა დაეგროვებინა და ჯენისთვის დაებრუნებინა, რაც კი ოდესმე გამოეგზავნა. მისი აზრით, ჯენის ფულით

ცხოვრება ცოდვის ჩადენა იყო. რასაკვირველია, მისი მცირე ჯამაგირიდან ამას ვერ შეძლებდა. გერჰარდტს სწყინდა, რომ სხვა ბავშვები მამას ყურადღებას არ აქცევდნენ. მაშინ იძულებული არ იქნებოდა სიბერის ჟამს მოწყალება მიეღო იმ ქალიშვილისგან, რომელსაც, ბევრი ღირსება ჰქონდა, მაგრამ უწყესოდ ცხოვრობდა. შინაურების კინკლაობა არ წყდებოდა.

ბოლოს, ზამთარში, და-ძმის წუწუნი ჯორჯმა ყურად იღო და დათანხმდა: კეთილი, ჩემთან გადმოდით, ოღონდ იმ პირობით, თუ იმუშავებთო. გერჰარდტი ამ ამბის გაგონებამ ჯერ დააბნია, მაგრამ მერე ავეჯიც შესთავაზა, წაიღეთ და სადაც გსურთ, იქ წადითო. მამის ასეთმა სულგრძელობამ ბავშვები დაარცხვინა და ისიც კი წამოსცდათ, შენც ჩვენთან ერთად წამოდიო, მაგრამ გერჰარდტმა იუარა: არა, ოსტატს ვთხოვ, როგორც ფაბრიკის დარაჯს, სადმე სხვენზე თავშესაფარი მომცესო. ფაბრიკაში იგი უყვარდათ, ენდობოდნენ, თან ნაკლები ხარჯი ექნებოდათ.

იმ ცხელ გულზე ნათქვამი საქმედ აქცია. ჰოდა, აი, ზამთრის გრძელ ღამეებში მარტოხელა მოხუცი, ხალხმრავალი კვარტალებიდან მომორებით, მიყრუებულ ქუჩაზე ფაბრიკის ჭიშკართან მორიგეობდა. ფაბრიკის მახლობლად მდგარი საწყობის სხვენზე ერთი პატარა კუთხე მისცეს. ღამენათევ მოხუცს დღე იქ ეძინა ხოლმე. ნაშუადღევს ხან შუაგულ ქალაქისკენ გაივლიდა, ხანაც მდინარე კიპოვას ნაპირებისკენ თუ ტბისკენ გაუყვებოდა. უკან ხელებდაწყობილი და თავჩაქინდრული დინჯად დააბიჯებდა მტანჯველი ფიქრებით დაღონებული. ზოგჯერ საკუთარ თავსაც კი ელაპარაკებოდა. მის დუხჭირ ცხოვრებას მალიმალ ხმამაღლა ამოსროლილი სიტყვებიც ადასტურებდა: «ფუი, დასწყევლოს ღმერთმა!» ანდა «ვაი, ჩემი ბრალი!» შემოღამებისთანავე ფაბრიკის წინ თავის ადგილს იკავებდა. იქვე, მახლობლად, მუშათა სასადილოში ჭამდა, რაიც მისთვის ყველაზე შესაფერის ადგილად მიაჩნდა.

მოხუც გერმანელს ხან რაღაცით განყენებული, ხანაც უსაშველოდ მძიმე ფიქრები უტრიალებდა. რა არის ცხოვრება? რამდენი ენერჯის დახარჯვა გჭირდება, რამდენი ზრუნვა და მწუხარება და საბოლოოდ რა გრჩება? მერე სად ქრება ეს ყოველივე? ადამიანები კვდებიან და აღარაფერი აკავშირებთ ცოცხლებთან. აი, თუნდაც მისი ცოლი. მოკვდა, მაინც სად გაფრინდა მისი სული?

ჯერჯერობით გერჰარდტი კვლავ მტკიცედ იდგა ბავშვობიდანვე ჩვეულ რელიგიურ დოგმებზე. სწამდა, რომ არსებობდა ჯოჯოხეთი და ცოდვილები სიკვდილის შემდეგ იქ ხვდებოდნენ. მისის გერჰარდტი? ჯენი? მისი აზრით, ორივეს მძიმე ცოდვა ჰქონდა ჩადენილი. დარწმუნებული იყო, რომ მართალ, პატიოსან ადამიანს სამოთხის ნეტარება ელოდა. მაგრამ სად არიან ეს მართალი ადამიანები? მისის გერჰარდტს კეთილი გული ჰქონდა, ჯენი ხომ კეთილ-შობილების განსახიერებაა, ვაჟი სებასტიანი? სებასტიანი კარგი ბიჭია, მაგრამ გულცივია, მშობლის სიყვარულის ნასახიც არ გააჩნია. მართა პატივმოყვარეა, მარტო თავისთავზე ფიქრობს. ისე გამოდის, რომ ყველანი, გარდა ჯენისა,

თავკერძები არიან. მას შემდეგ, რაც ბასმა ცოლი შეირთო, ოჯახისთვის თითო თითზე არ დაუკარებია. მართა ირწმუნება, ისე მცირე შემოსავალი მაქვს, თავი ძლივს გამაქვსო. ჯორჯი ადრე რაღაცას მაინც ეხმარებოდა, ახლა იმანაც აიღო ხელი. ვერონიკა და უილიამი ჯენის ფულით მშვიდად ცხოვრობდნენ, სანამ ამის ნებას მამა აძლევდა, თუმცა, მშვენივრად იცოდნენ, რომ ცუდად იქცეოდნენ. განა გერჰარდტის ახლანდელი მდგომარეობა შვილების თავკერძობაზე არ მიუთითებს? ძველებურად ღონეც აღარ მოსდევს. გამოცანაა ეს ცხოვრება და მეტი არაფერი. ყველაფერი საიდუმლოებით მოცულია, გაუგებარი და დაუნდობელი. მაგრამ მაინც არც ერთ შვილთან არ უნდოდა ცხოვრება. ისინი მისი ღირსნი არ არიან, გარდა ჯენისა. ჯენი კი ცოდვილია, უწესოდ ცხოვრობს. დიახ, ასეთი მძიმე ფიქრები ტანჯავდა მოხუც გერჰარდტს.

ჯენიმ მოგვიანებით გაიგო ეს ნაღვლიანი ამბები. უწინ მართასთან ჰქონდა მიმოწერა, მერე, როცა გოგონა გათხოვდა, თვითონ მამას სწერდა. უმცროსი შვილების შინიდან წასვლის შემდეგ გერჰარდტმა ჯენის შეუთვალა, ფული აღარ გამომიგზავნო. ვერონიკა და უილიამი ჯორჯთან იცხოვრებენ, მე ფაბრიკაში კარგ ადგილზე ვმუშაობ და ბინაც იქვე მექნებაო. მამამ ჯენის დაუბრუნა, რისი დაგროვებაც შეძლო – ას თხუთმეტი დოლარი, – თან განუმარტა, ეს ფული არ მჭირდებაო.

ჯენიმ მამის ჯიუტი ხასიათი იცოდა და გადაწყვიტა, არ შეკამათებოდა, მით უმეტეს, რომ და-მმანი ხმას არ იღებდნენ. გავიდა დრო და ჯენიმ ნათლად წარმოიდგინა, რაც მოხდა მამისეულ სახლში და გვარიანადაც შეშინდა. ჯენის მამასთან ყოფნა უნდოდა, მაგრამ ლესტერისგან წასვლაც ეძნელებოდა. დათანხმდება მამა მასთან ცხოვრებას? ახლა, რა თქმა უნდა, არა. თუ კარგად გათხოვდება, მაშინ შესაძლოა. ხოლო სულ მარტო თუ დარჩება, აი, მაშინ კი – უსათუოდ დათანხმდება. თუ ჯენის კარგი ხელფასი არ ექნება, ისევ გაუჭირდებათ. ყველაფერი მაინც იმ კითხვამდე მიდის – რა ქნას? მაგრამ მაინც გადაწყვიტა: ხუთ-ექვს დოლარიან სამუშაოს მოძებნიდა და როგორმე იცხოვრებდნენ. პირველ ხანებში კი მამის დანაგროვები ას თხუთმეტი დოლარი ექნებათ.

ოცდამეთექვსმეტე თავი

ჯენის გადაწყვეტილებას ერთი ნაკლი ჰქონდა – თვით ლესტერის აზრს ანგარიშს არ უწევდა. მართალია, ლესტერმა ვერ შეძლო მისი აღმზრდელი გარემოს, იმ დახშული წრის გარღვევა, მაგრამ თვითონ ჯენი მეტად ძვირად უღირდა. ლესტერის სიყვარულმა ვერ გადალახა საზოგადოების აზრი. იგი ცოლად ვერ შეირთო და მაინც, ჯენის მის ცხოვრებაში უზომოდ დიდი ადგილი ეკავა და ჯერჯერობით არც აპირებდა მასზე ხელის აღებას.

ლესტერი უკვე იმ ასაკში იყო, როდესაც ამა თუ იმ ქალზე შექმნილ საკუთარ შეხედულებას მამაკაცი იშვიათად იცვლის. თავისი წრის არც ერთი ქალი

ჯენივით არ მოსწონებია. ჯენი ქალურობის განსახიერება იყო, ჰქონდა რბილი ხასიათი, თანდაყოლილი გონიერება. ყოველთვის მზად იყო ლესტერის სურვილის ასასრულებლად. საზოგადოებაში თავის დაჭერა თვითონ ლესტერმა ასწავლა, ასე რომ, მასთან ყოფნა ყველგან შეიძლებოდა. ყოველივე ეს ლესტერს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და მეტი არც არაფერი უნდოდა.

ჯენის შემოფოთება კი დღითიდღე იზრდებოდა. თავისი აზრის ქალაღზე გადატანა სცადა; რამდენიმე წერილი დახია კიდევ, ბოლოს, როგორც იქნა, ნაწილობრივ მაინც შეძლო სათქმელის თავის მოყრა. ასეთი გრძელი წერილი ჯენის არასოდეს დაეწერა.

«საყვარელო ლესტერ, როდესაც ამ წერილს მიიღებ, მე აქ აღარ ვიქნები. გთხოვ, ჩემზე ცუდს ნურაფერს იფიქრებ, ვიდრე წერილს ბოლომდე არ წაიკითხავ. მივდივარ და თან მიმყავს ვესტა, ასე ჯობია. ნამდვილად ასე უკეთესია. ლესტერ, როდესაც შენ შეგხვდი, იმ ხანებში ჩვენ ძალიან გვიჭირდა, თან საკუთარ თავზე იმ აზრისა ვიყავი, რომ კარგი მამაკაცი ცოლად არ შემირთავდა. შენ მითხარი, მიყვარხარო, და მეც თავი დავკარგე. მერე მეც ძლიერ შემიყვარდი, თავად არ ვიცი, როგორ.

გახსოვს, მაშინვე გითხარი, ცუდ ნაბიჯს ვერ გადავდგამ, იმასაც გეუბნებოდი, კარგი ქალი არა ვარ-მეთქი, მაგრამ, როცა შენ ჩემთან იყავი, ფიქრის უნარი მეკარგებოდა, არ ვიცოდი, როგორ დაგცილებოდი. სწორედ ამ დროს მამა ავად გახდა და ულუკმაპუროდ დავრჩით; შემოსავალი უმნიშვნელო გვქონდა. ჯორჯს ფეხსაცმელიც აღარ ეცვა. დედას დარდისა და შრომისაგან არაქათი ჰქონდა გამოცლილი. ხშირად მიფიქრია, საწყალ დედაჩემს რომ ამდენი დავიდარაბა არ შეხვედროდა, იქნებ, დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. რადგან ერთმანეთი მოგწონდა, ვიფიქრე (იცოდე, რომ მიყვარხარ, ლესტერ!) დიდი ცოდვა არ იქნებოდა. შენ რომ მაშინვე აღმითქვი, შენს ოჯახს დავეხმარებო, მეც გადავწყვიტე, ალბათ, ასე აჯობებს-მეთქი. მაშინ, მართლაც, ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით.

ლესტერ, მრცხვენია შენგან რომ მივდივარ. იქნებ, საზიზღრობადაც მოგეჩვენოს ჩემი საქციელი, მაგრამ, რომ იცოდე, რა გადავიტანე ამ ბოლო დროს, უთუოდ მაპატიებ. მიყვარხარ, ლესტერ. ო, მერე რარიგ მიყვარხარ! მაგრამ მთელი ამ თვეების მანძილზე, მას შემდეგ, რაც შენი და მოვიდა, ვიგრძენი, რომ უწესოდ ვცხოვრობდი და ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. განა თვითონ არ ვიცი, რომ ეს ცუდია. დამნაშავე ვარ იმაში, რაც სენატორ ბრენდერთან შემემთხვა, მაგრამ მაშინ სულ ბავშვი ვიყავი და არ მესმოდა, რას ვაკეთებდი. დამნაშავე ვარ, რომ სულ თავიდანვე ბავშვის არსებობა არ გაგიმხილე. თუმცა, მაშინ მეგონა, სწორად ვიქცეოდი. იმაშიც ძალიან დამნაშავე ვარ, რომ ქურდულად ჩამოვიყვანე ბავშვი ჩიკაგოში. ესეც იმიტომ, რომ შენი მეშინოდა, არ ვიცოდი, რას იტყოდი, რას ჩაიდენდი. ამ ყოველივეს შენი დის სტუმრობის შემდეგ მივხვდი. ჩემთვის აშკარა გახდა, რომ უპატიოსნოდ ვცხოვრობ, მაგრამ შენ არ გადანაშაულებ, ლესტერ, მარტო მე მიმიძღვის ბრალი.

ცოლად შერთვას არ გთხოვ. ვიცი, როგორ მეპყრობი მე და როგორი ხარ შენი ოჯახის მიმართაც. ისიც ვიცი, რომ ამით არაფერი გამოვა. შენთან არ მინდომებენ და მეც არ გთხოვ. ჩვენი ცხოვრების ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. ვესტა იზრდება, მალე ყველაფერს მიხვდება, ჯერჯერობით მართლა ნამდვილი ბიძა ჰგონიხარ. თავს ვიმტვრევდი, რამდენჯერმე ვცადე მოგლაპარაკებოდი, მაგრამ როცა სერიოზული სახე გაქვს ხოლმე, მეშინია და სიტყვასაც ვერ ვძრავ. ჰოდა, გადავწყვიტე – დავწერ და წავალ, მაშინ ყველაფერს გაიგებს-მეთქი. გაიგე, ლესტერ? გაიგე? ხომ არ მიჯავრდები? ვიცი, ასე შენთვისაც უკეთესია და ჩემთვისაც. ასეა საჭირო. მაპატიე, ლესტერ, გენაცვალე, მაპატიე და დამივიწყე. რამენაირად თავს გავიტან. მაგრამ იცოდე, ისევ ძლიერ მიყვარხარ, მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ და სამუდამოდ მადლობელი ვიქნები ყველაფრისათვის, რაც გამიკეთე. ბედნიერებას გისურვებ. მაპატიე, ლესტერ, მიყვარხარ.

მივემგზავრები მამასთან კლივლენდში, მას ვჭირდები. სულ მარტოა. გთხოვ, ლესტერ, გეხვეწები, არ ჩამოხვიდე, არ მომაკითხო. საჭირო არ არის».

ჯენიმ წერილი კონვერტში ჩადო, დააწება და გარკვეულ დრომდე საიდუმლო ადგილას შეინახა.

ჯერ ძალას იკრებდა, თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და აი, მშვენიერი შემთხვევაც მიეცა. ლესტერმა დარეკა, ორი-სამი დღე სახლში არ მოვალო. ჯენიმ თავისი და ვესტას ნივთები ჩემოდნებში ჩაალაგა და ეტლის მოსვლას დაელოდა. ჯერ იფიქრა, მამას შევატყობინებ ჩემს ჩასვლასო, მაგრამ მერე აზრი შეიცვალა: გაახსენდა, რომ მამა ფაბრიკაში ცხოვრობდა და გადაწყვიტა, თვითონ მოეძებნა. გერჰარდტი ერთ-ერთ წერილში სწერდა, – ვერონიკას და ჯორჯს მთელი ბარგი არ წაუღიათ, ნაწილი შენახულიაო. მაშასადამე, პატარა ბინაში დასადგამი რაღაც ნივთები ჰქონდა. გასამგზავრებელ სამზადისს რომ მორჩა, ჯენიმ მეეტლე გამოიძახა, სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ლესტერი შემოვიდა.

ლესტერი წინათგრძნობის განსაკუთრებულ უნარს ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ ამჯერად თითქოს რაღაც იაზრა. შეპირებული იყო, ჩიკაგოს სამხრეთით კანკაკის ჭაობებში იხვებზე სანადიროდ უნდა წასულიყვნენ, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და კანტორიდანაც ნაადრევად წამოვიდა, აზრი რამ შეაცვლევინა, თვითონაც ვერ გეტყვოდათ.

თავადაც უკვირდა ასე ადრინად შინ დაბრუნება. შესასვლელის შუაგულში დადგმულ ორ ჩემოდანს რომ თვალი მოჰკრა, გაშეშდა. რა არის ეს? მერე სამგზავრო კოსტიუმში გამოწყობილი ჯენი და ჩაცმული ვესტაც დაინახა. შეძრწუნებულმა ლესტერმა თვალეები ფართოდ გააღო.

– სად მიდიხარ?

– მე... მე... – დაიწყო ქალმა და უკან დაიწია, – მივდივარ.

– საით?

– კლივლენდში

ვაპირებ. – რატომ?

– მე... რამდენჯერმე მინდოდა მეთქვა, ლესტერ, რომ ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. ვერ არის კარგი საქმე. სულ მინდოდა მოგლაპარაკებოდი და ვერ გავბედე. აი, წერილი დაგიწერე.

– წერილი?! _ წამოიძახა აღშფოთებულმა ლესტერმა, _ არაფერი მესმის! სად არის მერე წერილი?

– აი, _ უთხრა ჯენიმ და ხელი უნებურად პატარა მაგიდისკენ გაიშვირა, სადაც თვალში საცემ ადგილას სქელ წიგნზე მისი უსტარი იდო.

– მერე, მხოლოდ ამ წერილით მიმორებდი? _ უფრო მკაცრი ხმით ჰკითხა ლესტერმა. _ არა, მე შენი არ მესმის, მაინც რა მოხდა? _ ლესტერმა კონვერტი გახია, თვალი მოავლო წერილის პირველ სტრიქონებს და ქალს ბავშვის ოთახიდან გაყვანა სთხოვა.

ჯენი დაემორჩილა. გაფითრებული, ნირწამხდარი შუა ოთახში გაშეშდა. დაბნეული თვალებით ხან კედლებს აშტერდებოდა, ხანაც ჰერს და იატაკს, ჩემოდნებსა და ლესტერს. ლესტერმა ყურადღებით წაიკითხა წერილი, კითხვის დროს ფეხს ფეხზე ინაცვლებდა... ბოლოს წერილი იატაკზე დაახეთქა.

– მომისმინე, _ დამაბული ხმით წარმოთქვა და ჯენის შეხედა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ჯენისთან დაცილების ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა, მაგრამ განა ლესტერს ეს უნდოდა! ყველაფერი ისე კარგად და მშვიდობიანად აეწყო: ამდენი წელი ერთად იცხოვრეს და ახლა დაშორება აშკარა სისულელე იყო. თანაც ლესტერს უყვარდა ჯენი, რა თქმა უნდა, უყვარდა. თუმცა ცოლად მისი შერთვა არ უნდოდა და არც შეეძლო. ჯენიმ ეს იცოდა და მისი წერილიც სწორედ ამის დასტური იყო.

– შენ რაღაც გეშლება, არ ვიცი, რა მოგივიდა, რა უმართებულოდ მსჯელობ. განა არ მითქვამს, ცოლად შერთვა არ შემიძლია, ყოველ შემთხვევაში ახლამეთქი, არსებობს ბევრი ანგარიშგასაწევი გარემოება, რაზეც შენ წარმოდგენაც კი არა გაქვს. მაგრამ რომ მიყვარხარ, ეს კარგად იცი. ჩემს ოჯახსა და ფირმას ანგარიში უნდა გავუწიო, დიახ, რთულია ყოველივე ეს და მაინც შენთან დაშორება არ მინდა. რასაკვირველია, ძალით დაკავება არ შემიძლია, შენ თავისუფალი ხარ. მაგრამ, ჩემი აზრით, არ არის ეს კარგი საქციელი. ნუთუ მართლა ასე აპირებ? მოდი აქ, დაჯექი.

ჯენი სწორედ ამ ახსნა-განმარტებას გაურბოდა და ახლა სულ მთლად დაიბნა. ისე ელაპარაკებოდა, თითქოს იქით სთხოვდა რაღაცას. ჯენის გული ეტკინა, ლესტერი დარჩენას ეხვეწებოდა, მაშინ, როდესაც თვითონ ჯენის ასე ძალიან უყვარდა იგი.

ჯენი ლესტერს მიუახლოვდა.

– მომისმინე, _ უთხრა ლესტერმა და ხელი მოჰკიდა, _ შენს წასვლას ახლა არავითარი აზრი არა აქვს. მაინც სად აპირებდი წასვლას?

– კლივლენდში.

– მერე, როგორ უნდა გეცხოვრა?

– ვიფიქრე, თუ დამთანხმდება, მამას მოვიყვან-მეთქი ჩემთან. _ მეცოდება, სულ მარტო ცხოვრობს, თავად კი მუშაობას დავიწყებ

– აბა, რა შეგიძლია, ჯენი, გარდა იმისა, რასაც წინათ აკეთებდი? ნუთუ კვლავ მოახლეობას აპირებ? ან მაღაზიაში ნოქრად დადგომას?

– სადმე დიასახლისად მოვეწყობი, – მორცხვად მიუგო ჯენიმ. უკეთესი სამუშაო ვერა მოიფიქრა რა, თუმცა ერთთავად ამაზე ფიქრობდა.

– არა, არა, – უკმაყოფილოდ გაიქნია თავი ლესტერმა, – ასე არ ივარგებს. შენი გეგმები ცარიელი ფანტაზიაა. ვერც სულიერ კმაყოფილებას მოგანიჭებს და ვერც წარსულს უშველი. ახლა შენი ცოლად შერთვა არ შემიძლია. შემდგომში ვნახოთ, გადაჭრით ვერაფერს დაგპირდები. მე არ გიშვებ, მაგრამ თუ მაინც წახვალ, არ მინდა, ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდე. ასე იქნება, თუ ისე, მე შენ უზრუნველგყოფ. ჯენი, ნუთუ მართლა აპირებ ჩემგან წასვლას?

ლესტერის მბრძანებლური, ენერგიული, დამაჯერებელი საბუთების წინაშე ჯენი გატყდა. საკმარისი აღმოჩნდა ლესტერის ოდნავი შეხება, რომ მთელი მისი გეგმები ხუხულასავით დაინგრა... ქალი ატირდა.

– ნუ ტირი, ჯენი, იქნებ, ყველაფერი კეთილად შემოტრიალდეს, არც ისეა საქმე, როგორც შენ გგონია. ახლა კი პალტო გაიხადე და ქუდი მოიხადე. მითხარი, ხომ აღარ წახვალ ჩემგან?

– არ წავალ! – სლუკუნით თქვა ჯენიმ.

ლესტერმა ქალი მუხლებზე დაისვა.

– ჯერჯერობით კვლავ ძველებურად ვიყოთ, – განაგრძო ლესტერმა. – ცხოვრება ძალიან რთული რამ არის. ერთი დაკვრით ვერას გახდები. მერე თანდათან ყველაფერი მოგვარდება. ახლა ისეთ რამეს ვურიგდები, რაზედაც ადრე არაფრით დავთანხმდებოდი.

ჯენი თანდათან დამშვიდდა და ცრემლიანი თვალებით გაუღიმა.

– მაშინ ეს ყველაფერი თავის ადგილას მოათავსე, – უთხრა ლესტერმა ალერსიანად და ჩემოდნებზე მიუთითა. – მხოლოდ ერთი რამ უნდა შემისრულო.

– რა? – ჰკითხა ჯენიმ.

– ნურასოდეს ნურაფერს დამიმალავ, გაიგე? უჩემოდ ნურაფერს გადაწყვიტ. ჩემთან შეუთანხმებლად ნურას მოიმოქმედებ: თუ რამე გაწუხებს, მოდი, დაუფარავად მითხარი. ნუ გეშინია, არას გავნებ! შეგიძლია ყველა საზრუნავი გამიზიარო. ყველაფრის დამძლევაში დაგეხმარები. თუ დახმარებას ვერ შევძლებ, ერთმანეთთან დაფარული მაინც არაფერი გვექნება.

– კარგი, ლესტერ, – უთხრა ქალმა და თვალებში შეხედა. – გპირდები, რომ აღარაფერს დაგიმალავ, გეფიცები. წინათ მეშინოდა, ახლა აღარ შემეშინდება.

– აი, ასე არ ჯობია, მე მჯერა შენი, – თქვა ლესტერმა და ჯენის ხელი მოაცილა.

ამ საუბრის პირველი შედეგი რამდენიმე დღის შემდეგ გერჰარდტზე ჩამოვარდნილი საუბარი გახლდათ. ჯენის დიდი ხანია მამის ჯავრი ტანჯავდა და გადაწყვიტა თავისი შიში ლესტერისთვის გაეზიარებინა. ერთ მშვენიერ დღეს, სადილობისას ჯენიმ ლესტერს ყველაფერი უამბო, რაც კლივლენდში მოხდა და რა დღემიც იყო მისი მამა. – წარმომიდგენია, როგორ უჭირს მარტო

ცხოვრება. კლივლენდში დაბრუნებას რომ ვაპირებდი, მამა ჩემთან უნდა მომეყვანა, ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა.

– ფული გაუგზავნე, – შესთავაზა ლესტერმა.

– ფულს აღარ მართმევს. მისი აზრით, ცუდი ყოფაქცევის ქალი ვარ და უწესოდ ვცხოვრობ. არ სჯერა, რომ გავთხოვდი.

– არცთუ უსაფუძვლოდ, – მშვიდად შენიშნა ლესტერმა.

– იმის წარმოდგენაც კი მზარავს, რომ სადღაც ფაბრიკაში სძინავს ამ მოხუცსა და ეულად დარჩენილ კაცს.

– სხვა შვილები რას აკეთებენ, რატომ არ მიხედავენ? შენი ძმა ბასი სადღაა? –

მამა ისეა გაღიზიანებული და გაფხუკიანებული, რომ იქნებ აღარც უნდოდეთ მისი მოვლა-პატრონობა, – გულლიად თქვა ჯენიმ.

– აბა, აღარ ვიცი, რა გირჩიო, – გაეღიმა ლესტერს. – ამიტომ ცოტა უნდა მოდგეს, სხვა გზა არ არის.

– ჰო, მართალია, – თქვა ჯენიმ. – მაგრამ მამა ისე მოხუცდა და თანაც ისე მძიმე ცხოვრება აქვს გავლილი.

ლესტერი უხმოდ ატრიალებდა ჩანგალს.

– იცი, რას ვფიქრობ, – უთხრა ბოლოს ჯენის. – რაკი გადავწყვიტეთ ერთმანეთს აღარ დავშორდეთ, ხომ არ აჯობებდა ბინა გამოგვეცვალა. ვიფიქრე, იქნებ ჰაიდ-პარკში გვექირავებინა-მეთქი. მართალია, კანტორიდან მოცილებული იქნება, მაგრამ რატომღაც მომბეზრდა აქ ცხოვრება. თან შენ და ვესტას ცალკე ეზო და ბაღი გექნებათ. აი, მაშინ კი შეიძლებოდა მამაშენის აქ გადმოყვანა. ჩვენ ხელს არ შეგვიშლის. თავისთვის ბაღში იფუსფუსებდა და სახლის მოვლაშიც წაგვეშველებოდა.

– ოჰ, რა კარგია, სწორედ მამაჩემისთვის იქნება ზედგამოჭრილი, – ამოიოხრა ჯენიმ. – მერე როგორ უყვარს ყველაფრის შეკეთება, შელამაზება, გაზონებსაც გაკრეჭდა და ბინის გათბობასაც მიაქცევდა ყურადღებას. მაგრამ თუ არ დარწმუნდა, რომ ცოლ-ქმარი ვართ, არაფრით არ ჩამოვა.

– ჰო, ეს ართულებს საქმეს, არადა ქორწინების მოწმობას ვერ უჩვენებ. მოხუცი შეუძლებელზე ოცნებობს. ქალაქგარეთ სახლის გათბობის მოწესრიგება ბერიკაცს გაუჭირდება, – დაუმატა ბოლოს.

ჯენის ლესტერის სიტყვები აღარ გაუგონია, საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა. როგორ ვერ ააწყო თავისი ცხოვრება, რა ცუდად წაიყვანა საქმე. მშვენიერი სახლიც რომ ჰქონდეს, გერჰარდტი მაინც არ ჩამოვა მათთან საცხოვრებლად. რა კარგად კი იქნებოდა ვესტასთან, ხელახლა დაიბადებოდა.

ნაღვლიანი, ჩაფიქრებული ჯენი მდუმარედ იჯდა.

– არ ვიცი, რა მოვიფიქრო, – უთხრა ლესტერმა, თითქოს მის გულში იჯდაო, – ქორწინების მოწმობის ბლანკის შოვნა ძნელია. ყალბი საბუთის გაკეთება კანონით ისჯება. მართალი გითხრა, ასეთ საქმეში გახვევა არ მინდა.

– არა, ლესტერ, რას ამბობ, როგორ შეიძლება. უბრალოდ მეცოდება, მამაჩემი რომ ასეთი ჯიუტია. თუ თავში რაიმე ჩაიდო, მერე ვერას გახდები.

– მაშინ დავიცადოთ, ვიდრე ახალ ადგილას მოვეწყობით, – შესთავაზა ლესტერმა. – მერე შენ თვითონ ჩადი კლივლენდში და მოელაპარაკე. იქნებ, დაიყოლიო.

ლესტერს მოსწონდა ჯენის ასეთი ერთგულება, თვითონაც მზად იყო განზრახვის შესრულებაში დახმარებოდა. მოხუცი გერჰარდტი ნაკლებად საინტერესო პიროვნება გახლდათ, მაგრამ არცთუ უსიამოვნო. თუკი მოისურვებს, ამ დიდი მოვალეობის გაძლოლას, მას საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

ოცდამეჩვიდმეტე თავი

ჰაიდ-პარკში გადასვლა ლესტერს ტყუილუბრალოდ არ უხსენებია. რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ყველაფერი კვლავ კალაპოტში ჩადგა, ლესტერმა ჯენის სახლის სანახავად წასვლა შესთავაზა.

პირველსავე ცდაზე სწორედ ისეთი სახლი ნახეს, როგორც უნდოდათ, – თერთმეტი დიდი ოთახისგან შემდგარი ძველი სახლი გაზონებითა და საჩრდილობელი ხეებით იყო გარშემორტყმული. ეს ხეები ჯერ კიდევ მაშინ დაურგავთ, როდესაც ქალაქის შენება იწყებოდა. ნამდვილად ლამაზი, მყუდრო და წყნარი ადგილი იყო. ჯენი ალაფრთოვანა ამ ვრცელმა, თითქმის სოფლურმა სახლ-კარმა. თან ისიც სტკუნდა გულს, რომ ამ სახლის მთლად კანონიერი დიასახლისი ვერ იქნებოდა. როდესაც ლესტერისგან გაქცევას აპირებდა, სადღაც ბუნდოვნად იმედოვნებდა, იქნებ მომაკითხოს და ცოლად შემირთოსო. ახლა ამ ოცნებას ჯვარი დაესვა. ჯენი დაჰპირდა, რომ დარჩებოდა და ყველაფერს შეეგუებოდა. ჯენიმ თითქოს წამოიწუწუნა კიდევ, ამდენი ოთახი რაში გვჭირდებაო, მაგრამ ლესტერმა მისი აზრი არ გაიზიარა.

– რატომ, იქნებ, სტუმრებიც მივიღოთ, – შეესიტყვა ლესტერი, – ყოველ შემთხვევაში, სახლი მოვაწყოთ და ვნახოთ, რა იქნება.

ლესტერმა აგენტს, ხუთი წლის ვადით და შემდეგში მისი გაგრძელების უფლებით საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება დაავალა. ნაკვეთის დამუშავება კი მაშინვე დაიწყეს.

სახლი გარედან შეღებეს, შიგნიდან კი მორთეს და მოაწყვეს. გაზონები ერთ დონეზე გაკრიჭეს. ყველაფერმა საზეიმო იერი მიიღო. პირველ სართულზე მოთავსდა დიდი ბიბლიოთეკა, ფართო სასააბაღო, სტუმართა მისაღები და მცირე სასტუმრო ოთახები, ვეება სამზარეულო და დამხმარე ოთახი. მეორე სართულზე – საწოლი ოთახები, სააბაზანოები და მსახურის ოთახი. ყველაფერი მოხერხებული და თვალის გასახარი იყო. ახალი ბინის მორთვა-მოწყობა სიხარულითა და სიამაყით ავსებდა ჯენის გულს.

ახალ სახლში გადასვლისთანავე ჯენიმ ლესტერის თანხმობით მამას წერილი მისწერა, სთხოვდა, ჩემთან გადმოდო საცხოვრებლადო. მაგრამ წერილში ერთი სიტყვაც არ უხსენებია თავის ქორწინებაზე, დასკვნის გამოტანა თვითონ მამას მიანდო. სამაგიეროდ, დაწვრილებით აღწერა, რა ლამაზ ადგილას ცხოვრობდა და რა მოხერხებული სახლი, როგორი დიდი

ბალი ჰქონდა. «აქ ძალიან კარგია, მამა, _ სწერდა ქალიშვილი, _ შენ, ალბათ, მოგეწონება. ვესტა სკოლაში დადის. ჩამოდი ჩვენთან, ერთად ვიცხოვროთ. მერედა რამდენად უკეთესად იქნები, ვიდრე შენს ფაბრიკაში. მეც მოხარული დაგრჩები».

გერჰარდტმა წერილი წაიკითხა და გაოცებით ჩაიბუტბუტა: ნუთუ მართლა? რომ არ დაქორწინებულიყვნენ, რამდენიმე წლის შემდეგ ასეთ ფართო ბინაში ხომ აღარ გადავიდოდნენ? ვითომ თავიდანვე თვითონ ცდებოდა? აღსრულდა, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. მაგრამ ღირს მისი გადასვლა? უკვე მიეჩვია მარტო ცხოვრებას და ახლა ჩიკაგოში გადაბარგდეს ჯენისთან? ძალიან გაეხარდა ჯენის მიწვევა, მაგრამ ისევ უარი ამჯობინა. არ შეეძლო ასე აშკარად გამომტყდარიყო, რომ ამ დაცილებაში თავადაც მიუძღოდა ბრალი.

მამის უარმა ძალიან შეაწუხა ჯენი. მაშინვე ლესტერს მოელაპარაკა და გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო კლივლენდში. მართლაც ჩავიდა ქალაქში, მოძებნა ავეჯის ფაბრიკა, სადაც გერჰარდტი მუშაობდა. ღარიბი კვარტალი უწესრიგოდ იყო გადატვირთული შენობებით. კანტორაში მამა მოიკითხა. კლერკმა ქალი მოშორებით მდგარ საქონლის საწყობისკენ გააგზავნა. სხვენზე, თავის სამფლობელოში მყოფ გერჰარდტს აცნობეს, ვიღაც ქალი გკითხულობსო. გაკვირვებული მოხუცი წამოდგა თავისი ღარიბული საწოლიდან და ეზოში ჩავიდა. ჯენის გული შეეკუმშა, როდესაც ბნელი სადარბაზოდან ჭაღარა, დაფანჩულწარბებიანი, მტვრიან, დაჭმუჭნილ ტანსაცმელში გამოწყობილი მამა გამოვიდა. «საცოდავი მამაჩემი», _ გაიფიქრა მან. მამა ქალს მიუახლოვდა და მისი გაკვირვებული მზერა მაშინვე ღიმილით შეიცვალა, როცა კეთილი ზრახვით მოსული ქალიშვილი შეიცნო.

_ რად ჩამოხვედი?

_ ჩემთან უნდა წაგიყვანო, მამა, _ შეევედრა ჯენი. _ შენი აქ გაჩერება არ შეიძლება. გაფიქრებაც კი მზარავს, როგორ ცხოვრობ ასე მარტოხელა.

_ ოჰ, ამისთვის ჩამოხვედი? _ შეშფოთებით წარმოთქვა მამამ.

_ ჰო, _ მიუგო ჯენიმ. _ ჩემთან წამოდი, აქ დარჩენა აღარ შეიძლება.

_ კარგი კუთხე მაქვს ჩემთვის, _ თითქოს თავს იმართლებსო, ისე მიუგო მამამ.

_ ვიცი, ვიცი, მაგრამ ახლა ჩვენ დიდი სახლი გვაქვს. ვესტაც ჩვენთან ცხოვრობს. ვითომ რატომ არ უნდა წამოხვიდე? ლესტერიც გეპატიჟება.

_ შენ მარტო ეს მითხარი, დაქორწინებული ხართ თუ არა?

_ რა თქმა უნდა, რამდენი ხანია. როცა ჩამოხვალ, თუ გინდა ლესტერს ჰკითხე, _ გაბედულად იცრუა ქალმა.

ძვირად უღირდა ჯენის მამის დაეჭვებული მზერის გაძლება, მაგრამ თვალელები არ დახარა და მამამაც დაიჯერა.

_ კეთილი, რაკი ასეა, წამოვალ.

_ მაშ წამომყვები, მამა?

გერჰარდტმა უღონოდ გაშალა მკლავები, ჯენის ალერსიანმა დაჟინებამ გული აუტოკა.

– კეთილი, წამოვალ, – უეცრად წარმოთქვა და შეტრიალდა. მოხუცს მხრები უთრთოდა და ჯენი მიხვდა, რომ ქვითინებდა.

– ახლავე, ჩემთან ერთად!

პასუხის ნაცვლად გერჰარდტი საწყობის ბნელ კარში გაუჩინარდა, მოხუცი თავისი ნივთების წამოსაღებად წავიდა.

ოცდამეთვრამეტე თავი

გერჰარდტი ჯენისთან ჩასვლისთანავე შეუდგა საქმიანობას, რაც, მისი აზრით, სწორედ მისთვის იყო განკუთვნილი. გათბობის საქმეზე ზრუნვა და ეზო-კარის მოვლა თვითონ იკისრა. სხვას ფული რატომ უნდა უხადოთ, როცა მე უსაქმოდ ვარო. სახლის ირგვლივ შემორგული ხეები უშნოდ გამოიყურება, საჭიროა ხერხი და ბაღის მაკრატელი, რომ გაზაფხულზე ამ საქმესაც მივხედოო, – უთხრა ერთ დღეს ქალიშვილს. – გერმანიაში ამ საქმის ყადრი იციან. ამერიკელები რაღაც უგერგილო, არაპრაქტიკული ხალხია! მერე გერჰარდტმა ლურსმნები და სადურგლო იარაღებიც მოითხოვა და ნელ-ნელა შეაკეთა ყველა კარადა და თარო. სახლიდან ორი მილის დაშორებით ლუთერანული ეკლესია აღმოაჩინა, თან ეს უფრო მოეწონა, ვიდრე კლივლენდის ეკლესია. პასტორიც ნაღდი ღვთის კაცი გამოდგა. მერე ისიც დაიჟინა, ვესტამ ყოველ კვირას ჩემთან ერთად ეკლესიაში იაროსო.

ჰაიდ-პარკში ახალი ცხოვრების დაწყებისას ჯენი და ლესტერი, ცოტა არ იყოს, ღელავდნენ. მათ იცოდნენ, რომ აქ უფრო გაუჭირდებოდათ. ჩრდილოეთის მხარეს ჯენი ადვილად გაურბოდა მეზობლებსა და ახალი ნაცნობობის გაბმას, აქ კი ასე საშუაარაოზე მდგარი სახლის პატრონები ვეღარ დაიმალებოდნენ. მოსალოდნელი იყო მეზობლების სტუმრობა და ჯენის გამოცდილი დიასახლისის როლი უნდა ეთამაშა. აკი მოილაპარკეს კიდეც, ცოლ-ქმრად გავეცნოთო. ვესტას წარადგენდნენ ჯენის შვილად პირველი ქორწინებიდან, მისტერ სტოვერის ქალიშვილად (მისის გერჰარდტის ქალიშვილობის გვარი), რომელიც ბავშვის დაბადების შემდეგ მალე გარდაიცვალა. ჰაიდ-პარკი ჩიკაგოს კეთილმოწყობილი ცენტრიდან საკმაოდ დაშორებული იყო, ასე რომ, ლესტერი თავს დაზღვეულად თვლიდა ქალაქელ ნაცნობებთან შეხვედრისაგან. ლესტერმა ჯენის საგულდაგულოდ აუხსნა, როგორ მოქცეულიყო, როგორ დაეჭირა თავი პირველი სტუმრის გამოჩენისას.

ორ კვირასაც არ გაეგლო, რომ მართლაც გამოჩნდა პირველი სტუმარი. ეს იყო მისის სტენდლი, მეზობლებს შორის დიდად პატივცემული მანდილოსანი, რომელიც ჯენისგან ხუთი სახლის მომორებით, გაზონებმემოვლებულ, დიდებულ სახლში ცხოვრობდა. ქალს საკუთარი ეტლით მაღაზიები მოევლო და ახლა უცნობ მეზობლებს ეწვია.

– მისის კეინი შინ გახლავთ? – ჰკითხა ჯენის ახალ მოახლეს ჟანეტს.

– დიახ, მე, – მიუგო მოახლემ, – მიზოპეთ თქვენი სავიზიტო ბარათი. გოგონამ ჯენის ბარათი მიურბენინა, რომელზეც ჯენისთვის უცხო გვარი ეწერა.

სასტუმრო ოთახში გამოსულ ჯენის მაღალი, შავგვრემანი მისის სტენდლი დახვდა და გულითადად მიესალმა.

– საკუთარ თავს ნება მივეცი, დამერღვია თქვენი მყუდროება, – თქვა ქალმა ფრიად მომხიზვლელი, ალერსიანი ხმით. – მე თქვენი მეზობელი ვარ, აქვე ვცხოვრობ, იქნებ, შეგინიშნავთ კიდეც თეთრი ქვის ჭიშკარი?

– დიახ, როგორ არა, – მიუგო ჯენიმ. – კარგად ვიცი ეს სახლი, მე და მისტერ კეინმა პირველ მოსვლაზევე შევნიშნეთ.

– თქვენი ქმრის გვარი, რა თქმა უნდა, გამიგონია. ჩემი ქმარი კი ელექტრო ფირმა «უილკს და კ-ის» თანამშრომელია.

ჯენიმ თავი დაუქნია. მისის სტენდლის სიტყვებიდან ნათლად ჩანდა, რომ ეს საკმაოდ მსხვილი და შემოსავლიანი ორგანიზაცია იყო.

– ჩვენ აქ უკვე რამდენი წელია ვცხოვრობთ. ჰოდა, კარგად ვხვდები, რა ძნელია ქალაქის ახალი უბნის შერჩევა. იმედი მაქვს, ჩვენც გვესტუმრებით. ძალიან, ძალიან გამეხარდება. ჩემი მიღების დღე ხუთშაბათია.

– სიამოვნებით, – მიუგო ჯენიმ, თუმცა გული შეუტოკდა, როცა ეს სატანჯველი ცერემონია წარმოიდგინა, – თქვენი მხრივ დიდი პატივია ჩვენთან მოსვლა. მისტერ კეინი ფრიად მოუცლელია, მაგრამ როგორც კი დროს იშოვის, დიდად გაგვახარებს თქვენი და თქვენი მეუღლის სტუმრობა.

– თქვენც უთუოდ უნდა გვეწვიოთ, – უთხრა მისის სტენდლმა. – ჩვენ ძალიან წყნარად ვცხოვრობთ. ჩემს ქმარს დიდად არ უყვარს თეატრები და სეირნობა, მაგრამ მეზობლებთან კი დიდი მეგობრობა გვაქვს.

ჯენიმ ალერსიანად გაუღიმა, სტუმარმა წასვლა დააპირა და ჯენიმაც კარებამდე მიაცილა.

– მიხარია, რომ ასეთი მშვენიერი არსება აღმოჩნდით, – გულახდილად უთხრა მისის სტენდლმა და ხელი გაუწოდა.

– მაღლობელი ვარ, – წარმოთქვა აწითლებულმა ჯენიმ. – მართალი გითხრათ, არაფრით დამიმსახურებია ასეთი ქება.

– აბა, გელოდებით, ნახვამდის.

მოდიმარე ქალმა ეტლიდან ხელი დაუქნია.

«მგონი კარგად გამომივიდა, – ფიქრობდა ჯენი და მიმავალ ეტლს გაჰყურებდა. – სასიამოვნო ქალია, ლესტერს უნდა ვუამბო».

ახალ მეზობლებთან ურთიერთობა დაამყარეს მისტერ და მისის კარამაიკლ ბერკებმა, მისის ფილდმა და მისის ბოლინგერმა. ისინი ხან სავიზიტო ბარათებს ტოვებდნენ, ხანაც ისე, სასაუბროდ მოდიოდნენ. ჯენიმ პატივცემულ მანდილოსნად იგრძნო თავი, ყოველნაირად ცდილობდა, არ შერცხვენილიყო. მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ყოველივეს. იყო სტუმართმოყვარე და თავაზიანი დიასახლისი, მის ღიმილში სიკეთე გამოსჭვიოდა, ქცევებში კი ბუნებრიობა. სტუმრებზე მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. უამბობდა,

როგორ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის მხარეს, რომ მის ქმარს, მისტერ კეინს, დიდი ხანია ოცნებად ჰქონდა ჰაიდ-პარკში დასახლება, რომ მასთან ცხოვრობდა მამა და თავისი გოგონა პირველი ქორწინებიდან. იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალშიც ახლოს იქნებოდა მეზობლებთან.

სალამობით ჯენი ლესტერს უყვებოდა თავის სტუმრებზე, თვითონ ლესტერი ნაცნობობის გაბმის არავითარ სურვილს არ გამოთქვამდა. ჯენი თანდათანობით ეშხში შევიდა, სტუმრიანობა ძალიან მოსწონდა. იმედოვნებდა, რომ ლესტერი მასში კარგ ცოლსა და ცხოვრების იდეალურ თანამგზავრს დაინახავდა. ჰოდა, იქნებ, ოდესმე დაქორწინებულყო.

მაგრამ პირველი შთაბეჭდილებები ყოველთვის მტკიცე როდია, რაშიც ჯენი მალე დარწმუნდა. მეზობლებმა ნაჩქარევად მიიღეს თავიანთ საზოგადოებაში. მერე კი ნელ-ნელა ხმები დაირხა. ვინმე მისის სომერვილი სტუმრად იყო მისის კრეიგთან, ჯენის უახლოეს მეზობელთან, და საუბარში ჩაურთო, ლესტერზე ზოგი რამ ვიციო.

– დიახ, დიახ, ჩემო კარგო, მაგ კაცს მაინცდამაინც კარგი სახელი არა აქვს... – წარბების აზიდვით და თითის ქნევით წარმოთქვა ქალმა.

– რას ამბობთ! – შეიცხადა მისის კრეიგმა. – შესახედავად როგორი დინჯი და სასიამოვნო კაცია.

– ჰო, წარმოშობით ნამდვილად მშვენიერი ოჯახიდან არის, – თქვა მისის სომერვილმა, – მაგრამ, როგორც ქმარმა მიაშხო, ვიღაც ახალგაზრდა ქალთან ჰქონია კავშირი, არ ვიცი, ეს ის ქალია, თუ სხვა. ცოლ-ქმარით ყოფილან და სადღაც ჩრდილოეთის მხარეს უცხოვრიათ, თურმე ყველას მის გორგუდად თუ რაღაც ამის მსგავსად აცნობდა.

– წარმოგიდგენიათ, – ტუჩების წკლავუნით წარმოთქვა გაცეხულმა მისის კრეიგმა. – იცით რას გეტყვით, მგონი, სწორედ ეს ქალი უნდა იყოს. მამამისი გვარად გერჰარდტია.

– გერჰარდტი! – წამოიძახა მისის სომერვილმა, – აი, სწორედ ეგ არის. მაგ ქალს, მგონი, ადრეც ჰქონდა რაღაც უსიამოვნო ისტორია. ყოველ შემთხვევაში, ბავშვი ჰყავდა. შეიძლება, მერე კეინმა შეირთო კიდეც, ამას ვერ გეტყვი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მის ოჯახს მაგ ქალის სახელის გაგონებაც არ უნდა.

– რა საინტერესო ამბავია! – წამოიძახა მისის კრეიგმა. – აბა, უყურეთ ერთი, მაინც შეირთო ცოლად! იქნებ, არც შეურთავს? ჩვენს დროში, რას გაიგებ, ვისთან გაქვს საქმე.

– მართალი ხართ, ხანდახან შეუძლებელიც არის, ისე კი ძალიან მომხიბლავი ქალია.

– მშვენიერია! – დაუმოწმა მისის კრეიგმა, – იქნებ, მიამიტია, პირდაპირ მომხიბლა.

– იქნებ, ეს სხვა ქალია, – განაგრძობდა სტუმარი, – იქნებ, შევცდი.

– არა მგონია. გერჰარდტი! თვითონ მითხრა, ჩრდილოეთის მხარეს ვცხოვრობდითო.

– მაშინ ეგ ყოფილა! რა უცნაური ამბავია.

– ძალიან უცნაურია, ძალიან, – თქვა მისის კრეიგმა და უკვე გეგმებს აწყობდა, მომავალში როგორ დაეჭირა თავი ჯენისთან.

ხმები მოდიოდა სხვა წყაროებიდანაც. ვილაცას ენახა ჯენი და ლესტერი ეტლში ჩრდილოეთის მხარეს. ვილაცას გაეცნო როგორც მის გერჰარდტი, ვილაცამ კეინის ოჯახში არსებული უთანხმოებაც ახსენა. რა თქმა უნდა, ჯენის ახლანდელი მდგომარეობა, მშვენიერი სახლი, ლესტერის სიმდიდრე, ვესტას სილამაზე – ეს ყველაფერი კეთილგანწყობილებას იწვევდა საზოგადოებაში, თან ჯენის ისე საზრიანად ეჭირა თავი, ისე აშკარად იგრძნობოდა მისი სანაქებო ცოლობა თუ დედობა, რომ გულისწყრომის ყოველგვარ საბაბს სპობდა, მაგრამ ჯენის ჰქონდა წარსული და ამ წარსულს არ ივიწყებდნენ.

საშიშროების მოახლოება პირველად ჯენიმ მაშინ იგრძნო, როცა სკოლიდან დაბრუნებულმა ვესტამ მოულოდნელად ჰკითხა:

– დედა, მამაჩემი ვინ იყო?

– ვინ იყო და სტოვერი, – მიუგო დედამ და მაშინვე იგრძნო, რომ ვილაცამ ბავშვთან ზედმეტი წამოაყრანტალა. – რატომ მეკითხები?

– სად დავიბადე? – კვლავ იკითხა ვესტამ, ისე რომ დედისთვის პასუხი არ გაუცია. ეტყობოდა, უკვე საკუთარი ვინაობით იყო დაინტერესებული.

– კოლუმბუსში დაიბადე, ოჰაიოს შტატში. რა იყო, ჩემო პატარა?

– ანიტა ბოლინგერი მითხრა, არავითარი მამა არ გყოლიაო, რომ არც შენ იყავი გათხოვილი, როცა მე გაგჩნდი. ასე მითხრა, ნამდვილი გოგო არა ხარ, ღმერთმა იცის, ვინა ხარო. მე გავბრაზდი და ვცემე.

მდუმარე ჯენი გაყინული სახით სივრცეს გაჰყურებდა. განა მისის ბოლინგერი არ იყო, მასთან სტუმრად ყოფნისას თითქმის ყველაზე მეტი გულმოდგინებით რომ სთხოვდა მეგობრობას. ახლა იმისმა შვილმა კი რა წამოსძახა ვესტას. მაინც, სად მოჰკრა ყური?

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – უთხრა ჯენიმ. – ნეტავ რა იცის მაგან. მამაშენი მისტერ სტოვერი იყო და შენ კოლუმბუსში დაიბადე. ჩხუბი კი არ შეიძლება. როცა გოგოები დაობენ, გაანჩხლებულებს ათასი სისულელის წამოროშვა შეუძლიათ. თავი დაანებე და ახლოსაც არ მიხვიდე. მაშინ ისიც არაფერს გეტყვის.

დიდი ვერაფერი დასაბუთება იყო, მაგრამ ამჯერად მაინც გამოდგა ვესტას დასამშვიდებლად, რომელმაც მხოლოდ ეს თქვა:

– თუ დამარტყამს, მეც დავარტყამ.

– შენც მოერიდე, ახლოს ნუ გაეკარები, გესმის? ჰოდა, აღარც ის დავარტყამს. შენ შენს სწავლაზე იფიქრე და იმას მოეშვი, ისიც თავს დაგანებებს.

ვესტა გაიქცა, ჯენი კი ფიქრებმა წაიღო. მეზობლები ჭორაობენ. მისი წარსული არავისთვის საიდუმლოება არ არის, მაინც საიდან გაიგეს?

შვილთან საუბრით გაჩენილი ჭრილობა არ მოშუშებოდა, რომ ახალმა უსიამოვნებებმა იჩინა თავი. ერთხელ ჯენი თავის უახლოეს მეზობელ მისის ფილდთან შევიდა და იქ ფინჯან ჩაიზე სტუმრად მისულ მისის ბეიკერს შეხვდა. მისის ბეიკერს თურმე გაგონილი ჰქონდა ჯენის ცხოვრების ამბები და

კვინების ოჯახის უკმაყოფილება. ეს გახლდათ ენერგიული და არცთუ ისე უჭკუო ქალი. ჯენიმ რაღაცით მისის ბრეისბრიჯს მიაღწევს, საკმაოდ წინდახედულებას იჩენდა ახალი ნაცნობების გაჩენისას. ქალი მისის ფილდსაც ასევე მკაცრი წესრიგის დამცველად თვლიდა და ფრიად გაუკვირდა, რომ მის სახლში ჯენის შეხვდა, შეკრთა კიდევ, თუმცა არაფერი შეიმჩნია.

– გაიცანით, ეს მისის კვინია, – უთხრა მისის ფილდმა ალერსიანი ღიმილით.

მისის ბეიკერმა ახედ-დახედა ჯენის. მისი მზერა კარგს არას მოასწავებდა. –

მისის ლესტერ კვინი? – კითხვა შეუტრიალა მისის ბეიკერმა.

– დიახ, – მიუგო მისის ფილდმა.

– აჰა, – წარმოთქვა მისის ბეიკერმა ყინულივით ცივი ხმით, – მე ბევრი რამ მსმენია... მისის ლესტერ კვინზე.

მერე, თითქოს ჯენის არსებობა დაავიწყდაო, დიასახლისს მიუბრუნდა და ისეთი შინაურული საუბარი გაუბა, რომელშიც ჯენი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. უმწეოდ დადუმებულმა ჯენიმ აღარ იცოდა როგორც მოქცეულიყო. მისის ბეიკერი მალე წამოდგა, თუმცა ამკარად იგრძნობოდა, უფრო დიდი ხნით რომ იყო მოსული.

– არა. დარჩენა არ შემიძლია, მისის ნილს შევპირდი, უსათუოდ მოგინახულებ-მეთქი, – თქვა და წამოდგა. – იქნებ, ისედაც მოგაბეზრეთ თავი.

კარისკენ წასული მხოლოდ ზღურბლთან მოტრიალდა და ჯენის ცივად დაუკრა თავი.

– ამქვეყნად ვის აღარ შეხვდები, – ჩაილაპარაკა თავისთვის და დიასახლისს გამოემშვიდობა.

მისის ფილდმა საჭიროდ არ ჩათვალა ჯენის გამოქომაგებოდა, თუმცა თვითონ, ღმერთმა იცის, ვინ იყო. როგორც ეს ახლად გამდიდრებულ ქალებს სჩვევიათ, ყოველნაირად ცდილობდა კარგ საზოგადოებაში შეძრომას. მისის ბეიკერს კი გაცილებით უფრო საპატიო ადგილი ეკავა საზოგადოებაში, ვიდრე ჯენის, ასე რომ, მისი გულისთვის სტუმარს არ აწყენინებდა. მაგიდასთან რომ დაბრუნდა, ჯენის გაუღიმა, მაგრამ მისის ფილდს დამნაშავის ღიმილი ჰქონდა, ეტყობოდა, თვითონაც ეუხერხულა. ჯენიც, ბუნებრივია, ნირწამხდარი იყო. მალე რაღაც მოიმიზეზა და წავიდა. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, მიხვდა, რომ მისის ფილდი ნანობდა მასთან ურთიერთობის გაბმას. ეს ნაცნობობა რომ დამთავრებული იყო, ჯენის ეჭვი აღარ ეპარებოდა, კვლავ გულისმომკვლელი ფიქრები მოეძალა. არა, ცხოვრება ვერ ააწყო. ახლა აღარაფრის გამოსწორება შეიძლება, არც მომავლის იმედი უნდა ჰქონდეს. ლესტერი არ მოინდომებს ცოლად შერთვას, მისი რეპუტაციის გამოსწორებას.

დრო გადიოდა, ყველაფერი კვლავ ძველებურად იყო. ლამაზი სახლი, წესიერად მოვლილი გაზონები, ვერანდის სვეტებზე შემოხვეული ვაზი, ლამაზად დატოტვილი ხეები. ბაღში მოფუსფუსე გერჰარდტი, სკოლიდან დაბრუნებული ვესტა, ლამაზი ორთვალათი მიმავალი ლესტერი ყველა

მნახველს სრული კმაყოფილებისა და სიმშვიდის წარმოდგენას შეუქმნიდა, რომ ამ მშვენიერ სახლში მწუხარებას და ნაღველს არ დაესადგურებინა.

სახლში ცხოვრება დიახაც მშვიდად და უშფოთველად მიდიოდა. მართალია, მეზობლებმა შეწყვიტეს მათთან ურთიერთობა და საზოგადოებრივ გართობას წერტილი დაესვა, მაგრამ ეს მათ სულაც არ ადარდებდა. თავიანთ ოთხკედელშუა საკმაო სიხარულისა და გონებრივი გართობის საზრდოს პოულობდნენ. ვესტა როიალზე დაკვრას სწავლობდა და დიდ წარმატებებსაც აღწევდა, გოგონას ბრწყინვალე სმენა ჰქონდა. ჯენი ცისფერ, სოსანისფერ თუ მუქ მწვანე საშინაო კაბებში, რომელიც ასე უხდებოდა, დიასახლისობდა, კერავდა, მტვერს წმენდდა. ვესტას სკოლაში ისტუმრებდა, მოახლეს ასაქმებდა. გერჰარდტი დილიდან საღამომდე შრომობდა, – ყოველ საშინაო საქმეს მისი ხელი უნდა შეხებოდა. ერთ-ერთი მოვალეობა, – რომელიც თვითონ დაიკისრა, გახლდათ ლესტერისა და მსახურების კვალში მიყოლა, რათა მაშინვე გამოერთო გაზი ან ელექტრობა, თუ რომელიმე მათგანი ანთებულს დატოვებდა. გერჰარდტის აზრით, ასეთი საქციელი დანაშაულებრივი გამფლანგველობა იყო.

ყაირათიან მოხუცს არც ის მოსწონდა, რომ ლესტერი ყველაზე ძვირფას კოსტიუმსაც კი სულ რამდენიმე თვე ატარებდა და მერე აგდებდა. ლამის ეტირა, როცა ლესტერის გადაგდებულ ფეხსაცმელს დახედავდა, რომელსაც პატრონი მხოლოდ იმის გამო აღარ იცვამდა, რომ ქუსლი ოდნავ ცერად იყო მოცვეთილი, ანდა ზედაპირს მოსახრელში ოდნავი ხაზი გასჩენოდა. გერჰარდტი ირწმუნებოდა, შესაკეთებლად მივცეთო, მაგრამ მის ბუზლუნს და დარიგებებს ლესტერი მოკლედ პასუხობდა, ფეხზე აღარ მადგას კარგადო.

– გაგონილა ასეთი უყაირათობა! – შესჩიოდა გერჰარდტი ქალიშვილს. – რამდენი რამ იღუპება, აი, ნახე, თუ ცუდად არ გათავდეს ეს ყველაფერი! ამას რა ფული ეყოფა.

– სხვანაირად არ შეუძლია, – ამართლებდა ჯენი, – ასე გაზარდეს და რა ქნას!
– ეგ რა აღზრდაა! ამერიკელებს ყაირათისა არაფერი გაეგებათ. აბა გერმანიაში ეცხოვრათ, მაშინ მიხვდებოდნენ დოლარის ფასს!

ლესტერს ელიმებოდა, როცა ჯენი მამის სიტყვებს გადასცემდა. მოხუცი გერჰარდტი ლესტერს თითქოს ართობდა კიდევ.

ბერიკაცი ვერც ლესტერის სხვა ჩვეულებას ეგუებოდა – კერძოდ, ასანთის ღერების გაფუჭებას. ლესტერს ჩვევად ჰქონდა, ღერს გაჰკრავდა, ერთხანს ეჭირა ხელში და ისე ლაპარაკობდა იმის მაგივრად, რომ სიგარისთვის მოეკიდებინა და მერე აგდებდა. ანდა სიგარის მოკიდებამდე კარგა ხნით ადრე ასანთის ღერებს ერთმანეთზე მიყოლებით უკიდებდა. ვერანდაზე ერთი კუთხე ჰქონდა ამოჩემებული, სადაც ზაფხულის საღამოებს ჯენისთან საუბარში ატარებდა. ლესტერს უყვარდა სიგარის გაბოლება... ასანთის ღერებს ზედიზედ ანთებდა და მერე ბაღში ისროდა. ერთხელ გერჰარდტმა გაზონის კრეჭისას ნახევრად დამწვარი მთელი გროვა ასანთის ღერები აღმოაჩინა. შეძრწუნებულმა მოხუცმა ნამწვავები გაზეთის ქაღალდში შეახვია

დანაშაულის ნივთიერი მტკიცების საბუთად და ოთახში შეიტანა, სადაც ჯენი კერავდა.

– ნახე რა ვიპოვე! ერთი დახედე მხოლოდ! ამ კაცს ეკონომია ისე ესმის, როგორც... – მოხუცმა საჭირო სიტყვა ვეღარ იპოვა. ზის და აბოლებს, თან ასანთს უთავბოლოდ ისვრის. ერთი კოლოფი ასანთი ხომ ხუთი ცენტი ღირს! ხუთი ცენტი! ნეტავ როგორ უნდა იცხოვროს ასეთმა მფლანგველმა. მართლაცდა, რას ჰგავს ეს.

ჯენიმ შეხედა და თავი გააქნია.

– ჰო, ლესტერი ნამდვილად არ არის ყაირათიანი, – უპასუხა ქალიშვილმა.

გერჰარდტმა ასანთი სარდაფში შეინახა. ქუჩაში მაინც დავწვავ, ისიც კარგიაო. ამ ღერებით თავისი ჩიბუხის მოკიდებაც შეეძლო. მაგრამ უფრო მოსახერხებელი ძველი გაზეთის ხმარება იყო. ეს გაზეთებიც ხომ ზვინებად ეწყო, რაც, ისევ და ისევ, სახლის პატრონის მფანტველობაზე მიუთითებდა. განაწყენებული გერჰარდტი თავს უკმაყოფილოდ აქნევდა, აბა, რანაირად უნდა იმუშაო კაცმა, როცა ყველაფერი მის წინააღმდეგ კეთდება. მაგრამ მოხუცი ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა, იბრძოდა ამ დანაშაულებათა წინააღმდეგ. თვითონ უმკაცრეს ეკონომიას ეწეოდა. მთელი ორი წელი ლესტერის ნაქონი, გადაკეთებული შავი კოსტიუმი ატარა, რომელსაც მხოლოდ კვირაობით იცვამდა. ეს კოსტიუმი თავის დროზე მის პატრონს დიდი ფული დაუჯდა. სიძის გამონაცვალი ფეხსაცმელი ეცვა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ძალიან კარგად ჰქონდა, ჰალსტუხსაც იმისას ატარებდა, ოღონდ შავი ფერისას სხვა ფერი გერჰარდტს არ უყვარდა. ლესტერის ხალათებსაც კარგად მოიხმარდა, გადამკეთებული რომ ჰყოლოდა. მზარეული ქალის მეგობრული დახმარებით, ქვედა საცვლებსაც მშვენივრად ირგებდა. აბა, წინდების ხმარებას რაღა ედგა წინ, ასე რომ, გერჰარდტის ტანსაცმელზე ფული არ იხარჯებოდა.

სხვა ნივთებს, რაც ლესტერს აღარ ესაჭიროებოდა – ფეხსაცმელს, პერანგებს, კოსტიუმებს, საყელოებს, მოხუცი გულმოდგინედ აგროვებდა, თვეობით ინახავდა ხოლმე, მერე სახლში მოჰყავდა მკერავი, მეძველმანე თუ მეჯღანე და იმათთან ასაღებდა. ბერიკაცის აზრით, ძველი ტანსაცმლის შემსყიდველები ყველანი სისხლისმწოველი წურბელები იყვნენ და მათი სიტყვა სანდო არ იყო. ყველანი ტყუოდნენ. სულ სიღარიბეზე წუწუნებდნენ, ისე კი ფულებში ბანაობდნენ. ამაში გერჰარდტი ნაღდად დარწმუნდა – თვალი მიადევნა მეძველმანისთვის მიყიდულ ნივთს და გაიგო, რამდენად გაყიდა.

– არამზადები! – იძახდა აღშფოთებული მოხუცი, – წყვილ ფეხსაცმელში ათ ცენტს იძლევიან, თავიანთ დუქნებში კი ორ დოლარად ყიდიან. ნამდვილი ყაჩაღები არიან, ერთი დოლარი მაინც მოეცათ.

ჯენი იღიმებოდა. მარტო ის ისმენდა გერჰარდტის ჩვილს, ლესტერის თანაგრძნობის იმედი არ ჰქონდა. თავის საკუთარ გროშებს თითქმის მთლიანად ეკლესიას სწირავდა, სადაც გერჰარდტს კეთილმსახურების, ზნეობრივი სისპეტაკის, კეთილგონიერების, ერთი სიტყვით, ყოველგვარი სიკეთის განსახიერებად თვლიდნენ.

ამრიგად, ხალხის ბოროტი ენებისა და მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ეს მაინც ყველაზე ბედნიერი ხანა იყო ჯენის ცხოვრებაში. მართალია, ლესტერს ხანდახან ეჭვი გაჰკრავდა, მგონი, სწორი გზა ვერ ავირჩიეო, მაგრამ ჯენის მუდამ ალერსიანად ეპყრობოდა, იყო ძალიან ყურადღებიანი, ეტყობოდა, თავისი ოჯახური ატმოსფერო სავსებით აკმაყოფილებდა.

– როგორ მიდის საქმეები? – ეკითხებოდა ჯენი საღამოს შინ დაბრუნებულ ლესტერს.

– კარგად! მიუგებდა ისიც და ქალს ლოყაზე ხელს მოუსვამდა. სხარტი ჯანეტი ლესტერს პალტოსა და შლაპას ჩამოართმევდა და საკიდზე ჰკიდებდა.

ზამთრობით ბიბლიოთეკაში ვეებერთელა ბუხარს უსხდნენ ხოლმე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ლესტერი ვერანდას ირჩევდა, საიდანაც ლამაზი ბაღი და წყნარი ქუჩა მოჩანდა, აქ აბოლებდა სადილის წინ სიგარას, ხოლო მისი სავარძლის სახელურზე მჯდარი ჯენი თავზე ხელს უსვამდა.

– რა კარგია, რომ თმა არ გითხელდება, – ალერსით ეუბნებოდა ჯენი. ან სულაც ტუქსავდა: – შუბლს რად ჰმუხნი? ასე არ შეიძლება, დღეს ჰალსტუხი რატომ არ გამოიცვალე? ხომ მოგიმზადე ახალი.

– დამავიწყდა, – მიუგებდა ხოლმე ლესტერი და თან შუბლზე ნაოჭებს ისწორებდა, ხანაც სიცილით იტყოდა, მალე გავმელოტდებიო.

სასტუმრო ოთახში გერჰარდტისა და ვესტას თანდასწრებითაც ალერსიანად ექცეოდა ლესტერს, თუმცა ოდნავი თავშეკავებით. ჯენის უყვარდა თამაშები და თავსამტვრევი გამოცანები – შუშის ქვეშ ბურთულების თამაში, რებუსები, მაგიდის ბილიარდი. ამ მარტივ გასართობებში ლესტერიც იღებდა მონაწილეობას. ხანდახან საათობით უჯდა რომელიმე თავსატეხის ამოცნობას. ჯენი საოცარი მოხერხებით, გონივრულად ხსნიდა ამ ამოცანებს და ბედნიერად, ამაყად თვლიდა თავს, როცა ლესტერი მას მიმართავდა ხოლმე დასახმარებლად. როცა ლესტერს თავად უნდოდა ამოცანის ამოხსნა, მაშინ ჯენი ჩუმად ადევნებდა თვალს, ყელზე ხელს მოხვევდა და ნიკაპით მხარზე ეყრდნობოდა. ლესტერს სიამოვნებდა, ტკბებოდა ამ სიყვარულით, რასაც ჯენი ასე უხვად აფრქვევდა. დაუღლეი სიყვარულითვე პასუხობდა ქალის ახალგაზრდობასა და სილამაზეს. ჯენის გერდზე თვითონაც ახალგაზრდად გრძნობდა თავს. ლესტერს ყველაზე მეტად ცხოვრებაში უაზრო სიბერის მოახლოება აშინებდა, ხშირად იტყოდა ხოლმე:

– ახალგაზრდად მიინდა დავრჩე ანდა ახალგაზრდავე მოვკვდე.

ჯენის ესმოდა მისი. ლესტერის სიყვარულით გათანგულ ქალს ახლა ისიც ჰგვრიდა კმაყოფილებას, რომ მასზე გაცილებით ახალგაზრდა იყო.

ჯენის განსაკუთრებით, ლესტერისა და ვესტას დაახლოება ახარებდა. საღამოობით ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ბიბლიოთეკაში, ვესტა უზარმაზარ მაგიდასთან იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა. ჯენი კერავდა, გერჰარდტი კითხულობდა თავის აურაცხელ გერმანულ გაზეთებს. მოხუცს სწყინდა, რომ ვესტა გერმანულ ლუთურენულ სამრევლო სკოლაში არ სწავლობდა, მაგრამ ლესტერს ამის გაგონებაც არ უნდოდა.

– ვიღაც გერმანელებმა ასწავლონ? – გაიოცა მან, როდესაც ჯენიმ მოხუცის სურვილი ამცნო. – დაწყებითი სკოლა ყველა ბავშვისთვის კარგია. მამას უთხარი, ბავშვს თავი დაანებოს.

ზოგჯერ განსაკუთრებით კარგად გრძნობდნენ თავს. ლესტერს უყვარდა შვიდი წლის მოსწავლის გამოჯავრება, ბავშვს მუხლებს შორის მოიქცევდა და უბრალო ცხოვრებისეულ ამბებს მახინჯად წარმოუდგენდა, აკვირდებოდა გოგონას აზროვნების მოქნილობას, როგორ აღიქვამდა ამ უცნაურობებს.

– რა არის წყალი? – ეკითხებოდა ლესტერი. გოგონაც მაშინვე პასუხობდა: «ეს ის არის, რასაც ჩვენ ვსვამთ», ლესტერი გაოცებით დააჰყეცტა თვალებს და კვლავ ჩაეკითხებოდა: – კეთილი. მაგრამ რა არის ეს, არ იცი? ამის მეტს არაფერს გასწავლიან სკოლაში?

– მაგრამ ჩვენ ხომ ვსვამთ წყალს? – არ ჩერდებოდა ვესტა.

– ჩვენ კი ვსვამთ, მაგრამ რა არის წყალი, არ იცი, ჰკითხე მასწავლებელს, იქნებ იმან გითხრას.

და პატარა გოგონა თავს იმტვრევდა ამ რთული ამოცანის ამოხსნაზე.

ლესტერი მზად იყო ყველაფერი ქიმიურ ელემენტებად დაეშალა: საკვები, ჭურჭელი, გოგონას კაბაც. ვესტა რაღაც ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ნაცნობი საგნების გარეგნული იერის შიგნით რაღაც იმალებოდა და, ცოტა არ იყოს, შეშინდა კიდევ. სკოლაში წასვლის წინ გოგონა ლესტერს გამოეცხადებოდა ხოლმე, რადგან ლესტერი ძალიან მომთხოვნი იყო ვესტას ჩაცმულობისა და, საერთოდ, მისი გარეგნობის მიმართ. უნდოდა ყოველთვის ლაზათიანად ყოფილიყო ჩაცმული, თმაზე დიდი ცისფერი ბაფთა ჰქონოდა, ფეხზეც სეზონის მიხედვით სცმოდა ხან მაღალყელიანი, ხან დაბალყელიანი ფეხსაცმელი. ის კი არა, ტანსაცმლის შერჩევასაც ითხოვდა გოგონას სახისა და ხასიათის გათვალისწინებით.

– გოგონას მხიარული, მსუბუქი ხასიათი აქვს, მუქს ნურაფერს ჩააცმევ, – უთხრა ერთხელ ჯენის.

ჯენი ლესტერის გემოვნებას ანგარიშს უწევდა და ქალიშვილს ხშირად ეტყოდა ხოლმე:

– გაიქეცი, ბიძიას ეჩვენე.

ვესტაც ლესტერს წინ დაუდგებოდა და ტრიალ-ტრიალით

იძახდა: – აბა, შემომხედე! აბა, შემომხედე!

– ჰო, კარგია, შეგიძლია

წახვიდე. და ბავშვიც გარბოდა.

ლესტერი ჭეშმარიტად ამყობდა ვესტათი. კვირაობით, როცა სასაქონლო მიდიოდნენ, ვესტას შუაში ჩაისვამდნენ ხოლმე. მერე ვესტას საცეკვაო სკოლაში მიბარება მოითხოვა. უნდა გენახათ, როგორ წუხდა და ბორგავდა მოხუცი გერჰარდტი.

– ეს რა ცოდვას სჩადიან, რა ამბავია! – შესჩიოდა ჯენის. – ეს ეშმაკის საქმეა! რაში სჭირდებოდა ცეკვა ბავშვს? რატომ, რისთვის? იმისთვის, რომ მერე ერთი თავქარიანი ვინმე დადგეს და შეგვარცხინოს?

_ რას ამბობ, მამა, _ შეეპასუხა ჯენი. _ რა არის ამაში საშიში? კარგი სკოლაა, ლესტერის აზრით, ცეკვის სწავლა ვესტასთვის სასარგებლოა.

_ ოჰ, ეს ლესტერი! ძალიან ესმის, რა არის სასარგებლო და რა არა. კაცი, რომელიც კარტს თამაშობს და ვისკის სვამს!

_ ჩუმად, მამა, ეგრე ნუ ლაპარაკობ, _ ეხვეწებოდა ჯენი. _ ლესტერი კარგი ადამიანია, ეს შენც იცი.

_ რაღაცაში კარგია, მაგრამ ყველაფერში კი არა.

უკმაყოფილო ბერიკაცი ბურდლუნით გაეცლებოდა ხოლმე. თუმცა ლესტერის თანდასწრებით ხმას არ იღებდა, აბა ვესტა ხომ თავის ჭკუაზე ატრიალებდა.

_ პაპა, _ ეუბნებოდა გოგონა და სახელოზე ექაჩებოდა, ხანაც ხეშემ ლოყაზე ხელებს უთათუნებდა. გერჰარდტიც დნებოდა, ბავშვის ალერსი შეპასუხების უნარს უკარგავდა, ყელში რაღაც ებჯინებოდა, თითქოს ახრჩობდა.

_ გიცნობ, რაცა ხარ, _ ალერსით ეტყოდა ხოლმე.

ზოგჯერ ვესტა ყურს უკან მოუფხაჭუნებდა.

_ გაჩერდი, _ შეუტევდა პაპა. _ გეყოფა ცელქობა.

ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ ვესტა მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როცა სიცელქე თვითონვე მობეზრდებოდა. გერჰარდტი ბავშვს აღმერთებდა და ყოველნაირ სურვილს უსრულებდა, იგი ვესტას მორჩილი მონა გახლდათ.

ოცდამეცხრამეტე თავი

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლესტერის უწესო ცხოვრებით გამოწვეული დედ-მამის, მთელი ოჯახის უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. შინაურებისთვის ნათელი იყო, რომ ადრე თუ გვიან, შეჯახება გარდუვალი იქნებოდა. ბოროტი ხმები სისინებდნენ. როგორც ჩანდა, ყველამ ყველაფერი იცოდა, თუმცა, ამკარად არავინ არაფერს ამბობდა. მოხუცი კეინის გაცეზას საზღვარი არ ჰქონდა: როგორ ბედავდა მისი ვაჟი საზოგადოების ასეთ უგულვებელყოფას! ვთქვათ, განსაკუთრებული ქალი რომ იყოს, ცნობილი მსახიობი, მხატვარი ან პოეტი, კიდევ ჰო, შეიძლებოდა ლესტერის გატაცების ახსნა და გამართლება, მაგრამ ლუიზას აღწერით იგი ყოველად საშუალო ქალი იყო, არც სილამაზით ბრწყინავდა, არც ტალანტით, _ პირდაპირ გაუგებარია, სრულიად გაუგებარი!

ლესტერი _ მისი ვაჟი, მისი რჩეული შვილი. რა სავალალოა, რომ ცხოვრება წესიერად ვერ მოაწყო, მერედა ცინცინატში რამდენ კარგ ქალს მოსწონდა. აი, თუნდაც ლეტი პეისი. აი, ვინ უნდა შეერთო. ლამაზი, ჭკვიანი, გულკეთილი. მოხუცი კეინი ჯავრობდა, წუხდა, მერე და მერე მთლად განრისხდა. რცხვენოდეს, რომ ასე აწყენინა მამას! რა უღირსად, რა შეუფერებლად, რა უწესოდ იქცევა. არჩიბალდ კეინს ყოველთვის აწუხებდა ეს ამბავი, ბოლოს გადაწყვიტა ემოქმედა, რადგან ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. თუმცა ვერ

გეტყოდათ, როგორ უნდა შეცვლილიყო მდგომარეობა. ლესტერი თვითონ იყო თავის თავის პატრონი და შენიშვნასაც ვერ აიტანდა. გამოდიოდა, რომ არაფრის გაკეთება არ ხერხდებოდა.

ოჯახში ათასგვარი ცვლილება მოხდა, რამაც დააჩქარა ამ საქმის გახსნა. ლუიზა ჩიკაგოში ლესტერთან სტუმრობის შემდეგ მალე გათხოვდა და სახლიც დაცარიელდა. ხანდახან შვილიშვილები თუ მოაკითხავდნენ მოხუცებს. ლესტერი ლუიზას ქორწილში არ წავიდა, თუმცა მოწვევა კი გაუგზავნეს. მერე გარდაიცვალა მისის კეინი და ამასთან დაკავშირებით მოხუც არჩიბალდს ანდერძის შეცვლა მოუხდა, რის გამოც ლესტერს ჩამოსვლა მოუწია. იგი მართლაც, ფრიად დანაღვლიანებული და დამწუხრებული იყო. აწუხებდა იმის შეგნება, რომ ბოლო დროს იშვიათად ნახულობდა დედას და ამდენი უსიამოვნება მიაყენა; თავის საქმეებზე კრინტი არ დაუძრავს, მამას უნდოდა შვილს მოლაპარაკებოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა – სხვა დროისათვის გადადო. ლესტერი ჩიკაგოში დაბრუნდა და რამდენიმე თვით ისევ მიწყნარდა ყველაფერი.

ლუიზას გათხოვებისა და ცოლის გარდაცვალების შემდეგ კეინი რობერტთან გადასახლდა. ასე იყო თუ ისე, მოხუცებულობის ჟამს მისი ერთადერთი სიხარული შვილიშვილები იყო. ახლა რობერტს ხელში ეჭირა ფირმის ყველა სადავე, თუმცა კაპიტალის გაყოფა მხოლოდ მოხუცის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა. რობერტს ურყევად სწამდა, რომ ბოლოს და ბოლოს ის იქნებოდა მთელი საწარმოს ხელმძღვანელი. რობერტი არ ზოგავდა ძალებს, სურდა ყველანაირად ეამებინა მამისთვის, დებისთვის, სიძეებისთვის. რობერტის ამ საქციელს ფარისევლობას ვერ დაარქმევდით, ეს იყო საქმოსნის ცივი ანგარიში იმდენად ეშმაკური, რომ ლესტერი ვერც მიხვდებოდა. რობერტი უკვე ორჯერ მეტი ქონების პატრონი იყო, ვიდრე სხვა შვილები, მაგრამ იგი ამას მალავდა და თავიც ისე ეჭირა, თითქოს ძალიან მცირე შემოსავალი ჰქონდა. იცოდა, რომ ნათესავების შური საქმეს ავნებდა, ამიტომ სპარტანულ ცხოვრებას ეწეოდა და გარკვეულ დრომდე ფარულად ზრდიდა თავის პირად შემოსავალს. ლესტერი ცხოვრების დინებას მიჰყვებოდა, რობერტი კი შრომით წელებზე ფეხს იდგამდა.

იმ გარემოებას, რომ რობერტი ფირმის ხელმძღვანელობიდან ძმის ჩამოცილების გეგმას ეპოტინებოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან ლესტერის ჩიკაგოში ცხოვრების ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ მოხუცი კეინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლესტერისთვის მნიშვნელოვანი თანხის მიცემა სისულელე იქნებოდა. მისი აზრით, ლესტერი არ იყო ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორც ადრე ეგონა. რა შედარებაა, ლესტერი, შესაძლოა, ძმაზე უფრო გონიერია, უფრო გულითადი, უკეთესი გარეგნობისა და საზოგადოებაში მეტი წარმატების მქონე – მაგრამ რობერტს საქმოსნის ალლო აქვს და უხმაუროდ შეუძლია მიზნის მიღწევა. თუ ახლა ლესტერი ხელს არ გამოიღებს, მაშინ რაღას ელოდოს? უფრო მართებული იქნება, კაპიტალი იმას დაუტოვოს, ვისაც უკეთ შეუძლია მისი მოვლა!

არჩიბალდ კეინი თითქმის მზად იყო თავისი ვეჯილისთვის ანდერძის შეცვლა ებრძანებინა, თანაც იმგვარად, რომ თუ ლესტერი თავის ცხოვრებას არ შეცვლიდა, მემკვიდრეობიდან არაფერს მიიღებდა, გარდა უმნიშვნელო წლიური შემოსავლისა. მაგრამ მოხუცმა ლესტერს კიდევ ერთი შესაძლებლობის უფლება მიანიჭა. სამარცხვინო ცხოვრებიდან ხელის აღება და საზოგადოებაში შესაფერი ადგილის დაჭერა მოსთხოვა. იქნებ, კიდევ არ არის გვიან? მას ხომ მშვენიერი მომავალი აქვს. ნუთუ თავის თავის მტერია და ყოველივე ამას ხელს ჰკრავს. მოხუცმა არჩიბალდმა ლესტერს მისწერა, შენთან მოლაპარაკება მინდა და როცა მოისურვებ, ჩამოდიო. ოცდათექვსმეტი საათის შემდეგ ლესტერი ცინცინატში გაჩნდა.

– ერთხელ კიდევ მინდა მოგელაპარაკო, ლესტერ, – დაიწყო მოხუცმა, – თუმცა ჩემთვის ეს ადვილი საქმე არ არის, ალბათ, ხვდები რას ვგულისხმობ?

– ვიცი, – მშვიდად მიუგო ლესტერმა.

– როცა ახალგაზრდა ვიყავი, ვფიქრობდი ვაჟიშვილების პირად ცხოვრებაში არამც და არამც არ ჩავერევი-მეთქი, მაგრამ წლებმა შეხედულება შემიცვალა. საქმოსანი ნაცნობების მაგალითმა დამარწმუნა, რამდენად ეხმარება ადამიანს კეთილგონიერი ქორწინება. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, ვაჟიშვილები რაც შეიძლება კარგად დამექორწინებინა. შენი ყოველთვის მეშინოდა, ლესტერ, და ეს შიში დღემდე გრძელდება. შენმა ახლანდელმა ცხოვრებამ ბევრი მწარე წუთი განმაცდევინა. დედაშენსაც სიკვდილამდე მოსვენებას არ აძლევდა შენზე ფიქრი. ამაზე მეტად სხვა არაფერი აღონებდა. შენი აზრით, ვითომ არ დადგა დრო საზღვარი დაედოს ყოველივე ამას? უსიამოვნო ხმებმა ჩვენს ქალაქამდეც მოაღწია. ჩიკაგოზე რა მოგახსენო, მაგრამ მგონია, რომ იქ ეს ამბავი არავისთვის საიდუმლო არ არის. ეს კი, რა თქმა უნდა, ავნებს ჩვენს ჩიკაგოს განყოფილებას. გავნებს თვითონ შენც. უკვე იმდენი ხანია ეს ამბავი გრძელდება, რომ მთელ შენს მომავალს საფრთხე ემუქრება, შენ კი ძველებურად ჯიუტობ. რატომ?

– ალბათ, იმიტომ, რომ მიყვარს, – მიუგო ლესტერმა.

– არა მგონია, რომ ამას სერიოზულად ამბობდე, – შეაწყვეტინა მამა, – რომ გყვარებოდა, თავიდანვე ცოლად შეირთავდი. ქალთან წლების მანძილზე ცხოვრობ, სახელს უტეხ იმასაც და შენს თავსაც. მხოლოდ სიტყვით არწმუნებ, რომ გიყვარს. იქნებ, ეს ვნებაა და არა სიყვარული.

– რა იცი, რომ არ შემირთავს? – შეუდრეკლად ჰკითხა ლესტერმა. უნდოდა გამოეცადა, როგორ შეხვდებოდა მამა ასეთ შესაძლებლობას.

– ტყუილია! – წამოიძახა მოხუცმა და სავარძლიდან წამოდგა.

– ჰო, ტყუილია, – თქვა ლესტერმა, – მაგრამ შეიძლება სიმართლედ იქცეს. იქნებ, შევირთო კიდევ.

– არა მჯერა! – შეჰყვირა მამამ. – ვერ დავიჯერებ, რომ ჰკვიანმა კაცმა ასეთი სულელური ნაბიჯი გადადგას. თავი აღარ გაბია? ამდენი წელი სამარცხვინო კავშირის შემდეგ კიდევ ცოლად შერთვაზე ლაპარაკობ! ეს რომ გდომებოდა, თავიდანვე შეირთავდი. მშობლები შეარცხვინე, დედას გული გაუხეთქე,

საქმეს ზარალი მიაყენე, ხალხს საჭორაო მიეცი და ახლა გინდა ცოლად შეირთო? არა მჯერა.

მოხუცი არჩიბალდი წამოდგა და წელში გასწორდა.

– ნუ ლელავ, მამა, – საჩქაროდ უთხრა ლესტერმა, – ასე ჩვენ ვერაფერს მოვილაპარაკებთ. ვიმეორებ, შეიძლება შევირთო-მეთქი. ის არ არის ცუდი ქალი და გთხოვ, ცუდს ნურაფერს იტყვი. შენ იგი არ გინახავს და არც არაფერი იცი.

– საკმაოდ კარგად ვიცი, – მტკიცედ შეაწყვეტინა მოხუცმა, – მე ის ვიცი, რომ არც ერთი პატიოსანი ქალი ასე არ მოიქცევა. ჩემო კარგო, იგი შენს ფულს არის ჩაჭიდებული, სხვა არც არაფერი უნდა, ამას ყველა სულელი მიხვდება.

– რა საჭიროა, მამა ასეთი სიტყვები, – მაშინვე შეეპასუხა ლესტერი, – არ იცნობ, არც კი გინახავს. ლუიზა ჩამოვიდა და გაბრაზებულმა რაღაც იცხებდა. ჰოდა, თქვენც დაიჯერეთ. ის სულაც არ არის ისეთი, როგორც გგონია, ტყუილად ლანძღავ და დაუმსახურებლად აგინებ. რატომღაც არ გინდა წესიერად განსაჯო.

– წესიერად! – შეაწყვეტინა არჩიბალდმა. – შენ კი იქცევი წესიერად? წესიერად ექცევი საკუთარ ოჯახს, განსვენებული დედის სახელს? წესიერებაა ქუჩიდან აყვანილ ქალთან ცხოვრება? წესიერებაა...

– კმარა მამა! – წამოიყვირა ლესტერმა და ხელი ასწია. – გაფრთხილებ, არ მსიამოვნებს ასეთი სიტყვების მოსმენა. შენ უდიერად ახსენებ ქალს, რომელთანაც ვცხოვრობ და რომელიც შეიძლება შევირთო. მე შენ მიყვარხარ, მაგრამ ნებას არ მოგცემ უსამართლოდ ილაპარაკო. მე ის ქუჩიდან არ ამიყვანია. მშვენივრად იცი, რომ ასეთ ქალთან საქმეს არ დავიჭერდი. ან მშვიდად მოვილაპარაკოთ, ანდა აქ აღარ გავჩერდები. მაპატიე, თავადაც მიმიძიმს, მაგრამ ასეთი ტონით საუბრის გაგრძელება აღარ შემიძლია.

მოხუცი არჩიბალდი გაჩუმდა. ყველაფრის მიუხედავად, იგი პატივს სცემდა თავის ურჩ შვილს. სავარძელს ზურგით მიეყრდნო და თვალები დახარა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

– შენ ისევ იქ ცხოვრობ? – ჰკითხა ბოლოს.

– არა, ჰაიდ-პარკში გადავედით. სახლი დავიქირავე.

– გავიგე, რომ ბავშვი გყავთ, შენია?

– არა.

– შენი შვილები არა

გყავს? – არა.

– მადლობა ღმერთს.

ლესტერმა ნიკაპი მოიფხანა.

– ცოლად შეერთვას ფიქრობ?

– არა, ასე არ მითქვამს, შეიძლება-მეთქი.

– შეიძლება! – წამოიყვირა მოხუცმა და ისევ აფეთქდა. – რა ტრაგედიაა! შენი მომავლისა და შენი შესაძლებლობის პატრონი! თვითონ განსაჯე, შემიძლია ჩემი ქონების ნაწილი ვანდო ადამიანს, რომელსაც სულ არ ენაღვლება საზოგა-

დოების აზრი? გამოდის, რომ ჩვენი ფირმა, ოჯახი, შენი სახელი, ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია? სად არის შენი სიამაყე, ლესტერ? არა, ეს რაღაც ველური ფანტაზიაა!

– ამის ახსნა ძალიან ძნელია, მამა, და არც ვაპირებ. ერთი რამ ვიცი, რომ თვითონ წამოვიწყე ეს ამბავი და ბოლომდე უნდა მივიყვანო. იქნებ, ყველაფერი კეთილად დამთავრდეს. ახლა გარკვევით ვერაფერს ვიტყვი. შეიძლება, შევირთო, შეიძლება არა. ახლა გადაწყვეტით არაფრის თქმა შემიძლია. შეძლებისდაგვარად ყველაფერს გავაკეთებ.

მოხუცმა თავი ურწმუნოდ გაიქნია.

– როგორც ვხედავ, სულ დაიბენი, ლესტერ, ჩიხში ხარ მომწყვდეული. რამდენადაც მივხვდი, ისევ შენს აზრზე დგომას აპირებ. რაც უნდა გითხრა, მაინც ვერაფერს გაგაგებინებ.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამჟამად ასეა.

– მაშინ გაფრთხილებ, იცოდე, თუ სათანადო პატივისცემას არ გამოიჩენ ოჯახისა და თვით შენი თავის, როგორც ჩვენი ფირმის წარმომადგენლისადმი, იძულებული ვიქნები, ანდერძი შევცვალო. რომ წაგიყრუო, მაშინ მეც შენი ხელის შემწყობი და მონაწილე გამოვდივარ. ამას ბოლო უნდა მოელოს. ან დაშორდი, ან შეირთე. რაღაც გადაწყვიტე. თუ თავს დაანებებ, ყველაფერი კარგად იქნება. შეგიძლია იგი საუკეთესოდ უზრუნველყო, მე არ დაგიშლი. ფულსაც მოგცემ, რამდენიც საჭირო იქნება. მაშინ შენც სხვა შვილების თანაბრად მიიღებ წილს, როგორც ეს თავიდანვე იყო გათვალისწინებული. ხოლო თუ შეირთავ, სხვანაირად წავა საქმე. აირჩიე, რომელიც გნებავს. მხოლოდ მე აღარ დამემდურო, შენს თავს დააბრალებ. მე შენ მიყვარხარ. მამა ვარ შენი. სხვაგვარად არ შემიძლია, ისე მოვიქცევი, როგორც მოვალეობის გრძნობა მკარნახობს. ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე და შენი საბოლოო გადაწყვეტილება მაცნობე.

ლესტერმა ამოიოხრა. მიხვდა, რომ შეკამათება უაზრობა იყო. მამა, რა თქმა უნდა, აღარ ხუმრობდა, მაგრამ როგორ მიაგდოს ჯენი? ასეთ სულმდაბლობას თავის თავს არასოდეს აპატიებს. ნუთუ მამა მართლა აღარ მისცემს მემკვიდრეობიდან თავის წილს? არა, რა თქმა უნდა, მოხუცს ახლაც უყვარს იგი, განა ვერ ატყობს? ლესტერი შემკრთალი და შემფოთებული იყო. განსაკუთრებით ძალდატანება აღაშფოთებდა. თანაც რას სთხოვენ მას, ლესტერ კეინს, უნამუსობისკენ უბიძგებენ – მიატოვოს ჯენი. დანაღვლიანებულმა ლესტერმა თავი ჩაღუნა.

მოხუცი არჩიბალდი მიხვდა, რომ ისარი მიზანს მოახვედრა.

– კარგი, – თქვა ბოლოს ლესტერმა, – საკამათო აქ აღარაფერია, ყველაფერი ნათელია. არ ვიცი, მომავალში როგორ მოვიქცევი, უნდა მოვიფიქრო. ასე უცბად ვერაფერს გადავწყვეტ.

მამა-შვილმა ერთმანეთს შეხედა. ლესტერს გულს უკლავდა იმის შეგრძნება, რომ საზოგადოებრივი აზრი მის წინააღმდეგ იყო მიმართული და მამა ასე მწვავედ განიცდიდა ამ ამბავს. ბერიკაცს შვილი ეცოდებოდა, მაგრამ მტკიცედ

გადაწყვიტა, თავისი გეგმა ბოლომდე მიეყვანა. დარწმუნებული არ იყო, რომ ლესტერი აზრს შეიცვლიდა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, იქნებ, ჭკუაზე მოვიდესო.

– ნახვამდის, მამა, – უთხრა ლესტერმა და ხელი გაუწოდა. – ორი საათის მატარებელს უნდა მივუსწრო. სხვა ხომ არაფრისთვის გჭირდება?

– არა.

ლესტერის წასვლის შემდეგ მოხუცი დიდხანს იჯდა მწარედ ჩაფიქრებული: განა შეიძლება კარიერის ასე დაღუპვა? ასეთი შესაძლებლობების ღალატი? ამნაირი ბრმა სიჯიუტის გამოჩენა ასეთ ცოდვილ საქმეებში! მოხუცმა თავი გაიქნია. არა, რობერტი უფრო ჭკვიანია. მართლაც რომ შეუძლია მსხვილი საწარმოს გაძღოლა. ფრთხილი და გონებანათელი კაცია. მოხუცი გაუნძრევლად იჯდა და ფიქრობდა... გულის სიღრმეში კი გზასაცდენილ ვაჟიშვილს ძველებურად პირველი ადგილი ეკავა.

მეორმოცე თავი

ლესტერი ჩიკაგოში დაბრუნდა. მიხვდა, რომ მამას ძლიერ აწყენინა. მოხუც არჩიბალდს ასე მრისხანედ არასოდეს ულაპარაკია მასთან. მაგრამ ლესტერი მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ საქმე არ გამოსწორდებოდა; ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ მამის ნდობასა და სიყვარულს მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებდა, თუ ჯენისთან კავშირს გაწყვეტდა. რაც შეეხება მაღალი საზოგადოების აზრს, ამას ლესტერისთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. იგი უიმათოდაც ადვილად გაძლებს. თუმცა, მართლა ასეა? ყოველგვარი სისუსტე, თვით სისუსტის ჩრდილიც კი აშინებს ადამიანებს. შეგნებულად უქცევენ გვერდს ბედუკუდმართ ქალს თუ კაცს, ისე გაურბიან, თითქოს ეშინიათ, მათი ხვედრი ჩვენც არ გადმოგვედოსო. ლესტერმა ასეთი რამ საკუთარ თავზე გამოსცადა.

ერთ მშვენიერ დღეს ლესტერს ბერი დოჯი შეხვდა, ფირმა «დოჯი, ჰოლბრუკი და კინსბერის» ხელმძღვანელი, მილიონერი. ამ ფირმას საფეიქრო მრეწველობაში ისეთივე ადგილი ეკავა, როგორც ეტლების წარმოებაში «კომპანია კეინს». იგი ლესტერის საუკეთესო მეგობარი გახლდათ, ისეთივე ახლობელი, როგორც კლივლენდელი ჰენრი ბრეისბრიჯი და ცინცინატიელი ჯორჯ ნოულზი. ლესტერი ხშირი სტუმარი იყო სანაპიროზე მდებარე ბერის ბრწყინვალე სახლისა, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს საქმეში და სხვადასხვა მიღებებზეც. მაგრამ ლესტერის ჰაიდ-პარკში გადასახლების შემდეგ მათი მეგობრობა დამთავრდა. და აი, ახლა, მიჩიგან-ავენიუზე შეხვდნენ ერთმანეთს, სწორედ კეინის ფირმის განყოფილებასთან.

– ოჰ, ლესტერს გაუმარჯოს, რამდენი ხანია აღარ მინახიხარ, უთხრა დოჯმა თავაზიანად და ხელი გაუწოდა. ლესტერს მისი ტონი ჩვეულებრივზე უფრო ცივი ეჩვენა. – გავიგე, დაქორწინებულხარ კიდევ.

– მსგავსი არაფერი მომხდარა, – მიუგო ლესტერმა ყოვლად ძალდაუტანებელი ხმით.

– რა დასამალია! – განაგრძო დოჯმა და გაღიმება სცადა, თუმცა მხოლოდ ტუჩები მობრიცა. გულმოდგინედ ცდილობდა მეგობრული ტონის შენარჩუნებას და დამაბული მდგომარეობიდან თავის დაძვრენას. – ჩვეულებრივ, ასეთ რამეს არ ვმალავთ, ახლო მეგობრებისათვის მაინც უნდა გაგეგებინებინა.

– მე კი სხვა გზა ავირჩიე, ვფიქრობ, ასეთი ამბის გამოფენა არ არის საჭირო, – თქვა ლესტერმა და გულში მოწამლული ისრის მოხვედრა იგრძნო.

– ჰო, ეს გემოვნების საქმეა, – თქვა დაბნეულმა დოჯმა. – შენ, რა თქმა უნდა, ქალაქში ცხოვრობ, არა?

– ჰაიდ-პარკში.

– კარგი ადგილია. ისე, საქმეები როგორ მიდის? – მოხერხებულად შეცვალა სალაპარაკო თემა და გამომშვიდობებისას ხელი უგერგილოდ დაუქნია.

ლესტერს თითქოს დანა გაუყარესო, ისე ემწარა მეგობრის საქციელი.

დოჯს რომ ცოლიან კაცად ჩაეთვალა, მაშინ ათასნაირ კითხვას დააყრიდა, როგორც ახლო მეგობარს, დაინტერესდებოდა, ვინ იყო მისის კეინი. გაიბმებოდა საუბარი, როგორც ეს ერთი წრის ხალხს სჩვევია. დოჯი სტუმრად მიიპატიჟებდა მეუღლითურთ. თვითონაც შეჰპირდებოდა მოსვლას. ახლა კი ერთი სიტყვაც არ დასცდენია! ლესტერი მიხვდა, რომ ეს შემთხვევითი ამბავი არ იყო.

ასევე მოექცნენ ცოლ-ქმარი მურები, ოლდრიჩები და სხვები. თითქოს ეგონათ, ცოლი შეირთო და თავისთვის მოყუჩდაო. კითხულობდნენ, სად ცხოვრობდა, ეხუმრებოდნენ, ასე ჩუმად ცოლი რატომ შეირთეო, მაგრამ ჯიუტ ცნობისმოყვარეობას მაინც არ ავლენდნენ მისის კეინის მიმართ. ლესტერი რწმუნდებოდა, რომ ასეთი საქციელი კარგს არას მოასწავებდა.

ყველაზე მწარე უსიამოვნება ერთ ძველ ნაცნობთან, უილიამ უიტნისთან შეხვდა. მართალია, წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია, მაგრამ სწორედ ამიტომაც იყო უფრო მწარე. ერთ საღამოს ლესტერი თავის კლუბში სავახშმოდ შევიდა, პალტო გაიხადა და სიგარეტის საყიდლად კოსკისკენ გასწია. სწორედ აქ შეეჩეხა უიტნის. იგი კლუბის მუდმივი სტუმარი გახლდათ, – ეს მაღალი, გამხდარი, სუფთად პირგაპარსული, საუცხოოდ ჩაცმული ცინიკოსი ამ საღამოს გვარიანად გადაკრულიც ჩანდა.

– ოჰ, ლესტერ! – შესძახა მან. – ეს რა ბუდე გაგიჩენია ჰაიდ-პარკში? როგორც გეტყობა, დროს არ კარგავ? მაგრამ მერე ცოლს როგორ აუხსნი, როცა დაქორწინდები?

– ასახსნელი არაფერია და არც ვალდებული ვარ ავუხსნა, – მიუგო გაღიმებულმა ლესტერმა. – მაინც რაში გაინტერესებს ჩემი საქმეები? რამდენადაც ვიცი, არც შენა ხარ ანგელოზი.

– ჰა-ჰა-ჰა! – ეს კარგი იყო, ღმერთმანი! ცოლად ხომ არ შეგირთავს ის ლამაზმანი, ჩრდილოეთის მხარეს რომ დაასეირნებდი, ჰა? ჰო, მითხარი! ცოლად შეირთე? თუ ისე, ხალხი ჭორაობს?

– გაჩუმდი, უიტნი, – შეაწყვეტინა ლესტერმა, – სისულელეს ლაპარაკობ.

– ბოდიშს ვიხდი, – უთხრა უიტნიმ როგორღაც თავაგდებულად, თუმცა ოდნავ გამოფხიზლდა კიდევ, – მაპატიე. არ დაგავიწყდეს, ცოტა გადაკრულში ვარ. რვა ჭიქა სუფთა ვისკი დავლიე ახლა ბუფეტში, ბოდიშს ვიხდი, როცა ფხიზელი ვიქნები, მაშინ ვილაპარაკოთ, ლესტერ, ჰო? ჰა! ჰა! ჰა! ცოტა მთვრალი ვარ! აბა, სულ კარგად! ჰა! ჰა! ჰა!

ეს საზიზღარი ხარხარი დიდხანს ედგა ყურებში. ესმოდა, როგორც შეურაცხყოფა, თუმცა უიტნი მთვრალი იყო. «ჩრდილოეთის მხარეს რომ ლამაზმანს დაასეირნებდი ცოლად ხომ არ შეირთე?» – ლესტერი ბრაზმორეული იხსენებდა უიტნის თავხედურ სიტყვებს. დასწყევლოს ღმერთმა, ეს კი მეტისმეტია. ჰო, ჭეშმარიტად ძვირად უჯდება ჯენისთან ურთიერთობა.

ორმოცდამეერთე თავი

ეს კიდევ არაფერი, ამას უარესი ამბები მოჰყვა. ამერიკელებს უყვართ ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაკიცხვა. დიახ, კეინები მდიდრებიც იყვნენ და საკმაოდ ცნობილნიც. ჰოდა, აი, გავრცელდა ხმა, რომ კეინების ფირმის პირდაპირმა მემკვიდრემ, ლესტერმა ცოლად შეირთო მოახლე. კეინის ვაჟმა ჩაიდინა უმსგავსობა! ვითომ ეს შეუძლებელია? აი, რა გემრიელი ლუკმა მოიგდეს ხელში რეპორტიორებმა. გაზეთებმა მაშინვე აიტაცეს პიკანტური ამბავი. მაღალი საზოგადოების გაზეთი «სამხრეთის მხარის ახალი ამბები» მართალია, ლესტერს არ ასახელებდა, მაგრამ დაწვრილებით აღწერდა «ცინცინატის მდიდარი ფაბრიკანტის ვაჟიშვილის ამბებს», გადმოსცემდა მის რომანს და ბოლოს დასკვნის სახით უმატებდა: «მისის 1-ის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ კლივლენდის ერთ ღირსეულ ოჯახში მოახლედ იყო, ხოლო უფრო ადრე ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსში მუშაობდა. ვინ გაბედავს და იტყვის, რომ რომანტიკა აღარ არის, როდესაც მაღალ საზოგადოებაში ასეთი წარმტაცი ამბები ხდება!»

ლესტერმა წერილი წაიკითხა. თვითონ არ ჰქონდა გამოწერილი «ახალი ამბები», მაგრამ რომელიღაც «კეთილმა სულმა» იზრუნა და ფოსტით მოუვიდა გაზეთის ეგზემპლარი, რომელშიც საჭირო ადგილი წითელი ფანქრით იყო შემოხაზული. ლესტერი გაცოფდა. მიხვდა, შანტაჟს რომ უწყობდნენ, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. რასაკვირველია, უნდოდა გაზეთის ლაყობისათვის ბოლო მოეღო, მაგრამ გადაიფიქრა, – პროტესტი უფრო გაამწვაებდა საქმეს და უპასუხოდ დატოვა. «ახალი ამბების» ამ წერილმა სხვა გაზეთების ყურადღებაც მიიქცია. მეტად უხვი მასალა იყო და საკვირაო

გაზეთის თავზეხელაღებულმა რედაქტორმა გადაწყვიტა ამ ამბიდან ყველაფერი გამოეწურა, რაც კი შეიძლებოდა. რომანტიკული ამბისთვის მყვირალა სათაური მიეცა: «მილიონების გაწირვა მოახლის სიყვარულის გამო». გაზეთში დაიბეჭდა ლესტერის, ჯენის, ჰაიდ-პარკის სახლის, ცინცინატის კეინის ფაბრიკის, მიჩიგან-ავენიუზე მდებარე საწყობების ფოტოსურათები და სენსაციაც მზად იყო. «კეინის კომპანია» პრესაში განცხადებებს არ აქვეყნებდა, ამიტომაც გაზეთი მისით დავალებული არ იყო. ლესტერი რომ ვინმეს გაეფრთხილებინა, გაზეთს განზრახვას ჩაუშლიდა, რედაქციას განცხადებას გაუგზავნიდა ან გამომცემელს მიმართავდა. მაგრამ არაფერი იცოდა და არც არაფერი გაუკეთებია. რედაქტორმა ბიზნესის მიზნით ყველაფერი იკადრა. ცინცინატის, კლივლენდის და კოლუმბუსის კორესპონდენტებს სთხოვეს ტელეგრაფით ეცნობებინათ, რა იცოდნენ ამ ქალაქებში ჯენის ცხოვრების თაობაზე. კლივლენდში ბრეისბრიჯებს კითხვით მიმართეს, თქვენთან ჯენი თუ მუშაობდაო. კოლუმბუსიდან მეტად დამაჯერებელი ცნობები მოვიდა გერჰარდტების ოჯახზე. გამოირკვა, რომ ჯენი ამ ნავარაუდევ ქორწინებამდე რამდენიმე წელი ჩიკაგოს ჩრდილოეთით ცხოვრობდა. ასე ნაკუწ-ნაკუწ იქნა აღდგენილი მთელი ეს რომანი. რედაქტორს აზრად არ ჰქონია ვინმეს შეშფოთება ან დამწუხრება, პირიქით, ეგონა, წარმტაც ამბავს ვავრცელებო. მან გამოტოვა ყველა უსიამოვნო ფაქტი – ვესტას ქორწინების გარეშე დაბადება, ლესტერისა და ჯენის უკანონოდ დიდხანს ცხოვრება, ლესტერის ოჯახის ამ ქორწინებით უკმაყოფილება. შექმნა რომეო და ჯულიეტას მსგავსი თავისებური ისტორია, სადაც ლესტერი ვნებიან მიჯნურად იყო გამოყვანილი, ხოლო ჯენი უბრალო ხალხის წრიდან გამოსულ მშვენიერ ქალიშვილად, რომელსაც მილიონერის თავდადებულმა და ერთგულმა სიყვარულმა სიმდიდრე და აღიარება მოუტანა. გაზეთის მხატვარმა რომანის შემდგომი ფაზების ილუსტრაციები გამოაქვეყნა. ლესტერის პორტრეტი გვარიანი გასამრჯელოს გაღებით ცინცინატელ ფოტოგრაფთან შეისყიდეს. ფოტორეპორტიორმა ჯენის გასეირნების დროს ფარულად გადაუღო სურათი. ერთი სიტყვით, ბულვარული პრესის გამოცდილი რეპორტიორის ხელით ყველაფერი გაკეთდა.

ჰოდა, აი, გაზეთიც გამოვიდა, – თავიდან ბოლომდე მლიქვნელური, დათაფლული სიტყვები, მაგრამ სტრიქონებს შუა მაინც გამოსჭვიოდა საოცრად სევდიანი და მწუხარე ნამდვილი ამბავი. ჯენიმ ეს ყველაფერი მოგვიანებით გაიგო. ლესტერი შემთხვევით წააწყდა ამ საბედისწერო გვერდს და საჩქაროდ ამოხია. უსაზღვროდ შეწუხებული და გაოცებული დარჩა. აბა წარმოიდგინეთ, რაღაც უბადრუკ გაზეთს შეეძლო ასე მოქცეოდა კერძო პირს, რომელიც თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა და ხელს არავის უშლიდა. ამ მწარე განცდებით შეღონებულს თავი რომ არ გამოემჟღავნებინა, სახლიდან გავიდა. მისი გზა ახლა ქალაქის ცენტრისკენ როდი მიდიოდა, პირიქით, რაც შეიძლება შორს აპირებდა გაცლას კოტეჯ-გროუვ ავენიუსკენ. იჯდა ტრამვაიში და ფიქრობდა ძველ ყოფილ მეგობრებზე: დოჯიზე, ბერნჰემ მურზე, ჰენრი

ოლდრიჯზე. რას ფიქრობდნენ ახლა ისინი? დიახ, ეს ნამდვილი დარტყმა იყო. გამოწვევა მიიღოს თუ შეუტოს, თუ გულგრილად შეხედოს ყველაფერს? ერთი რამ ნათელი იყო: ამგვარ გამოხდომას მეტს აღარ მოითმენდა. შინ შედარებით დამშვიდებული დაბრუნდა. მოუთმენლად ელოდა ორშაბათს, რათა თავისი ვეჯილი მისტერ უიტსონი ენახა. შეხვედრისას კი მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ სასამართლოში ჩივილი უაზრობა იყო. გაჩუმება ჯობდა.

– მეტი კი აღარ უნდა განმეორდეს, – დასძინა ბოლოს ლესტერმა. – ამაზე მე ვიზრუნებ, – დაამშვიდა ვეჯილმა.

ლესტერი წამოდგა და აღშფოთებით წამოიძახა:

– დასწყევლოს ეშმაკმა, ეს რა ქვეყანაში ცვხოვრობთ! მდიდარი კაცი ვერსად დაიძალევა, როგორც ქალაქის მოედნის შუაგულში აღმართული ძეგლი.

– მდიდარი კაცი, ექვანშებმულ კატას ჰგავს, ყოველმა თავგმა ზუსტად იცის, სად არის და რას აკეთებს, – უთხრა მისტერ უიტსონმა.

– სწორი შედარებაა, – ჩაიბუტბუტა ლესტერმა.

გავიდა რამდენიმე დღე, ჯენიმ კვლავ არაფერი იცოდა. ლესტერი ამ თემაზე კრინტს არ ძრავდა, ხოლო გერჰარდტი ამ ეშმაკისეულ კვირის გაზეთს არ კითხულობდა. ერთმა მეზობელმა ვერ მოითმინა და საუბარში საკმაოდ უტაქტოდ უთხრა: შენზე გაზეთში მეტად საინტერესო წერილი წავიკითხეო. ჯენიმ ვერ გაიგო და გაკვირვებულმა ჰკითხა:

– ჩემზე წაიკითხეთ?

– დიახ, თქვენზე და მისტერ კეინზე, – მიუგო სტუმარმა. – აღწერილია მთელი თქვენი რომანი.

– მე არაფერი ვიცი. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენზეა?

– რა თქმა უნდა! – გაეცინა მისის სტენდლს. – შეცდომა გამორიცხულია. გაზეთიც შენახული მაქვს, როცა წავალ, მარის ხელით გამოგიგზავნით, სურათში მშვენივრად ხართ გამოსული.

ჯენი მთლად მოიბუზა და ოდნავ გასაგონად ამოილაპარაკა:

– მადლობელი ვიქნები.

ჯენის აწამებდა კითხვები: – საიდან იშოვეს მისი სურათი და რა ეწერა გაზეთში? ყველაზე მეტად მაინც ის ტანჯავდა, რას იტყოდა ლესტერი? ნეტავ თვითონ თუ ნახა წერილი? რატომ არაფერი უთხრა?

მეზობლის გოგონამ გაზეთი მოიტანა. ჯენის სუნთქვა შეეკრა, როდესაც ამ საშინელ გვერდს დახედა. დიახ, შავით თეთრზე... მარცხნივ ლესტერის პორტრეტი იყო დაბეჭდილი, მარჯვნივ ჯენის. სურათების ქვეშ მსხვილი ასოებით ეწერა: «აი, ამ მილიონერს შეუყვარდა ეს მოახლე გოგო». წერილი მკითხველს აცნობდა, რომ ლესტერი ცინცინატის ეტლების ფაბრიკანტის ვაჟი იყო, რომელმაც გაწირა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რათა საყვარელ ქალზე დაქორწინებულიყო. გაზეთს დაებეჭდა რამდენიმე სურათიც: მისის ბრეისბრიჯის სახლში ლესტერი ესაუბრება ჯენის, ლესტერი დგას ჯენის გვერდით, მათ წინ კი სასიამოვნო გარეგნობის მკაცრი გამომეტყველების პასტორი დგას, ლესტერი და ჯენი სეირნობენ ბრწყინვალე ეტლით, ჯენი დგას

მდიდრულად მორთული დარბაზის ფანჯარასთან (სიმდიდრეს ადასტურებს მძიმე ფარდის ნაოჭები) და შორს სახლისკენ იყურება.

ჯენის სირცხვილისგან ლამის მიწა გაუსკდა. უფრო ლესტერის დარდი ტანჯავდა, ვიდრე თავისი. რა მოუვიდოდა, ამას რომ გაიგებდა? აქეთ მისი ოჯახი? ახლა იმათ ჯენის და ლესტერის წინააღმდეგ ახალი იარაღი ჰქონდათ. ჯენი ცდილობდა დამშვიდებულიყო, თავის გრძნობებს დაუფლებოდა, მაგრამ ცრემლები დაპაღუპით სცვიოდა. მაინც რატომ სდევნიან, რად უწამლავენ სიცოცხლეს? ნუთუ არ შეუძლიათ თავი დაანებონ? მერე, როგორ ცდილობდა კარგად მოქცეულიყო, ყოველთვის კარგი ყოფილიყო. ნუთუ ადამიანებს არ შეუძლიათ დახმარება, ნუთუ მხოლოდ ხელი უნდა ჰკრან უფსკრულისაკენ?

ორმოცდამეორე თავი

ჯენი იმ საღამოსვე დარწმუნდა, რომ ლესტერმა კარგა ხანია იცოდა ყველაფერი, რომ თვითონ მოიტანა ის წყეული გაზეთი. ლესტერი მიხვდა, დამალვა არ ივარგებდა, ვალდებული იყო ჯენისთვის გული გაეხსნა. თავის დროზე თვითონ უთხრა ჯენის, ჩვენ შორის დაფარული არაფერი უნდა იყოსო. უფლება არ ჰქონდა ჯენისთვის დაემალა ისეთი ამბავი, რაც ასე მოულოდნელად და უხეშად არღვევდა მათ მშვიდ ცხოვრებას. ეტყვის, ნუ იდარდებ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, თუმცა, მისთვის ამ ამბავს ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ბილწმა გაზეთმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ყველა ოდნავ საზრიანი ადამიანი, ყველა ნაცნობი თუ უცნობი მიხვდებოდა, რა ცხოვრებას ეწეოდა იგი მთელი ამ წლების განმავლობაში. გაზეთში ნათქვამი იყო, რომ ლესტერი ჯენის კლივლენდიდან ჩიკაგოში გაედევნა, რომ ჯენის თავი მტკიცედ, მიუკარებლად ეჭირა, რომ ძალიან დიდხანს უტრიალა ქალიშვილს, ვიდრე ბოლოს არ დაითანხმა. სწორედ ამით აიხსნება მათი ჩრდილოეთის მხარეს ცხოვრება. ლესტერს აცოფებდა ნამდვილი ურთიერთობის ასეთი შელამაზება. თუმცა წამხდარ საქმეზე ეს მაინც უკეთესი იყო, ვიდრე რაიმე თავხედური თავდასხმები. სასტუმრო ოთახში შესვლისას ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და მაგიდაზე გაშალა. მის გვერდით მდგარმა ჯენიმ იცოდა, რაც მოჰყვებოდა გაზეთის გამოჩენას და ხმაგაკმენდილი ადევნებდა თვალს ლესტერის მოქმედებას.

– ამ გაზეთში შენთვის საინტერესო ამბავია დაბეჭდილი, – მშვიდად უთხრა მან და სურათებიან გვერდზე მიუთითა.

– მე უკვე ვნახე, ლესტერ, – მოღვენთილი ხმით მიუგო ქალმა. – სწორედ დღეს მაჩვენა მისის სტენდლმა ეს ნომერი. მხოლოდ ის არ ვიცოდი, შენთვის ცნობილი იყო თუ არა.

– ძალიან არ შეუმკვივართ, სწორედ არ მეგონა, ასეთი შმაგი რომეო თუ ვიყავი.

– როგორ ვწუხვარ, ლესტერ, – წარმოთქვა ჯენიმ. ქალი მიხვდა, რა გულისტკივილი იმალებოდა მის უხალისო ხუმრობაში. ჯენიმ კარგად იცოდა, რომ ლესტერს არ უყვარდა და არც შეეძლო თავის ნამდვილ გრძნობებსა და საზრუნავზე ლაპარაკი. მაგრამ ახლა, როცა ამ გარდაუვალ უსიამოვნებას პირისპირ შეეფეთა, სცადა ხუმრობაში გაეტარებინა და მისი სიტყვებიც დაახლოებით ამას ნიშნავდა: «რაკი საქმეს ვერაფერს ვუშველით, მწუხარებას ნულარ მივეცემით».

– ამ ამბავს ტრაგიკულად სულაც არ ვთვლი, – განაგრძო ლესტერმა, – არც არავითარი ზომების მიღება შეიძლება, მათ, ალბათ, კეთილი განზრახვა ამოქმედდებათ. ეს არის, რომ მეტისმეტად გამოგვამზეურეს.

– გასაგებია, – უთხრა ჯენიმ და ლესტერს მიუახლოვდა, – მაგრამ მაინც ძალიან სამწუხაროა.

სწორედ ამ დროს მოსაუბრენი სადილად იხმეს და ლაპარაკიც შეწყვიტეს.

ლესტერი თავის თავს არც იმას უმაღავდა, რომ საქმეები ცუდად მისდიოდა. ბოლო შეხვედრისას მამამ საკმაოდ ნათლად აგრძნობინა თავისი აზრი. აბა, ახლა პრესამ ხომ სულ მთლად დააგვირგვინა. თავის მოტყუება იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს იგი ძველებურად ახლოს იყო თავის წრის ხალხთან, ისინი ლესტერს აღარ სცნობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მაინც, მეტად თუ ნაკლებად, წესების მკაცრი დამცველნი. რა თქმა უნდა, იყვნენ მხიარული უცოლოებიც, დროის გამტარებელი ცოლიანებიც, გაქნილი გათხოვილი თუ გაუთხოვარი ქალები, რომელთაც, სიმართლის ცოდნის მიუხედავად, კვლავ კარგი ურთიერთობა შეინარჩუნეს მასთან. მაგრამ ეს ხალხი როდი შეადგენდა მის «საზოგადოებას». სინამდვილეში, იგი განდგომილი აღმოჩნდა და ახლანდელ ცხოვრებაზე ხელის აღების მეტი აღარაფერი უშველიდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კავშირი უნდა გაეწყვიტა ჯენისთან.

მაგრამ ლესტერს არ უნდოდა ჯენის მიტოვება. ამ აზრის გაფიქრებაც ზიზღს ჰგვრიდა. ქალი დღითი დღე იფართოებდა ცოდნის საზღვრებს. ახლა ბევრი რამ ლესტერზე ნაკლებად როდი ესმოდა. ჯენი ხომ პატივმოყვარე კარიერისტი ქალი არ იყო, იგი გამორჩეულად კარგი და გულკეთილი არსება გახლდათ, გარეგნულადაც მომხიბვლელი. მისი მიტოვება უნამუსოა იქნებოდა. ლესტერი ორმოცდაექვსი წლისა იყო, ჯენი კი ოცდაცხრისა, მაგრამ შესახედავად ოცდაოთხ-ოცდახუთ წელზე მეტს ვერ მისცემდით. განა განსაკუთრებული ბედნიერება არ არის, როდესაც ქალი, რომელთანაც ცხოვრობ, ახალგაზრდაც არის, ლამაზიც, გონიერიც და რბილი ხასიათისაც, როცა საკუთარ შეხედულებებს მასში უფრო თბილ და ემოციურ ფორმებში ხედავ.

სულ მალე, გაზეთთან დაკავშირებული უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ, ლესტერმა გაიგო, რომ მამა მძიმედ იყო ავად და ყოველ წუთს ელოდა ცინცინატში გამოძახებას. საქმეებით მოუცლელი ლესტერი ჯერ ისევ ჩიკაგოში იყო, როცა მამის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა. თავზარდაცემულმა

ლესტერმა ცინცინატს მიაშურა. მამის სახე მოუშორებლად ედგა თვალწინ. მათი პირადი ურთიერთობისგან დამოუკიდებლად, მამა ყოველთვის იყო მისთვის საინტერესო და დიდი პიროვნება. იხსენებდა, როგორ დაისვამდა ბავშვობაში მუხლებზე, როგორ უამბობდა ირლანდიაში გატარებული ახალგაზრდობის ამბებს, თავის საოცარ თავგამოდებას, როგორმე ხალხში გამოსულიყო, მერე და მერე საქმიანი საუბრების შთაგონებაც დაუწყო, დიახ, ყველაფრის გაცნობა, რაც საკუთარი გამოცდილების დაგროვების შედეგად გაუჩნდა. მოხუცი არჩიბალდი მართალი და პატიოსანი კაცი იყო. მამის მსგავსად ვერც ლესტერი იტანდა მიხვეულ-მოხვეულ გზებს. «არასდროს იცრუო, – განუწყვეტლივ უჩიჩინებდა იგი ვაჟიშვილებს, – ფაქტებს მახინჯად ნურასოდეს წარმოადგენ. სიმართლე ცხოვრების სუნთქვას, ეს არის ყოველგვარი ღირსების საფუძველი და საქმიან წრეში ყველას წესიერ სახელს შეუქმნის, ვინც ამას მიჰყვება». ლესტერს მამის შეგონებისა სჯეროდა. ყოველთვის აღტაცებული იყო მამის მეომრული პირდაპირობით და ახლა მეტისმეტად იტანჯებოდა მისი დაკარგვის გამო. განსაკუთრებით ის სტკენდა გულს, რომ მასთან შერიგება არ დასცალდა, ბოლო დროს იმასაც კი ფიქრობდა, მამას ჯენი რომ ენახა, უსათუოდ მოეწონებოდაო. გარკვევით ვერ გეტყოდათ, როგორ მოგვარდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ შინაგანად გრძნობდა, რომ მოხუცს ჯენი აუცილებლად მოეწონებოდა.

ცინცინატში ლესტერს თოვლი დახვდა, გულიანად ბარდნიდა. ქარი თვალებში აყრიდა ფანტელებს. თოვლი ახშობდა ქუჩის ხმაურს. მატარებლიდან გადმოსულ ლესტერს ემი შეეგება. ადრინდელი უსიამოვნების მიუხედავად, დას გაეხარდა მისი დანახვა. დებს შორის ყველაზე მომთმენი ბუნების ემი იყო. ლესტერი სიყვარულით მოეხვია დას და აკოცა.

– რა კარგი ხარ, რომ დამხვდი, ემი, თითქოს ძველი დრო დაბრუნდაო, როგორ არიან ჩვენები? უთუოდ ყველა ჩამოვიდა. საწყალი მამა, მისი ჟამიც დადგა. მაგრამ მან ჭეშმარიტად დიდი, სავსე ცხოვრებით იცხოვრა. ალბათ, კმაყოფილი იყო, ამდენის მიღწევა რომ შეძლო.

–ჰო, – თქვა ემიმ, – მაგრამ დედის სიკვდილის შემდეგ ძალიან ნაღვლიანი ჩანდა.

სადგურიდან მიმავალნი მეგობრულად საუბრობდნენ, იხსენებდნენ წარსულს. ძველ სახლში თავი მოეყარათ ახლო თუ შორეულ ნათესავეებს, – ლესტერი თანაგრძნობით ესაუბრებოდა ყოველ მათგანს. ფიქრობდა, მამამ კარგა ხანს და კარგი სიცოცხლით იცხოვრაო. მიაღწია მიზანს და მოკვდა, ისე ბუნებრივად, როგორც მწიფე ვაშლი ცვივა ხოლმე მიწაზე. ვეებერთელა ოთახში შავ კუბოში მწოლიარე მამის სახემ ლესტერს ბავშვობისდროინდელი დავიწყებული გრძნობა აღუძრა. ის კი არა, გაეღიმა კიდევ, როცა მამის მკვეთრ-ნაკვეთიან მტკიცე სახეს შეხედა, რომელსაც თითქოს შესრულებული მოვალეობით კმაყოფილება აღბეჭდოდა.

– ნამდვილად კარგი კაცი იყო, – უთხრა გვერდზე მდგომ რობერტს, – ასე ადვილად მსგავს პიროვნებას ვეღარც შეხვდები.

_ მართალი ხარ, _ დაუდასტურა ძმამ.

დასაფლავების შემდეგ გადაწყვიტეს, ანდერძის წაკითხვა აღარ დაეყოვნებინათ. ლუიზას ქმარი ბუფალოში წასვლას ჩქარობდა ლესტერი _ ჩიკაგოში. მეორე დღეს ნათესავები «ნაიტ, კიტლი და ო, ბრაიენის» იურიდიულ კანტორაში შეიკრიბნენ. ეს კანტორა განაგებდა მოხუცი კეინის საქმეებს.

ლესტერი ამ შეკრებაზე იმ რწმენით მიდიოდა, რომ მამა ანდერძში არ გამოტოვებდა. მათ ხომ ახლახან ისაუბრეს. ლესტერმა მამას დრო სთხოვა. მამამაც მისცა ეს დრო. მამას უყვარდა ლესტერი და ყველაფრით კმაყოფილი იყო, გარდა ჯენისთან კავშირისა. ლესტერის საქმიანმა ხარჯთაღრიცხვამ ფირმას საკმაო სარგებელი მოუტანა. ამიტომაც ეგონა, რომ მამას არ შეეძლო სხვა შვილებისგან გამოერჩია იგი და უარესად მოქცეოდა.

მისტერ ო, ბრაიენმა _ ამ ფუსფუსა და ჩასუქებულმა კაცმა, გულითადად ჩამოართვა ხელი იქ მისულ ყველა მემკვიდრესა თუ მემკვიდრეობაზე უფლების მქონეთ. ოცი წლის განმავლობაში იგი იყო არჩიზალდ კეინის პირადი ვეჟილი. იცოდა, რა უყვარდა და რა არა, იცოდა მისი ყველა ახირება და მის მიმართ თავს ერთგვარ აღმსარებლად თვლიდა. უყვარდა მისი შვილები, განსაკუთრებით _ ლესტერი.

_ მგონი, ყველა აქ არის, _ თქვა მან და ჯიბიდან დიდი რქის ჩარჩოიანი სათვალე ამოიღო, მერე მზრუნველად მოავლო თვალი იქ მყოფთ. _ ძალიან კარგი. შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ. წაგიკითხავთ ანდერძს ყოველგვარი წინასწარი შენიშვნებისა და შესავლის გარეშე.

ვეჟილმა მაგიდიდან ქალაღლის დიდი ფურცელი აიღო, ჩაახველა და კითხვა დაიწყო.

დოკუმენტი ჩვეული წესის მიხედვით არ იყო შედგენილი; იგი იწყებოდა მცირე თანხების ჩამოთვლით, რაც ძველ თანამშრომლებს, შინამოსამსახურეებსა და მეგობრებს დაუტოვა. შემდეგ მოდიოდა დაწესებულებებისთვის განკუთვნილი სიკვდილის შემდგომი შესაწირავები და ბოლოს, უახლოესი ნათესავებისთვის დატოვებული ქონების ჩამონათვალი. პირველად ქალიშვილები იყვნენ ნახსენები. იმოჯინს, როგორც ერთგულსა და საყვარელ ქალიშვილს, ნაანდერძევი ჰქონდა ფაბრიკაში დაბანდებული კაპიტალის მეექვსედი, ამას გარდა, კიდევ მეექვსედი ნაწილი განსვენებულის დანარჩენი ქონებისა, რაც დაახლოებით რვაას ათას დოლარს შეადგენდა. ამდენივე ერგოთ ემისა და ლუიზას. შვილიშვილებს სრულწლოვანების მიღწევისას ეძლეოდათ მცირეოდენი თანხა, რა თქმა უნდა, კარგი ქცევის საპასუხოდ. ანდერძის ბოლო ნაწილი რობერტსა და ლესტერს ეხებოდა:

«იმის გამო, რომ ჩემი ვაჟის ლესტერის საქმეებში თავი იჩინა ერთგვარმა გართულებებმა, საჭიროდ მიმაჩნია გავცე განსაკუთრებული მითითება, რის მიხედვითაც განაწილდება ჩემი დანარჩენი ქონება: «კეინის სამრეწველო ფაბრიკის კაპიტალის ერთ მეოთხედ ნაწილს და საერთოდ, ჩემი დანარჩენი დანატოვარის _ იქნება ეს უძრავ-მოძრავი ქონება, ნაღდი ფული, აქციები თუ სხვა ფასიანი ქალაღლები _ ერთ მეოთხედს ვუანდერძებ ჩემს საყვარელ შვილს

რობერტს, თავისი მოვალეობის განუხრელი შესრულებისათვის, ხოლო «კეინის სამრეწველო ფაბრიკის» კაპიტალის ერთ მეოთხედს და სხვა დანარჩენი დანატოვარის – იქნება ეს უძრავ-მოძრავი ქონება, ნაღდი ფული, აქციები თუ ფასიანი ქაღალდები – მეოთხედ ნაწილს ვუტოვებ მასვე, რათა იგი წარმართოს თავისი ძმის ლესტერის სასარგებლოდ იმ დრომდე, ვიდრე შესრულდება ქვემოთ მოყვანილი პირობები. მე მსურს და მოვითხოვ, რომ ჩემმა ყველა შვილმა მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს რობერტს «კეინის სამრეწველო კომპანიისა» და მასზე მინდობილი კაპიტალის წარმართვის საქმეში. მანამ, ვიდრე თვითონ არ იტყვის უარს ასეთ მმართველობაზე ანდა არ დასახავს უკეთეს საშუალებას მის განსახორციელებლად».

ლესტერს ჩუმი წყევლა აღმოხდა, სახეზე ფერი დაკარგა, მაგრამ არ განძრეულა, აქ ხომ არ ატეხდა აურზაურს. გამოდიოდა, რომ ანდერძში ცალკე არც იყო ნახსენები.

«ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები» ყველას თანდასწრებით არ წაიკითხეს. ო, ბრაიენის თქმით, ასეთი იყო განსვენებულის სურვილი. ლესტერსა და მის დამას, რა თქმა უნდა, იმ დღესვე წაუკითხა. ლესტერმა გაიგო, რომ სამი წლის მანძილზე მიიღებდა წლიურ შემოსავალს ათი ათას დოლარს. ამ ხანში ასეთი არჩევანის უფლება ჰქონდა: თუ დასცილდებოდა ჯენის (რა თქმა უნდა, თუ უკვე დაქორწინებული არ იყო) და მამის სურვილის მიხედვით მოაწყობდა თავის ცხოვრებას, ლესტერს დაუყოვნებლივ გადაეცემოდა მემკვიდრეობის მისი წილი, ხოლო თუ ჯენის შეირთავდა, მაშინაც მიიღებდა თავის ათი ათას დოლარს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ლესტერის სიკვდილის შემდეგ თვითონ ჯენი ვერაფერს მიიღებდა. ეს ათი ათასი დოლარი წარმოადგენდა ორასი აქციის წლიურ შემოსავალს, რომელიც ასევე მინდობილი ჰქონდა რობერტს იმ დრომდე, ვიდრე ლესტერი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა. თუ ლესტერი არ შეირთავდა ჯენის და არც დაშორდებოდა, მაშინ სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ ამ ფულის მიღებაც შეუწყდებოდა. ლესტერის გარდაცვალების შემდეგ ის აქციები, რომლებიდანაც იგი შემოსავალს იღებდა, უნდა გადანაწილებულიყო იმ ძმებსა და დებს შორის, რომლებიც იმ დროისთვის ცოცხლები იქნებოდნენ. თუ რომელიმე მემკვიდრე ამ მემკვიდრეობის უფლების მქონე ანდერძის წინააღმდეგი წავიდოდა, იგი უფლებას კარგავდა თავის კუთვნილ წილზედაც კი.

ლესტერი გაოგნებული იყო, როგორი წინდახედულებით გაეთვალისწინებინა მამამისს ყველა მოსალოდნელი შესაძლებლობა. ანდერძის კითხვისას ეჭვმაც კი გაჰკრა, რობერტიც ხომ არ მონაწილეობდა ამ პირობების ჩამოყალიბებაშიო, თუმცა ამის დაბეჯითებითი მტკიცება არ შეეძლო, – რობერტს მის მიმართ მტრობა არასდროს გამოუჩენია.

– ვინ შეადგინა ეს ანდერძი? მტკიცედ ჰკითხა ო, ბრაიენს.

– ჩვენ ყველა რაღაცას ვცდილობდით, – მიუგო შემკრთალმა ვექილმა. – არცთუ ადვილი საქმე გახლდათ. მგონი, კარგად მოგეხსენებათ, რომ მამათქვენის გადარწმუნება, აზრის შეცვლევინება ძალზე ძნელი საქმე იყო.

კაჟივით მტკიცე კაცი გახლდათ. აქ ზოგიერთი მუხლის შედგენისას ლამის თავის სურვილს აღუდგა წინ. საერთოდ ანდერძი მხოლოდ მისი პირადი საქმე იყო, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ეს მხოლოდ თქვენ და მამათქვენს გეხებათ. ჩემთვის მეტად უსიამოვნოა მისი დავალების შესრულება.

– ყველაფერი გასაგებია! – უთხრა ლესტერმა, – ამაზე ნუ იწუხებთ.

მისტერ ო, ბრაიენმა თავისი დიდი მადლიერება მოახსენა.

ლესტერი სავარძელში გაშემებული იჯდა. მერე სრულიად გულგრილი გამომეტყველებით სხვებთან ერთად წამოდგა. რობერტი, ლუიზა, იმოჯინი, ემი ყველანი გაოცებულები იყვნენ, მაგრამ შეცოდებით მაინცდამაინც არ ეცოდებოდნენ. ლესტერი ხომ მართლაც ცუდად იქცეოდა, მამას ბევრჯერ ატკინა გული და უკმაყოფილების დიდი საბაზი მისცა.

– მე მგონი, მოხუცმა ცოტა გადააჭარბა, – წარმოთქვა გვერდით მდგარმა რობერტმა. – არ მეგონა, თუ ასე ღრმად შეტოპავდა. ჩემი აზრით, შეიძლება საქმის სხვაგვარად შემოვლა.

– არა უშავს, – ნაღვლიანი ღიმილით ჩაიდუდუნა ლესტერმა.

დებს უნდოდათ ძმა ენუგეშებინათ, მაგრამ არ იცოდნენ, რა ეთქვათ. ლესტერმა ხომ თვითონ დაიტეხა თავზე ეს ყველაფერი.

– მე ვფიქრობ, მამა მთლად სწორად არ მოიქცა, – წამოიწყო ემიმ, მაგრამ ლესტერმა უხეშად შეაწყვეტინა.

– არაფერია, ავიტან.

ლესტერმა სახელდახელოდ გამოიანგარიშა გონებაში, რა შემოსავალი ექნებოდა, თუ მამის ნებას გადავიდოდა. ბირჟაზე მისი ორასი აქცია ათას დოლარზე ცოტა მეტი ღირს და თითოეული აქცია ხუთ-ექვს პროცენტამდე მოგებას იძლევა, ზოგჯერ მეტსაც. დიახ, წლიურად ათი ათასზე მეტი მაინც არ გამოდის.

ნათესავები დაიშალნენ. ლესტერი დას გაჰყვა, მაგრამ მეჩქარებაო, გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა, საუზმეზე უარი თქვა და ჩიკაგოში მიმავალი პირველი მატარებლით მშობლიურ ქალაქს გაეცალა;

მთელი გზა ფიქრებში გართულმა განვლო.

აი, თურმე როგორ ჰყვარებია მამას! ამას ვინ იფიქრებდა! დიახ, ლესტერ კეინს მხოლოდ სამი წლით მიუგდეს ათი ათასი დოლარი, თანაც იმ შემთხვევაში, თუ ჯენის შეირთავს. «ათი ათასი წელიწადში», – იმეორებდა გუნებაში, – ისიც სამი წლით! ოჰ ღმერთო, ამდენს ხომ ზოგი მოხერხებული მოხელეც კი შოულობს. ხედავთ, რა გამიკეთა მამაჩემმა!»

ორმოცდამესამე თავი

ლესტერი თავისიანების წინააღმდეგ სწორედ ამ ძალდატანების მცდელობამ განაწყო. იგი საბოლოოდ მიხვდა, რომ ორი დიდი შეცდომა დაუშვა: პირველი – რომ ჯენი მაშინვე არ შეირთო და თავიდან არ აიცილა

ამდენი მითქმა-მოთქმა, მეორე _ ჯენის რომ არ დაეთანხმა, როცა სახლიდან წასვლას აპირებდა. რა თქმა უნდა, თავისი საქმეები თვითონვე აწეწა. მაგრამ ახლა იმასაც ვერ იზამს, რომ მთელი თავისი ქონება დათმოს. საკუთარი ფული ძალიან ცოტა აქვს. ჯენი უბედურია, ეს აშკარაა, სხვანაირად არც შეიძლებოდა _ თვითონაც უბედურია. ჯენიც რომ შეერთოს, აბა რას ეყოფა ის უბადრუკი ათი ათასი წელიწადში? მაგრამ, ჯენის დათმობაც რომ არ შეუძლია, მასთან სამუდამოდ განშორება? გამოუვალ ჩიხში იყო მომწყვდეული, ვერაფერი გადაეწყვიტა.

დასაფლავებიდან დაბრუნებულ ლესტერს ჯენიმ მაშინვე შეატყო, მამის გლოვის გარდა კიდევ რაღაც სხვა აწუხებდა. რა უნდა ყოფილიყო? შეეცადა თავისი თანაგრძნობა გამოეხატა, მაგრამ ლესტერის დაჭრილი გულის გამთელება ადვილი არ აღმოჩნდა. ჯენიმ იცოდა, რომ თავმოყვარეობა შელახული ლესტერი საკუთარ თავში ჩაიხრჩობოდა. გაბრაზებისას შეიძლება ვინმესთვის დაერთყა კიდევ. ჯენი გულისყურით ექცეოდა, მთელი სულითა და გულით ცდილობდა როგორმე მიშველებოდა, მაგრამ ლესტერი დარდს არ უნაწილებდა. იგი იტანჯებოდა და ჯენისაც სატანჯველად სწირავდა.

დღეები გადიოდა, დადგა დრო, როცა ლესტერი მოხუცი არჩიბალდის სიკვდილისწინა ნება-სურვილთან დაკავშირებულ თავის ფინანსურ მდგომარეობას ჩაფიქრებოდა. ქარხანაში რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო. მამის სურვილის თანახმად, პრეზიდენტი რობერტი იქნებოდა. ბუნებრივია, უნდა გარკვეულიყო ლესტერის როლი ამ საქმეში. თუ ის არ შეიცვლის ჯენისთან დამოკიდებულებას, აქციონერად დარჩენის უფლებაც არ ექნება. უფრო სწორად, იგი ახლა არარაობაა. მომავალშიც მდივნისა და ხაზინადრის თანამდებობაზე რომ დარჩეს, კომპანიის ერთი აქცია მაინც უნდა ჰქონდეს. მერე მოინდომებს კი რობერტი ან რომელიმე მისი და ლესტერს თავისი აქცია დაუთმოს? ანდა ახლობლები გადადგამენ ნაბიჯს რობერტის უპირატესობის წინააღმდეგ? ახლა ყველანი ასეა თუ ისე, ლესტერის წინააღმდეგნი არიან. ამ დახლართული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ჯენის მიტოვებაა. ქალს თუ თავს დაანებებს, აქციები სათხოვრად აღარ ექნება, თუ არადა, ეს იქნება მამის უკანასკნელი ნების დარღვევა. ლესტერი დაუსრულებლად წონიდა ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს. ახლა თითქოს უფრო ნათელი გახდა ყველაფერი. ან ჯენი ან მისი მომავალი _ აი, რა დილემის წინაშე იდგა ის.

მართალია, რობერტმა თქვა, სხვაგვარად შეიძლებოდა საქმის მოგვარებაო, მაგრამ სინამდვილეში ძალიან კმაყოფილი იყო შექმნილი ვითარებით. მის ოცნებებს ფრთები ესხმებოდა. რა ხანია, დაწვრილებით ამუშავებდა გეგმებს, _ მას არა მარტო ფაბრიკის რეორგანიზაცია სურდა, არამედ ამ წარმოების გაფართოებაც, ეტლების მწარმოებელი სხვა კომპანიების შემოერთების გზით. ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეების მსხვილ მრეწველთა ასეთი შემოერთება დიდად შეამცირებდა საქონლის გასაყიდ ფასებს, თავიდან

ააცილებდა ჭარბწარმოებას და საერთო გასავალიც მნიშვნელოვნად შემცირდებოდა.

ნიუ-იორკში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით სხვა კომპანიების რამდენიმე აქციაც შეიძინა და თითქმის მზად იყო სამოქმედოდ. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მისი არჩევა «კეინის კომპანიის» პრეზიდენტად. ამის შემდეგ, ვინაიდან ლესტერი სათვალავში არ იყო ჩასაგდები, ვიცე-პრეზიდენტად ემის ქმარს აირჩევდა, ხოლო მდივნად და ხაზინადრად ლესტერის მაგივრად ვინმე სხვას წამოაყენებდნენ. ანდერძის მიხედვით, ლესტერისთვის გამოყოფილი სამემკვიდრეო წილი დრომდე რობერტის გამგებლობაში იმყოფებოდა. ალბათ, ცოტა არ იყოს, არ სიამოვნებდა ასეთი როლი, მაგრამ თვითონ ამოცანა, კაცმა რომ თქვას, ძნელი არ იყო: ერთგავარად საპატიოდაც კი ჩანდა, ლესტერი ან ჭკუაზე უნდა მოსულიყო, ან ძმისთვის დაეთმო ფირმის გამგებლობა.

ლესტერი კვლავ ჩიკაგოს ფილიალში მოღვაწეობდა, მაგრამ იქაც იგრძნო ახალი სიოს ქროლვა. მიხვდა, გარიყული რომ აღმოჩნდა, იგი ახლა მხოლოდ ერთ განყოფილებას განაგებდა ძმის საწარმოში. სწორედ ამის შეგრძნება აღიზიანებდა და აშფოთებდა. რობერტი კრინტსაც არ ძრავდა ცვლილებებზე. თითქოს ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. მაგრამ აშკარად ჩანდა, ყოველ მითითებას ახლა კანონის ძალა ჰქონდა. სინამდვილეში ისე გამოდიოდა, რომ ლესტერი ძმასთან მუშაობდა და მისგან იღებდა ჯამაგირს. ეს კი ლესტერისათვის ფრიად დამამცირებელი იყო.

იმასაც მიხვდა, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. აქამდე ხომ სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. ახლოვდებოდა აქციონერთა ყოველწლიური შეკრების დღე, უწინ ამას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან მამა ერთპიროვნულად წყვეტდა ყველაფერს. ახლა თავმჯდომარე რობერტი იქნება, დების მაგივრად, ალბათ, ქმრები წარსდგებიან, თვითონ კი არ დაესწრება, რადგან რობერტმა აქცია არ გადასცა და არც გაყიდვა შესთავაზა, რაც მას რომელიმე საპასუხისმგებლო პოსტის დაკავებისა და მმართველობის წევრად გახდომის უფლებას მისცემდა. რა მძიმეც უნდა ყოფილიყო მისი თავმოყვარეობისთვის, ლესტერმა გადაწყვიტა ძმისთვის გაეგზავნა თხოვნა გადადგომაზე. ეს ატმოსფეროს განმუხტავდა. რობერტი გაიგებს, რომ ლესტერს მისგან სულაც არ სურს მოწყალების მიღება და თანახმაა მხოლოდ იმით ისარგებლოს, რასაც გამოიმუშავებს თავისი შესაძლებლობებით და ახლობლების სრული თანხმობით. თუ დასცილდება ჯენის და საქმეებს დაუბრუნდება, მაშინ აღარც ფილიალის გამგედ მივა. მან დაწერა მოკლე და საქმიანი წერილი:

«ძვირფასო რობერტ! ვიცი, რომ ახლო მომავალში შენი ხელმძღვანელობით კომპანია რეორგანიზებული იქნება. ვინაიდან მე აქცია არა მაქვს და არც იმის უფლება, რომ მმართველობის წევრი ვიყო და მდივნისა და ხაზინადრის თანამდებობა მეკავოს, ეს წერილი მიიღე ოფიციალურ განცხადებად სამსახურიდან ჩემი გადადგომის თაობაზე. მმართველობამ განიხილოს

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

საკითხი ამ თანამდებობის შეცვლისა, აგრეთვე შემდეგში ჩემი გამოყენების შესახებაც. ჩიკაგოს განყოფილების გამგის ადგილს დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ, მაგრამ შენი გეგმების ხელის შეშლა არ მინდა. ამავე დროს, ალბათ ხვდები, რომ ჯერჯერობით არ ვაპირებ მამის ანდერძის პირობების შესრულებას. მინდა გავიგო ზუსტად შენი შეხედულება ამ საქმეზე. პასუხს ველი.

შენი ლესტერი».

ცინცინატის კანტორაში რობერტმა გულდასმით აწონ-დაწონა წერილის შინაარსი. ლესტერი ითხოვდა სრულ სიცხადეს, რასაც ბუნებით იყო ჩვეული. იგი რომ ისეთივე წინდახედული ყოფილიყო, როგორი პირდაპირობაც ახასიათებდა, უნაკლო, ბრწყინვალე ადამიანი იქნებოდა. მაგრამ მას ეშმაკობა და მზაკვრობა არ შეეძლო. ტყუილს არასდროს იკადრებდა. რობერტის აზრით კი ამ თვისებათა გარეშე წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ზოგჯერ მოქნილობაა საჭირო, ზოგჯერ სისასტიკეო, _ ხშირად ფიქრობდა ხოლმე, და ამ წესს იგი მტკიცედ იყენებდა ცხოვრებაში.

მართალია, ლესტერი მშვენიერი პიროვნებაა და თანაც მისი ძმაც, მაგრამ მოქნილობა აკლია. მეტისმეტად პირდაპირია და ძალიან უყვარს დავა. თუ ლესტერი მამის სურვილს შეასრულებს და მემკვიდრეობის წილს მიიღებს, მაშინ იგი უთუოდ კომპანიის მმართველობის აქტიური წევრი გახდება. რობერტს ხელ-ფეხს შეუბორკავს. მერე რობერტს განა ხელს აძლევს ასეთი რამ? რასაკვირველია, არა, მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება, თუ ლესტერი ჯენისთან დარჩება, ყოველ შემთხვევაში, ერთხანს მაინც და ამრიგად საქმეს ჩამოშორდება.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ რობერტმა ტაქტიანად მისწერა, რომ მან ჯერ არც კი იცის, როგორ სჯობს. არც სიძეების აზრი მოეხსენება. საჭირო კი იყო მათთან მოთათბირება, რომ თვითონ მას ძალიან უნდა მდივნად და ხაზინადრად ლესტერის დარჩენა, თუ, რა თქმა უნდა, როგორმე მოხერხდება. წერილის ბოლოში თვითონ ლესტერს ეკითხებოდა, ხომ არ მოგვეცადა ცოტა ამ საკითხის გადაწყვეტამდეო.

ლესტერმა შეიგინა, ნეტავ რას აჭიანურებს და ტკეპნის ასე? ვითომ რობერტმა არ იცის, რა არის საჭირო? ერთი აქცია მისცეს ლესტერს და მაშინ კომპანიის სრულუფლებიანი წევრი გახდება. მაგრამ რობერტს მისი ეშინია, აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული! განყოფილების გამგედ კი არამც და არამც არ დარჩება, ახლავე მოითხოვს გადადგომას.

ლესტერმა რობერტს მისწერა, ყველაფერი მოვიფიქრე, გადავწყვიტე და თავად ვაპირებ ბედის დამოუკიდებლად წარმართვასო. ჩიკაგოში ვინც გენებოს, ის გამოგზავნე და საქმეები ჩაიბარეო, დაგელოდები ერთ თვეს, ვფიქრობ, საკმარისი იქნებაო. რამდენიმე დღის შემდეგ პასუხიც მოვიდა. რობერტი იწერებოდა, _ ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თუ შენ ასე გადაწყვიტე, მე ხელს არ შეგიშლი ახალი საქმის წამოწყებაში, იმოჯინის ქმარს ჯეფერონ

მიჯლის დიდი ხანია ჩიკაგოში გადმოსვლის სურვილი აქვს და, ვფიქრობ, პირველ ხანებში მანდაური საქმეები იმას მივანდო.

ლესტერს გაეღიმა, აშკარა იყო, რობერტი შექმნილი მდგომარეობიდან სარგებლის მიღებას ცდილობდა. რობერტმა იცოდა, რომ ლესტერს შეეძლო ეჩივლა სიძისთვის, მაგრამ ისიც იცოდა, ლესტერი ამას არ მოინდომებდა. მთელი ეს ამბავი გაზეთში გამოქვეყნდებოდა. ისევ ატყდებოდა ოდნავ მინელეზული ჭორები მისი და ჯენის ურთიერთობის გამო. უკეთესი გამოსავალი კვლავ და კვლავ ჯენის მიტოვება იყო.

ყველაფერი ისევ საწყის წერტილს უბრუნდებოდა.

ორმოცდამეოთხე თავი

ლესტერი უკვე ორმოცდაექვსი წლის კაცი იყო და ამ ასაკში სრულიად მარტო დარჩენა მეგობრებისა და საქმიანი ურთიერთობების გარეშე, მართლაც, საშინელი და სამწუხარო რამ იყო, თუნდაც რომ წლიური შემოსავალი თხუთმეტი ათასი დოლარი ჰქონოდა (მამის ნაანდერძევი ათი ათასის ჩათვლით). ლესტერმა იცოდა, რომ თუ მოკლე ხანში რაიმე სარფიან საქმეს არ მოძებნიდა, მის კარიერას ბოლო მოეღებოდა. რა თქმა უნდა, ჯენის შერთვა შეეძლო, ათი ათასი მთელი სიცოცხლის მანძილზე ექნებოდა, მაგრამ ამით კომპანია კეინი თავის კუთვნილ ნაწილზე უარს ეუბნებოდა. მეორე მხრივ, მას შეეძლო თავისი აქციების გაყიდვა, მას სულ სამოცდათხუთმეტი ათასი დოლარის აქცია ჰქონდა. სწორედ ამ აქციებიდან იღებდა იგი ხუთ პროცენტ შემოსავალს. რომ შეეტანა იგი რომელიმე მწარმოებლურ ორგანიზაციაში, მაგალითად, ეტლების წარმოების სხვა ფირმაში? მაგრამ როგორ შეიძლებოდა მამის ძველ ფირმასთან კონკურენცია? ამავე დროს, ეს არც ისე ადვილად მოსაგვარებელი საქმე გახლდათ. დღითიდღე მძაფრდებოდა კონკურენცია და კეინის კომპანია ყოველთვის პირველ ადგილზე გამოდიოდა. ლესტერის მთელი კაპიტალი სამოცდათხუთმეტი ათასს შეადგენდა. ღირდა კი ამ უმნიშვნელო თანხით ბრძოლაში ჩაბმა? ახლანდელი კონკურენციის დროს წარმოების ამ სახეობაში განსამტკიცებლად დიდძალი ფული იყო საჭირო.

ამ მდიდარი ფანტაზიისა და გამორჩეული გონების კაცს, თავის საუბედუროდ, არ ჰქონდა ის ბრიყვული თვითდაჯერება საკუთარი უპირატესობისა, რაც ასე აუცილებელი პირობაა კომერციულ საქმეში წარმატებისთვის.

საქმიან სამყაროში მნიშვნელოვან ადგილს, ჩვეულებრივ, თავისთავში მტკიცედ დარწმუნებული აზრის ადამიანი იკავებს, კაცი, რომელსაც სწამს, რომ თავად განგების მიერ არის მოვლენილი ამა თუ იმ საქმის მოსაგვარებლად და მისი წარმატება ეჭვგარეშეა. კონსერვის გასახსნელი დანა, უსაფრთხო საპარსი თუ საპნის ახალი სახეობა, სიჩქარეების გადამრთველი განუყოფლად იპყრობს ადამიანის წარმოსახვას, გახურებული შანთივით დაღავს და მთელ

არსებას ეკიდება. ასე რომ აინთო, საჭიროა სიღარიბე და ახალგაზრდობა. საგანი, რომელსაც ადამიანი მთელ სიცოცხლეს უთმობს, შესაძლებლობებისა და სიამოვნების უამრავ გზას უნდა ხსნიდეს. მიზანი ბედნიერება უნდა იყოს, სხვაგვარად ცეცხლი ვერ იგიზგიზებს. მისი მამოძრავებელი ძალა საკმაოდ სიძლიერის ვერ იქნება, ამის გამო არც წარმატება იქნება სრული.

მაგრამ ლესტერს ასეთი წვის უნარი არ გააჩნდა, მან უკვე იგემა ამქვეყნიური სიხარული, აღარც სიამოვნებად აღიარებული ილუზიები იზიდავდა. ფული, რა თქმა უნდა, საჭირო იყო და იგი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, იმდენი მაინც, ღარიბად რომ არ ეცხოვრა, მაგრამ ვითომ სასწოროზე შეაგდოს და რისკი გასწიოს? ან კი რატომაც არა? ის უფრო საშინელება არ იქნება, გულხელდაკრეფილი იჯდეს და სხვის წარმატებას უყურებდეს?

ბოლოს მაინც საკუთარი ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა. თავის თავს არწმუნებდა, არ ავჩქარდები, წინდაუხედავ ნაბიჯს არ გადავდგამო. დასაწყისისთვის საჭიროდ ჩათვალა ეკიპაჟის მწარმოებელი მრეწველებისთვის ეცნობებინა, რომ აღარ მუშაობდა მამის კომპანიაში და მზად იყო სხვა მრეწველთა წინადადებები მიეღო. ხმამაღლა განაცხადა, ძველი კომპანია დავტოვე და ევროპაში მივდივარ დასასვენებლად. ლესტერი არასოდეს ყოფილა საზღვარგარეთ, თან ჯენის განებივრებაც სურდა. ვესტას გერჰარდტან და მოახლესთან შინ დატოვებდნენ, ჯენი კი თვალს გაახელდა, ნახავდა, რა იყო საინტერესო ევროპაში. ლესტერს განზრახული ჰქონდა სწვეოდა ვენეციას, ბადენ-ბადენს და სხვა სახელგანთქმულ კურორტებს. რა ხანია უნდოდა კაიროს, ლუქსორისა თუ პანთეონის ნახვა. აპირებდა ამ უცხო მხარეების მოვლას, რომ მერე შინ დაბრუნებულს მთელი მონდომებით დაეწყო ახალი საქმიანობა.

მოგზაურობა დაიწყო მოხუცი კეინის გარდაცვალების წელს, გაზაფხულზე. ლესტერმა ჩიკაგოს საქმეები აუჩქარებლად გადააბარა და დიდი სიამოვნების მოლოდინში ჯენისთან ერთად მარშრუტი შეადგინა. ჩაალაგეს ყველაფერი, რაც კი გზად სჭირდებოდათ და გემით ნიუ-იორკიდან ლივერპულს გაემგზავრნენ. რამდენიმე კვირა ინგლისში გაატარეს. მერე ეგვიპტეში ჩავიდნენ. ეგვიპტიდან საბერძნეთისა და იტალიის დათვალიერების შემდეგ ავსტრიაში უნდა ჩასულიყვნენ, მერე შვეიცარიას გაივლიდნენ და ჩავიდოდნენ გერმანიაში, ბერლინში, ბოლოს პარიზსაც ეწვეოდნენ. ახალი შთაბეჭდილებები ართობდა ლესტერს, თუმცა უსიამოვნო გრძნობა მაინც არ შორდებოდა, რომ დროს ტყუილად ფლანგავდა. მოგზაურობით ახალი და მსხვილი სამრეწველო ორგანიზაცია არ იქმნებოდა, ჯანმრთელობის გამოკეთება კი მას სულაც არ ესაჭიროებოდა...

სამაგიეროდ ჯენი იყო აღტაცებული. ქალი გააოგნა ამ ახალი ცხოვრების ხილვამ. ლუქსორსა და კარნაკში, რომელთა არსებობა აქამდე არც იცოდა, ნახა ძველი კულტურა, მდიდარი და მრავალმხრივი. აქ ცხოვრობდნენ და იხოცებოდნენ მილიონობით ადამიანები, სწამდათ სულ სხვა ღმერთები, ჰქონდათ მმართველობის სხვა ფორმები, ცხოვრების სხვა წესები. მხოლოდ

ახლა შეიცნო ჯენიმ დედამიწის უსაზღვროება. ფიქრობდა წარსულში ჩაძირულ საბერძნეთზე, განადგურებულ რომის იმპერიაზე, მივიწყებულ ეგვიპტეზე. მიხვდა, რა არარაობა და უმნიშვნელო იყო ჩვენი ყველა საზრუნავი და შეხედულება. ისე მნიშვნელოვნად აღარ ეჩვენებოდა მამის ლუთერანული ღვთისმოსაობა. უკვე აღარც ოჰაიოს შტატის საზოგადოებრივი წყობილება მიაჩნდა ურღვევად. რამხელა მნიშვნელობას აძლევდა დედამისი, რას იტყოდა ხალხი, რას იფიქრებდნენ მეზობლები. აქ ჯენიმ იხილა აურაცხელი საფლავი, რომლებშიც ცუდიც ბევრი განისვენებდა და კარგიც. ლესტერი უხსნიდა, რომ ზნეობრივი მრწამსის სხვადასხვაობას ქმნის ბუნებრივი პირობები, კლიმატი, რელიგია, ზოგჯერ ზოგიერთი განსაკუთრებული პიროვნების გამოჩენა, როგორც იყო, მაგალითად, მაჰმადი. ლესტერს მოსწონდა, როცა პირობითობის უმნიშვნელო როლის ხაზგასმა სამყაროს მასშტაბებთან შედარებით უპირისპირდებოდა სამყაროს განუსაზღვრელობას, ადამიანის პატარა, პირად სამყაროს. ჯენის ეს განმარტებანი, რა თქმა უნდა, თავისებურად ესმოდა. აი, ავიღოთ თუნდაც მისი წარსული. ვთქვათ, ის ცუდად მოიქცა. შესაძლოა, რაღაც ერთი მუჭა ადამიანებისთვის ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ მთელი კაცობრიობის ისტორიის თვალ-საზრისით, $\frac{1}{4}$ $\frac{1}{2}$ $\frac{3}{4}$ $\frac{1}{2}$ $\frac{1}{4}$, $\frac{1}{4}$ $\frac{1}{2}$ $\frac{3}{4}$, $\frac{1}{4}$ $\frac{1}{2}$ $\frac{3}{4}$, ეს ამბავი სრულიად უმნიშვნელოა. გავა დრო და ყველანი დაიხოცებიან, ისიც, ლესტერიც, ეს ხალხიც. არაფერია ამქვეყნად ნამდვილი და სამუდამო სიკეთისა და გულისხმიერების გარდა, ადამიანური სიკეთის გარდა. სხვა ყველაფერი წარმავალია, ვითარცა სიზმარი.

ორმოცდამეხუთე თავი

მოხდა ისე, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას, ჯერ ლონდონში, მერე კი კაიროში ლესტერი იმ ერთადერთ ქალს შეხვდა (ჯენის თუ არ ჩავთვლით), რომელიც ადრე, მართლაც მოსწონდა. ლესტერს ლეტი პეისი დიდი ხანია აღარ ენახა. ქალი მალკოლმ ჯერალდზე გათხოვდა, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ქმარი მოუკვდა და აი, უკვე ორი წელია, რაც მომხიბვლელ ქვრივად იქცა. მალკოლმ ჯერალდმა, ბანკირმა და ცინცინატელმა საქმოსანმა თავის ცოლს დიდი ქონება დაუტოვა. ჰყავდა გოგონა, რომელიც ერთგულ გადიას ებარა, თვითონ მას კი ცივილიზებული სამყაროს ყველა დედაქალაქში თაყვანისმცემელთა გუნდი ეხვია. ლეტი ჯერალდი იყო ნიჭიერი, ლამაზი, კობტა, დახვეწილი ქალი. წერდა ლექსებს, ბევრს კითხულობდა, სწავლობდა ხელოვნებას. ლესტერ კეინი ამ ქალის გულწრფელ აღტაცებას იწვევდა.

თავის დროზე მას ნამდვილად უყვარდა ლესტერი, ფხიზელი თვალით აკვირდებოდა ადამიანებს, მაგრამ ლესტერზე უკეთესი ვერავინ იპოვა. ნამდვილი მამაკაცი, ზომიერი და მშვიდი, ლესტერისათვის უცხო იყო მოჩვენებითობა, მას არ იზიდავდა მაღალი საზოგადოების ადამიანთა

ლაზღანდარობა. ლესტერს უყვარდა უბრალო, კონკრეტულ საგნებზე საუბარი. რამდენჯერ გაპარულან სამეჯლისო დარბაზიდან, გასულან აივანზე და იქ უსაუბრიათ ლესტერის სიგარის კვამლში გახვეულებს. საუბრობდნენ ფილოსოფიურ თემებზე, მსჯელობდნენ წიგნებზე, ლესტერი აცნობდა სხვა ქალაქების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პირობებს. ლეტი იმედოვნებდა, რომ ლესტერი არჩევანს მასზე შეაჩერებდა. მოხიბლული ქალი თავს ძლივს იკავებდა, სურდა ხელი გადაესვა მის მოკლედ შეჭრილ, ხშირ, წაბლისფერ თმაზე. ლესტერის ჩიკაგოში გადასვლა ლახვარვით მოხვდა გულში. მართალია, იმ დროს ჯენის არსებობა არ იცოდა, მაგრამ იგრძნო, რომ ლესტერი მისთვის დაკარგული იყო.

სწორედ იმ დროს მალკოლმ ჯერალდმა, მისმა უერთგულესმა თაყვანისმცემელმა, მეოცედ თუ ოცდამეათედ მისცა წინადადება და ქალიც დათანხმდა. მართალია, ლეტის არ უყვარდა იგი, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა გაჰყოლოდა ცოლად. ჯერალდი ორმოცდახუთი წლისა იყო და მხოლოდ ოთხი წელი იცხოვრეს ერთად. ქმარი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი ცოლი მომხიბვლელი, შემწყნარებელი და საღი გონების ადამიანი იყო. მალკოლმ ჯერალდი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, დაქვრივებულ მისის ჯერალდს კი დიდი ქონება დარჩა. უზომოდ მომხიბვლელი, მაღალი საზოგადოების საქმეებში გაწაფული ქალის ერთადერთი საზრუნავი მხოლოდ ის იყო – როგორ დაეხარჯა ფული.

მაგრამ ფულს უაზროდ არ ფანტავდა. ადრიდანვე მისთვის მამაკაცის იდეალი ლესტერი იყო. მას სულაც არ ხიბლავდა ეს წვრილფეხა გრაფები, ლორდები თუ ბარონები, რომელთაც საზოგადოებაში ხვდებოდა (წლების მანძილზე ამ ხალხთან ფართო ნაცნობობა და ურთიერთობა დაამყარა), ჭირვით მობეზრდა უცხოელი თაყვანისმცემლები, გარეგნული პეწის მქონე ბედის მაძიებელი მონადირენი. ადამიანებში კარგად ერკვეოდა, ბევრს აკვირდებოდა, შეეძლო აეხსნა ამბის სოციალური თუ ფსიქოლოგიური მხარე. ჰოდა, ბუნებრივია, ილუზიებით თავს არ იბრუებდა და არც ამ ვაჟბატონების სულიერი «ცივილიზაცია» სწამდა.

– ბედნიერი ვიქნებოდი, თუნდაც უბადრუკ ქოხში მეცხოვრა, იმ ადამიანთან, რომელსაც წინათ ცინცინატში ვიცნობდი, – უთხრა ერთხელ თავის ტიტულოვან მეგობარ ქალს, რომელიც წარმოშობით ამერიკელი იყო. – ის დიდი ადამიანია, ჭკვიანი და ნათელი გონების პატრონი. ჩემთვის რომ ხელი ეთხოვა, მაშინვე გავყვებოდი, თუნდაც ლუკმაპურის ძებნა თვითონვე დამჭირებოდა.

– ძალიან ღარიბი იყო? – ჰკითხა მეგობარმა.

– სრულებითაც არა. საკმაოდ მდიდარი გახლდათ, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე მხოლოდ თვითონ ის მინდოდა.

– ჰო, მაგრამ დროთა ვითარებაში ეს თავისებურ გავლენას მაინც იქონიებდა, – წარმოთქვა მეგობარმა.

– მაგას ნუ მეტყვით, – უთხრა მისის ჯერალდმა, – მე ხომ ვიცი, მრავალი წელი ველოდე.

ლესტერს მშვენიერ პეისზე ფრიად სასიამოვნო მოგონება ჰქონდა შემორჩენილი. ოდესღაც მას ძლიერ მოსწონდა ლეტი. რატომ არ შეირთო ცოლად? რამდენჯერ დაუსვამს ეს კითხვა საკუთარი თავისთვის. დიახ, იგი ყველაზე შესაფერი ცოლი იქნებოდა მისთვის. მამაც კმაყოფილი დარჩებოდა და სხვა შინაურებიც. მან კი გააჭიანურა საქმე, მერე ჯენის გადაეყარა და ლეტი სულ გადაავიწყდა. ახლა ექვსი წლის დაშორების შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ლესტერმა იცოდა, რომ ქალი გათხოვდა. ლეტის ყურამდე მოაღწია ხმებმა, რომ ბოლოს და ბოლოს ლესტერმა ცოლად შეირთო თავისი საყვარელი და სადღაც სამხრეთის მხარეს ცხოვრობდნენ. ლესტერის ფინანსურ გასაჭირზე კი არაფერი იცოდა. ჰოდა, აი ახლა, პირველად სასტუმრო «კარლტონში» შეხვდნენ ერთმანეთს. ივნისის ერთ მშვენიერ საღამოს ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან ყვავილთა დამატრობელი სურნელება შემოდოდა და შემოჰქონდა ის სიხარული, მთელ სამყაროს რომ იპყრობს ხოლმე გაზაფხულის დადგომასთან ერთად. შეხვედრის პირველ წუთებში ლეტი დაიბნა, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ უმაღვე გონს მოეგო და ლაღად გაუწოდა ხელი.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ლესტერ კეინია! – წამოიძახა ქალმა, – გამარჯობათ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა. ეს მისის კეინია? მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, ასე მგონია, ახალგაზრდობა დამიბრუნდა-მეთქი. მაპატიეთ, მისის კეინ, მაგრამ თქვენი ქმრის ნახვა მართლაც, ძალიან გამიხარდა, მრცხვენია კიდევ ვთქვა, რა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, ლესტერ. მთლად ბებერი მგონია თავი, როცა ამ წლებს ვიხსენებ. აბა, წარმოიდგინეთ, ექვსი თუ შვიდი წელი გავიდა, ამ ხანში გავთხოვდი კიდევ, გოგონაც შემეძინა და საწყალი მისტერ ჯერალდიც გარდაიცვალა. რა ვიცი, რაღა არ მოხდა!

– შესახედავად არაფერი გეტყობათ, – უთხრა ლესტერმა ღიმილით.

ლესტერსაც ძალიან ესიამოვნა ეს შეხვედრა, ისინი ხომ კარგი მეგობრები იყვნენ. აშკარა იყო, ლეტის ახლაც მოსწონდა ლესტერი. დიახ, ლესტერსაც ესიამოვნა ქალის ხილვა.

ჯენი მეგობრულად უღიმოდა ლესტერის ძველ მეგობარს. ამ მშვენიერ შიშველმკლავება ქალს ძვირფასი მაქმანით გაწყობილი ვარდისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა, ქამართან წითელი ვარდი ეკეთა. ჯენის ეს ქალი ნამდვილ სრულყოფილებად ეჩვენა. მას და ლესტერს უყვარდათ ლამაზი ქალების ყურება. რამდენჯერმე თვითონ დაუნახვებია რომელიმე ლამაზი ქალი და ალერსიანი გამოჯავრებით უთქვამს:

– მიდი, გაეცანი, ლესტერ, თორემ აბა რა გამოვიდა, სულ ჩემთან ზიხარ.

– ნუ წუხხარ, აქაც კარგად ვგრძნობ თავს, – ხუმრობით ეტყოდა და თვალებში ჩახედავდა, ანდა ყასიდად ამოიოხრებდა: – წინანდელივით ახალგაზრდა აღარა ვარ, თორემ გიყვარდეს, გავუარშიყდებოდი.

– მიდი, მიდი, აქეზებდა ჯენი, – მე დაგიცდი.
– რას იზამ, მართლა რომ გავიქცე?
– აბა რა უნდა ვქნა, ვიფიქრებ, დაბრუნდება-მეთქი.
– მაშ სულ ერთია შენთვის?
– კარგად იცი, რომ სულ ერთი არ არის. მაგრამ ხელს მაინც არ შეგიშლიდი. ჩემი აზრით, არ უნდა მიეჯაჭვო მხოლოდ ერთ ქალს, როცა სხვასთან ყოფნის სურვილი გაქვს.

– ეს აზრები საიდან გაგიჩნდა, ჯენი? – გოცებით ჰკითხა ლესტერმა, ქალის ასეთი აზროვნებით გოცებულმა.

– აბა, რა ვიცი. რატომ მეკითხები?

– ამ სიტყვებში იმდენი მოთმინება და გულმოწყალება იგრძნობა, ბევრი არ დაგეთანხმებოდა.

– ადამიანი ეგოისტი არ უნდა იყო. თავადაც არ ვიცი საიდან, მაგრამ ასე კი მგონია. ჰო, ზოგიერთი ქალი სხვანაირად ფიქრობს. თუ ქალსა და მამაკაცს ერთად ცხოვრება არ უნდათ, რატომ უნდა დაატანონ ერთმანეთს ძალა? თუ მამაკაცი ცოტა ხნით წავა და მერე დაბრუნდება, ეს არ უნდა იყოს საშინელება.

ლესტერს გაეღიმა, მაგრამ არ შეეძლო პატივისცემა არ აღძროდა ჯენის ასეთი ადამიანური გრძნობების გამო. და აი ახლაც, ლესტერის ნახვით ასე აღფრთოვანებულ ლეტის რომ შეხედა, მაშინვე მიხვდა, მათ ბევრი რამ ექნებოდათ სათქმელი და თავისი შეხედულების ერთგულმა ჯენიმ ღიმილით წარმოთქვა:

– უკაცრავად, ცოტა ხნით დაგტოვებთ. ნომერში რაღაც მოსაწესრიგებელი მაქვს და მალე დავბრუნდები.

ჯენი წავიდა და იმდენ ხანს დარჩა, რამდენიც შესაძლებლად ეჩვენა. ლესტერმა და ლეტიმ მაშინვე ცხოველი საუბარი გააბეს. გაიხსენეს ძველი დრო, ლესტერი ამბებს მოუყვა, ლეტიმაც თავისი ბოლო წლების ცხოვრება გადაუშალა.

– ახლა, როცა ცოლიანი ხართ და მიუწვდომელი, – უთხრა ქალმა გაბედულად, – გამოგიტყდებით: ყოველთვის იმაზე ვოცნებობდი, რომ ხელს მთხოვდით, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

– იქნებ, ვერ გაგიბედეთ, – უთხრა მან და ქალის მშვენიერ შავ თვალებს მიაჩერდა, თან გუნებაში ფიქრობდა, ნეტავ იცის თუ არა, რომ ცოლიანი არა ვარო.

ლესტერს ქალი უფრო დამშვენებული ეჩვენა. დიახ, აგრერიგად სრულყოფილ, მოხდენილ, თავის თავში დარწმუნებულ, ენამოსწრებულ, მაღალი საზოგადოების იდეალურ ქალს ყველასთან დაახლოება და ასევე ყველას მოხიბვლა-მოჯადოება შეეძლო.

– ამას ნუ მეუბნებით! კარგად ვიცი, ვინც დაიპყრო თქვენი აზრი და გონი. თქვენი საოცნებო არსება ახლა ამ მაგიდას უჯდა.

– დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ, ჩემო ძვირფასო, თქვენ არ შეგიძლიათ იცოდეთ ჩემი მაშინდელი აზრები.

_ ასე იყო თუ ისე, თქვენს გემოვნებას პატივს ვცემ. ეს არსება ჭეშმარიტად მომხიბვლელია.

_ დიახ, ჯენის ბევრი კარგი თვისება აქვს, _ უბრალოდ შენიშნა ლესტერმა. _ ბედნიერი ხართ?

_ თითქოს. არა, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რამდენადაც შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანი, რომელიც ცხოვრებას საღად უყურებს. როგორც იცით, ილუზიები არ მაწუხებს.

_ გინდათ თქვათ, რომ ილუზიები არ გაქვთ?

_ წარმოიდგინეთ, არავითარი. ზოგჯერ ვნანობ კიდევ. ილუზიები ცხოვრებას აადვილებენ.

_ მე თქვენი მესმის, რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას, ვფიქრობ, არ გამიმართლა, ცხოვრება ვერ ავაწყვე, თუმცა ლამის კრეზივით მდიდარი ვარ.

_ ღმერთო ჩემო, ამას ამბობთ თქვენ, ასეთი სილამაზის, გონებისა და სიმდიდრის პატრონი!

_ ჰო, რაში მჭირდება, იმისთვის, რომ ქვეყნად ვიხეციალო, ვისმინო ფუჭი საუბრები, დავაფრთხო ჩემს დოლარებს დახარბებული სულელი თაყვანისმცემლები? ოჰ, რა მომაბეზრებელი და დამღლეელია ეს ყოველივე!

ლეთიმ ლესტერს შეხედა. ჯენის არსებობამ ხელი ვერ შეუშალა მის გულში ძველი გრძნობის გაღვიძებას. რატომ მას არ ერგო ლესტერი? ახლაც რა კარგად გრძნობენ თავს ერთად, თითქოს დიდი ხნის ცოლ-ქმარი იყვნენ, ანდა თითქოს ახლახან გაემხილოთ ერთმანეთისთვის სიყვარული. რა უფლება ჰქონდა ჯენის, რომ ისე მიისაკუთრა? ლეტის თვალები ყველაფერს უსიტყვოდ ამბობდნენ. ლესტერმა ნაღვლიანად გაიღიმა.

_ აი, ჩემი ცოლიც მოდის, _ თქვა მან. _ საუბრის თემა შევცვალოთ. ვფიქრობ, ჯენი დაგაინტერესებთ.

_ ვიცი, _ მიუგო ლეთიმ და მოსულს შუქმომფენი ღიმილი მიაგება.

ჯენის ექვის ბრჭყალმა გაჰკრა. იქნებ, ეს ლესტერის ძველი სიყვარულია? აი, ასეთი ქალი უნდა აერჩია ცოლად, მისი წრიდანაც არის და უფრო მეტად თუ არა, ნაკლებად ბედნიერი არ იქნებოდა. ვინ იცის, იქნებ, თვითონ ლესტერიც ასე ფიქრობს? მერე უეცრად აკვიატებული აზრი მოიშორა. რატომ უნდა იექვიანოს, ეს ხომ სულმდაბლობაა.

მისის ჯერალდს კეინებთან თავი მეტად თავაზიანად ეჭირა, მეორე დღეს ცოლ-ქმარი ჰაიდ-პარკში სასეირნოდ დაპატიჟა, ერთხელ სასტუმრო «ქლერიჯშიც» ისადილეს ერთად. ბოლოს დადგა მისი გამგზავრების დღე. პარიზში ნაცნობებთან შეხვედრა ჰქონდა დათქმული. კეინებს გულითადად გამოემშვიდობა და მომავალი შეხვედრის იმედი გამოთქვა. გუნება ძალიან გაუფუჭდა, ჯენის ბედნიერება შურდა. ლესტერს მისთვის ძველებური მომხიბვლელი არ დაეკარგა. პირიქით, უფრო სასიამოვნო, ალერსიანი, უფრო დაბრძენებული ჩანდა. საოცრად განიცდიდა მის ცოლიანობას. იქნებ, შეუგნებლად, მაგრამ მაინც ლესტერიც მის აზრს იზიარებდა.

თითქოს ლეტის ფიქრებმა გაიყოლაო, თვითონაც იგივე წარმოიდგინა: რა კარგი იქნებოდა, ცოლად რომ ეთხოვა. მათი აზრები ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე, პრაქტიკულ საკითხებზე ერთმანეთს ემთხვეოდა. ისინი თავისუფლად და გულლიად საუბრობდნენ, როგორც ერთი წრის ადამიანები, ლამის უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს, ყოველ ნიუანსს აღიქვამდნენ, რომლის მიხვედრა და გამოხატვა ჯენის, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ჯენის გონება მისის ჯერალდივით სწრაფად ვერ მუშაობდა. თავისი ბუნებით ჯენი უფრო მგრძობიარე და დიდი სულიერი სიმდიდრის ქალი იყო, მაგრამ მაღალი საზოგადოების ადამიანებთან საუბარში ამას ვერ ამჟღავნებდა. იგი ყველგან და ყოველთვის გულწრფელი იყო. ალბათ, ეს თვისებაც იზიდავდა ლესტერს ყველაზე მეტად. მაგრამ ახლა, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ამ თვისების გამო ჯენის ბევრი რამ აკლდებოდა. ლესტერს უკვე შეეპარა აზრი, რომ უკეთესი იქნებოდა თავისი არჩევანი ლეტიზე შეეჩერებინა. ყოველ შემთხვევაში, მომავლის გაურკვეველი ფიქრებით გაწამებული არ იქნებოდა.

მეორედ ისინი მისის ჯერალდს კაიროში შეხვდნენ. სიგარაგაჩრილი ლესტერი სასტუმროს ბაღში სეირნობდა და პირდაპირ შეეჩეხა.

– აი, სასწაულიც ამას ჰქვია! – წამოიძახა ლესტერმა. – საიდან?

– წარმოიდგინეთ, რომ მადრიდიდან. გასულ ხუთშაბათამდე თვითონაც არ ვიცოდი, აქ თუ მოვხვდებოდი. ელიკოტებმა მთხოვეს, კომპანია გაგვიწიეო. სწორედ თქვენზე ვფიქრობდი, ნეტავ, ახლა სად არიან-მეთქი. მერე გამახსენდა, თქვენც რომ ეგვიპტეში აპირებდით გამომგზავრებას. ცოლი სად არის?

– ახლა, ამ წუთში, ალბათ, აბაზანაშია. აქ ისე ცხელა, რომ ჯენი აბაზანიდან აღარ ამოდის. სიმართლე გითხრათ, თავადაც არა ვარ ბანაობის წინააღმდეგი.

ცოტა გაისეირნეს. ლესტერი ისევ მოხიბლა ქალის მშვენიერებამ. ლეტის ცისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა, ხელში კი ცისფერი თეთრზოლებიანი მშვენიერი ქოლგა ეჭირა.

– ოჰ, ღმერთო! – უცებ წამოიძახა ლეტიმ. – აღარ ვიცი, რა ვქნა. გაუთავებლად ხომ არ ვიხეტიალებ. ვფიქრობ, ისევ შტატებში დავბრუნდე.

– მაინც რატომ ფიქრობთ ასე?

– აბა რას მომცემს ეს ხეტიალი? გათხოვება არ მინდა. ან კი ვის უნდა მივთხოვდე? – თქვა ქალმა და ლესტერს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

– ვილაც გამოჩნდება, – არცთუ თავაზიანად უთხრა ლესტერმა, – ისე კი, თქვენი სილამაზისა და ქონების პატრონი მაინც ვერ გადარჩებით.

– ამას ნუ ამბობთ, ლესტერ.

– კეთილი, იყოს თქვენებურად, ოღონდ მე ვიცი, რასაც ვამბობ.

– კიდევ ცეკვავთ? – ახლა უკვე სხვა ხმით ჰკითხა ქალმა, რადგან უეცრად გაახსენდა, რომ საღამოს სასტუმროში მეჯლისი იმართებოდა. ოდესღაც ლესტერი ბრწყინვალედ ცეკვავდა.

– ერთი მეც შემომხედეთ!

– კარგით ერთი, ლესტერ! ნუთუ უარს აცხადებთ ასეთ მშვენიერ გართობაზე? აბა მე ბოლომდე დავრჩი ცეკვის თაყვანისმცემელი. არც მისის ლესტერი ცეკვავს?

– არა, ჯენის არ უყვარს ცეკვა. ყოველ შემთხვევაში, ამით არ ერთობა. კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ ჩემი ბრალიც არის. ბოლო დროს რაღაცნაირად დამავიწყდა, ასეთი გართობაც რომ არსებობს.

ლესტერმა ისიც გაიფიქრა, რომ ამ ბოლო ხანებში იგი საერთოდ აღარსად დადიოდა, თავი მიაჩნებოდა საზოგადოებაში გამოჩენას. მისის ჯენისთან კავშირი ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

– მოდით, დღეს ვიცეკვოთ. თქვენი ცოლი წინააღმდეგი არ იქნება. დარბაზში მშვენიერი იატაკია. სწორედ ამ დილას შევიხედე.

– ვნახოთ, – მიუგო ლესტერმა. – ალბათ, გადამავიწყდა კიდეც. ჩემს ასაკში გამიძნელებდა თავიდან დაწყება.

– აბა რას ამბობთ, ლესტერ, – შეეპასუხა ქალი, – გამოდის, რომ მეც არ უნდა ვიცეკვო? მეტისმეტად ნუ დადინჯდებით. კაცმა რომ მოგისმინოთ, იტყვის დაბერებულაო.

– ცხოვრების გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, მართლაც ბებერი ვარ.

ორმოცდამეექვსე თავი

პალმების ხეივანში გამავალ ვეებერთელა სასტუმროს სამეჯლისო დარბაზში უკვე ორკესტრი უკრავდა, როცა მისის ჯერალდმა ერთ-ერთ ვერანდაზე ლესტერი შენიშნა. ლესტერს გვერდით ეჯდა თეთრი ატლასის კაბასა და თეთრ ფეხსაცმელში გამოწყობილი ჯენი. სუფთა შუბლს ზემოთ ხშირი თმა შემოეგრანა. ეგვიპტის ბედზე ჩაფიქრებული ლესტერი სიგარას ეწეოდა. იგი ფიქრობდა თაობათა ცვალებადობაზე, შრომისგან გაწამებულ ხალხზე, ამ თაობათა გამომკვებავ მდინარე ნილოსის გასწვრივ გაჭიმულ ვიწრო მიწის ზოლზე, ტროპიკების საოცარ ცხოვრებაზე და ათასნაირად ჩაცმული ტურისტებით სავსე თანამედროვე სასტუმროზე, რომელიც ამ ძველ, დაღლილ, ქანცგამოცლილ მიწაზე აღემართათ. დილით ჯენისთან ერთად პირამიდები დაათვალიერა. ტრამვაით მიადგნენ სფინქსის მიდამოებს. ხედავდნენ მყვირალა ფერებითა და ათასნაირი სუნიტ შეზავებულ ვიწრო შესახვევებს. იქაურობა სავსე იყო ჩამოხეული, ნახევრად შიშველი მამაკაცებით და ბიჭებით.

– რა ძნელად შესაცნობი ამბავია, – თქვა ჯენიმ. – მაინც რა ბინძურები და საშინელი შესახედავები არიან. საინტერესო სანახაობაა, თითქოს ერთმანეთში მატლებივით ირევიანო.

ლესტერს გაეცინა.

– შენ ნაწილობრივ მართალი ხარ, მაგრამ ეს ჰავის ბრალია. სიცხე, ტროპიკები. ეს ყველაფერი ასუსტებს ადამიანს, უფრო მგრძნობიარეს ხდის. ხალხი არ არის დამნაშავე.

– რა თქმა უნდა, მე მათ არც ვადანაშაულებ. უბრალოდ, უცნაურები არიან.

ლესტერი კაშკაშა ჯადოსნური მთვარის შუქით განათებულ პალმებს უცქეროდა და ეს საუბარი აგონდებოდა.

– როგორც იქნა, გიპოვეთ! – წამოიძახა მისის ჯერალდმა. – სადილზე მაინც დავიგვიანე. ექსკურსიამ ძლიერ დაგვაყოვნა. მისის კეინ, თქვენი ქმარი დავითანხმე, ამ საღამოს უნდა ვიცეკვოთ, – მიმართა ლეტიმ ღიმილით. ჰაერი გაჟღენთილი იყო ბაღების დამატორობელი სურნელით. ესმოდათ ზანზალაკების წკარუნი და უცნაური შემახილები: «აია! უშ! უშ!» ეს სადღაც შორს, ვიწრო ქუჩებში აქლემებს მიერეკებოდნენ.

– ძალიან კარგი, – გულთბილად გამოეპასუხა ჯენი, – იცეკვოს. მეც სიამოვნებით ვიცეკვებდი, მაგრამ არ ვიცი.

– შენ უნდა ისწავლო ცეკვა, ახლავე გაივლი რამდენიმე გაკვეთილს და ის იქნება, – ცოცხლად გამოეპასუხა ლესტერი. – მეც სიამოვნებით აგყვები. რა თქმა უნდა, გვარიანად დავმძიმდი, მაგრამ რაიმეს მოვახერხებ.

– მე, არცთუ ისე ძალიან მინდა ცეკვა, – გაელიმა ჯენის. – თქვენ წადით, მე მალე ზემოთ ავალ.

– იქნებ, დარბაზში მოგეცადა? – უთხრა ლესტერმა და წამოდგა. ორ-სამ ტურს გავაკეთებ, მეტს კი არა, მერე კი სხვებს ვუყუროთ.

– არა, აქ დარჩენა მირჩევნია, აქ კარგია. შენ წადი. წაიყვანეთ, მისის ჯერალდ.

ლესტერი და ლეტი გაუჩინარდნენ. მართლაც, თვალწარმტაცი წყვილი იყო. ქალს შავი ბრჭყვიალებით მოფენილი მუქი ღვინისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და ქათქათა შიშველ ყელსა და მკლავებს კიდევ უფრო საჩინოს ხდიდა. მუქ თმაში მოზრდილი ბრილიანტი უბრწყინავდა. მიმზიდველად გაპოზილი წითელი, სავსე ტუჩებიდან მიჯრით მიწყობილი თეთრი კბილები უელავდა.

ფრაკში გამოწყობილი წარმოსადეგი, ჩასხმული ტანის ლესტერი განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჩანდა.

«აი, ვინ უნდა შეერთო ცოლად», – გაიფიქრა ჯენიმ, როდესაც ლესტერი კარს მიეფარა. მერე გონებაში თავისი ცხოვრების დღეებს გადაავლო თვალი. ზოგჯერ ისე ეჩვენებოდა, რომ მთელი მისი წარსული მხოლოდ სიზმარი იყო. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, რომ ეს სიზმარი ახლაც გრძელდებოდა. ცხოვრებისეული ხმები ახლანდელი, ღამეული ხმებივით ბუნდოვნად ესმოდა. დიახ, ესმოდა მხოლოდ ხმამაღალი ძახილი, ხედავდა ერთიან ნაკვეთებს, იმის იქით კი თითქოს სიზმარიაო, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მიცურავდნენ მოუხელთებელი ჩრდილები. მაინც რატომ ელტვოდნენ ასე მამაკაცები? ასე გულმოდგინედ რატომ ცდილობდა ლესტერი მის დამორჩილებას? ვითომ შეეძლო კი წინააღმდეგობის გაწევა? გაიხსენა თავისი ცხოვრება კოლუმბუსში, როგორ დადიოდა ქვანახშირის მოსაგროვებლად. ახლა კი ეგვიპტეშია, ამ უზარმაზარ სასტუმროში, რამდენიმე ოთახიანი მდიდრული ნომერი უჭირავთ, ლესტერი ძველებურად მისი ერთგულია. რამდენი რამ გადაიტანა ჩემი გულისთვის? რატომ? ნუთუ მართლა არაჩვეულებრივი ქალია? ოდესღაც ბრენდერიც ხომ ამას ეუბნებოდა და ლესტერიც ამას უმტკიცებს, მაგრამ ის

მანც გრძნობდა, რომ მისი ადგილი აქ არ იყო, თითქოს მუქში ძვირფასი თვლები სჭეროდეს, თვლები, რომელიც მას არ ეკუთვნის. რამდენჯერ დაბრუნებია ის გრძნობა, რაც ლესტერთან ერთად, პირველად ნიუ-იორკში მგზავრობის დროს განიცადა. თითქოს ეს ზღაპრული ცხოვრება მხოლოდ დროებით ეწვია. არა, რაღაც ისევ მოხდება, ისევ ძველებურად აღმოჩნდება იმ ვიწრო შესახვევის ღარიბულ ქოხში, ძველ, გაცვეთილ კაბაში.

მერე ფიქრები ისევ ჩიკაგოზე გადაიტანა, გაიხსენა ლესტერის ნაცნობები და მისთვის ნათელი გახდა, რომ სწორედ ასე მოხდებოდა. მას არ მიიღებენ მაღალ საზოგადოებაში, ლესტერმა ცოლადაც რომ შეირთოს. ახლა უკვე ესმოდა ამის მიზეზი. ჯენიმ ეს მიზეზი იმ ქალის ღიმილში ამოიკითხა, ახლა რომ ლესტერს გაჰყვა: «დიახ, იქნებ, მართლაც ლამაზი ხარ, მაგრამ, სხვა ხარ, სხვა წრის ქალი». ალბათ, ამ წუთში, ლესტერთან ცეკვისას, მისის ჯერალდი სწორედ ასე ფიქრობდა, რომ თვითონ იქნებოდა ლესტერის შესაფერი ცოლი. რომ ლესტერს სჭირდება მის წრეში აღზრდილი ქალი. ჯენის არ შეეძლო სცოდნოდა ყველა ის წვრილმანი, რაც მან ბავშვობაში აითვისა, არ შეეძლო მისი სწორად ახსნა და შეფასება. მართალია, ახლა ბევრი რამ ისწავლა, უკვე კარგად ერკვეოდა, როგორ მოეწყო სახლი, როგორ ჩაეცვა, როგორ დაეჭირა თავი მაღალ საზოგადოებაში, მაგრამ ეს ყოველივე შეძენილი ჰქონდა და არა თანდაყოლილი.

ჯენი თუ გაშორდება, ლესტერი თავის ძველ სამყაროს დაუბრუნდება, სადაც მეფობს ლამაზი, ჭკვიანი, კარგად აღზრდილი ქალი, რომელიც ახლა მასთან ერთად წრეს უვლის. ჯენის თვალები ცრემლით აევსო; უცბად სიკვდილი მოუხდა; ნამდვილად ასე ჯობდა.

ლესტერი და მისის ჯერალდი კი ცეკვავდნენ. შესვენებაზე მშობლიურ ადგილებსა და ძველ ნაცნობებზე საუბრობდნენ. ქალს მიჩერებულ ლესტერს აოცებდა მისი ახალგაზრდობა და სილამაზე. წინანდელივით ტანკენარი აღარ იყო, მაგრამ ახლა დიანასავით აშოლტილი მომხიბვლელი სხეული ჰქონდა. მის სათუთ არსებაში იგრძნობოდა ძალა, შავი წყლიანი თვალები უელავდა.

– გეფიცებით, ლეტი, – ვეღარ მოითმინა ლესტერმა, – უფრო გამშვენებულხართ. განსაცვიფრებელი ამბავია, წლები მომატების ნაცვლად გაკლდებათ.

– ვითომ მართლა ასე ფიქრობთ? – გაუღიმა ქალმა და თვალები შეანათა.

– თქვენ კარგად იცით, არ გეტყოდით, ასე რომ არ იყოს. მე ქათინაურების მოყვარული კაცი არა ვარ.

– ოჰ, ლესტერ, ნამდვილი დათვი ხართ, დათვი, ქალს გაკველუცების საშუალებასაც არ აძლევთ. ნუთუ არ იცით, რომ ქალებს წვეთ-წვეთობით გვიყვარს ქება-დიდება მიღება და არა ერთბაშად, ერთი მოსმით.

– ამას რატომ მეუბნებით? განა ისეთი რა ვთქვი?

– არაფერი. უბრალოდ დათვი ხართ, დიდი ბავშვი, ჯიუტი და დაუდგრომელი. მაგრამ ეგ არაფერი. მე მომწონხართ, თქვენთვის საკმარისია?

– სავსებით, – დაუდასტურა ლესტერმა.

როგორც კი მუსიკა შეწყდა, ისინი ბაღში გავიდნენ. ლესტერი ნაზად უჭერდა ხელს. თავს ვეღარ იკავებდა! ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქალი უკვე მას ეკუთვნოდა. ქალსაც უნდოდა ეს აზრი რამენაირად შთაეგონებინა მისთვის. ბაღში ლესტერის გვერდით მჯდარი ლეტი ხეებს შუა დაკიდებულ ფარნებს მისჩერებოდა და ფიქრობდა: ლესტერი რომ თავისუფალი იყოს და თავისთან იხმოს, უსათუოდ გაჰყვებოდა. ლეტი ახლაც გაჰყვებოდა, მაგრამ ლესტერი არ მოინდომებს. ის ისეთი პურიტანელი და წესრიგის დამცველია. მის ნაცნობ მამაკაცებს კი არ ჰგავს, არასოდეს უღირსად არ მოიქცევა, არასოდეს.

ბოლოს ლესტერი წამოდგა და ქალს ბოდიში მოუხადა: – მე და ჯენი დილით მაღლა, ნილოსის გაყოლებით კარნაკში და თებეში მივდივართ. კუნძულ ფილეს წყლიდან ამოზიდული ტამრებიც უნდა ვნახოთ. გარიჟრაჟზე მოგვიწევს ადგომა, ასე რომ, ჩემი წასვლის დროაო.

– შინ როდის დაბრუნდებით? – დანადვლიანებული ხმით ჰკითხა მისის ჯერალდმა.

– სექტემბერში.

– ბილეთები უკვე შეუკვეთეთ?

– დიახ, ჩვენ ცხრაში გემ «ფულდათი» გავცურავთ ჰამბურგიდან.

– შეიძლება, მეც შემოდგომაზე დავბრუნდე შინ, – გაეცინა ლეტის, – ნუ გაიკვირვებთ, თუ ერთმანეთს გემზე შევხვდებით. მე ჯერ კიდევ არაფერი გადაამიწყვეტია.

– მართლა, მოდით ერთად წავიდეთ, – უთხრა ლესტერმა. – იმედი მაქვს, არ გადაიფიქრებთ... იქნებ, ხვალ დილითაც შევხვდეთ ერთმანეთს!

ლესტერი გაჩუმდა და ლეტიმ კითხვით სავსე სევდიანი მზერა მიაპყრო.

– გამხნევდით, – უთხრა ლესტერმა და ხელი მოუჭირა. – რა არ ხდება ცხოვრებაში. ხანდახან გგონია, საქმე წასულიაო, მაგრამ პირიქით, სასიკეთოდ შემობრუნებულა.

ლესტერმა იგრძნო, ლეტის მისი დაკარგვა ენანებოდა, თვითონაც ედარებოდა, ქალს სურვილს რომ ვერ უსრულებდა. თუმცა იმასაც ფიქრობდა, ასეთი გამოსავალი ჩემთვის მიუღებელიაო. და მაინც, ესეც გამოსავალი იყო. მაინც რატომ არ ითხოვა რამდენიმე წლის წინ?

მაშინ ლეტი არც ისეთი ლამაზი იყო, როგორც ახლა, არც ასე ჭკვიანი და არც ასე მდიდარი... ეჰ, ეს რომ... მაგრამ მას არც ჯენის ღალატი შეეძლო და არც ცუდი უნდოდა მისთვის. ჯენიმ ისედაც ბევრი სიმწარე იწვნია და მამაცურადაც უმკლავდებოდა თავის ტვირთს.

ორმოცდამეშვიდე თავი

გემით შინსკენ მიმავალმა ლესტერმა და ჯენიმ მთელი კვირა მისის ჯერალდთან ერთად გაატარეს, ქალს ცოტა ხნით ამერიკაში დაბრუნება გადაეწყვიტა. გუნებაში, რა თქმა უნდა, ჩიკაგოსა და ცინცინატიში ლესტერთან შეხვედრას იმედოვნებდა. ჯენის ძალიან გაუკვირდა ლეტის დანახვა და ისე

ნაღვლიანმა ფიქრებმა დარიეს ხელი... ახლა მისთვის ყველაფერი ცხადი გახდა: დიახ, ეს ქალი, მისის ჯერალდი რომ არ არსებულებო, იგი ლესტერის ცოლი გახდებოდა. ახლა... ძნელია რაიმეს თქმა: ლეტი ყველაზე უფრო შესაფერი ცოლი იქნებოდა მისთვის წარმოშობით, აღზრდითა თუ საზოგადოებაში არსებული მდგომარეობით. მაგრამ ფართო ადამიანური თვალთახედვით ლესტერისთვის ჯენი მაინც უფრო ახლობელი ადამიანი იყო და ამას ჯენი აშკარად გრძნობდა. ალბათ, დრო თუ დაეხმარებოდა ამ რთული საკითხის გადაწყვეტაში. ჯერჯერობით სამივე მეგობრებად დარჩნენ, ერთმანეთს ჩიკაგოში დასცილდნენ – მისის ჯერალდი ცინცინატის გზას გაუყვა, ლესტერმა და ჯენიმ თავიანთ სახლს მიაშურეს, ჰაიდ-პარკში.

ევროპიდან დაბრუნებულმა ლესტერმა გულმოდგინედ დაიწყო ახალი სამოღვაწეო ასპარეზის ძებნა. არც ერთ მსხვილ ორგანიზაციას არ მიუმართავს მისთვის რაიმე წინადადებით. უმთავრესად იმიტომ, რომ მას ძლიერი პიროვნების სახელი ჰქონდა და თუ სადმე ფეხს მოიკიდებდა, საჭის ხელში ჩაგდებასაც მოისურვებდა. მისი ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საზოგადოებაში ჯერ არ იყო გახმაურებული, წვრილი კომპანიები კი, ან სულს ღაფავდნენ, ანდა, მისი აზრით, უხარისხო საქონელს უშვებდნენ. ინდიანას შტატის ჩრდილოეთით, პატარა ქალაქში ერთი ორგანიზაცია აღმოაჩინა, რომელსაც თითქოს რაღაც მომავალი ჰქონდა. მას ხელმძღვანელობდა გამოცდილი ოსტატი, ისეთი, როგორც თავის დროზე მამამისი იყო. თუმცა მამისნაირი განსაკუთრებული საქმიანი უნარიანობით არ გამოირჩეოდა. იგი ფრიად მცირე მოგებას ნახულობდა იმ თხუთმეტი ათასი დოლარიდან, რაც დაბანდებული ჰქონდა ოცდახუთი ათასის ღირებულების წარმოებაში. ლესტერი ფიქრობდა, იქნებ, რამე გამოვიდეს ჩემი მეტოდეებისა და საქმიანი მოხერხების გამოყენებით. სწრაფი წარმატების იმედი, რა თქმა უნდა, არ იყო. მსხვილი მოგება, თუკი ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ შორეულ მომავალში უნდა ეგულისხმა. ლესტერმა მაინც გადაწყვიტა ამ წარმოების ხელმძღვანელთან მოლაპარაკება, მაგრამ სწორედ მაშინ გაიგო ერთი მთლიანი საკარეტო ტრესტის ჩამოყალიბების ამბავი.

რობერტმა სწრაფად მოკიდა ხელი ეტლების წარმოების რეორგანიზაციას. ცდილობდა, თავისი კონკურენტებისთვის დაემტკიცებინა, რომ ბევრად უფრო მეტს მოიგებდნენ გაერთიანების შემთხვევაში, ვიდრე ცალ-ცალკე ერთმანეთის შევიწროებით. მისი არგუმენტები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მსხვილი საწარმოები ერთმანეთის მიყოლებით უცხადებდნენ თანხმობას. რამდენიმე თვის შემდეგ შეთანხმება გაფორმდა და რობერტი ეტლების წარმოების გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი გახდა. მის ხელში მოექცა აქციონერთა ათი მილიონი დოლარის კაპიტალი და ამ თანხის სამი მეოთხედის ტოლი ძირითადი საშუალებანი. რობერტმა თავისას მიაღწია, თავს ბედნიერად გრძნობდა.

ლესტერმა ამ დიდი ცვლილებების თაობაზე არაფერი იცოდა. ვითომ სიბნელეში იჯდა? ის სამი თუ ოთხი მოკლე საგაზეთო წერილი, სადაც

ეტლების წარმოების მოსალოდნელ გაერთიანებას იუწყებოდნენ, ლესტერს არ წაუკითხავს, რადგან იმ ხანებში ევროპაში მოგზაურობდა. ჩიკაგოში დაბრუნებისას შეიტყო, რომ იმოჯინის ქმარი ჯეფერსონ მიჯლი ისევ განაგებდა ჩიკაგოს განყოფილებას და ივენსტონში ცხოვრობდა. სწორედ შინაურებთან განხეილებების გამო ლესტერმა ეს ახალი ამბები მათგან ვერ შეიტყო, ძველ მეგობართან შემთხვევითმა შეხვედრამ უცბად აუხილა თვალი და საკმაოდაც დაანაღვლიანა.

ეს საოცარი ამბავი კლივლენდელმა ჰენრი ბრეისბრიჯმა აცნობა, რომელსაც ლესტერი ევროპიდან დაბრუნების ერთი თვის შემდეგ კლუბში შეხვდა.

– გავიგე, მამის კომპანიას გამოყოფიხარ, _ ღიმილით შენიშნა

ბრეისბრიჯმა. _ ჰო, გამოვეყავი, _ დაუდასტურა ლესტერმა.

– ახლა რას ფიქრობ?

– ერთი საქმე განვიზრახე. საკუთარი წარმოების გახსნა მინდა.

– არა მგონია, ძმის წინააღმდეგ წახვიდე. ისე კარგად კი მოუფიქრებია გაერთიანებული ასოციაციის შექმნა.

– რა გაერთიანება? არაფერი გამიგია. მე ახლა დავბრუნდი ევროპიდან.

– ასეთი უყურადღებობა როგორ დაუშვი ლესტერ, _ უთხრა ბრეისბრიჯმა, _ შენმა ძმამ შექმნა უმსხვილესი ტრესტი თქვენი წარმოების დარგში. როგორც ვიცი, გაერთიანდა ყველა მსხვილი წარმოება _ ლაიმან უინტროპის, მაიერ ბრუკსის, ვუდსის კომპანიები. არ ვიცი, ხუთი თუ ექვსი მსხვილი კომპანიაა. შენი ძმა ამ კომპანიის პრეზიდენტია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ საქმიდან ერთი-ორი მილიონი მაინც გააკეთა.

ლესტერმა წარბები აზიდა, თვალეში სიცივე ჩასდგომოდა. _

ძალიან კარგი, მახარებს რობერტის წარმატება.

ბრეისბრიჯი მიხვდა, რომ ლესტერს გული ატკინა.

– ნახვამდის, ძვირფასო, ჩემი წასვლის დროა, როცა კლივლენდში იქნები, გვინახულე. მე და ჩემს ცოლს გვიყვარხარ, შენ ეს იცი.

– ვიცი, _ კარგად იყავი, ნახვამდის, _ უთხრა ლესტერმა და თამბაქოს მოსაწევი ოთახისკენ წავიდა: ამ ახალი ამბის გაგებისთანავე მისმა განზრახვამ აზრი დაკარგა. კარგი სანახავი კი იქნება უმნიშვნელო ფაბრიკის პატრონის როლში, როცა მისი ძმა ეტლების ტრესტის პრეზიდენტია! ერთ წელიწადში რობერტი მათხოვრად გახდის. ოდესღაც ხომ თვითონაც ოცნებობდა ამ გაერთიანებაზე, დიახ, თვითონაც ოცნებობდა, რობერტმა კი ოცნება საქმედ აქცია.

ერთია, როდესაც ახალგაზრდა, გამბედავი, მეზრდოლი სულის ნიჭიერი ადამიანი იგემებ ბედის დარტყმებს, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ახალგაზრდობა წასულია, ძირითადი ქონება ხელიდან გეცლება და სიმდიდრისა და წარმატებისკენ მიმავალი ყველა გზა ზედიზედ გეკეტება. საზოგადოების მიერ ჯენის არცნობა, გაზეთის ალიაქოთი, მამასთან უსიამოვნება, მისი სიკვდილი, ქონების დაკარგვა, მამის წარმოებასთან განხეთქილება, რობერტის საქციელი, და ბოლოს ამ გაერთიანების შექმნა _

თავზას უბნედა და ქანცს აცლიდა ლესტერს, ცდილობდა არ შეემჩნია. დღემდე, მგონი, ახერხებდა კიდეც ამას, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს: მოთმინების ფიალა აევსო. იმ სადამოს შინ მეტად უგუნებოდ დაბრუნდა, ჯენი მაშინვე მიხვდა, უფრო სწორად ამას ელოდა. მთელი სადამო, სანამ ლესტერი მოვიდოდა, რაღაც გაურკვეველი სევდა უღრღნიდა გულს. ლესტერი დაბრუნდა, ქალმა იგრძნო, რაღაც დიდი დარდი რომ აწუხებდა. ჯერ დააპირა, ვკითხავ, რა მოხდაო, მაგრამ მერე გადაიფიქრა, თუ საჭიროდ ჩათვლის, თვითონ მეტყვისო. ჯენიმ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, შეეცადა გაერთო, ალერსიანად მოპყრობოდა.

– დღეს ვესტა ძალიან კმაყოფილი მოვიდა სკოლიდან, – დაიწყო მან, – კარგი ნიშნები მიუღია.

– სასიამოვნოა, სასიამოვნო, – ნაღვლიანად გამოეპასუხა ლესტერი.

– ახლა უკვე ცეკვაც მშვენივრად გამოუდის. სწორედ შენს მოსვლამდე წინ მაჩვენებდა ახალ ცეკვებს. ისე ლამაზად ცეკვავს, ვერც კი წარმოიდგენ.

– სასიამოვნოა, მიხარია, რომ ასეა, – ჩაიბურტყუნა მან; – აკი ყოველთვის ვამბობდი, ცეკვა უნდა ისწავლოს-მეთქი. სხვა სკოლაში გადაყვანის დროც დადგა.

– მამა კი ისევ ბუზღუნებს, პირდაპირ სასაცილოა, ვესტა ერთთავად აჯავრებს, ეგ ალქაჯი ეგა, დღეს ჩასციებია, მოდი, პაპა, ცეკვა უნდა გასწავლოო. საკუთარ თავზე მეტად რომ არ უყვარდეს, ყურებს დაასრესდა.

– წარმომიდგენია! – გაეღიმა ლესტერს. – ჩვენი მოხუცის ცეკვა მართლაც რომ სანახავი იქნება!

– მამაჩემი ებუზღუნებოდა, ის კი, ვითომც აქ არაფერიაო, მაინც თავისას იძახდა.

– ყოჩალი გოგოა, – თქვა ლესტერმა.

ლესტერს გულწრფელად უყვარდა ვესტა და დიდ ყურადღებასაც იჩენდა.

ჯენი საუბარს განაგრძობდა და ოდნავ თითქოს შეუმსუბუქა კიდეც მოჟამული განწყობილება. დაწოლის დრო რომ მოვიდა, ლესტერი თვითონ ალაპარაკდა.

– სანამ ჩვენ საზღვარგარეთ ვიყავით, რობერტს ერთი გვარიანი ფინანსური კომბინაცია გაუჩარხავს.

– მაინც რა? – დაინტერესდა ჯენი.

– ეტლების წარმოების ტრესტი შეუქმნია... არც მეტი და არც ნაკლები. ამ დარგში არსებული ყველა მნიშვნელოვანი წარმოება ახლა მის ტრესტშია გაერთიანებული. ბრეისბრიჯმა მიაგზო, რობერტი აურჩევიათ პრეზიდენტად და ახლა თითქმის რვა მილიონი კაპიტალის მფლობელიაო.

– რას ლაპარაკობ! – წამოიძახა ჯენიმ. – გამოდის, რომ აღარ ღირს იმ ახალ კომპანიაში შესვლა, შენ რომ აპირებდი.

– რა თქმა უნდა, ახლა აზრი აღარა აქვს, არ ვიცი, მოგვიანებით იქნებ მოხერხდეს. ჯერჯერობით კი უნდა დაველოდოთ, ვნახოთ, რა გამოვა ამ ახალი ტრესტიდან, ღმერთმა უწყის, რა კურსს აიღებენ.

ჯენი საშინლად შეწუხდა. წინათ არასდროს გაუგია ლესტერის ჩივილი, ძალიან უნდოდა, რითიმე ენუგეშებინა, მაგრამ აბა რა შეეძლო?

– რას იზამ, – დაყვავებით უთხრა ქალმა. – რამდენი რამ არის ამქვეყნად საინტერესო. მე შენ ადგილას არ ავჩქარდებოდი, ჯერ ხომ დრო კიდევ გვაქვს.

ჯენიმ მეტის დამატება ვეღარ გაბედა, ლესტერმა თვითონაც იგრძნო, საგანგაშო რომ არაფერი იყო. ორი წლის მანძილზე საკმაო შემოსავალი უზრუნველყოფილი ჰქონდა. მაგრამ ის მაინც აღიზიანებდა, რომ ძმა ასე მაღლა-მაღლა მიიწევდა, თვითონ კი ერთ ადგილს ტკეპნიდა. უფრო სწორად, დინებას მიჰყვებოდა, დიახ, საწყენი სწორედ ეს იყო. რაც მთავარია, ლესტერი გრძნობდა, ფეხქვეშ ნიადაგი რომ ეცლებოდა.

ორმოცდამეცხე თავი

ლესტერი დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაბრუნებოდა საქმიანი სამყაროს ცხოვრებას, მაგრამ ჯერ ვერაფერი მოესაზრებინა. როგორც კი გაიგო, რობერტმა თავისი ერთიანი ტრესტი შექმნაო, მაშინვე აიღო ხელი ინდიანას შტატის პატარა ქალაქის ეტლების წარმოებაში მონაწილეობაზე. საკუთარმა სიამაყემ და ზომიერების შეგრძნებამ მიახვედრა, რა უაზრობა იქნებოდა ძმასთან ჭიდილი, რომლის ფინანსური შესაძლებლობა რამდენჯერმე აღემატებოდა მისას. ლესტერმა გაიკითხ-გამოიკითხა ახალი ასოციაციის ამბები და დარწმუნდა, რომ ბრეისბრიჯს სრულიად არ გადაუჭარბებია მისი ძალა და შესაძლებლობა, ეს ნამდვილად მილიონიანი საქმე იყო, დამოუკიდებლად არსებულ წვრილ ფაბრიკანტებს თავის გადარჩენის იოტი-სოდენა შანსიც კი არ გააჩნდათ. ნუთუ თავის სახელგანთქმულ ძმას კუდში უნდა მისდიოს? არა, ახალ ტრესტთან უთანასწორო ჭიდილი მეტისმეტად დამამცირებელია, თან როცა იცი, რომ შენს ღვიძლ ძმას შეუძლია გაგჭყლიტოს, ან შეგიბრალოს, შენ წინააღმდეგ შენივე კუთვნილი კაპიტალი გამოიყენოს. არა, ეს არ მოხდება, უმჯობესია დაცდა. რაღაც გამოჩნდება, ისე არ იქნება, ჯერჯერობით ცოტაოდენი თანხა გააჩნია. ბოლოს და ბოლოს, უფლებაც აქვს, თუ მოისურვებს, ხელახლა გახდეს კეინის კომპანიის მეპაიე, მაგრამ სურს კი ეს? აი, ამ კითხვას ლესტერი ვერაფერს უხერხებდა, პასუხს ვერ სცემდა.

ჯერ ისევ თავისი ეჭვებისა და ყოყმანის ტყვეობაში იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მასთან მივიდა ვინმე სამუელ როსი, უძრავი ქონების გაყიდვის აგენტი, რომლის ვეებერთელა ფარებიანი რეკლამები ჩიკაგოს შემოგარენს ამშვენებდა. ეს კაცი ლესტერს ერთი-ორჯერ კლუბში ენახა. გაგონილი ჰქონდა, მოხერხებული, გამბედავი, ილბლიანი საქმოსანიაო. მერე მისი კანტორის მყვირალა ფასადიც გაახსენდა ვაშინგტონისა და ლა-სალის ქუჩების კუთხეში. როსი ასე ორმოცდაათი წლის მიმზიდველი გარეგნობის კაცი გახლდათ. უთუოდ დაგამახსოვრდებოდათ მისი მაღალი ტანი, შავი წვერი, შავი თვალები, მოძრავნესტოიანი არწივისებური ცხვირი, ხშირი, ხვეული თმა.

ლესტერს მისი მსუბუქი, კატისებური სიარული დაამახსოვრდა და გრძელთითებიანი წვრილი თეთრი ხელები.

მისტერ როსი საქმიანი წინადადებით გამოეცხადა მისტერ კეინს. რა თქმა უნდა, მისტერ კეინმა უწყოდა, ვინ იყო იგი. თავის მხრივ, მისტერ როსმა მოახსენა, რომ ყველაფერი იცოდა, რაც ლესტერს შეეხებოდა. იცოდა თუ არა მისტერ კეინმა, რომ სულ ახლახან როსმა საბითუმო საბაყლო ვაჭრობის «იეილ, სიმპსონ და რაისი»-ს წარმომადგენელ იეილთან ერთად ახალი გარეუბანი «იეილვუდი» შექმნა?

დიახ, მისტერ კეინმა ეს იცოდა.

ჯერ ექვს თვესაც არ გაეგლო მას შემდეგ, რაც იეილვუდის კვარტალში ბოლო ნაკვეთები გაიყიდა, რამაც საშუალოდ ორმოცდაორი პროცენტი მოგება მოიტანა. როსმა კიდევ რამდენიმე ასეთი გარიგება უხსენა, რომელთა შესახებ ლესტერსაც გაეგონა რაღაც. როსმა გულახდილად უთხრა, ჩვენს საქმეს ზოგჯერ ხელის მოცარვაც ახლავსო, რომ თვითონ იწვინა ორჯერ მარცხი. მაგრამ არწმუნებდა, გაცილებით ხშირ შემთხვევაში უძრავი ქონებით გარიგება მომგებიანიაო. რადგან ლესტერი აღარ არის კეინის კომპანიასთან დაკავშირებული, იქნებ, სურვილი გასჩენოდა, ამ საქმეში ფულის დაბანდებისა. ერთი საყურადღებო წინადადება არისო. ლესტერმა ანიშნა, გისმენო. როსმა კატასავით მრგვალი თვალები მოჭუტა და საქმის შინაარსის გადმოლაგება დაიწყო:

მისი აზრით, ლესტერს და მას ხელი უნდა მოეკიდათ ერთი საქმისთვის: ლესტერი წილში უნდა შესულიყო, რომ საექსპლოატაციოდ შეეძინათ დიდი ნაკვეთი – ორმოცი აკრის ფართობი, რომელიც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობდა და შემოზღუდული იყო ორმოცდამეთხუთმეტე და სამოცდამეთერთმეტე ქუჩებით, ჰოლსტედისა და ეშლენდის ავენიუთი. ამ რაიონში მიწის ფასმა უნდა აიწიოს, აქ მოსალოდნელია ფასების უზომოდ დიდი აწევა და ისიც ხანგრძლივად. მუნიციპალიტეტს გადაუწყვეტია ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩის მოკირწყვლა, ჰოლსტეიდ-სტრიტზე აპირებენ ტრამვაის ხაზის გაგრძელებას. ჩიკაგო-ბერლინგტონ-ქუინსის რკინიგზის კომპანია, ალბათ, მოიწადინებს ამ ადგილას სამგზავრო სადგურის აშენებას. ამ მიწის შესაძენად ახლა ორმოცი ათასი დოლარი უნდა გადაიხადონ, რასაც ის და ლესტერი თანაბრად გაიყოფენ. ნაკვეთების ნიველირება, გამიჯვნა, ქუჩების მოკირწყვლა, ხეების დარგვა, განათება – ეს ყველაფერი დაახლოებით ოცდახუთი ათასი დაჯდება. უთუოდ საჭირო იქნება რეკლამა, რომელიც ორი-სამი წლის მანძილზე დაბანდებული კაპიტალის დაახლოებით ათ პროცენტს წაიღებს. ეს კი, ალბათ, ცხრამეტი-ოცი ათასი დოლარის საქმე იქნება. ერთი სიტყვით, ამ საქმისთვის ორივეს დასჭირდება ორმოცდათხუთმეტი, სულ ბევრი ასი ათასი დოლარი. აქედან გამომდინარე, ლესტერს ორმოცდაათი ათასი დოლარის გადახდა უწყევდა. მერე როსი მოგების გამოანგარიშებაზე გადავიდა.

ამ მიწის მონაკვეთის ვარგისიანობაზე, მისი ფასის უცილობელ აწევაზე მომიჯნავე ნაკვეთების ჩრდილოეთით ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩისა და აღმოსავლეთით ჰოლსტეიდ-სტრიტის არსებობა ადასტურებდა. ავიღოთ თუნდაც მორტიმერის ნაკვეთი ჰოლსტეიდისა და ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩების კუთხეში. 1882 წელს აკრი მიწა ორმოცდახუთ დოლარად იყიდებოდა. ოთხი წლის შემდეგ აკრი ღირდა ხუთასი დოლარი. ასეთ ფასებში იყიდა ეს ნაკვეთი 1886 წელს მისტერ ჯონ სლოსენმა, 1889 წელს, ე.ი. კიდევ სამი წლის შემდეგ მიწა მისტერ მორტიმერს აკრი ათას დოლარად მიეყიდა: ახლაც ამ ფასში იყიდება ახალი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი. მიწა უნდა დაიყოს ნაკვეთებად, თითოეულის ფართობით ორმოცდაათი ფუტი ასზე და მერე გაიყიდოს ხუთას-ხუთას დოლარად. ეს სარწმუნო, ნალდი მოგებაა.

ლესტერიც დათანხმდა, მოგება თითქოს ნათლად ჩანდა.

მერე როსმა, ცოტა არ იყოს, ტრაბახიც კი დაიწყო, თქვა, როგორ იჯიბავდა მოგებას უძრავი ქონებით. ამ საქმეში ჩაუხედავი კაცი ვერაფერს გააწყობსო. რამდენიმე კვირის, თუნდაც რამდენიმე წლის მანძილზე არ შეიძლება იმ გამოცდილებისა და მოხერხების დაგროვება, რომელიც მას და მისთანებს საუკუნის მეოთხედის განმავლობაში გამოუმუშავდათ. აქ მნიშვნელობა ჰქონდა პრესტიჟს, გემოვნებასა და ალღოს. თუ შევთანხმდებით და საქმეს წამოვიწყებთ, მაშინ ოპერაციებს სათავეში მე თვითონ ჩავუდგებიო. მის განკარგულებაში იყო ხელქვეითების კარგად გაწვრთნილი შტატი და მსხვილი მოიჯარადრეები. მას ჰყავდა ნაცნობობა საგადასახადო და წყალმომარაგების სამმართველოში, ერთი სიტყვით, ქალაქის მეურნეობის ყველა განყოფილებაში, ვისზეც იყო დამოკიდებული ახალი რაიონის ბედი. თუ ლესტერი მასთან წილში შევიდოდა, როსი მოგების გარანტიას აძლევდა, რამდენი იქნებოდა ეს მოგება, ახლა ამის განსაზღვრა ზუსტად არ შეეძლო. ყველაზე ცოტა _ ორმოცდაათი ათას დოლარს ვარაუდობდა, უფრო კი ასორ-მოცდაათ ან ორასი ათასს იმედოვნებდა. როგორც კი ლესტერი სურვილს გამოთქვამდა, როსი საქმეს დაწვრილებით გააცნობდა, ყველაფერს განუმარტავდა, დასახული გეგმა როგორ ექციათ სინამდვილედ. რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ ლესტერმა როსის წინადადება მიიღო.

ორმოცდამეცხრე თავი

როსის მიერ მოფიქრებული გეგმის წარმატებაში თითქოს საექვო არაფერი ჩანდა. მისტერ როსის დიდი გამოცდილება და საღი გონიერი მსჯელობა ყოველგვარი საქმის გამარჯვების საწინდარი იყო, მას გულდასმით ჰქონდა შესწავლილი თავისი საქმე. შეეძლო ყველას დარწმუნება, ოღონდ დრო ჰქონოდა საკითხის ყოველმხრივ გასაშუქებლად.

მაგრამ ლესტერი მაშინვე არ წამოგებია ამ წინადადებას, თუმცა კაცმა რომ თქვას, უძრავი ქონების ოპერაციები ყოველთვის აინტერესებდა. მიწა მუდამ

იზიდავდა, მიაჩნდა, რომ ეს ფულის დაბანდების საიმედო სამყოფელი იყო, თუ კაცი მეტისმეტს არ მოინდომებდა. ამ საქმეში ფულის დაბანდება აქამდე მხოლოდ იმიტომ არ უცდია, რომ სულ სხვა სფეროში უხდებოდა ტრიალი. იგი «უმიწაწყლო» კაცი იყო. ამჟამად კი, შეიძლება ითქვას, უმუშევარი.

მისტერ როსი მოსწონდა, ეტყობოდა, საქმის არსს კარგად იცნობდა, მისი მტკიცების შემოწმება ადვილად შეიძლებოდა და ლესტერსაც არ დაუყოვნებია. ახსოვდა როსის რეკლამები პრერიებში და განცხადებები გაზეთებში. ეს გახანგრძლივებული უსაქმურობაც მოსწყინდა და თან კაპიტალის გაზრდის სურვილიც აწვალებდა.

სამწუხაროდ, ლესტერი წვრილმან საქმეებში ჩახედვას გადაჩვეული იყო. ადრე, როცა მამისეულ ფირმაში მოღვაწეობდა, მას მხოლოდ საერთო ხასიათის საკითხებს ანდობდნენ – საქონლის დიდი პარტიის ყიდვას, საბითუმო შეკვეთების დაბინავებას, მთელი ფირმის მუშაობის საკითხების განხილვას, ყველაფერი ეს შორს იყო პრაქტიკული წვრილმანებისგან, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა წვრილი ვაჭრობისთვის. ფაბრიკაში წარმოების ხარჯებს სწორედ რობერტი ანგარიშობდა და არა ლესტერი, რომ არსად გაპარულიყო უმნიშვნელო დანაკარგიც კი. ლესტერი კეთილსინდისიერად ასრულებდა უფრო ფართო ხასიათის დავალებებს. ახლაც როსის წინადადებას წონიდა, უფრო ფართო პერსპექტივები იზიდავდა, ვიდრე წვრილმანი ამბები. მან მშვენივრად იცოდა, რომ ჩიკაგო სწრაფად მზარდი ქალაქი იყო და არ შეიძლებოდა, მიწის ფასი არ აწეულიყო. სადაც ახლა შიშველი პრერიები იყო, მალე, სულ რამდენიმე წელიწადში, ქალაქგარეთ საცხოვრებელი კვარტალები აშენდებოდა. მიწის ფასების დაცემა ყოვლად წარმოუდგენელი იყო. შესაძლებელია, გაყიდვა გაჭიანურებულიყო ანდა ფასები თანაბრად არ აწეულიყო, მაგრამ ფასის დაცემა გამორიცხული იყო. ამას ირწმუნებოდა როსი და თვითონ ლესტერსაც მტკიცედ სჯეროდა ეს ამბავი.

მაგრამ გაუთვალისწინებელი დარჩა ბევრი მოულოდნელი ამბავი. განა თვითონ როსი იყო უკვდავი. შეიძლებოდა, საცხოვრებლად იდეალური რაიონისთვის მეზობელი კვარტალების მშენებლობას ზიანი მიეყენებინა. არც ის იყო გამორიცხული, რომ ფინანსურ მდგომარეობას გამოეწვია მიწის ფასების დაცემა, უფრო მეტიც – შეიძლებოდა, ისეთი პანიკური მდგომარეობა შექმნილიყო, მიწა სულაც გროშის ფასად გაეყიდათ, რასაც ისეთი გამოცდილი კაციც კი, როგორც მისტერ სამუელ როსია, წინ ვერ აღუდგებოდა.

რამდენიმე თვის მანძილზე ლესტერი ახალი მასწავლებლისა და გიდის მიერ აღწერილ მდგომარეობას ეცნობოდა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რისკი მეტად უმნიშვნელო იყო და გადაწყვიტა აქციების ნაწილი გაეყიდა. ამ აქციებს რაღაც საცოდავი ექვსი პროცენტი მოგება მოჰქონდა. ლესტერმა ფული ახალ საქმეში დააბანდა. პირველ შეტანაზე ოცი ათასი დოლარი შეიტანა, რაც მიწის ნაკვეთის ღირებულების ნახევარს შეადგენდა, და თანაბრად იყოფდა როსისთან ერთად. ეს შეთანხმება ძალაში რჩებოდა მანამ, ვიდრე ყველა ნაკვეთი არ გაიყიდებოდა. მერე თორმეტ-ნახევარი ათასი სამუშაოს

საწარმოებლად შეიტანა, შემდეგ ორ-ნახევარი ათასი გადასახადებსა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ ნიველირება ნიადაგის სიმკვრივისა და სხვა თავისებურებათა გამო ძვირი დაჯდა, ვიდრე ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული. არც ყველა ხემ იხეირა ერთი დარგვით, ზოგიერთი სამუშაოს დასამთავრებლად საჭირო აღმოჩნდა ქალაქის სამეურნეო განყოფილებაში გაზისა და წყალგაყვანილობის მუშაკების მოსყიდვა. ამას ყველაფერს როსი უძღვებოდა, მაგრამ, ვინაიდან ამ წინააღმდეგობებს ხარჯების გადიდება მოჰყვა, როსიც იძულებული იყო ლესტერისთვის გაეცნო საქმის ვითარება.

მათი პირველი მოლაპარაკებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ნაკვეთები უკვე მზად იყო, მაგრამ საჭირო რეკლამა რომ შეექმნათ, გაზაფხულამდე უნდა დაეცადათ. რეკლამის ხარჯისთვის ლესტერმა მესამედ შეიტანა ფული. საქმის დასამთავრებლად თხუთმეტი ათასი დოლარის აქცია გაყიდა და დათქმული შემოსავლის დაწყებას დაელოდა.

დასაწყისში ლესტერი სავსებით კმაყოფილი იყო თავისი გეგმების განხორციელებით. როსიმ ჭეშმარიტად საქმოსნისთვის შესაფერი ალლო და ნიჭიერება გამოიჩინა. შეეძლო ერთბაშად აღექვა ათასნაირი წვრილმანი. ნაკვეთები უნაკლოდ იყო დამუშავებული. ახალ რაიონს დაერქვა მიმზიდველი სახელწოდება «გრინვუდი» – მწვანე ტყე, – თუმცა ლესტერის თქმით, არავითარი ტყე იქ არ იყო. მაგრამ როსი ირწმუნებოდა, რომ ქალაქგარეთ მიწების მაძიებლისთვის ეს სახელწოდება ზედგამოჭრილიაო. როცა დაინახავენ, რა ენერგიულად ირგვება ხეები, იმასაც წარმოიდგენენ, რომ მომავალში აქაურობა ხეივნებში იქნება ჩაფლული და ჩანაფიქრის სინამდვილეს ირწმუნებენო. ლესტერს პასუხად მხოლოდ გაეღიმა.

გრინვუდის ბრწყინვალე მომავალს პირველი ჩრდილი მიაყენა უეცრად გავრცელებულმა ხმამ, თითქოს «ინტერნაციონალურ საკონსერვოს», ამ ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას, რომელშიც გაერთიანებული იყო სხვა საწარმოები (მათი კანტორა ჰოლსტეიდ სტრიტისა და ოცდამეთხუთმეტე ქუჩებს შორის მდებარეობდა), გადაეწყვიტოს ტრესტიდან გამოყოფა და ცალკე დამოუკიდებელი ორგანიზაციის დაარსება. გაზეთებში წერდნენ, რომ «ინტერნაციონალს» განზრახული ჰქონდა დამკვიდრებულიყო სამხრეთით, ოცდამეთხუთმეტე ქუჩებისა და ეშლენდ ავენიუს რაიონში. ეს კვარტალი დასავლეთის მხრიდან ეკვროდა ლესტერის მიწებს. მარტო იმის გაფიქრება, რომ მეზობლად საკონსერვო ქარხანა იხსნებოდა, საკმარისი აღმოჩნდა ქალაქის სააგარაკო უბნის მომავლის დასალუპავად.

როსი სიბრაზისგან ცოფებს ყრიდა. მდგომარეობა უმაღვე შეაფასა და ერთადერთ გამოსავლად გაზეთებში ახალი რაიონის რეკლამის მოთავსება და მიწების სასწრაფოდ გაყიდვა გადაწყვიტა. ახლავე, ვიდრე კიდევ რამე გამოხტებოდა. თავისი მოსაზრება ლესტერს გაუზიარა და ისიც დაეთანხმა. მანაც ასე იფიქრა, მომავლისთვის ასე აჯობებსო. რეკლამაზე ექვსი ათასი უკვე დახარჯული ჰქონდათ და ახლა ათ დღეში კიდევ სამი ათასი დახარჯეს, რათა

შექმნათ აზრი, რომ ეს ახალი რაიონი იყო საოცნებო კუთხე, აღჭურვილი უახლესი თანამედროვე ტექნიკით. რომ აქ სუფევდა სრული სიმყუდროვე და სილამაზე, რომლის სადარს მთელ ჩიკაგოში ვერ ნახავდით, მაგრამ ვერც ამან უშველა. მხოლოდ რამდენიმე ნაკვეთს გამოუჩნდა მყიდველი. ინტერნაციონალურ საკონსერვოზე დარბეული ხმები ისევ ძალაში დარჩა. ახლა გრინვუდი უცხოელი მუშის საცხოვრებელ ადგილად თუ გამოდგებოდა. ქალაქგარეთ სააგარაკო რაიონის შექმნის ოცნებას ბოლო მოეღო.

ამ ახალმა დარტყმამ ლესტერს თავზარი დასცა. ორმოცდათხუთმეტი ათასი დოლარი – მისი ქონების ორი მესამედი, მამის ნაანდერძევი წლიური შემოსავლის ჩაუთვლელად ერთ ადგილზე გაყინული აღმოჩნდა. საჭირო იყო გადასახადის გადახდა, რემონტის გაკეთება. მიწების ფასი უსათუოდ დაეცემოდა. მისი აზრით, დანარჩენი ნაკვეთების გაყიდვა თუ მოხერხდებოდა თავის ფასში ანდა საერთოდ, უარი უნდა ეთქვათ მომავალ ექსპლოატაციაზე და დაეგირავებინათ. მაგრამ როსი უფრო შავ ფერებში ხედავდა მომავალს, ერთი-ორჯერ ნაწვნივი ჰქონდა ასეთი ხელის მოცარვა, იგი დარწმუნებული იყო, თუ საქმის დასაწყისს კარგად ვერ წარმართავდა, რაც უნდა ეცადა, ვერაფერს უშველიდა. ეს მწარე გამოცდილებით იცოდა. მისი კოლეგებიც ამავე აზრისა იყვნენ.

ორი წელი კიდევ იბოგინეს და მერე ყველა ეს ნაკვეთი საჯარო ვაჭრობით გაიყიდა. ლესტერის წილად, ამ საქმეში ორმოცდაათი ათასი დოლარი რომ დააბანდა, თვრამეტი ათასზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. ცხოვრებით გამობრძმედილი ადამიანები ირწმუნებოდნენ – კიდევ ადვილად გამოძვრაო.

ორმოცდამეათე თავი

გაცხოველებით მუშაობდნენ ქალაქგარეთა რაიონის მოწყობაზე, როცა მისის ჯერალდი ჩიკაგოში გადასახლდა. ქალმა ცინცინატიში რამდენიმე თვე დაჰყო. სწორედ აქ გაიგო ბევრი რამ ლესტერის ცხოვრებაზე, ამდენი მითქმა-მოთქმა და გაკიცხვა რომ გამოიწვია. მაგრამ საკითხი, – ჯენი ნამდვილი ცოლი იყო თუ არა, მისთვის ღიად დარჩა. მართალია, დამახინჯებულად, მაგრამ მისის ჯერალდამდე მაინც მიაღწია ჯენის მთელმა ისტორიამ. გაიგო გაზეთის ამბებიც, – როგორ გაწირა ახალგაზრდა მილიონერმა სიყვარულის გულისთვის მთელი თავისი ქონება. ის კი დანამდვილებით შეიტყო, რომ რობერტმა ძმა «კეინის კომპანიის» საქმეებიდან გაინაპირა. ქალს შეეცოდა, გული ეტკინა, ლესტერი რომ ასე ილუპავდა თავს.

გავიდა წელიწადი, ლესტერს არაფერი გაუკეთებია. კიდევ ორი წელიწადი გავიდოდა და უკვე ძალიან გვიან იქნებოდა. ოცნებები თითქმის შემომეფანტაო, უთხრა ლონდონში ლესტერმა. იქნებ, ჯენი ერთი იმ ილუზიათაგანია? საინტერესოა, მართლა უყვარს თუ უბრალოდ ეცოდება? ლეტის ტანჯავდა ამ ამბის გაგების წყურვილი.

ლეტიმ ჩიკაგოში დრექსელის ბულვარზე მდიდრული სახლი დაიქირავა. «ამ ზამთარს თქვენს ქალაქში გავატარებ, – წერდა იგი ლესტერს, – ვიმედოვნებ, ხშირად გნახავთ. ცინცინატიში უსაშველო მოწყენილობაა, ევროპის შემდეგ აქ ისე... ვფიქრობ, მიმიხვდებით. შაბათს მისის ნოული ვნახე და გიკითხათ, გახსოვდეთ, იგი თქვენი ერთგული მეგობარია, გაზაფხულზე ქალიშვილს ათხოვებს ჯიმ სევრენსზე».

ლესტერი მისის ჯერალდის ჩამოსვლას უხერხულობისა და სიამოვნების ნაზავი გრძნობით ხვდებოდა. ლეტი, რა თქმა უნდა, ფართოდ გაუღებს სტუმრებს კარს, საღამოებსა და მიღებებს მოაწყობს. ვინ იცის, იქნებ, ჯენისთან ერთად მიიპატიჟოს? მაგრამ, არა მგონია. აქ უთუოდ გაიგებდა სინამდვილეს, მისი წერილიდანაც ჩანს. «ხშირად გნახავო», რომ მწერს, ესე იგი, მხოლოდ მასთან შეხვედრას მოისურვებს და არა ჯენისთან. გადაწყვიტა, ყველაფერი გულახდილად ეთქვა ლეტისთვის და მერე თვითონ ქალს განესაზღვრა მათი მომავალი ურთიერთობის საკითხი. ლესტერმა გულის გადახსნის შესაფერი წუთები შეარჩია, როდესაც იგი ლეტის მყუდრო ოთახში იჯდა, ბაცი ყვითელი ფერის აბრეშუმებში ჩაფლული ქალი სასიამოვნო ზმანებას ჰგავდა. ეს ის დრო იყო, როცა მიწების სარფიანად გაყიდვის საქმეს წყალი შეუდგა. ფრიად ცუდ გუნებაზე იყო და, როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა თანაგრძნობა და გულზიარობა. თავისი დარდი ჯერ ჯენისთვისაც არ გაემხილა.

მოახლემ დიასახლისს ჩაი მოართვა, ხოლო ლესტერს – ბრენდი, და ოთახიდან გავიდა. ლეტიმ წამოიწყო:

– იცით, ლესტერ, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ბევრი რამ გავიგე თქვენი ცხოვრების შესახებ. მიაშხეთ რაიმე საკუთარ თავზე. კარგად იცით, რომ ყველაფერი მაინტერესებს, რაც კი თქვენ გეხებათ.

– მაინც რა გაიგეთ, ლეტი?

– უპირველეს ყოვლისა ის, რომ მამათქვენის ანდერძის მიხედვით აღარა ხართ კომპანიის წევრი. მერე კიდევ, რა ვიცი, რაღაც ჭორები მისის კეინზე, რომელიც მე დიდად არ მაინტერესებს, ალბათ, მიმიხვდებით, ნუთუ აღარ ფიქრობთ თქვენი ცხოვრების მოწესრიგებას და კუთვნილი ქონების მიღებას? ჩემი აზრით, ეს ისეთი განუზომელი მსხვერპლია, რომ არ ვიცი, თუ მართლაც დიდი სიყვარული არა... ხომ მართალია, ლესტერ? – ჰკითხა ქალმა ეშმაკურად.

ლესტერმა პასუხი შეაყოვნა.

– არ ვიცი, ლეტი, რა გიპასუხოთ. ზოგჯერ მგონია, რომ მიყვარს, ზოგჯერ კი ეჭვი მიჩნდება. მე გულლიად, დაუფარავად გეტყვით ყველაფერს. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში არ ვყოფილვარ. თქვენ ჩემდამი ასე კარგად ხართ განწყობილი, მე კი... არ გეტყვით, რა აზრისა ვარ თქვენზე, ყოველ შემთხვევაში, არ მინდა თქვენთან რაიმე მქონდეს დამალული. მე ცოლიანი არა ვარ.

ლესტერი დადუმდა.

– მეც ასე ვფიქრობდი, – მიუგო ქალმა.

– უცოლოდ იმიტომ დავრჩი, – განაგრძო ლესტერმა, – რომ ძლიერ დიდხანს ვყოყმანობდი. როცა პირველად ჯენი ვიხილე, ასე მეგონა, ამქვეყნად ჯენიზე მომხიბვლელი ქალი არ არსებობს-მეთქი.

– მაშინ მე თქვენთვის არაფერს წარმოვადგენდი, – შეაწყვეტინა ქალმა.

– თუ გსურთ, რომ მე ვილაპარაკო, ნუ მაწყვეტინებთ, – გაელიმა ლესტერს.

– მხოლოდ ეს ერთი მითხარით და მეტს არაფერს შეგეკითხებით. ეს კლივლენდში მოხდა?

– დიახ.

– ასეც მითხრეს, – დაუმოწმა ქალმა.

– ჯენის ჰქონდა რაღაც ისეთი...

– ერთი ნახვით შეყვარება, – კვლავ ვერ მოითმინა ლეტიმ, რაღაც სევდა მოაწვა გულში, – ჰო, ასე ხდება ხოლმე.

– მომცემთ მოყოლის საშუალებას?

– უკაცრავად, ლესტერ, რა ვქნა, წარსულმა ნაღველი მომგვარა.

– მოკლედ, ისე მოვიხიბლე, თავი დავკარგე. მასში დავინახე ქალის იდეალი, სრულყოფილება, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩემი წრიდან არ იყო. რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ვიფიქრე, ჯერ ისე შევერთდებით და მერე... ხომ იცით, როგორც ხდება საერთოდ. აი, აქ შევცდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ საქმე ასე გართულდებოდა, თქვენ გარდა მანამდე არც ერთი ქალი არ მომწონებია, თუმცა, მოდით, ბოლომდე გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ თქვენი ცოლად შერთვა გადაწყვეტილი სულაც არა მქონდა. მეგონა, დაქორწინება, საჩემო საქმე არ იყო. თანაც ჩემთვის ვთქვი: ნეტავ ახლა ჯენი ჩემი გახდებოდეს და მერე, თუ მომწყინდება დავშორდები-მეთქი. გადავწყვიტე, თუ დავშორდებოდი, უზრუნველყოფა არ მომეკლო, ულუკმაპუროდ არ დამეტოვებინა, მეგონა, არც მე ვინაღვლებდი და არც ის. გაიგეთ?

– გავიგე, – მიუგო ქალმა.

– მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, ლეტი, აქედან არაფერი გამოვიდა. ჯენი განსაკუთრებული ქალია. საოცრად მდიდარი სულიერი სამყარო აქვს. ჩვენი გაგებით, იგი გაუნათლებელი ქალია, მაგრამ თანდაყოლილი სიფაქიზე და ტაქტი ამშვენებს. მშვენიერი დიასახლისია, უებრო დედა. გააჩნია რაღაც დაუმრეტელი წყარო ადამიანების სიყვარულისა. თავისი დედ-მამის უერთგულესი ქალიშვილი იყო, აბა საკუთარი გოგონასადმი სიყვარულს ხომ ზღვარი არა აქვს. ბავშვი ჩემი არ არის. რა თქმა უნდა, მაღალი საზოგადოების ქალთა ჩვევები არა აქვს, მართალია, მოსწრებული სიტყვით ვერ გაიღვებს, ვერც მსუბუქ, მახვილგონივრულ საუბარში აგყვება, ვფიქრობ, ზანტადაც აზროვნებს და თავისი ყველაზე მშვიდობიანი აზრების სიტყვებით გამოხატვა უჭირს, მაგრამ ადვილად მიხვდებით, რომ კარგად აზროვნებს და ყველაფერს გრძნობს.

– რა მშვენივრად ახასიათებთ, ლესტერ.

_ სხვანაირად არც შეიძლება, ლეტი, ჯენი კარგი ქალია, მაგრამ, რასაც უნდა ვამბობდე, ხანდახან ისეთი ფიქრი მეუფლება, რომ მხოლოდ სიბრალული მაკავებს მასთან.

_ მეეჭვება! _ თითის ქნევით წარმოთქვა ქალმა.

_ დიახ. ბევრის გადატანა და მოთმენა მომიხდა. ახლა ვხვდები, რომ მაშინვე უნდა შემერთო ცოლად. მერე კი გართულდა ყველაფერი, იმდენი დავა და საყვედური ითქვა, რომ დავიბენი, ამას დაერთო მამაჩემის ანდერძი. თუ ჯენიზე დავქორწინდები, რვაას ათასს ვკარგავ, თუ უფრო მეტს. ვინაიდან ახლა ჩვენი საწარმო ტრესტად გადაკეთდა, ალბათ, ასე, ორ მილიონს. თუ ცოლად არ შევირთავ, დაახლოებით ორი წლის შემდეგ ყველაფერს ვკარგავ. რა თქმა უნდა, შემეძლო თავი ისე დამეჭირა, თითქოს დავშორდი, მაგრამ ტყუილის თქმა არ მინდა. ეს ჯენის თავმოყვარეობის შელახვა იქნებოდა, მას კი ასეთი რამ არ დაუმსახურებია. გულახდილად რომ გითხრათ, ვერც იმას ვიტყვი, დამორება მინდა-მეთქი. ვფიცავ, აღარ ვიცი, რა ვიღონო.

ლესტერი გაჩუმდა, სიგარას მოუკიდა, ფანჯარაში გაიხედა და მზერა სივრცეს მიაპყრო.

_ ჭეშმარიტად რთული მდგომარეებაა, _ თქვა ლეტიმ და თვალები დახარა.

ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ ლეტი წამოდგა, ლესტერს მიუახლოვდა და მის ლამაზ, მსხვილ თავს ხელები დაადო, ყვითელი აბრემუმის სუნამოპკურებული კაბა ლესტერის მხრებს ეხებოდა.

_ საწყალი ლესტერი, _ წარმოთქვა ქალმა, _ მარყუჟში გაგიყვიათ თავი და ეგ არის. მაგრამ ეს გორდიუსის კვანძია _ იგი უნდა გაიჭრას. რატომ ჯენისთან ერთად არ მოილაპარაკებთ, რას ფიქრობს თვითონ, აი ასე, როგორც ჩვენ ვსაუბრობთ.

_ ეს უღმობელი სისასტიკე იქნებოდა.

_ რაღაც უნდა იღონოთ, ლესტერ, ძვირფასო, _ დაჟინებით იმეორებდა ქალი. _ აღარ შეიძლება ასე დინების მიყოლა. საკუთარ თავს ვნებთ. ჯენისთან დაქორწინებას მე არ გირჩევდით. არ გეგონოთ საკუთარ თავზე ვზრუნავდე და იმიტომ, თუმცა სიხარულით გამოგყვებოდით, იმის მიუხედავად, რომ ერთ დროს თქვენ უარყავით ჩემი სიყვარული. არ დაგიმაღავთ, გულწრფელად გეტყვით, სულ ერთია, ჩემთან იქნებით თუ არა, მე მაინც მეყვარებით.

_ მე ეს ვიცი, _ უთხრა ლესტერმა.

ლესტერი წამოდგა, ლეტის ხელი საკუთარ ხელებში მოიქცია, თვალეში ჩახედა და შეტრიალდა. მისი ცქერით გაბრუებულმა ლეტიმ სული ძლივს მოიბრუნა.

_ არა, ლესტერ, _ კვლავ განაგრძო ქალმა, _ თქვენ ისეთი დიდი ადამიანი ხართ, რომ ათი ათასი წლიური შემოსავალი არ დაგაკმაყოფილებთ, არც უქმად ჯდომის უფლება გაქვთ, თქვენ საკმაოდ კარგად გიცნობენ. ისევ უნდა დაუბრუნდეთ თქვენს საქმიანობას და მაღალ საზოგადოებას. არაფერს გავნებთ თქვენი წარსული. ოღონდ მამისეული ქონება დაიბრუნეთ და მერე კრინტსაც ვერავინ დაძრავს. ჯენი კი, ვფიქრობ, სიმართლეს როცა გაიგებს,

წინააღმდეგი აღარ იქნება. როგორც თქვენ ამბობთ, ისე თუ უყვარხართ, ამ მსხვერპლსაც სიხარულით გაიღებს, ამაში ეჭვიც არ მეპარება. თქვენ, რასაკვირველია, ყოველნაირად უნდა უზრუნველყოთ.

– ჯენი ფულს როდი ითხოვს, – კუმტად შეეპასუხა ლესტერი.

– სულ ერთია, უთქვენოდ ცხოვრებას შეძლებს, – ხოლო თუ ბევრი ფული ექნება, უფრო უზრუნველად და საინტერესოდ იცხოვრებს.

– არაფერს გავუჭირებ, – საზეიმო იერით წარმოთქვა ლესტერმა, – სანამ ცოცხალი ვარ.

– თქვენ უნდა წამოხვიდეთ, უნდა წამოხვიდეთ, – სულ უფრო მეტი დაჟინებით უმტკიცებდა ლეტი. – ყოველი დღე ძვირფასია, ლესტერ. მაინც რატომ არ გადაწყვეტთ ახლავე, თუნდაც დღეს, რატომ?

– ნუ ჩქარობთ, – შეაწყვეტინა ლესტერმა, – ეს ასე იოლი საქმე როდია. მართალი გითხრათ, ისე მაშინებს ამის გამყდავნება. ეს ისეთი გულქვა და უსამართლო საქციელია ჯენის მიმართ. აქამდე ჩემს პირად საქმეებზე არავისთან მისაუბრია, თვით მშობლებთანაც კი, მაგრამ თქვენში ყოველთვის ახლობელ ადამიანს ვხედავდი. ჩვენმა ბოლო შეხვედრამ მაფიქრებინა, რომ თქვენთვის ყველაფერი გამემხილა. ჩემთვის ჭეშმარიტად ძვირფასი ხართ. არ ვიცი, დღევანდელ ვითარებაში, იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ასეა. ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ასე ახლობელი იყავით ჩემთვის, როგორც ქალი და როგორც ადამიანი. ნუ იღუშებით. ხომ გსურდათ სიმართლის მოსმენა? აი სიმართლე. ახლა, თუ შეგიძლიათ, ამიხსენით, როგორი ვარ მე.

– მე არ მსურს თქვენთან დავა, ლესტერ, – თქვა ქალმა და ნაზად შეეხო მის ხელებს, – მე მხოლოდ თქვენი სიყვარული მინდა. მშვენივრად მესმის, როგორც მოხდა ეს ყველაფერი. ვწუხვარ მისის ჯენიზე. ჯენი მომხიბლავი ქალია და ძალიან მომწონს, მაგრამ, ლესტერ, ეს ის ქალი არ არის, რომელიც თქვენ გჭირდებათ, თქვენ სხვა ქალი შეგეფერებათ. იქნებ უხერხულიც არის, რომ ჯენიზე ასე ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტებაა. ყველას თავისი ღირსება აქვს. დარწმუნებული ვარ, ასე რომ გადაუშალოთ გული, როგორც ეს ჩემთან საუბრისას შეძელით, უსათუოდ გაგიგებთ. იმის ადგილზე რომ ვიყო, გაგიშვებდით. ვფიქრობ, ჩემი გულწრფელობისა გჯერათ. ყველა წესიერი ქალი ასე მოიქცევა, ძალიან დამენანებოდით, მაგრამ მაინც გაგიშვებდით. ჯენისაც დაენანებით, მაგრამ დაგეთანხმებათ. ვფიქრობ, თქვენზე ნაკლებად როდი მესმის მისი, იმიტომ, რომ მეც ქალი ვარ. – ლეტი ერთხანს დადუმდა, მაგრამ მაინც განაგრძო, – მე რომ შემემძლოს, თვითონ მოველაპარაკებოდი, ყველაფერს ავუხსნიდი.

ლესტერი გაოცებული შეჰყურებდა ქალის ასეთ სწრაფვას. ლეტი მართლაც ლამაზი იყო, მიმზიდველი და...

– ასე აჩქარება არ ივარგებს, – უნდა მოვიფიქრო, ჯერ კიდევ მაქვს დრო. ლეტი გაჩუმდა, თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრია.

– ახლავე უნდა ამოქმედდეთ, – გაუმეორა ლეტიმ და ლესტერს ახედა. ამ გამოხედვაში აშკარად ჩანდა, ლესტერის დაუფლების სურვილი და ამ სურვილის გამოხატვა არა რცხვენოდა.

– მოვიფიქრებ, – უთხრა ლესტერმა ცოტა შემკრთალმა, სასწრაფოდ გამოემშვიდობა და გავიდა.

ორმოცდამეთერთმეტე თავი

ლესტერმა საკმაოდ დიდხანს იფიქრა, დინჯად აწონ-დაწონა თავისი მდგომარეობა. ალბათ, რაღაცას იღონებდა კიდევ, რომ ერთი უსიამოვნო ამბავი არა, რომელმაც სულ მთლად დაანგრია მისი გეგმები. მოხუცი გერჰარდტის ჯანმრთელობა უეცრად შეირყა, იძულებული გახდა თავის ნაკისრ მოვალეობაზე თანდათან უარი ეთქვა. მერე კი სულაც ჩაწვა. ჯენი მზრუნველად უვლიდა მამას, ვესტა დღეში რამდენჯერმე შერბოდა მასთან, ნახულობდა ლესტერიც. გერჰარდტის საწოლი ფანჯარასთან იდგა და საათობით გაჰყურებდა ბაღის ხეებსა და ქუჩის კიდეს, ფანჯრიდან რომ მოჩანდა, წუხდა, მისი ხელი რომ მოაკლდა იქაურობას. დარწმუნებული იყო, მეეტლე ვუდსი დაუდევრად უვლიდა ცხენებს, ფოსტალიონს წესიერად არ დაჰქონდა გაზეთები, ხოლო ცეცხლფარეში ბევრ ქვანახშირს ხარჯავდა, თუმცა სახლში საკმარისი სითბო მაინც არ იყო. ეს წვრილმანი საზრუნავი შეადგენდა მთელ მის ცხოვრებას, სახლსა და შინაურებზე მზრუნველობა მისი თანდაყოლილი თვისება იყო. თვითონ კეთილსინდისიერად ასრულებდა საკუთარი სურვილით აღებულ ვალდებულებებს და ახლა შიშობდა, ვაითუ ყველაფერი უკუღმა დატრიალდესო. ჯენიმ მამას დალიანდაგებული ცისფერი აბრეშუმის მდიდრული ხალათი და რბილი, თბილი ღამის ქოშები აჩუქა, მაგრამ ბერიკაცი თითქმის არც ერთს არ ხმარობდა. გერჰარდტი ლოგინში წოლას ამჯობინებდა, კითხულობდა ბიბლიას თუ ლუთერანულ გაზეთებს და ჯენისგან სახლის ახალ-ახალ ამბებს ისმენდა.

– ჩასულიყავი ერთი იმ სარდაფში და გენახა, ის ყმაწვილი იქ რას აკეთებს? ხომ ხედავ, რა სიცივეა ოთახებში. თუმცა, მე ვიცი, რასაც საქმიანობს, ზის და კითხულობს, როცა ქვანახშირი ჩაიფერფლება, მხოლოდ მერე ახსენდება, რომ უნდა შეუკეთოს. ლუდიც იქვე, გვერდით უდგას. კარგს იზამ, იმ სარდაფს თუ დაკეტავ. რა იცი, რა კაცია, იქნებ, ვინმე გაიძვერაა.

ჯენი ცდილობდა მამა დაერწმუნებინა, რომ სახლში საკმაოდ თბილოდა და ცეცხლფარეშიც კარგი და წესიერი ამერიკელი იყო. თუ ცოტას გადაკრავს, არც ამით არაფერი დაშავდებაო. ამის გამგონე გერჰარდტი მაშინვე ბუზლუნს იწყებდა.

– სულ ასე იცით, ეკონომიისა არაფერი გაგეგებათ. როგორც კი თვალს მოვაცილებ აქაურობას, მაშინვე ყველაფერი ვერანდება, კარგი და წესიერი ახალგაზრდააო, საიდან იცი, რომ წესიერია? კარგად ათბობს სახლს? არა!

ბილიკებს გვის? არა! ეგენი ყველანი კარგები არიან. თუ თვალი მოაცილე, გათავდა! შენს საქმეს შენ თვითონვე უნდა მიხედო.

– კარგი, მამა, – ალერსიანად ამშვიდებდა ჯენი, – მივხედავ. შენ ნუ წუხხარ. ლუდსაც ჩავკეტავ. მოგიტანო ყავა და ორცხობილა?

– არა, რაღაც კუჭი მაწუხებს. მალე მაინც მოვრჩე, – ამოიხვნეშებდა ხოლმე მოხუცი.

ჯენიმ მამა იმ ქალაქში ცნობილსა და გამოცდილ ექიმ მეიკენს გაასინჯა. ექიმმა ავადმყოფს ურჩია მშვიდად ყოფნა და დასვენება, ცხელი რძისა და გულის წვეთების მიღება, მაგრამ სრული გამოჯანმრთელების იმედი არ გამოუთქვამს.

– ასეა თუ ისე, წლებს თავისი მიაქვს. ძალიან დასუსტებულია. ოცი წლით ახალგაზრდა რომ იყოს, ფეხზე დავაყენებდი. მაგრამ არც ისე ცუდადაა საქმე. ჯერ კიდევ იცოცხლებს. არა, თავდებობა არ შემიძლია, მაგრამ, იქნებ, ლოგინიდან წამოდგეს. ყველა სიკვდილის შვილები ვართ. მე პირადად სულ არ მეშინია, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, მოხუცობას მივალწიე და კმარა.

ძალიან დაამწუხრა ჯენი მამის მოახლოებულმა სიკვდილმა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ სიცოცხლის ბოლო დღეებს მშვიდად და უზრუნველად ატარებდა, არც მზრუნველი ხელი აკლდა.

მალე ნათელი გახდა, რომ გერჰარდტის დღეები დათვლილი იყო და ჯენიმ გადაწყვიტა, მამის ავადმყოფობის ამბავი და-ძმებისთვის ეცნობებინა. ჯერ ბასს მისწერა, საპასუხო წერილში ბასი იტყობინებოდა, რომ ახლა ძალიან მოუცლელი იყო და ვერ ჩამოვიდოდა, თუ მამას ძლიერ საშიში მდგომარეობა არ ჰქონდა. ისიც მოსწერა, რომ ჯორჯი როჩესტერში ცხოვრობდა და კომპანია შეფ-ჯეფერსონის შპალერის ფაბრიკაში მუშაობდა, მართა ქმართან ერთად ბოსტონში გადავიდა, ქალაქგარეთ, ბელმონტში ცხოვრობენ, მაგრამ ცენტრთან ახლოს. უილიამი ომაჰის ელექტროკომპანიაში ტექნიკოსად მუშაობდა. ვერონიკა გათხოვდა, მისი ქმარი, ალბერტ შერიდანი, კლივლენდში, სააფთიაქო საქონლის საწყობში მოეწყო... მართალია, მართა არასოდეს მოდის ჩემთან, მაგრამ მაინც გავაგებინებო, გულისტკივილით წერდა ბასი. ჯენიმ ყველას მისწერა წერილი. ვერონიკასა და მართასგან მოკლე ბარათები მიიღო: ძალიან ვწუხვართ, თუ ცუდი რამ მოხდება, შეგვატყობინეო. ჯორჯმა კი მოიწერა: ჩიკაგოდან რატომ უნდა ჩამოვიდე, თუ მამა ძალიან ცუდად არ არის, ყველაფერი მაცნობეო. უილიამს, როგორც ჯენიმ გვიან შეიტყო, მისი წერილი არ მიუღია.

ჯენის გულს უკლავდა მამის ასე ნელ-ნელა გაქრობა. წინათ შორიშორს იყვნენ, ბოლო წლებმა კი მამა-შვილი ძალიან დაახლოვა ერთმანეთს. გერჰარდტმა, როგორც იქნა, შეიგნო, რომ მის მიერ ხელნაკრავი შვილი სიკეთის განსახიერება იყო. ჯენი მამას არაფერზე ედავებოდა. არასდროს მის საწინააღმდეგოს არ იტყოდა. ავადმყოფობისას დღეში რამდენჯერმე აკითხავდა, ეკითხებოდა, ხომ არაფერი გინდა, საუზმე, სადილი და ვახშამი

თუ მოგეწონაო. როცა გერჰარდტი ძალიან დასუსტდა, ჯენი თითქმის აღარ სცილდებოდა, წიგნით ხელში თუ ხელსაქმით მის საწოლთან იჯდა. ერთხელ, როდესაც ჯენი ბალიშს უსწორებდა, მამამ აიღო მისი ხელი და აკოცა. ჯენიმ გაკვირვებით ასწია თავი. ქალიშვილს გული შეეკუმშა. უღონო გერჰარდტი საცოდავი შესახედავი იყო: თვალებში ცრემლები ჩასდგომოდა.

– კეთილი გოგო ხარ, ჯენი, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა მოხუცმა. – ძალიან თბილად მექცევი, თუმცა მაინც ხშირად ვბუზღუნებ და ვბრაზობ, მაგრამ მოხუცი ვარ და უნდა მაპატიო.

– რას ამბობ, მამა, – უთხრა თვალცრემლიანმა ჯენიმ. – რა გაქვს საპატიებელი? პირიქით, პატიება მე უნდა გთხოვო.

– არა, არა, – შეეპასუხა მოხუცი.

ჯენი მამის საწოლთან მუხლებზე დაეშვა და ატირდა. მამამ თავისი გამხმარი, გაყვითლებული ხელი ჯენის თავზე გადაუსვა, – ნუ ტირი, – წყნარი ხმით ამშვიდებდა ავადმყოფი, – ახლა უკვე ბევრი რამ შევიგნე. წლებს თავისი სიბრძნე მოაქვს ადამიანებისთვის.

ჯენიმ უცებ მოიმიზეზა, ვითომ ხელ-პირი ჰქონდა დასაბანი და ოთახიდან გავიდა. თავი მართოდ რომ დაიგულა, ქალმა ტირილი მორთო. ნუთუ ბოლოს მაინც აპატია? არადა, რამდენი სიცრუე დასჭირდა. ჯენი ცდილობდა უფრო უკეთ მოეველო, თუმცა მეტი მზრუნველობა აღარც შეიძლებოდა. მოხუცი გულის გახსნის შემდეგ თითქოს უფრო დამშვიდდა და უფრო ბედნიერადაც გრძნობდა თავს. მამა-შვილი ტკბილსა და სასიამოვნო საუბარში ატარებდა დღეებს, ერთხელ ჯენის ისიც კი უთხრა:

– იცი, თავს ბიჭვით ვგრძნობ, აი, ძვლები რომ არ მაწუხებდეს, ასე მგონია, ბალახზე ვიცეკვებდი-მეთქი.

ჯენის გაელიმა და ამოისლუკუნა.

– ახლა მალე გამოკეთდები, მამა, ღონე მოგემატება და სასეირნოდაც წავალთ, – ალერსიანად მიუგო ქალიშვილმა.

ჯენი თავს კვლავ იმით ინუგეშებდა, რომ მისი წყალობით მოხუცი ბოლო წლებში გაუჭირვებლად და უზრუნველად ცხოვრობდა.

ლესტერიც თბილად და ყურადღებით ეპყრობოდა მოხუცს. ყოველ საღამოს მოსვლისთანავე იკითხავდა: «დღეს როგორ არის?» სადილობამდე რამდენიმე წუთით აუცილებლად შევიდოდა მოხუცის ოთახში.

– კარგად გამოიყურება, – ეტყოდა ჯენის, – მე მგონი, ჯერ კიდევ იცოცხლებს. ნუ გეშინია.

ვესტაც დიდხანს უჯდა ხოლმე პაპას. როცა ავადმყოფს ხელს არ უშლიდა, ხმამაღლა სწავლობდა გაკვეთილებს მის ოთახში. ზოგჯერ ოთახის კარს ღიას დატოვებდა და პაპას რომ მოესმინა, როიალზე უკრავდა. ლესტერმა ვესტას რაღაც ლამაზი მუსიკალური საკრავი აჩუქა და ვესტაც ხშირად მომართავდა პაპის ოთახში და ავადმყოფს ართობდა. ხანდახან ბერიკაცს არაფერი და არავინ უნდოდა ჯენის გარდა. მხოლოდ ჯენისთან ყოფნა სურდა. მაშინ ჯენი თავისი

ხელსაქმით ჩუმად საწოლთან მიუჯდებოდა. ქალი გრძნობდა, მამის აღსასრული რომ ახლოვდებოდა.

თავისი ბუნების ბოლომდე ერთგულმა გერჰარდტმა ყველაფერი წინასწარ განსაზღვრა, როგორ და რა უნდა გაეკეთებინათ მისი გარდაცვალების შემდეგ, სურვილი გამოთქვა სამხრეთის მხარეს, ლუთერანების პატარა სასაფლაოზე დაეკრძალათ, ხოლო წესი იმ ეკლესიის პასტორს აეგო, სადაც ასე ხშირად დადიოდა.

– მინდა ყველაფერი სადად იყოს, – უბარებდა მოხუცი ქალიშვილს, – ჩამაცვით შავი კოსტიუმი და საკვირაო ფეხსაცმელი, გამიკეთეთ შავი ჰალსტუხი. სხვა არაფერია საჭირო. ასე აჯობებს.

ჯენი ეხვეწებოდა, ეგრე ნუ ლაპარაკობო, მაგრამ ის მაინც თავისას ამბობდა, თითქოს კმაყოფილებასაც კი გრძნობდა. ერთ დღეს, ასე ოთხ საათზე, ავადმყოფს უცხად ღონე სულ წაერთვა. ჯენის მისი მაჯა ეჭირა ხელში და ყურს უგდებდა მამის ხშირ სუნთქვას. ავადმყოფმა ერთი-ორჯერ თვალი გაახილა, გაუღიმა და უთხრა:

– სიკვდილისა არ მეშინია, რაც შემეძლო, გავაკეთე.

– სიკვდილზე ნუ ლაპარაკობ, მამა, – დაიკვნესა ჯენიმ.

– სულ ერთია, აღსასრული უკვე მოვიდა, შენ კეთილი იყავი ჩემ მიმართ, ნამდვილად კარგი ქალი ხარ, ჯენი.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. ხუთი საათისთვის მოხუცი აღესრულა.

გერჰარდტის მძიმე ცხოვრების ასეთმა მშვიდმა დასასრულმა ჯენი საოცრად შეადრწუნა. მის კეთილ, სათნო გულში გერჰარდტი ცოცხლობდა არა მარტო როგორც მამა, არამედ როგორც მეგობარი და მრჩეველი. ჯენი ახლა მამის მთელ ცხოვრებასა და შინაგან ბუნებას ხედავდა: პატიოსანი, მშრომელი მოხუცი გერმანელი, ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობდა ოჯახის ფეხზე დასაყენებლად, იღვწოდა ეცხოვრა პატიოსნად, უცოდველად. ჯენი იყო მისი ერთადერთი ცოდვის ტვირთი. იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, სიმართლე ვერ გაიგო. ჯენი სულ იმას ფიქრობდა, სად იყო ახლა მამამისი, ნეტავ თუ იცის, რომ მოვატყუე, ვითომ მაპატიებს? აკი უთხრა, კარგი ქალი ხარო.

ყველა შვილს გაუგზავნეს დეპეშა. ბასმა საპასუხო გამოგზავნა და მეორე დღეს თვითონაც ჩამოვიდა. დანარჩენებმა შემოთვალეს, ჩამოსვლა არ შეგვიძლიაო, მაგრამ ყველაფერი დაწვრილებით შეგვატყობინეთო. ჯენიმ ყველას მისწერა წერილი. ლუთერანელმა მღვდელმა ლოცვები წაიკითხა და დაკრძალვის დღეზე შეუთანხმდა. საქმის მოგვარება დასაფლავების ბიუროს ერთ ჩასუქებულ აგენტს დაევალა. მოვიდა რამდენიმე მეზობელიც. ისინი, ვისაც არ გაეწყვიტა მათთან ურთიერთობა. დაკრძალვა მესამე დღისთვის დაინიშნა. ლესტერი ჯენისა და ვესტასთან ერთად წითელი აგურით ნაგებ პატარა ეკლესიაში მივიდა და ბოლომდე მოისმინა მოსაწყენი და მშრალი წირვა. მორჩილად ისმენდა გრძელ ქადაგებას საიქიო ცხოვრების მშვენიერებაზე. უსიამოვნოდ გააჟრჟოლა, როცა მღვდელმა ჯოჯოხეთი ახსენა. ბასსაც მოსწყინდა, მაგრამ მდგომარეობის შესაფერისად ეჭირა თავი. მამა

დიდი ხანია მისთვის გაუცხოებულიყო, მარტო ჯენი ტიროდა გულწრფელად. მის თვალწინ გაიელვა მამის მთელმა ცხოვრებამ. გაიხსენა გაჭირვება, ის დრო, როცა მამა ხერხით ხელში ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ან თუნდაც ის ხანა, როცა იგი უპატრონოდ ფაბრიკის საწყობის სხვენში ცხოვრობდა, მოაგონდა მეცამეტე ქუჩაზე მდგარი ღარიბული სახლიც და კლივლენდში ლორი-სტრიტზე გატარებული მწარე დღეებიც. ყველა მისი დარდი, რომელიც ქალიშვილის საქციელმა თუ ცოლის სიკვდილმა მოჰგვარა, მისი ნაზი მზრუნველობა ვესტაზე და ბოლოს სიკვდილის წინა დღეები.

«ჭეშმარიტად კარგი კაცი იყო, ფიქრობდა ჯენი. – როგორ ცდილობდა, ყველაფერი უკეთესად აეწყო». მერე კი როცა შემოესმა გალობა «უფალია ჩვენი ძლიერება», ჯენი აქვითინდა.

ლესტერი ააღელვა ჯენის მწუხარებამ და სახელოზე მოჰკიდა ხელი.

– არ შეიძლება ასე, – უჩურჩულა ლესტერმა. – სხვებზეც იფიქრე. ახლავე ავდგები და წავალ.

ჯენი გაჩუმდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ წყდებოდა მამასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფები და გული ელეოდა.

რედიმერის სასაფლაოზე, სადაც ლესტერმა ადგილი იყიდა, სადა კუბო ჩაუშვეს და მიწა მიაყარეს, ლესტერი დაფიქრებული ათვალიერებდა შიშველ ხეებს, გადამხმარ ყვითელ ბალახს, ბარით გათხრილ პრერიის რუხ მიწას. სასაფლაო ღარიბული იყო, უკანასკნელი თავშესაფარი მშრომელი კაცისა, მაგრამ რაკი გერჰარდტს თვითონ ასე სურდა, ესე იგი, ასე იყო საჭირო. ლესტერი შესცქეროდა ბასის გამხდარ, აზრიან სახეს და მარჩიელობდა, საინტერესოა, მომავლისთვის რა გეგმები აქვსო. რატომღაც თავში მოუვიდა, რომ მისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა თამბაქოთი ვაჭრობის საქმე. ლესტერმა ისიც დაინახა, როგორ იმშრალებდა ჯენი დაწითლებულ თვალებს, და გაიფიქრა: «რა დღეშია, საწყალი», მისი გრძნობა იმდენად გულწრფელი და ღრმა იყო, რომ ლესტერს გუნებაში აღმოხდა: «მშვენიერია ჯენი, რაღაც ამოუხსნელია ამ ქალში!»

მერე ქალაქის მტვრიანი და ქარიანი ქუჩების გამოვლით ყველანი ერთად დაბრუნდნენ შინ.

– ჯენის ყველაფერი გულთან მიაქვს, – სინანულით თქვა ლესტერმა, – მეტისმეტად მგრძნობიარეა და ცხოვრებაც უფრო შავ ფერებში ეხატება, ვიდრე სინამდვილეშია. ამქვეყნად ყველას თავისი დარდი აქვს, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, როგორღაც უნდა გაუმკლავდე. ჩვენ ყველას ჩვენი წილი ჯავრი გვაქვს.

– რა ვქნა, თუ ადამიანების გაჭირვება ასე მოქმედებს ჩემზე, – თქვა ჯენიმ.

– ჯენი ყოველთვის მგრძნობიარე იყო, – ჩაურთო ბასმა.

ბასი მოხიბლული იყო ლესტერით, – რა შესანიშნავი კაცია, რა მდიდრულად ცხოვრობენ, ჯენიც როგორი ქალი დამდგარა. რა უცნაური რამ არის ეს ცხოვრება, სულ რამდენიმე ხნის წინ მომავალ ცხოვრებაზე ჯენის ხელი ჩაქნეული ჰქონდა.

– ეცადე, გამხნევდე და ყველაფერი ასე ძლიერ არ განიცადო, – უთხრა ლესტერმა ბოლოს.

ბასიცი ამ აზრისა გახლდათ.

ჯენი ჩუმად იყურებოდა კარეტის ფანჯრიდან. აი, ახლა ისინი დაბრუნდებიან დიდ, წყნარ სახლში, მამა კი აღარ დახვდება. აბა როგორი წარმოსადგენია, რომ ველარასოდეს ნახავს. ეტლი ეზოში შევიდა. სასტუმრო ოთახში ნამტირალევ ჟანეტს ჩაი გაუწყვია, ჯენიც თავის ჩვეულებრივ საოჯახო საქმიანობას შეუდგა, თუმცა აკვიატებულ აზრს, სად იქნებოდა სიკვდილის შემდეგ, ვერა და ვერ იმორებდა.

ორმოცდამეთორმეტე თავი

ლესტერი საკმაოდ გულგრილად შეხვდა გერჰარდტის სიკვდილს, იგი მხოლოდ ჯენის უთანაგრნობდა. რა თქმა უნდა, აფასებდა მოხუცის უდავოდ კარგ თვისებებს, მაგრამ დიდი პირადი ურთიერთობა მაინც არ აკავშირებდა. მერე ჯენი ათი დღით ზღვაზე წაიყვანა დასასვენებლად, ხოლო ჩიკაგოში დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა, თავის საქმეებს შესდგომოდა და ჯენისთან ერთად აეწონ-დაეწონა მდგომარეობა. ამ ამოცანის გადაჭრას ნაწილობრივ ისიც უადვილებდა, რომ მიწის ნაკვეთების ოპერაციის წარუმატებლობის ამბავი უკვე ჯენიმაც იცოდა. ჯენისთვის არც მისის ჯერალდთან ლესტერის ვიზიტები იყო საიდუმლო. ლესტერმა თვითონ უთხრა, ჩვენი მეგობრობა გრძელდებაო. ერთხელ მისის ჯერალდმა ლესტერთან ერთად ჯენიც მიიწვია, მაგრამ თვითონ მათ არ ესტუმრა. მამის დასაფლავების შემდეგ ჯენი სულ უფრო ხშირად უფიქრდებოდა თავის მომავალ ცხოვრებას. ლესტერი რომ მასთან არ იქორწინებდა, ეს უკვე თვალნათლივ ჩანდა.

რობერტის აზრითაც საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება. თვითონ რობერტი აღარ აპირებდა ძმაზე ზემოქმედებას. საკმაოდ ბევრჯერ სცადა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ჯენისთან მოლაპარაკება? იქნებ, ჭკუას მოუხმოს, იმას დაუფიქრდეს, რომ რაკი ლესტერი აქამდე არ დაქორწინდა, მაშასადამე, არ აპირებს მის ცოლად შერთვას, საჭიროა გამოიძებნოს ვინმე სანდო პირი, რომელიც ჯენის ნახავს და მოელაპარაკება, აუხსნის, როგორ არის საქმე და, რა თქმა უნდა, კარგ უზრუნველყოფასაც შესთავაზებს. ვინ იცის, იქნებ, დათანხმდეს და ამით დამთავრდეს ეს უსიამოვნო ამბავი. რაც უნდა იყოს, ლესტერი მისი ძმაც და საწყენია, რომ ამოდენა ქონება დაეკარგოს. რობერტს უკვე შეეძლო ასეთი დიდსულოვნების გამოჩენა, მას ხომ ახლა მთელი ტრესტის საქმეები ეპყრა ხელთ: მისი არჩევანი კანტორა «ნაიტ, კიტლი და ო, ბრაიენი-ს» წარმომადგენელ ო, ბრაიენზე შეჩერდა. იგი იყო თავაზიანი, კეთილი, გულთბილი კაცი. როგორც იურისტს, შეეძლო თავაზიანად აეხსნა ჯენისათვის, რა თვალთ უყურებდნენ ამ ამბავს ლესტერის შინაურები და როგორ კარგავდა მთელ ქონებას, თუ მასთან კავშირს არ გაწყვეტდა. ეთქვა,

რომ ჯენი უზრუნველყოფილი იქნება, მიიღებს ორმოცდაათს, ასს, იქნებ, სულაც ასორმოცდაათ ათას დოლარსაც კი. რობერტმა გამოიძახა მისტერ ო, ბრაიენი და სათანადო დავალება მისცა. წინასწარ აუხსნა, რომ ვინაიდან იგი ითვლება არჩიბალდ კეინის ანდერძის აღმასრულებლად, ვალდებულია ლესტერის საქმეებს მიხედოს.

მისტერ ო,ბრაიენი ჩიკაგოში ჩავიდა. სადგურიდანვე დაურეკა ლესტერს და ძალიან კმაყოფილიც დარჩა, როდესაც გაიგო, მთელი დღით ქალაქიდან არისო გასული, მერე ჰაიდ-პარკში წავიდა და თავისი სავიტიზო ბარათი ჯენის გაუგზავნა. რამდენიმე წუთში ჯენი გამოჩნდა. ქალს აზრადაც არ მოსვლია, რა მნიშვნელოვანი დავალებით იყო მოსული ეს უცხო კაცი. სტუმარი ჯენის ფრიად თავაზიანად მიესალმა.

– მაქვს პატივი მისის კეინთან საუბრისა? – ჰკითხა მან და თავი დახარა.

– დიახ, – მიუგო ჯენიმ.

– როგორც ჩემი სავიტიზო ბარათიდან ჩანს, მისტერ ო, ბრაიენი გახლავარ, ფირმიდან «ნაიტ, კიტლი და ო, ბრაიენი», – დაიწყო მოსულმა, – დიახ, ვეჭილი და ანდერძის აღმასრულებელი მოხუცი მისტერ კეინისა, თქვენი... ჰმ... მისტერ კეინის მამისა. ალბათ, ჩემი ვიზიტი უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს იმით არის გამოწვეული, რომ მამის – მისტერ კეინის ანდერძში არის ზოგიერთი პირობა, რომელიც თვითონ მას და თქვენ გეხებათ. ეს საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვალდებული ვარ თქვენც გაგაცნოთ და გაგარკვიოთ, თუ მისტერ კეინმა თვითონ არ გააკეთა ეს. მე... მაპატიეთ, მაგრამ ამ პუნქტების თავისებურების გამო, შესაძლოა, რომ მას თქვენთვის არაფერი ეთქვა – მისტერ ო, ბრაიენი წამით დადუმდა, მაგრამ მთელი თავისი სხეულით თუ სახის ნაკვეთებით კითხვას გამოხატავდა.

– კარგად ვერ გავიგე, – უთხრა ჯენიმ. – ანდერძისა არაფერი ვიცი. თუ იქ ისეთი რამ არის, რაც მე უნდა ვიცოდე, ალბათ, მისტერ კეინი მეტყვის. ჯერჯერობით კი არაფერი უთქვამს.

– აჰა! – შვებით ამოისუნთქა მისტერ ო,ბრაიენმა, – მაშ, ჩემი ვარაუდი გამართლდა, ახლა ნება მომეცით საქმის არსი მოკლედ გაგაცნოთ. მერე თქვენს სურვილზე იქნება, ინდომებთ თუ არა ყველაფრის დაწვრილებით ცოდნას. ხომ არ დაბრძანდებით?

აქამდე ორივე ფეხზე იდგა. ჯენი დაჯდა და მისტერ ო, ბრაიენმა თავისი სკამი ჯენისკენ მისწია.

– ჰოდა, ასე დავიწყოთ, – თქვა მოსულმა, – ვფიქრობ, მოგეხსენებათ, რომ მისტერ კეინის მამა სასტიკი წინააღმდეგი იყო თქვენ შორის არსებული ურთიერთობისა.

– ვიცი. – წამოილაპარაკა ჯენიმ, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. გაოგნებულ და დამფრთხალ ქალს გულმა რეჩხი უყო.

– გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, – განაგრძობდა იურისტი, – მისტერ კეინი უფროსი ესაუბრა თავის ვაჟიშვილს, მისტერ ლესტერ კეინს თქვენს...

ქონების განაწილებასთან დაკავშირებით ანდერძში აღნიშნულია ზოგიერთი

პირობა, რომელმაც თავის ვაჟს, ანუ თქვენს... მეუღლეს ერთგვარი წინააღმდეგობა შეუქმნა. ჩვეულებრივ პირობებში იგი მიიღებდა «კომპანია კეინის» კაპიტალის ერთ მეოთხედ ნაწილს, ეს კი ამჟამად ერთ მილიონ დოლარს ან, შესაძლოა, მეტსაც შეადგენს, აგრეთვე მიიღებდა ყველა დანარჩენი ქონების ერთ მეოთხედს, რაც შეფასებულია დაახლოებით ხუთასი ათას დოლარად. რამდენადაც ვიცი, მისტერ კეინი უფროსს ძალიან უნდოდა, რომ ეს თანხა ლესტერს მიეღო, მაგრამ მამის შედგენილი ანდერძის მიხედვით ლესტერს შეუძლია მიიღოს თავისი წილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეასრულებს... ჰმ... მამის სიკვდილისწინა ერთ სურვილს.

მისტერ ო, ბრაიენი გაჩუმდა, მხოლოდ თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით. მიუხედავად თავისი ასეთი წინასწარგანწყობისა, ვეჭილმა მაინც იგრძნო ჯენის მომხიბვლელობა. მისთვის ნათელი გახდა, რატომ ეურჩებოდა ლესტერი ყველას, რატომ არ შორდებოდა ამ ქალს. პასუხის მოლოდინში იურისტი გულდაგულ ზვერაავდა ჯენის.

– მაინც რა სურვილია ასეთი? – ჰკითხა ქალმა, როცა დამაბული სიჩუმე უკვე აუტანელი გახდა.

– მაღლობას მოგახსენებთ ამ შეკითხვისთვის, – უთხრა მისტერ ო, ბრაიენმა, – მართალი გითხრათ, ძალიან მეძნელებოდა ამ თემაზე ხმის ამოღება, ძალიან მიჭირდა. მე თქვენთან მოვედი როგორც ფირმის წარმომადგენელი, მისტერ კეინის მამის ანდერძის აღმასრულებელი. ვიცი, განა არ ვიცი, როგორ მტკივნეულად განიცდის ამას თქვენი... ჰმ... მისტერ კეინი, იმასაც ვგრძნობ, რა მტკივნეული იქნება იგი თქვენთვის. ეს ისეთი რთული საკითხია, მაგრამ როგორმე უნდა გადაწყდეს. დიახ, ძალიან მიჭირს. მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ მისტერ კეინი უფროსი ანდერძში აღნიშნავდა, რომ... – ო, ბრაიენი კვლავ თვალების ცეცებას მოჰყვა, – თუ მისი ვაჟი თქვენ არ დაგშორდებოდათ, – მისტერ ო, ბრაიენმა სული მოითქვა, – მაშინ ქონებიდან წილს არ მიიღებდა, გარდა იმ უმნიშვნელო წლიური თანხისა, რაც დაახლოებით ათი ათას დოლარს შეადგენს და იმასაც იმ პირობით, თუ თქვენ შეგირთავდათ, – მოსაუბრე კვლავ შეჩერდა, – დავუმატებ იმასაც, რომ ანდერძის თანახმად მას სამი წელი ჰქონდა ვადა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მოკლე ხანში ეს დრო უკვე იწურება.

მშფოთვარე სცენების მომლოდინე იურისტი დადუმდა, მაგრამ ჯენიმ მხოლოდ გაოცებული, მწუხარებით დაბნეული თვალებით შეხედა, ქალისთვის ნათელი გახდა, რომ ლესტერს მისი გულისთვის ქონება გაუწირავს. ალბათ, მიწის ნაკვეთების შესყიდვის საქმეც იმიტომ წამოიწყო, რომ ფინანსურად წელში გამართულიყო და დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ახლა გასაგებია, ბოლო დროს რატომ იყო ასე გუნებადამძიმებული, განერვიულებული, უკმაყოფილო. მამას მშრალზე დაუტოვებია. რამხელა უბედურება დასტეხია თავს, დღედაღამ უთუოდ ამაზე ფიქრობს, მას კი ერთი სიტყვაც არ უთხრა.

მისტერ ო, ბრაიენიც შემცბარი და აღელვებული ჩანდა. ჯენის გამომეტყველების ცვლილებამ გული შეუკუმშა. მაგრამ მოვალე იყო მისთვის სიმართლე ეთქვა.

_ მაპატიეთ, _ დაიწყო ისევ ვეჟილმა, როცა შეატყო, ჯენი პასუხის გაცემას არ აპირებდა, _ ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი უსიამოვნო მისიის შესრულება მხვდა წილად. გარწმუნებთ, რომ არც ჩემი მდგომარეობაა მთლად სასურველი, პირადად მე თქვენ მიმართ არავითარი ცუდი გრძნობა არ მამომძრავებს, ამას, ალბათ, თქვენც გრძნობთ. არც კეინების ოჯახს აქვს ახლა თქვენი საწინააღმდეგო არაფერი. ანდერძის წაკითხვის შემდეგ მისტერ კეინს იმ დღესვე ვუთხარი, რომ ანდერძი უსამართლოდ იყო შედგენილი, მაგრამ როგორც მისი სურვილის მხოლოდ აღმასრულებელს, არაფრის შეცვლის უფლება არ მქონდა. ჩემი აზრით, თქვენ მთელი სიმართლე უნდა იცოდეთ, რადგან მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, დაეხმაროთ თქვენს... მეუღლეს, _ ადვოკატი მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა: _ ეს საქმე ასე იქნება თუ ისე, საბოლოოდ უნდა გადაიჭრას. მეც მისი ოჯახის წევრებთან ერთად ვწუხვარ, რომ ლესტერი თავის ქონებას კარგავს.

ორმოცდამეცამეტე თავი

ლესტერი გრძნობდა, რომ გვერდს ვეღარ აუვლიდა ჯენისთან ახსნა-განმარტებას. ეს საუბარი გარდაუვალი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რას მოიტანდა იგი _ დაშორებას თუ კანონიერ ქორწინებას. მისტერ ო, ბრაიენის სტუმრობის მერე ეს დღეც მალე დადგა.

მისტერ ო, ბრაიენის ჩამოსვლის დღეს, ლესტერი პატარა სამრეწველო ქალაქ ჰეგუიში იყო წასული, სადაც ლიფტის ახალი მოტორის გამოსაცდელად მიიწვიეს. იგი ამ მოტორების მწარმოებელი კომპანიის წევრად გახდომასაც კი ფიქრობდა. შინ დაბრუნებული ლესტერი, ძველი ჩვეულების თანახმად, ჯენისთვის ამბების მოყოლას აპირებდა, თუმცა მასთან განშორება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. იგი გააოცა სახლში დასადგურებულმა მწუხარებამ. მართალია, ჯენიმ მტკიცე, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ თავისი გრძნობების დაფარვა მაინც უჭირდა, ნაღვლიანად აწყობდა მომავალი ცხოვრების გეგმებს, გრძნობდა გამგზავრების აუცილებლობას, მაგრამ ამასთანავე შიშობდა, რომ ლესტერთან ლაპარაკის დროს სიმხნევე არ ეყოფოდა. უიმისოდ წასვლა კი არ შეიძლებოდა, ისიც თანახმა უნდა ყოფილიყო გაყრაზე. ჯენის ღრმა რწმენით, ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. ფიქრი იმაზე, რომ ლესტერი მისი გულისთვის ამოდენა ქონებას კარგავდა, გონებას ურყევდა. ჯენის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, აკვირვებდა ლესტერის თავშეკავება, კრინტიც რომ არ დაუძრავს, მაშინ, როცა მისი მთელი მომავალი თურმე ბეწვზე ეკიდა.

შინ შემოსულ ლესტერს ჯენი ღიმილით შეხვდა, მაგრამ მეტად ყალბად გამოუვიდა.

– ყველაფერი რიგზეა? – ჰკითხა ქალმა, როგორც ეკითხებოდა ხოლმე ყოველდღე.

– სავსებით, – უპასუხა ლესტერმა, – აქ როგორა ხართ? – ჩვეულებრივად.

ბიბლიოთეკაში ერთად შევიდნენ. ლესტერი ბუხართან მივიდა და ქვანახშირი საჩხრეკით მისწი-მოსწია.

იანვრის ცივი დღე იდგა. ხუთ საათზე შებინდდა კიდეც. ჯენიმ ფანჯრის ფარდა ჩამოუშვა და ლესტერისკენ შემობრუნდა.

– დღეს რაღაც სხვანაირი ჩანხარ, – უთხრა ლესტერმა, როცა ქალს აშკარა ცვლილება შენიშნა.

– არა, არაფერია, – მაშინვე მიუგო ჯენიმ, თუმცა ტუჩები უთრთოდა. ლესტერს არც ეს გამოჰპარვია.

– შენ რაღაცას მალავ, რა მოგივიდა? რა მოხდა? – თვალმოუშორებლად ჰკითხა ლესტერმა.

ჯენი შებრუნდა, რომ სული მოეთქვა, აზრი მოეკრიბა. წამიც და კვლავ შემოტრიალდა.

– ჰო, მოხდა, რაღაც მინდა გითხრა.

– ვხვდები, რომ რაღაც უნდა მითხრა, – გამამხნევებელი ღიმილით წარმოთქვა ლესტერმა, თუმცა უმაღვე იგრძნო ვითარების დამაბულობა.

– გუშინ ერთი ცინცინატელი კაცი იყო, მისტერ ო, ბრაიენი. იცნობ? – ჰო, ვიცნობ. აქ რა ესაქმებოდა?

– მოვიდა ჩემთან მოსალაპარაკებლად, მამაშენის ანდერძის თაობაზე. – ჯენი გაჩუმდა, შენიშნა, როგორ ჩაუმუქდა ლესტერს სახე.

– რა ეშმაკად დასჭირდა მამაჩემის ანდერძის ხსენება? მაინც რა იყბედა, რა მინდაო?

– შენი ჭირიმე, ნუ ბრაზობ, ლესტერ, – მშვიდად უთხრა ჯენიმ, რადგან კარგად ესმოდა, თუ თავს ვერ შეიკავებდა, მერე ვერაფერს მიაღწევდა, – მისტერ ო, ბრაიენმა გამაგებინა, თურმე რა მსხვერპლს სწირავ, თან გამაფრთხილა, რომ მემკვიდრეობის დაკარგვამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ვითომ, არ დადგა მოქმედების დრო? ჩვენი დაცილებების ჟამი?

– დასწყევლოს ეშმაკმა! – მძვინვარედ დაიყვირა ლესტერმა. – როგორ ბედავს ჩემს საქმეებში ცხვირის ჩაყოფას? მხრების გრეხით იძახდა აღშფოთებული ლესტერი. – დმერთმა შეაჩვენოს მაგათი თავი! – იფეთქა ისევ. – ეს სულ რობერტის ოინებია. აბა «ნაიტ, კიტლი და ო, ბრაიენის» კომპანიას რაში ენადვლება ჩემი საქმეები? მე მაგათ ვუჩვენებ!

გაცოფებულ ლესტერს სახე ალექოდა, თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა. მისი მრისხანებით შეშინებულ ჯენის ხმა ჩაუწყდა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ოდნავ დამშვიდდა, ისევ ლესტერმა იკითხა: – მერე რა გითხრა?

– მითხრა, რომ თუ შენ ჩემი კანონიერი მეუღლე გახდები, წლიურად მხოლოდ ათი ათასი გექნება, ხოლო თუ არ დაქორწინდები და ისევ ძველებურად ვიცხოვრებთ, მაშინ საერთოდ არაფერი მოგეცემა. თუ ჩემგან წახვალ, ან მე წავალ, მაშინ მიიღებ შენს კუთვნილ მილიონ-ნახევარს. ჰოდა, შენი აზრით, აღარ არის დრო ჩვენი განშორებისა?

ჯენი ამ მთავარი კითხვის დასმას ახლა სულაც არ აპირებდა, მაგრამ ეს სიტყვები უნებურად წამოსცდა. თუმცა მაშინვე გაიფიქრა, თუ მართლა ვუყვარვარ, ახლავე მტკიცე «არას» – იტყვის, ხოლო თუ სულ ერთია, მაშინ იყოყმანებს, კვანძის გახსნის გადაწყვეტას შეეცდებოდა.

– არ მესმის, რა საჭიროა, რა აუცილებელია ვინმეს ჩარევა ანდა სასწრაფო ზომების მიღება, ვერ მომინელებია, აქ როგორ ცხადდებიან და ჩემს საქმეში ხელს აფათურებენ.

ჯენის გული მოუკლა მისმა გულგრილობამ, მისმა ასეთმა გაბოროტებამ. მას ხომ თბილი სიტყვები უნდა ეთქვა, უნდა დაემშვიდებინა. ჯენისთვის მთავარი მასთან დაშორება იყო, ლესტერს კი მხოლოდ ო, ბრაიენის ვიზიტი, სხვისი ჩარევა აღიზიანებდა. მარტო ის აშფოთებდა, როგორ გაბედეს მის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, როცა ჯერ თვითონ არ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს. ყველაფრის მიუხედავად, ჯენის მაინც ეგონა, რომ მრავალი წლის ერთად ცხოვრების მანძილზე, როცა ჭირი და ლხინი ზიარი ჰქონდათ, ლესტერმა იგი გულით შეიყვარა, მასთან დიდი გრძნობა აკავშირებდა. რომ სწორედ ეს გრძნობა არ მისცემდა ნებას ერთმანეთს დაშორებოდნენ. რა ვუყოთ, რომ ცოლად არ შეირთო, საამისოდ ათასი დაბრკოლება გადაეღობათ, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, ხომ შეეძლო სასიყვარულო სიტყვები ეთქვა, თუნდაც განშორების წინ. ქალს მოეჩვენა, რომ, ამდენი ხნის ერთად ცხოვრების მიუხედავად, ლესტერს მაინც არ იცნობდა, თუმცა ამავე დროს, თითქოს მაინც უგებდა. ლესტერს უსათუოდ უყვარდა, უყვარდა თავისე-ბურად. მაგრამ ლესტერს არ შეეძლო გულის გადაშლა, თავის გრძნობაზე ლაპარაკი. ოდესღაც მან შეძლო ჯენის დატყვევება და თავისადაც გაიხადა, ახლა კი ეტყობა ისე ძალიან აღარ უყვარდა, აღარ შეეძლო მისი შენარჩუნება. აი, ახლა იგი წყვეტდა ჯენის ბედს. მართალია, გული გახეთქვაზე ჰქონდა, საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ ჯენის გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ლესტერს სურს თუ არა, ჯენი მაინც არ ინდომებს ამოდენა მსხვერპლის გაღებას. თუ ლესტერი არ მიატოვებს, თვითონ წავა. ან რაღად უნდა დარჩეს. პასუხი მხოლოდ ერთია. მაგრამ ნუთუ ჯენისთვის ალერსიან სიტყვებს ვერ იპოვის?

– განა შენ თვითონ არ გრძნობ, რომ დადგა მოქმედების დრო? – ისევ განაგრძო ჯენიმ იმ იმედით, ეგებ, გავახსენდეთ, – დრო აღარ იცდის, ვადა ამოიწურა.

ჯენი უნებლიეთ ატრიალებდა მაგიდაზე დადებულ წიგნს, ხან აქეთ გადმოღებდა, ხან – იქით, თან გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა? ლესტერის გაბრაზება ყოველთვის აფრთხობდა ჯენის, არა, ლესტერს ახლა აღარ გაუძნელდება

წასვლა _ ახლა მისის ჯერალდი ჰყავს! მხოლოდ მან მოინდომოს, თუმცა, რატომ არ უნდა მოინდომოს. ლესტერისთვის ქონებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ჯენის.

_ შენ ამაზე ნუ წუხხარ, _ უპასუხა ჯერ კიდევ განრისხებულმა ლესტერმა, _ დრო წინა მაქვს. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. არა, მაინც რა თავხედობაა! მოკლედ, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. სადილი მზად არის?

ისე მტკივნეულად განიცადა თავმოყვარეობის შელახვა, რომ თავაზიანი ლაპარაკის უნარიც კი დაკარგა, დაავიწყდა ჯენი მთელი თავისი განცდებით. იმ წუთში საოცრად ეზიზღებოდა რობერტი, სიამოვნებით გაუხეთქავდა თავს ნაიტს, კიტლის და ო, ბრაიენს ცალ-ცალკე ან ყველას ერთად.

გაურკვეველი და გადაუწყვეტელი საკითხი, რასაკვირველია, სადილობისას კვლავ განახლდა. ჯენი ოდნავ დამშვიდდა, გონი მოიკრიბა. ვესტასა და ჟანეტის თანდასწრებით თავისუფლად ლაპარაკი არ შეეძლო. მაგრამ მაინც სცადა, _ პატარა კოტეჯს დავიქირავებ, _ წყნარად დაიწყო ქალმა, იმ იმედით, რომ ლესტერს სიბრაზე გავლილი ჰქონდა, _ აქ დარჩენა არ მინდა. ამ დიდ სახლში რა უნდა გავაკეთო?

_ ამ თემაზე ლაპარაკიც აღარ მინდა, _ უხეშად შეაწყვეტინა ლესტერმა, _ ამის ხასიათზე არა ვარ. ჯერ არაფერს ვაპირებ, არაფერი გადამიწყვეტია.

ო, ბრაიენის მოსვლით აღშფოთებული ლესტერი ჯერაც არ დამცხრალიყო და ჯენიმაც უკან დაიხია. მამინაცვლის თბილ და ალერსიან მოქცევას ჩვეული ვესტა ახლა გაოცებული შეჰყურებდა მის დაბღვერილ სახეს.

ჯენი იმასაც კი ფიქრობდა, ძალიან რომ მოვინდომო, იქნებ, კიდევაც შევინარჩუნოო. ლესტერი, მართლაც, ყოყმანობდა. მაგრამ ჯენის ასე როდი სურდა. ლესტერის მიმართ უსამართლობა, ხოლო თვითონ მისთვის უკადრისი საქციელი იქნებოდა.

ჯენიმ მეორე დღესაც იგივე გაუმეორა.

_ გარწმუნებ, ასეა საჭირო, ლესტერ. მეტად აღარ შეგაწყენ თავს, მაგრამ იცოდე, ასეა საჭირო, სხვანაირად მოქცევის უფლებას არ მოგცემ.

კამათი თითქმის ყოველდღე ახლდებოდა, ხან საწოლ ოთახში, ხან ბიბლიოთეკაში, ხანაც საუზმის დროს. ლესტერი ხშირად ჩუმად იჯდა. ჯენი კი თავის შიშს არ მალავდა. ქალს მტკიცედ სწამდა, რომ ლესტერის ამოქმედება იყო საჭირო. მერე, როცა უფრო ყურადღებიანი და ალერსიანი გახდა ჯენის მიმართ, ეს რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდა. ჯენიმ არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, ნაღვლიანად შეჰყურებდა, ცდილობდა დახმარებოდა ამ საქმის გადაწყვეტაში. თავის თავს აიძულებდა, მეც ბედნიერი ვიქნები, თუ ლესტერი ჩემთან დაცილებით ბედნიერი იქნებაო. იგი კარგი ადამიანია, ყველა ნიჭით მომადლებული, გარდა სიყვარულის ნიჭისა. ალბათ, ჯენი ისე ძლიერად არ უყვარს, როგორც ჯენის უყვარს, თან ოჯახის ასე გააფთრებულმა წინააღმდეგობამაც იმოქმედა. დიახ, ჯენიმ ახლა ესეც შეიგნო. მისთვის უკვე აშკარა იყო, რომ, მიუხედავად ლესტერის ასეთი ნათელი გონებისა, ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლა მაინც არ შეეძლო. იგი მეტად

კეთილშობილი მამაკაცია და ამ დახლართული კვანძის ერთიანად მოჭრას ვერ ახერხებს, ერიდება თავის პირად საქმეზე ასე აშკარად ზრუნვისა. მაგრამ არა, იგი ვალდებულია ასე გააკეთოს.

– გადაწყვიტე, ლესტერ, – ისევ და ისევ უმეორებდა ჯენი, – გამიშვი, რა მოხდა? რატომ გეეჭვება, მე კარგად ვიქნები. იქნებ, მერე როცა ყველაფერი მოგვარდება, მოხვიდე კიდეც. მე დაგელოდები, თუ დაბრუნებას ისურვებ...

– ვერაფერი გადავწყვიტე, – ერთთავად პასუხობდა ლესტერი, – შენთან განშორება სულაც არ მინდა. ჩემი ქონება, რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მაგრამ ფული ყველაფერი როდია. თუ საჭირო იქნა, ათი ათასსაც ვიმყოფინებ.

– ჰო, მაგრამ შენ ახლა ისეთი თვალსაჩინო ადგილი გიჭირავს საზოგადოებაში, – შეედავა ქალი, – რომ ამაზე ფიქრიც ზედმეტია. აბა, წარმოიდგინე, რამდენი გიჯდება მარტო ამ სახლის შენახვა? მილიონ-ნახევარი ქონების ხელიდან გაშვება როგორ შეიძლება, მაშინ სულაც მე წავალ, მე დაგტოვებ.

– მაინც სად მიდიხარ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს? – ჰკითხა დაინტერესებულმა ლესტერმა.

– ო, რაღაც ადგილს მოვძებნი. გახსოვს, სენდვუდი, კენოზის გზაზე რომ პატარა ქალაქია, ხშირად მიფიქრია, იქ ცხოვრება სასიამოვნო იქნება-მეთქი.

– ასეთი ფიქრი გულს მიმძიმებს, – ველარ მოითმინა ბოლოს ლესტერმა, – ეს ხომ დიდი უსამართლობა იქნება. ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ აეწყო. შევცდი, მაშინვე უნდა შემერთე ცოლად, მაშინვე უნდა გადამეწყვიტა ეს საკითხი.

ჯენი კინალამ აქვითინდა, მაგრამ თავი შეიკავა.

– სულ ერთია, მაინც შევეცდები, რომ ეს ბოლო არ აღმოჩნდეს, – ლესტერი სადღაც მაინც იმედოვნებდა, იქნებ, ყველაფერი ისე მოგვარდეს, ჯერ ფული მიიღოს და მერე... მაგრამ ეს ყალბი საქმეები მის სინდისს არ ესადაგებოდა და მთელი გულით სძაგდა.

მერე მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ თებერვლის ბოლო რიცხვებში ჯენი სენდვუდში ჩავიდოდა და საცხოვრებლად ბინას შეარჩევდა. ფულმა არ დაგაბრკოლოს, – უთხრა ლესტერმა – წაიღე, რამდენიც გენებოს. იცოდე, შენ გექნება ყველაფერი, რაც დაგჭირდება და რისი სურვილიც გექნება. მეც ხშირი სტუმარი ვიქნები. თუმცა ჯენის ამას ეუბნებოდა, მაგრამ გუნებაში მაინც ო, ბრაიენს ემუქრებოდა ასეთი მწარე წუთების მოგვრისთვის. უსათუოდ გამოიძახებს და ერთს ლაზათიანად შეახურებს. გააგებინებს, რა აზრისაც არის მასზე.

მთელი ამ ხნის მანძილზე მისი გონების სიღრმეში კვლავ ცხოვრობდა მომხიბლავი, დახვეწილი და ყველაფრით სრულყოფილი მისის ჯერალდი. ცდილობდა არ ეფიქრა, მაგრამ ქალის სახე კვლავ თვალწინ ედგა. თანდათან შეეჩვია ჯენისთან განშორების აზრს და მერე იმასაც კი ფიქრობდა: «იქნებ, ასე ჯობდეს?» თებერვლის დასაწყისში ლესტერმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

ორმოცდამეთოთხმეტე თავი

კენოზის გზაზე მდებარე პატარა ქალაქი სენდვუდი ჩიკაგოსთან სულ ახლოს იყო. სააგარაკო მატარებლით საათი და თხუთმეტი წუთის სავალი თუ იქნებოდა. მშვენიერი ტბის თვალწარმტაც სანაპიროს სამასიოდე კოტეჯი ამშვენებდა. ეტყობოდა, მოსახლეობა მდიდრულად არ ცხოვრობდა, სახლები სამი ათასიდან ხუთი ათასამდე ღირდა. მაგრამ მათი უმრავლესობა გემოვნებით იყო აგებული. ირგვლივ მარადმწვანე ხეები იდგა და იქაურობას ზაფხულის სასიამოვნო იერს აძლევდა. კარგა ხნის წინ ლესტერმა და ჯენიმ აქ ფეხმარდი ცხენებმებმული ეტლით გამოისეირნეს. ჯენის მოეწონა მწვანე ხეებში ჩაფლული თეთრი ეკლესიის სამრეკლო და ტბის პირას ნელა მოქანავე ნავეები.

– რა კარგი იქნებოდა ასეთ ადგილზე ცხოვრება, – თქვა მაშინ ჯენიმ. –

ჩემი აზრით, ცოტა მოსაწყენი ადგილია, – უპასუხა ლესტერმა.

– იქნებ, ოდესღაც მოვისურვო, მაგრამ ახლა არა, აქ მეტისმეტი სიმშვიდეა.

ჯენის მეხსიერებაში ჩარჩა ეს სიტყვები და ცხოვრების მძიმე წუთებში

ყოველთვის ახსენდებოდა ხოლმე. თუ ოდესმე მარტო დარჩებოდა და ფულიც ექნებოდა, უთუოდ აქ იცხოვრებდა: ბაღი, ქათმები, შოშიების საბუდრიანი მაღალი ლატანი, ირგვლივ ხასხასა მოლი, ყვავილები, ხეები, პატარა კოტეჯი – ტბის ხედით. ზაფხულის დღეებში იქ ჯდომა და კერვა... ვესტა სკოლიდან დაბრუნდება, იქვე ითამაშებს, გაიჩენს ახალ ნაცნობებს. ჯენის ეჩვენებოდა, რომ ცუდად არ მოეწყობოდა, თუმცა ვესტას მომავალი მუდამ აშინებდა. გოგონამ კითხვა შეიყვარა, გადაიკითხა ვაშინგტონ ირვინგის «ნარკვევების წიგნი», ლემბის «ელია», ჰოტორნის «ორჯერ ნაამბობი ისტორია». ვესტა ახარებდა მუსიკაში მოპოვებული წარმატებით, გოგონა არაჩვეულებრივად მუსიკალური იყო, ჰქონდა რიტმის თანდაყოლილი ალღო. განსაკუთრებით, სევდიანი, ამაღელვებელი პიესები და სიმღერები უყვარდა. ვესტა კარგად უკრავდა და მღეროდა. თოთხმეტი წლის გოგონას ხმა ჯერ საბოლოოდ დაყენებული არ ჰქონდა, მაგრამ მისი მოსმენა სასიამოვნო გახლდათ. მასში საოცრად შერწყმული იყო დედისა და მამის თვისებები: მშვიდი აზროვნება, დაფიქრება, მამის ენერჯია და გონების სიფხიზლე. გოგონა მეტად საზრიანად ესაუბრებოდა ბუნებაზე, წიგნებზე, ჩასაცმელზე, სიყვარულზე. ჯენი აკვირდებოდა ბავშვის მომწიფებას, მისი ინტერესების ზრდას და მის მომავალს ჭკრეტდა. გოგონას ახალი საგნები მოემატა და ჯენიც ადევნებდა თვალს თანამედროვე სკოლის ცხოვრებას, მის ნაირგვარ პროგრამას. ეტყობოდა, ჭკვიანი და საქმიანი ქალი დადგებოდა, იქნებ, ძალიან გაბედული არა, მაგრამ დამოუკიდებელი. დედა იმედოვნებდა, რომ ვესტა თავისას გაიტანდა და მის მომავალზე დიდ იმედებს ამყარებდა.

სენდვუდში ჯენის მიერ არჩეულ ერთსართულიან კოტეჯს მეზონინი და ღია აივანი ამშვენებდა. წითელი აგურის ბოძები მწვანე ხის რიკულებს უერთდებოდა. ხუთივე ოთახის ფანჯრები ტბაზე გამოდიოდა. სასადილო ოთახს შუშის კარი ჰქონდა, ბიბლიოთეკის დიდი თაროები ბევრ წიგნს დაიტევდა, კუთხის სამფანჯრიან სასტუმრო ოთახს მთელი დღე მზე ადგა. სახლის გვერდით ლამაზი ხეები აშოლტილიყო. სახლის ადრინდელ მფლობელს ყვავილნარი, ბუჩქები და დეკორატიული მცენარეულობა გაეშენებინა. სახლი თეთრი იყო, მწვანე დარაბებითა და ასევე მწვანე სოლყავრის სახურავით.

ლესტერმა ჰაიდ-პარკის სახლის შენარჩუნება შესთავაზა, მაგრამ ჯენიმ არ ინდომა. იმის გაფიქრებაც კი, რომ აქ ულესტეროდ უნდა ეცხოვრა, ჟრუანტელს ჰგვრიდა, მერედა რამდენი მოგონება აკავშირებდა ამ სახლთან. ის კი არა, არაფრის წაღებას არ აპირებდა, მაგრამ მერე ლესტერის რჩევას დაჰყვა – აირჩია საჭირო ავეჯი, ფარდები, სასადილოს ვერცხლეული.

– რა ვიცი, რა დაგჭირდება და გამოგადგება, – ეუბნებოდა ლესტერი, – ყველაფერი წაიღე, მე არაფერი მინდა.

კოტეჯი ორი წლით იქირავეს, ვადის გაგრძელების ან სულაც შესყიდვის უფლებით. ჯენისთან განშორების პასუხად, ლესტერი მეტისმეტ გულუხვობას იჩენდა, იმის გაფიქრებასაც ვერ ურიგდებოდა, რომ ჯენის ოდესმე გაუჭირდებოდა, თან იმაზე წუხდა, როგორ აეხსნა ვესტასთვის ეს განშორება. ლესტერს უყვარდა ბავშვი და მძიმე განცდებისთვის არ ემეტებოდა.

– იქნებ, ვესტა გაზაფხულამდე რომელიმე დახურულ სკოლაში მოგვეწყო? – უთხრა ერთხელ ჯენის.

მაგრამ შუა სასწავლო წელი იყო და ამ აზრის განხორციელება ვერ მოხერხდა. ბოლოს გადაწყვიტეს, ვესტასთვის ეთქვათ, თითქოს ლესტერი საქმეების გამო დიდი ხნით ჩიკაგოდან მიემგზავრებოდა და დედა-შვილისთვის უმჯობესი იქნებოდა პატარა ქალაქში ეცხოვრათ. ოდესმე, რა თქმა უნდა, ჯენი აუხსნიდა, რომ ლესტერისგან წამოვიდა და მიზეზსაც მოიგონებდა. მაგრამ ახლა გული სიმწრით ეწურებოდა. ქალი გრძნობდა, რომ ლესტერის გადაწყვეტილება გონივრული იყო, მაგრამ იმასაც ხედავდა, რა გულქვაობა იმალებოდა ამის იქით. ჰო, იქნებ, ჯენი უყვარს, მაგრამ არცთუ ისე ძლიერ.

მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში, რომელსაც ასეთი ცხოველი ინტერესით ვადევნებთ თვალს, ყველაზე მძიმე და დამთრგუნველი ის წუთებია, როდესაც ერთგულება მსხვერპლად ეწირება გარეშე ვითარებას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ამ გრძნობის სილამაზე და ძალა. ლესტერი და ჯენი განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ განშორების ბოლო დღეებს. იშლებოდა მათი ერთად ცხოვრება, ტოვებდნენ სახლს, სადაც ყველაფერი ასე სიყვარულით იყო მოწყობილი, სადაც ამდენი ბედნიერი დღე გაუტარებიათ. ჯენის გული ეფლითებოდა, იგი ხომ ისეთი ბუნების ქალი იყო, ვისთვისაც მთავარი მხოლოდ ის იყო, რომ ყვარებოდათ და თვითონაც ვინმესთვის

საჭირო ყოფილიყო. ცხოვრების დიდ ცვლილებებს არ დაგიდევდათ. მთელი მისი ცხოვრება უხილავი ძაფებით აერთიანებდა ახლობლების სიყვარულს, შთაბეჭდილებებს, მოგონებებს მტკიცედ და ჰარმონიულად კრავდა. ერთ-ერთი ასეთი გამაერთიანებელი ძაფი ჰაიდ-პარკის სახლი გახლდათ, მისი სიყვარულითა და ოჯახის ყოველი წევრისადმი სათუთი ზრუნვით გამთბარი სახლი. ახლა ყველაფერი დამთავრდა.

ჯენი რომ მდიდარი ქალი ყოფილიყო, წინათაც ასეთი სიმდიდრე ჰქონოდა, იქნებ, ასე აღარ გაჭირვებოდა სახლთან გამოთხოვება. თუმცა თავისი გრძნობები ჯენის მატერიალური მოსაზრებით არასოდეს გაუზომავს. სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარულში ანგარების ნატამალიც არ ერია. ჰოდა, აი ახლა დადიოდა და ოთახებში – სად ფარდაგს აიღებდა, სად სურათს ჩამოხსნიდა, სად კიდეც მაგიდასა თუ დივანს და სავარძლებს. ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ასეთი დღე დაუდგა, აბა, როგორი წარმოსადგენია, შინ სადამოობით ლესტერი აღარ დაბრუნდება. ჯენის აღარ დასჭირდება დილით ადრე ადგომა იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მოუდულეს ყავა და როგორ გაუწყვეს ლესტერს სუფრა სასადილოში. განა ყოველდღე ლესტერის გულისთვის არ დგამდა მაგიდაზე ყვავილების დიდ თაიგულიან ლარნაკს, ყველაზე უკეთეს ყვავილებს, რაც კი ზამთრის ბაღში მოიძებნებოდა. ახლა ეს თაიგულები აღარ იქნება საჭირო, ლესტერი მას ვეღარ შეხედავს. როცა შეჩვეული ხარ სადამოობით ეტლის თვლების ხმაურის მოახლოებას, ან სულაც ღამით თერთმეტ ან პირველ საათზე მსუბუქად და ლაღად რომ გამოგაღვიძებს კიბეებზე ნაბიჯების ხმა, – ყოველივე ამის ერთი დარტყმით მოსპობა ენით გამოუთქმელი ტანჯვაა. თავიდან არ გამოსდიოდა აზრი, რომ თითოეული დღე, თითოეული საათი განშორებას აახლოებდა.

ლესტერიც თავისებურად იტანჯებოდა. მას აწვალებდა არა უარყოფილი და გათელილი სიყვარული, არამედ იმის მტკივნეული შეგნება, რომ თვითონ იყო დამნაშავე, რომ ანგარებას აყოლილმა ხელი ჰკრა სიკეთეს, ერთგულებას, მის წინ უკვე ფართო პერსპექტივები იშლებოდა, რადგან ჯენისთან აღარ იყო დაკავშირებული. ჰოდა, ახლა ხელგაშლით უზრუნველყოფს ჯენის და მერე, სრულიად თავისუფალი, თავისი გზით წავა. ჩაებმება იმ მრავალნაირ საქმიანობაში, რასაც, საერთოდ, სიმდიდრე აკისრებს ხოლმე ადამიანს. და მაინც იგი გამუდმებით ფიქრობდა, რაოდენ ბევრი რამ გააკეთა ჯენიმ მისთვის, როგორ ცდილობდა, რათა ლესტერისთვის მოხერხებული, სასიამოვნო და ლამაზი ცხოვრება შეექმნა. ლესტერმა კარგად იცოდა ყველა მისი ღირსება და დიდადაც აფასებდა. ახლა იძულებული იყო ჯენის კიდეც ერთი ახალი ფასდაუდებელი ღირსება ეღიარებინა. ჯენი უხმოდ იტანჯებოდა. თვით ბოლო დღეებშიც თავი ისე ეჭირა, როგორც ყოველთვის, ისტერიკებს არ მართავდა, როგორც ამას, ალბათ, სხვა ქალები ჩაიდენდნენ. არც იმას ცდილობდა, თავი უფრო მშვიდად მოეჩვენებინა, ვიდრე სინამდვილეში იყო, ანდა პირიქით, მხიარული სახე მიეღო, რომ უფრო მძაფრად გამოემჟღავნებინა თავისი განცდები. კვლავინდებურად მშვიდი, რბილი და ყურადღებიანი იყო,

ძველებურად აინტერესებდა ლესტერის გეგმები და საქმეები, თუმცა, არც ზედმეტი შეკითხვებით აბეზრებდა თავს. ლესტერი გაოცებული იყო მისი კეთილშობილებით, ჯენი ჭეშმარიტ აღტაცებას ჰგვრიდა. ხალხმა, რაც უნდა ილაპარაკოს, ჯენი ნამდვილად ბრწყინვალე ქალია. დასანანია და სამარცხვინო, რომ მისი ცხოვრება ასე უბედურად წავიდა. მიუხედავად ყველაფრისა, ლესტერს მაინც სხვა, უფრო ფართო სამყაროს ძახილი ესმოდა, იმ სამყაროსი, ერთხელ რომ თავისი ბასრი კბილები უჩვენა. ჰოდა, ახლა ერწმუნოს ამ ხმას?

დადგა ჟამი იქაურობასთან გამოთხოვებისა. მეზობლებს უთხრეს საზღვარგარეთ მივდივართო. ლესტერმა კიდევ ნომერი დაიქირავა «აუდიტორიუმში». ზედმეტი ბარგი შესანახად მიაბარეს. ჯენი ლესტერთან ერთად რამდენჯერმე იყო სენდვუდში. ლესტერმა გულდასმით დაათვალიერა ქალაქი, მაგრამ აზრი არ შეუცვლია: «იქაურობა მეტად ლამაზია, მაგრამ მოსაწყენიო». გაზაფხული ახლოვდებოდა, ჯენი ყვავილების ტრფიალი გახლდათ და მეზაღის დაქირავებას აპირებდა.

– კეთილი, – მაშინვე დაეთანხმა ლესტერი. – მე სწორედ ის მინდა, რომ არაფერი გაკლდეს.

ლესტერი კი, თავის მხრივ, ენერგიულად აგვარებდა თავის საქმეებს. მისტერ უიტსონის მეშვეობით «ნაიტ, კიტლი და ო, ბრაიენს» აცნობა, ამა და ამ რიცხვისთვის მამაჩემის აქციების კუთვნილი წილი გადმომეცითო. გადაწყვეტილი ჰქონდა, რაკი ჯენისთან დაშორება აიძულეს, სხვა უგულო ნაბიჯებიც გადაედგა. უთუოდ მისის ჯერალდზე იქორწინებს. შევა «ეტლების ტრესტის» მმართველობაში. ახლა, როცა ამდენი თანხა ექნება, ამაში ხელს ვერავინ შეუშლის. მერე, თუ მისის ჯერალდის ფულიც მის განკარგულებაში გადმოვა ცინცინატის «ტრაქტორის კომპანიასაც» ხელში ჩაიგდება, რომელზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებს მისი ძმა, შეიერთებს «დასავლეთის ფოლადის წარმოებასაც», რომლის მთავარი კონსულტანტი თვითონ რობერტია. დიახ, მას უკვე ისეთი მდგომარეობა კი არ ექნება, როგორც აქამდე ჰქონდა.

ჯავრისა და მარტოობისაგან შეწუხებული ჯენი ადგილს ვეღარ პოულობდა. ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის ეს სახლი. როდესაც აქ გადმოვიდნენ და მეზობლებიც ესტუმრნენ, ასე ეგონა, ახალი ცხოვრება დაეწყო, რომ ლესტერი ცოლად შეირთავდა. მერე დარტყმა დარტყმაზე იგემა. ახლა კი ყველა ოცნება გაქრა, აღარა აქვს სახლი, მამა მოუკვდა, დაითხოვა ჟანეტი და სხვა მსახურნი, ავეჯი საწყობში შეინახეს და, რაც მთავარია, ლესტერი წავიდა მისი ცხოვრებიდან.

ჯენი მშვენივრად გრძნობდა, რომ იგი აღარ დაბრუნდებოდა, რაკი ახლა შეძლო წასვლა. მართალია, ყოყმანითა და ტკივილით, მაგრამ მაინც წავიდა. რას უნდა მოელოდეს იმ მომავალი დროიდან, როდესაც მისგან მოშორებით და სრულიად თავისუფალი იქნება? თავის საქმეებში გართულს, ჯენი სადღა გაახსენდება? ჰოდა, მართალიც იქნება. ჯენი ვერ გამოადგა ლესტერს ცოლად.

თვითონაც რამდენჯერ დარწმუნდა ამაში, მარტო სიყვარული არა კმარა, ეს ყველამ იცის. საჭიროა აღზრდა, სიმდიდრე, შენი მიზნის მიღწევის უნარი, ხრიკების მოწყობა. ჯენის კი არ უნდა ეს ყველაფერი, უფრო სწორად, არ შეუძლია.

დიდი სახლი დაკეტეს, ძველი ცხოვრება უკან დარჩა. ლესტერმა ჯენი სენდვუდში ჩაიყვანა და ცოტა ხანს შეიცადა კიდეც. ცდილობდა, ჩაეგონებინა ქალისთვის, რომ მშვენიერი სახლია და ადვილადაც შეეჩვევა აქაურობას. ჰპირდებოდა ხშირ-ხშირად გინახულეო. დადგა განშორების დღე და მისმა სიტყვებმა აზრი დაკარგეს. ჯენიმ აკოცა გამომშვიდობებისას, უსურვა ბედნიერება, წარმატება, სულიერი სიმშვიდე და საწოლ ოთახში გავიდა. ფანჯრიდან თვალი მოჰკრა აგურის ფხვნილმოყრილ ბილიკზე როგორ მიაბიჯებდა ელეგანტური, ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, მკლავზე პალტოგადაკიდებული ლესტერი, საკუთარ თავში დაჯერებული, კმაყოფილი კაცი. ჯენის ეგონა, საცაა მოვკვდებიო. როცა ცოტა ხნის შემდეგ ვესტამ შემოიხედა, თვალები მშრალი ჰქონდა. დარჩა მღრღნელი, მწველი სევდა. ასე დაიწყო ვესტასთან ერთად მისი ახალი ცხოვრება – ულესტეროდ, უძამოდ.

«მაინც რა საოცარი ბედის ქალი ვარ, – ფიქრობდა დასევდიანებული ჯენი. – არა, საოჯახო საქმის ნაწილი თვითონვე უნდა გავაკეთო, – მტკიცედ გადაწყვიტა ქალმა, – საქმეს გული უნდა გადავავოლო, ვესტას რა ვუყო, თორემ მუშაობას დავიწყებდი, ასე საკუთარ თავში ჩაკეტვამ შეიძლება გამაგიჟოს».

ორმოცდამეთხუთმეტე თავი

ბოლო ორი წლის მანძილზე ჩიკაგოს, ცინცინატის და კლივლენდის საქმიანი წრეები მოწმენი გახდნენ ლესტერ კეინის ერთგვარი აღორძინებისა. ჯენისთან ცხოვრებისას იგი ჩამოშორდა თავის ძველ საზოგადოებას და საქმიან წამოწყებებს. თავი განცალკევებით ეჭირა, თითქოს ინტერესიც დაეკარგაო.

ახლა კი, როცა ჯენის დასცილდა, კვლავ გამოჩნდა არენაზე და თავისი უზარმაზარი ქონების წყალობით ყველა საქმეში ერეოდა, როგორც თავის ძალაში დარწმუნებული ადამიანი. სულ მალე კომერციულ და ფინანსურ სფეროში ავტორიტეტადაც იქნა აღიარებული. კაცმა რომ თქვას, ცოტა ასაკიც დაეტყო, მთლად ის ძველი ლესტერი აღარ იყო. ვიდრე ჯენის შეხვდებოდა, იგი თავის თავში დარწმუნებულ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა. ეს იყო კაცი, ვინაც არ იცოდა, რა არის მარცხი. ფუფუნებაში გაზრდილი, ცხოვრებას მხოლოდ კარგი მხრიდან ხედავდა. როდესაც საქმე გაქვს მსხვილ საწარმოებთან, იმისთვის კი არა, რომ ის შენ შექმენი, არამედ იმიტომ, რომ შენ თვითონ ხარ მისი ნაწილი, მისი ღვიძლი, რომ დაბადებითვე მათგან განუყრელი ხარ, როგორც ჰაერთან, რითაც სუნთქავ, – ასეთ პირობებში ბუნებრივია შეგექმნება იმ უძლეველობის ილუზია, რომელსაც ყველაზე

ნათელი გონების დაბნელებაც კი შეუძლია. ძნელია წარმოიდგინო ის, რაც ჩვენ არ გვინახავს, იგრძნო ის, რაც თვითონ არ გამოგიცდია, მსგავსად სამყაროსი, რომელიც მარადიული და უცვლელი გვეჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით მის შემქმნელ ძალაზე. ლესტერსაც სამყარო მუდმივი და უცვლელი ეგონა, მაგრამ, როდესაც საავდრო ღრუბლები შეჯგუფდა და ქარიშხალი ამოვარდა, როდესაც მძაფრად დაუპირისპირდა საზოგადოებრივი პირობითობა და აშკარა ბრძოლა გაუმართა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ცდებოდა. რომ მისი პირადი სურვილები და შეხედულებები არარაობაა საზოგადოების შეხედულებებთან შედარებით. მისი აზრით, ჟამთასვლის სული, ანუ, როგორც გერმანელები ამბობენ « Zeirgeist », დგას რაღაც სისტემის სადარაჯოზე, რომ საზოგადოება ჩამოყალიბებულია ჩვენთვის გამოუცნობი, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი ნიმუშის მიხედვით, მართო მას არ შეეძლო გამკლავებოდა ამ საზოგადოებას, წინ აღდგომოდა მის სურვილებს. მისი თანამედროვენი ამდაგვარ საზოგადოებრივ წყობილებას აუცილებლობად თვლიდნენ, ლესტერი დარწმუნდა, რომ საზოგადოების კანონების დამრღვევს გარიყვა ელოდა. აკი ყველამ ზურგი შეაქცია – მამამ, დედამ, დებმა, ნაცნობებმა, მეგობრებმა, ღმერთო მაღალო! რა ქარიშხალი დაატრიალა მისმა საქციელმა! გეგონება, თვითონ ბედმა დასაჯაო, რა გაუგონარი მარცხით დაუსრულდა უძრავი ქონების ოპერაცია. რატომ? ნუთუ ღმერთები საზოგადოების კანონების სადარაჯოზე დგანან, იმ საზოგადოებისა, რომელსაც მან ხელი ჰკრა? ალბათ, ასეა. ასე იყო, თუ ისე, იგი აიძულეს ფარ-ხმალი დაეყარა! ახლა ისევ ძველ სამყაროშია, ენერგიითა და სიმტკიცით სავსე, მართალია, ყველა იმ განცდის შედეგად ცოტა შელახული, მაგრამ მაინც გავ-ლენიანი და ძლიერი პიროვნება.

ბრძოლაში დამარცხებით გამოწვეულ დათმობას უკვალოდ არ ჩაუვლია – ლესტერმა სიმტკიცე შეიძინა. გრძნობდა, რომ ხელი ჰკრეს სასტიკი და სამარცხვინო საქციელის ჩასადენად და აკი ჩაიდინა კიდეც. ჯენი უკეთესი ხვედრის ღირსი გახლდათ. უსინდისობა იყო მისი მიტოვება, ქალისა, რომელმაც ამდენი რამ გაუკეთა. რა სათქმელია, ჯენიმ კეთილშობილებით აჯობა, არ შეიძლება თავის მართლება გამოუვალი მდგომარეობის შექმნით. ათი ათასითაც შეეძლო ეცხოვრა, იმ მილიონნახევრის უქონლადაც გაძლებდა, არც მაღალი საზოგადოების გარეშე მოკვდებოდა, რომელსაც, როგორც ჩანს, არ დაუკარგავს მიმზიდველი ძალა მის თვალში, შეეძლო, მაგრამ არ ინდომა, თან თავისი დანაშაული სხვა ქალზე ფიქრით გააძლიერა.

რით იყო ის ქალი ჯენიზე უკეთესი? აი, კითხვა, რომელსაც გამუდმებით უსვამდა ლესტერი საკუთარ თავს. ვითომ კეთილია? განა ეგ არ იყო, აშკარად რომ ცდილობდა წაერთმია ლესტერი ქალისთვის, ვინც მის ცოლად ითვლებოდა. განა ეს სანაქებო საქციელია? განა ჭეშმარიტად დიდსულოვანი ქალი ასე მოიქცეოდა? ვითომ მისთვის კი კარგი იქნება? იქნებ, სულაც არ არის ცოლად შერთვა საჭირო, ის ხომ იურიდიულად და მორალურად ჯერ კიდევ ჯენისთან არის დაკავშირებული? ან თუნდაც თვითონ რა ქმარი იქნება? ეს

ფიქრები მოსვენებას უკარგავდა. ვერ გაქცეოდა აზრს, რომ უგულო და უმადური ნაბიჯის გადადგმას აპირებდა.

ჯერ იყო და ანგარების წყალობით მცდარი ნაბიჯი გადადგა, ახლა კი მორალურსაც ზედ უმატებდა. მეორე შეცდომით პირველის გამოსწორებას ცდილობდა. მაგრამ მიიღებს კი მატერიალურსა და ზნეობრივ კმაყოფილებას? ახალი ცხოვრების დღენიადაგ მოწესრიგებისას ამაზე ფიქრობდა, ლელავდა, ვერ ისვენებდა. ზოგჯერ შურისძიების გრძნობაც უჩნდებოდა. ხანდახან იმასაც კი ფიქრობდა, რომ თუ ლეტის შეირთავდა, მარტო იმისთვის, რომ მისი ფულით მტრებს გასწორებოდა. თუმცა ამის გაფიქრებისას საკუთარი თავი ეზიზღებოდა. ცხოვრობდა სასტუმრო «აუდიტორიუმში», ცინცინატში სამმართველოს სხდომებს ესწრებოდა, სადაც თავი ამაყად და გამომწვევად ეჭირა. ტანჯავდა შინაგანი გაორება და რაღაც განურჩეველი გულგრილობა, მაგრამ ჯენის მაინც არ ხვდებოდა.

რა თქმა უნდა, მისის ჯერალდი ცხოველი ინტერეთით გამოეხმაურა ლესტერის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას. ქალს მორიდებულად ეჭირა თავი, ცოტა ხნის შემდეგ წერილი ჰაიდ-პარკში მისწერა, ვითომ მისი ახალი ადგილსამყოფელი არ იცოდა. სად იმალებიო, ეკითხებოდა. ლესტერი უკვე ნელ-ნელა ეჩვეოდა თავის ახლანდელ მდგომარეობას. ფიქრობდა, რომ გაგება და თანაგრძნობა ესაჭიროებოდა, რასაკვირველია, იგულისხმებოდა ქალის ყურადღება. როგორც კი გაიგეს, მარტოა და ფინანსურად უზრუნველყოფილიო, ნაცნობებმა მაშინვე აღადგინეს ურთიერთობა. რამდენიმე ოჯახში ქალაქგარეთ სტუმრადაც იყო თავისი იაპონელი მსახურის თანხლებით – რაც იმის საუკეთესო მაჩვენებელი იყო, რომ ლესტერი კვლავ უცოლო გახლდათ. მის წარსულზე კრინტს არავინ ძრავდა.

როგორც კი მისის ჯერალდის წერილი მიიღო, ლესტერმა მისი ნახვა გადაწყვიტა, ლეტის წინაშე მართლაც დამნაშავეა, ჯენისთან განშორების ბოლო თვეებში ერთხელაც არ მოუხანხულებია. არც ახლა ჩქარობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლეტიმ დაურეკა და სადილზე მიიწვია. ლესტერმა მიწვევა მიიღო და სადილად ეახლა.

მისის ჯერალდი შეუდარებლად მომხიბლავი გახლდათ სტუმართმოყვარე დიასახლისის როლში. სტუმართა შორის იყო პიანისტი ალბონი, მოქანდაკე ადამ რასკევიჩი, ინგლისელი მეცნიერი სერ ნელსონ კიზი. ლესტერი გააკვირვა მისტერ და მისის დოჯების სტუმრობამ, ამ ცოლ-ქმარს აგერ უკვე რამდენი წელია არსად შეხვედრია. ლესტერი და დიასახლისი მხიარულად მიესალმნენ ერთმანეთს, როგორც ეს ურთიერთგამგებ ადამიანებს სჩვევიათ, როცა ერთად დროის გატარება უხარიათ.

– არა გრცხვენიათ, სერ? – მიაძახა ქალმა, როგორც კი ლესტერი გამოჩნდა. – განა ძველი მეგობრების დავიწყება შეიძლება? თქვენ ამისთვის დაისჯებით.

– ფრიად მოუცლელი გახლდით, – ღიმილით მიუგო ლესტერმა. – ისე მაინც რა სასჯელი მელის? იმედი მაქვს, საკმარისი იქნება ოთხმოცდაათი როზგი.

– ოთხმოცდაათი როზგი – არა, მგონი, იოლად გსურთ გადარჩეთ. დაგავიწყდათ, როგორ სჯიან დამნაშავეებს სიამში?

– მგონი, ადუღებულ ზეთში ყრიან, არა?

– მაგას კიდევ რა უშავს. მე თქვენთვის უფრო საშინელი სასჯელის გამოგონებას ვაპირებ.

– ჰოდა, აი, როცა მოიფიქრებთ, მაცნობეთ, – გაიცინა ლესტერმა, მაგრამ მისის დე ლინკუიმ, რომელიც დიასახლისის სტუმრების მიღებაში ეხმარებოდა, ლესტერი განზე გაიხმო, რათა იგი სახელოვანი უცხოელი სტუმრებისთვის წარედგინა.

გაიმართა გაცხოველებული საუბარი. ლესტერს უყვარდა ასეთი საუბრები და ახლაც გამხნეებული აჰყვა მოსაუბრეთ. მობრუნებისას უეცრად ბერი დოჯი დაინახა და მიესალმა.

დოჯი ერთიანად გაიბადრა და თავაზიანად ჰკითხა:

– მაინც სად დაგვეკარგე? რამდენი წელიწადია ერთმანეთი აღარ გვინახავს. მივიდეთ მისის დოჯთან, შენთან ლაპარაკი სურს.

– ჰო, კარგა ხანია, აღარ შევხვედრივართ, – «აუდიტორიუმში» ვცხოვრობ. – უდარდელი ხმით უპასუხა ლესტერმა და მაშინვე მათი უკანასკნელი შეხვედრა მოაგონდა, ასე რომ არ ჰგავდა დღევანდელ თავაზიანობას.

– სწორედ ამ დღეებში გიკითხე. ჯექსონ ბიუდლუს ხომ იცნობ? რა თქმა უნდა, იცნობ. ჰოდა, აი მე და იმან კანადაში სანადიროდ წასვლა გადავწყვიტეთ. მოდი, შენც წამოდი, მხარი დაგვიმშვენე.

– ახლა არ შემიძლია, – მიუგო ლესტერმა. – ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, სხვა დროს, სიამოვნებით.

დოჯი გვერდიდან არ შორდებოდა. სულ ახლახან წაიკითხა, რომ ლესტერი კიდევ ერთი კომპანიის მმართველობაში შეიყვანეს, ეტყობოდა, საქმეები წაღმა მოუტრიალდა. სწორედ ამ დროს გამოაცხადეს, სუფრა გაწყობილიაო. ლესტერი დიასახლისის მარჯვნივ აღმოჩნდა.

– თუ ოფიციალურად არ მოგიწვიეთ, ისე ჩემთან მოსვლას არ აპირებთ? – ჩუმად ჰკითხა ქალმა როცა სუფრა ახმაურდა და საუბარი გაცხოველდა.

– როგორ არა. თანაც სულ მალე. დიდი ხანია თქვენთან მოსვლას ვაპირებდი. იცით, ახლა ჩემი საქმეები ცოტა სხვაგვარად შეტრიალდა.

– ვიცი, გავიგე, ამიტომაც მინდოდა მოსულიყავით, გვესაუბრა.

ათი დღის შემდეგ ლესტერმა ლეტი მონახულა. რამდენიმე წელი ჯენისთან ყოფნის შემდეგ სასტუმროში ცხოვრება აუტანელი ეჩვენებოდა. სურდა, ვინმესთვის გული გადაეშალა. ჰოდა, უკეთეს თანამგრძნობს, აბა, ვის იპოვიდა. ლეტი კი სულ ამ დღის დადგომაზე ოცნებობდა. ეუხერხულებოდა, თორემ ხელსაც მოხვევდა და, როგორც ბავშვს, ისე მოეფერებოდა.

– აბა, რა ახსნა-განმარტებას ითხოვთ ჩემგან? – წარმოთქვა ლესტერმა, როცა ჩვეული ხუმრობით ერთმანეთს შეესიტყვნენ.

– უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოჭერთ? – ჰკითხა ქალმა.

– ოჰ, არ ვიცი, – მიუგო დაფიქრებულმა ლესტერმა, – საერთოდ ვერც ვიტყვი, ეს ყველაფერი მახარებს-მეთქი.

– მეც ეგრე ვფიქრობდი, – ამოიოხრა მისის ჯერალდმა. – მე ხომ გიცნობთ, წარმომიდგენია, რა განცდები გტანჯავდათ. მე თქვენს ყოველ ნაბიჯს თვალს ვადევნებდი. ასეთი რამ ძნელი მისაღწევია, მაგრამ ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ასე სჯობს. ის ამბები სათქვენო არ იყო, სულ ერთია, ბოლომდე მაინც ვერ აიტანდით. ლოკოკინასავით ნიჟარაში ხომ ვერ მოემწყვდებოდით? ჩემი არ იყოს, თქვენ ასეთად არ გაჩენილხართ. **“ür° წ^{3/4}წჷµ ტ°ტჷ±^{3/4} ^{3/4}ბ, :ტც ც°ბზ-რც, ს°ჩ°ს ს-ჩანსწტ-^{3/4}**, თუ ამ ნაბიჯს არ გადადგამდით, მერე კიდევ მეტს ინანებდით. ისე ცხოვრების გაგრძელებას არავითარი აზრი არა ჰქონდა. არ მეთანხმებით?

– არ ვიცი, ლეტი. მე დიდი ხანია თქვენთან მოსვლა მინდოდა, მაგრამ ვიცოდი რომ უფლება არ მქონდა. გარეგნულად ბრძოლა დამთავრდა, ხომ ხვდებით რასაც ვგულისხმობ.

– მესმის, – ალერსიანად მიუგო ქალმა.

– სულიერი, შინაგანი ბრძოლა კი გრძელდება, ჯერ ყველაფერში ვერ გავრკვეულვარ. ვერ დამიდგენია, რამდენად ვარ დამოკიდებული ფინანსურ მდგომარეობაზე. გულახდილად გეტყვით, ისიც აღარ ვიცი, ჯენი მიყვარს თუ არა, მაგრამ მეცოდება და ეს ცოტა როდია.

– ჯენი, რა თქმა უნდა, კარგად არის უზრუნველყოფილი, – თითქოს კი არ შეეკითხა, შენიშნაო, ისეთი სახით თქვა ლეტიმ.

– რასაკვირველია, მაგრამ ჯენი სხვაგვარი წყობის ქალია. ბევრი არა უნდა რა. თავისი ბუნებით შინ ყოფნის მოტრფიალეა და გარეგან ბრწყინვალეობას დიდად არ დაგიდევს. ჩიკაგოს ჩრდილოეთით, სენდვუდში, იქვე ტბასთან კოტეჯი დავუქირავე. ფულიც საკმაოდ აქვს, სადაც ისურვებს, იქ იცხოვრებს.

– მე ვგრძნობ, რა დღეშია ახლა ჯენი, თქვენი მდგომარეობაც კარგად მესმის, უთუოდ საშინელი განცდები ექნება, – ჩვენ ყველა ვიტანჯებით, როცა იმას ვკარგავთ, რაც გვიყვარს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველა ტკივილი ნელდება და ადამიანები ცხოვრებას განაგრძობენ. ისიც ასე იქნება. ჯერ ძალიან გაუძნელდება, მერე დამშვიდდება და აღარც წყენას ჩაიხვევს გულში.

– ჯენი მე არ მისაყვედურებს, არ დამადანაშაულებს, ეს კარგად ვიცი, – შეეპასუხა ქალს ლესტერი, – მე თვითონ ვსაყვედურობ საკუთარ თავს და, ალბათ, კარგა ხანსაც ვუსაყვედურებ. ახლა, მაგალითად, ნამდვილად ვერ გეტყვით, ასეთ წუხილს შეჩვევა-შეთვისების ძალა მგვრის თუ რაიმე უფრო ღრმა გრძნობა. ხანდახან მგონია, რომ ამქვეყნად ყველაზე ჩლუნგი ვარ. ფიქრებმა წამლეკა.

– საწყალი ლესტერი! – კარგად მესმის თქვენი. ალბათ, როგორი მოწყენილი ხართ სასტუმროში, არა?

– ნამდვილად, ძალიან მოწყენილი ვარ, – დაუდასტურა ლესტერმა.

– ხომ შეგიძლიათ, თუნდაც რამდენიმე დღით უესტ-ბადენში წახვიდეთ? მეც იქ მივდივარ.

– როდის მიდიხართ?

– მომავალ სამშაბათს.

– მოითმინეთ, – უთხრა ლესტერმა და ბლოკნოტი გადაშალა, – დიახ, ხუთშაბათს შემიძლია რამდენიმე დღით ჩამოვიდე.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ხალხში უნდა გაერთოთ, გული გადააყოლოთ. ვისეირნებთ, ვისაუბრებთ, ესე იგი ჩამოხვალთ?

– ჩამოვალ.

ღია სოსანისფერი კაბის გრძელი კუდის რხევით მისის ჯერალდი ლესტერს მიუახლოვდა.

– ამდენი ფიქრი არ შეიძლება, სერ, აბა რა საჭიროა ასეთი ჩაღრმავება? თუმცა თქვენ ყოველთვის ასეთი იყავით.

– რა გაეწყობა, ამგვარი ბუნების კაცი ვარ, ფიქრებს თავს ვერ ვაღწევ.

– ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, – თქვა ქალმა და ლესტერის ყურს ნაზად შეეხო, – თქვენ გრძნობები მეტად აღარ შეგაცდენთ. მე არ მოგცემთ ამის უფლებას. თქვენ თავისუფლება გჭირდებათ, რათა კარგად მოიფიქროთ, როგორ მოიქცეთ და რა უნდა ქნათ. სხვაგვარად არ შეიძლება. მე კი, ჩემდა თავად, მინდა გთხოვოთ, ჩემი საქმეების გამგებლობა იკისროთ. თქვენ უფრო კარგ რჩევას მომცემთ, ვიდრე ჩემი ვექილი.

ლესტერი წამოდგა, ფანჯრისკენ წავიდა და ქალს

შეუბღვირა. – თქვენ რაც გინდათ, მე კარგად ვიცი.

– რატომაც არა, – წარმოთქვა ლეტიმ და კვლავ მიუახლოვდა. მის გამოხედვაში ვედრებაც იგრძნობოდა და გამოწვევაც, – რატომაც არა?

– ლეტი, თქვენ თვითონ არ იცით, რას აკეთებთ, – წარმოთქვა ქალს მიჩერებულმა ლესტერმა. მის წინ იდგა მომხიბლავი, მოწიფული ქალი, სიყვარულით აღსავსე ჭკვიანი არსება.

– ლეტი, მაინც რატომ ცდილობთ ჩემთან შეუღლებას, მერწმუნეთ, ღირსი არა ვარ, მე საოცრად ცივი, სკეპტიკოსი კაცი გახლავართ, ვფიქრობ, რომ აქედან არაფერი გამოვა.

– მე კი, მგონია, რომ გამოვა, – არ ნებდებოდა ქალი, – განა არ ვიცი, როგორიცა ხართ. ჩემთვის სულ ერთია. მე თქვენ მინდიხართ.

ლესტერმა ჯერ ხელი მოხვია, მერე მიიზიდა და ეამბორა.

– მეცოდებით, ლეტი! – კვლავ იმეორებდა ლესტერი. – მე არა ვარ ღირსი. ნახავთ, როგორ ინანებთ.

– არა, არ ვინანებ, ვიცი, რასაც ვაკეთებ, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ რა აზრისა ხართ საკუთარ თავზე, – შეეპასუხა ქალი და ლოყა მხარზე დაადო.

– მაინც რა სიკეთეს მოელოთ ჩემგან, – წარმოთქვა ლესტერმა, დაიხარა და ქალს აკოცა.

– ოჰ, – აღმოხდა ლეტის და მამაკაცის მკერდში ჩარგო თავი.

«ცუდად ვიქცევი! _ ფიქრობდა ლესტერი და თან ეხვეოდა, _ ეს არ უნდა მექნა».

ქალი მაინც მკერდში ჰყავდა ჩაკრული და როცა ლეტიმ თავი ასწია, ლესტერმა მხურვალედ ჩაკოცნა.

ორმოცდამეთექვსმეტე თავი

რამდენიმე გარემოება რომ არა, დროთა განმავლობაში ლესტერს შეეძლო ჯენის დაბრუნებოდა. დიახ, კარგად იცოდა, რომ თავისი ქონების სადავეების ხელში ჩაგდების შემდეგ, როცა ვნებები დაცხრებოდა, შეეძლო დიპლომატიური ხრიკი გამოეყენებინა და ისევ ჯენისთან დაბრუნებულიყო. მაგრამ ამისთვის მას თავისი მოვალეობების შესრულება დასჭირდებოდა (თუმცა მათ შესახებ პირდაპირ არსად არაფერი იყო მითითებული). სიმართლე რომ თქვას კაცმა, ვერც ის აზრი მოიშორა, რომ მისის ჯერალდთან ქორწინებას ფართო შესაძლებლობები მოჰყვებოდა. ჯენისადმი გულწრფელი ლტოლვა ხელს არ უშლიდა მიმხვდარიყო, რამდენს ნიშნავდა ჯენის მეტოქის პიროვნება და მისი სიმდიდრე, _ მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქალი. გონებაში ერთთავად ერთმანეთს უპირისპირებდა ამ ორ ქალს. ერთი _ განათლებული, მომხიბვლელი, მაღალი საზოგადოების ყველა წვრილმანისა თუ წესის მცოდნე, თანაც საკმაოდ მდიდარი ქალი, რომელსაც ყველა თავისი ჟინის დაკმაყოფილება შეეძლო, მეორე _ სადა, მოსიყვარულე, ალერსიანი, მაღალ საზოგადოებაში მოქცევის წესების უცოდინარი, მაგრამ შეუდარებლად მგრძნობიარე ცხოვრების სილამაზის შეცნობაში, ყველა მშვენიერების აღმქმელი, რაც კი ადამიანთა ურთიერთობაში არსებობს. მისის ჯერალდისთვის გასაგები იყო ეს ყველაფერი. იგი ლესტერს რომ საყვედურობდა, ამით ჯენის როდი აკრიტიკებდა, ამ ურთიერთობის უგუნურებად ლესტერის კარიერის დაღუპვას მიიჩნევდა. აი მასთან ქორწინება კი სულ სხვა საქმე იქნებოდა, ლესტერის პატივმოყვარე ზრახვების იდეალური დასასრული, ყოველმხრივ კარგი ამბავი. იგი ლეტისთანაც თითქმის ისევე ბედნიერი იქნებოდა, როგორც ჯენისთან. თან ისიც ესიამოვნება, რომ შუა დასავლეთის მაღალსა და ფინანსურად ძლიერ წრეებში ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება გახდება. ლესტერმა ბევრი იფიქრა, ათასწიარად აწონ-დაწონა, ბოლოს გადაწყვიტა, რომ საქმის გაჭიანურებას აზრი არ ჰქონდა. შინიდან წამოსვლით ჯენის უკვე მიაყენა გამოუსწორებელი გულისტკივილი. ვითომ რა მოხდება, თუ ეს მეორეც დაემატება? ჯენი უზრუნველყოფილია, ყველაფერი აქვს, რაც სჭირდება. დაკარგა მხოლოდ ლესტერი. განა თვითონ არ ამბობდა, უნდა გავშორდეთო. თავისი მოუწყობელი ცხოვრებით განაწამები ლესტერი თავის გასამართლებელ ათასწიარ საბუთს იგონებდა და ცოლის თხოვის აუცილებლობას თანდათან ეჩვეოდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

სწორედ მისის ჯერალდთან გამუდმებულმა ურთიერთობამ განაპირობა ის გარემოება, რომ ჯენის ვეღარ დაუბრუნდა. თითქოს განგებო, ისე აეწყო ყველაფერი, რომ მისის ჯერალდს უნდა დაეძლია მისი შინაგანი წინააღმდეგობა. რა თქმა უნდა, ვიდრე მარტო ცხოვრობდა, შეეძლო სტუმრად წვეოდა ახლობლებსა და ნაცნობებს, მაგრამ ეს ამბავი ლესტერს ნაკლებად ხიბლავდა. იგი საკმაოდ მძიმე კაცი იყო, უჭირდა თავის გარშემო მისთვის სასურველი ხალხის შემოკრება. მისის ჯერალდი კი ამას სულ ადვილად ახერხებდა. ორნი კიდევ უფრო ადვილად დასძლევდნენ ამ საქმეს. სადაც უნდა ეცხოვრათ, მათი სახლის კარი ერთთავად ღია იქნებოდა საინტერესო ადამიანებისთვის. მას მხოლოდ სტუმრებთან გამოსვლა დასჭირდებოდა. ლეტიმ მშვენივრად იცოდა, რა ყაიდის ცხოვრება იზიდავდა ლესტერს და როგორი ადამიანები მოსწონდა. მასაც ხომ იგივე ხალხი ხიბლავდა. დიახ, ბევრი რამ აქვთ საერთო, და მასთან ცხოვრება, ალბათ, ნამდვილად ბედნიერება იქნებოდა.

ლესტერმა მისის ჯერალდთან ერთად უესტ-ბადენში რამდენიმე დღე გაატარა. ჩიკაგოში რომ ჩამოვიდნენ, მთლიანად ლეტის მიენდო. ლეტი მართავდა სადილებს, სეირნობდნენ, დადიოდნენ სტუმრად. ლეტის სახლში ლესტერი თითქმის ოჯახის უფროსივით იყო, ეს თვითონ ლეტის სურვილი გახლდათ. ლეტი დაწვრილებით უყვებოდა თავისი საქმეების ვითარებას, თან უხსნიდა, რატომ სჭირდებოდა მისი დახმარება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ლეტი ცდილობდა, ლესტერი თავის ფიქრებთან მარტო არ დაეტოვებინა. ლესტერიც დადიოდა გულის გადასაყოლებლად, გასამხიარულებლად, დასასვენებლად. ლესტერი უამრავ ხალხს ხვდებოდა იქ და ნაცნობთა შორის მითქმა-მოთქმა ატყდა, ლეტი და ლესტერი დაქორწინებას აპირებენო. რაკი ჯენისთან ურთიერთობამ ამდენი ხმაური გამოიწვია, ლეტის აზრით, მაინცდამაინც დიდი ქორწილი არ იყო საჭირო. საკმარისი იქნებოდა მოკლე ცნობა გაზეთში. რამდენიმე ხნის მერე კი, როცა ყველაფერი დაშოშმინდებოდა და სიმშვიდე ჩამოვარდებოდა, ლესტერის სახელის განსამტკიცებლად განსაცვიფრებელ მიღებებს გამართავდა.

– იქნებ, აპრილში დავქორწინებულყავით და ზაფხული უცხოეთში გაგვეტარებინა? – ჰკითხა ერთხელ ლეტიმ. ხოლო ქორწინება რომ გადაწყვეტილი იყო, არც ერთს ეჭვი აღარ ეპარებოდა. იაპონიაში წავიდეთ, შემოდგომაზე დავბრუნდეთ და სახლი სანაპიროზე ვიქირაოთ.

ჯენისთან დაშორების შემდეგ უკვე კარგა ხანი გავიდა და სინდისი ისე ძალიან აღარ აწუხებდა. შინაგანი ხმა სულ არ მიყუჩებულობდა, მაგრამ ცდილობდა, ისიც დაეხშო.

– როგორც გენებოს, ოღონდ ყოველგვარი ხმაურის გარეშე.

– თანახმა ხარ, შემოგველე? – წამოიძახა აღტაცებულმა ქალმა და სიხარულით სავსე მზერა მიაპყრო. მთელი საღამო მშვიდ საუბარში და კითხვაში გაატარეს.

– ამ ამბავზე რა ხანია ვფიქრობ, ჰოდა, მგონი, გადადება აღარ არის საჭირო. ლეტი მუხლებზე ჩამოუჯდა და ხელები მხრებზე დაადო.

– არ მჯერა, რომ ეს სიტყვები შენ წარმოთქვი.
– რა ვქნა, უკან წავიღო ჩემი სიტყვები? – ღიმილით ჰკითხა ლესტერმა.
– არა, არა! მაშასადამე, გადაწყვეტილია, აპრილში. მერე იაპონიაშიც წავალთ. ვიმედოვნებ, აღარ გადათქვამ. არც არავითარი ხმაური იქნება. ღმერთო ჩემო, რომ იცოდე, როგორ მზითევეს მოვიმზადებ!

ლეტი მზიარულად უწეწავდა თმას. ლესტერი იღიმებოდა, მაგრამ დამაბული ღიმილით, რაღაც აკლდა მის ბედნიერებას, იქნებ, ასაკის ბრალი იყო.

ორმოცდამეჩვიდმეტე თავი

ჯენი თანდათან ეჩვეოდა სრულიად ახალ გარემოს, რომელშიც ამიერიდან უნდა ეცხოვრა. ულესტეროდ ყოფნა აუტანელი იყო. თვითონ ჯენი განსაკუთრებული, ძლიერი ქალი გახლდათ, მაგრამ მისი ცხოვრება ისე იყო გადაჯაჭვული ლესტერის არსებობასთან, რომ ამ ძაფების გაწყვეტა და მოსპობა შეუძლებელი ჩანდა. გონებით სულ მასთან იყო, თითქოს არც გამორებულანო. ნეტავ სად არის ახლა? რას აკეთებს? რას ამბობს? როგორ გამოიყურება? დილაობით იმ შეგრძნებით იღვიძებდა, თითქოს იქვე, მის გვერდით იწვა. საღამოობით დაწოლას აგვიანებდა, აბა, როგორ უნდა დავწვე, ჯერ ხომ არ მოსულაო... ოჰ, აღარასოდეს დაბრუნდება... ღმერთო ჩემო, მარტო იმის გაფიქრება, რომ აღარასოდეს მოვა! აღარასოდეს! მერედა, როგორ ენატრება.

რამდენი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი, მოსაწყობი, წვრილმანი ამბებიც კი ადვილად არ კეთდებოდა. მეტად მტკივნეული და მძაფრი გარდატეხა მოხდა, ყველაზე მთავარი მაინც ვესტასთვის სიმართლის გამხელა იყო. პატარა ვესტა უკვე ბევრ რამეს ამჩნევდა და საკუთარი შეხედულებებიც ჰქონდა, თავისებური დასკვნები გამოჰქონდა. გოგონას გაგონილი ჰქონდა, თითქოს იგი უკანონო შვილი იყო. თავის დროზე საკვირაო გაზეთში წაიკითხა ჯენისა და ლესტერის რომანტიკული ამბავი, ბავშვებმა სკოლაში აჩვენეს, მაგრამ გონიერმა გოგონამ დუმილი არჩია, მიხვდა, დედას ეწყინებოდა. აბა მერე, ლესტერის გაქრობამ ხომ უზომოდ განაცვიფრა ბავშვი. უკანასკნელმა წლებმა გოგონა დაარწმუნა, რა უსაზღვროდ მგრძნობიარე დედა ჰყავდა და რა ადვილად შეიძლებოდა მისი გულის ტკენა. შეკითხვების მიცემას გაურბოდა. ჯენიმ თვითონ უამბო ყველაფერი, უთხრა, რომ ლესტერი ქონებას კარგავდა, თუ ჯენის არ მიატოვებდა, მე ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობით ლესტერს ვერ ვუტოლდებო. ვესტამ მშვიდად მოისმინა ნაამბობი, თუმცა, მთლად ვერ ირწმუნა. უსაზღვროდ შეებრალა ჯავრისგან გულდათუთქული დედა, თავი ასე მხნედ და მზიარულად რომ ეჭირა. დახურულ სკოლაში გამგზავრებაზე უარი თქვა და, რამდენადაც შეეძლო, დედის გვერდით ტრიალებდა. ურჩევდა საინტერესო წიგნებს, ხმამაღლა უკითხავდა, სთხოვდა წაჰყოლოდა თეატრში, უკრავდა როიალზე, საკუთარ ნახატებს უჩვენებდა და

აზრის გამოხატვას სთხოვდა. სენდვუდის მშვენიერ სკოლაში გოგონებს დაუმეგობრდა და სადამოოობით მოჰყავდა ხოლმე. კოტეჯს მათი ხმაური და მხიარულება ავსებდა. ჯენი დიდად აფასებდა გოგონას დამყოლ ხასიათს და მათ დედაშვილობას თითქოს სხვა ლაზათი მიეცა. ლესტერი წავიდა, მაგრამ ჰყავდა ვესტა, მისი სიბერის ნუგეში.

ჯენი გრძნობდა, ახალი მეზობლებისა და ნაცნობების წინაშე თავისი მდგომარეობის ახსნა რომ დასჭირდებოდა. განცალკევებით მცხოვრებ ადამიანს, რა თქმა უნდა, შეუძლია, ხალხში არ გაითქვიფოს, მაგრამ სულ დამუნჯებაც არ ხერხდებოდა. ხალხი ცნობისმოყვარეა. ქმარი მომიკვდაო, ვერ იტყოდა – იქნებ, დაბრუნებულიყო ლესტერი. ბოლოს მაინც ისა თქვა, თვითონ წამოვედიო. სურდა, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მასზე იყო დამოკიდებული მიიღებდა თუ არა კარსმომდგარ ქმარს. ეს კარგად მოიფიქრა, – მეზობლები თანაგრძნობით ექცეოდნენ.

ასე დაიწყო მისი წყნარი და ერთფეროვანი ცხოვრება იდუმალი ცვლილებების მოლოდინში. ჯენის ცხოვრებას მხოლოდ ვესტას არსებობა და სენდვუდის ზღაპრული ბუნება ალამაზებდა. ჯენი დაუსრულებლად ტკბებოდა ტბის სილამაზით, სადაც დილიდან სადამომდე ნავები დასრიალებდნენ, თვალს სტაცებდა ქალაქის მშვენიერი შემოგარენი. ჯენის ჰყავდა ერთი ცხენი და შარაბანი. იმ წყვილის ერთ-ერთი ცხენი, ჰაიდ-პარკის ეტლში რომ ება. თანდათან საყვარელი ცხოველებიც გაიჩინეს, მათ შორის ძალღი კოლი, რომელსაც ვესტამ «ვირთხა» დაარქვა. იგი პატარა ლეკვი იყო, როცა ჯენიმ ჩიკაგოდან ჩამოიყვანა, ახლა კი გონიერ და ალერსიან, საუცხოო მოდარაჯე ძაღლად იქცა. ჰყავდათ აგრეთვე კატა – ჯიმი ვუდსი, ეს სახელი ვესტამ თავისი ამხანაგი ბიჭის ეშხით შეარქვა, მართლა ამ კატას რომ ჰგავდა. ჰყავდათ, აგრეთვე, მგალობელი შაშვი, რომელსაც კატა ვუდსის ბრჭყალებისგან საგულდაგულოდ იცავდნენ, და ოქროსთევზებიანი აკვარიუმი. კოტეჯში ცხოვრება მშვიდად და უშფოთველად მიდიოდა, მძაფრი განცდები და გრძნობები ხალხის თვალთაგან დაფარული იყო.

დაშორების პირველ ხანებში ლესტერს წერილები არ გამოუგზავნია. იგი მთლიანად ჩაეფლო თავის კომერციულ საქმიანობაში, თანაც ფიქრობდა, ახლა ჩემი წერილები მხოლოდ ზედმეტად ააფორიაქებს ჯენის და არსებითს არაფერს მოუტანსო. გადაწყვიტა, ცოტა დაწყნარებულიყო, ჯენისთვისაც მიეცა ამოსუნთქვის საშუალება და მერე საღად და მშვიდად ყველაფერი დაწვრილებით მიეწერა. გავიდა ერთი თვე და ჯენიმ წერილი მიიღო. ლესტერი იტყობინებოდა, რომ ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა, რამდენჯერმე ჩიკაგოდანაც გაემგზავრა, რაც სინამდვილეს შეეფერებოდა, და რომ ამიერიდან, საერთოდ იშვიათად იქნებოდა ამ ქალაქში. კითხულობდა, როგორ იყო ვესტა, როგორ ცხოვრობდნენ სენდვუდში. იმასაც იწერებოდა, «შეიძლება მალე გნახოთო», თუმცა ასეთი განზრახვა არ ჰქონია.

გავიდა კიდევ ერთი თვე და ლესტერმა კვლავ მოიწერა წერილი, ამჯერად მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი. პირველ წერილზე გაგზავნილ პასუხში ჯენი

დაწვრილებით სწერდა თავისი ცხოვრების ამბებს. ატყობინებდა, სენდვუდითა და იქ ცხოვრებით კმაყოფილი ვარო, თავისი განცდები ერთი სიტყვითაც არ უხსენებია. «იმედი მაქვს, _ სწერდა ქალი, _ საქმეები ააწყვე და რთული საკითხებიც უკვე გადაჭრილიაო. ძალიან გამიხარდება, თუ საბოლოოდ ყველაფერს კარგად მოაგვარებ. არ იფიქრო, უბედური ვიყო, _ ეს არ არის მართალი, დარწმუნებული ვარ, ჩვენ სწორად მოვიქცით. უბედური მაშინ ვიქნებოდი, სხვაგვარად რომ გადაგვეწყვიტა. ისე მოაწყვე ცხოვრება, როგორც გიჯობდეს. შენ დიდი ბედნიერების ღირსი ხარ, ლესტერ. რასაც გააკეთებ, მე ყველაფერზე თანახმა და კმაყოფილი ვიქნები»... ჯენი ამ სიტყვებში მისის ჯერალდს გულისხმობდა და ლესტერიც, რა თქმა უნდა, მიხვდა. იმასაც მიხვდა, რა თავგანწირვა და ჩუმი ტანჯვა იმალებოდა ამ კეთილშობილების მიღმა. სწორედ ამ კეთილშობილებამ აიძულა ლესტერი, დიდხანს ეყოყმანა, ვიდრე რაიმე ნაბიჯს გადადგამდა.

რა განუზომლად დაშორებული იყო ერთმანეთისაგან ის, რაც ეწერა და რაც ფარულად იგულისხმებოდა. ექვსი თვის შემდეგ ლესტერმა წერილების გამოგზავნას უკლო და რვა თვის მერე სულ შეწყდა.

ერთ მშვენიერ დილას, როცა ჯენი გაზეთებს ათვალიერებდა, მაღალი საზოგადოების ქრონიკის განყოფილებაში ასეთ განცხადებას წააწყდა: «სამშაბათს, მისის მალკოლმ ჯერალდმა საკუთარ სახლში გამართულ სადილზე თავის მეგობრებსა და ახლობლებს განუცხადა, რომ ინიშნება ცინცინატელ არჩიზალდ კეინის უმცროს ვაჟ ლესტერ კეინზე და რომ მათი ქორწილი აპრილისთვის არის დაგეგმილი».

ჯენის ხელიდან გაუვარდა გაზეთი. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა და უაზროდ მიმტერებოდა ერთ წერტილს. «ნუთუ ეს შესაძლებელია? _ ეკითხებოდა თავის თავს. _ ნუთუ უკვე ასრულდა?» მან იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ მაინც... მაინც იმედოვნებდა. რისი იმედი ჰქონდა, რატომ? განა თვითონ არ აიძულა ლესტერი სახლიდან წასულიყო? თვითონ მან დააყენა ამ გზაზე, ურჩია, ასე აჯობებსო. და აი, მოსახდენი მოხდა. ახლა როგორ მოიქცეს? აქ დარჩეს და მისი ფულით იცხოვროს? არა, არაფრის გულისთვის! მერე რამხელა თანხა დაუტოვა საკუთარ მფლობელობაში. ბანკში, ლასალსტრიტზე, მის სახელზე შეტანილი სამოცდათხუთმეტ ათას დოლარად ღირებული რკინიგზის აქციები ინახებოდა, რომელთა ყოველწლიური შემოსავალი ოთხ-ნახევარი ათასი უმუშალოდ მას ეძლეოდა. რა ექნა, უარი ეთქვა ფულზე? ვესტაზე ხომ უნდა ეფიქრა?

ჯენის მთელი არსება შეძრა ამ ამბის გაგებამ, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ გაბრაზება მხოლოდ უგუნურება იყო. ცხოვრება ყოველთვის ვერაგულად ექცეოდა. ალბათ, ასე იქნება მუდამ. რა გაეწყობა, ეცდება დამოუკიდებლად იცხოვროს. თვითონ იშოვოს ლუკმაპური. თუმცა რა მნიშვნელობა ექნება ამას ლესტერისთვის? მისის ჯერალდისთვის? ჯენი ახლა ოთხ კედელშუა გამომწყვდეული შეუმჩნეველი მარტოხელაა. ის კი დიდ ცხოვრებას ეწაფება,

მთელი თავისი სიხარულითა და თავისუფლებით. რა უსამართლო და სამწუხარო ამბავია, მაგრამ ტირილით რას უშველის? აბა, რას?

თვალები მშრალი ჰქონდა, მაგრამ გული ეწურებოდა. ჯენი ნელა ადგა, გაზეთი ჩემოდნის ძირში დამალა და გასაღებით დაკეტა.

ორმოცდამეთვრამეტე თავი

მისის ჯერალდთან ნიშნობის შემდეგ ლესტერისთვის ძნელი აღარ იყო ახალ გარემოებასთან შეგუება. რა თქმა უნდა, უკეთ აეწყო ყველაფერი. ლესტერი ჯენის ღრმად თანაუგრძნობდა. თანაგრძნობას ამჟღავნებდა მისის ჯერალდიც, ლესტერს ამშვიდებდა, ეს ნაბიჯი ორივესთვის უკეთესიაო. ლესტერი გაცილებით ბედნიერი იქნებოდა, ეს აქედანვე ჩანდა. ჯენი კი თანდათანობით მიხვდება, რომ თავგანწირულად და გონივრულად მოიქცა. თავისი კეთილშობილური საქციელით თვითონვე იქნება კმაყოფილი. თვითონ მისის ჯერალდს, არავითარი გულისტკივილი არ განუცდია გარდაცვლილი მეუღლის მიმართ და სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც აუხდა ქალიშვილობის დროინდელი ოცნება. ცხოვრებაში ლესტერზე უკეთესი ვერავინ წარმოედგინა. სად აღარ წავლენ, რას არ ნახავენ! მომავალ ზამთარში ახლად გამომცხვარი მისის კეინი მთელ ქალაქს უჩვენებს, როგორი მეჯლისებისა და მიღებების გამართვა შეუძლია. აბა, იაპონია ხომ...

რადაც წარმოუდგენელი ნეტარება და სიამოვნებაა.

ლესტერმა ჯენის თავისი მომავალი ქორწინების ამბავი შეატყობინა. მისწერა მოკლედ, ახსნა-განმარტება ზედმეტად ჩათვალა. მისი აზრით, ჯერალდის შერთვა აუცილებელი იყო და ჯენის ეს ამბავი ბოლოს მაინც უნდა გაეგო. წერილს ჯენის კარგად და ჯანმრთელად ყოფნის სურვილით იწყებდა, არწმუნებდა, შენი ბედი ჩემთვის ყოველთვის ახლობელი იქნება და შევეცდები ხელი შეგიწყო, რათა ცხოვრება, რაც შეიძლება, გაგიადვილო. იმედოვნებდა, რომ ჯენი აპატიებდა ამ ნაბიჯის გადადგმას. მოკითხვას უთვლიდა ვესტას. ურჩევდა, გოგონა ყველაზე უკეთეს სკოლაში მიეზარებინა.

ჯენიმ იცოდა, რომ ლესტერი მისის ჯერალდისკენ ჯერ კიდევ ლონდონში, სასტუმრო «კარლტონში» ყოფნისას ილტვოდა. ეს ქალი დიდი ხანია თავისკენ ეწეოდა. ჰოდა, აისრულა კიდევ საწადელი, თავისას მიაღწია. დაე, იყოს ბედნიერი, ჯენიმ პასუხად ასეც მისწერა – მხოლოდ ის დაუმატა, თქვენი ნიშნობის ამბავი გაზეთში წავიკითხო. ლესტერმა წერილი მიიღო და სტრიქონებს შუა უფრო მეტი ამოიკითხა, ვიდრე სიტყვებით ეწერა. თუნდაც ახლა, რამხელა სულის სიმტკიცეს ამჟღავნებდა. თუმცა ჯენის ბევრი წყენა და გულისტკივილი შეახვედრა და ბევრსაც კიდევ აპირებდა, ლესტერი გრძნობდა, რომ ჯენი მაინც ბევრს ნიშნავდა მისთვის. იგი კეთილშობილი, მომხიბვლელი ქალია. სხვაგვარად რომ მოწყობოდა საქმე, ახლა მისის

ჯერალდზე საქორწინოდ არ მოემზადებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ლესტერმა მაინც ჯერალდი ითხოვა.

საქორწინო ცერემონიალი შედგა თხუთმეტ აპრილს, მისის ჯერალდის სახლში. ჯვარი კათოლიკე მღვდელმა დაწერა. ლესტერი მორწმუნე არ იყო, მაგრამ გადაწყვიტა, ჯვრისწერაზე უარი მაინც არ ეთქვა. ორმოცდაათი კაცი შეგროვდა, სულ ახლო მეგობრები. ცერემონიამ მშვიდად ჩაიარა. ახლადდაქორწინებულებს ულოცავდნენ, მუჭებით ბრინჯსა და კანფეტებს აყრიდნენ. სტუმრები ჯერ კიდევ ქეიფობდნენ, როცა ლესტერი და ლეტი გვერდითი სადარბაზოდან ჩუმად გაიპარნენ, კართან კარეტა ელოდებოდათ. თხუთმეტი წუთის შემდეგ ნეფე-დედოფალს მხიარული ყიჟინით დაედევნენ. მექორწილენი რკინიგზის სადგურისკენ გაქანდნენ. გაცილების მსურველნი რომ მოვიდნენ, ბედნიერი წყვილი უკვე კუპეში იჯდა. ისევ ატყდა სიცილი, შემახილები, გახსნეს შამპანურები და აი, როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა და ახლადშეუღლებულები გზას გაუდგნენ.

– ასე რომ, მაინც დამითრე, – მხიარულად უთხრა ლესტერმა და ლეტი გვერდით მოისვა, – მერედა რა?

– აი, რა! – შესძახა ქალმა, მაგრამ მოხვია ხელი და მხურვალედ ჩაკოცნა.

ოთხი დღის შემდეგ ისინი წყნარი ოკეანის სანაპიროზე იდგნენ, კიდევ ორი დღის შემდეგ კი მიკადოს ქვეყნისკენ მიმავალ სწრაფმავალ გემში ისხდნენ.

დარჩა ჯენი მარტო თავის დარდთან. გაზეთებს გულდასმით ათვალიერებდა, იცოდა, აპრილში რომ ქორწინდებოდნენ და დამატებითი ცნობების გაგება სურდა. და აი, წაიკითხა კიდევ. იუწყებოდნენ, რომ ქორწილი შედგება თხუთმეტ აპრილს შუადღისას, მისის ჯერალდის სახლში მიუხედავად თავისი ბედის მორჩილებისა, ჯენი ისე ხარბად შეჰყურებდა ამ მიუღწეველ ბედნიერებას, როგორც უპატრონო მშვიერი ბავშვი შესცქერის შობის დღესასწაულზე ნაძვის ხეს განათებულ ფანჯარაში.

დადგა თხუთმეტი აპრილი. ჯენი ადგილს ვეღარ პოულობდა. მძაფრად განიცდიდა იმ დღის ამბავს. გონებაში უკვე ხედავდა მშვენიერ სახლს, კარეტებს, სტუმრებს, საქორწილო სამოსელს, მხიარულ ქორწილს. გრძნობდა, რა დიდებულად იმგზავრებდნენ მდიდრულ კუპეში, რამდენი სიამოვნება ელოდათ. გაზეთების ცნობით, თავლობის თვის გატარებას იაპონიაში აპირებდნენ. თავლობის თვე! მისის ჯერალდი ლამაზი ქალია! და აი, მას, ჭემმარიტ მისის კეინს ახლა ლესტერი ეხვევა, როგორც ერთ დროს მას ეხვეოდა. ლესტერს უყვარდა ჯენი! დიახ, უყვარდა. ჯენის ყელში რაღაც ახრჩობდა, ოოჰ, ღმერთო! მწარედ ოხრავდა და მუშტს ტკივილის შეგრძნებამდე კუმშავდა. შვება კი არსაით იყო, სევდა კვლავინდებურად უფლეთდა გულს.

მოსახდენი მოხდა, აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. ვესტამაც წაიკითხა გაზეთი და მშვენივრად მიხვდა ყველაფერს. გულს უდაგავდა დედის მწუხარება, მაგრამ ჩუმად იყო. ორი-სამი დღის შემდეგ ჯენი ოდნავ დაწყნარდა, თითქოს შეეგუა ამ გარდაუვალ ამბავს, მაგრამ კარგა ხანმა

განვლო, ვიდრე მწარე ტკივილი მიუყუჩდებოდა. ჯენი დღეებსა და კვირებს ითვლიდა მათ დაბრუნებამდე, თუმცა იცოდა, რომ არაფრის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. ძალიან შორეულ ქვეყნად ეჩვენებოდა იაპონია. როცა ლესტერი ჩიკაგოში იყო, მასთან ახლოს ეგონა.

გავიდა გაზაფხულიც და ზაფხულიც, დადგა ოქტომბერი. ერთ ცივ ქარიან დღეს ვესტა სკოლიდან თავატკივებული დაბრუნდა. ჯენის გაახსენდა დედის დარიგება და გოგონას ცხელი რძე დააღვინა, მერე კეფაზე ცივი ტილო დაადო და ბავშვი დააწვინა. მეორე დღეს სიცხემ აუწია. ადგილობრივმა ექიმმა მაშინვე მუცლის ტიფზე აიღო ეჭვი, თან იმედი გამოთქვა, რომ ბავშვის მაგარი ორგანიზმი შეებრძოლებოდა ავადმყოფობას, თუმცა დაავადება თავისთავად ძალიან მძიმეაო. ჯენი საკუთარ თავს არ ენდო, ბავშვის მომვლელად ჩიკაგოდან ექთანი მოიწვია. გადიოდა დღეები, მოლოდინის მძიმე დღეები, სიმხნევეს სასოწარკვეთა ცვლიდა, იმედს _ შიში.

საექვო უკვე აღარაფერი იყო, ვესტას ნამდვილად მუცლის ტიფი სჭირდა. ჯენი ყოყმანობდა, მიეწერა თუ არა ლესტერისთვის, თუმცა იცოდა, რომ იგი ნიუ-იორკში იყო. გაზეთების მიხედვით ზამთარი იქ უნდა გაეტარებინა. ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ექიმმა ბავშვის დაავადებას მძიმე ფორმის ტიფი უწოდა, ჯენიმ მაინც გადაწყვიტა, რომ მიეწერა. ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა. ლესტერს ისე ძალიან უყვარდა გოგონა, მისი ავადმყოფობა უსათუოდ შეაწუხებდა.

ლესტერს არაფერი გაუგია: როცა წერილი ნიუ-იორკში ჩავიდა, იგი ვესტ-ინდოეთის გზას ადგა. ავადმყოფ შვილს ჯენი მარტო უთევდა ღამეებს. კეთილ მეზობლებს ესმოდათ მდგომარეობის სერიოზულობა და ჯენის ხშირად აკითხავდნენ, მაგრამ ნამდვილი სულიერი ნუგეშის ცემა, ის, რაც მხოლოდ ახლობელს შეუძლია, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ. ერთხანს ბავშვმა თითქოს მოიკეთა კიდევ, ექიმი და ექთანი იმედიანად ალაპარაკდნენ, მაგრამ, მერე შესამჩნევად დაკარგა ძალა, ექიმ ემრის აზრით, ავადმყოფობამ გულსა და თირკმელებზე მისცა გართულება.

ჰოდა, აი, სახლში სიკვდილის აჩრდილმა დაისადგურა. ექიმს სახე თანდათან მოექუფრა. ექთანი კითხვებზე მიხვეულ-მოხვეულად პასუხობდა. ჯენი ლოცულობდა. მართლაც ლოცვა ერქვა იმ ძლიერ სურვილს, რომელსაც ჯენის აზრი და გონება შეეპყრო. ოღონდ კი ვესტა გამობრუნებულიყო! ბოლო წლებში ხომ თითქმის მეგობრებად იქცნენ. გოგონას ძალიან უყვარდა დედა. თავისი ბავშვური ჭკუით ხვდებოდა, რამდენი განსაცდელი ჰქონდა მას გადატანილი. ჯენიც თავის მხრივ, განსაკუთრებულ ერთგულებასა და მზრუნველობას იჩენდა. ახლა უკვე იცოდა ჯენიმ, როგორი უნდა ყოფილიყო კარგი დედა. ლესტერს რომ მოესურვებინა და მისი კანონიერი ცოლი გამხდარიყო, რა ბედნიერებად ჩათვლიდა მისგან შვილების გაჩენას. ვესტას მიმართ კი ყოველთვის გამორჩეულ ვალდებულებას გრძნობდა. ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება უნდა შეუქმნას. აი, რისი მოვალეა იგი, როგორც დედა, რათა გამოისყიდოს მისი დაბადებისა და ადრეული ბავშვობის სირცხვილი.

მერედა, რა სიხარულით ადევნებდა თვალს თავისი პატარა გოგონას ზრდას, თანდათან რომ ლამაზ, მოხდენილ, ჭკვიან ქალიშვილად ყალიბდებოდა. ჰოდა ახლა, ეს ერთადერთი შვილი ხელიდან ეცლებოდა. ექიმმა ემრიბ კონსილიუმზე ჩიკაგოდან ნაცნობი ექიმი მოიწვია. ჩამოვიდა მოხუცი კეთილი ექიმი, ავადმყოფი გულისყურით გასინჯა და თავი გადააქნია:

– მკურნალობა სწორი იყო. როგორც ჩანს, ორგანიზმი არ გამოდგა საკმაოდ მაგარი. ყველას ერთნაირად არ შეუძლია ამ ავადმყოფობასთან ბრძოლა.

ექიმების დასკვნით, თუ სამ დღეში მდგომარეობა არ გაუმჯობესდებოდა, ბავშვს აღარაფერი ეშველებოდა.

ჯენის სიმართლე არ დაუმალეს. ერთი აზრით შეპყრობილი, სიმივით დაჭიმული, გაფითრებული და გაოგნებული ჯენი ბავშვის სასთუმალთან იჯდა. თითქოს მთელი მისი არსება ბავშვის მდგომარეობის ყოველგვარ ცვლილებას აღიქვამდა. იგი ფიზიკურად გრძნობდა სულ უმნიშვნელო გაუარესებასა თუ გაუმჯობესებას.

მისის დევისი, ეს ხანში შესული მეზობელი ქალი, დედასავით ეპყრობოდა ჯენის. მთელი გულით თანაუგრძნობდა და ექიმისა და ექთნის დახმარებით ყველაფერს აკეთებდა, რათა ჯენი სასოწარკვეთას არ წაეღეკა.

– მისის კეინ, იქნებ, დაწოლილიყავით და ცოტა მოგესვენათ, – ეტყოდა ხოლმე, როცა ავადმყოფ ბავშვს თვალმოუშორებლად მიჩერებულ ჯენის ხედავდა, – მე ყველაფერს მივხედავ, თქვენზე ნაკლებად კი არ გავაკეთებ. როგორ გგონიათ, ვერ შევძლებ? მე შვიდი შვილი ვშობე და სამი დავმარხე, განა ვერ ვხვდები?

ჯენი ატირდა, თავი მის რბილ მხარს დაადო, მისის დევისიც მასთან ერთად ტიროდა.

– ჩემო საცოდავო, განა არ მესმის თქვენი გასაჭირი, მაგრამ უნდა გამომყვეთ, დაისვენოთ.

ჯენი ძალით წაიყვანა საწოლ ოთახში, მაგრამ, აბა როგორ შეეძლო დიდხანს მარტო დარჩენა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ შვილთან დაბრუნდა.

ერთ ღამეს, როცა ექთანმა დარწმუნებით განაცხადა, დილამდე საშიში არაფერიაო მოსალოდნელი, ავადმყოფის ოთახში უცნაური ფუსფუსი ატყდა. წამით წამოწოლილი ჯენი მაშინვე წამოდგა. ვესტას საწოლთან მისის დევისი და ექთანი ჩურჩულებდნენ.

ჯენი ყველაფერს მიხვდა. შვილთან მივიდა და მის სანთლისფერ სახეს მიაჩერდა, გოგონა ძლივს სუნთქავდა, თვალები დახუჭული ჰქონდა.

– ძალიან დასუსტდა, – წაიჩურჩულა ექთანმა.

მისის დევისმა ჯენის მოჰკიდა ხელი.

გადიოდა წუთები, შემოსასვლელში მდგარმა საათმა უკვე პირველი ჩამოჰკრა, ექთანი წამლებით სავსე მაგიდასთან მიდიოდა, წყალში ნაჭერს ასველებდა და ვესტას ტუჩებს ულბობდა. ორის ნახევარზე დასუსტებული სხეული ოდნავ შეირხა. გოგონამ ღრმად ამოისუნთქა, ჯენი მაშინვე დაიხარა,

მაგრამ მისის დევისმა ხელზე ხელი წაავლო და გამოსწია. ექთანმა ანიშნა, გაიყვანეთო. ბავშვის სუნთქვა შეწყდა.

მისის დევისი ჯენის მოეხვია.

– ჩემო საწყალო, ჩემო კარგო, – ჩურჩულებდა ქალი. ჯენი ქვითინისაგან კანკალებდა, – ნუ ტირი, ჩემო კარგო, ცრემლებით აბა რას უშველი.

ჯენი მუხლებზე დაეცა და ხელი გადაუსვა თავისი გოგონას ჯერ ისევ თბილ ხელს.

– ვესტა, ნუ წახვალ, შვილო, ნუ დამტოვებ, – გეგონებოდათ, ლოცულობსო, ისე იმეორებდა გულშეწუხებული ჯენი, რომელსაც მისის დევისის ხმა თითქოს სადღაც შორიდან ესმოდა.

– ნუ, გენაცვალე, ყველაფერი ღვთის ნებაა. იგი ღმერთთან არის ახლა, არ გჯერა, განა? ღმერთი ხომ ყველაფერს სასიკეთოდ აკეთებს.

ჯენი გრძნობდა, რომ მიწა გასკდა მის ფერხთით. ყველა ძაფი დაწყდა, სინათლის ოდნავი სხივიც აღარსად შერჩა, ირგვლივ წყვდიადი იდგა.

ორმოცდამეცხრამეტე თავი

ბედისწერის ამ ახალი დარტყმით განადგურებული ჯენი ისევ იმ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდა, რომლიდანაც თავის დროზე ლესტერმა და ჰაიდ-პარკში მშვიდად გატარებულმა წლებმა განკურნეს. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე იმას შეიგნებდა, რომ ვესტა აღარ ჰყავდა. გაცრეცილი სხეული, რომელსაც ორი დღის განმავლობაში მისჩერებოდა, სულაც არ ჰგავდა მის გოგონას. სადღა იყო ძველებური ხალისი, სიმსუბუქე, სიმკვირცხლე თუ თვალთა ელვარება? ყველაფერი დამთავრდა. დარჩა მხოლოდ უფერული სანთლის გარსი და სიჩუმე. ჯენი არ ტიროდა, ჰქონდა რაღაც გაუნელებელი, მწარე ტკივილის შეგრძნება. გვერდითაც არავინ ჰყავდა, ვისაც შეეძლო უბრალო, შთამაგონებელი და ბრძნული სიტყვებით ეთქვა, რომ საერთოდ სიკვდილი არ არსებობს.

ექიმი ემრი, მოწყალეების და, მისის დევისი თუ სხვა მეზობლები გულმხურვალედ იზიარებდნენ მის მწუხარებას. მისის დევისმა ლესტერს დეპეშით აცნობა ვესტას გარდაცვალება, მაგრამ იგი შორს იყო და პასუხი არ მოსულა. ვიღაცები ამზადებდნენ სადილს, ალაგებდნენ ოთახებს. თვითონ ჯენის არაფერი აინტერესებდა. იგი მხოლოდ ვესტას საყვარელ ნივთებს არჩევდა, ლესტერისა თუ მის მიერ ნაჩუქარ ნივთებს. გულს უწურავდა იმის შეგნება, რომ ისინი აღარასოდეს დასჭირდებოდა მის გოგონას. ჯენიმ ბავშვის ცხედარი ჩიკაგოში წაიღო და რედიმერის სასაფლაოზე დაკრძალა, იქვე, სადაც გერჰარდტი განისვენებდა. ლესტერმა მაშინ იქ მიწის ნაკვეთი შეიძინა. ჯენის თხოვნით, ლუთერანული ეკლესიის მღვდელს, სადაც მამამისი დადიოდა, სასაფლაოზე რამდენიმე ლოცვა უნდა წარმოეთქვა. შინ, სენდვუდში, ყოველგვარი წესი შესრულდა, ადგილობრივი მეთოდის ეკლესიის

მღვდელმა პავლეს პირველი ეპისტოლეს დასაწყისი წაიკითხა, ვესტას კლასელებმა იგალობეს «შენთან, ღმერთო, შენთან!» იყო ყვავილები, თეთრი კუბო და მომსვლელთა ურიცხვი თანაგრძნობა, მერე ვესტას ცხედარი წაიღეს. კუბო ყუთში ჩადგეს, მატარებელში შეიტანეს და ჩიკაგოს ლუთერანების სასაფლაოზე მიიტანეს.

ის დღეები ჯენი თითქოს ბურანში იყო. მწუხარებისგან თავზარდაცემული არც არაფერს გრძნობდა და არც არა ესმოდა. მისი დევისი და კიდევ ოთხი სხვა მეზობელი ჯენის ჩიკაგოში გაჰყვნიენ დასაფლავებაზე დასასწრებად. როცა საფლავში კუბოს უშვებდნენ, ჯენი ისე იდგა და ისეთნაირად იყურებოდა, თითქოს ვერაფერს გრძნობსო. დასაფლავების შემდეგ სენდვუდში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხნით. ახლა ჩიკაგოში ვესტასთან და გერჰარდტთან ახლოს უნდოდა ყოფნა.

მარტო დარჩენილი ჯენი ცდილობდა გაერკვია, რა ეღონა, როგორ ეცხოვრა. გრძნობდა, მუშაობა რომ იყო საჭირო, თუმცა, მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ეს საჭიროება არ არსებობდა. შეეძლო მოწყალების და გამხდარიყო მაგრამ ამისთვის ახლავე უნდა დაეწყო სწავლა. მერე თავისი ძმა უილიამი მოაგონდა. იგი უცოლო იყო. იქნებ, მან ისურვოს ჯენისთან ცხოვრება. მაგრამ მისამართი არ იცოდა. თითქოს არც ბასმა იცოდა მისი ადგილ-სამყოფელი. მერე გადაწყვიტა, რომელიმე მაღაზიაში დაეწყო მუშაობა. რაღაც უნდა მოიფიქროს. აქ მარტო ვერ იცხოვრებს, მხოლოდ მეზობლების ზრუნვის ამარა. როგორადაც უნდა გაუჭირდეს, მაინც ჩიკაგოში ურჩევნია. ჯერ სასტუმროში გაჩერდება. მერე მოძებნის სამუშაოს და სასაფლაო-ოსთან ახლოს სახლსაც შეარჩევს. შეიძლება, ბავშვიც აიყვანოს, ქალაქში ხომ ობოლ ბავშვთა უამრავი თავშესაფარია.

ვესტას გარდაცვალებიდან სამი კვირის შემდეგ ლესტერი მეუღლითურთ ჩიკაგოში დაბრუნდა. შინ დეპეშამაც დახვდა და ვესტას გარდაცვალების მაუწყებელი მოკლე წერილიც. ლესტერი ბავშვს შეჩვეული იყო, უყვარდა და გულწრფელად შეწუხდა. ჯენის მწუხარებით დანაღვლიანებულმა ცოლს უთხრა, ჯენის სანახავად უნდა წავიდეო. ლესტერს აშინებდა მარტო დარჩენილი ჯენის მომავალი და მაშინვე სენდვუდში გაემგზავრა, მაგრამ ჯენი არ დაუხვდა, უთხრეს, ჩიკაგოს სასტუმრო «ტრემონტში» იმყოფებაო. ლესტერი გამობრუნდა და ახლა სასტუმროს მიადგა, თუმცა ვერც იქ ნახა. ბავშვის სასაფლაოზე წასულიყო. იმ დღეს კიდევ მივიდა, ჯენი უკვე მობრუნებულიყო. ჯენის სასტუმროში მოსული ლესტერის სავიზიტო ბარათი გადასცეს. ქალი თრთოლვამ აიტანა, აღელდა უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს, ახლა ლესტერი მისთვის განსაკუთრებით საჭირო იყო.

ლესტერი ბევრჯერ დაფიქრებია თავის საქციელს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, არც დაქორწინებაზე და არც სიმდიდრისა და პატივის გაორკეცებაზე. საკუთარი თავით უკმაყოფილება და დაეჭვება ჯერაც არ ჩაცხრობოდა. ჯენის უზრუნველყოფილად დატოვება დიდად არ ანუგეშებდა. მან კარგად იცოდა, რომ ჯენის ცხოვრების აზრი სიყვარული იყო და არა

ფული. უსიყვარულო ჯენი ღია ზღვაში მოქანავე ძირგახვრეტილ ნავს ჰგავდა. დიახ, ეს კარგად იცოდა ლესტერმა. ჯენის მხოლოდ ლესტერი უნდოდა. ლესტერს სირცხვილი სწავდა, იმის გაფიქრებაზე, რომ მისი გრძნობები ასე უსუსური აღმოჩნდა საკუთარი თავის დაცვისა და სიმდიდრის წყურვილის წინაშე. ჰოდა, იმ დღესაც, როცა სასტუმრო «ტრემონტის» ლიფტით მაღლა ადიოდა, სინდისის ძლიერ ქენჯნას განიცდიდა, თუმცა გრძნობდა, რომ არაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა. ყველაფერში თვითონ ტყუოდა, ჯენის წამოყვანაშიც და იმაშიც, რომ მასთან ბოლომდე არ დარჩა, მაგრამ, აბა რაღა დროსი იყო. ახლა ისღა დარჩენია, თბილად მოექცეს, მოელაპარაკოს, უთანაგრძნოს და რჩევა მისცეს.

– გამარჯობა, ჯენი, – შინაურულად მიესალმა იგი, როცა ქალმა კარი გაუღო. როგორ გამოუცვლია მწუხარებას, გამხდარა, უფერული ლოყები ჩავარდნია, თვალები გაფართოებია.

– რამხელა უბედურებაა, – შემფოთებით ჩაილაპარაკა ლესტერმა, – აბა, ამას ვინ იფიქრებდა.

ეს იყო პირველი მანუგეშებელი სიტყვები, რომელიც ჯენის გულს მოხვდა მას შემდეგ, რაც ვესტა გარდაიცვალა და რაც ლესტერმა დატოვა. მისმა მოსვლამ გული აუჩუყა. მღელვარებისაგან ხმა ვერ ამოიღო. წამწამზე ცრემლი აუკიაფდა და ლოყებზე ღვარად ჩამოედინა.

– ნუ ტირი, ჯენი, – ალერსიანად წარმოთქვა ლესტერმა და ქალის თავი მკერდზე მიიკრა. – როგორ ვწუხვარ, ახლა ბევრ რამესაც ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანდაა. ძალიან მენანება ვესტა. სად დაასაფლავე?

– მამაჩემის გვერდით, – მიუგო ჯენიმ და აქვითინდა.

– საშინელი ამბავია, – ჩუმად ჩაილაპარაკა ლესტერმა.

ცოტა რომ დამშვიდდა, ლესტერს მოსცილდა, თვალები მოიწმინდა და სკამი შესთავაზა.

– რა საწყენია, რომ მაშინ აქ არ ვიყავი, თორემ სულ შენ გვერდით ვიქნებოდი. შენ, ალბათ, აღარ გინდა სენდვუდში დარჩენა?

– არ შემიძლია, ლესტერ, ვერ ავიტან.

– მაინც სად აპირებ ცხოვრებას?

– ჯერ არ ვიცი. იქ მეზობლების შეწუხება აღარ მინდა. ვიფიქრე, სადმე პატარა კოტეჯს ვიქირავებ-მეთქი, იქნებ, აღსაზრდელად ბავშვი ამეყვანა, ანდა სადმე მუშაობა დამეწყოს... მარტო ცხოვრება არ შემიძლია.

– ბავშვის აყვანა, მართლაც, კარგი აზრია, დარდი ისე აღარ წაგლეკავს, იცი მაინც, რა არის ამისთვის საჭირო?

– ვფიქრობ, უბრალოდ რომელიმე თავშესაფარს უნდა მივმართო.

– ჩემი აზრით, ეს საქმე ცოტა უფრო რთულია, – თქვა ჩაფიქრებულმა ლესტერმა, – რაღაც ფორმალური მხარეებია შესასრულებელი. თავშესაფრიდან გაყვანილი ბავშვი მათი მეთვალყურეობის ქვეშ რჩება, თუ რაღაც ამდაგვარი. უიტსონს მოელაპარაკე და ყველაფერში გაგარკვევს, შენ ოღონდ ბავშვი შეარჩიე, დანარჩენს ის მოაგვარებს. მე მოველაპარაკები და გავაფრთხილებ.

ლესტერი გრძნობდა, რა საშინელება იყო ჯენისთვის მარტობა. _ სად არის შენი ძმა ჯორჯი? _ ჰკითხა მან.

_ ჯორჯი როჩესტერშია, მაგრამ ჩემთან ვერ ჩამოვა. ბასმა მომწერა, ცოლი შეირთო.

_ შენთანაა არავინ მოისურვებდა შენთან ცხოვრებას?

_ იქნებ, უილიამი დათანხმებულიყო, მაგრამ არ ვიცი, სად არის.

_ თუ ჩიკაგოში ფიქრობ ცხოვრებას, მაშინ ჯექსონ-პარკის დასავლეთით ახალი უბანი დაათვალიერე, როგორც მახსოვს, იქ ძალიან კარგი პატარა კოტეჯებია. არ არის აუცილებელი, მაშინვე იყიდო, ჯერ რამდენიმე ხნით დაიქირავე, ნახავ, როგორ მოგეწონება, როგორ შეეჩვევი.

ჯენის ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა, იგი ხომ ლესტერმა ურჩია. მაინც რა კეთილია, ისევ აინტერესებს ჩემი საქმეები. გამოდის რომ, მთლად უცხონი არ არიან ერთმანეთისთვის. მისი ბედი ლესტერისთვის სულ ერთი არ არის. მერე ჯენიმ მოიკითხა ლესტერის მეუღლის ჯანმრთელობა, კმაყოფილი იყვნენ თუ არა მოგზაურობით. რამდენ ხანს აპირებდნენ ჩიკაგოში დარჩენას. ლესტერი პასუხობდა, მაგრამ გუნებაში მაინც იმას ფიქრობდა, რა უღმერთოდ მოექცა ამ საცოდავ ქალს. ლესტერი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და დაბლა, ხალხმრავალ ქუჩას გახედა. ერთმანეთში ირეოდნენ ეტლები, საზიდრები, ფეხით მოსიარულეთა უწყვეტი ნაკადები, თითქოს სიზმარში მოლანდებული მოძრავი ჩრდილებიაო. ბნელდებოდა, აქა-იქ სინათლეც აკიაფდა.

_ რაღაც მინდა გითხრა, ჯენი, _ თქვა ფიქრებიდან გამორკვეულმა ლესტერმა, _ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, იქნებ, უცნაურადაც მოგეჩვენოს, მაგრამ შენ ჩემთვის ახლაც ძვირფასი ხარ. შენზე ფიქრი არასოდეს მომშორებია. ჩვენი დაცილების ჟამს ეს გადაწყვეტილება გონივრულად მეჩვენებოდა, ისე აეწყო მაშინ ყველაფერი. ვფიქრობდი, რაკი ლეტი მომწონს, შეიძლება, ცოლადაც შევირთო-მეთქი. გამოვტყდები, ერთგვარი მოსაზრებით, ალბათ, უკეთესიც არის, მაგრამ ამას ჩემთვის მეტი ბედნიერება არ მოუტანია. უფრო ბენდიერი, ვიდრე შენთან ვიყავი, არასოდეს ვიქნები. როგორც ჩანს, საქმე ჩემში არ არის, ცალკეული ადამიანი საერთოდ ძალიან ცოტას ნიშნავს. არ ვიცი, გამიგებ თუ არა, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ ყველანი მხოლოდ პაიკები ვართ, ჩვენს ბედს განაგებს ძალა, რომლის წინაშეც უმწეონი ვართ.

_ მესმის, ლესტერ, მე ხომ სამდურავი არ მითქვამს. ასე ჯობია.

_ ცხოვრება თურმე ფარსსა ჰგავს, _ მწარე სინანულით განაგრძო ლესტერმა, _ სულელური კომედიაა და მეტი არაფერი, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, ესაა საკუთარი «მეს» შენარჩუნება. პატიოსნებას, რამდენადაც მივხვდი, არავინ გთხოვს.

ჯენიმ მთლად კარგად ვერ გაიგო მისი ლაპარაკის აზრი, მაგრამ ერთი რამ ცხადი გახლდათ, იგი არ იყო ცხოვრებით კმაყოფილი და ქალს შეებრა ლა კიდევ.

– ჩემზე ნუ წუხხარ, ლესტერ. მე არა მიშავს რა. პირველად ძალიან მიჭირდა მარტო ყოფნა, ახლა მივეჩვიე, როგორმე გავძლებ.

– ჯენი, გახსოვდეს, შენდამი ჩემი დამოკიდებულება არ შეცვლილა, – გულმხურვალედ წარმოთქვა ლესტერმა, – ყველაფერი, რაც შენ გეხება ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია, ეს მისის ლეტიმაც კარგად იცის. ახალ ადგილას რომ მოეწყობი, მოვალ და დაგხედავ, რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ შემოგივლი. ნეტავ თუ ხვდები, რა ტრიალებს ჩემს გულში?

– ვიცი, ვხვდები, – მშვიდად მიუგო ქალმა.

ლესტერი ნაზად ეამბორა ჯენის ხელს.

– დარდს ნუ დაეჩაგვრინები, ჯენი, მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება. შენ როგორც გინდა, მაგრამ ჩემთვის ისევ ის ჯენი ხარ. ჰო, მე ცუდი კაცი ვარ, მაგრამ რაღაც კარგი მაინც მაქვს.

– არა უშავს, ლესტერ, არა უშავს, განა მე თვითონ არ დაგიჟინე ასე მოქცეულიყავი. ყველაფერი უკეთესად მოეწყო. შენც, ალბათ, ბედნიერი ხარ, როცა...

– არ გინდა, ჯენი, – უცებ შეაწყვეტინა ლესტერმა, მერე ალერსიანად მიიზიდა და გაუღიმა. – არ მაკოცებ ძველი დროის ეშხით?

ქალმა ხელები მხრებზე დაადო, დიდხანს უყურა თვალებში და მხოლოდ მერე აკოცა. მაგრამ როცა ტუჩები შეაწებეს, ჯენიმ იგრძნო, რომ ცახცახებდა. ლესტერსაც უჭირდა თავის შეკავება. ლესტერის მღელვარება რომ შენიშნა, ჯენიმ თავს სძლია და მტკიცედ წარმოთქვა:

– ახლა კი სჯობს წახვიდე, გარეთ უკვე ბნელა.

ლესტერი წავიდა, მაგრამ თვითონვე იგრძნო, რომ მას მხოლოდ ერთი რამ სურდა – ჯენისთან დარჩენა. მისთვის ჯენი დღემდე ერთადერთი ქალი იყო ამქვეყნად. ქალმა შვება იგრძნო, თუმცა ისინი კვლავინდებურად ცალ-ცალკე იცხოვრებდნენ. ჯენიმ თავი ვერ გაართვა ამ ამოცანის ზნეობრივ თუ ეთიკურ მხარეს. უმრავლესობის მსგავსად, იგი ცდილობდა, ერთ ფინჯანში მთელი ოკეანის მოთავსებას, მაცდური სამყაროს ერთი თოკით შეკვრას, თოკით, რომელსაც კანონი ერქვა. ლესტერს ძველებურად არა, მაგრამ მაინც უყვარს. ლესტერს ლეტიც უყვარს. უყვარს და უყვარდეს. ოდესღაც ეგონა, რომ მის გარდა ლესტერს არავინ ენდომებოდა, მაგრამ შეცდა. ვითომ ცოტაოდენი სიყვარული არაფერს ნიშნავს? არა, რა თქმა უნდა. ლესტერიც ამავე აზრისა იყო.

მესამოცე თავი

მომდევნო ხუთმა წელმა ლესტერი და ჯენი კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს. ორივე მყარად დამკვიდრდა თავის სამყაროში. სასტუმრო «ტრემონტში» რამდენიმე შეხვედრას ძველი ურთიერთობის აღდგენა არ მოჰყოლია. ლესტერი ძლივს აუდიოდა თავის საქმიანობას და მაღალი წრის

მოთხოვნებს. იგი ისეთ სფეროში ტრიალებდა, რაზეც მოკრძალებულ ჯენის წარმოდგენაც არ ჰქონდა. ჯენი კი წყნარად, ერთფეროვნად ცხოვრობდა. ჯექსონ-პარკის მახლობლად ერთ ლამაზ, მაგრამ არცთუ მდიდრულ ქუჩაზე პატარა სახლი ეჭირა. ზრდიდა ნაშვილებ შავთმიან როზას, რომელიც უპატრონო ბავშვთა დასავლეთ თავშესაფრიდან გამოიყვანა. ახალ მეზობლებს ჯ.გ. სტოვერად გააცნო თავი. კეინის გვარი გამოიცვალა. მისის და მისტერ კეინებს კი, ჩიკაგოში რომ ცხოვრობდნენ, შორს, დრაიზის ტბის სანაპიროზე ვეებერთელა სახლი ეჭირათ, სადაც მეჯლისები და საგანგებო სადილები არაჩვეულებრივი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს.

თვითონ ლესტერი ბოლო ხანებში უფრო მშვიდი და შინაარსიანი ცხოვრებისკენ ისწრაფოდა. თავისი ნაცნობების სიიდანაც ბევრი ამოშალა. მერყევი, საეჭვო ხალხი, ანდა, უბრალოდ, გულგრილები და ყბედები. ამჟამად ლესტერი შუა დასავლეთის მხარის ცხრა მსხვილი ფინანსური და სავაჭრო კომპანიის წევრი იყო, ზოგიერთი მათგანის თავმჯდომარეც კი. ცინცინატიის «გაერთიანებული სატრაქტოროს», «გაერთიანებული ეტლების წარმოების», ჩიკაგოს ბანკის და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გაერთიანებისა. ეტლების ტრესტის წარმოებაში თვითონ უშუალო მონაწილეობას აღარ იღებდა. ეს საქმე დავალებული ჰქონდა მის ვეჯილს – მისტერ უიტსონს. რობერტი აგერ, შვიდი წელია, რაც არ ენახა, იმოჯინი თუმცა ჩიკაგოში ცხოვრობდა, მაგრამ მთელი სამი წელი მისთვის თვალი არ მოუკრავს. ლუიზა, ემი და მათი ქმრები სრულიად უცხონი გახდნენ. აბა, იურიდიულ კანტორა «ნაიტ, კიტლი და ო,ბრაიენს» ხომ ახლოსაც არ აკარებდა თავის საქმეებს.

წლებმა თავისი გაიტანა, ლესტერის აზრებს თანდათან სკეპტიკური იერი მიეცა. ოდესღაც, შორეულ წარსულში მოხდა რაღაც აუხსნელი მოვლენა: პაწია ორგანულმა უჯრედმა ევოლუცია დაიწყო და გაყოფით გამრავლდა, ისწავლა სხვა უჯრედებთან შეერთება, წარმოიქმნა ათასგვარი ორგანიზმი – თევზები, ცხოველები, ფრინველები, ბოლოს – ადამიანები. და აი ადამიანი ეს უჯრედთა შენაერთი, იკაფავს გზას უფრო უზრუნველყოფილი, ნაირსახოვანი არსებობისკენ. რატომ? ღმერთმა უწყის, რატომ. ავიღოთ, მაგალითად, ლესტერ კეინი, ამ განსაკუთრებული გონებისა და სხვადასხვა ნიჭის პატრონ კაცს მემკვიდრეობით დიდი სიმდიდრე ერგო, რომელიც კაცმა რომ თქვას, არაფრით დაუმსახურებია, უბრალოდ, ბედმა გაუღიმა. მაგრამ სიმდიდრეს იგი ჭკვიანურად, პრაქტიკულად და შემოქმედებითად იყენებდა. არც იმის თქმა შეიძლებოდა, ღარიბად დაბადებულიყო და მაშინ სხვა ღარიბივით, მეტად თუ ნაკლებად, კმაყოფილი იქნებოდა თავისი ცხოვრების. რა საჭიროა ჩივილი, შიში, ვარაუდები? როგორც უნდა მოიქცეს, ცხოვრება მაინც თავისი კანონებით განუხრელად წავა წინ. ამაში სავსებით დარწმუნდა. მაშ რაღად იღელვოს? აბა რა საჭიროა. ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა საერთოდ არ მოვლინებოდა ამ ქვეყანას და რომ არც ამით დაშავდებოდა რამე. ბავშვები – «ეს ზეგარდმომოვლენილი უმაღლესი ბედნიერება» – როგორც ერთმა პოეტმა

თქვა, სულაც არ იყო მისთვის აუცილებელი და სასურველი. ამ შეხედულებას მისის კეინიც მთლიანად იზიარებდა.

არც ჯენის შექმნია ცხოვრების აზრზე ნათელი წარმოდგენა. იგი კვლავინდებურად სამხრეთის მხარეს ცხოვრობდა თავის ნაშვილებ გოგონასთან ერთად. მისის და მისტერ კეინებისგან განსხვავებით, მას არ შეეძლო ანალიტიკური აზროვნება. მან იმდენი რამ გამოიარა ცხოვრებაში, იმდენი გადაიტანა. განათლების ცალკეული დარგების, როგორც არის – ისტორია, ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, გეოლოგია, სოციოლოგია – არა გაეგებოდა რა. მისთვის ეს ყველაფერი უცხო ხილი იყო. მისი ბუნდოვანი შეგრძნებით, სამყარო რაღაც გაურკვეველი, არცთუ მყარი აგებულებისა იყო. ალბათ, არც არავინ უწყობდა ჭეშმარიტად, რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, ადამიანები იბადებიან და კვდებიან. ზოგიერთის აზრით, ქვეყანა ექვსი ათასი წლის წინ გაჩნდა. ზოგი კი რამდენიმე მილიონი წლის ასაკს უსაზღვრავს. მაინც რა იმალება ყოველივე ამის იქით? ბრმა შემთხვევა თუ მიმართულების მიმცემი რაღაც ძალა-ღმერთი? ალბათ, რაღაც უმაღლესი ძალა არსებობისა, – ფიქრობდა გუნებაში ჯენი, – ძალა, რომელმაც შექმნა ეს სილამაზე, შექმნა ყვავილები, ბალახი, ხეები, ვარსკვლავები. რა მშვენიერია ბუნება! ცხოვრება თითქოს ხშირად სასტიკია, სამაგიეროდ, ბუნების სილამაზეა მარადჟამს უცვლელი. ამ აზრს ხშირად დაუმშვიდებია ჯენი თავისი მარტოობის მძიმე წუთებში.

ჯენი ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე არსება გახლდათ. უსაქმოდ არასოდეს იჯდა, თან ყოველთვის ფიქრებში იყო ჩაძირული. ბოლო წლებში გასუქდა, მაგრამ ზომიერად. ამ წარმოსადეგი გარეგნობის ქალს, მიუხედავად ამდენი სიმწარისა, სახეზე ერთი ნაოჭი არ ჰქონდა. მშვენიერ, წაბლისფერ თმას აქა-იქ ჭაღარა შეერია. მეზობლები ალერსიან, კეთილ, სტუმართმოყვარე ქალად თვლიდნენ, მისი წარსული არავინ იცოდა, გარდა იმისა, რომ სენდვიდიდან ჩამოვიდა და წინათ კლივლენდში ცხოვრობდა. საკუთარ თავზე ძალიან ძუნწად ლაპარაკობდა.

ჯენის ეხერხებოდა ავადმყოფების კარგად მოვლა და ერთხანს იმასაც ფიქრობდა, იქნებ, ექთნობა ვისწავლო და მუშაობა დავიწყო. მალე ეს აზრიც უკუაგდო, როცა გაიგო, რომ ასეთ სამუშაოზე მხოლოდ ახალგაზრდებს იღებდნენ, ხან საქველმოქმედო საზოგადოების წევრად გახდომას აპირებდა. მისთვის გაუგებარი იყო იმ დროს მოდაში შემოსული ახალი თეორია, ადამიანმა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა იხსნას თავი გასაჭირიდან. ჯენის აზრით, თუ ადამიანი გთხოვს, უნდა მიეშველო, თან იმის განუსჯელად, რამდენად ღირსია იგი ამ დახმარებისა. აი, ამიტომ იყო, რომ ყველა დაწესებულებაში, სადაც კი რამე იკითხა, გულგრილად ხვდებოდნენ, ან სულაც უარს ეუბნებოდნენ. ბოლოს გადაწყვიტა ერთი ბავშვიც გაეზარდა, რომ როზა პერპეტუა მარტო არ ყოფილიყო. მეორე შვილად ოთხი წლის ბიჭუნა – ჰენრი აიყვანა და სტოვერის გვარზე დაწერა, ბანკი ძველებურად ურიცხავდა შემოსავალს, ასე რომ, ეკონომიურად უზრუნველყოფილი იყო. ვაჭრობის და

სპეკულაციის არავითარი მიდრეკილება არ ჰქონდა. მისი საქმე ბავშვების გაზრდა, ყვავილების მოვლა და დიასახლისობა უფრო იყო.

ლესტერისა და ჯენის დაცილების ერთ-ერთი მიზეზი, ასე თუ ისე, ანდერძის წაკითხვის შემდეგ ძმების პირველი შეხვედრა იყო. რობერტი ხშირად იხსენებდა ხოლმე ლესტერს და ინტერესით ადევნებდა თვალს მის წარმატებას. ლესტერის ქორწინებამ დიდად ასიამოვნა. მისი აზრით, მისის ჯერალდი ძმისთვის იდეალური ცოლი იქნებოდა. რობერტი მრავალი ნიშნით მიხვდა, რომ მამის სურვილმა და «კეინის კომპანიის მართვის ხელში ჩაგდების პირადმა ცდამ ლესტერი მისდამი ცუდად განაწყო. თუმცა, მისი აზრით, კომერციულ საქმიანობაში მათი შეხედულებები ძალიან არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ახლა ლესტერი აყვავებას განიცდის. იქნებ, მოხდეს და მშვიდობა ჩამოვარდეს. რობერტი არ იყო, კეთილი განზრახვით რომ ჩაერია მის საქმეში და ჭკუაზე მოიყვანა. მეგობრულად რომ ყოფილიყვნენ, კიდევ ბევრ რამეს გააკეთებდნენ, გამდიდრების უამრავი სხვა საშუალება გადაეშლებოდათ. ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად უჩნდებოდა ასეთი აზრები.

ერთხელაც, ჩიკაგოში ყოფნისას, რობერტმა ეტლში გვერდით მჯდარ მეგობარს საგანგებოდ სთხოვა, სანაპიროზე ჩავიაროთო. უნდოდა, საკუთარი თვალთაგან ენახა კეინების მდიდრული სახლი, რომელზეც ამდენი რამ გაეგონა.

სახლის დანახვისთანავე ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მამისეული სახლის გარემო შემოეფეთათო. ლესტერმა სახლი რომ იყიდა, გვერდით ზამთრის ბაღი გააშენა. ისეთი, ცინცინატში რომ ჰქონდათ. იმ საღამოს რობერტმა ლესტერს მისწერა, _ ჩიკაგოში ორი-სამი დღით ვარ ჩამოსული და ამ საღამოს «იუნონ-კლუბში» ერთად ვისადილოთო. მისი ნახვა ძალიან უნდოდა. მართალია, ძმებს შორის რაღაც გაუგებრობა იყო, მაგრამ, ახლა ერთ მნიშვნელოვან საქმეზე აპირებდა მოლაპარაკებას. იქნებ, ხუთშაბათს მაინც მოხვიდეთო.

წერილი რომ წაიკითხა, ლესტერს სახე მოედრებოდა. სულის სიღრმეში კვლავ სტკიოდა მამის ანდერძით გაჩენილი იარა, ჯერაც ვერ მოენელებინა, როგორ უბოდიშოდ ჰკრა ხელი რობერტმა. ახლა გასაგებია, რისთვისაც იღვწოდა მაშინ რობერტი, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ის ძმა იყო და მის ადგილზე ლესტერი ასე უსინდისოდ არ მოიქცეოდა. ახლა რატომ სურს მისი ნახვა!..

ჯერ იფიქრა, პასუხს არ გავცემო. მერე გადაწყვიტა, ვაცნობებ, შეხვედრა არ შემძღობიაო. თან ისიც აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა, რა უნდოდა, რა კომბინაცია ჰქონდა ჩაფიქრებული. კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდა და დაასკვნა: კეთილი, შეხვდება. განა რა დაუშავდება. თუმცა არც არაფერს მოუტანს. ალბათ, ერთმანეთს ეტყვიან, წარსული დავივიწყოთო, მაგრამ გატეხილი ფინჯნის გამთელება არ შეიძლება, იქნებ მიწებება მოხერხდეს, მაგრამ, მაინც არ გამთელდება. ჰოდა, აი, ძმას მისწერა, გეახლებიო.

ხუთშაბათს; დილით «აუდიტორიუმიდან» რობერტმა დაურეკა და შეხვედრის დრო შეახსენა. ლესტერი გულისყურით უსმენდა ძმას. «ჰო, მახსოვს, მოვალ, _ უპასუხა მან. შუადღისას ლესტერი შუა ქალაქისკენ გაემგზავრა და მშვენიერ «იუნონ-კლუბში» ძმები ერთმანეთს შეხვდნენ. რობერტი გამხდარიყო, თმაში ჭაღარა გამორეოდა. გამოხედვა ისევ მტკიცე და გამსჭვალავი ჰქონდა, მაგრამ თვალების ირგვლივ ნაოჭები შემოჯარვოდა. კვლავ სწრაფად და ენერგიულად მოძრაობდა. ლესტერში კი სულ სხვა წყობის კაცს შეიცნობდით _ ჩასხმული, ცოტა უხეში, ფლეგმატური. ბევრს იმ ხანებში მკაცრ პიროვნებად ეჩვენებოდა. რობერტის ცისფერმა თვალებმა ძმაზე გავლენა ვერ მოახდინეს. რობერტი მის სულში იყურებოდა, შეეძლო დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. თუმცა გაუჭირდა იმის განსაზღვრა, რამდენად შეიცვალა ძმა ამ ხანში. გასუქებულიყო, მაგრამ ჭაღარა არ ერია, ისეთივე ჯანსაღი გამოხედვა და ისეთივე სახის ფერი ჰქონდა, ერთი სიტყვით, იმ კაცს ჰგავდა, ქვეყანას შეულამაზებლად რომ აღიქვამს. რობერტი, ცოტა არ იყოს, ააფორიაქა ლესტერის ასეთმა მზერამ. აშკარა იყო, ლესტერს უცვლელად შერჩენოდა ძველებური გამბედაობა და საღი აზროვნება, რითაც ყოველთვის ასე გამოირჩეოდა.

_ შენი ნახვა ძალიან მინდოდა, ლესტერ, _ დაიწყო რობერტმა, როგორც კი ძველი ჩვეულების თანახმად, ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს, _ რამდენი ხანია აღარ მინახიხარ, თითქმის რვა წელია.

_ ჰო, დაახლოებით ეგრე იქნება, _ მიუგო ლესტერმა. _ როგორა გაქვს საქმეები?

_ ძველებურად. შენ მშვენივრად გამოიყურები.

_ ჰო, ჯანმრთელობას არ ვემდღური. აი, სურდო თუ შემეყრება, ეგ არის და ეგ. ისე, ავადმყოფობა რა არის არ ვიცი. მეუღლე როგორ გყავს?

_ გმადლობთ,

კარგად. _ ბავშვები?

_ რალფს და ბერენისს იშვიათად ვნახულობთ, უკვე თავიანთი ოჯახები აქვთ. დანარჩენებს არა უშავთ, ჯერ შინ არიან. ვიმედოვნებ, შენი მეუღლეც კარგად არის, _ როგორღაც გაუბედავად დაუმატა რობერტმა.

ლესტერმა მშვიდი მზერა შეავლო და მიუგო:

_ ჰო, გმადლობთ, კარგად, ჯანმრთელად არის. ახლა არაფერს უჩივის.

მერე ხან რა თქვეს და ხან რა. ლესტერმა ტრესტის ამბები იკითხა, ემი, ლუიზა და იმოჯინი მოიკითხა, გულწრფელად აღიარა, რა ხანია, იმათი აღარაფერი ვიციო. რობერტი ნელ-ნელა ყველაფერს მოუყვა და ბოლოს, როგორც იქნა, საქმეზე გადავიდა.

_ ერთი რამ მინდოდა შენთვის მეთქვა, _ დაიწყო რობერტმა, _ ძალიან დაინტერესებული ვარ «დასავლეთის კომპანიით» ვიცი, პირადად შენ არა ხარ დირექტორთა რიცხვში, იქ შენი წარმომადგენელი, მისტერ უიტსონი საქმიანობს, რომელიც, უნდა ითქვას, ჭეშმარიტად ნიჭიერი კაცია. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კომპანიის მართვა ცუდად არის დაყენებული, მოგების მისაღებად

სათავეში პრაქტიკული კაცია საჭირო, აქამდე უიტსონთან შეთანხმებით ვმოქმედებდი, რადგან მისი წინადადებები საკმაოდ სასარგებლო იყო. ჩვენი საერთო აზრით, საჭიროა ცვლილებების შეტანა, ახლა გაჩნდა შესაძლებლობა სამოცდაათი აქციის ყიდვისა, რომელიც როსიტერის ქვრივს აქვს. ჩემი და შენი წილი კომპანიის კონტროლს შექმნიდა. ძალიან მინდა, რომ სწორედ შენ იყიდო ეს სამოცდაათი აქცია, თუმცა მისი შეპენა მეც ისევე შემიძლია. ერთი სიტყვით, სულ ერთია, ოღონდ კი შევინარჩუნოთ. მერე შენ ვისაც გინდა, იმას აირჩევ პრეზიდენტად და ყველაფერი რიგიანად აეწყობა.

ლესტერს გაეღიმა, წინადადება საყურადღებო ეჩვენა. უიტსონისგან იცოდა, რომ ამ კომპანიის საქმეებში რობერტს მისი მხარე ეჭირა და წინასწარ ხვდებოდა, რობერტს მასთან მორიგება რომ სურდა. მაშ, ეს არის ის ზეთისხილის ტოტი – მილიონნახევარი კაპიტალის მქონე კომპანიაზე კონტროლის სახით რომ მოვევლინა.

– ძალიან სასიამოვნო განაცხადია, საკმაოდ გულუხვი საჩუქარია შენი მხრივ, მაინც რამ მოგაფიქრა?

– მართალი გითხრა, ლესტერ, – დაიწყო რობერტმა, – მთელი ეს წლები მოსვენებას არ მაძლევდა ანდერძთან დაკავშირებული უსიამოვნო გრძნობა, რომ შენ დაკარგე მდივან-ხაზინადრის ადგილი და კიდევ ბევრი სხვა გაუგებრობანი, რაც მაშინ მოხდა. წარსულის ჩხრეკის დაწყებას არ ვაპირებ, ვხედავ, რომ გელიმება კიდევ, მაგრამ მაინც რატომ არ უნდა გაგანდო ჩემი აზრები? ადრე საკმაოდ პატივმოყვარე კაცი გახლდით. იმ დროს, როცა მამა გარდაიცვალა, ეტლების ტრესტის შექმნის გეგმა მქონდა ჩაფიქრებული და მეშინოდა, ვაითუ არ დამთანხმდეს-მეთქი. მას შემდეგ ხშირად ვფიქრობ, რომ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. ამ ძველი ამბის დაწვრილებით გარჩევა ახლა არ არის საინტერესო. ხოლო რითაც დღევანდელი საუბარი დავიწყე...

– შეეძლო ერთგვარი კომპენსაცია მოეხდინა, – მშვიდად ჩაურთო ლესტერმა.

– არც მთლად ეგრეა, ლესტერ... თუმცა, დაახლოებით ალბათ მაინც ასეა. მე მესმის, რომ ახლა ასეთ საქმეებს შენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. იმასაც ვხვდები, რომ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაშინ გველონა რამე და არა ახლა. მაგრამ, მე მაინც გულწრფელად მინდა ამ შემოთავაზებით შენი დაინტერესება. ვფიქრობ, დასაწყისად გამოდგება. მართალი გითხრა, მინდა ჩვენი ურთიერთობის აღდგენისაკენ ნაბიჯი გადავდგა. რაც უნდა იყოს, ძმები ვართ.

– დიახ, – ჩვენ ძმები ვართ, – დაუდასტურა ლესტერმა.

ლესტერის აზრით, უდიდესი ირონია იმალებოდა ამ სიტყვებში. ვითომ რა გაუკეთა რობერტის ძმობამ აქამდე? განა თვითონ რობერტმა არ აიძულა მისის ჯერალდზე დაქორწინებულიყო, თუმცა ამ ამბის გამო დატანჯული მხოლოდ ჯენი აღმოჩნდა. განა ლესტერი ახლაც არ განიცდის ჯენის ბედს? მართალია, რობერტს არ წაურთმევია მამისეული მემკვიდრეობის მეოთხედი, მაგრამ არც

მის მიღებაში დახმარებია. ახლა კი, თავისი ამ წინადადებით წარსულის გამოსწორებას ფიქრობს. არა, ასე არ ივარგებს. სისულელეა. საერთოდ, დიდი უცნაური რამ არის ეს ცხოვრება.

– არა, რობერტ, – მტკიცედ და გაბედულად წარმოთქვა ბოლოს ლესტერმა, ჩემთვის გასაგებია შენი მოსაზრებანი. მაგრამ რაღა მე ავიღო. ეს შემთხვევა შენ მოგეცა და შენვე უნდა გამოიყენო. მე არ მინდა. თუ შენ იყიდი ამ აქციებს, ყველა ღონისძიებაზე, რომელსაც საჭიროდ ჩათვლი, თანახმა ვიქნები. ახლა საკმაოდ მდიდარი ვარ. რაც იყო, იყო. მე უარს არა ვარ შენთან შეხვედრებსა და საუბრებზე. შენც ხომ მხოლოდ ეს გსურს. კომბინაცია კი, რაც ახლა შემომთავაზე, არის ძველი ჭრილობების მოსაშუშებელი მალამო. შენ თუ ჩემი თანაგრძნობა გსურს – კი ბატონო, იყოს ნება შენი. მე შენზე გაჯავრებული არა ვარ. არც არას დაგიშავებ.

რობერტმა ძმას შეხედა და გაეღიმა. როგორი ძველი წყენაც უნდა ჰქონოდა, ლესტერი მაინც შესანიშნავი ადამიანი იყო.

– იქნებ, შენ მართალი ხარ, ლესტერ, მაგრამ იცოდე, მე წვრილმანი მოსაზრებები არ მამოძრავებს. ნამდვილად შენთან შერიგება მინდოდა. მეტი აღარ გაგიხსენებ ამ ამბავს. ისე, ამ ახლო მომავალში ცინცინატში ხომ არ აპირებ ჩამოსვლას?

– მე მგონი, არა, – მიუგო ლესტერმა.

– მინდოდა ჩვენთან ჩამოსულიყავი. მეუღლეს ჩამოგეყვანა. ჩამოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ.

ლესტერს უსიამოვნოდ გაეღიმა.

– კეთილი, – ზრდილობიანად დაეთანხმა ლესტერი, თუმცა გუნებაში მაშინვე გაიფიქრა, ჯენის დროს ამ მოპატიჟებას ვერ ველირსეო. ვერაფრით აიძულა თავისიანები ჯენის ადამიანურად მოქცეოდნენ. «იქნებ არც ისინი არიან დამნაშავენი».

ძმებმა ცოტა კიდევ ილაპარაკეს. მერე ლესტერმა საათზე დაიხედა. – მე მალე უნდა წავიდე, საქმე მაქვს.

– მეც უნდა წავიდე, – თქვა

რობერტმა. ორივე წამოდგა.

– ასეა თუ ისე, – დაუმატა უფროსმა ძმამ კიბეზე ჩასვლისას, – მომავალში ასე უცხოებივით ნულარ ვიქნებით.

– რასაკვირველია, ერთმანეთი უნდა მოვინახულოთ, – დაუდასტურა ლესტერმა.

ძმებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ტკბილად დაშორდნენ. რობერტმა სწრაფად მიმავალ ლესტერს თვალი გააყოლა და გულში გაურკვეველი სინანული თუ მოვალეობის შეუსრულებლობის გამო უკმაყოფილება იგრძნო. ლესტერი ჭეშმარიტად რჩეული კაცია. მაინც, რატომ იყო, რომ თვით ჯენის გამოჩენამდეც კი მათ შორის რაღაც გამთიშველი ზღვარი არსებობდა. მერე რობერტს თავისი ძველისძველი «ბნელი გარიგებანი» გაახსენდა. დიახ,

სწორედ ეს არა აქვს ლესტერს – მისთვის უცხოა ვერაგობა, სისასტიკე. ეჰ, ეშმაკმა დალაზვროს!

ლესტერი, მართალია, ერთგვარი გაღიზიანებით, მაგრამ არცთუ მტრულად ფიქრობდა: «არა, რობერტი არც ისე ცუდი კაცია, ბევრ სხვას კიდევაც სჯობს. გაკიცხვას რას ვემართლები. ვინ იცის, რობერტის ადგილზე თვითონ როგორ მოიქცეოდა. რობერტს ფული ყელამდე აქვს. არც მას აკლია სიმდიდრე. ახლა გასაგებია, როგორ მოხდა ყოველივე, თვითონ რატომ გახდა მსხვერპლი, რატომ ერგო მამის ქონების მართვის უფლება რობერტს. რას იზამ, «ასეთია ცხოვრება», თუმცა სულ ერთი არ არის? მადლობა ღმერთს, თავის რჩენის საშუალება მაქვს. ჰოდა, საწუხარიც არაფერია».

სამოცდამეერთე თავი

რადაც ძველისძველი გამოთვლით, უფრო სწორად, საუკუნეების განმავლობაში ბიბლიით დაკანონებული ფორმულის მიხედვით, ადამიანს სამოცდაათი წელი ცხოვრება აქვს განკუთვნილი. თაობიდან თაობაზე გადმოსულმა ამ ფორმულამ მტკიცედ გაიდგა ფესვები ხალხის შეგნებაში, დამკვიდრდა, როგორც უცვლელი ჭეშმარიტება... სინამდვილეში კი ადამიანი, თუმცა მოკვდავად თვლის თავს, შეუძლია ხუთჯერ მეტხანს იცოცხლოს. დიახ, იგი გაცილებით გაიხანგრძლივებდა ცხოვრებას, თუ ირწმუნებდა, რომ ცოცხლობს არა სხეული, არამედ სული, რომ ასაკი მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი, რომ სიკვდილი არ არსებობს. მაგრამ საუკუნეებით განმტკიცებული ეს აზრი – რადაც გაუგებარი მატერიალისტური ჰიპოთეზის ნაყოფი – მეტისმეტად ძნელი ამოსაგდებაა ადამიანის გონებიდან. და აი, ადამიანები ყოველდღე იხოცებიან მათგანვე აღიარებული მათემატიკური ფორმულით დათრგუნვილები.

ამ ფორმულისა ლესტერსაც სჯეროდა. მან უკვე ორმოცდაათს გადააბიჯა. მისი აზრით, მხოლოდ ოცი წელი დარჩენოდა სიცოცხლე. ან იქნებ, უფრო ნაკლებიც. თუმცა რა, თავისი ცხოვრება უკვე გაატარა. სამდურავი არაფერზე ეთქმის, კარგად იცხოვრა. თუ სიკვდილი ესტუმრება, ისიც მზად არის. არც დაიჩვილებს და არც შეებრძოლება. უმეტეს შემთხვევაში, ცხოვრება მხოლოდ სულელური კომედიაა და მეტი არაფერი.

სადაც არ გაიხედავ, ყველგან ილუზიებია და ეს არცთუ ძნელი დასამტკიცებელია. იქნებ, ცხოვრება მართლაც ილუზიაა? ყოველ შემთხვევაში, იგი ძალიან წააგავს სიზმარს – უფრო ხშირად საშინელ სიზმარს. მაინც რით დასტურდება ცხოვრების რეალურობის შეცნობა? ადამიანებთან მოჩვენებითი ურთიერთობით: მმართველობის სხდომებით, ცალკეულ პირებთან და ორგანიზაციებთან სხვადასხვა საკითხზე მსჯელობით. ცოლის მიერ გამართული მიღებებით. ლეტი აღმერთებდა ლესტერს და საკუთარ ბრძენ ფილოსოფოსს ეძახდა. ჯენის მსგავსად, ისიც აღტაცებული იყო იმ შეუპოვ-

რობით, რასაც იგი გამოუვალ ვითარებაში ჩავარდნისას იჩენდა. არც ბედის გაღიმებას, არც მის დარტყმებს არ შეეძლო ლესტერის წონასწორობიდან გამოყვანა. შიშს არ ეპუებოდა. არ ღალატობდა თავის რწმენას, შეხედულებებს, სიმპათიებსა და ანტიპათიებს. ძალით თუ ააღებინებდით თავის რწმენაზე ხელს და იმასაც ყოველთვის როდი მოახერხებდით. მისი გამოთქმა რომ ვიხმართ, მას მხოლოდ «ფაქტების სახეში ცქერა» და ბრძოლა სურდა. ლესტერის საბრძოლველად წაქეზება ძნელი არ იყო, მაგრამ ეს ბრძოლა შეუპოვარ წინააღმდეგობაში გამოიხატებოდა. იგი ეწინააღმდეგებოდა ძალით ხელის კვრის ყოველგვარ ცდას. და თუ მაინცდამაინც ხელს ჰკრავდნენ, მისი აზრი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე კვლავ უცვლელი რჩებოდა.

ლესტერის შეხედულებები და მოთხოვნები ძირითადად მატერიალური ხასიათისა იყო. უყვარდა კომფორტი და ყველაფერი მხოლოდ საუკეთესო. საკმარისი იყო, სახლის მოწყობილობას ოდნავ ფერი შეეცვლოდა, რომ მაშინვე ოთახების ფარდების ჩამოხსნასა და ავეჯის გამოცვლას ითხოვდა. მოგზაურობისას ხომ ფულით იკაფავდა და იადვილებდა სავალ გზას. არ უყვარდა შეკამათება, ფუჭი მსჯელობა ანუ «უაზრო ყბედობა», როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე. ლესტერთან მისთვის საინტერესო თემაზე უნდა გესაუბრა, ანდა სულაც დადუმებულიყავი. ლეტიმ მშვენივრად შეიგნო ყოველივე ეს. ხუმრობით ლოყაზე ხელს უთათუნებდა, ხანაც თავზე ხელს შემოხვევდა და ეუბნებოდა: ნამდვილი დათვი ხარ, მაგრამ ძალიან სიმპათიური და საყვარელი დათვი.

– ვიცი, ვიცი – ჩაიბუზღუნებდა ლესტერი, – მე ცხოველი ვარ, შენ კი, ალბათ, ანგელოზივით უსხეულო არსება.

– კარგი, გაჩუმდი, – ეტყოდა ლეტი. რადგან ზოგჯერ, თუმცა უბოროტოდ, მაგრამ მაინც სტკენდა გულს. განაწყენებული პასუხის გაგონებისთანავე ლესტერი ფერებას და ალერსს იწყებდა. მან კარგად იცოდა, რომ თავისი სიმდიდრისა და ენერჯის მიუხედავად, ლეტი მაინც მასზე იყო დამოკიდებული. ლეტისთვის ცხადი იყო, რომ ლესტერს მშვენივრად შეეძლო უიმისობა. ლესტერს ეცოდებოდა ქალი, ცდილობდა ეს ყველაფერი დაეფარა, თავი ისე ეჭირა, თითქოს უიმისოდ ყოფნა უჭირდა, მაგრამ ლესტერი ვერც ლეტის ატყუებდა და ვერც საკუთარ თავს. ლეტი კი, მართლაც, მთელი ძალით იყო ლესტერს ჩაჭიდებული. ჩვენს მერყევსა და ცვალებად სამყაროში დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა გვერდით, ანდა გარეთ, სივლეში აბრიალებული კოცონის გვერდით ასეთი მყარი და მტკიცე ადამიანი გიდგას. თავს ისე გრძნობ, თითქოს ბნელ ოთახში ლამაზად მოციმციმე ლამპის გვერდით დგახარ, ანდა გარეთ, სიცივეში აბრიალებული კოცონის გვერდით. ლესტერს არაფრის ეშინია, მას სწამს, რომ ცხოვრებაც იცის და სიკვდილსაც არ შეუდრკება.

ასეთი უშრეტი ენერჯია, ბუნებრივია, ყოველ ნაბიჯზე და ყოველ საქმეში იჩენდა თავს. ახლა, როცა ლესტერმა მოაწესრიგა თავისი ფინანსური მდგომარეობა და სადავები ხელში აიღო, როცა მისი ქონების უმეტესობა

უმსხვილესი კომპანიების აქციებად იყო ქცეული, მას უკვე უამრავი თავისუფალი დრო ჰქონდა. ლეტისთან ერთად ბევრს მოგზაურობდა ევროპისა და ამერიკის მოდურ კურორტებზე. მერე აზარტულ თამაშებსაც მიჰყო ხელი. მოსწონდა მსხვილი თანხის ჩამოსვლა, რისკის გაწევა. არც ღვინის სმაზე ამბობდა უარს, რა თქმა უნდა, არ ლოთობდა, მაგრამ, როგორც მამაკაცებს სჩვევიათ, საკუთარი სიამოვნებისთვის მეგობრებთან დროსტარებას ესწრაფოდა. ხან გაუზავებელ ვისკის სვამდა, ხანაც საუკეთესო ღვინოებს – შამპანურს, შუმხუნა ბურგუნდიულს, სულის გამამხიარულებელ ძვირფას ღვინოებს. შეეძლო ბევრი ესვა და ეჭამა. ყველაფერი რაც კი სუფრაზე მოჰქონდათ, – საუზმე, წვენი, თევზი, შემწვარი თუ ნანადირევი – ყველაფერი საუკეთესო ხარისხის უნდა ყოფილიყო. რა ხანია, წესად აქცია, მზარეული მხოლოდ მაღალი რანგისა ჰყოლოდა. მართლაც, მოძებნეს და დაიქირავეს ერთ დროს მილიონერ მანუფაქტურისტთან ნამუშევარი მოხუცი ფრანგი, ლუი ბარდოლესტერი. მას კვირაში ას დოლარს უხდიდა. ამ თანხის გამგონე, გაოცებული ადამიანების შეკითხვებს ასე პასუხობდა: ამქვეყნად ერთხელ ვცხოვრობ.

ამ აზრებისა და შეხედულების მქონე ლესტერს არაფრის შეცვლა ან შესწორება არ შეეძლო. ყველაფერი მისგან დამოუკიდებლად, რაღაც გამოუცნობი მიზნისკენ მიედინებოდა. ჯენიზე რომ დაქორწინებულიყო და შედარებით მცირე შემოსავალი ჰქონოდა, მაგალითად: ათი ათასი დოლარი წლიურად, ამ შეხედულებებზე უარს მაინც არ იტყოდა. მაშინ თავისუფლად იცხოვრებდა, ორი-სამი მეგობრის ამარა. მათთან საერთო ენას გამონახავდა.

კეინების ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ისინი ნიუ-იორკში გადავიდნენ. მისის კეინის მეგობრებს შორის რამდენი ჰქვიანი ქალი ერია, აღმოსავლეთის მხარის – ახალი ინგლისის იმ ოთხასი საუკეთესო ოჯახის წარმომადგენელმა ქალებმა ლეტის ნიუ-იორკში გადასვლა ურჩიეს. მართლაც, ლეტიმ დაიქირავა სახლი სამოცდამეთვრამეტე ქუჩაზე, მედისონ ავენიუს მახლობლად. თითოეული ოთახი გარკვეული ისტორიული ეპოქის სტილის მიხედვით გააწყო და პირველად აიყვანა ლივრეიანი ლაქიები, ზუსტად ინგლისურ ყაიდაზე. ლესტერი დასცინოდა ლეტის პატივმოყვარეობას, მის დაუოკებელ სწრაფვას მდიდრული მორთულობისადმი.

– შენ კიდევ დემოკრატიზაზე სდებ თავს, – ბუზღუნით უთხრა ერთხელ ლესტერმა, – შენ ისეთივე დემოკრატი ხარ, როგორც მე მორწმუნე ქრისტიანი.

– რატომ ამბობ მაგას! – შეედავა ქალი. – სწორედაც, რომ დემოკრატი ვარ, მაგრამ ჩვენ ჩვენი კლასის შვილებად ვრჩებით. შენც ასევე. მე, უბრალოდ, მდგომარეობის ლოგიკას ვემორჩილები.

– ეგ დიდდაშენის ლოგიკაა! იქნებ, ისიცა თქვა, წითელ ხავერდში გამოწყობილი მსახურთუფროსი და ლაქიები აუცილებლობით არისო გამოწვეული?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ლეტიმ, – თუ აუცილებლობით არა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცხოვრების მოთხოვნით. მაინც რა გაღელვებს? განა შენ

თვითონ არ მოითხოვ, რომ ყველაფერი სრულყოფილად იყოს, უმნიშვნელო წუნიც კი არ გრჩება შეუმჩნეველი.

– კი, მაგრამ როდის მნახე აღელვებული, განრისხებული?

– იქნებ, სწორად ვერ გამოვთქვი. მაგრამ ის ხომ გასურს, რომ ყველაფერი იდეალურად იყოს, ყველაფერს თავისი სტილი ესადაგებოდეს... განა შენ თვითონ არ იცი?

– ვთქვამთ, ეს ასეა, მაგრამ შენი დემოკრატიზაცია რაში ჩანს?

– დიახ, მე ჭეშმარიტი დემოკრატი ვარ, ამას ვერავინ წამართმევს. მე ჩემი სულით ყველა დემოკრატიზე უფრო დემოკრატი ვარ. უბრალოდ, საღად ვუყურებ ყველაფერს და შეძლებისდაგვარად უარს არაფერზე ვამბობ, ისევე, როგორც შენ. თუ შეიძლება, ჩემს შუშის სახლს ქვებს ნუ უშენ, ბატონო მეუფე. შენი სახლიც გაემჭვირვალა და შენს ყოველ მოძრაობას ვხედავთ.

– რაც უნდა თქვა, დემოკრატი მაინც მე ვარ და არა შენ, – აღიზიანებდა ლესტერი.

სინამდვილეში, ლესტერს ყველაფერი მოსწონდა, რასაც ლეტი აკეთებდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, რომ ის უფრო ჭკვიანურად მართავდა თავის სამყაროს, ვიდრე ლესტერი თავისას.

გაუთავებელმა ჭამა-სმამ, ნაირნაირმა სამკურნალო წყლებმა, მდიდრულმა და ნებიერმა მოგზაურობებმა, ფიზიკური დატვირთვის უგულვებელყოფამ შეარყია ლესტერის ჯანმრთელობა, სისხლის სიჭარბე ამუხროუჭებდა ოდესღაც ძლიერი და მოძრავი სხეულის ყველა ფუნქციას. რა ხანია, გადატვირთულად მუშაობდა კუჭი, ღვიძლი, თირკმელები, ელენთა. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ძალიან გასუქდა. თირკმელები დაუავადდა, მერე სისხლძარღვებმაც უმტყუნეს. ლესტერს რომ ზომიერად ეჭამა და ესვა, ევარჯიშა და სულიერი სიმხნევე შეენარჩუნებინა, იქნებ, ოთხმოც, ოთხმოცდაათ წლამდე ეცოცხლა. მაგრამ ასეთი ცხოვრებით თავისი ჯანმრთელობა იმ დონემდე მიიყვანა, რომ პატარა ავადმყოფობასაც კი შეეძლო მისი წაქცევა. არც ამ შედეგმა დააყოვნა.

ერთხელ ლესტერი და ლეტი მეგობრებთან ერთად ნორვეგიის ჩრდილო სანაპიროებისკენ გაემგზავრნენ. ნოემბრის ბოლოს, რაღაც მნიშვნელოვანი საქმის გამო, ლესტერი იძულებული გახდა ჩიკაგოში დაბრუნებულიყო. ცოლს შეუთანხმდა, რომ საშობაოდ ნიუ-იორკში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მერე უიტსონს აცნობა, ჩამოვდივარ და შემხვდით. ჩიკაგოში ჩამოსული ლესტერი «აუდიტორიუმში» გაჩერდა, ვინაიდან იქაური სახლი უკვე ორი წლის გაყიდული ჰქონდა.

ნოემბრის ბოლო რიცხვებისთვის ლესტერმა ძირითადად მოათავა თავისი საქმე, მაგრამ უცხად თავი ცუდად იგრძნო. ექიმის ვარაუდით ნაწლავების მოშლა ჰქონდა, რაც ხშირ შემთხვევაში, რომელიმე მნიშვნელოვანი ორგანოს ან სულაც სისხლის საერთო დაავადების შედეგი იყო. ლესტერს ძლიერი ტკივილები ტანჯავდა, ექიმმა საჭირო წამლები და მდოგვის საფენები გამოუწერა. ფეხები თბილად შეიხვიეო, დაარიგა. ტკივილი გაუყუჩდა, მაგრამ

მთელი არსებით უბედურების მოახლოებას გრძნობდა. მერე უიტსონს სთხოვა, ლეტის დეპეშა გაუგზავნე, შეატყობინე, ავად რომ ვარ, მაგრამ არ შეაშინო. ლესტერის საწოლთან ექთანს მორიგეობდა, კართან მდგარი ლაქია კი ავადმყოფს მომაბეზრებელ მნახველებს არიდებდა. ლეტი ჩიკაგოში სამ კვირაზე ადრე ვერ ჩამოვიდოდა. ლესტერი გრძნობდა, რომ მას ველარასოდეს ნახავდა.

საოცარი იყო, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი სულ ჯენიზე ფიქრობდა, იმიტომ კი არა, რომ ჩიკაგოში იმყოფებოდა, არა, უბრალოდ, მისთვის ყველაზე ახლობელი ისევ ჯენი გახლდათ. ლესტერს განზრახული ჰქონდა, როგორც კი ცოტას მოიცილიდა, ჯენი ენახა. პირველსავე დღეს მოიკითხა, უიტსონმა უთხრა, ძველებურად განმარტოებით ცხოვრობს, მაგრამ კარგად გამოიყურებაო. ლესტერს ძალიან უნდოდა მისი ნახვა.

დღე დღეს მისდევდა, ლესტერის მდგომარეობა უარესდებოდა, არადა, ჯენის ნახვის სურვილი თანდათან უძლიერდებოდა. ლესტერს ძლიერი ტკივილები აწუხებდა, მთელ შიგნეულს უღრღნიდა, ძალას აცლიდა. ტკივილების გასაყუჩებლად ექიმმა რამდენჯერმე მორფიუმი გაუკეთა.

ერთხელ მეტად ძლიერი შეტევის შემდეგ ლესტერმა უიტსონი იხმო და მომვლელ ქალს ოთახიდან გასვლა სთხოვა.

– მისტერ უიტსონ, ერთი სამსახური უნდა გამიწიოთ, სთხოვეთ მისის სტოვერს, რომ მნახოს. ყველაფერს აჯობებს თუ თქვენ თვითონ ნახავთ. მომვლელი ქალი და კოზო (მისი ლაქია) ჯენის მოსვლის დროისთვის სხვაგან გაგზავნეთ, როცა უნდა მოვიდეს, შემოუშვით.

უიტსონი ყველაფერს მიხვდა და ლესტერის გრძნობებს უთანაგრძნო. მას ეცოდებოდა ჯენი. ეცოდებოდა ლესტერიც. ალბათ, როგორ გაიკვირვებს საზოგადოება, ასეთი დიდი კაცის რომანტიკული ამბავი რომ გაიგოსო, – ფიქრობდა უიტსონი და, ლესტერისადმი ღრმა პატივისცემით გამსჭვალული, მზად იყო მის სამსახურად, უიტსონი თავის კეთილდღეობას ამ კაცს უნდა უმადლოდეს.

უიტსონმა ეტლი დაიქირავა და ქალაქის სამხრეთისკენ გააქროლა. ყვავილების რწყვაში გართულმა ჯენიმ უიტსონის დანახვაზე გაკვირვებით აზიდა წარბები.

– თქვენთან სამწუხარო დავალებით ვარ მოსული, მისის სტოვერ, – დაიწყო მან, – თქვენი... დიახ, უნდა მოგახსენოთ, რომ მისტერ კენი მძიმედ არის ავად. ახლა «აუდიტორიუმში» წევს. მეუღლე ჯერ არ დაბრუნებულა, ევროპაშია. ლესტერმა დამავალა, თქვენთან მოვსულიყავი და მეთქვა, რომ თქვენი ნახვა სურს. ისიც მთხოვა, თუ შესაძლებელი იქნება, თან წამოიყვანეო... იქნებ, შეძლოთ და ახლავე წამომყვეთ?

– ჰო, რასაკვირველია, – მიუგო ჯენიმ, თუმცა სახეზე უცნაური გაოგნება ეხატა.

ბავშვები სკოლაში იყვნენ. მოხუცი შვედი ქალი, მისი ერთადერთი მოახლე, სამზარეულოში იჯდა. ჯენის დაუბრკოლებლად შეეძლო გაჰყოლოდა.

უეცრად ამ რამდენიმე დღის წინ ნანახი სიზმარი გაახსენდა. დაესიზმრა, ვითომ მის ირგვლივ რაღაც იდუმალი, შავი ტბა ირწეოდა. ტბას ნისლი თუ შავი ღრუბელი დასწოლოდა. მოესმა წყლის სუსტი ტყლაშუნიც და გარემომცველი სიბნელიდან უიალქნო ნავი გამოცურდა. ნავი თავისით მოძრაობდა, შიგ დედა, ვესტა და კიდევ ვიღაც იჯდა, სახე კარგად ვერ გაარჩია. დედას, როგორც ყოველთვის, ფერმკრთალი და ნაღვლიანი სახე ჰქონდა. ჯენის მკაცრი, მაგრამ თანაგრძნობით სავსე თვალებით უყურებდა, მერე უცებ ჯენი მიხვდა, რომ ის მესამე ლესტერი იყო. ნაღვლიანად იყურებოდა, ასეთი არასოდეს ახსოვს, მერე დედამ წარმოთქვა: ახლა გვეყოფა, უნდა წავიდეთ». ნავი ამოდრავდა და მათი დამორებით შეძრწუნებულმა ჯენიმ ხმამაღლა დაიყვირა: დედა, მარტო ნუ დამიტოვებ! _ მაგრამ დედამ ნაღვლიანი, მორჩილი თვალებით მოხედა და ნავიც გაუჩინარდა.

ჯენის შიშით გამოელვია. მოეჩვენა, რომ ლესტერი მის გვერდით იწვა. ხელიც კი გაიშვირა მხარზე შესახებად, მაგრამ უმალ მოეგო გონს, მიხვდა, მარტო იყო. ლოგინზე წამოჯდა და თვალები ამოიწმინდა. მერე, მთელი ორი დღე, რაღაც მძიმე ლოდივით აწვა გულზე და აგერ მისტერ უიტსონი კიდევ გამოცხადდა საშინელი ამბით.

ჯენი ოთახიდან გავიდა, წუთიც და უკვე პალტოსა და ქუდში გამოწყობილი დაბრუნდა. მისი სიარულიც და სახეც აშკარა ნერვულობაზე მეტყველებდა. ჯენი ახლაც ძალიან კარგი შესახედავი იყო. ტანადსა და მშვენივრად ჩაცმულ ქალს ნათელი, კეთილი თვალები უბრწყინავდა. სულიერად იგი ლესტერს არასოდეს დასცილებია, ისევე, როგორც ლესტერმა ვერ შეძლო სამუდამოდ მისი გულიდან ამოღება. ჯენის ყველა აზრი და ფიქრი კვლავ ლესტერთან იყო დაკავშირებული. ყველაზე სანუკვარი მოგონება მაინც კლივლენდს უტრიალებდა. იმ დროს, როცა ლესტერმა გასაქანი არ მისცა, სამუდამოდ მოხიბლა და დაიპყრო. ალბათ, ასეთი ძალით ხიბლავდა გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანი თავის სატრფოს. ახლა ჯენის გულით ეწადა ლესტერს დახმარებოდა. დიახ, ლესტერმა კაცი გამოუგზავნა. ამ ამბავმა ერთიანად შეარყია ჯენის არსება, ესე იგი, ლესტერს კვლავ... კვლავ უყვარს!

ეტლი სწრაფად მიქროდა ქალაქის საქმიანი ნაწილის დანისლულ გრძელ ქუჩებში. ვექილი თავაზიანად დუმდა, ჯენის ფიქრებს არ ურღვევდა. მალე მიადგნენ კიდევ «აუდიტორიუმის» შენობას. უიტსონმა იმ ოთახამდე მიაცილა, სადაც ლესტერი

იწვა. ხალხში გამოჩენას გადაჩვეული ჯენი მოკრძალებით მიაბიჯებდა სასტუმროს გრძელ დერეფანში. ჯენი ნომერში შევიდა, ლესტერის საწოლს მიუახლოვდა და ადგილზევე გაქვავდა. ფართოდ გაღებული ცისფერი თვალებით სიბრალოლით მიაჩერდა ავადმყოფს. სანახევროდ წამოწოლილ ლესტერს ბალიშზე თავი გადაეგდო, შავ თმაში ჭაღარა გამორეოდა. მისი ჭკვიანი დაღლილი თვალები ალერსიანი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ჯენის. ქალს გული შეეკუმშა ამ ფერმკრთალი, გაწამებული სახის დანახვაზე,

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

წყნარად შეხედა საბნის ზემოთ ამოწეულ ხელებს, მერე დაიხარა და ტუჩებში აკოცა.

– ძალიან დამაღონა შენმა ავადმყოფობამ, ლესტერ, მაგრამ ვფიქრობ, არც ასეა საქმე, უთუოდ მალე მომჯობინდები, ძალიან მალე, – ჩურჩულით თქვა და ნელა გადაუსვა ხელი ხელზე.

– ჰო, ჯენი, მაგრამ ჩემი საქმე ცუდად არის, ავადმყოფობა აღარ ხუმრობს. არა მგონია, ამ ჭირს დავუძვრე. ჯობს, ისევ შენ მიაშხო, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ?

– აბა, რა გითხრა, ვცხოვრობ ძველებურად, ჩემო კარგო, არა მიშავს რა. შენ კი ტყუილად ლაპარაკობ ეგრე. რასაკვირველია, გამოჯანმრთელდები და თანაც ძალიან მალე.

ლესტერს მწარედ გაეღიმა.

– ვითომ ეგრე გგონია? – წყნარად წარმოთქვა და დაეჭვებით გააქნია თავი. – თუმცა ეგ არაფერი, დაჯექი, ძვირფასო. მინდა ძველებურად გელაპარაკო. მინდა ჩემ გვერდით იყო.

ლესტერმა ამოიოხრა და თვალები დახუჭა.

ჯენიმ სკამი ლესტერის საწოლთან მიაჩოჩა და მისი ხელი აიღო, რა კარგი ქნა, რომ მიხმო! – ფიქრობდა ქალი. სიბრალულით, სიყვარულით, მადლიერების გრძნობით ჰქონდა გული სავსე. ჯენის შიშისგან ელდა ეცა: ლესტერი, მართლაც მეტად მძიმე ავადმყოფი იყო.

– არ ვიცი, როგორ და რა იქნება, – თქვა ლესტერმა. – ლეტი ევროპაშია. რა ხანია, შენი ნახვა მინდოდა, გადაწყვეტილი მქონდა ამ ჩამოსვლაზე მენახე. ალბათ, იცი, ჩვენ ახლა ნიუ-იორკში ვცხოვრობთ. შენ ცოტა გასუქებულხარ, ჯენი.

– ვბერდები, ლესტერ, – გაეღიმა ჯენის.

– ეგ არაფერი, – თვალმოუშორებლად წარმოთქვა ლესტერმა, – საქმე ასაკი არ არის. ყველა ბერდება. საქმე ისაა, ცხოვრებას ვინ რა თვალთ უყურებს.

ლესტერი დადუმდა და თვალები ჭერს მიაპყრო. ყრუ ტკივილმა სულ ახლახან გადატანილი მწვავე შეტევა გაახსენა. ამგვარი ტკივილი რამდენჯერმე რომ გამეორდეს, ცხადია, ვეღარ გადაიტანს.

– შენს უნახავად სიკვდილი არ შემეძლო, – წამოილაპარაკა მან, როდესაც ტკივილმა გაუარა. – დიდი ხანია, მინდა გითხრა, ჯენი, რომ ტყუილად დავცილდით ერთმანეთს. ახლა ვხედავ, არ იყო საჭირო. ამ ამბავს ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია, უნდა მაპატიო. ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა, ასე რომ არ მოვქცეულიყავი.

– რას ამბობ, ლესტერ, – შეეპასუხა ჯენი და გონებაში უეცრად ერთად გატარებულმა მთელმა ცხოვრებამ გაუელვა. აი, მთელი მათი ურთიერთობის, მათი ჭკმმარტი სულიერი სიახლოვის დასტური. – თავს ნუ იწამებ, ასეც ყველაფერი კარგად არის. შენ ისეთი კეთილი იყავი ჩემ მიმართ. ჩემი გულისთვის მთელ ქონებას ხომ არ დაკარგავდი. თვითონ მეც ასე უფრო

მშვიდად ვარ. რა თქმა უნდა, გამიჭირდა, მძიმე დღეები მქონდა, მაგრამ რა აღარ შეგხვდება ცხოვრებაში, ყველაფერს უნდა გაუძლო.

ჯენი დადუმდა.

– არა, ჯენი, ეს შეცდომა იყო. თავიდანვე ვერ აეწყო, მაგრამ შენ არა ხარ დამნაშავე. მაპატიე, ჩემო კარგო. რა ხანია, ეს მინდა გითხრა, კიდევ კარგი, რომ მოვასწარი და გითხარი.

– ეგრე ნუ ლაპარაკობ, ლესტერ, გეხვეწები, – შეევედრა ჯენი, – ყველაფერი რიგზეა. არაფერი მაქვს სასაყვედურო. რამდენი რამ გამიკეთე, როცა გავიფიქრებ ხოლმე... – ქალს ხმა ჩაუწყდა, სიყვარული და სიბრაღეული ახრჩობდა. უხმოდ უჭერდა ხელს ლესტერს. გაახსენდა კლივლენდის სახლი, მისიანებს რომ უყიდა ლესტერმა. მერე როგორ შეიფარა მამამისი და, საერთოდ, რამდენი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა.

– ჰოდა, ახლა, როცა ყველაფერი გითხარი, ცოტა გულზე მომეშვა. შენ კარგი ქალი ხარ, ჯენი. მაღლობელი ვარ, რომ მოხვედი. მე შენ მიყვარდი. ახლაც მიყვარხარ, სიმართლე გითხრა, ამის თქმაც მინდოდა. თითქოს უცნაურია, მაგრამ ნამდვილი სიყვარულით შენს მეტი არავინ მყვარებია. ჩვენ არ უნდა დავშორებულიყავით.

ჯენის სუნთქვა შეეკრა. ამ სიტყვებს, მხოლოდ ამ სიტყვებს ელოდა ჯენი, ელოდა, ძალიან დიდხანს. ერთადერთი, რაც მას აკლდა, სწორედ ეს სიტყვები იყო, მათი სულიერი სიახლოვის დასტური. ამის შემდეგ მისი ცხოვრება ბედნიერება იქნება. თვით სიკვდილიც კი... ჯენის ქვითინი ახრჩობდა.

– ოჰ, ლესტერ! – წამოიძახა და ხელზე ხელი მოუჭირა.

ლესტერმაც ხელის სუსტი მოჭერით უპასუხა. ერთხანს ორივე დუმდა. მერე ისევ ლესტერი ალაპარაკდა...

– როგორ არიან შენი ობლები?

– კარგი ბავშვები არიან, – მიუგო ქალმა და დაწვრილებით მოუყვა თავისი პატარების ამბავს... ლესტერი კმაყოფილებით უსმენდა, ჯენის ხმა ამშვიდებდა. თვითონ ჯენის აქ ყოფნა ახარებდა. მერე, როცა ჯენი წასასვლელად წამოდგა, წარბები შეიკრა.

– მიდიხარ, ჯენი?

– არა, შემოდღია დავრჩე, აქვე ნომერს დავიქირავებ, შინ წერილს გავაგზავნი, მისის სტივენსონს მდგომარეობას ვაცნობებ და ყველაფერი მოგვარდება.

– არა, რა საჭიროა, – უთხრა ლესტერმა. მაგრამ ჯენი მიხვდა, რომ ლესტერი ვერ ელეოდა, მარტოდარჩენისეშინოდა.

მართლაც, ლესტერის უკანასკნელამოსუნთქვამდე ჯენის ასტუმროდან აღარ გასულა.

ლესტერი ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მთელი ამ ხნის მანძილზე ჯენი ავადმყოფის საწოლს არ მოშორებია. მომვლელ ქალს სიამოვნებდა, შემცვლელი რომ გაუჩნდა, მარტო აღარ იყო, ექიმმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ლესტერთან კამათი შეუძლებელი აღმოჩნდა.

– მე ვკვდები და არა თქვენ, – მწარე ირონიით წარმოთქვა ლესტერმა, – ჰოდა, მომეცით საშუალება, როგორც მინდა, ისე მოვკვდე.

უიტსონს გაეღიმა. ასეთი შეუდრეკელი მომაკვდავი აროდეს ენახა.

ლესტერს წერდნენ წერილებს, ტელეფონით იგებდნენ მისი ჯანმრთელობის

ამბებს, უგზავნიდნენ სავიზიტო ბარათებს, გაზეთშიც გამოქვეყნდა ცნობა მისი ავადმყოფობის შესახებ. რობერტმა წაიკითხა ეს ცნობა და ჩიკაგოში გამგზავრება გადაწყვიტა. ლესტერი ინახულა იმოჯინმა და მისმა ქმარმა. ჯენი იმ დროს თავის ნომერში შევიდა. ისინი კი სულ რამდენიმე წუთით შეუშვეს ავადმყოფთან. ლესტერს თითქმის ხმა არ ამოუღია, მომვლელმა ქალმა მნახველები გააფრთხილა, ლაპარაკით არ დალალოთო.

– იმოჯინი ძალიან გამოცვლილა, – თქვა ლესტერმა, როცა მასთან მერე ჯენი შევიდა.

მისი გარდაცვალების საღამოს გემი, რომლითაც მისის კეინი ბრუნდებოდა, ნიუ-იორკიდან სამი დღის სავალზე იყო. ბოლო დღეებში ლესტერი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, კიდევ რა გაეკეთებინა ჯენისთვის, მაგრამ მაინც ვერაფერი გადაწყვიტა. იქნებ, კიდევ დაუტოვოს ფული? მაგრამ რა აზრი აქვს, ჯენის ფული არ სჭირდება, მერე მისი ფიქრი ლეტის გადასწვდა, ნეტავ ახლა სად არის, როდის მოაღწევს ჩიკაგომდე, ამის გაფიქრება და ძლიერი ტკივილების დაწყება ერთი იყო, მაგრამ ვიდრე ნემსს გაუკეთებდნენ, სიკვდილს ეზიარა. როგორც ბოლოს გამოირკვა, ლესტერი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა და არა ნაწლავების დაავადებით.

უძილო ღამეებისგან გადაქანცული, გაოგნებული ჯენი თითქოს გაქვავდა მწუხარებისგან. ლესტერი იმდენ ხანს მეფობდა მის გრძნობებზე, რომ ეგონა, საკუთარი სიცოცხლეც დამთავრდაო. ჯენის ისე უყვარდა ლესტერი, როგორც, ალბათ, სხვა არავინ ეყვარებოდა. ლესტერიც ახერხებდა ეჩვენებინა, რამდენად ძვირფასი იყო ჯენი მისთვის. დამწუხრებული ჯენი არ ტიროდა, უცნაურ ყრუ ტკივილს გრძნობდა, რაღაც ბოჭავდა ყველა მის გრძნობას. ლესტერი – მისი ლესტერი, სიკვდილის დროსაც ძლიერი ჩანდა. მშვიდი სახე ჰქონდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, მტკიცე და გამომწვევი. მისის კეინისგან ცნობა მოვიდა, ოთხშაბათს ჩამოვდივარო. გადაწყდა, დასაფლავება უნდა გადაედოთ. ჯენიმ მისტერ უიტსონისგან გაიგო, რომ ცხედარი ცინცინატში მიჰქონდათ პეისების საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალად. მერე, როცა ნათესავებმა იწყეს ჩამოსვლა, ჯენი შინ წამოვიდა: იქ უკვე აღარაფერი ესაქმებოდა.

სამგლოვიარო ცერემონია თავისებური ილუსტრაციაა იმისა, რამდენ უკუღმართობას მოიცავს ჩვენი ცხოვრება. მისის კეინს ტელეგრაფით

შეტყობინეს, რომ ლესტერის ცხედარს სასტუმროდან იმოჯინის სახლში გადაიტანდნენ. კუბოს შეუდგებოდნენ რობერტი, რომელიც ჩიკაგოში ძმის

სიკვდილის შემდეგ რამდენიმე საათში ჩამოვიდა, ბერი დოჯი, იმოჯინის ქმარი მისტერ მიჯლი და კიდევ სამი საპატიო ჯენტლმენი. ბუფალოდან ლუიზა და მისი ქმარი ჩამოვიდნენ, ცინცინატიდან კი _ ემი და მისი ქმარი. სახლში ტევა აღარ იყო, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ვინ გულწრფელი სურვილით მოსულიყო ცხედართან გამოსამშვიდობებლად, _ ვინაც მხოლოდ ზრდილობისთვის. ლესტერი და მისი ახლობლები თავს კათოლიკებად თვლიდნენ, ამიტომაც სამგლოვიარო წესების სრულყოფისთვის კათოლიკე მღვდელი მოიწვიეს. ლესტერი იწვა მისთვის უცხო სახლის დარბაზში, თავსა და ფეხებთან გრძელი სანთლები ენთო, სანთლისმაგვარ თითებში ვერცხლის ჯვარცმა ეჭირა. ლესტერს რომ საკუთარი თავი დაენახა, ალბათ, გაელიმებოდა. კეინების ოჯახი ხომ წმინდად იცავდა ტრადიციულ ჩვეულებებს. სამღვდელოება, რა თქმა უნდა, მზად იყო მომსახურებოდა. რჩეული, მდიდარი, პატივცემული ოჯახი იყო და სხვა რაღა უნდოდათ.

მისის კეინი ჩიკაგოში ოთხშაბათს ჩამოვიდა. უსაზღვრო იყო მისი მწუხარება. ჯენის მსგავსად, მასაც მთელი გულით უყვარდა ლესტერი. გვიან ღამით, როცა სახლში ყველაფერი მიყუჩდა, სასტუმრო ოთახში შევიდა და კუბოსთან თავდახრილი დადგა. დიდხანს უცქირა სანთლების მბჟუტავი შუქით განათებულ საყვარელ სახეს. ცრემლები დაპალუპით სდიოდა ლოყებზე. იგონებდა ლესტერთან გატარებულ ბედნიერ დღეებს... _ «ჩემი საბრალო, ჩემი კარგი ლესტერი!», «საბრალო, შეუდრეკელი სული!» _ ჩურჩულებდა ქალი და ლესტერის გაყინულ ხელებსა და ლოყებს ხელს უსვამდა. სიკვდილის წინ რომ ჯენი იხმო, მისთვის არავის გაუმხელია. საერთოდ, კეინების ოჯახში ეს ამბავი არავინ იცოდა.

სწორედ ამ დროს ქალაქის სამხრეთით მდებარე პატარა სახლში ძვირფასი ადამიანის დაკარგვით მწარედ იტანჯებოდა მარტოდმარტო მყოფი ჯენი. მთელი ამ წლების მანძილზე, სადაც გულის კუნჭულში, იმედის ნაპერწკალი უღვიოდა, იქნებ, ოდესმე დამიბრუნდესო. დიახ, იგი, მართლაც, დაუბრუნდა. დაუბრუნდა სიკვდილის წინ და აი, ისევ წავიდა, სად? იქ, სადაც წავიდა დედა, მამა, სადაც წავიდა ვესტა. ლესტერისთვის თვალის შევლების იმედი უკვე აღარ ჰქონდა. გაზეთები იუწყებოდნენ, ლესტერის ცხედარი მისტერ მიჯლის სახლში გადაასვენესო, _ მერე სამხრეთის მხარეს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კათოლიკურ ეკლესიაში აუგებდნენ წესს და იქიდან ცინცინატში წაიღებდნენ.

ჯენისთვის ეს ახალი დარტყმა იყო. იმედოვნებდა, რომ ლესტერს ჩიკაგოში დაასაფლავებდნენ, ხანდახან მაინც მივიდოდა საფლავზე. ამის შესაძლებლობაც მოუსპეს. ჯენი საკუთარი თავის პატრონი აროდეს ყოფილა. ერთთავად სხვები განაგებდნენ მის ბედ-იღბალს. ლესტერის ცინცინატში დასაფლავებას განიცდიდა, როგორც უკანასკნელ, საბოლოო განშორებას. თითქოს მანძილს რაიმეს შეცვლა შეეძლო. ბოლოს მაინც ეკლესიაში მალულად შეპარვა და სამგლოვიარო ცერემონიალზე დასწრება გადაწყვიტა; როგორც გაზეთი იუწყებოდა, საეკლესიო მსახურება ორ საათზე იწყებოდა: ოთხ საათზე

ცხედარს სადგურზე გადაიტანდნენ, ნათესავები გაჰყვებოდნენ ცინცინატში. ჯენიმ აზრი იცვალა, შეეძლო სადგურშიც გაჰყოლოდა.

ვიდრე სამგლოვიარო კორტეჟი ეკლესიას მიაღწევდა, შავ კაბაში გამოწყობილი, სქელი პირბადიანი ქალი განის კარიდან ეკლესიაში შევიდა და ბნელ კუთხეში მოკრძალებით დაჯდა. ცარიელ, ჩაბნელებულ ეკლესიაში ჯენის ეჭვი აღედგრა, იქნებ, სწორად ვერ დავიმახსოვრე დრო და ადგილიო, მაგრამ მისი ეჭვი ხანმოკლე აღმოჩნდა. ათი წუთის შემდეგ სამგლოვიარო ზარის ხმა შემოესმა, გამოჩნდა შავსამოსიანი მსახური, რომელსაც ზემოდან თეთრი სტიქარი ეფინა, საკურთხეველთან სანთლები აანთო, გუნდის მხრიდან ყრუ ნაბიჯების ხმა მოესმა, _ ეს მაგალობლები იკავებდნენ თავიანთ ადგილებს. მერე შემოვიდნენ და სკამებზე დასხდნენ ვილაცები, ალბათ, ნაცნობები თუ იყვნენ, რომელთაც განსაკუთრებული მოწვევა არ ჰქონდათ, ან სულაც ზარის ხმის გაგონებაზე შემთხვევით შემოსული გამვლელები.

ჯენი გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით. კათოლიკურ ეკლესიაში არასოდეს ყოფილა. ფერადშუშებიანმა ისრისებურმა თაღებმა, თეთრმა საკურთხეველმა, ოქროსფრად მოპარპალე სანთლებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჯენიზე. ასეთი სილამაზისა და იდუმალების შეგრძნებამ დარდი და ნაღველი კიდევ უფრო გაუძლიერა. ასე ეგონა, რომ წინ საკუთარი ცხოვრება გადაეშალა, მთელი თავისი ბურუსიანი გაურკვეველობით.

ზარი ისევ რეკავდა და რეკავდა, სამოსსაცავიდან ბიჭების პროცესია გამოჩნდა, წინ ყველაზე პატარა მოუძლოდათ, თერთმეტიოდე წლის მშვენიერ ბავშვს ვერცხლის ელვარე ჯვარი მოჰქონდა. დანარჩენები წყვილ-წყვილად დაწყობილიყვნენ და ხელში დიდი, ანთებული სანთლები ეჭირათ. უკან, ორი მსახურის თანხლებით, შავანაფორიანი მღვდელი მოდიოდა. პროცესია მთავარი შესასვლელის კარიბჭესთან გაუჩინარდა. გავიდა რამდენიმე წუთი და ორმა გუნდმა ლათინურ ენაზე დაიწყო ხმაშეწყობილი გალობა.

გალობის დაწყებისთანავე ეკლესიის კარი გაიღო და კვლავ ვერცხლის ჯვარი, სანთლები და მკაცრი იერის მღვდელი გამოჩნდა, სიარულისას რომ ლოცვის ამაღელვებელ სიტყვებს წარმოთქვამდა. წამიც და, ვერცხლის სახელურებიანი მძიმე შავი კუბოც შემოიტანეს, მხრებზე შეედგათ დინჯი ნაბიჯებით მომავალ მამაკაცებს. ჯენი გაიყინა, თითქოს უხილავმა ძალამ მოძრაობის უნარი წართვაო. მამაკაცები არ ეცნო. არც რობერტი ენახა როდისმე და არც მისტერ მიჯლი. იმდენ ხალხში, წყვილ-წყვილად რომ მოჰყვებოდნენ კუბოს, მხოლოდ სამი კაცი შეიცნო, ადრე თეატრსა თუ რესტორანში რომ დაუნახვებია ლესტერს. პირველი მისის კეინი მოდიოდა, ვილაც მამაკაცის ხელს დაყრდნობილი; უკან მწუხარე მისტერ უიტსონი მოჰყვებოდა. უეცრად მოიხედა. ეტყობოდა, ჯენის ეძებდა, მაგრამ რაკი ვერსად დაინახა, ისევ წინ გაიხედა. თვალმიშტერებით მზირალ ჯენის გული მოეწურა. რა განუზომლად შორს იყო იგი ამ ადამიანებისაგან, თუმცა ეს ყველაფერი სწორედ მას ეხებოდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

პროცესია საკურთხეველთან მივიდა, კუბო დაბლა დაუშვეს, ტანჯვის ემბლემა – შავჯვრიანი თეთრი სუდარა გადააფარეს და ირგვლივ გრძელი სანთლები დაუნთეს. გუნდი ხმაშეწყობით გალობდა, კუბოს ნაკურთხი წყალი მოასხურეს, აქნევდნენ საცეცხლურს, ხოლო მლოცველები ჩუმი ხმით იმეორებდნენ მღვდლის წამლერებით წარმოთქმულ «მამაო ჩვენოს». მერე კათოლიკური წესის მიხედვით, ყოვლად წმინდა მარიამს უგალობეს. უბედურებით დათრგუნვილ, გაოგნებულ ჯენის არც მშვენიერი ეკლესია უმსუბუქებდა ნაღველს და არც ცერემონიის დიდებულება, სანთლების კაშკაში, საკმევლის სუნი თუ ხმაშეწყობილი გალობა, – მთელი ეს სილამაზე მისი სულის სიღრმეში უმძაფრეს ტკივილს იწვევდა. თითქოს ადარაფერი დარჩენილიყო ნაღვლიანი მელოდიისა და სიკვდილის გარდა. ჯენი ტიროდა, მწარედ ქვითინებდა. რატომღაც გაუკვირდა, ასევე გულამოსკვნით მტირალი მისის კეინი რომ დაინახა.

საეკლესიო მსახურება დამთავრდა, გამცილებლები ეტლებში ჩასხდნენ და კუბო სადგურში წაიღეს. როცა მოწვეულები თუ ახლობლები წავიდნენ და ეკლესია დაცარიელდა, ჯენიც წამოდგა, დიახ, თვითონაც წავა სადგურში, იქნებ, დაინახოს, როგორ შეიტანენ კუბოს ვაგონში. ალბათ, ჯერ კუბოს ბაქანზე გაიტანენ. ასე იყო მაშინ, როცა ვესტა მოჰქონდათ. ჯენი ეტლში ჩაჯდა, რამდენიმე წუთიც და სადგურის თაღებიან შენობაში შევიდა. ჯერ მაღალ მოაჯირთან დადგა, რომლის იქით ლიანდაგები იყო გაჭიმული, მერე მოსაცდელ დარბაზში შევიდა და იქ მსხდარი ხალხი დაკვირვებით შეათვალიერა. აი, ისინიც – მისის კეინი, რობერტი, მისტერ მიჯლი, ლუიზა, ემი, იმოჯინი და კიდევ ვიღაც სხვები. ჯენი გრძნობდა, რომ შეუცდომლად დაასახელებდა თითოეულს, თუმცა არც ერთი მათგანი მისთვის არავის გაუცვნიდა.

მხოლოდ ახლა გაახსენდა ჯენის, რომ ხვალ მადლობის მოსახსენებელი დღესასწაული იყო... უზარმაზარი სადგური ახმაურებული ხალხით იყო სავსე. სადღესასწაულოდ განწყობილი ადამიანები ქალაქგარეთ მიემგზავრებოდნენ, გართობისა და დასვენების მოლოდინში ხმამაღლა იცინოდნენ, ლაპარაკობდნენ. სადგურს უწყვეტ ნაკადად აწყდებოდა ეტლების მწკრივები. ომახიანი ხმა დროდადრო აცხადებდა მატარებლებში ჩასხდომას. ჯენის გული მოეწურა, როდესაც ნელი, მელოდიური ხმით ის მარშრუტი გამოაცხადეს, რომლითაც ლესტერთან ერთად არაერთხელ უმგზავრია: «დეტროიტი – ტოლედო – კლივლენდი – ბუფალო ნიუ-იორკი», მერე სხვა მატარებელი დაიდრა – «ფორტ უეინი – კოლუმბუსი – ჰიტსბურგი – ფილადელფია – ატლანტიკ – სიტი». და ბოლოს «ინდიანაპოლისი – კოლუმბუსი – ცინცინატი»... დადგა ჟამი.

ჯენი უკვე მერამდენედ გადიოდა მოსაცდელი დარბაზიდან იმ რკინიგზის მოაჯირისკენ, რომელიც საყვარელი ადამიანისგან აცალკევებდა, იმედოვნებდა, იქნებ, კიდევ მოეკრა თვალი კუბოსთვის, რომელიც უკვე ხის ყუთში იყო ჩადგმული. და აი, იხილა, დაინახა, რასაც ელოდა. იმ ადგილას,

სადაც საბარგო ვაგონი უნდა გაჩერებულიყო, საზიდარი მოაგორეს, ზედ იწვა ლესტერი, – ანუ ყველაფერი, რაც მისგან დარჩა. ხის, ქსოვილისა თუ ვერცხლის საშუალებით ცნობისმოყვარე თვალთაგან საიმედოდ დახურული. მტვირთავ მუშას, რომელიც იქვე, ურიკასთან ტრიალებდა, აზრადაც არ მოსვლია, რამდენი ვაება და ტანჯვა იყო აქ დამალული. აბა, საიდან შეიძლებოდა სცოდნოდა რომ ახლაც, ამ წუთში სიმდიდრე და საზოგადოებრივი მდგომარეობა ჯენისთვის იქცა რკინის მოაჯირად, გადაულახავ წინააღმდეგობად, სამუდამოდ რომ დააშორა საყვარელ არსებას. ასე იყო ყოველთვის, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ლესტერის სიმდიდრე და ძალა ზღუდავდა ჯენის, გარკვეულ ზღვარს იქით აღარ უშვებდა. ეტყობა, მას თავიდანვე ასეთი ბედი ეწერა. არაფერი მოეთხოვა, ყველაფერს მორჩილად შეგუებოდა, ასე დაეებდა ბავშვობიდანვე. მდიდართა ტრიუმფალურ სვლას მხოლოდ გვერდით ჩაევლო. ახლა რაღა დარჩენოდა მწუხარებისა და სევდის გარდა? მხოლოდ ლესტერს თვლიდა თავისად ამ მისთვის ყოვლად უცხო სამყაროში. მას, ლესტერს, უთმობდნენ საპატიო ადგილს, ჯენის ცნობაც არ უნდოდათ. ვიდრე მოაჯირს მიყრდნობილი ჯენი გაშეშებული იდგა. კვლავ გაისმა «ინდიანაპოლისი – კოლუმბუსი – ცინცინატი». ბაქანზე შემოვიდა გაჩახჩა-ხებულფანჯრებიანი წითელი მატარებელი. საბარგო თუ სამგზავრო ვაგონები, მოელვარე ვერცხლეულითა და თოვლივით თეთრი სუფრებით დამშვენებული ვაგონრესტორანი, რამდენიმე საწოლი ვაგონლუქსი, სულ წინ კი უზარმაზარი შავი ორთქლმავალი დუგდუგებდა და კვამლსა და ნაპერწკლებს ისროდა.

ერთ-ერთი საბარგო ვაგონი საზიდარს გაუსწორდა, ვაგონიდან თავი გამოყო ლურჯტანსაცმლიანმა მტვირთავმა და ვიღაც უჩინარს დაუძახა:

– ეი, ჯეკ, მომეხმარე! მიცვალებული უნდა

შევიტანოთ! ჯენის არა გაუგონია რა.

ქალი მხოლოდ გრძელ ყუთს ხედავდა, რომელიც საცაა თვალს მიეფარებოდა, დიახ, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ მატარებელი მალე დაიძრებოდა და ყველაფერი დამთავრდებოდა. მოაჯირის კარი გააღეს და მგზავრები ბაქანზე გამოეფინნენ. აი, რობერტი, ემი, ლუიზა, ყველანი მატარებლის ბოლოსკენ, საწოლ ვაგონებში ჩასასხდომად გაემართნენ. მეგობრებს დამშვიდობებულნი უკანმოუხედავად სწრაფი ნაბიჯით მიდიოდნენ. და აი, სამმა მუშამ ასწია მძიმე ყუთი. ჯენის თითქოს გულში რაღაც ჩასცეს, როდესაც ყუთი ვაგონის სიღრმეში შეიტანეს და თვალს მიეფარა.

მერე იმ ვაგონში ბევრი ზანდუკი და ჩემოდანი ჩატვირთეს, ბოლოს ორთქლმავლის ზარმაც დარეკა და სატვირთო ვაგონის კარი ნახევრად მიიხურა. გაისმოდა შეძახილები: «გთხოვთ, დაიკავოთ ადგილები!» და აი, უზარმაზარი ორთქლმავალი ადგილიდან დაიძრა. რეკავდა ზარი, ორთქლმავალი სტვენით ისროდა კვამლის ბოლქვებს. საკვამურიდან მალე ავარდნილი შავი კვამლი ნელ-ნელა დაბლა იწევს და ვაგონებს შავ სუდარასავით ეფინება. ცეცხლფარეში თითქოს გრძნობს, რა მძიმე შემადგენლობა უნდა წაიყვანოსო და გახურებული საცეცხლის კარს აღებს,

რათა შიგ ბევრი ქვანახშირი შეყაროს, ცეცხლის თვალივით ბრიალებს
ღუმელის ჭუჭრუტანა.

_ ჰო, ჰო, ნამდვილად კარგ დროს გავატარებთ, _ მხიარულად წარმოთქვა
ჯენის გვერდით ჩავლილმა ვიღაც კაცმა, რომელიც, ეტყობოდა, ქალაქგარეთ
აპირებდა გასვლას. _ შენ ენი გახსოვს? მია ჯიმიც მიდის და დეიდა ელაც.

ჯენის არაფერი ესმოდა _ არც სიტყვები და არც სადგურის ღრიანცელი...
მის თვალწინ გრძელი და ნაღვლიანი მარტოობის წლები გაჭიმულიყო. მერე რა
იქნება? ჯერ ხომ მოხუცი არ არის. უნდა აღზარდოს ნაშვილები ბავშვები. გავა
დრო, ისინიც დაიზრდებიან, დაფრთიანდებიან, მისგან წავლენ, მერე?
გაიძაბება ერთმიანეთის მსგავსი უფერული დღეების გრძელი მწკრივი, მაგრამ
მერე?...»